

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**წესთ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
გეობრავის დეპარტამენტი**



დალი ნიკოლაიშვილი
დავით სართანია
ავთანდილ უჯმაჯურიძე
ლამზირა ლალიძე
ვაჟა ტრაპანიძე
თინათინ ნანობაშვილი



სამუშაო – ჯავახეთი

ცნობარი

ცნობარი იბეჭდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის („ტერიტორიული დაგეგმარებისათვის სამცხე-ჯავახეთის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასება გის-ანალიზის მეშვეობით“, AR /105/9-280/13) ფარგლებში

თბილისი
2016

ცნობარში მოცემულია სამცხე-ჯავახეთის მრავალი საცნობარო ინფორმაცია ლანდშაფტების, ბუნებრივი რესურსებისა და კულტურის ძეგლების, აგრეთვე, ტრადიციული ბუნებათსარგებლობის ფორმების, მათ შორის ხელოვნური ტერასების შესახებ. ნაშრომი განკუთვნილია საზოგადოების ფართო წრისათვის.

ავტორ-რედაქტორები:

- დალი ნიკოლაიშვილი** თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეომორფოლოგია-კარტოგრაფიის კათედრის გამგე, გეოგრაფიის დოქტორი, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი
- დავით სართანია** თსუ მუზეუმის დირექტორის მოადგილე, ივანე ჯავახიშვილის ცენტრის ხელმძღვანელი, ისტორიის დოქტორი
- ავთანდილ უჯმაჯურიძე** ისტორიკოსი, თსუ შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი
- ლამზირა ლალიძე** თსუ ბუნებათსარგებლობის კათედრის ასოცირებული პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი
- ვაჟა ტრაპიძე** თსუ ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიისა და მეტეოროლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი, ტექნიკის დოქტორი
- თინათინ ნანობაშვილი** გეოგრაფი, თსუ გეოგრაფიის დეპარტამენტის მონვეული პედაგოგი

სარედაქციო კოლეგია:

- კობა ხარაძე** ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების გამგე, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, მთავარი რედაქტორი

კოლეგიის წევრები:

- ნანა ბოლახვილი** ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, გეოგრაფიის დოქტორი
- დავით კერესელიძე** თსუ ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიისა და მეტეოროლოგიის კათედრის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი
- დარეჯან კირთაძე** ფილოლოგიის დოქტორი
- გიორგი მელაძე** თსუ რეგიონული გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
- მანია მელაძე** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის დოქტორი, პროფესორი
- დალი ნიკოლაიშვილი** თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეომორფოლოგია-კარტოგრაფიის კათედრის გამგე, გეოგრაფიის დოქტორი, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი
- ავთანდილ უჯმაჯურიძე** ისტორიკოსი, თსუ შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი

შინაარსი

წინასიტყვაობა	5	ს	195
ა	11	ტ	213
ბ	48	უ	224
გ	67	ფ	230
დ	81	ქ	239
ე	90	ღ	245
ვ	94	ყ	247
ზ	101	შ	250
თ	109	ჩ	254
ი	118	ც	257
კ	122	ძ	261
ლ	137	წ	263
მ	143	ჭ	274
ნ	171	ხ	279
პ	184	ჰ	296
ჟ	188		
რ	189		
მოკლე ტერმინოლოგიური ლექსიკონი	299		
ლიტერატურა	305		

ვანუშტი გაბრატიონი მისხეთის შესახებ

„ხოლო არს ქუეყანა ესე ფრიად მრავალ და დიდროვან მთიანი, კლდიანი, ჴევიანი, ღრატიონი, ტყიანი, შამბ-შროშნიანი, მდინარიან-წყაროიან ტბიანი და მცირედ ველოვანი. ზამთარ ადგილ-ადგილ ცივი და დიდთოვლიანი და ადგილ-ადგილ ფრიად თბილი, ზაფხულს შეზავებული, რამეთუ აქუს მთანი და აგარკნი ფრიად ახლოს, ხოლო ადგილს ფრიად ცხელი და გაუძლისი, თჳნიერ აგარაკთა. ჴავით მშვენი და კეთილი... ნაყოფიერებს ქვეყანა ესე ყოვლითა მარცვლითა და არა ყოველგან. ადგილად აკეთებენ აბრეშუმსაცა მცირედ. და ხილნი... არიან მრავლად და კეთილნი. არიან ნალკოტნი, მტილნი და სავარდენი... პირუტყვი ყოველნი მრავალნი და ნადირნი მრავლად... ფრინველნი ურიცხვნი... მდინარენი მრავალნი, დიდნი და ჩქარად მომდინარენი. წყარონი ტკბილნი, მშვენი და კარგნი. ტბანი კეთილნი და თევზიანნი, და უმეტეს კალმახნი, დიდნი და წვრილნი... ფუტკარი მრავალნი, და თაფლნი კარგნი და მრავალნი.

ხოლო კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენატკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მჴნენი, შემმართებელნი, შვენიერნი, ცოდნა-ჴელოვნების მოყვარენი...“

წინასიტყვაობა

სამცხე-ჯავახეთს არაერთი საინტერესო სამეცნიერო კვლევა და პოპულარული ნაშრომი (გეოგრაფიული, ისტორიული, ეთნოლოგიური, დემოგრაფიული და სხვ.) მიეძღვნა, რომელშიც საინტერესოდაა წარმოდგენილი მხარის ბუნების, ისტორიის, მოსახლეობის, ყოფა-ცხოვრების, ტრადიციული ბუნებათსარგებლობის, ისტორიულ-კულტურული ძეგლების ამსახველი საკითხები. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არასათანადოდაა გამოვლენილი და შეფასებული მხარის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, მრავალი ისტორიულ-კულტურული ძეგლი. ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი და, ასევე, არასაკმარისადაა გააზრებული ის ეკონომიკური და ეკოლოგიური ფუნქციები, რომლის შესრულებაც შეუძლია საქართველოს ამ მხარეს ქვეყნის მასშტაბით.

ნაშრომში თავმოყრილია მრავალი საცნობარო ინფორმაცია სამცხე-ჯავახეთის გეოგრაფიული ობიექტების, ლანდშაფტების, ბუნებრივი რესურსებისა და ისტორიულ-კულტურული ძეგლების შესახებ. იგი პირველი ცდაა, რომელშიც ერთდროულადაა წარმოდგენილი მხარის ბუნებრივი და კულტურული ასპექტები, რაც შესაძლებლობას მისცემს მკითხველს ერთიან ჭრილში დაინახოს მხარის სპეციფიკური თავისებურებანი, ბუნებრივი და კულტურული მრავალფეროვნების თვალსაზრისით.

სამცხე-ჯავახეთი – საქართველოს ერთ-ერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მხარე და ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულია. დღეს იგი შეწყვეტილი ორი ტერმინით იხსენიება, მაგრამ ძველადერთი გამაერთიანებელი სახელით იყო ცნობილი – მესხეთი, რომელიც უფრო დიდ ტერიტორიას მოიცავდა, ვიდრე დღევანდელი სამცხე-ჯავახეთია. მასში, თანამედროვე საქართველოს ტერიტორიის გარდა, შედიოდა სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ისტორიული მიწებიც მდინარეების – მტკვრისა და ჭოროხის – ზემო წელში: არტაანი, ერუშეთი, კლარჯეთი, კოლა, ტაო, შავშეთი და სხვ. სხვაგვარად სამცხე-ჯავახეთი ზემო ქართლის სახელითაც იხსენიება. თუმცა ისტორიულად ზემო ქართლი გაცილებით ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა სამცხე-ჯავახეთი და მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს ქმნიდა. ძველ ქართულ მწერლობაში ხომ ზემო ქართლი ნიშნავდა ვრცელ ტერიტორიას მდ. მტკვრის ზემო წელის აუზში, ბორჯომს ზემოთ. XIII საუკუნიდან კი, მას შემდეგ, რაც სამცხეში ათაბაგების (ჯაყელების) ძალაუფლება დამკვიდრდა, იგი სამცხე-ჯავახეთის სახელწოდებით გვხვდება.

სამცხე-ჯავახეთი მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, თურქეთისა და სომხეთის მოსაზღვრე ზოლში. მოიცავს საქართველოს სამ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციას: თორს, სამცხესა და ჯავახეთს. ადმინისტრაციულად მის შემადგენლობაში შედის 6 მუნიციპალიტეტი: ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომისა და ნინოწმინდის. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ახალციხე. ფართობია 6413 კმ² – საქართველოს მთელი ტერიტორიის 9.1%. სამცხე-ჯავახეთს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური და სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. თურქეთთან და სომხეთთან მოსაზღვრეობა, მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სავაჭრო-ეკონომიკური, სატრანზიტო და კულტურული ურთიერთობების განვითარებისათვის.

სახელწოდება „სამცხე“ და „ჯავახეთი“ მიღებულია სიტყვა „სამი ციხისა“ და „ჯავახისაგან“. პირველი უკავშირდება სამი ციხის – ლომსიას (იგივე ახალციხის), ოძრხესა (იგივე აბასთუმნის) და ჯვარისციხის (იგივე ციხისჯვრის) სახელებს. მეორე კი ეთნონიმური წარმოშობისაა და ჯავახების საცხოვრებელს, სამყოფელს ნიშნავს.

სამცხე-ჯავახეთი მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებითა და რესურსებით ხასიათდება. იგი მდიდარია ბუნებრივი საკვები სავარგულებით, სახნავი მიწებით, მაღალრეკრეაციული ღირებულების ეკოსისტემებით, განსხვავებული ქიმიური შედგენილობისა და მაღალი სამკურნალო-პროფილაქტიკური ღირებულების დიდდებიტიანი მინერალური წყაროებით, სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეულით. იგი გამორჩეულია ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნებითა და კონტრასტულობით. აქ მცენარეთა 1400-1500 სახეობაა. გვხვდება არიდული, სემიარიდული, სემიჰუმიდური, სემიჰუმიდურისაკენ გარდამავალი, ჰუმიდური და ექსტრაჰუმიდური ლანდშაფტები ველებით, ნარეკლიანებით, ჯაგეკლინებით, ფოთლოვანი და წიწვიანი ტყეებით, ჭარბტენიანი ადგილების მცენარეულობით, სუბალპური და ალპური მდელოებით. წარმოდგენილია ლანდშაფტის 5 ტიპი, 9 ქვეტიპი, 12 გვარი და 39 სახე. დამახასიათებელია ხელუხლებელი ეკოსისტემების მაღალი ხვედრითი წილი და ეკოლოგიურად შედარებით სუფთა გარემო. მაღალია სამცხე-ჯავახეთის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალიც, ტრანსასაზღვრო ტურიზმის განვითარების, აგრეთვე, არიდული ზონებისა და ჭარბტენიანი ადგილების დაცული ტერიტორიების ფორმირების პერსპექტივებით.

სამცხე-ჯავახეთში გამორჩეულად უხვადაა ისტორიულ-კულტურული ძეგლები, რომლებიც არა მარტო მხარის მდიდარი ისტორიული წარსულის მოწმეა, არამედ ერის საუნჯე და მსოფლიო მემკვიდრეობის საგანძურიც. აქ მრავლადაა ეკლესიები, ციხესიმაგრეები და სამონასტრო კომპლექსები, კლდეში ნაკვეთი მონასტერ-გამოქვაბულები, სანახლები და ქვევრები, დარანთა სისტემები, მეგალითური ძეგლები, ყორღანული ქვაყრილები თუ მრავალი სხვა ძეგლი – გარდასულ საუკუნეთა დიდების უტყუარი მოწმე. ბევრი მათგანი დაზიანებულია და მხოლოდ ნაშთების სახითაა შემორჩენილი, თუმცა მაინც ყველა მათგანს მკაფიოდ ატყვია თვითმყოფადი კულტურის კვალი.

განცვიფრებას იწვევს ასეთ რთულ ოროგრაფიულ პირობებში როგორ შეძლო აქ ქართველი კაცის გენიამ შეექმნა მრავალსართულიანი დაბაქნებული ადგილები და კედლებგამაგრებული ტერასები, სადაც ძველად ხეხილი და ვაზი ჰყვავდა, გაყვანილი იყო წყლის სადინარები, ხოლო ნიადაგი გაპოხიერებული მდინარის ქალებიდან ამოტანილი ნეშომპალით. მიწის სიმცირის პირობებში ეს მეტად გონივრული და გარემო პირობებთან შეხამებული ბუნებათსარგებლობის ფორმა იყო. ფერდობების ექსპოზიციისა და დახრილობის შერჩევით, მიღწეული იყო, ერთი მხრივ, აგროკულტურების მაღალი მოსავლიანობა, ხოლო, მეორე მხრივ, შენარჩუნებული იყო ბუნებაში არსებული ეკოლოგიური წონასწორობა. ტრადიციული ბუნებათსარგებლობის ამ ფორმით ეს მხარე არა თუ ივსებდა სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით ვარგისი მიწების სიმწირეს, არამედ ამით უდიდეს როლსაც ასრულებდა ქვეყნის სამეურნეო განვითარებაში.

წინამდებარე ნაშრომი დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოყენებითი კვლევების საკონკურსო გრანტის ფარგლებში (ტერიტორიული დაგეგმარებისათვის სამცხე-ჯავახეთის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასება-ანალიზის მეშვეობით, AR/105/9-280/13, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი დალი ნიკოლაიშვილი).

ცნობარი მომზადდა სხვადასხვა დარგის სამეცნიერო კვლევების, სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომების, სტატისტიკური და კარტოგრაფიული მასალების, ინტერნეტსივრცეში არსებული წყაროების მიხედვით. ნაშრომში, ასევე, გამოყენებულია 2014-2015 წლებში სამცხე-ჯავახეთში ჩატარებული საველე-საექსპედიციო კვლევებისა და სამეცნიერო მივლინებების დროს შეგროვებული მასალები, მათ შორის ფოტოები.

ცნობარში გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები მხარის თანამედროვე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფისა და დემოგრაფიული მაჩვენებლების შესახებ. თუმცა იმის გამო, რომ ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგები, დემოგრაფიული მონაცემები უმთავრესად მოცემულია (საკრებულოების, სოფლების) 2002 წლის მდგომარეობით. გამონაკლისია მხოლოდ მუნიციპალიტეტების, ქალაქებისა და დაბების მოსახლეობის რიცხოვნობა, სადაც ასახულია 2014 წლის მიახლოებითი, წინასწარი მონაცემები.

ცნობარს თან ერთვის რუკათა კრებული, რომელშიც სხვადასხვა თემატური შინაარსის რუკაა მოცემული. რუკები შედგენილია 1:50,000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკების საფუძველზე. შეძლებისდაგვარად, მასზე ასახულია ჰიდროლოგიური და ინფრასტრუქტურული ობიექტების ცვლილებები თანამედროვე პერიოდში, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ეს ცვლილებები არ არის დღეს არსებული სიტუაციის აბსოლუტურად ზუსტი კარტოგრაფიული ანასახი. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ცნობარში ინფორმაცია ამ ცვლილებების შესახებ მოცემულია შესაბამის სტატიებში. ამასთან, პროექტის მიზნიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო ასევე ზუსტად ასახულიყო ცალკეული ისტორიულ-კულტურული ძეგლის თანამედროვე მდგომარეობა.

ცნობარში შევიდა, აგრეთვე, ინფორმაცია 2015 წელს მიკვლეული კულტურის შესანიშნავი ძეგლის – „გაღმა ვაშლობის“ კლდეში ნაკვეთის სამონასტრო კომპლექსის შესახებ. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საქართველოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოების პროექტის ფარგლებში, 2012 წლის ზაფხულში, მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ისტორიულ ერუშეთში. კვლევის მიზანს შეადგენდა, საქართველოს სამხრეთ საზღვრებს მიღმა მდებარე, ქართული ხუროთმოძღვრული ნიშნების მატარებელ საკულტო ნაგებობების შესწავლა. ავტორები გულისხმიერ მადლობას უხდებიან ექსპედიციის ყველა მონაწილეს (გ. ბაგრატიონს, ნ. ბაგრატიონს, მ. მარგველაშვილს, პ. მარგველაშვილს, გ. შერვაშიძეს, ქ. მაგლობლიშვილს) სათანადო ინფორმაციისა და ფოტოების მოწოდებისათვის.

ცნობარში გამოყენებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის, საქართველოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოების (სგს), ორგანიზაცია „ვარძიის ტერასების“, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაციის „ელკანას“ ფოტოები; ასევე, გამოყენებულია ფოტოები სხვადასხვა პუბლიკაციებიდან და ვებსაიტებიდან:

- ნონეშვილი ალ., თავართქილაძე ა. საქართველოს 100 მუზეუმი. თბ.: „კლიო“, 2012;
- საქართველოს ამპელოგრაფია. <http://ktwchamber.ge/ampelography/index.php?lang=ge>;
- საქართველოს მუზეუმები. <http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1&sec-id=9>;
- საქართველოს წითელი წიგნი. თბილისი, 1982;
- სეისმური მონიტორინგის ცენტრი. <http://seismo.iliauni.edu.ge/main/index.php>;
- Памятники Грузинского зодчества. М., 1947;
- Сумбадзе Л. Архитектура грузинского народного жилища дарбази. Тб.: „Мецниереба“, 1984.

ავტორთა კოლექტივი მადლობას უხდის პროექტის ყველა ძირითად და დამხმარე პერსონალს, რომელთა გარეშე შეუძლებელი იქნებოდა წარმოდგენილი ნაშრომის მომზადება და გამოქვეყნება – ბესარიონ კალანდაძეს, რობერტ მალლაკელიძეს, რევაზ თოლორდავას, იოსებ ლაზარაშვილს, ქეთევან მგალობლიშვილს, ზაზა გულაშვილსა და ელენე ნიკოლაიშვილს.

პროექტის ფარგლებში განეული სხვადასხვა სახის დახმარებისა და თანადგომისათვის ავტორები გულითად მადლობას უხდიან, აგრეთვე:

მაია ახალკაციშვილს – თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი, გეოლოგიის დოქტორი

გიორგი ბაგრატიონს – გამომცემლობა „ნეკერის“ მენეჯერი, არქიტექტორი

ეთერ გაჩეჩილაძეს – ქ. ახალციხის კერძო სკოლის „მზექას“ გეოგრაფიის მასწავლებელი

მარინა გაჩეჩილაძეს – რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებული, გუბერნატორის ადმინისტრაცია)

მზია გაჩეჩილაძე-ზუმბაძეს – ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. კლდის მკვიდრი, პედაგოგი

მანანა გიგაურს – ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ საზოგადოებრივი ურთიერთობების განყოფილების თანამშრომელი, ბიოლოგიის დოქტორი

მერაბ გონგაძეს – ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროს თანამშრომელი, გეოგრაფიის დოქტორი.

კონსტანტინე გოგილაშვილს – რომპეტროლ-საქართველოს ფინანსური ანალიტიკოსი

თედო გორგოძეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის ტოპოგრაფიული სამმართველოს „გის-ის“ ანალიტიკური განყოფილების უფროსი.

ნუგზარ თათეშვილს – ახალციხის განვითარების ცენტრის დირექტორი

ბექა (ნიკა) კაპანაძეს – ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. ანის მკვიდრი

თამთა კაპანაძეს – თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკოლოგიის მიმართულების სტუდენტი

ანა კარიჭაშვილს – დისტანციური ზონდირებისა და გეოსაინფორმაციო სისტემების საკონსულტაციო ცენტრის „გეოგრაფიკის“ გის-სპეციალისტი

გულიზა ლიპარტელიანს – თსუ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიის განყოფილების გამგე, გეოგრაფიის დოქტორი

დავით მალრაძეს – აგრარული უნივერსიტეტის ვაზის გენოფონდის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სოფლის მეურნეობის დოქტორი

მზია მელიქიძე-ფირფირაშვილს – სოფ. ტოლოშის მკვიდრი

ნათელა მურადაშვილს – სოფ. ხიზაბავრის მკვიდრი

გია სოფაძეს – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების განახლებისა და გარემოს დაცვის განყოფილება, გეოგრაფიის დოქტორი

ნარგიზი მონონელიძეს – თსუ ჰიდრომექანიკისა და ოკეანოლოგიის ლაბორატორიის უფროსი ლაბორანტი

გიორგი ნათენაძეს – შპს „ვარძიის ტერასების“ დირექტორი, ასოციაცია „სამცხე-ჯავახეთის ტრადიციული მეღვინეობის“ დამფუძნებელი დირექტორი

გორჩა ნათენაძეს – ქ. ახალციხის მკვიდრი

რუსუდან ნათენაძეს – ფილოლოგი, პედაგოგი

ანა პაპიაშვილს – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

ციალა ფიფიას – თსუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის დეპარტამენტის ნიადაგების გეოგრაფიისა და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიის ლაბორანტი, სოფლის მეურნეობის დოქტორი, მონვეული პედაგოგი

თენგიზ ქიმაძეს – გეოგრაფი-ბიოლოგი, პედაგოგიკის დოქტორი

ნატო ყრუაშვილს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიზაბავრის მკვიდრი

შამილ შეთეკაურს – თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი

გვანცა ცინცაძეს – თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი

მანანა ხელაიას – მათემატიკოსი, ხელოვნებათმცოდნე

მარიამ ჯორჯაძეს – ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ დირექტორი

ვიმედოვნებთ, წარმოდგენილი ნაშრომი დახმარებას გაუწევს დაინტერესებულ მკითხველს.

მესხეთ-ჯავახეთი

გალაკტიონ ტაბიძე

გადმოვლახეთ მთა და სერი, მოვიარეთ ჰანგძლიერი,
მშვენიერზე მშვენიერი იმერეთი, ქართლ-კახეთი,
ყამთა ცელმა ვერ აჩალა თვალწარმტაცი მთა და ქალა,
და ჰა, თვალწინ გაიშალა ძველი მესხეთ-ჯავახეთი!
აქ ვარძიის მკვიდრ სავანეს ტბა ანათებს თავფარავნის,
მთა მრავალი ამირანის, მრავალ საუკუნის სვეტი...
იყოს მრავალყამიერი უძველესი ჩვენი ერი,
მისი სახე, მისი ფერი, მისი მესხეთ-ჯავახეთი!
ვნახულობდით მთებში მწყემსებს
და ვმღეროდით ახალ ლექსებს,
რომ დროს გააუკეთესებს შრომა მხვნელი, შრომა მჭედი,
რომ მშვიდობა არ თავდება, რომ მზე ამოთავთავდება,
და კვლავ უფრო აყვავდება ჩვენი მესხეთ-ჯავახეთი!
ამოძრავდეს მთა და ქედი, გამობრწყინდეს ქართლის ბედი,
ახმაურდეს ვეფხი მეტი, მეტის ძალით და იმედით -
დღეგრძელობდეს მესხი, თან ის მესხი უახლოეს ხანის,
მესხი „ვეფხისტყაოსანის“, მესხი - მესხეთ-ჯავახეთის!



შოთა რუსთაველის ძეგლი, დავა აბასთუმანი

ს

აბათხევი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, წყალთბილას საკრებულოში, ერუშეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, ახალციხის ქვაბულში, ზ.დ. 1235-1370 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან სამხრეთ-დასავლეთით 16 კმ მანძილზე, ახალციხე-წყალთბილას საავტომობილო გზაზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები შემოსილია სტეპის, ფრიგანის, შიბლიაკისა და იშვიათად მთის ნახევრად უდაბნოს მცენარეულობით. მოსახლეობის რიცხოვნობა – 330, უპირატესი ეროვნება – სომეხი (99%) (2002).

აბათხევის ეკლესია – ეკლესია (XVII ს.) ახალციხის მუნიციპალიტეტში, ახალციხის ქვაბულში, ერუშეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, ზ.დ. 1340 მ სიმაღლეზე.

აბათხევის თაბაშირის საბადო – თაბაშირის საბადო ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. აბათხევიში.


აბანო – ნასოფლარი ბორჯომის მუნიციპალიტეტში. შემორჩენილია ძველი ტაძრის ნანგრევები, რომელიც ამალღების სახელობის უნდა ყოფილიყო, რადგან მას „ამალღებას“ უწოდებენ. აქვეა თბილი, გოგირდოვანი წყალიც, რომელსაც სამკურნალოდ იყენებენ.

აბანოსღელე – მდინარე ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადი. შერეული საზრდოობის მდინარეა და წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულზე.

აბანოსღელე – მინერალური წყარო ახალციხის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება აზოტოვან სულფატურ-ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 0.2 გ/ლ.

აბანოსღელე – მინერალური წყარო მდ. აბანოსღელეს ხეობაში (გუჯარეთისწყლის მარცხენა შენაკად კერზენის აუზი). ჰიდროკარბონატულ-სულფატური ტიპის მინერალური წყალია, დღელამური დებიტია 250 ათ. ლ.

აბასთუმანი, აბასთუბანი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ვარხანის საკრებულოში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდ. აბასთუმნისწყლის (ქვაბლიანის მარცხენა შენაკადი) ხეობაში, ზ.დ. 1160-1360 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 18 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 371, რომელთა 88 % ქართველია (2002). ძველი დასახლება მდებარეობდა თანამედროვე აბასთუმნიდან 1 კმ მანძილზე. სოფელი ნახსენებია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“. XVI საუკუნეში დაიპყრო ოსმალებმა, 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალების ომის შემდგომ დაბრუნდა. რთული სიტყვისაგან შედგენილი ტოპონიმი. მანარმოებელია სიტყვა „უბანი“. სახელწოდება წარმომდგარი უნდა იყოს აქმცხოვრები აბასაძეთა (აბაზასძეთა) საგვარეულოსაგან. აბასი ადამიანის სახელია.



ქარის მიმართულების განმეორებადობა (%)



კლდეები აბასთუმანთან

აბასთუმანი, ოძრხე – ეკლესია (შუა ს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. ოცხეს (ქვაბლიანის მარცხენა შენაკადი) ხეობაში, ზ.დ. 1340 მ სიმაღლეზე.

აბასთუმანი, ოძრხე, ოძრახე, ოცხე – დაბა (1926 წლიდან) ადიგენის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე. მდ. აბასთუმნისწყლის (ქვაბლიანის მარცხენა შენაკადი) ხეობაში, ზ.დ. 1250-1450 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 28 კმ მანძილზე, ზ.დ. სამთო-კლიმატური კურორტი. მას „კავკასიის მარგალიტს უწოდებდნენ“. მოსახლეობის რიცხოვნობა 1.2 ათ. კაცი (2014წ.) საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მდ. აბასთუმნისწყალი კურორტს აწვდილობს 3 ძირითად უბნად: ცენტრალური უბანი (უკავია ხეობის ძირი, ზ.დ. 1260 მ სიმაღლეზე მაღლა), არაზინდო (პლატო, ზ.დ. 1400-1420 მ, გახსნილი ჰორიზონტით) და ალობილი (პლატო, ზ.დ. 1440-1460 მ, გახსნილი ჰორიზონტით). კურორტის მიდამოები შემოსილია



სახლი დაბა აბასთუმანში

უმთავრესად წიწვიანი ტყეებით – ნაძვი, სოჭი და ფიჭვი. მრავალი წლის მანძილზე კურორტი ტუბერკულოზით დაავადებულთა მთავარი სამკურნალო ცენტრი იყო. ზაფხული ზომიერად თბილია (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა – 16°C), ზამთარი – ზომიერად რბილი (იანვრის საშუალო ტემპერატურა – -6°C). ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობაა 620მმ. მდგრადი თოვლის საფარი წარმოიქმნება შუა დეკემბრიდან მარტის II დეკადის ჩათვლით. სუსტი და ზომიერი



აბასთუმნის მიღამოუბი

მთა-ხეობათა ქარები განაპირობებენ ხეობის კარგ ვენტილაციას. ცნობილია აბასთუმნის მინერალური წყლებით. კურორტი ფუნქციონირებს XIX საუკუნის შუა წლებიდან. აბასთუმანთან, ყანობილის მთაზე მდებარეობს აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია. აბასთუმანში შემორჩენილია შუა საუკუნეების ხიდი (XII-XIII სს.) მდ. აბასთუმნისწყალზე, შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია, ფასადზე გამოსახული დიდი ზომის რელიეფური ჯვრით და ოძრხეს ციხე (განვ. შუა სს.). დაბის ცენტრში დგას „ახალი ზარზმა“ (1899-1902 წწ.) – გუმბათიანი ეკლესია და სამრეკლო, რომელიც რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის ნიკოლოზ II-ის მემკვიდრისათვის აუგიათ.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია – ობსერვატორია დაბა აბასთუმანში, ყანობილის მთაზე, ზ.დ. 1420-1440 მ სიმაღლეზე. დაარსდა 1932 წელს ე. ხარაძის თაოსნობით. იყო პირველი სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორია ყოფილ საბჭოთა კავშირში. ამჟამად ობსერვატორია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაშია და ინოვება როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ევგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია. ყანობილის მთაზე 200 დღე მონმენდილია, რაც ციურ სხეულებზე დაკვირვების კარგ შესაძლებლობას იძლევა. ობსერვატორიამდე გაყვანილია სამანქანო, საფეხმავლო და საბაგრო გზები.



აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია



აბასთუმნის ოპსერვატორიის მიდამოები

აბასთუმნის დედათა მონასტერი – იხ. აბასთუმნის სასახლე.

აბასთუმნის ეკლესია – იხ. „ახალი ზარზმა“.


აბასთუმნის მეტეოსადგური – მეტეოსადგური ადიგენის მუნიციპალიტეტში, ზ.დ. 1265 მ სიმაღლეზე, დაბა აბასთუმნის ცენტრში, 15 მ-ით მაღლა მდ. აბასთუმნისწყალზე. ბორცვის აღმოსავლეთით 3-4 მ სიმაღლეზე დგას სადგურის ერთსართულიანი შენობა. მეტეოროლოგიური მოედნის ჰორიზონტი მცირედაა დახურული სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით. სადგურზე დაკვირვებები წარმოებდა 1884-2006 წლებში.

აბასთუმნის მინერალური წყაროები – მინერალური წყაროები ადიგენის მუნიციპალიტეტში, ქ. ახალციხიდან ჩრდილო-დასავლეთით, 28 კმ მანძილზე, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ზ.დ. 1250-1450 მ სიმაღლეზე. გამოედინება მდ. აბასთუმნისწყლის ხეობაში. აქ არის სამი წყარო

სახელწოდებით „ბოგატირსკი“, „ზმეინი“ და „ზოლოტუშნი“ წყაროები, ჯამური დებიტია 1 მლნ ლიტრი. წყალი თერმულია (+41+48°C) დაბალი მინერალიზაციით (0.5-0.6 გ/ლ). მიეკუთვნება კაჟიან, სულფატურ-ქლორიდულ, კალციუმ-ნატრიუმთან ტიპის წყლებს. დღეღამური დებიტია მლნ ლიტრზე მეტი.

აბასთუმნის პარკი – პარკი დაბა აბასთუმანში. გაშენებულია XIX საუკუნეში.

აბასთუმნის სეისმური სადგური – მუდმივი სეისმური სადგური დაბა აბასთუმანში (41.7554°N; 42.8135°E). ფუნქციონირებს 2009 წლიდან.



აბასთუმანი: ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა

აბასთუმნის სასახლე, რომანოვების სასახლე – რომანოვების ზაფხულის სასახლე (XIX ს), ულურსმნოდ, ხით აგებული შენობა. უკანასკნელ წლებში აქ წმ. პანტელეიმონ მკურნალის დედათა მონასტერი (აბასთუმნის დედათა მონასტერი) იყო განთავსებული. 2008 წლის ხანძრის შედეგად სასახლის შენობა ძლიერ დაზიანდა. მის გვერდით ახალი შენობა აშენდა.

აბასთუმნისწყალი, ოცხე, ოცხისწყალი, ოცხორა – მდინარე ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. ქვაბლიანის მარცხენა შენაკადი. სათავეს იღებს აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, გაივლის კურორტ აბასთუმანს და მდ. ქვაბლიანს უერთდება სოფ. ბენარასთან. სიგრძეა 26.8 კმ, აუზის ფართობი – 266 კმ², საშუალო წლიური ხარჯი შესართავთან – 3.15 მ³/წმ. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე. ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს: „...ახალციხეს ზეით, კვანჯლას, მოერთვის ახალციხისწყალს ოცხის-წყალი. ეს გამოსდის ფერსათს და მოდის ჩრდილო-დასავლეთს შუადაბალმოსავლეთს-სამჯრეთ შუა. ამ ოცხეს-წყალს ერთვის, ვაშლობს, პანტონოვანის-კევი, გამომდინარე ფერსათისა, და მოდის ჩრდილოდამ სამჯრით. ამ კევის ზეით, მთის ძირში, არს ოძრახე, რომელი აღაშენა ოძრახოს ქალაქი და ციხე, და უწოდა სახელი თჳსი...“.

აბასთუმნის ხიდი – იხ. „თამარის ხიდი“.

აბასთუმნის ჰიდროლოგიური სადგური – ჰიდროლოგიური სადგური ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. აბასთუმნისწყლის ხეობაში, ზ.დ. 1253 მ სიმაღლეზე. აუზის ფართობია 99 კმ². დაკვირვების წლები – 1936-1991.

აბაშიძეების გზა – იწყებოდა სოფ. ქვიშხეთთან (ხაშურის მუნიციპალიტეტი) და მთავრდებოდა გოგიას ციხესთან ქ. ბორჯომში, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეზე. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ გატაცებული ტყვეები (უმთავრესად ქართლიდან) ამ გზით გადაჰყავდათ



ღამბაზი მდ. აბასთუმნისწყალზე

და ოსმალებზე ჰყიდნენ. გზას ძირითადად აბაშიძეები აკონტროლებდნენ და ამის გამო უწოდებდნენ მას „აბაშიძეების გზას“.

აბზინდა, ავშანი (Artemisia absinthium) – სამკურნალო, მრავალწლიანი მცენარეა 1 მ-მდე სიმაღლის. იზრდება რუდერულ, დამუშავებულ ადგილებსა და მშრალ ფერდობებზე. ყვავილობს ივლის-აგვისტოში. იზრდება კარგად დრენირებად მსუბუქ ქვიშნარ და საშუალო თიხნარ, მჟავე, ნეიტრალურ და ტუტე ნიადაგებზე, შეუძლია ზრდა ძლიერ ტუტე და საკვები ნივთიერებებით ღარიბ ნიადაგებზე ნახევრად დაჩრდილულ და დაუჩრდილავ პირობებში. გვხვდება როგორც მშრალ, ისე ტენიან ადგილებში, იტანს გვალვასაც. ფართოდაა გავრცელებული როგორც სამხრეთში, ისე ჯავახეთში. უპირატესად გვხვდება დასახლებების ახლოს და გზისპირებზე.

აბი – ნასოფლარი ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ზ.დ. 1240 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 2 კმ მანძილზე.

აბი, აბლარი – ნასოფლარი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. კარტიკამთან ახლოს, ახალქალაქის პლატოზე, მდ. აბდარის სათავეში. ზ.დ. 1700 მ სიმაღლეზე. იხსენიება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“. ოსმალების მიერ არასწორად იქნა შეტანილი მისი სახელი დავთარში. 1920-იან წლებში მოსახლეობა აქედან ქ. ახალციხეში გადასახლებულა. შემორჩენილია აბლარის დარბაზული ტიპის ეკლესიის ნანგრევები. მისი ნამდვილი ქართული სახელი აბლარი ყოფილა.

აბილაური – ვაშლის მესხური ჯიშის ფართოდაა გავრცელებული მესხეთში. აქვს საშუალო ზომის მოყვითალო, ლოყანითელი თხელკანიანი ნაყოფი, უხვმოსავლიანია, თუმცა მეწლე. 25-30 წლის ხე იძლევა 400 კგ-ს, ცალკეული ხეები – გაცილებით მეტსაც. ცოცხლობს 100 წლამდე. ტრანსპორტაბელურია და ინახება დიდხანს (გაზაფხულამდე). მეტად სუსტია სოკოვანი დაავადებების მიმართ.

აბლარი – იხ. აბული, მდინარე.

აბლარი – იხ. აბი, ნასოფლარი.

აბლარის ეკლესია – იხ. აბი, ნასოფლარი.

აბრალის ეკლესია – იხ. აბულის ეკლესია.

აბული, აბლარი – მდინარე ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავნის მარჯვენა შენაკადი. ფარავანს ერთვის სოფ. ხულგუმოსთან.

აბული – მწვერვალი, იხ. დიდი აბული.

აბული – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, კარტიკამის საკრებულოში, აბულ-სამსრის ქედის დასავლეთ ფერდობზე, მდ. აბულის (ფარავნის მარჯვენა შენაკადი) სათავეში, ზ.დ. 1960-2020 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 12 კმ მანძილზე, ნინოწმინდა-ფოკის საავტომობილო გზაზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 627. მათი უმეტესობა (99%) სომეხია (2002). შემორჩენილია დარბაზული ეკლესია. სოფლის მიდამოებში არის ციკლოპური ციხე.

აბულის ეკლესია, აბრალის ეკლესია – დარბაზული ეკლესია (X ს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. კარგადაა შემონახული. შემკულია ჯვრებითა და სხვა გამოსახულებებით.

აბულის მეტეოსადგური – მეტეოსადგური ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ზ.დ. 1984 მ სიმაღლეზე, პატარა აბულის მთის ძირში, მდ. ფარავნის შენაკად აბულის სათავესთან. ახალქალაქიდან დაშორებულია 12 კმ მანძილზე. მეტეოსადგურზე დაკვირვებები წარმოებდა 1927-1989 წლებში.

აბულის მთის არყნარი – წარსულში გავრცელებული მთის არყნარის კორომი აბულ-სამსრის ქედზე.

აბულის ნატბეურის ჭაობი – ჭაობი აბულ-სამსრის ქედის სამხრეთ ნაწილში, აბულის ტბის ნატბეურზე, ზ.დ. 2200 მ სიმაღლეზე. ფართობია დაახლოებით 60 ჰა. თითქმის მთლიანადაა დაჭაობებული. ზოგიერთ ადგილას გაბატონებულია წმინდა კოლბოხოვან-ისლიანი ჭაობებიც *Carex dichroandra*-ს გაბატონებით, გვხვდება *Caricetum orthostachys purum* ფრაგმენტებიც. ღრმანყლიან აკვატორიაში გვხვდება *Potamogetonetum natantis purum*, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში – *Potamogetonetum heterophyllum purum*, იშვიათად – *Potamogetonetum crispae purum*. სანაპიროს გასწვრივ, ვიწრო ზოლად გვხვდება *Heleocharietum eupalustre purum*, *Caricetum vesicariae purum*, *Sparganietum simplex purum* და სხვა მცენარეები.


აბულის ტბა – ვულკანური წარმოშობის ტბა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, აბულ-სამსრის ქედზე, მ. პატარა აბულის დასავლეთ ფერდობზე, ზ.დ. 2176 მ სიმაღლეზე. სარკის ფართობია 0.9 კმ², მაქსიმალური სიღრმე – 1.4 მ. არ აქვს მუდმივი შენაკადები. უმეტესად დაფარულია წყალმცენარეებით და მიმდინარეობს ევტროფიკაცია.

აბულის ციხე – ანტიკური და ადრინდელი ფეოდალური ხანის ციკლოპური ციხე, ნაციხარი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, აბულ-სამსრის ქედზე, მ. პატარა აბულის ფერდობზე, მდ. აბულის (ფარავნის მარჯვენა შენაკადი) სათავეში ზ.დ. 2800 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 12 კმ მანძილზე. ნაგებია მშრალი წყობით. კედლის სიმაღლეა 5 მ, სიგანე – 3 მ. შემორჩენილია ნანგრევები.

აბულ-სამსრის ვულკანები – აბულ-სამსრის ქედის ვულკანები, წარმოდგენილი დიდი ვულკანური საფარისაგან. თითქმის მერიდიანულ ხაზზეა ჩამწკრივებული 37 კმ მანძილზე. ყველაზე ჩრდილოეთით მდებარეობს ორმაგი ვულკანური მასივი – თავკვეთილი, სადაც მაღალ აღმოსავლეთ კონუსს გააჩნია 400-500 მ მდ. სიმაღლე ქციის დონიდან. მისგან სამხრეთით მდებარეობს ორმაგი მასივი – შავნაბადა. კიდევ უფრო სამხრეთით მძლავრი მთათა ჯგუფია – ქარაქუზეისა და სამსრის, რომელიც კლდოვანია და ციცაბო ფერდობებით ხასიათდება.



აბულ-სამსრის ქედი. ფოტო: მ. ახალკაციშვილი



აბულ-სამსრის ქედის მყინვარების მიერ გარდაქმნილი ვულკანური რელიეფი
ავტორი: მ. ახალკაციშვილი

აბულ-სამსრის ქედი, სამსრის ქედი – მერიდიანული ქედი ახალქალაქის, ნინოწმინდისა და წალკის მუნიციპალიტეტებში. ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებით გადაჭიმულია 42 კმ მანძილზე, სადაც აღმართულია მრავალი ვულკანური კონუსი: აბიხი, დიდი აბული, თავკვეთილი, პატარა აბული, სამსარი, შავნაბადა და სხვ. იგი სამხრეთ საქართველოს ზეგნის „ოროგრაფიული კეფის“ სახელითაა ცნობილი. ქედი ერთმანეთისაგან გამოჰყოფს წალკისა და ფარავნის ტბის ქვაბულებს. ქედის უმაღლესი მწვერვალია დიდი აბული (3301 მ), რომელიც ამავდროულად სამხრეთ საქართველოს ზეგნის უმაღლესი ადგილიცაა. აქ მდებარეობს უღელტეხილები: აბული (ზ.დ. 2317 მ), ტაბანყური (ზ.დ. 2100 მ). დასავლეთიდან ესაზღვრება ჯავახეთის ზეგანი, ხოლო აღმოსავლეთიდან – წალკისა და ფარავნის ქვაბულები. ქედი ასიმეტრიულია. ფერდობებზე მიმოფანტულია კარკალები. შემორჩენილია ძველმყინვარული ნაშთები. ამჟამად ქედი მთლიანად მოკლებულია ხემცენარეებს და შემოსილია სუბალპური და ალპური მდელოებითა და საძოვრებით.

აბულ-თახჩის სატუმბავი სადგური – სატუმბავი სადგური ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. საზრდოობს მდ. აბულისწყლიდან. სარწყავი ფართობი – 41 ჰა.

აგანა – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, კოჭიოს თემის საკრებულოში, მდ. ბარალეთისწყლის (ფარავნის მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირას, ზ.დ. 1740-1810 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 22 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 708, რიცხოზობივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). შემორჩენილია დარბაზული ეკლესია ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

აგარა – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოს დასავლეთ ნაწილში.

აგარა – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, აგარის თემის საკრებულოში; მდინარეების

წინუბნისწყლისა მტკვრის მარცხენა შენაკადი და მტკვრის შესართავთან, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 900-955 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან სამხრეთით 17 კმ მანძილზე, საკრებულოს ცენტრი (სოფლები: აგარა, გურკელი, ზიკილია, საყუნეთი, წინუბანი). მოსახლეობის რიცხოვნობა – 393, უპირატესი ეროვნება – ქართველი (99 %).

აგარის ეკლესია – დარბაზული ეკლესია (1880) ასპინძის მუნიციპალიტეტში, ნასოფლარ აგარასთან. აქ არის დედათა მონასტერი.

აგარის თემის საკრებულო – საკრებულო ახალციხის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: აგარა, გურკელი, ზიკილია, საყუნეთი და წინუბანი. მოსახლეობის რიცხოვნობა 1 905 კაცი (2002).


აგარის მონასტერი, აგარის სამონასტრო კომპლექსი – სამონასტრო კომპლექსი ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. ურავლის ხეობაში, ნასოფლარ აგარაში, სოფ. ურავლიდან სამხრეთ-დასავლეთით 4.5 კმ მანძილზე. კომპლექსში შედის: ეკლესია (X-XI სს., შეკეთ. XIV ს.), სადაც შემორჩენილია ლაპიდარული წარწერების კვალი და კანკელი; სამლოცველოები (განვ. შუა სს.); სამრეკლო (XIII-XIV სს.); სატრაპეზო (XI-XIII სს.); შუა საყუნეების სხვა ნაგებობები. ნაგებობათა სიმრავლე და მრავალფეროვნება ოდესღაც დიდი მონასტრის არსებობაზე მიგვანიშნებს.

ადიგენი-დაბა (1961 წლიდან) ადიგენის მუნიციპალიტეტში, ახალციხის ქვაბულში, მდ. ქვაბლიანის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1150-1285 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 29 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1.2 ათ. კაცი (2014), ადმინისტრაციული ცენტრი. კულტურულ-ისტორიული ძეგლები დაბის მიდამოებში: ჭულეს გუმბათოვანი ეკლესია (XIV ს.), ზანავის ციხე.

ადიგენი – მინერალური წყარო ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. ქვაბლიანის მარცხენა ნაპირას. მიეკუთვნება აზოტოვან-სულფატურ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 1.2 გ/ლ.

ადიგენი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, გორგულის თემის საკრებულოში, ახალციხის ქვაბულში, მდ. ქვაბლიანის ნაპირას, ზ.დ. 1135-1360 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 1 კმ მანძილზე. შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები. მოსახლეობის რიცხოვნობა – 383, რომელთა 99 % ქართველია (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. სოფლის ქართულ სახელად მიჩნეულია ადიგენი.

ადიგენის მეტეოსადგური – მეტეოროლოგიური სადგური ზ.დ. 1185 მ სიმაღლეზე, ადიგენის ცენტრიდან 300-350 მ დაშორებით, მდ. ქვაბლიანის მარცხენა სანაპიროზე, მდინარის ნაპირიდან 80 მ-ის დაშორებით. ჩრდილოეთით 50 მ მანძილზე დგას ორსართულიანი შენობა, სიმაღლით 7-8 მ, აღმოსავლეთით მეტეოსადგურის ერთსართულიანი შენობა სიმაღლით 4-5 მ. მეტეოროლოგიურ სადგურზე დაკვირვებები წარმოებდა 1940-2006 წლებში.



ქარის მიმართულების განმეორებადობა (%)

ადიგენის მუნიციპალიტეტი – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული სამხრეთ საქართველოში, ისტორიული სამცხის დასავლეთ ნაწილში. მოიცავს 2 ძველ ქართულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს – ოძრხესა და ქვაბლიანისწყლის ხეობებს. XVI საუკუნეში, ოსმალეთის



დაპყრობილი ტერიტორია, ორივე ეს ერთეული შედიოდა ახალციხის ლივაში. იგი იყოფოდა ალთუნყალის, ოცხის, უდისა და ქვაბლიანის ნაჰიედ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდგომ დადებული ადრიანოპოლის (ამჟამად ედირნე, თურქეთი) ზავით, კვლავ საქართველოს შემადგენლობაშია. 1917 წლამდე მუნიციპალიტეტის (მაშინდელი რაიონის) ტერიტორია შედიოდა თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრაში. 1930 წელს გამოეყო ახალციხის მაზრას დამოუკიდებელ რაიონად. 1963-66

წლებში შედიოდა ახალციხის რაიონში, 1965 წლიდან კვლავ გამოეყო ახალციხის რაიონს ახლანდელ საზღვრებში. აღმოსავლეთიდან ესაზღვრება – ახალციხის მუნიციპალიტეტი, დასავლეთიდან – აჭარა (ხულოს მუნიციპალიტეტი), ჩრდილოეთიდან – გურია (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), იმერეთი (ვანის, ბაღდათის მუნიციპალიტეტები), ხოლო სამხრეთიდან – თურქეთი. ფართობია 799.6 კმ², ადმინისტრაციული ცენტრი – დაბა ადიგენი. მდებარეობს 2 დაბა (აბასთუმანი, ადიგენი), 13 სოფლის საკრებულო (არალის, ბენარის, ბოლაჯურის, გორგულის, ვარხანის, ზანავის, ლელოვნის, მლაშის, მოხის, უდის, ფხერის (ფხეროს), ჩორჩანის, ჭეჭლის) და 55 სოფელი. სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა – 18404 (2002). მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (97.9 %) ქართველია და ისინი ჭარბობენ მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში. ცხოვრობენ აგრეთვე სომხები, რუსები ოსები და აფხაზები (2002). ადიგენის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა – 20,8 ათ. კაცი (2014 წ.). სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია: სახორცე-სარძევე მეცხოველეობა, მეხილეობა და მემარცვლეობა. უმთავრესი კულტურებია: ხორბალი, სიმინდი, ვაშლი, მსხალი, კურკოვნები (ჭანჭური), თუთა.

ისტორიულ-კულტურული ძეგლებიდან აღსანიშნავია: ზარზმის (XIV ს.), იჯარეთის (განვ. შუა სს., სამრეკლო XIII ს.), ჭულეს (XIV ს., შეკეთებული XX ს-ში) მონასტრების ეკლესიები; დარბაზული ეკლესიის (შუა სს.) ნანგრევები სოფლებში ბოლაჯურში (XIII ს.), პატარა სმადაში (1467 წ.); არალისა



სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ადიგენის მუნიციპალიტეტი



ახალციხე-აღიზანის გზის მონაკვეთი

და უდის კათოლიკური ეკლესიები (XX ს-ის დასაწყისი); ეკლესია „ახალი ზარზმა“ (1899-1902); შუა საუკუნეების ციხესიმაგრეები – ერემჭალის, ზანავის, ოქროსციხე; ხიდი (XII-XIII სს.) მდ. აბასთუმნისწყალზე და სხვ.

ადიგენის რაიონი – იხ. ადიგენის მუნიციპალიტეტი.

ადიგენის წყება – ზედაეოცენური ნალექების წყება, რომლითაც აგებულია აჭარა-იმერეთის ქედის დასავლეთი ნაწილი სამცხე-აჭარის ზოლზე. წყების სისქეა 300-800 მ.

ადიგენი – იხ. ადიგენი, სოფ.

ავაზანა – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ვანის ქვაბებთან.

ავშანი – იხ. აბზინდა

ავჭალის ტორფის საბადო – საბადო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. ფარავნის მარჯვენა მხარეს, ქ. ნინოწმინდიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 13 კმ მანძილზე, ავჭალის ტბის ირგვლივ. საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებზე ავჭალაგოლის (Авчалагѳль) სახელწოდებითაა აღნიშნული. ტორფის მარაგია 255 ათ. ტ.

აზავრეთი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, აზავრეთისხევის (ბარალეთისწყლის მარჯვენა შენაკადი), ზ.დ. 1840-1960 მ სიმაღლეებზე, ქ. ახალქალაქიდან ჩრდილოეთით 21 კმ მანძილზე, საკრებულოს ცენტრი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. XX საუკუნის შუა წლებში აქ გააშენეს ხელოვნური ფიჭვნარები. ამ ადგილს მერენიის ტყე უწოდეს. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1491, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნობა –



მთის შავმიწების ჭრილი სოფ. აზავრეთთან

ნება – სომეხი (2002). 1956 წელს აქ ააგეს კირის ქარხანა. შემორჩენილია დარბაზული ეკლესიის ნანგრევები. სულხან-საბა ორბელიანის სიტყვის კონის“ მიხედვით სახელწოდება უკავშირდება სიტყვა „აზავერს“, რაც ტვირთის საზიდარს, საპალნეს ნიშნავს. ძველად საქართველოში საზიდარად ხარს იყენებდნენ. სოფელი ერთ დროს ცნობილი იყო საუკეთესო ჯიშის ხარებით. მეორე მოსაზრებით კი, სახელი შესაძლებელია ხარის კულტთან იყოს დაკავშირებული.

აზავრეთი, აზავრეთის ეკლესია, აზავეთის ეკლესია – ცალნავიანი დარბაზული ეკლესია (X ს., შეინიშნება VI-VII სს. სამშენებლო ფენა, VII სს., შემორჩენილია ლაპიდარული წარწერები) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. აზავრეთში. ნაგებია თლილი ქვით. შემორჩენილია ჩუქურთმები. 1981 წელს გაუკეთდა რესტავრაცია.

აზავრეთის თემის საკრებულო – საკრებულო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: აზავრეთი, ბურნაშეთი, ლომატურცხი და ლადო. მოსახლეობის რიცხოვნობა 3468 კაცი. მოსახლეობის უმეტესობა სომეხია (2002).

აზმანა – მდინარე ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მტკვრის მარჯვენა შენაკადი.

აზმანა – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ოკამის თემში, ქ. ახალქალაქიდან სამხრეთ-დასავლეთით. მოსახლეობის რიცხოვნობა – 125 კაცი. მათი უმრავლესობა (99 %) ქართველია (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით დაწესებული იყო გადასახადი სელზე, ქერზე, ხორბალზე, ფუტკარზე და ა.შ. სახელი ზოონიმური წარმოშობისაა. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ მიხედვით „აზმანი“ ნიშნავს ორი წლის ცხვარს.

აიდაროვი – სოფელი იხ. ღვთისმშობელი.

ხალხური (ნაწყვეტი)

„ჭაჭკარში ვიყავ, დარბაზი ვნახე კლდისა,
აფეფებული წალკოტი ვნახე ალაგურისა,
დუდუნი მშვენიერი მტკვრისა,
შენ გენეცვალე ჩემო ჭაჭკარო“.

ალაგური, ალაგი – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, თმოგვის ციხესა და ჭაჭკარს შორის. მდინარისაკენ მცირედ დაფერდებულ კალთაზე ძველად გაშენებული იყო ხეხილის ბაღები და ვენახი, რომელიც ბოლო დროს გაიჩეხა.

ალათუმანი, ალათუბანი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, კოჭიოს თემის საკრებულოში, მდ. მეჯურის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1720-1800 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან ჩრდილოეთით 21 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 606. მათი უმრავლესობა (99 %) სომეხია (2002).

ალანდა – ისტორიული სოფელი და ეკლესია (VIII-IX სს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტოლოშიდან 1.5 კმ მანძილზე.

ალანძის ეკლესია – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, დარბაზული ეკლესია (VIII-IX სს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. ტაშლაყაშის (მტკვრის მარცხენა შენაკადი) მარჯვენა მხარეს, სოფ. ტოლოშიდან 1.5 კმ მანძილზე, ნასოფლარ ალანდასთან. ჩრდილოეთის მხრიდან ჰქონდა სწორკუთხა მინაშენი. ძეგლი ძლიერ დაზიანებული იყო, აღადგინეს 1978-1979 წლებში.

ალასტანი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოს ჩრდილოეთ ნაწილში, მდ. ჭობარეთისწყლის ორივე ნაპირას, ზ.დ. 1660-1740 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან

ჩრდილო-აღმოსავლეთით 22 კმ მანძილზე, საკრებულოს ცენტრი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1133. მათი უმეტესობა (99 %) სომეხია (2002). 1829 წელს აქ დასახლდნენ ერზერუმიდან (თურქეთი) გადმოსახლებული სომხები. შემორჩენილია შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესიის (X-XI სს.) ნანგრევები. იყო ქართველ უფლისწულთა მამული (XIII-XIV სს.), ბაგრატიონან უფლისწულთა სამემკვიდრო სამფლობელო, მამული-რეზიდენცია.

ალასტანის თემის საკრებულო – საკრებულო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ალასტანი, გოკიო და ვარევანი. მოსახლეობის რიცხოვნობა 2461 კაცი (2002).

ალენი – ყოფილი სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ისტორიულ თორში, მდ. გუჯარეთისწყლის ხეობაში, სოფ. წინუბნიდან ჩრდილოეთით 8 კმ მანძილზე. სოფლის მიდამოებში არის ალენის ციხე. მასზე ასვლა მხოლოდ სამხრეთის მხრიდან, სოფ. წინუბნიდანაა შესაძლებელი. ძნელად მისადგომია. ციხეს ჰქონია ორი კოშკი, რომელთაგან მხოლოდ მომრგვალო ფორმის საძირკველია დარჩენილი. ვახუშტი ბაგრატიონი სოფლის შესახებ წერს: „სარბიელას-ჭევის თავს, მაღალს მთის წვერზედ, არს ციხე ალენისა, მაგარი და მჭვრეტი ქართლ-იმერეთისა“. შემორჩენილია ალენის ციხის ნანგრევები.

ალვანისღელე – მდინარე ახალციხის მუნიციპალიტეტში, წინუბნისწყლის მარცხენა შენაკადი.

ალიგოტე – ფრანგული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში, საღვინე. მსხმოიარე ჯიშია. საქართველოში მისგან ამზადებენ მაღალი ხარისხის სუფრის ღვინოსა და საშამპანურე ღვინომასალას. შეტანილია საქართველოს ვაზის სტანდარტულ ასორტიმენტის სიაში მუხრანულის სახელით. საქართველოში შემოტანილია XX საუკუნის დასაწყისში. სამცხეში მცირე გავრცელებისაა.

„ალმაისური“ – ნამოსახლარები ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. კურცხანის (აბასთუმნის-წყლის მარჯვენა შენაკადი). შემორჩენილ ნასახლარებს შორის არის მშრალი ქვით ნაგები საცხოვრებლებიც. მიკვლეულია მინისქვეშა სამალავები და მინაში ჩაფლული ქვევრები. სიტყვა „ალმაისური“ თურქულად ვაშლის წყალს ნიშნავს.

ალპური მდელოები – მაღალი მთის მდელოები, რომელიც სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია ზ.დ. 2500-3000 (3500) მ სიმაღლეზე. თუმცა განაკაფებზე, მეორეული მდელოების სახით, შედარებით უფრო დაბლაც ჩამოდის. წარმოდგენილია დაბალბალახეულობით – მარცვლოვნებითა და ისლიანებით. ნაკლებად გვხვდება ნაირბალახოვნები. დომინანტი სახეობებია: წივანა (*Festuca valesiaca*), ცხვრის წივანა (*F. ovina*), ჭრელი წივანა (*F. woronowii*), ფარსმანდუკი (*Alchemilla erythropoda*, *A. caucasica*), ფესვმაგარა (*Sibbaldia semiglabra*), ძიგვა (*Nardus stricta*), ნარი (*Cirsium arvense*), ისლი (*Carex tristis*), ალპური კესანე (*Myosotis alpestris*), მთის ბარისპირა (*Betonica macrantha*) და სხვ. გამოიყენება საზაფხულო საძოვრებად ცხვრისა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლისათვის, რის გამოც დეგრადირებულია.

ალუვიური ნიადაგები (Fluvisols) – ნიადაგის ტიპი, გავრცელებული მდინარეთა ხეობების გასწვრივ. სამცხე-ჯავახეთში ვრცელდება მდ. მტკვრის, ფარავნის, ფოცხოვის, ქვაბლიანის, აბასთუმნისწყლის, ურავლისა და მათ შემდინარეთა ყველაზე დაბალ ადგილებში – ტერასებსა და ქალებში. ხასიათდება მეტად განსხვავებული სიმძლავრით, ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით. მცირე სისქის და ძლიერ ხირხატიანია. ნიადაგები ნაკლებადაა გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით. მდელოს უკარბონატო ალუვიური ნიადაგი გვხვდება მდ. ურავლის ხეობაში, სადაც

იგი ხასიათდება თიხნარი შედგენილობით და ათვისებულია ხეხილის ბაღებითა და ბოსტნეული კულტურებით. შედარებით უფრო ნაყოფიერია მდელის ალუვიური კარბონატული ნიადაგები, რომლებიც ფართო მასივებს ქმნის ასპინძის, აწყურის, ახალციხის, ბენარის, ვალეს, უდეს, სხვილისის მიდამოებში. ნიადაგები აქ დიდი სიმძლავრისაა (70-120 სმ) და შედარებით ნაკლები ხირხატიანობის. წარსულში აქ გავრცელებული იყო ჭალის ტყეები. დღეს კი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია.

ალფა-არსლანის ლაშქრობა – თურქ-სელჩუკთა ლაშქრობა (ალფ-არსლანის მეთაურობით) საქართველოში 1064 წელს. პირველად ქ. ახალქალაქს მოადგნენ და მესხთა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ქალაქი აიღეს და ბაგრატ IV-ს ხარკის გადახდა დააკისრეს.

ალჯუა – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხერთვისთან ახლოს.

ამალღება – მთა ახალციხის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე.

ამიერკავკასიის ზაზუნა (Mesocricetus brandtii) – მღრნელი ზაზუნისებრთა ოჯახიდან. გავრცელებულია ჯავახეთში, ზ.დ. 2800 მ სიმაღლემდე, მშრალ ადგილებში. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი სახეობა, რომლებსაც ჯერჯერობით არ ემუქრება გადაშენება, მაგრამ იმდენად მცირეა რაოდენობით, ან იმდენად მცირე ტერიტორიაზე გვხვდება, რომ შესაძლებელია სწრაფად გადაშენდნენ.

ამირანის გორა, თავშან-თაფა – ენეოლითურ-ადრეული ბრინჯაოს ხანის ნასოფლარი ქ. ახალციხესთან, მდ. ფოცხოვისწყლის მარცხენა მხარეს. აქ მიკვლეულია მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ძეგლები. 1950-იან წლებში აქ გააშენეს ხელოვნური ფიჭვნარები.

ამირანის გორა – ვულკანური მთა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. ფარავნის მარჯვენა მხარეს, ქ. ახალქალაქიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 500 მ მანძილზე, ზ.დ. 1884 მ სიმაღლეზე. ვახუშტი ბაგრატიონი ამირანის გორის შესახებ გადმოგვცემს: „...ახალქალაქს ზეით არს ამირანის – გორა, მტკვრის სამჯრის კიდებედ. მუნ არს მტკვარს ზედა ხიდი“. XIX ს-ში ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი დულაბით ნაგები გალავნის საძირკველი და მცირე ეკლესიის ნაშთი. გადმოცემის მიხედვით მთაზე მდგარა ამირანის კერპი. სახელწოდება მომდინარეობს ამირან-დევისაგან, რომელიც თითქოს ჯაჭვით ყოფილა დაბმული მთის შუაგულში. ამირანის გორაზე მიკვლეულია მეოთხეული პერიოდის დასაწყისის განამარხებული ფაუნა. ძუძუმწოვრების ეს კომპლექსი მიეკუთვნება სითბოს მოყვარულებს. აქ ნაპოვნია აფთრის, გიგანტური ირმის, პირველყოფილი ძროხის, სპილოს, ჭრელტყავას, ჯიხვის, ჰიპოპოტამისა და სხვათა ნაშთები.

ამხა, დაღვი – ნასოფლარი და ეკლესია (შუა სს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში, დაბა ადიგენიდან 25 კმ მანძილზე. შემორჩენილია ნანგრევები.

ამხერი, ამხერგე – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ლელოვნის თემში, ახალციხის ქვაბულში, მდ. ქვაბლიანის ხეობაში, ზ.დ. 1450-1550 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 6 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 100, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები.

„ანანაური“ – კლდეში ნაკვეთი ხუროთმოძღვრული კომპლექსი, კლდის სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ვარძიის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში. ძველად ვრცელი ტერიტორია ეჭირა. აერთიანებდა გამოქვაბულებს, საერო და სამეურნეო დანიშნულების კლდეში ნაკვეთ საცხოვრებელ სახლებს, ბალ-ვენახებისათვის მოწყობილ ტერასებს, ქვაში გამოკვეთილ საწნახელსა და წყალსა-

ცავს. ზემო ტერასაზე მდებარეობს ანანაურის კლდეში ნაკვეთი ეკლესია (X-XII სს.) და მიშენებული მცირე სამლოცველოთი – ეგვტერით. შემორჩენილია კედლის მხატვრობა (XVI ს.).

ანდა – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, ანდრიანმინდის საკრებულოში, ერუშეთის მთიანეთის ჩრდილოეთ ფერდობზე, მდ. ლაშისღელის (ქვაბლიანის მარცხენა შენაკადი) სათავეში, ზ.დ. 1400-1660 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან სამხრეთით 19 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 75, უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002).

ანდეზიტი – იხ. ბაკურიანის ანდეზიტი.

ანდრიანმინდა – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. ურავლის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1280-1360 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 17 კმ მანძილზე, საკრებულოს ცენტრი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 280, უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები. სოფლის სახელი უკავშირდება ანდრია მოციქულის სახელობის ეკლესიას.

ანდრიანმინდის ეკლესია – დარბაზული ეკლესია ახალციხის მუნიციპალიტეტში.

ანდრიანმინდის თემის საკრებულო – საკრებულო ახალციხის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ანდრიანმინდა, ანდა და დიატომიტი. მოსახლეობის რიცხოვნობა 427 კაცი (2002).

ანი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, ელიანმინდის საკრებულოში, მდ. ლერწმანის (ქვაბლიანის შენაკადი) ზემო წელის აუზში, ზ.დ. 1430-1520 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 12 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 457, უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002).

ანწლი, დიდგულა (Sambicus) – სამკურნალო, ფოთოლმცვენი სწრაფმზარდი ბუჩქია, ზომით 4×3 მ. შეფოთლილია მარტიდან ნოემბრამდე, ყვავილობს ივნისიდან ივლისამდე, თესლები მწიფდება აგვისტო-სექტემბერში. კარგად იზრდება მსუბუქ ქვიშნარ, საშუალო თიხნარ და მძიმე თიხნარ, მჟავე, ნეიტრალურ და ტუტე ნიადაგებზე. ზრდა შეუძლია ნახევრად დაჩრდილულ (მეჩხერი ტყეები) ან დაჩრდილულ ადგილებშიც, მოითხოვს მშრალ ან ტენიან ნიადაგს. სამცხე-ჯავახეთში ამ გვარის სამი სახეობაა გავრცელებული: *Sambicus ebulus* – ანწლი, *Sambicus nigra* – დიდგულა, *Sambicus tigranii* Troitzk – ტიგრანის დიდგულა. ეს უკანასკნელი 1980 წლამდე სომხეთის ენდემურ მცენარედ ითვლებოდა.

ანხონიუმი (Anchonium elichrysifolium) – მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე. ხმელთაშუაზღვის ფლორის რელიქტი. საქართველოში გვხვდება მხოლოდ თეთრობის ქედზე.

არაგვა, არაკვა, არაგუა, არაგოვა – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ზ.დ. 1655-1710 მ სიმაღლეებზე. სოფლის მიდამოებში შემორჩენილია ციხის ნანგრევები და ნაეკლესიარი. დგას ახალი სომხური ეკლესია. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1206. მათი უმეტესობა (98 %) სომეხია (2002).

არაგვას თემის საკრებულო – საკრებულო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: არაგვა, თოთხამი, კორხი, მაჭატია და ორჯა. მოსახლეობის რიცხოვნობა 4753 კაცი (2002).

არაგიალის (არაქალი) მეტეოსადგური – მეტეოსადგური ნინონმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიდ არაქალთან, ზ.დ. 1900 მ სიმაღლეზე, ახალქალაქის პლატოზე, მდ. ფარავნის მარცხენა ნაპირზე, ქ. ნინონმინდიდან 8 კმ მანძილზე.

არაგიალის ჰიდროლოგიური სადგური – ჰიდროლოგიური სადგური მდ. ფარავანზე, ზ.დ. 1881 მ სიმაღლეზე. აუზის ფართობი – 284 კმ². დაკვირვების წლები – 1933-1986.

არაგოვა, არაგუა – იხ. არაგვა.

არაზინდო – იხ. აბასთუმანი, დაბა.

არაკალი – იხ. არაქალი.

არაკალის სომხური ეკლესია – ეკლესია (XIX ს.) ნინონმინდის მუნიციპალიტეტში.

არაკვა – იხ. არაგვა.

არაკვის (არაგუა, არაკოვა, არაგოვა) მეტეოსადგური – მეტეოსადგური ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ზ.დ. 1900 მ სიმაღლეზე.

არაკვას ჰიდროლოგიური სადგური – მდ. კორხზე, აუზის ფართობი – 380 კმ², აბსოლუტური სიმაღლე – 1649 მ, დაკვირვების წლები – 1927-1986.

არალი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. ქვაბლიანის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1080-1210 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 12 კმ მანძილზე, თემის ცენტრი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. შემორჩენილია ეკლესია, შუა საუკუნეების სტელა, კათოლიკური ეკლესია. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1850, რომელთა 99 % ქართველია (2002). შემორჩენილია ეკლესია, მოჩუქურთმებული ქვის სვეტი, სალოცავი.

არალის ბენტონიტური თიხა – ბენტონიტური თიხის საბადო ადიგენის მუნიციპალიტეტში, მარაგი – 8.9 ათ. ტ.

არალის ეკლესია – ერთნავიანი ეკლესია ადიგენის მუნიციპალიტეტში, უდეს საკრებულოში, მდ. ქვაბლიანის მარჯვენა ნაპირზე. სოფ. არალში. მოპირკეთებულია კარგად დამუშავებული ქვის კვადრებით. შემორჩენილია ლაპიდარული წარწერები. შემორჩენილია ნანგრევები.

არალის თემის საკრებულო – საკრებულო ადიგენის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: არალი და წარბასთუმანი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1936 კაცი (2002).

არაქალი, არაკალი – ნინონმინდის მუნიციპალიტეტის სოფლების დიდი და პატარა არაკალის გავრცელებული სახელწოდება. სოფლის სახელწოდება წარმოიშვა 1828-1829 წლების შემდეგ, რაც სამცხე-ჯავახეთში დასახლდა თურქეთიდან გადმოსახლებული სომეხი მოსახლეობა.

არაქალის მეტეოსადგური – იხ. არაგიალის მეტეოსადგური.

არაქოვის სატუმბი სადგური – სატუმბი სადგური ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. სარწყავი ფართობი – 63 ჰა.

არდაგანი, არდაგანკა, ხინგრისწყალი – მდინარე ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადი. მდინარის ქართული სახელია „ხინგრისწყალი“. ამ სახელითაა იგი აღნიშნული „ქართლის ცხოვრებაში“.

არზნე – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, მლაშეს თემში, მდ. ქვაბლიანის მარცხენა მხარეს, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ზ.დ. 1570-1630 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 6.5 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 85 რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები.

ართვინ-სომხეთის ბელტის ჰიდროგეოლოგიური ოლქი – გრუნტის წყლების ჰიდროგეოლოგიური ოლქი საქართველოს ტერიტორიის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში. მოიცავს ახალქალაქის ლავურ მთიანეთს, აბულ-სამსრისა და ჯავახეთის ქედებს. დიდი წყალშემცველობით გამოირჩევა ახალგაზრდა ლავური განფენები, სადაც მეზოზოურ-კაინოზოური ასაკის დანალექ და პალეოზოურამდელ კრისტალურ ქანებთან კონტაქტში ადგილი აქვს ნაპრაღურ, ჰიდროკარბონატულ კალციუმიანი შედგენილობის მძლავრი გრუნტის წყლის (რამდენიმე მ³/წმ) ნაკადების წარმოქმნას. რამდენიმე პუნქტში გვხვდება: მლაშე-ტუტე ნახშირორჟანგიანი წყლები (ნაქალაქევი, ვარძია) მაღალი გაზშემცველობით ცარცულ ნალექებში და მცირე სიმძლავრის ნახშირორჟანგიანი წყლები ბაიოსის პორფირიტულ სერიაში.

არიჭული – ვაზის ჯიში. ივ. ჯავახიშვილი მას ასახელებს მესხეთში გავრცელებულ ჯიშად.

არლოვკა – სოფელი, იხ. ორლოვკა.

არსიანის ქედი – სუბმერიდიანული ქედი საქართველოსა და თურქეთში, მდინარეების ჭოროხისა და მტკვრის აუზებში, შავი და კასპიის ზღვების წყალგამყოფი. უმაღლესი მწვერვალია არსიანი (3165 მ), რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. საქართველოს ფარგლებში უმაღლესი მწვერვალია ყანლის მთა ანუ სისხლისმთა (კენჭაული, ზ.დ. 3007 მ), რომელიც ამავდროულად მცირე კავკასიონის უმაღლესი მწვერვალია საქართველოში. გადაჭიმულია 150 კმ, საქართველოს ფარგლებში – 44 კმ მანძილზე. ქედი აგებულია გოდერძის წყებით – ზედამიოცენურ-ქვედაპლიოცენური ასაკის ვულკანოგენურ-კონტინენტური ქანებით, აგრეთვე შუაეოცენური ვულკანოგენურ-ზღვიური ნაფენებით. ქედი მეტად მნიშვნელოვანი ოროგრაფიული, კლიმატური და საერთოდ, ლანდშაფტური ბარიერია, რომელიც წარმოქმნის მეტად მნიშვნელოვან განსხვავებებს მდინარეების აჭარისწყლისა და მტკვრის ზემო წელის აუზში. ეს განსხვავებები აისახება კლიმატურ პირობებზე, ნიადაგ-მცენარეულ საფარსა და საზოგადოებრივ ყოფაზე.

არსიანის ქედის აღმოსავლეთ ფერდობისა და ახალციხე-იმერეთის ქედის სამხრეთი ფერდობის ქვერაიონი – კლიმატური ქვერაიონი, რომელიც შედის კლიმატურ რაიონში ნოტიო ზღვიურიდან ზომიერად ნოტიო კონტინენტურზე გარდამავალი მთის კლიმატით, ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი ზაფხულით. უჭირავს ახალციხის ქვაბულის ჩრდილო და დასავლეთ ნაწილი და



არსიანის ქედი

ვრცელდება არსიანის ქედის აღმოსავლეთ და სამხრეთ ფერდობებზე, ზ.დ. 1200 მ სიმალიდან 1600 მ სიმაღლემდე. გამოირჩევა ატმოსფერული ნალექების დიდი რაოდენობით მთელი წლის განმავლობაში, თოვლის სიუხვით ზამთარში, უფრო ზომიერი ტემპერატურით ზაფხულში. რაიონის მთელი ტერიტორია დაფარულია ტყით, ძირითადი ნაწილი წიწვიანებით. იანვრის საშუალო ტემპერატურა მერყეობს -4-7°C-ის ფარგლებში. ნელინადში 3-4 თვე ტემპერატურა 0°C-ზე დაბალია. აბსოლუტური მინიმუმი -30°C-მდე ეცემა. აბასთუმანში აბსოლუტური მინიმუმი -24°C-ია, ხოლო საშუალო აბსოლუტური მინიმუმი -19°C. ტემპერატურების ხშირი ინვერსიის გამო, საშუალო ტემპერატურა წლის ცივ პერიოდში და მით უფრო აბსოლუტური მინიმუმი, ძირითადად დამოკიდებულია რელიეფის ფორმაზე, ვიდრე ადგილის სიმაღლეზე. ყინვიან დღეთა რიცხვი ნელინადში უდრის 170-175 დღეს და აღინიშნება მთელი წლის განმავლობაში, გარდა ივლისისა.

არტაანის მტკვარი – მდ. მტკვრის ძველი სახელწოდება სათავიდან მდ. ფარავნის შესართავამდე.

არფის ტბის ეროვნული პარკი – ეროვნული პარკი სომხეთში. ესაზღვრება ჯავახეთის დაცულ ტერიტორიას. შეიქმნა სომხეთ-საქართველოს შორის ტრანსსასაზღვრო კოორდინაციის ხელშეწყობის მიზნით. ფართობია 21179 ჰა.

არყისციხე – სოფელი, იხ. ყულალისი.

ასისტავა – იხ. ნალველა.

ასპინძა – თერმული მინერალური წყალი (+41-42°C) ასპინძის მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 2 კმ მანძილზე, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. წყალი ზედაპირზე გამოდის ზ.დ 1060 მ სიმაღლეზე. წყაროებს აქვს რამდენიმე გამოსავალი, ჯამური დებიტით 300 ათ. ლ, ტემპერატურა 39-40°C. მიღებულია ბურღვით. მიეკუთვნება სუსტად სულფიდურ, ქლორიდულ-სულფატურ ნატრიუმ-კალციუმიან წყლებს. შეიცავს 40-45 მგ/ლ კაჟის მჟავას და 3.5-4.0 მგ/ლ სულფიდებს. საერთო მინერალიზაციაა 0.8-1.0 გ/ლ.

ასპინძის, წყალთბილას და აბასთუმნის წყაროების ქიმიური შედგენლობა

კომპონენტები	ასპინძა			წყალთბილა			აბასთუმანი		
	მგ/ლ	მგ. ეკვ.	% ეკვ.	მგ/ლ	მგ.ეკვ.	% ეკვ.	მგ/ლ	მგ.ეკვ.	% ეკვ.
Na' + K'	199.0	8.7	30.9	42	1.45	34.9	144.0	6.20	38.3
Mg"	6.0	0.5	1.7	4	0.37	8.9	1.4	0.11	0.7
Ca"	98.0	4.9	17.4	5	0.26	6.2	36.0	1.80	11.0
Cl'	398.0	11.2	39.8	8	0.24	5.8	148.0	4.20	26.6
SO" ₄	137.0	2.3	8.1	41	0.85	20.3	147.0	3.10	19.7
HCO' ₃	12.0	0.2	0.7	61	1.00	23.9	14.0	0.20	1.4
CO" ₃	12.0	0.4	1.4	-	-	-	23.0	0.40	2.3
H ₃ SiO ₃	44.0	-	-	7	-	-	82.0	-	-
R ₂ O ₃	18.0	-	-	6	-	-	-	-	-
HBO ₂	6.0	-	-	-	-	-	-	-	-
საერთო მინერალ.	930.0	28.0	-	174	4.17	-	595.4	16.01	-
pH		8.4			-			9.4	



გაშიშვლება ასპინძის მიდამოებში

ასპინძა – დაბა 1961 წლიდან. მდებარეობს ახალციხის ქვაბულის აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ოთის შესართავთან, ზ.დ. 1050-1215 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 32 კმ მანძილზე, ასპინძის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი, ადგილობრივი მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 3.3 ათ. კაცი (2014). შემორჩენილია X-XII სს. ხუროთმოძღვრების ძეგლები. სახელწოდება „ასპინძა“ სპარსულია და ნიშნავს სასტუმროს, დასასვენებელ ადგილს. ძველ ქართულ წყაროებში XI საუკუნიდან იხსენიება. IX საუკუნის ამბებთან დაკავშირებით.

ასპინძა – კურორტი თრიალეთის ქედის კალთაზე, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1050-1060 მ სიმაღლეზე. მიდამოები შემოსილია წიწვიანი ტყეებით. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია თერმული მინერალური წყარო.

ასპინძის ბრძოლა – მეფე ერეკლე II-ს მეთაურობით გამართული ბრძოლა ასპინძასთან 1770 წელს ოსმალეთის ლაშქრის წინააღმდეგ. ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა.

ასპინძის ეკლესია – იხ. ხეილაშის ეკლესია.

ასპინძის მეტეოსადგური – მეტეოროლოგიური სადგური ზ.დ. 1098 მ სიმაღლეზე. მეტეომოედანი მდებარეობს ტერასაზე, ქედის მოსწორებულ შვერილზე. ჩრდილოეთით ციცაბოდ ეშვება მდ. ოთის ხეობისაკენ, ხოლო დანარჩენი მხრიდან 60-100 მ მანძილზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია. მეტეოროლოგიური მოედნის ჰორიზონტი ღიაა ყველა მიმართულებით. მეტეოროლოგიურ სადგურზე დაკვირვებები წარმოებდა 1940-2004 წლებში.

„ასპინძას ერეკლე ვნახე,
ხელში ეჭიბა ხმალით,
ჩენა დაუწყო ლეკ-ოსმალთ,
ადინა სისხლის დვარით,
კონტა ბელადიც იქ მოჭკლა,
მასაც გაუბო თავით.
-ჩისთვის ეომე ერეკლეს,
ხომ არ გეგონა ქალიო?!“.



ასპინძის მუნიციპალიტეტი – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული სამხრეთ საქართველოში. 1917 წლამდე შედიოდა ტფილისის გუბერნიის ახალციხის მაზრაში ტოლოშის რაიონის სახელწოდებით, 1921-30 წლებში – აღმოსავლეთ საქართველოს ახალციხის მაზრაში ისევ ტოლოშის სახელწოდებით, 1930-33 წლებში – ახალციხის მაზრიდან ტოლოშის რაიონი ცალკე რაიონად გამოიყო, 1933 წლიდან ასპინძის რაიონის, ხოლო 2006 წლიდან ასპინძის მუნიციპალიტეტის სახელითაა ცნობილი.

სამხრეთი საზღვარი ემთხვევა საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარს, დასავლეთით ესაზღვრება ახალციხის, ჩრდილოეთიდან – ბორჯომის, აღმოსავლეთიდან – ახალქალაქის რაიონები. ფართობია 825 კმ², ადმინისტრაციული ცენტრი – დაბა ასპინძა. რაიონში შედის 1 დაბა (ასპინძა), 11 სასოფლო საკრებულო (ასპინძის, აწყვიტის, დამალის, ვარგავის, იდუმალას, ნაქალაქევის, ოთის, ორგორის, რუსთავის, ტოლოშის, ძველის და ხიზაბავრის) და 23 სოფელი. სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა – 9767. მოსახლეობის უმეტესობა ქართველია (78.3 %). ცხოვრობენ აგრეთვე სომხები (21.2 %), რუსები, ოსები, ბერძნები და სხვ. ქართველები ჭარბობს 21 სოფელში, სომხები 1 სოფელში (2002). ასპინძის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა 13.2 ათ. კაცი; აქედან ქალაქად ცხოვრობს 3.3 ათ. კაცი, ხოლო სოფლად 9.9 ათ. კაცი (2014 წ.). სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია: სახორცე-სარძევე მეცხოველეობა, მეხილეობა, მინათმოქმედება. ნათეს ფართობებზე უმთავრესად მოჰყავთ მარცვლეული, საკვები კულტურები, კარტოფილი, ბოსტნეული. გაყვანილია საავტომობილო გზები. დაბა ასპინძაში არის ბალნეოლოგიური კურორტი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს შემდეგი კულტურულ-ისტორიული ძეგლები: ეკლესიები – ახაშნის (XI ს. ლაპიდარული წარწერებით), ხვილიშა (XI ს.); ასპინძის ციხე (განვ. შუა სს.), ყამზა – ციხე (განვ. შუა სს.) და სხვ.; კომპლექსები – ვარნეთი (ციხე – შუა სს., ეკლესია – შუა სს., მოხატული, ლაპიდარული წარწერებით);

ასპინძის რაიონი – იხ. ასპინძის მუნიციპალიტეტი.

ასპინძის სადაბო საკრებულო – საკრებულო ასპინძის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფელია ივერია. სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა 345 კაცი (2002).

ასპინძის ციხე – ციხე ასპინძის მუნიციპალიტეტში, დაბა ასპინძის ტერიტორიაზე. შემორჩენილია ნანგრევები.

ასპინძის ციხის მენყერი – მენყრული სხეული ასპინძის მუნიციპალიტეტში, დაბა ასპინძაში, ე.წ. „ასპინძის ციხის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ერეკლე II ქუჩის გაგრძელებაზე. განვითარებულია 10⁰ დახრილობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ექსპოზიციის ფერდობებზე. მენყრული სხეულის სიგრძეა 300 მ, სიგანე – 200 მ, სიმძლავრე – დაახლოებით 2-3 მ, ფართობი – 6.0 ჰა. მცოცავი ტიპის მენყერია.

ასპინძურა შავი – მესხური ვაზის ადგილობრივი ჯიში, საღვინე და სუფრის ყურძენი, უხვმოსავლიანი. ფოთოლი საშუალო ზომისაა: 11X14 სმ, მომცრო და გულისებრი ფორმის, მუქი მწვანე, ქვედა მხარე – ოდნავ შებუსუსული. მტევანი საშუალო ზომისაა – 16X9 სმ, კონუსისებრი ფორმის, საშუალო წონა – 140 გრ, ცალკეულ მტევნები – 300-400 გრ. მარცვალი თხელკანიანი, წვნიანი და უხვმოსავლიანია. ყურძნის წვენის შაქრიანობა



ასპინძურა შავი ფოტო: დავით მალრაძე

– 19.4 %, მჟავიანობა – 8-9 გრ/ლ. სოკოვანი დაავადებების მიმართ ნაკლებმგრძობიარეა, ყინვა-და გვალვავამძლეა. კარგი არომატითა და ბუნებრივი შუშხუნა თვისებებით ხასიათდება. 1950-იან წლებში გავრცელებული იყო სოფლებში – ასპინდის, ოშორისა და ტოლოში მიდამოებში.

ასფარა, ასპანა – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ტამბოვკის საკრებულოში, ფარავნის ტბის დასავლეთ ნაპირას, ზ.დ. 2075-2105 მ სიმაღლეზე, ქ. ნინოწმინდიდან 40 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 107, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). 1920-იან წლებში აქ დასახლდნენ სოფ. კარტიკამიდან ჩამოსული თურქულენოვანი კათოლიკე სომეხები. შემორჩენილია დარბაზული ეკლესიის ნანგრევები.

ასფარის ეკლესია – დარბაზული ეკლესია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

აფიეთი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ჭეჭლის თემის საკრებულოში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდ. ქვაბლიანის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1490-1570 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 13 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 78, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია.

აფიეთის ციხე – ციხე (განვით. შუა სს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. აფიეთთან. გეოგრაფიული მდებარეობის გამო მეტად სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე ყოფილა.

აფნია – მინერალური წყარო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება აზოტოვან ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-მაგნიუმ-ნატრიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 0.62 გ/ლ.

აფნია – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, გოგაშენის საკრებულოში, ახალქალაქის პლატოს დასავლეთ კიდეზე, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1700-1745 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 23 კმ მანძილზე, ხერთვის-ოკამის საავტომობილო გზაზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. XX საუკუნის შუა წლებში აქ გააშენეს ხელოვნური ფიჭვნარები. ამ ადგილს მერენის ტყე უწოდეს. მოსახლეობის რიცხოვნობა – 111, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002). შემორჩენილია დარბაზული ეკლესია და დარბაზული ტიპის ერდოიანი საცხოვრებელი სახლები. 1933 წელს ნ. ბერძენიშვილს მიუკვლევია ოთხკუთხედი ქვა, რომლის ოთხივე მხარეს ქანდაკებები ჰქონია გამოსახული: ფოთლის, ყვავილის, ირმისა და ჯვრის. სოფელში ძველთაგანვე მისდევნენ ტერასულ სოფლის მეურნეობას. როგორც ნ. კეცხოველი წერს „*ჯავახეთის სოფლებს აფნიას და გოგაშენს და სხვებს ბალები ჰქონდათ ვარძიის მიდამოებში, მის პატარა ხევებში და საერთოდ მტკვრის გასწვრივ. ეს ვენახები ფრიად საინტერესონი არიან თავის არქიტექტურით, ბევრი მათგანი ციცაბო კლდეზეა გაშენებული, მაგრამ კლდე ფრიად ოსტატურად არის დატერასებული. ტერასის შუბლი ამოყვანილია ქვის კარგი კედლით. ტერასის უკანა მხარეზე დარგულია ხეხილი: თუთა, ჭანჭური, ღოღნოშო, ქლიავი, მსხალი, ვაშლი, წინამხარეზე ვაზი – ერთი მწკრივი დაბლარი, მეორე – ხეხილის მწკრივზე (მაღლარი) გაშენებული. ვაზებს შორის ფართობი გამოყენებულია მწვანეხლის მოსაყვანად, კლდის პირით ტერასამდე მიყვანილია სარწყავი არხი. ეს ერთი-ერთი ტიპია მრავალსართულიანი ბალ-ვენახ-ბოსტნისა“.*

აფნიის ეკლესია – წმინდა დემეტრეს სახელობის დარბაზული ეკლესია (XIV ს., აგებული ძველი ეკლესიის ნანგრევებზე), ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. მოპირკეთებულია კარგად გათლილი ბაზალტის ქვებით. შემორჩენილია ჩუქურთმები. დასავლეთის მხრიდან აქვს მინაშენი.

აღმოსავლეთის თავკვეთილი – მთა, იხ. დიდი თავკვეთილი.

აღმოსავლური მუხა – იხ. მაღალმთის მუხა.

აღმოსავლური ნაძვი (*Picea orientalis*) – წიწვოვანი მცენარე ფიჭვისებრთა ოჯახისა. 60 მეტრამდე სიმაღლის ხეა, დიამეტრი 2 მეტრს აღწევს. დატოტვის გამო ვარჯი ძალიან კომპაქტურია და წვიმას თითქმის არც კი ატარებს. ღერო დაფარულია ნაცრისფერი ქერქით. ბოლობლაგვი, მოკლე (7-10 მმ) ოთხწიბოიანი, მუქი მწვანე წიწვები მთელი ყლორტის ირგვლივ მორიგეობითაა განლაგებული. ზრდასრული გირჩი თითისტარისებრ-ცილიდრულია. აღმოსავლური ნაძვი მეზოფიტი ჯიშია, სამცხეჯავახეთში გავრცელებულია ძირითადად ბორჯომის ხეობაში. ნაძვის მერქანს ფრიად მრავალმხრივი გამოყენება აქვს.

აღობილი – იხ. აბასთუმანი, დაბა.

აღრი – მდინარე ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ფარავნის მარცხენა შენაკადი.

აღრიქარი – მთა ნინოწმინდისა და დმანისის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, ჯავახეთის ქედზე.

ანყვერი – იხ. აწყური.

ანყვიტა, აძგვიტა – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ერუშეთის მთიანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1260 მ სიმაღლეზე, ასპინძიდან 18 კმ მანძილზე, საკრებულოს ცენტრი (სოფლები: ანყვიტა, ქუნცა). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 577, უპირატესი ეროვნება – ქართველი (95 %) (2002).

ანყვიტა – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ერუშეთის მთიანეთის აღმოსავლეთ ფერდობზე, ზ.დ. 1325-1530 მ სიმაღლეზე, სოფ. ანყვიტიდან სამხრეთ-დასავლეთით. მიდამოები უტყეოა.

ანყვიტის დარნები – დარნების კომლექსი ნასოფლარ ანყვიტაში, ასპინძის მუნიციპალიტეტში, ერუშეთის მთიანეთის აღმოსავლეთ ფერდობზე. წარმოადგენს მრავალრიცხოვან გასასვლელებისა და ოთახების კომპლექსს. აქ არის გამოქვაბულები (ერთ-ერთს „ძერი ბუდე“ უძახიან) და მაღაროები („დადეშის მაღარო“, „თეთრი კლდის მაღაროები“, „ნაჭრის მაღარო“, „როკეთის მაღაროები“).

ანყვიტის სოფლის საკრებულო – საკრებულო ასპინძის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფელია ანყვიტა. მოსახლეობის რიცხოვნობა 577 კაცი (2002).

ანყვიტის მენყერი – მენყრული სხეული ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის ზემო ხეობის მარცხენა მხარეს, სოფ. ანყვიტასთან. განვითარებულია 10-40⁰ დახრილობის აღმოსავლეთ ექსპოზიციის ფერდობებზე, რომელიც აგებულია შუა და ზედა ეოცენის ასაკის ვულკანურ და თიხიან ქვიშაქვებში, გადაფარებული ელუვიურ-დელუვიური ნალექებით. მენყრული სხეულის სიგრძე 4 კმ-მდე, სიგანე – 150-200 მ-დან 0.8-1.0 კმ-მდე, სიმძლავრე 10 მ-მდე, ფართობი – 380 ჰა. აქტიური მენყერია.

ანყვიტის ტერასები – უკედელო ტერასები ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანყვიტასთან, ერუშეთის მთიანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს.

ანყური, ანყვერი, სოსანგეთი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის ორივე ნაპირზე, აბანოსღელის შესართავთან, ზ.დ. 880-1030 მ სიმაღლეზე, ახალციხიდან 22 კმ მანძილზე, საკრებულოს ცენტრი (სოფლები: ანყური, თისელი, ტყემლანა), რკინიგზის სადგური. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1984, უპირატესი ეროვნება – ქართველი (95 %) (2002). როგორც ფიქრობენ, მტკვრის ორივე მხარეს მდებარეობის გამო შერქმევია სახელი „ანყური“, რაც ნიშნავს „წყლიან ადგილს“. ქართულ წყაროებში ანყვერის სახელითაც მოიხსენიება. ძველად სოსანგეთიც

რქმევია. იგი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. ისტორიულ წყაროებში პირველად XI საუკუნეში იხსენიება, ადრეფეოდალურ ხანაში იყო სამცხის პოლიტიკური ცენტრი და სამძივართა ფეოდალური საგვარეულოს ადგილსამყოფელი, XII – XVI საუკუნეებში – სამცხის საეკლესიო ცენტრი. XVI საუკუნეში დაიკავეს ოსმალებმა, 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდგომ, ადრიანოპოლის ზავით გათავისუფლდა ოსმალთაგან და შევიდა ახალციხის მაზრაში. სოფლის ის უბანი, რომელიც მდ. მტკვრის მარჯვენა მხარესაა, შედარებით მცირეა და გალმა აწყურის სახელითაა ცნობილი. ვახუშტი ბაგრატიონი აწყურის შესახებ წერს: „თიხრევის-ჯევის ზეით, მტკვრის კიდეზედ, სამჭრით არს აწყვერი, ქალაქი და ციხე დიდშენი. მოსახლენი არიან ... ვაჭარნი, არამედ წარჩინებულნი – მოჰმადიანნი. აქა არს ეკლესია დიდშენი, შვენიერად ქმნილი, გუნბათიანი, ყოვლად-წმიდის ღვთის-მშობლისა...“. სოფელში და მის მიდამოებში შემორჩენილია მრავალი ისტორიულ-კულტურული ნაგებობა: ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, 3 მცირე სამლოცველო, 3 სინაგოგა, ციხეები (აწყურის, სლესის, წრიოხის). არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აწყურის მიდამოებში მიკვლეულ ერთ-ერთ სამარხში აღმოაჩინეს ოქროს საკიდი ხატი, შემკული ტიხრული მინანქრით და შიგ ჩასმული იასპის ქვით, რომელზეც ჯვარცმის სცენაა გამოსახული. აქვე მიკვლეულია მარანი, საწნახელები და ქვევრები, რაც წარსულში ვაზის კულტურის ფართოდ გავრცელებაზე მიგვანიშნებს. ერთ-ერთი ქვევრის ტევადობა 800 ლიტრია, ხოლო საწნახელის სიგრძე – 11 მ. 1950-იან წლებში სოფელში შემორჩენილი იყო ვაზი სამარიობოსა და ხარისთვალა თეთრის ცალკეული ეგზემპლარები. ფართოდ იყო გავრცელებული ვაზი ხარისთვალა თეთრი.

აწყურის ეკლესია – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ღვთისმშობლის სახელობის გუმბათიანი ეკლესია (X-XIII სს.) ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. აწყურში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს. მასში ორი სამშენებლო ფენა გამოიყოფა – X-XI და XIII-XIV საუკუნეების. სიდიდით იგი სვეტიცხოველსაც კი ჭარბობდა. მიწისძვრებმა და ოსმალთა ბატონობამ ძეგლი ძლიერ დააზიანა. შემორჩენილია ნანგრევები. აქ საეპისკოპოსო ტაძარი ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეებში არსებობდა. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ: მწიგნობრები, კალიგრაფები, მკაზმავები. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია IX-X საუკუნეების საეკლესიო მოღვაწე, აწყურის ეპისკოპოსი და მწერალი გიორგი მანყვერელი (IX-X სს.), გაბრიელ კოტაი (XI ს.), იოაკიმე მანყვერელი (XVI ს., მანყვერელი ეპისკოპოსი), სვიმონ კარგარეთელი, იერემია მანყვერელი (XVI ს., მანყვერელი ეპისკოპოსი). გიორგი მანყვერელის ლიტერატურულ ნაწარმოებებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ცნობები მის შესახებ შემოგვინახა გიორგი მერჩულისა და ბასილ ზარზმელის თხზულებებმა. ისტორიულ წყაროებში აწყური პირველად იხსენიება „ქართლის ცხოვრების“ ჩანართში, რომლის დაწერის დროდ ადრეული შუა საუკუნეები ივარაუდება. აქ მოთხრობილი ამბის მიხედვით, ანდრია მოციქული ქადაგებს საქართველოში. სასულიერო ტრადიციის მიხედვით, ითვლება, რომ ანდრია მოციქულმა აწყურში დატოვა ღვთისმშობლის ხატი. სწორედ მას შემდეგ აწყური მარიამ ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატის ადგილსამყოფელად მოინათლა.

აწყურის თემის საკრებულო – საკრებულო ახალციხის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: აწყური, თისელი და ტყემლანა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 2590 კაცი (2002).

აწყურის ტერასები – უკედლო ტერასები ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. აწყურთან მდ. მტკვრის ნაპირებზე, აბანოსღელის შესართავთან, ზ.დ. 900 მ სიმაღლეზე, ახალციხიდან 22 კმ მანძილზე. შემორჩენილია მრავალსართულიანი დაბაქნებული ადგილები და მესხეთის ადგილობრივი ვაზის უძველესი ჯიშები: როკეთულა, ხარისთვალა, ბეჟანა.

ანყურის ციხე – ციხესიმაგრე (განვ. შუა სს.) ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ ანყურთან, ქ. ბორჯომიდან 30 კმ მანძილზე, მაღალ და ძნელად მისადგომ კლდეზე. დაუდგენელია მისი აგების დრო. ისტორიულ წყაროებში, როგორც დასახლებული პუნქტი, პირველად იხსენიება IX საუკუნეში. ამ დროს აქ საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა. სავარაუდოდ, ციხეც ამ დროს უნდა იყოს აგებული. XIII საუკუნეში იგი სამცხის მთავრების – ჯაყელების რეზიდენცია უნდა ყოფილიყო. მოქმედი იყო ციხე XVIII საუკუნეშიც. ძველად ციხის ტერიტორიას დიდი ფართობი ეკავა. მეტად რთული ნაგებობაა, კლდეში გამოკვეთილი ვიწრო გვირაბებით. იმდენად ძნელად მისადგომია ციხის შიდა ნაგებობა, რომ გვირაბში შეჭრის შემდეგაც ვერ იმორჩილებდა ხოლმე მას მომხდური. თუმცა სხვადასხვა დროს არაერთმა დამპყრობმა დაიპყრო იგი. 1283 წლის ძლიერმა მიწისძვრამაც ძლიერ დააზიანა. ციხე მრავალჯერ გადაუკეთებიათ. შემორჩენილია ნანგრევები. 2013 წელს ციხეს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა.

აჭარა-იმერეთის ქედი, მესხეთის ქედი – ქედი მცირე კავკასიონის დასავლეთ ნაწილში, ხარაგაულის, ბაღდათის, ვანის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს, ადიგენის, ახალციხისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში. წარმოადგენს მდინარეების ანისწყლის (რიონის მარცხენა შენაკადი), სუფსის, ნატანების, კინტრიშისა და აჭარისწყლის, ქვაბლიანის წყალგამყოფს. უმაღლესი მწვერვალია მეფისწყარო (2850 მ). აქ მდებარეობს უღელტეხილი ზეკარა (VI-X, ზ.დ. 2182 მ). ქედი ძირითადად აგებულია მესამეული, უმთავრესად პალეოგენური ვულკანოგენურ-დანალექი წყებებით – პორფირიტული განფენებით, ტუფბრექჩიებით, ტუფებით, ტუფოგენური ქანებით, აგრეთვე ზედაცარცული კირქვებით. ქედის თხემური ზოლი აგებულია ეოცენური მტკიცე პორფირიტული წყებით, რომელიც მონაცვლეობს ადვილადშლად მასალასთან, რის გამოც ეს ტერიტორია განიცდის დენუდაციას განიცდის. ბევრგან შიშვლდება სიენიტ-დიორიტების მცირე ინტრუზიული მასივები, აღმოსავლეთ ნაწილში კი, ვიწრო ზოლის სახით ზედაპირზე გამოდის ზედა ცარცული ასაკის ქანები. შემორჩენილია ძველმყინვარული ნაშთები.

ახალდაბა – დაბა (1965 წლიდან) ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის ორივე ნაპირზე, მდ. ნეძვისწყლის შესართავთან, ზ.დ. 730-870 მ სიმაღლეზე, ბორჯომიდან 18 კმ მანძილზე, რკინიგზის სადგური, დაბალმთიანი კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 2.2 ათ. კაცი (2014). სახელწოდება ახალდაბა მომდინარეობს სიტყვა „დაბა“-საგან. ძველად დაბა დასახლებული პუნქტის, სოფლის მნიშვნელობით გამოიყენებოდა. ამიტომ „ახალდაბა“ ნიშნავს „ახალ სოფელს“. ამ სიტყვისაგან მრავალი ტოპონიმია წარმოქმნილი საქართველოში, მათ შორის სამცხე-ჯავახეთშიც – ახალდაბა, დაბაძველის პლატო (ბორჯომის მუნიციპალიტეტი). ამჟამად დაბა ქალაქის ტიპის დასახლების აღმნიშვნელია. წყაროებში პირველად იხსენიება XII საუკუნეში. მცირე ქალაქი ყოფილა, მაგრამ მოხერხებული მდებარეობის გამო, მას დიდი სავაჭრო მნიშვნელობა ჰქონდა. შემორჩენილია ციხე (რამდენჯერმე გადაკეთებული. გალავნის შიგნით ციტადელია, კედლებში ჩართული რამდენიმე კოშკით), ხიდი (მდ. მტკვარზე. შემორჩენილია მხოლოდ ბურჯები), კოშკი (XVIII ს., აგებული ხიდის დაცვის მიზნით. გადარჩენილია მხოლოდ 4 საფეხური). ახალდაბაში არის რამდენიმე ეკლესია: იოანე ნათლისმცემლის (XIX-XX სს.), მარიამ ღვთისმშობლის, წმ. გიორგის სახელობის. ადგილობრივების ძალისხმევით, ძეგლები რესტავრირებულია. 1260 წელს წელს ქვიშხეთისა (ხაშურის მუნიციპალიტეტი) და ახალდაბის (ბორჯომის მუნიციპალიტეტი) სიახლოვეს გაიმართა ბრძოლა მონღოლებსა და ქართველებს შორის, რომელიც ისტორიაში ქვიშხეთის ბრძოლის სახელითაა ცნობილი.

ახალდაბა – კურორტი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის ხეობაში, ზ.დ. 790-800 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 12 კმ მანძილზე. მიდამოები შემოსილია წიწვიანი და ფართოფოთლოვანი ტყეებით. ზამთარი ზომიერად რბილი (იანვრის საშუალო ტემპერატურა – -2.1°C) და მცირეთოვლიანია, ზაფხული – თბილი (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა – 20.1°C). ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამია 615 მმ. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია სასარგებლო ჰავა და მინერალური წყლები.

ახალდაბა – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის ხეობაში, ზ.დ. 790-800 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 12 კმ მანძილზე. წყარო დაბალი მინერალიზაციისაა, წყლის ტემპერატურაა 20°C , ჯამური დებიტი – 600 მ³ დღე-ღამეში. მიეკუთვნება აზოტოვან ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმთან ჯგუფს.

ახალდაბის მეტეოსადგური – მეტეოროლოგიური სადგური ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის ორივე მხარეს, ნეძვისწყლის შესართავთან, ზ.დ. 724 მ სიმაღლეზე, ბორჯომიდან 18 კმ-ის დაშორებით. დაკვირვება წარმოებდა 1936-1992 წლებში.

ახალდაბის ციხე, „თამარის ციხე“, „ციხის გვერდი“ – ციხე (VIII-XI სს.) ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, მაღალი მთის წვერზე. ადგილობრივები მას „თამარის ციხეს“ ეძახიან. ს. მაკალათია კი მას „ციხის გვერდის“ სახელით იხსენიებს. შემორჩენილია ნანგრევები. ციხე ძნელად მისადგომია. მასზე ასვლა მხოლოდ ჩრდილოეთიდანაა შესაძლებელი. იგი იცავდა მტკვრისა და ნეძვისწყლის ხეობებს. ვახუშტი ბაგრატიონი ასე აღწერს მას: „ახალდაბის სამჯრით არს ციხე მაღალსა კლდესა ზედა, დიდნაშენი და მაგარი“. XVIII საუკუნის გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ნაშრომში „მოგზაურობა საქართველოში“ ახალდაბის ციხე უკვე დაცარიელებული ჩანს. ციხე ძლიერ დაზიანა 1920 წლის მიწისძვრამ.

„ახალი ზარზმა“, აბასთუმნის ეკლესია – გუმბათოვანი ეკლესია (1899-1902) დაბა აბასთუმანში, ადიგენის მუნიციპალიტეტში. მოხატა (1902-1904) რუსმა ფერწერმა მ. ნესტეროვმა.

ახალი ხულგუმო – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ტამბოვკის თემში, ფარავნის ტბის ჩრდილოეთ ნაპირას, მდ. შაორის (ახლ. შაშკა, ერთვის ფარავნის ტბას) მარცხენა მხარეს, ზ.დ. 2075-2100 მ სიმაღლეზე, ფარავნის ტბის დასავლეთ ნაპირას. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 169, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). დაარსდა 1924 წელს, როცა აქ დასახლდნენ სოფ. ხულგუმოს მცხოვრებნი. თავდაპირველად იყო სოფ. ტამბოვკის უბანი. მოსახლეობა კათოლიკე სომეხებია. პირველად იხსენიება XII საუკუნეში. ისტორიულ-კულტურული ძეგლებია: შუა საუკუნეების ციხე, ხიდი (X ს., ნაშთი), კოშკი.

ახალქალაქი – მინერალური წყარო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება ქლორიდულ-ნატრიუმთან ჯგუფს.


ახალქალაქი: საშუალო ტემპერატურის წლიური განაწილება, 1967-2006													
წლები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ.
1967-1976	-7.42	-6.84	-1.71	5.20	9.91	12.42	15.34	15.35	11.71	7.36	1.50	-4.72	4.84
1977-1986	-6.04	-4.72	-0.93	5.57	9.36	12.26	15.83	15.59	12.56	6.36	1.35	-3.77	5.28
1987-1996	-6.73	-6.81	-1.70	5.19	9.78	12.80	16.05	15.82	12.06	7.25	1.27	-4.57	5.03
1997-2006	-7.04	-5.29	-1.03	5.64	9.63	13.10	16.55	17.17	12.35	8.08	2.01	-4.35	5.57




აბასთუმნის ეკლესია

ახალქალაქი – ქალაქი სამხრეთ საქართველოში, მდინარეების ფარავნისა და მურჯახეთისწყლის (ფარავნის მარცხენა შენაკადი) მდინარეთაშუეთში, სუსტად დანანევრებულ ვაკეზე, ზ.დ. 1620-1725 მ სიმაღლეზე, ახალციხიდან 71 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 9.8 ათ. კაცს (2014). მიდამოები უტყეოა. არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ ადამიანს აქ უძველესი დროიდან უცხოვრია. ძველი ახალქალაქი თანამედროვე ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა. IX-X საუკუნეებში ქალაქად იქცა. საქართველოს ისტორიაში ეს პერიოდი „ახალქალაქების“ ხანადაა ცნობილი. XI საუკუნეში იგი ჯავახეთის ცენტრია და წუნდას ენაცვლება. იგი არაერთხელ დაურბევიათ. შემორჩენილია ძველი ქალაქის ქვის გალავანი, ციხე-კოშკები, სხვა ნანგრევები. XV საუკუნიდან, როცა ახალქალაქის გამგებელნი გახდნენ ჯაყელები, ისინი ცდილობდნენ სამცხე-ჯავახეთი ერთიანი საქართველოსათვის ჩამოეშორებინათ. შიდა არეულობით ისარგებლეს გარეშე ძალებმა და 1555 წელს ამასიის ზავით,

როცა ოსმალეთმა და ირანმა საქართველო შუაზე გაიყო, ახალქალაქი ირანელების გავლენის სფეროდ გამოცხადდა. 1578 წელს კი ოსმალები არღვევენ ამასიის ზავს, იპყრობენ ქალაქს და იგი ჩილდირის საფაშოს შემადგენლობაში ექცევა. რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულების შემდეგ და 1829 წლის ადრიანოპოლის (თურქეთი) ზავით იგი კვლავ საქართველოს შემადგენლობაშია როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილი. XIX საუკუნეში აქედან იძულებით აპყარეს მაჰმადიანი ქართველები და თურქეთში გადაასახლეს. მათ ნაცვლად კი აქ არზრუმიდან ჩამოსული სომხები დასახლდნენ. ვახუშტი ბაგრატიონი ახალქალაქის შესახებ წერს: „... ესე იყო ქალაქი მოზღუდვილი და ციხე ძლიერი...“. ძველად ადგილობრივები სელისაგან ზეთს ხდიდნენ. ახალქალაქში 1967-2006 წლებში საშუალო ტემპერატურა გაიზარდა $0.73^{\circ}\text{C}/_{40\text{წ}}$, აქედან I-II პერიოდებში (1967-1976, 1977-1986) გაიზარდა $0.44^{\circ}\text{C}/_{40\text{წ}}$, II-III პერიოდებში (1987-1996, 1997-2006) შემცირდა $0.25^{\circ}\text{C}/_{40\text{წ}}$, III-IV პერიოდში გაიზარდა $0.54^{\circ}\text{C}/_{40\text{წ}}$; ატმოსფერული ნალექების ჯამები გაიზარდა 895 მმ-ით. I-II პერიოდში



ახალქალაქი: საშუალო ტემპერატურის განაწილება



ქარის მიმართულების განმეორებადობა (%)



ანთროპოგენური ზემოქმედების კვალი ქ. ახალქალაქთან

აღნიშნა შემცირება 273 მმ-ით II-III პერიოდში გაიზარდა 61 მმ-ით, ხოლო III-IV პერიოდში კვლავ გაიზარდა 1107 მმ-ით. ამრიგად, აღნიშნულ პერიოდებში ხდება ჰაერის ტემპერატურის როგორც მაქსიმალური, ისე მინიმალური სიდიდეების გადანაცვლება თუნდაც მცირე სიდიდით, რაც მიუთითებს, რომ კლიმატის ცვლილებას (დათბობა, აცივებას) აქვს ადგილი.

ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქია – საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ძირითადი რელიგიური დანაყოფი, სამღვდელმთავრო, რომელიც მოიცავს ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებს. დასავლეთიდან ესაზღვრება – სხალთის, ჩრდილოეთიდან – შემოქმედის, არგვეთისა და უბისის, ვანისა და ბაღდათის, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიები, ხოლო სამხრეთიდან – თურქეთი.

ახალქალაქის ვაკის ფიზიკურ-გეოგრაფიული ქვერაიონი – ჯავახეთის ზეგნის ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონის ცენტრალური ნაწილი. აგებულია ზედაპლიოცენური დოლერიტული ლავებითა და ტბიურ-მდინარეული ნაფენებით. აბსოლუტური სიმაღლეები მერყეობს 1600-1800 მ-ის ფარგლებში. რელიეფი უმთავრესად ტალღისებრია, რომელიც გართულებულია სერებითა და გუმბათისებრი ბორცვებით.

ახალქალაქის ლავური წარმონაქმნების გრუნტის ნაპრალოური ნყლების ჰიდროგეოლოგიური ქვერაიონი – ჰიდროგეოლოგიური ქვერაიონი სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე მოიცავს ახალქალაქის პლატოსა და ერუშეთის მთიანეთს. გოდერძის ნყებაში გვხვდება მინერალური ნყლების გამოვლინებები, რომლებიც დაკავშირებულია ძველი ასაკის ქანებთან. ასეთ ნყლებს მიეკუთვნება ნახშირორჟანგიანი, ჰიდროკარბონატული მაგნიუმ-კალციუმ-ნატრიუმის ნყლები სოფ. ურაველსა და ხერთვისთან. ზედაცარცულ-პალეოცენის ნაღებებში, სოფ. ნაქალაქევსა და ვარძიაში ჭაბურღილებით მიღებულია მინერალური (12 გ/ლ), ნახშირორჟანგიანი, ესენტუკის ტიპის ნყლები.

ახალქალაქის მაზრა – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველ საქართველოში, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ადმინისტრაციული ცენტრი – ახალქალაქი. 1874 წელს გამოეყო ახალციხის მაზრას. გაუქმდა 1830 წელს.

ახალქალაქის მეტეოსადგური, ჰიდრომეტეოსადგური – ქალაქიდან სამხრეთ-დასავლეთით 2 კმ მანძილზე, ვაკეზე, ზ.დ. 1716 მ სიმაღლეზე, აეროპორტის ასაფრენ მინდორზე. დასავლეთ მხარეს ორი ერთსართულიანი შენობაა აღმოსავლეთით, მეტეომოედნიდან 100 მ დაშორებით გადის ახალციხე-ნინოწმინდის გზატკეცილი. მეტეოროლოგიური მოედნის ჰორიზონტი ღიაა ყველა მიმართულებით. მიდამოებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია (სახნავ-სათესი). მეტეოროლოგიურ სადგურზე დაკვირვებები წარმოებს 1891 წლიდან დღემდე.

ახალქალაქის მინისძვრა – მინისძვრა 1899 წლის 31 დეკემბერს. სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო 8-9-ბალიანი მინისძვრა, ეპიცენტრით სოფ. აზავრეთის (ამჟამად ახალქალაქის მუნიციპალიტეტი) სიახლოვეს (41.6°N; 43.5°E, M= 5.4). მინისძვრის შესახებ ინფორმაცია შემონახულია ძველ წყაროებში.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული სამხრეთ საქართველოში, სამცხე-ჯავახეთში. 1917 წლამდე შედიოდა თბილისის გუბერნიის ახალქალაქის მაზრაში, 1921-30 წლებში – აღმოსავლეთ საქართველოში ახალქალაქის მაზრის სახელწოდებით, 1930 წლიდან ცალკე რაიონია, ხოლო 2006 წლიდან – მუნიციპალიტეტი. დასავლეთით ესაზღვრება



ასპინძის, ჩრდილოეთიდან – ბორჯომის, აღმოსავლეთიდან – ნინოწმინდისა და წალკის მუნიციპალიტეტები, ხოლო სამხრეთ საზღვარი გასდევს საქართველო-თურქეთის სახელმწიფოს საზღვრს. ფართობია 1235 კმ², ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ახალქალაქი. მუნიციპალიტეტში შედის 1 ქალაქი (ახალქალაქი), 21 სასოფლო-სამეურნეო (აზვრეთის, ალასტანის, არაგვას, ბარალეთის, გოგაშენის, დილისკის, ვაჩიანის, ზაკვის, კარტიკამის, კარნახის, კოთელიას, კოჭიოს, კუმურდოს, ოკამის, პტენის, სულდის, ტურცხის, ჩუნჩხის, ხავეთის, ხანდოსა და ხოსპიოს) და 64 სოფელი. მუნიციპალიტეტის ფარგლებში სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა – 51173. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (94.2 %) სომეხია და ისინი ჭარბობენ მუნიციპალიტეტის 57 სოფელში. ცხოვრობენ აგრეთვე ქართველები (5.5 %), რუსები და ბერძნები. ქართველები ჭარბობს 7 სოფელში (2002). სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია: სარძევე-სახორცე მეცხოველეობა.



ახალქალაქის მხარამცოდნეოპოლიტი მუზეუმი
ფოტო: საქართველოს მუზეუმები, 2012



ახალქალაქის სეისმური სადგური
ფოტო: სეისმური მონიტორინგის ცენტრი

მოჰყავთ საგაზაფხულო ხორბალი, ქერი და კარტოფილი. საქართველოს კარტოფილის წარმოების ერთ-ერთი ძირითადი რაიონია. მრავალწლიანი ნარგავები უმნიშვნელო ფართობებზეა. განვითარებულია მეფუტკრეობა. მდიდარია მალალი მთის საზაფხულო საძოვრებით. ზამთარში საქონლის ბაგური შენახვისათვის იყენებენ სათიბების თივასა და საკვებ კულტურებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა ეკლესიები: კუმურდოს გუმბათიანი ეკლესია (X ს.), სამსრის გამოქვაბულები (განვ. შუა სს.) და სხვ.

ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი – მუზეუმი ქ. ახალქალაქში. დაცულია ჯავახეთის ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული (ხალხური ავეჯის, სამოსელისა და ფარდაგების ნიმუშები) და არქეოლოგიური მასალები.

ახალქალაქის ნაქალაქარი, ახალქალაქის ციხე-ქალაქი – ნაქალაქარი მდინარეების მურჯახეთის შესართავთან ფარავანთან. უმთავრესად აგებულია მდ. ფარავნის ხეობიდან ამოზიდული მუქი ნაცრისფერი ბაზალტით. შემორჩენილია ეკლესიის (XVIII სს.) ნაშთები.

ახალქალაქის პლატო – პლატო ზემო მტკვრის ხეობიდან ჯავახეთის ქედამდე. ზოგჯერ ამ სახელით იხსენიებენ ჯავახეთის ზეგნის მალალ ვაკეს (ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი), რომელიც ზ.დ. 1500-1800 მ სიმაღლეზე მდებარეობს. ეს უკანასკნელი მერიდიანულად გადაჭიმულია 35-40 კმ მანძილზე. მისი სიგანეა 25-30 კმ. პლატოსებრი რელიეფით ხასიათდება მისი მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი კი, რომელიც ცნობილია „დუხობორის“ სახელით (XIX საუკუნეში აქ დასახლებული დუხობორების გამო), საკმაოდ განსხვავებული რელიეფით ხასიათდება.

ახალქალაქის სეისმური სადგური – მუდმივი სეისმური სადგური ქ. ახალქალაქში, ზ.დ. 1708 მ სიმაღლეზე (41.41°N; 43.4929°E). ფუნქციონირებს 2003 წლიდან.

ახალქალაქის რაიონი – იხ. ახალქალაქის მუნიციპალიტეტი.

ახალქალაქის ფაუნა – მეოთხეული პერიოდის დასაწყისის განამარხებულ ძუძუმწოვართა კომპლექსი ქ. ახალქალაქის მიდამოებში. ნამარხი ფაუნა მიგვანიშნებს, რომ იმდროინდელი ჰავა თბილი და ზომიერად ცხელი იყო.

ახალქალაქის ციხე-ნაქალაქარი – ციხე-ნაქალაქარი (XI-XVII სსს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ქ. ახალქალაქთან.

ახალციხე, ლომსია – ქალაქი სამხრეთ საქართველოში, ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი, ზ.დ. 940-1100 მ სიმაღლეებზე, ბალნეოლოგიური კურორტი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 20.0 ათ. კაცი (2014). ახალციხეში 1971-2010 წლებში საშუალო ტემპერატურა გაიზარდა $1.00^{\circ}\text{C}/_{40\text{წ}}$, აქედან I-II პერიოდებში (1971-1980, 1981-1990) გაიზარდა $0.07^{\circ}\text{C}/_{40\text{წ}}$, II-III პერიოდში გაიზარდა $0.33^{\circ}\text{C}/_{40\text{წ}}$, III-IV პერიოდებში (1991-2000, 2001-2010) გაიზარდა $0.60^{\circ}\text{C}/_{40\text{წ}}$; ატმოსფერული ნალექების ჯამები მთლიან შუალედში გაიზარდა 167 მმ-ით. აქედან I-II პერიოდში გაიზარდა 116 მმ-ით, II-III პერიოდში აღინიშნა შემცირება 522 მმ-ით, ხოლო III-IV პერიოდში კვლავ გაიზარდა 573 მმ-ით. აღნიშნულ პერიოდებში საშუალო მონაცემების მიხედვით I-დან IV პერიოდის ჩათვლით აღინიშნება ჰაერის ტემპერატურის თანდათანობით გაზრდა 8.53°C -დან 9.53°C -მდე (დათბობა), ე.ი. 40 წლის განმავლობაში ადგილი აქვს ტემპერატურის გაზრდას 1°C -ით. I და II პერიოდის განმავლობაში ტემპერატურა გაიზარდა 0.07°C -ით, II და III პერიოდებში – 0.33°C -ით, ხოლო III დან IV პერიოდის ბოლომდე 0.60°C -ით. ამგვარად, 40 წლიან პერიოდში შეიმჩნევა ტემპერატურის მატება $1.00^{\circ}\text{C}/_{40\text{წ}}$. კულტურულ-ისტორიული ძეგლებიდან ქალაქში მდებარეობს: რაბათის ციხე-ანსამბლი, სარგის ჯაყელის ციხე-კოშკი (XIV ს.), ციხის ეკლესია (გვიანდ. შუა სს.), სასახლე (XVIII ს.), აბანო (XVI-XVII სს.), ქარვასლა (გვიანდ. შუა სს.), დარბაზი (XIX ს.), თამარ მეფის ძეგლი და



ახალციხის რაბათი, ძალაქის ციხადელი

გვიანდელი შუა საუკუნეების სხვა ნაგებობები. ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს მას: „... არს ახალციხე ქალაქი, ფერსათის მთის კერძოთ ჩამოსულს კლდესა ზედა. არს ციხე ქალაქის თავს (ამას ვგონებ ლომსიად, ვინათგან, ისახელების რა ახალციხე ცხორებასა შინა, არღარა მოიხსენების მერმე ლომსია“. პლატონ იოსელიანს მიაჩნდა, რომ ლომსია მას შეექრა 1637 წელს. ზოგიერთის მოსაზრებით, იგი იგივე „ლომსიანთა“ უნდა იყოს.

ახალციხე – კურორტი ახალციხის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდ. ფოცხოვისწყლის ხეობაში, ზ.დ. 940-1100 მ სიმაღლეზე, საქართველოს ერთ-ერთი ძველი ქალაქი. ბარიერული ქედების გამო კურორტი თითქმის იზოლირებულია შავი ზღვის ნოტიო ჰაერის მასების გავლენისაგან, რის გამოც მცირეა ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა (400-600 მმ) და დაბალია ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა (69 %). ზაფხული თბილი და



ახალციხე, რაბათი

ზომიერად მშრალია, ზამთარი – გრილი და მცირეთოვლიანი. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია თერმული მინერალური წყლები. ახალციხე ოდიტგანვე დასახლებული ყოფილა. წყაროებში პირველად იხსენიება XII საუკუნეში. უძველესი კულტურული ფენა 5-6 ათასი წლის წინანდელია (ბრინჯაოს ხანა). IX-X საუკუნეებში იგი ციხე-ქალაქია. სტრატეგიული მდებარეობის გამო, სადაც თავს იყრიდა რამდენიმე მიმართულების გზა, ის სამცხის ცენტრად აქცია. აქ აგებული ციტადელიდან გზა საიდუმლო გვირაბით ჩადიოდა მდ. ფოცხოვის ნაპირისაკენ. ძეგლი არაერთხელ იქნა დანგრეული და განახლებული. მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობის გამო, აქ ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ოსმალები და ირანელები. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, 1829 წელს ადრიანოპოლის (თურქეთი) ზავით, მთელ სამცხე-ჯავახეთთან ერთად, იგი განთავისუფლდა ოსმალური გავლენისაგან. ქალაქის, განსაკუთრებით რაბათის არქიტექტურაში, ამკარად შეიმჩნევა ქართული და მუსლიმანური კულტურის გავლენა. ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს ახალციხეს: „*ჰავით არს მშვენი, ზამთარს ცივი და თოვლიანი, ზაფხულის არა ეგდენ ცხელი. გარემოს ქალაქისა წალკოტნი, ვენახნი და ხილნი მრავალნი*“.

ახალციხისა და ტაოს ეპარქია – საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ძირითადი რელიგიური დანაყოფი, სამღვდელმთავრო, რომელიც მოიცავს ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების ტერიტორიას. 2002 წლის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით იგი აერთიანებს ტაო-კლარჯეთსა და ლაზეთს, რომელიც ამჟამად საქართველოს ფარგლებს გარეთაა. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ვანი-ბაღდათის, შემოქმედის, მარგვეთისა და უბისის, აღმოსავლეთიდან – ახალქალაქის და კუმურდოს, ბორჯომისა და ბაკურიანის, დასავლეთიდან – სხალთის ეპარქიები, ხოლო სამხრეთიდან – თურქეთი. ქართული საისტორიო ტრადიციით პირველი საეპისკოპოსო კა-

თედრა სწორედ აქ, ამ მხარეში დაუარსებია ანდრია პირველწოდებულს.


ახალციხის არტეზიული აუზის ჰიდროგეოლოგიური ქვეოლქი – ჰიდროგეოლოგიური ქვეოლქი მძლავრი წყალშემცველი კომპლექსით. შედგება შუა ეოცენის ვულკანოგენურ-დანალექი წყებისაგან. აუზის განაპირა უბნებში, ამ კომპლექსის ჰორიზონტები შეიცავს დაბალმინერალიზებულ, ჰიდროკარბონატულ ნატრიუმიან-კალციუმიან წყლებს (სოფ. მინაძე, წნისი), ხოლო ღრმად დაძირულ უბნებში – იმავე ქიმიური შედგენილობის თერმულ წყლებს (კურორტი აბასთუმანი და სხვ.). ანტიკლინის თალურ ნაწილებთან დაკავშირებული წყაროების ტემპერატურა აღწევს 50°C-ს. გაზური ფაზა წარმოდგენილია ატმოსფერული წარმოშობის აზოტით. ქ. ახალციხესთან, აუზის ცენტრალურ ნაწილში, ტექტონიკური რღვევის ზონაში, ალუვიონიდან, რომელიც ფარავს შუაეოცენური ასაკის ვულკანოგენურ-დანალექ წარმონაქმნებს, გამოდის ნახშირორჟანგიანი, ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-მაგნიუმიანი წყალი, რომელიც შემდგომში მიღებულ იქნა 1000 მეტრი სიღრმის ჭაბურღილის საშუალებით.

ახალციხის აქატის საბადო – მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ახალციხის ქვაბულში, სოფლების ბოგის და გიორგინმინდის სიახლოვეს, ზ.დ. 850-1600 მ სიმაღლეზე. აქ აქატშემცველი ქანების ორი ზოლია, წარმოდგენილი ახალციხის ქვაბულის ორივე კალთაზე – შურდოსა და პამაჯ-ზიარეთის. ორივე დამოუკიდებელ საბადოებადაა მიჩნეული. წყებებში გვხვდება ხის ნაშთებიც. აქატის სამრეწველო მოპოვება აქ ამჟამად არ მიმდინარეობს, თუმცა ცალკეული მენარმეები და მოყვარულები საბადოზე დამუშავებული სამთო მასიდან იღებენ აქატის ნამტვრევებს.


ახალციხის ეკლესია – სამნავიანი ბაზილიკის ტიპის ეკლესია (VIII-IX სს.) ახალციხის მუნიციპალიტეტში.

ახალციხის მაზრა – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველ საქართველოში, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ადმინისტრაციული ცენტრი – ახალციხე. მოიცავდა ამჟამინდელ ადიგენის, ახალციხისა და ნაწილობრივ ასპინძის მუნიციპალიტეტების ტერიტორიას. 1840 და 1867 წლებში შედიოდა თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში, რომელსაც 1874 წელს გამოეყო ახალაქალაქის მაზრა.

ახალციხის მეტეოსადგური – მეტეოროლოგიური სადგური, რომელმაც დაარსების დღიდან (1874) შეიცვალა მდებარეობა, 1960 წლიდან ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, რკინიგზის სადგურთან ახლოს, მდ. ფოცხოვის მარცხენა სანაპიროზეა, ზ. დ. 982 მ სიმაღლეზე. 1976 წელს ახალციხის



ახალციხე: საშუალო ტემპერატურის განაწილება



ქარის მიმართულების განმეორებადობა (%)

მეტეოსადგურისა და ბორჯომის ჰიდროსადგურის გაერთიანებით შეიქმნა ახალციხის ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური, რომელიც 1993 წელს სამცხე-ჯავახეთის ჰიდრომეტეოროლოგიურ ობსერვატორიად გადაკეთდა. 2002 წლიდან იგი სამცხე-ჯავახეთის ჰიდრომეტეოროლოგიურ სამსახურად იწოდება. ახალციხის მეტეოსადგური დასავლეთის მხრიდან 200 მ რადიუსით შემოფარგლულია შენობებითა და ბაღებით, ხოლო ჩრდილო-დასავლეთის მხარეს 60მ სიგრძეზე დგას მცირე ზომის სტანდარტული მეტეოსადგურის შენობა. აღმოსავლეთით, მეტეოსადგურიდან 200 მ-ის დაშორებით, რკინიგზის სადგურის საბარგო განყოფილება ესაზღვრება. აღმოსავლეთითა და სამხრეთით მდებარე ყველა ეს შენობა და გზატკეცილი მეტეოსადგურზე დაბლაა განთავსებული. მეტეოროლოგიური მოედნის ჰორიზონტი ღიაა ყველა მიმართულებით. მეტეოროლოგიურ სადგურზე დაკვირვებები წარმოებს 1874 წლიდან დღემდე.



მეტეოროლოგიური ახალციხის მეტეოსადგურზე
ფოტო: ეთერ გაჩეჩილაძე

ახალციხის მინერალური წყლები – თერმული (+38°C) მინერალური წყლები საერთო მინერალიზაციით – 10.4გ/ლ. დღელამური დებიტია 500 ათ. ლიტრი. მიეკუთვნება ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ წყლებს. გამოიყენება სააბაზანო პროცედურებისათვის.

ახალციხის მუზეუმი – იხ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი.



ახალციხის მუნიციპალიტეტი – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული სამხრეთ საქართველოში. 1917 წლამდე შედიოდა თბილისის გუბერნიამი, 1917-30 წლებში აღმოსავლეთ საქართველოს ახალციხის მაზრის სახელწოდებითაა ცნობილი, 1930 წლიდან ცალკე რაიონად გამოეყო დღევანდელ საზღვრებში. სამხრეთი საზღვარი ემთხვევა საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარს. აღმოსავლეთით ესაზღვრება ბორჯომისა და ასპინძის, დასავლეთიდან – ადიგენის, ხოლო ჩრდილოეთიდან – ბაღდათისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტები. ფართობი – 1023 კმ², ადმინისტრაციული ცენტრი – ქ. ახალციხე. რაიონში შედის 2 ქალაქი (ახალციხე, ვალე), 14 სოფლის საკრებულო, 47 სოფელი – სოფლის მოსახლეობა 22 651 – მოსახლეობის 56.3 % ქართველია, 43 % – სომეხი (2002). საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერით მოსახლეობის რიცხოვნობაა 48.5 ათ. კაცი, აქედან ქალაქად ცხოვრობს 25,5 ათ. კაცი, ხოლო სოფლად – 23.0 ათ. კაცი. ეკონომიკაში წამყვანი ადგილი ეკავა მრეწველობას (ვალეს მურა ნახშირის მოპოვება, ვალეს თაბაშირის ქარხანა). სოფლის



ქვათაცვინის საინჟინერო-გეოლოგიური კვლევის
ახალციხე-ხერთვისის საავტომობილო გზის გასწვრივ



მეურნეობის ძირითადი დარგებია: მეხილეობა (ვაშლი, მსხალი), მევენახეობა, მემარცვლელობა (საშემოდგომო ხორბალი, გაზაფხულის ქერი, სიმინდი), მეკარტოფილეობა, მეცხოველეობა (მაღალი მთის საზაფხულო საძოვრები). ტერიტორიის დიდ ნაწილზე, მორწყვის გარეშე, თითქმის შეუძლებელია მაღალი მოსავლის მიღება.

ახალციხის მურა ნახშირის საბადო, ვალეს მურა ნახშირის საბადო – მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფლების ვალესა და ნაოხრების მიდამოებში, მდ. ფოცხოვისწყლის ხეობაში (ქვაბლიანის შესართავთან), ზ.დ. 1000-1600 მ სიმაღლეზე ქ. ახალციხიდან დასავლეთით 8-10 კმ მანძილზე. ნახშირშემცველი ფენების გავრცელების არეალია 90-110 კმ², მარაგი – 75-100 მლნ ტ, რითაც იგი უდიდესია საქართველოში. ნახშირი დაბალი ხარისხისაა (თბოტევადობა 2200-4500 კკალ/კგ). ამასთან რთული სამთო-გეოლოგიური პირობების (ღრმა ფენებში მდებარეობის) გამო, მისი მოპოვება 1980-იანი წლებიდან შეწყდა.

ახალციხის რაიონი – იხ. ახალციხის მუნიციპალიტეტი.

ახალციხის საფაშო, ჩილდირის საფაშო – ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული ძველ საქართველოში, ოსმალეთის მიერ დაპყრობილ სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე. XVII საუკუნეში დაყოფილი იყო 13 სანჯაყად: არტანუჯი, აჭარა, დიდი არტაანი, ლივანი, მაჭახელი, ოლთისი, ფანაკი, ფერთექრეთი, ფოცხოვი, ქვემო ლივანა, შავშეთი, ყიფირაქი, ხერთვისი. ამ პერიოდში იგი იქცა ტყვეთა სყიდვის ცენტრად. გაუქმდა რუსეთთან შეერთების შემდეგ და შევიდა მის შემადგენლობაში.

ახალციხის უბანი-ეკლესია – წმინდა მარინეს სახელობის დარბაზული ეკლესია ახალციხის მუნიციპალიტეტში.




მცენარეთა ვერტიკალური სარტყლურობა

- I – ახალციხის ქვაბული (აჭარა-იმერეთის ქედის კალთები).
- II – თრიალეთის ქედის კალთები (ახალციხის ქვაბული)

ახალციხის ქალცედონის საბადო – მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქ. ახალციხესთან.

ახალციხის ქვაბული – მთათაშორისი ქვაბული მდ. მტკვრის ზემო წელის აუზში, ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის მუნიციპალიტეტებში. ქვაბულის ფსკერი ტერასული ვაკეა, რომელიც ზ.დ. 900-1000 მ სიმაღლეზე მდებარეობს. ყველაზე დაბალი ადგილია სოფ. აწყურთან (ახალციხის მუნიციპალიტეტი). პერიფერიულ ნაწილში რელიეფი ბორცვიან-სერებიანია. ახალციხის ქვაბულის ჰავა საკმაოდ მშრალია (მხოლოდ ფერდობები ხასიათდება ზომიერად ნოტიო კლიმატით). ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობაა 400-600 მმ, რითაც იგი განსხვავდება მცირე კავკასიონის ყველა სხვა უბნისაგან. ამდენად, ახალციხის ქვაბული მცირე კავკასიონის ყველაზე მშრალი ადგილია საქართველოში. ძირითადი მდინარეული არტერიაა მტკვარი და მისი შენაკადები: ფოცხოვისწყალი ქვაბლიანით, ურაველი, ძინძე, წინუბნისწყალი და სხვ. ტბებიდან აღსანიშნავია წუნდა და სათახვე (ყარაგელი). ოდესღაც მთელი ეს მიდამოები (ქვაბულის ფსკერის ჩათვლით) ტყეებითა და ბუჩქნარებით დაფარული ყოფილა. დღეს კი მათი ადგილი ტყეს/ტეპსა ან სტეპს უკავია. ტყეები შემორჩენილია მხოლოდ მთებში. ახალციხის ქვაბული გამოირჩევა იმ თვალსაზრისით, რომ აქ უხვადაა ნაპოვნი განამარხებული ფლორისა და ფაუნის ნაშთები. მაგალითად, გოდერძის ფლორა, განამარხებული ნაშთები ქისათიბის დიატომიტის საბადოსთან და სოფ. ბენარასთან (ადიგენის მუნიციპალიტეტი). აქ, ქვიშაქვებში აღმოჩენილი პალეოგენური (მესამეული) ფაუნა დღეს გადაშენებულია: მარტორქა, ლორების წინაპარი, ხმელეთის გიგანტური კუ და სხვ. ქვაბულის მიდამოებში მრავლადაა მინერალური წყაროები. მათგან აღსანიშნავია წყაროები აბასთუმანში, ახალციხეში, ასპინძაში, ურაველში და სხვაგან. ახალციხის ქვაბული, რომელიც მდებარეობს ზ.დ 1000-2500 მ სიმაღლით დიაპაზონში, ვერტიკალური ზონალობის პრინციპის გათვალისწინებით გამოირჩევა ძლიერ დანაწევრებული რელიეფით, კლიმატური და ნიადაგური მრავალფეროვნებით. ყოველივე ეს ხელს უწყობს „მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას მევენახეობა-მებაღეობიდან – მესაქონლეობამდე, და განაპირობებს ამა თუ იმ მიკრორაიონის სპეციალიზაციას

კულტურათა შესაბამის სახეობაში. ახალციხის ქვაბულში, განსაკუთრებით მის დასავლეთ და სამხრეთ ნაწილში ძლიერად იჩენს თავს ნიადაგების ეროზია, რაც ბევრად განაპირობა აქ ტყეების მოსპობამ და თიხა-ფიქალების გავრცელებამ, რომელიც ადვილად განიცდის ზედაპირულ გადარეცხვას“.



ახალციხის ქვაბულის ვაკისა და მთისწინეთის მდელის ყავისფერი, რუხი ყავისფერი და ტყის ყავისფერი ნიადაგების რაიონი (44) – ნიადაგების რაიონი, რომელიც მდებარეობს ახალციხის ქვაბულის ვაკესა და მიმდებარე მთისწინეთს აჭარა-იმერეთისა და ერუშეთის ქედების ფარგლებში. ყველაზე დიდი ფართობი უკავია ახალციხის ქვაბულის ფსკერზე უკავია ალუვიურ კარბონატულ, მიმდებარე მთისწინეთში – რუხ-ყავისფერ ნიადაგებს. ძველ ტერასებზე ფორმირებულია მდელის ყავისფერი ნიადაგები.

ახალციხის ქვაბულის ტყის ყავისფერი და ტყის ყომრალი ნიადაგების რაიონი – ნიადაგების რაიონი, რომელიც მდებარეობს ახალციხის ქვაბულის ფარგლებში არსიანის, აჭარა-იმერეთისა და ერუშეთის ქედების ფერდობებზე ტყე-ველისა და მაღალი მთის სარტყელს შორის. მცენარეულობიდან უმთავრესად გაბატონებულია ფიჭვი, ნაძვი და მცირე რაოდენობით – სოჭი. ძლიერ შეზღუდულია ნიფლის გავრცელება. აჭარა-იმერეთის ქედის ფერდობებზე, აღნიშნული რაიონის ფარგლებში, აბასთუმნის მიდამოებში ვრცელდება საშუალო და მცირე სისქის ხირხატიანი ტყის ყომრალი, ნაძვნარებში – მუქი ყომრალი, ხოლო ციცაბო ფერდობებზე, ფიჭვნარებში – მცირე სისქის, ძლიერ ხირხატიანი ყომრალი ნიადაგები. თეთრობ-ჭობარეთის ქედი კი, რომელიც კირქვების ფართო გავრცელებით ხასიათდება, ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებითაა წარმოდგენილი და ერთგვარ „ნიადაგურ კუნძულს ქმნის“.



ახალციხის წყაროები – მინერალური წყაროები ქ. ახალციხის მიდამოებში. მიეკუთვნება ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ, კალციუმ-მაგნიუმ-ნატრიუმთან მინერალურ წყლებს, წყლის ტემპერატურაა 37°C. აქ რამდენიმე წყაროა, რომელთა ჯამური დებიტია 50-60 ათ. ლ. წყალი თერმულია (38°C). საერთო მინერალიზაციაა 9 გ/ლ-მდე. კურორტის ტერიტორია თითქმის მთლიანადაა დაცული შავი ზღვის ნოტიო ჰაერის მასების გავლენისაგან, რის გამოც დაბალია ჰაერის ტენიანობა და ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა.

ახალციხური თეთრი – ვაზის ჯიში, მრგვალი და თხელკანიანი. ახალგარზდა ყლორტები მწვანეა, რომელთაც გასდევს წითელი ზოლი. ძველად ფართოდ იყო გავრცელებული ახალციხის მიდამოებში.

ახალშენის ეკლესია – ეკლესია (XI ს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში. შემორჩენილია ლაპიდარული ნარჩენები.

ახაშენი – მინერალური წყარო ასპინძის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება აზოტოვან სულფატურ-ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 1.5 გ/ლ.

ახაშენის ეკლესია – ერთნავიანი ეკლესია ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახაშენში. ნაგებია თლილი ქვით.

ახმა – სოფელი, იხ. ორლოვკა.

ახჩია – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი (შუა სს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, ვარძიის სამხრეთ-დასავლეთით 8 კმ მანძილზე, ნასოფლარ ახჩიის განაპირას. ფრიალო კლდის ძირას შემორჩენილია ერთნავიანი ეკლესია. ნაგებია ბაზალტითა და კირის დუღაბით. ტრაპეზის ქვასა და სარკმლის თავზე ამოკვეთილია ტოლმკლავა ბოლოებგაფართოებული ჯვარი.

ახჩიის ტერასები – ტერასები ასპინძის მუნიციპალიტეტში, ვარძიასთან ახლოს, სოფ. ახჩიის მიდამოებში. მიკვლეულია დარნის ტიპის ნაგებობები, ყორღანული ქვაყრილები და სამეურნეო ტერასები.



ქ. ახალციხე კველად, ერმაკოვის ფოტო
ფოტო: თსუ გეოგრაფიის მუზეუმი

ბ

ბაბილო – გაველურებული ვაზის ჯიში. შემორჩენილია ნასახლარებზე, მდინარეთა ხეობებსა და ტყეებში. გვხვდება სამცხეში.

ბაგებისღელე – მდინარე ახალციხის მუნიციპალიტეტში, მტკვრის მარცხენა შენაკადი.

ბაგინეთი – ნასოფლარი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. გუჯარეთისწყლის ხეობაში, „მაღალჯვრის“ ქვემოთ, წყლის ნაპირას. სახლები ნაგებია დიდი ლოდებით და ციკლოპურ ნაგებობათა შთაბეჭდილებას ტოვებს.

ბაგრა – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ხოსპიოს თემის საკრებულოში, ახალქალაქის პლატოს ცენტრალურ ნაწილში, მდ. ფარავნის მარჯვენა მხარეს, აბულის (ფარავნის მარჯვენა შენაკადი) შესართავთან, ზ.დ. 1650-1705 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 4 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1301, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (48 %) და ქართველი (43 %) (2002). შემორჩენილია დარბაზული ტიპის ეკლესია.


ბაგრის ეკლესია – დარბაზული ეკლესია (X ს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავნის მარჯვენა ნაპირზე, ზ.დ. 1680 მ, ახალქალაქიდან 4 კმ-ზე. შემორჩენილია ლაპიდარული წარწერები.

ბაიები – კლდეში გამოკვეთილი კომპლექსი (XII-XIII სს.) ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. ურავლის ხეობაში, სოფ. წყორძის დასავლეთით. შემორჩენილია ეკლესიების, გალავნის, სადგომებისა და სამალავების ნანგრევები. ეკლესიები თითქოს კლდეში შედგმული უნდა ყოფილიყო, რომლებიც შემკული იყო ჩუქურთმებითა და წარწერებით. ადილობრივების თქმით, აქაურ ერთ მცხოვრებს ბაიარქმევია, რომელსაც ბევრი შვილი ჰყოლია. მტრის შემოსევებისას აქაურ სამალავებში მალავდნენ ბავშვებს. მათი რწმენით, აქედან მოდის სოფლის სახელი.

ბაკურიანი – დაბა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, მდ.ბაკურიანისწყლის (გუჯარეთისწყლის შენაკადი) ნაპირას, ზ.დ. 1620-1730 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 30 კმ მანძილზე, სამთო-კლიმატური კურორტი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1.9 ათ. კაცი (2014). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები შემოსილია წიწვიანი (უმთავრესად ნაძვნარი) ტყით. აღმოჩენილია მეგალითური კულტურის ნაშთი. შემორჩენილია ადრინდელი ფეოდალური ხანის საკულტო ნაგებობა „პანტნარის ტაძარი“.

ბაკურიანში 1962-1991 წლებში საშუალო ტემპერატურა მცირედ შეიცვალა და შემცირდა $0.09^{\circ}\text{C}/_{30\text{წ}}$, აქედან I-II პერიოდებში (1962-1971, 1972-1981) – $0.03^{\circ}\text{C}/_{30\text{წ}}$, II-III პერიოდებში (1972-1981; 1982-1991) – $0.06^{\circ}\text{C}/_{30\text{წ}}$. ატმოსფერული ნალექების ჯამები მთლიან შუალედში გაიზარდა 628 მმ-ით. აქედან I-II პერიოდში გაიზარდა 607 მმ-ით, II-III პერიოდში, 21 მმ-ით. I-დან III პერიოდის ჩათვლით აღინიშნება ტემპერატურის თანდათანობით შემცირება: I და II პერიოდში აღინიშნა ტემპერატურის შემცირება 0.03°C -ით, ხოლო II და III პერიოდში – 0.06°C -ით. ქალაქის სახელწოდება უკავშირდება პიროვნულ სახელს „ბაკურ“-ს და ნაწარმოებია „იან“ სუფიქსით.

ბაკურიანი – კურორტი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, მდ. ბაკურიანისწყლის (გუჯარეთისწყლის შენაკადი) ნაპირას, ზ.დ. 1620-1730 მ სიმაღლეზე. მიდამოები შემოსილია მუქწიწიანი ტყეებით (ნაძვი, სოჭი). ზაფხული ზომიერად გრილია (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა – +14°C), ზამთარი – ზომიერად რბილი (იანვრის საშუალო ტემპერატურა – -5.6°C). ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობაა 800 მმ. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია მთის მშრალი ჰავა. კურორტი ფუნქციონირებს 1936 წლიდან.



ქარის მიმართულების განმეორებადობა (%)

ბაკურიანი – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში. მიეკუთვნება აზოტოვან ქლორიდულ-ნატრიუმთან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 0.4 გ/ლ.

ბაკურიანი – ნამოსახლარი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის ბოტანიკურ ბაღში, გვიან ბრინჯაოს ხანის.

ბაკურიანის ანდეზიტი, ანდეზიტი – დაბა, მუშათა დასახლება ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. ბორჯომულას სათავეებში, ზ.დ. 1540-1580 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 38 კმ, დაბა ბაკურიანიდან 8 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 0.4 ათ. კაცი (2014). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოებში მდებარეობს სამკურნალო მინერალური წყაროები, ანდეზიტის კარიერი, ანდეზიტის საფქვაავი და სახერხი საამქროები.

ბაკურიანის ანდეზიტის საბადო – საბადო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მარაგია 5 მლნ მ³, რითაც იგი უდიდესია საქართველოში.




დაბა ბაკურიანი

ბაკურიანის ანდეზიტის ჰიდროლოგიური სადგური – ჰიდროლოგიური სადგური ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. ბორჯომულაზე, აუზის ფართობი – 71 კმ², აბსოლუტური სიმაღლე – 1558 მ, დაკვირვების წლები – 1954-1991.

ბაკურიანის ბოტანიკური ბაღი – ბოტანიკური ბაღი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანის სიახლოვეს, ბაკურიანის ქედის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე, ზ.დ. 1700 მ სიმაღლეზე. დაარსდა 1910 წელს კობტაგორის დასავლეთ კალთაზე, 1937 წელს კი გაშენდა ახალ ტერიტორიაზე. ძირითადი დანიშნულებაა კავკასიის მაღალმთიანეთის მცენარეების ინტროდუქცია და მათი ბიოეკოლოგიურ თავისებურებათა დადგენა. მის ტერიტორიაზე არის მცენარეთა საცდელი ნაკვეთები და კოლექციები.

ბაკურიანის ლავური ნაკადი – ლავური ნაკადი დაბა ბაკურიანის მიდამოებში, სადაც ამოფრქვევის ცენტრია მუხერის კრატერული ბორცვი. ეს ანდეზიტური ლავა გავრცელდა მდინარეების ბორჯომულისა და გუჯარეთისწყლის ხეობებში და მიაღწია ქ. ბორჯომს. ლავურმა ღვარმა გადაკეტა მდ. მტკვარი და 1.5 კმ მანძილზე ხეობის მიმართულებით გავრცელდა.



კლიმატოგრაფი (ბაკურიანი)

ბაკურიანის მეტეოსადგური (აგრო) – მეტეოროლოგიური სადგური ბორჯომის მუნიციპალიტეტში. ზ.დ. 1665 მ სიმაღლეზე, აღმოსავლეთით და სამხრეთით ხშირი ტყეა. სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით „კობტას“ მთის კალთებია. დასავლეთის მხარე შედარებით ღიაა, ხოლო 2 კმ-ის მანძილიდან შემოფარგლულია ტყის მასივით. მეტეოროლოგიურ სადგურზე დაკვირვებები წარმოებს 1911 წლიდან დღემდე.

ბაკურიანის მეტეოსადგური (რკინიგზის) – მეტეოროლოგიური სადგური ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ზ.დ 1654 მ სიმაღლეზე, რკინიგზის სადგურის მახლობლად, კურორტის დასახლებულ ტერიტორიაზე. დაკვირვებები წარმოებდა 1903 წლიდან 1992 წ-მდე.

ბაკურიანის ნაკრძალი მეურნეობა – საჯიშე მეღიების, მენადირეობის მეურნეობა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში. მოეწყო 1932 წელს. გაშენებული იყო 100 ჰა ფართობზე. აქ მიღებულია მეღიის საუკეთესი ჯიში – თეთრი მეღა, რაც დიდ იშვიათობას წარმოადგენს. მას „ბაკურიანული თეთრი მეღა“, „ქართული თეთრი მეღა“ უწოდებს.

ბაკურიანის სადაბო საკრებულო – საკრებულო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: დიდი მიტარბი, თორი, პატარა მიტარბი, პატარა ცემი და საკოჭავი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 112 კაცი (2002).

ბაკურიანის სეისმური სადგური – მუდმივი სეისმური სადგური ქ. ბორჯომში (41.7337°N; 43.5032°E). ფუნქციონირებს 2005 წლიდან.

ბაკურიანისწყალი – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. გუჯარეთისწყლის მარცხენა შენაკადი. სიგრძეა 17 კმ, ფართობი – 44 კმ². სათავე აქვს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, საყველოს მთისა და ცხრანყაროს უღელტეხილის მახლობლად. გაზაფხულზე იცის წყალდიდობა. ხეობის განიერ ნაწილში გაშენებულია კურორტი ბაკურიანი.

ბაკურიანის თეთრი მეღა – მეღიის ჯიში, მიღებული ბაკურიანის ნაკრძალ-მეურნეობაში. გამოიყვანეს შავ-ვერცხლისფერი მეღიები ბუნებრივი მუტაციის გზით. სხეულის სიგრძეა 58-77 ს, კუდის

– 35 სმ. აქვს თოვლივით თეთრი ბენვი, შავი ყურები და შავი ზოლები ზურგზე. ძვირფასბენვიანია. მასზე ნადირობა აკრძალულია.

ბალანთა – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი (სოფლები: ბალანთა, ჭიხარულა), ჯავახეთის ზეგანზე, ტაბანყურის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, მდ. ბარალეთის აუზში, ზ.დ. 1800-1880 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 70 კმ მანძილზე, საკრებულოს ცენტრი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 161. მათი უმრავლესობა (72 %) ქართველია, ცხოვრობენ სომხებიც (27 %) (2002). მიკვლეულია ბრინჯაოს ხანის ლოდები, სამეურნეო იარაღები, ანტიკური პერიოდის ქამრის ბალთები, მარცვლეულის შესანახი ხაროები. კლდეზე გამოქვაბულთა კომპლექსია – ოქროს ქვაბები, სადაც პირველყოფილი ადამიანის საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო. სახელწოდება მომდინარეობს საკუთარი სახელისაგან „ბალა“.

ბალანთის თემის საკრებულო – საკრებულო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ბალანთა და ჭიხარულა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 460 (2002).

ბალანთის ციხე – ციხე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბალანთასთან.

ბალიაშვილის დარბაზი – მესხური დარბაზი ქ. ახალციხეში, რაბათში. მაღალმხატვრულადაა შემკული ჩუქურთმებით.


ბალხო – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ზაკვის თემის საკრებულოში, მდ. მეჯურის (ბარალეთის შენაკადი) მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1720-1760 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან ჩრდილოეთით 16 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 722. რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002).

ბანისხევი – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მტკვრის მარცხენა შენაკადი. სიგრძეა 16 კმ, აუზის ფართობი 49.2 კმ², წყლის საშუალო ხარჯი 1.73 მ³/წმ. სათავე აქვს ლომისმთის (აჭარა-იმერეთის ქედი) სამხრეთ ფერდობზე, ზ.დ. 1992 მ სიმაღლეზე. მტკვარს ერთვის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. რველის მახლობლად. მიედინება წინვიან და შერეულ ტყეებით შემოსილ ღრმა და ვიწრო ხეობაში.

ბანისხევი – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება აზოტოვან ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 1.0 გ/ლ.

ბანისხევი – სამაროვანი, იხ. რველი.

ბარალეთი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდ. ბარალეთის ნაპირებზე, ზ.დ. 1680-1700 მ სიმაღლეებზე, ქ. ახალქალაქიდან ჩრდილოეთით 16 კმ მანძილზე, ახალქალაქ-ტაბანყურის საავტომობილო გზაზე, საკრებულოს ცენტრი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 969. მოსახლეობის უმეტესობა (79 %) სომეხია, ქართველი – 21 % (2002). სოფელში დგას შუა საუკუნეების ქართული ეკლესია – სამნავიანი დარბაზული ბაზილიკა (XIII სს., შემორჩენილია ლაპიდარული წარწერები) და სომხური ეკლესია. შემორჩენილია დარბაზული ტიპის ერდოიანი საცხოვრებელი სახლები. ვახუშტი ბაგრატიონი ბარალეთის შესახებ წერს: „წუნას ზეით ჯავახეთის მტკვარს მიერთვის ჩდილოდამ ბარალეთის მდინარე ... ამ წყალზედ მტკვრის შესართავის ზეით, არს ბარალეთი, მცირე ქალაქი“.



მდ. ბარალეთის (არაქვასთან) საშუალო ხარჯები სხვადასხვა კვეთებში (მ³/წმ)

ბარალეთი, ბარალეთისწყალი, არაკვისწყალი, დიდწყალა – მდინარე ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ფარავნის მარჯვენა შენაკადი. სათავე აქვს აბულ-სამსრის ქედის დასავლეთ ფერდობზე, ზ.დ. 1860 მ სიმაღლეზე. სიგრძეა 30 კმ, აუზის ფართობი – 469 კმ², წყლის საშუალო წლის ხარჯი – 3.37 მ³/წმ. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე.

ბარალეთის თემის საკრებულო – საკრებულო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ბარალეთი, დიდი სამსარი, იხტილა, მერენია და პატარა სამსარი. მოსახლეობის რიცხოვნობა 4245 კაცი (2002).

ბარალეთის ეკლესია – სამნავიანი ბაზილიკა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდ. ბარალეთისწყლის ნაპირზე. ეკლესიის ეზოში მრავლადაა საფლავის ქვა. ერთ-ერთ მათგანზე გამოსახულია გუთანი სახნისით.

ბარალეთის სარწყავი არხი – უკაშხლო სარწყავი არხი გაიყვანეს 1955 წელს. წყლის ხარჯია 0.30 მ³/წმ, სარწყავი ფართობი – 246 ჰა.

ბატკანძერი – ფრინველი, იხ. კრავიჭამია.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზი – იხ. „რკინის აბრეშუმის გზა“.

„ბებერი ვენახები“ – იხ. მილახევის ტერასები.

„ბებიას მსხალი“ – მსხლის ჯიში, იხ. ნანაძირი.

ბეგობის არწივი (Aquila heliaca) – ფრინველი შავარდნისნაირი, ქორისებრთა ოჯახიდან. ბინადრობს ახალციხის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ფოთლოვან, შერეულ და მეჩხერ ტყეებში, ზ.დ. 2000 მ სიმაღლემდე. იშვიათი და მცირერიცხოვანი ფრინველია. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც გამქრალი ან მიუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობა.



ბეგობის არწივი

ბეთლემის ეკლესია – დარბაზული ტიპის ეკლესია (XIV ს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოთიდან ჩრდილოეთით, 4.5 კმ მანძილზე მდ. ჯაბიეთისწყლის (ოთის მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა მხარეს.

ნაგებია ნატეხი და თლილი ქვებით. შემორჩენილია ნანგრევები კედლის მახტვრობისა და წარწერების ფრაგმენტებით.

ბენარა, ბელნარა – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. აბასთუმნისწყლის (ქვაბლიანის მარცხენა შენაკადი) მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1050-1100 მ სიმაღლეზე, ადიგენ-ახალციხის საავტომობილო გზაზე. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 230, რომელთა 88 % ქართველია (2002). სოფლის მიდამოებშია „ოქროს ციხე“ (განვ. შუა სს.). სოფლის ძველი სახელწოდება ყოფილა ბელნარა. პირველად მოხსენიებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ როგორც ახალციხის ლივის ალთუნყალის (ოქოროსციხე) ნაჰიეში შემავალი სოფელი. სოფლის სიახლოვეს,

მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახლოებით 1.3 კმ მანძილზე, „ზადენ გორაზე“ მიკვლეულია ნამარხი ფაუნა (ანტილოპის, მარტორქის, ჟირაფის ნაშთები).

ბენარა-პარეხის ბენტონიტური თიხის საბადო – ბენტონიტური თიხის საბადო ადიგენის მუნიციპალიტეტში. მარაგია 7.5 ათ. ტ.

ბენარა-შულავერის ბენტონიტური თიხა – ბენტონიტური თიხის საბადო ადიგენის მუნიციპალიტეტში. მარაგია 5.5 ათ.

ბენარის თემის საკრებულო – საკრებულო ადიგენის მუნიციპალიტეტში. მოსახლეობის რიცხოვნება – 1936 კაცი (2002).


ბენარის ნამარხი ფაუნა – ნამარხი ფაუნა ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. აბასთუმნისწყლის ხეობაში, სოფ. ბენარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ამაღლებულ გორაზე, ადგილ ზადენის გორაზე. აქ მიკვლეულია ოლიგოცენის ნამარხ ხერხემლიანთა ფაუნის ნაშთები. აქ შედის დასავლეთევეროპული და აზიური ელემენტები, რომლებიც ამოწვდა. გადმოცემით, ბენარის მიდამოებში უნდა იყოს მიტოვებული ოქროს მომპოვებელი მაღარო, რომელიც რუსეთის ბოლო იმპერატორის – ნიკოლოზ II-ის დროს მუშაობდა. მისი ზუსტი ადგილსამყოფელი ამჟამად მივიწყებულია.

ბერთაყანის ნასოფლარი – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. თმოგვის სიახლოვეს, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს. მის სიახლოვესაა ბერთაყანის ქვაბები.

ბერთაყანის ქვაბები – გამოქვაბულები ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. თმოგვის სიახლოვეს, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, კლდეზე. განლაგებულია 2-3 იარუსად. ქვაბები ერთმანეთს უკავშირდება გვირაბებით. ძველად იყენებდნენ სახიზრად. შემორჩენილია წარწერები, სადაც მოხსენიებულია ჯავახეთის საეპისკოპოს გამგებელი ზოსიმე კუმურდოელი.

ბერისხევი – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, კლდეში ნაკვეთი (XIII ს.) სავანე ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ვარძიის მონასტრიდან 1.5 კმ მანძილზე. გამოქვაბულთა კომპლექსი მდებარეობს 20 მ სიმაღლის მიუდგომელ კლდეზე. მასში მოხვედრა შეიძლება მხოლოდ გვირაბით. კომპლექსი მოიცავს დარბაზულ ეკლესიას, საცხოვრებელ და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებს, გვირაბის ტიპის თავდაცვით სათავსებს.

ბეჟანა, მოზაიკი, ჭრელი – თეთრყურძნიანი მესხური ვაზის ჯიში, საღვინე. მტევანი დიდი: 25X9 სმ, წონა – 350 გრ, ზოგიერთის – 700-900 გრამიც. მარცვალი დიდი და კუმსი. ყურძნის წვენის შაქრიანობაა 15.0 %, მჟავიანობა – 8-10 გრ/ლ. სიმწიფის პერიოდში მარცვლების ნაწილი ჭრელია – შავი, ნაწილი ყავისფერი, ან მწვანე. ფოთლის ზედაპირი სწორი და ღია მწვანეა, ქვედა მხარე შეუბუსავი, ზომები: 26X20 სმ. მოსავლიანობაა 15-20 კგ ძირზე (მაღლარი). გამძლეა სოკოვანი დაავადებების მიმართ, ყინვალგაძლეა. 1950-იან წლებში ვაზის ამ ჯიშის ცალკეული ეგზემპლარები გვხვდებოდა სოფლების აწყურისა და საროს მიდამოებში. იმის გამო, რომ სიმწიფის პერიოდში მარცველები განსხვავებული შეფერილობისაა, მესხები მას მოზაიკს, ჭრელს, „ბეჟანას“ უწოდებდნენ („ბეჟანა“ – ჭრელი საგნები).



ბეჟანა
ფოტო: გიორგი მაღრაძე

ბეჟანო, ბოჟანა, ბოჟანო, ბაჟანო, ფოჟანი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, კოჭიოს საკრებულოში, ჯავახეთის ზეგანზე, მდ. ბარალეთის სათავეებში, ტაბანყურის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, ზ.დ. 1795-1840 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 28 კმ მანძილზე. საქართველოს

მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 997, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). არსებობს მოსაზრება, რომ სოფელი ჯანჯღა შეერწყა სოფ. ბოჟანოს და გაერთიანებულ სოფლებს ეწოდა ბოჟანო, მოგვიანებით – ბეჟანო. სახელწოდება „ბეჟანო“ ქართულის დამახინჯებული ფორმაა. ძველად ერქვა „ბოჟანო“. შეიცვალა 1828-1829 წლების შემდეგ, რაც სამცხე-ჯავახეთში დასახლდა თურქეთიდან გადმოსახლებული სომეხი მოსახლეობა. ძველი ქართული სახელითაა იგი მოხსენიებული მრავალ წყაროში – დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის, ვახუშტი ბაგრატიონისა და იოანე ბაგრატიონის თხზულებებში, ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“ და სხვაგან.

ბენარის თემის საკრებულო – საკრებულო ადიგენის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ბენარა, ნაქურდევია, უნწა, შორაველი და ხევამენი. მოსახლეობის რიცხოვნობა 1160 კაცი (2002).

ბენარის წყება – ოლიგოცენური ნალექების წყება, რომლითაც აგებულია აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთი ფერდობი. ბევრგან ეს წყება თანხმობით აგრძელებს ზედა ეოცენს.

ბერთაყანა – კლდეში ნაკვეთი ქვაბი ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. თმოგვთან, კლდოვან ფერდობზე. წარმოადგენს სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე, 3-სართულიან გამოქვაბულთა კომპლექსს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია გვირაბებით. ძველად იყენებდნენ სახიზრად.

ბერთაყანის მენყერი – მენყრული სხეული ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. თმოგვთან. დასავლეთ ნაწილში გაკვეთილია მდ. მტკვრით და შექმნილია კლდეკარი. მენყერი 1.5 კმ-ის სიგრძე-სიგანისაა.

ბერთაყანის ტერასები, ვერთაყანის ტერასები – უკედლო ტერასები ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. თმოგვის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ურავლის ხეობაში. შედის ლარების უძველეს კომპლექსში.

ბერისაყდარი – ნასოფლარი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყვიბისის აღმოსავლეთით 4 კმ მანძილზე. შემორჩენილია ნანგრევები.

ბერისაყდარი – წმ. გიორგის სახელობის ეკლესია (IX ს.) ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყვიბისის აღმოსავლეთით 4 კმ მანძილზე, ნასოფლარ ბერისაყდრის ფარგლებში. შემორჩენილია ნანგრევები.

ბერისხევი, ბერისხევის ქუაბნი – კლდეში ნაკვეთი გამოქვაბული-ეკლესია, წმ. მარინეს ეკლესია (XIII ს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირას, ვარძიის მონასტრიდან 1.5 კმ მანძილზე. აერთიანებს დარბაზულ ეკლესიას, სენაკს, თახჩებიან სათავსოსა და გვირაბებს.

ბესელთავის ციხე – იხ. წრიოხის ციხე.

ბზა – იხ. კოლხური ბზა.

ბიეთის ეკლესია – გუმბათოვანი ეკლესია (XIV ს., 1493 წ.) ახალციხის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდ. ალვანისღელის (წინუბნისწყლის მარცხენა შენაკადი) მარცხენა მხარეს, სოფ. გურკელის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მოვაკებულ ადგილას, ფიჭვის ტყეში. ნაგებია თლილი ქვით. ჩრდილოეთიდან მიშენებული აქვს სამლოცველოები. ყოფილა მოჩუქურთმებული და მოხატული. შემორჩენილია ნანგრევები. მიმდინარეობს რესტავრაცია. სახელწოდებას კომპის სახელს უკავშირებენ. დასავლეთ საქართველოში კომპს ბიას უწოდებენ.

ბლორძა – მინერალური წყარო ახალციხის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება აზოტოვან სულფატურ-ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 0.7 გ/ლ.

ბნელა – კედლიანი ტერასა სოფ. ბნელას გამოღმა, მდ. მტკვრის ნაპირას.

ბოგა – მინერალური წყარო ახალციხის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია – 1.7 გ/ლ.

ბოგა, შურდო – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, სვირის თემში, მდ. ჭანისწყლის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1300-1430 მ სიმაღლეზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 229, რიცხობრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (99 %) (2002). სოფლის მახლობლად შემორჩენილია ტაძრის (VII-VIII სს.) ნანგრევები. სხვადასხვა ხილის გარდა, ძველად აქ ვაზიც ჰქონდათ მოშენებული. სოფლის სიახლოვეს არის აქატის საბადოები.

ბოგდანოვკა – ქალაქი, იხ. ნინოწმინდა.

ბოგდანოვკის მეტეოსადგური (ნინოწმინდა) – მეტეოროლოგიური სადგური ჯავახეთის ზეგანზე, ახალქალაქის პლატოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, კარნახის ტბის აღმოსავლეთით, ზ.დ. 2077 მ სიმაღლეზე. მეტეოროლოგიურ სადგურზე დაკვირვებები წარმოებდა 1927-1992 წლებში.

ბოდოკლდის ციხე – ციხე ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. კურცხანის (აბასთუმნისწყლის მარცხენა შენაკადი) ხეობაში, მაღალ კლდეზე, ძნელად მისასვლელ ადგილას.

ბოზალთხევი – ანტიკური ხანის ნამოსახლარი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭობისხევის მახლობლად.

ბოზალი, ბოძალი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სულდის საკრებულოში, ახალქალაქის პლატოზე, კარნახის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზ.დ. 1870-1950 მ სიმაღლეზე,

ხალწუკი

(ნაწვევტი)

„ღვინო ბოგასა, პური კლდესა,
თეფი მთხოვე ტობასა,
თუ ვინდა წითელი ვაშლი
გაღმა-გამოდმა წყობასა“.



სოფელ ბოზალის მიდამოები

ქ. ახალქალაქიდან 21 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 178, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). სოფლის თავდაპირველი სახელი „ბოძალი“ უნდა ყოფილიყო. იგი ნიშნავს „ორპირ ისარს“, ან საბოძე ხეს, რომელსაც თავზე აქვს ორკაპად.

ბოლაჯური – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. ქვაბლიანის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1180-1245 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 8 კმ მანძილზე, საკრებულოს ცენტრი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 946, რომელთა 99 % ქართველია (2002). შემორჩენილია ეკლესიის (XIII ს.) ნანგრევები. შემკული ყოფილა ჩუქურთმებითა და ლაპიდარული წარწერებით.

ბოლაჯურის თემის საკრებულო – საკრებულო ადიგენის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ბოლაჯური და ქვემო ენთელი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1368 კაცი (2002).

ბოჟანო – სოფელი, იხ. ბეჟანო.

ბოჟანოს ეკლესია – დარბაზული ეკლესია ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ზ.დ. 1820 მ.

ბორბალა, ბარბოლა – მდინარე ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. ფოცხოვისწყლის მარჯვენა შენაკადი.

ბორნიღელე – გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, სოფ. დვირის ჩრდილოეთით, მდ. ბორნიღელის სათავეში, აგებულია ქვის ფილებით. მიკვლეულია შუბისპირები, სატევრები, საკინძეები და სხვა არქეოლოგიური მასალა.

ბორჯომ-ბაკურიანის ეროვნული პარკი – ეროვნული პარკი აჭარა-იმერეთის ქედის აღმოსავლეთ მონაკვეთზე. სამცხე-ჯავახეთში შემოდის ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. პარკის უმაღლესი მწვერვალია სამეცხვარიო (ზ.დ. 2198 მ). აქ სანაკრძლო ტერიტორიის დაარსება

უკავშირდება ამიერკავკასიის მეფინაცვლის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის სახელს, რომელიც რუსეთის იმპერატორის – ალექსანდრე II-ის ძმა იყო და რომელმაც ბორჯომის ხეობა მიიღო ძმისგან საზაფხულო რეზიდენციად. 1871 წელს საზეიმოდ გაიხსნა სასახლე. მას ესწრებოდა რუსეთის იმპერატორიც, რომელმაც ძმას საჩუქრად გადასცა ბორჯომის ხეობა. მიხეილ რომანოვმა ტყის დიდი მასივი შემოლობა, ჩამოაყალიბა ეგერთა რაზმი, ააშენა მონადირეთა სახლები ბანიხევში, თორში, ლიკანში, ლომისის მთაზე და სხვაგან. გამგებლად გერმანიიდან მოიწვია ბუნებისმეტყველი იუტნერი, რომლის სასახლე დღესაც დგას ქ. ბორჯომის ცენტრში. სწორედ მისი ინიციატივით გაუშვეს ბორჯომის ხეობაში ევროპიდან შემოყვანილი ციყვები – ე.წ. „დანეილკები“, ხოლო მდ. ცოფიანღელეს



ბორჯომ-ბაკურიანის ტყე-პარკის ტარიტორია

ხეობაში – ლაგოდენიდან ჩამოყვანილი ჯიხვი. ორივე კარგად გამრავლდა. 1935 წელს რომანოვების კუთვნილი მამული ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალად (17948 ჰა) გამოცხადდა, ხოლო 1995 წელს იგი საქართველოში პირველ ეროვნულ პარკად – ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკად იქცა.

ბორჯომ-ბაკურიანის ვინროლიანდაგიანი რკინიგზის ხაზი – გაიხსნა 1902 წელს. 1966 წლამდე ამ ხაზზე ორთქმავლები დადიოდნენ, 1960 წლიდან – ელმავლები.

ბორჯომ-ბაკურიანის კლიმატური ქვერაიონი – კლიმატური ქვერაიონი, რომელიც შედის კლიმატურ რაიონში ნოტიო ზღვიურიდან ზომიერად ნოტიო კონტინენტურზე გარდამავალი მთის კლიმატით, ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი ზაფხულით. მდებარეობს თრიალეთის ქედის დასავლეთ ნაწილში. მოიცავს მდინარეების მტკვრის, გუჯარეთისწყლისა და ბორჯომისწყლის ხეობებს, ზ.დ. 800-დან 1800 მ სიმაღლემდე. მთელი მხარე ტყიანია (შერეული და წიწვიანი), მდიდარია კურორტებითა და სააგარაკო ადგილებით, რომლებიც განლაგებულია სხვადასხვა სიმაღლეზე, დაწყებული ზ.დ. 800-900 მ-დან (ბორჯომი) 1800 მ-მდე (ბაკურიანი). უცივესი თვის (იანვრის) საშუალო ტემპერატურა -3°C -დან -6°C -ის ფარგლებში მერყეობს. ქვედა ზონაში (ზ.დ. 800–1000 მ-ის ფარგლებში) თვის საშუალო ტემპერატურა, ზამთრის სამ თვეში უარყოფითია. შუა ზონაში (ზ.დ. 1100–1500 მ-ის ფარგლებში) ოთხი თვეა უარყოფითი და ზედა ზონაში (ზ.დ. 1500 მ-ის ზევით) ხუთი თვე. ტემპერატურული აბსოლუტური მინიმუმი ქვედა ზონაში $-20-22^{\circ}\text{C}$ -მდეა, ზედა ზონაში -26°C -მდე ეცემა. ქვედა ზონაში ზაფხული გრძელდება 3.5 თვე. ზედა ზონაში კი ერთ თვემდე მცირდება. მაქსიმალური ტემპერატურა ზაფხულის თვეებში $30-36^{\circ}\text{C}$ -ს აღწევს. ყველაზე ცხელი თვე აგვისტოა.

ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 550 მმ-დან (ქვედა ზონა) 800 მმ-დე (ზედა ზონა). ნალექიან დღეთა რიცხვი ქვედა ზონაში საშუალოდ 136-ია წლიურად. ზედა ზონაში 170-175 დღე. უმცირესია ზამთარში 10-12 დღე და უდიდესი მაის-ივნისში 15-17 დღე თვეში. ნალექების დღეღამური მაქსიმუმი დაბალ ზონაში 50 მმ-ს არ აღმატება, ზედა ზონაში 148 მმ. მდგრადი თოვლის საბურველის ხანგრძლივობა ქვედა ზონაში საშუალოდ 70-80 დღეა წელიწადში (დეკემბრის მესამე დეკადიდან მარტის პირველ დეკადამდე) შუა ზონაში 110-115 დღე (დეკემბრის მეორე დეკადიდან აპრილის პირველ დეკადამდე). ზედა ზონაში კი 150-155 დღეა (დეკემბრის პირველი დეკადიდან აპრილის მეორე დეკადამდე). აბსოლუტური ტენიანობა ამ რაიონში მეტია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მთიან რაიონში და ნაკლებია დასავლეთ საქართველოს იმავე სიმაღლეზე მდებარე ადგილებში. საშუალო წლიური შეფარდებითი ტენიანობა 75-77 %-ია და თვეების მიხედვით მცირედ მერყეობს. საკვლევი რაიონის ქვედა ზონაში ნოტიო კლიმატია, ხოლო ზედა ნაწილში – საკმაოდ ნოტიო.

ბორჯომ-ბაკურიანის ლავური ღვარი – ლავური ღვარი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. ბორჯომულის აუზში. თავისი მორფომეტრიული, პეტროგრაფიული და




ძვიშაძვების ჰორიზონტულ შრეებზე განლაგებული ბაზალტური ლავა, ბორჯომის მიდამოები, 1978
ფოტო: საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება

ასაკობრივი ნიშნების მიხედვით გუჯარეთის ლავური ღვარის მსგავსია, თუმცა მისგან განსხვავდება საფეხურისებრი პროფილით. ეს საფეხურები სხვადასხვა დროს არის ამონთხეული. პირველი საფეხური ზ.დ. 870 მ სიმაღლეზეა, მეორე – კურორტ ლიბანთან, ხოლო მესამე საკოჭავის ზემოთ მდებარეობს.

ბორჯომი – კურორტი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იმერეთისა და თრიალეთის ქედებს შორის, ბორჯომის ხეობაში, ზ.დ. 790-940 მ სიმაღლეზე. კლიმატი დაბალი მთის ტიპისაა. ზაფხული თბილი (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა – 20.1°C) და მზიანია, ზამთარი – ზომიერად რბილი (იანვრის საშუალო ტემპერატურა – -2.1°C) და მცირედ თოვლიანი. მდგრადი თოვლის საბურველი წარმოიქმნება დეკემბრის ბოლოდან მარტის პირველ დეკადამდე. მთა-ხეობათა სუსტი ქარები უზრუნველყოფს ხეობის კარგ ვენტილაციას. ნამყვანი სამკურნალო ფაქტორია სასარგებლო კლიმატი და მინერალური წყლები. წყლები გამოიყენება სასმელად და სააბაზანო პროცედურებისათვის.

ბორჯომი – ქალაქი (1918 წლიდან), ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მისი ადმინისტრაციული ცენტრი ზ.დ. 790-940 მ სიმაღლეზე, ქ. თბილისიდან 160 კმ მანძილზე, მდ. მტკვრის, ბორჯომულასა (შავწყალა) და გუჯარეთისწყლის შესართავთან. მოსახლეობის რიცხოვნობა – 13.5 ათ. კაცი (2014). ქალაქის დაარსება განაპირობა მინერალური წყლის არსებობამ. ძველად ბორჯომის ადგილას მდებარეობდარამდენიმესოფელი, მათ შორის სოფელი ნუა, რომელიც მოხსენიებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, როგორც დაცარიელებული სოფელი. ვახუშტი ბაგრატიონს ტოპონიმი „ნუა“ ამავე ადგილზე აქვს აღნიშნული რუკაზე. იხ. – სოფელი, ნუა. ბორჯომში 1962-2004 წლებში საშუალო ტემპერატურა გაიზარდა 0.37°C/40წ., აქედან I-II პერიოდებში (1962-1971, 1972-1981)



ბორჯომი ძველად, ფოტო: ერმაკოვი, თსუ გეოგრაფიის მუზეუმი

შემცირდა $0.09^{\circ}\text{C}/_{406^{\circ}}$, II-III პერიოდებში (1972-1981, 1982-1991) იგი არ შეცვლილა, ხოლო III-IV პერიოდებში (1982-1991, 1992-2004) გაიზარდა $0.46^{\circ}\text{C}/_{406^{\circ}}$. ატმოსფერული ნალექების ჯამები მთლიან შუალედში თითქმის არ შეცვლილა (შემცირდა მხოლოდ 1 მმ-ით). აქედან I-II პერიოდში იგი გაიზარდა 292 მმ-ით, II-III პერიოდში აღინიშნა შემცირება 146 მმ-ით, ხოლო III-IV პერიოდში შემცირება 147 მმ-ით. როგორც ფიქრობენ, სახელწოდება „ბორჯომი“ წარმოქმნილი უნდა იყოს სიტყვა „ბორჯ“-დან, რაც განტოტვილს ნიშნავს, მაგალითად, ფესვს, რქას, ხეს. ასე ამბობენ ხოლმე ბორჯღლიანი ხე, რქებ-ბორჯღალა ირემი. ეს სახელი ამ ადგილს იმიტომ უნდა შერქმეოდა, რომ აქ გზები იტოტება, გზასაყარია. „ომ“ სუფიქსი მრავალადა გამოყენებული ძველთუ თანამედროვე ქართულ ტოპონიმიში, როგორცაა ბათომი, თორთომი, ცხომი და სხვ. მეორე მოსაზრებით, ეს სახელი უნოდეს მდ. ურავლის ხეობიდან – სოფ. ბორჯომიდან (ამჟამად ნასოფლარი) გადმოსახლებულებმა.



ბორჯომი კველად


ფოტო: საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება

ბორჯომი – ნასოფლარი ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქ. ახალციხესთან, მდ. ურავლის ხეობაში, ახლანდელი სოფ. ანდრიაწმინდის სამხრეთით. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მოხსნიებულია 5-კომლიან სოფლად.

ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქია – საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ძირითადი რელიეგიური დანაყოფი, სამღვდელმთავრო, რომელიც მოიცავს ბორჯომის მუნიციპალიტეტს, ისტორიული თორის ტერიტორიას. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება არგვეთისა და უბისის, ურბნისისა და რუისის, აღმოსავლეთიდან – მანგლისისა და ნალკის, სამხრეთ-დასავლეთიდან – ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიები.

ბორჯომის მიწისძვრა – მიწისძვრა 1970 წლის 3 იანვარს. სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო 7-ბალიანი მიწისძვრა, ეპიცენტრით ცხრანყაროს უღელტეხილის სიახლოვეს (41.82°N ; 43.38°E , $M=4.7$).

ბორჯომის მეტეოსადგური – მდ. ბორჯომულას მარჯვენა სანაპიროზე, პარკის შესასვლელთან, ზ.დ. 789 მ სიმაღლეზე. მეტეოროლოგიური მოედანი შემოფარგლულია ბორჯომ-ბაკურიანის მთებით, რომელთა სიმაღლე 100 მეტრს აღემატება. მეტეოროლოგიური მოედნის ჰორიზონტი



ბორჯომი: ნალექების ჯამების ცვლილება



ბორჯომის მინერალური წყარო
XIX ს., ერმაკოვის ფოტო
ფოტო: თსუ გეოგრაფიის მუზეუმი

დახურულია ყველა მიმართულებით. მეტეოროლოგიურ სადგურზე დაკვირვებები წარმოებს 1877 წლიდან დღემდე.

ბორჯომის მინერალური წყაროები – მინერალური წყაროების ჯგუფი ბორჯომის მუნიციპალიტეტში. ბუნებრივი გამოსავლების გარდა, აქ რამდენიმე ქაბურღილია. თითოეული ქაბურღილის დებიტია საშუალოდ 60-70 ათასი ლ, ტემპერატურა – 28°C, საერთო მინერალიზაცია – 0.57 გ/ლ. მიეკუთვნება ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ, ნატრიუმთან წყლებს. შეიცავს თავისუფალ ნახშირმჟავას, ქლორის იონებს, ბრომს, ლითიუმს, ბარიუმს და სხვ. წყლის ტემპერატურა სხვადასხვა წყაროებში მერყეობს +17+38°C-ის ფარგლებში. საერთო მინერალიზაციაა 6-7 გ/ლ.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი – მუნიციპალიტეტი სამცხე-ჯავახეთის მხარეში. 1917 წლამდე ტფილისის გუბერნიის გორის მაზრაში შედიოდა, 1917-1930 წლებში – გორის ოლქში, 1930 წლიდან – ცალკე რაიონია, 1963-1966 წლებში – ხაშურის რაიონის შემადგენლობაშია.

მუნიციპალიტეტის ფართობია 1189 კმ². მის შემადგენლობაშია 1 ქალაქი (ბორჯომი), 4 დაბა (ბაკურიანი, ბაკურიანის ანდეზიტი და ნალვერი), 2 სადაბო საკრებულო (ბაკურიანისა და ნალვერის), 9 სოფლის საკრებულო (ბალანთის, გვერდისუბნის, გუჯარეთის, დვირის, ტაბანყურის, ტაძრისის, ტბის, ყვიბისისა და ციხისჯვრის) და 38 სოფელი. სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა – 12050. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (82.3 %) ქართველია. ცხოვრობენ აგრეთვე სომხები (12.1 %), ბერძნები (1 %) და სხვ. ქართველები ჭარბობს 25 სოფელში, სომხები – 1 და ბერძნებიც – 1 სოფელში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთადერთი სოფელია – მაჭარწყალი, სადაც 10 კაცზე ნაკლები მცხოვრებია. მეორე მცირეკომლიანი სოფელია ღვთისმშობელი, სადაც 17 კაცი ცხოვრობს. ორივე ეს სოფელი მდებარეობს გვერდისუბნის საკრებულოში. 9 სოფელი (გუჯარეთი, ოდეთი, ვარდევანი, თორი, პატარა ცემი, საკოჭავი, ღინტური, წითელსოფელი და წინუბანი) გაუკაცრიელებულია და მუდმივი მოსახლეობა არ არის (2002). ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობაა 31.4 ათ. კაცი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს: ციხეები – გოგიას ციხე (განვ. შუა სს.), „პეტრეს ციხე“ (განვ. შუა სს.), „სამის ციხე“ (განვ. შუა სს.); განახლ. XVI-XVIII სს.), მონასტრები – კიმოთესუბანი, მწვანე მონასტერი, ნეძვი; ეკლესიები – ქვაბისხევში, ციხისჯვრის მიამოებში და სხვ.



ბორჯომის ნაკრძალი – იხ. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი.

ბორჯომის რაიონი – იხ. ბორჯომის მუნიციპალიტეტი.


ბორჯომის სერია – პალეოგენური ასაკის ვულკანური ქანებით აგებული წყება, რომელიც ნაოჭა მარაოსებურ სისტემად არის წარმოდგენილი და აგებულია ანდეზიტებით, ანდეზიტური ტუფ-ბრექჩიებითა და სხვა ქანებით. სამცხე-ჯავახეთში ამ წყებით აგებულია თრიალეთის ქედი ქ. ბორჯომის მიდამოებში.



ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
წყარო: საქართველოს 100 მუზეუმი, 2012.

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი – მუზეუმი ქ. ბორჯომში. მდებარეობს ყოფილი რუსეთის საიმპერატორო ოჯახის – რომანოვების ბორჯომის მამულის კანცელარიის შენობაში. 1890 წელს, გოტიკურ სტილში, აქ აიგო შენობა. დაარსდა 1926 წელს. აქ დაცულია არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ისტორიული, გამოყენებითი ხელოვნებისა და ბუნების იშვიათი ნიმუშები, აგრეთვე რომანოვების პირადი მემორიალური ნივთები. მუზეუმში 37 ათასზე მეტი ექსპონატია, მათ შორის ძვ.წ. ათასწლეულის სამკაულები და იარაღები, აგრეთვე ნუმისმატიკური კოლექცია, ევროპული და აზიური ჭურჭელი, გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები.

ბორჯომის ხეობა – მტკვრის ხეობის მონაკვეთი სოფ. აწყურსა (ახალციხის მუნიციპალიტეტი) და ტაშისკარს (ხაშურის მუნიციპალიტეტი) შორის. მოქცეულია აჭარა-იმერეთისა და თრიალეთის ქედებს შორის. ხეობა „მთიანი დერეფნის“ სახელითაა ცნობილი. გადაჭიმულია 60 კმ მანძილზე. ხეობის ფსკერი ზ.დ. 710-900 მ სიმაღლეზე მდებარეობს. რელიეფში კარგადაა გამოხატული ლავური ღვარები. ერთ-ერთი ყველაზე მძლავრია ბაკურიანის ლავური ღვარი, რომელიც აღწევს მდ. მტკვრის ხეობამდე და ქ. ბორჯომამდე. ბორჯომის ხეობა მოქცეულია ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიის ფარგლებში. ბორჯომის ხეობა კურორტების სიმრავლით გამოირჩევა. აქ მდებარეობს ბალნეოკლიმატური და



ბორჯომის ხეობის მცენარეთა ვერტიკალური სარტყლურობა



ბორჯომის ხეობა. ფოტო: ერმაკოვი, თსუ გეოგრაფიის მუზეუმი


კლიმატური კურორტები: ახალდაბა, ბაკურიანი, ბორჯომი, მზეთამზე, ლიბანი, პატარა ცემი, ტბა, ცემი, ციხისჯვარი, ნალვერი. მინერალური წყაროებიდან გამოირჩევა „ბორჯომი“, რომლის დღეღამური დებიტია 500 ათასი ლიტრი. წყლის ტემპერატურა ცვალებადობს + 38°C-ის ფარგლებში. ბორჯომის ხეობაში, ქ. ბორჯომის მიდამოებში მერგელოვან ქანებში ნაპოვნია დიდი ზომის თევზის (ქაშაყის) ჩონჩხის ანაბეჭდი. ბორჯომის ხეობა ოდითგანვე მაღალი ტყიანობით გამოირჩეოდა, თუმცა მის ფართობი დღეს შემცირებულია. ტყეების მნიშვნელოვანი განადგურება აქ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო. მაგალითად, 1830 წელს ბორჯომის ხეობაში ააგეს შუშის ქარხანა, რომლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხე-ტყეს ადგილობრივი ტყის მასივებიდან იღებდნენ. ადამიანს ბორჯომის ხეობაში უძველესი დროიდან უცხოვრია. II – IV სს-ში აქ თორის საერისთავო დაარსდა, XV ს. – ავალიშვილთა სათავადო, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის მიხედვით“ ხეობა შედიოდა პეტრეს ლივანში, XVI ს ბოლოს – ოსმალეთმა მიიტაცა, XVIII ს ბოლოს – გაუკაცრიელდა, 1829 წლიდან – დაიწყო ხეობის ხელახლა დასახლება, 1871 წლიდან – მიხეილ რომანოვის საუფლისწულო მამულია. სახელწოდება „ბორჯომის ხეობა“ პირველად გვხვდება 1819 წლის საბუთში. მანამდე იგი სადგერის ხეობის სახელით იყო ცნობილი.

ბორჯომის ჰიდროლოგიური სადგური – ჰიდროლოგიური სადგური მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ზ.დ. 812 მ სიმაღლეზე. დაკვირვების წლები – 1931-1991.

ბორჯომის ხეობის ხანძარი – 2 008 წლის ხანძარი ბორჯომის ხეობის ტყეებში, რაც დაკავშირებული რუსეთის 2008 წლის საომარ მოქმედებებთან. თავდაპირველად ხანძარი გაჩნდა დაბა ნალვერთან. რთული ოროგრაფიული და ანომალური კლიმატური (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 30 %-ით აღემატებოდა ამავე თვის საშუალო მრავალწლიურ ნორმას, ხოლო ატმოსფერული ნალექების ჯამი 46 %-ით მცირე იყო) პირობების გამო ხანძარი ადვილად გავრცელდა და გართულდა მისი

ჩაქრობა. საერთო ჯამში, ხეობაში დაზიანდა 950 ჰა ტყე, საიდანაც მთლიანად განადგურდა 250 ჰა, ხოლო 70 %-ით – 700 ჰა ტყის ფართობი. საშიშროება შეექმნა „საქართველოს წითელ წიგნში“ (1982) შესულ ფლორისა და ფაუნის მრავალ წარმომადგენელს.

ბორჯომულა, შავწყალა, შავწყალი – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში. სათავეს იღებს მდინარეების ოპორასა და კუმისკას შეერთების შემდეგ, ზ.დ. 1600 მ სიმაღლეზე. სათავე იღებს თრიალეთის ქედის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ცხრანყაროს უღელტეხილთან და ჩაედინება მდინარე მტკვარში, ქ. ბორჯომთან. მდინარის სიგრძეა 19 კმ, საშუალო დახრილობა – 43.1⁰, აუზის ფართობი – 168 კმ², საშუალო წლიური ხარჯი – შესართავთან 2,41 მ³/წმ. მდინარის აუზის მნიშვნელოვანი ნაწილი განლაგებულია თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე. ხასიათდება გაზაფხულის წყალდიდობებით, წვიმის წყალმოვარდნებითა და ზამთრის წყალმცირობით. მაქსიმალური ხარჯის დროს წყლის დონე მდინარეში საშუალოდ 0.7-0.9 მ-ით მატულობს, ხოლო ზოგიერთ იშვიათ შემთხვევაში 1.3-1.5 მ-ით. მთის ტიპური მთის მდინარეა. მიედინება ჯერ სუბალპურ ზონაში, შემდეგ წინწიანი ტყით შემოსილ ვიწრო ხეობაში. შესართავთან მდებარეობს კურორტი ბორჯომი. 1898 წელს ხეობაში ააგეს რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი პირველი ჰესი – ბორჯომის ჰიდროელექტროსადგური. ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობს, რომ სახელწოდება „ბორჯომულა“ რუსული „ბორჯომკის“ ქართული ვარიანტია. მდინარის ქართული სახელი კი „შავწყალი“ უნდა ყოფილიყო, რასაც მოწმობს ვახუშტი ბაგრატიონის თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. შავწყალას (чёрная речка) სახელითაა იგი მოხსენიებული XIX საუკუნის ცნობილი ფოტოგრაფის დიმიტრი ერმაკოვის ფოტოებზეც.



მდ. ბორჯომის (ბაკურიანის ანდეზიტთან) საშუალო ხარჯები სხვადასხვა კვიტეებში (მ³/წმ)

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი – ეროვნული პარკი ბორჯომისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტებში, მცირე კავკასიონზე, ერთ-ერთი უდიდესი პარკი ევროპაში. მოიცავს ბორჯომის ეროვნულ პარკსა და ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალს. ბორჯომის ნაკრძალი დაარსდა 1935 წელს უნიკალური ტყის მასივების დაცვის მიზნით (ფართობი – 14820.6 ჰა), ბორჯომის ეროვნული პარკი კი დაარსდა 1995 წელს (85083 ჰა). წარმოდგენილია მეტად მრავალფეროვანი ეკოსისტემები, შენახული ტყის ჰაბიტატებით, იშვიათი ფლორითა და ფაუნით. უხვადაა ისტორიული ძეგლები. შექმნილია ტურისტული ბილიკები, სადაც ძირითადი ტყეშემქმნელი ჯიშებია: წიფელი, სოჭი, ნაძვი. გვხვდება კოლხური ფლორის ელემენტები: ნაბლი, უთხოვარი, იმერული ხეჭრელი, შქერი, ბაძვი, წყავი. გვხვდება შედარებით უფრო სიმშრალის მოყვარულებიც: კავკასიური ფიჭვი, ღვია, გლერძა, კუნელი, გრაკლა, ასკილი, შინდი. აქაური ტყეების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა ნაძვის ლაფანჭამიის გაჩენა. მართალია, მრავალი დაზიანებული ხე მოჭრეს და გაიტანეს, მაგრამ სამაგიეროდ ამან გამოიწვია ტყეში ხის გასატანი გზების წარმოქმნა. ცხოველთა სამყაროს თვალსაზრისით ნაკრძალი საკმაოდ მდიდარია. აქ გვხვდება: ირემი, შველი, არჩვი, გარეული კატა, ფოცხვერი, მურა დათვი, წავი, კვერნა და სხვ. აკლიმატიზებულია ტელეუტური ციყვი.

ბროლისდეღე – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. ელისდეღის მარჯვენა შენაკადი.

ბუდეშური – იხ. თეთრი ბუდეშური, წითელი ბუდეშური.

ბუზავეთი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, კარტიკამის საკრებულოში, ახალქალაქის პლატოზე, დიდ აბულის მთის დასავლეთ ძირში, ზ.დ. 1920-1960 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 11 კმ მანძილზე. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 252, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში.

ბუზავეთის ეკლესია – დარბაზული ეკლესია (VI ს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ზ.დ. 1960 მ სიმაღლეზე.

ბუზმარეთი – ნასოფლარი ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. უდედან სამხრეთ-დასავლეთით, ზ.დ. 1680-1685 მ სიმაღლეებზე. მიდამოები შემოსილია მუხნარი და ფიჭვნარი ტყეებით, აგრეთვე მეორეული ბუჩქნარებითა და მდელოებით.

ბუზმარეთის ეკლესია, ზიარეთი – ერთნავიანი ეკლესია ადიგენის მუნიციპალიტეტში, ახალციხის ქვაბულის სამხრეთ ნაწილში, ქ. ვალედან დასავლეთით, მისგან დასავლეთი მიმართულებით მიმავალი საავტომობილო გზის სამხრეთით. მის სიახლოვეს მეორე ეკლესიაა. შემორჩენილია ნანგრევები. აღდგენილია 1999 და 2007 წელს.

ბურნაშეთი, ბურნაშენი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, აზავრეთის საკრებულოში, ახალქალაქის პლატოს ჩრდილოეთ ნაწილში, მდ. ჯირულის (ჯარულის) მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1800-1945 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 22 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის



მეორეული ტყე სოფ. ბურნაშეთის მიდამოებში



მეორეული ტყე სოფ. ბურნაშეთის მიდამოებში

რიცხოვნობა – 803, რიცხოვნობივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). მიდამოები უტყეოა. ადამიანი აქ წინაფეოდალური პერიოდიდან სახლობდა. შემორჩენილია დარბაზული ეკლესია. სახელწოდება „ბურნაშეთი“ წარმოიშვა 1828-1829 წლების შემდეგ, რაც სამცხე-ჯავახეთში დასახლდა თურქეთიდან გადმოსახლებული სომეხი მოსახლეობა. მანამდე კი მას ბურნაშენი რქმევია. „ბურნა“ – ღვინის ქინქლა (საბა).

ბურნაშეთის ეკლესია, ბუღდაშენის ეკლესია – დარბაზული ეკლესია (X ს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. ნაგებია ბაზალტითა და ნითელი ქვებით. ნაგებობის სამხრეთ ფასადზე მზის საათის ფრაგმენტია შემორჩენილი. აღმოსავლეთ ფასადზე რელიეფური გამოსახულებაა – დანიელი ლომების ხაროში. დაცულია X და XII-XIII საუკუნეების წარწერები. ეკლესიას ძველად, რომ ბურნაშენი ერქვა, ამაზე მეტყველებს წარწერა ჩრდილოეთ კედელზე: *„სახელითა ღმრთისათა და შუამდგომლობითა წმიდისა გიორგისათა და გინერემე გიორგიმან თქუნ ბურნაშენელთა მღვდელთა, – მოგეც ყანაი თიქროანს ... ჩემგან ნასყიდი“*, *„უფალო ვითარცა იჰსენ დანიელ პირისაგან ლომთაჲსა, ეგრე იჰსენ ამის წმიდისა ეკლესიისა მაშენებელნი ჴელთაგან ჯოჯოხეთისათა“*. მატერიალური ძეგლებიდან აღსანიშნავია მოზრდილი ქვაჯვარი და ძველი კოშკის ნანგრევები.

ბუღდაშენი, ბუღდაშენი, გორელოვკა – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ბარალეთის საკრებულოში, ახალქალაქის პლატოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ბარალეთის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1695-1800 მ სიმაღლეზე, ქ. 14 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 744, რიცხოვნობივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). 1841 წლიდან ჯავახეთში დასახლებულმა რუსმა დუხობორებმა სოფელს დაარქვეს გორელოვკა.

ბუღდაშენი – ტბა ჯავახეთში. სათავეს იღებს ნიალისყურის ქედის ფერდობზე, ზ.დ. 2750 მ სიმაღლეზე. მდინარის სიგრძეა 1.3 კმ, წყალშემკრები აუზის ფართობი – 61.5 კმ², ხოლო სარკის

ფართობი – 0.39 კმ². გამდინარე ტბაა. მისგან გამოედინება მდ. ფარავნის მარცხენა შენაკადი – ბულდაშენი. ტბაში ჩაედინება ერთადერთი მდინარე, რომელსაც ადგილობრივები ეძახიან „სასაზღვროს“ (სიგრძე – 18.3 კმ). მაღალია მინისქვეშა შედინება. მაქსიმალური დონე ტბაში აღინიშნება მაისში, თოვლის ინტენსიური დნობისა და წვიმების შედეგად. წყლის დონის რყევადობა 80 სმ-ია. ზამთარში ტბა იყინება და 5 თვის მანძილზე იფარება 50-60 სმ სისქის ყინულით. ტბა თევზებით არცთუ ისე მდიდარია, მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობისათვის წარმოადგენს ინტერესის საგანს. თუმცა ძველად ბინადრობდა აღმოსავლური ფრინტა (*Alburnoides bipunctatus eichwaldi*) და კარჩხალი (*Leuciscus cephalus orientalis*). წყლის ფსკერი დაფარულია ჰიდროფილური მცენარეებით. ტბის ცენტრალურ ნაწილში მდებარე კლდოვანი კუნძული მნიშვნელოვანია ფრინველთა გამრავლებისა და ბუდობისათვის. ტბის წყალი სუსტად არის მინერალიზებული. აქვს მომწვანო ფერი. არა აქვს სუნი და ვარგისია სასოფლო-სამეურნეო გამოყენებისათვის. ნიალისყურის ქედის ფერდობები ინტენსიურად გამოიყენება საძოვრებვად, რის გამოც ფერდობებიდან ჩამონადენ წყალს ტბაში ჩააქვს დიდი რაოდენობით აზოტი, ამასთან ნატანი. ამის გამო მიმდინარეობს ტბის სიღრმის შემცირება და ევტროფიკაციული პროცესები. ტბის დასავლეთი და აღმოსავლეთი სანაპიროები დაჭაობებულია.

ბულდაშენის ტბის აღკვეთილი – აღკვეთილი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, მდ. ფარავნის აუზში. ფართობია 126 ჰა. დაარსდა 2011 წელს. ტბის სანაპიროები ხელუხლებელია და გადამფრენი ფრინველების სიუხვეა. შესაძლებელია ფრინველებზე დაკვირვება და ნავეებით გასეირნება. ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებში შემავალ ტბებს შორის ბულდაშენის შემოგარენი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარია გადამფრენი ფრინველებითა და ფაუნით. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე კუნძული, რომელსაც გაზაფულსა და შემოდგომაზე მრავალი ფრინველი სტუმრობს.

ბულდაშენის ნაციხარი – ციხის ნანგრევები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

ბულდაშენის სატუმბი სადგური – სატუმბი სადგური ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. ირწყვება 70 ჰა.

ბ

გაგეთის ეკლესია – წმინდა გიორგის ერთნავიანი დარბაზული ეკლესია ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. ქვაბლიანის მარჯვენა მხარეს. ნაგებია ანდეზიტის ქვით.

გაგვა – მინერალური წყარო ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. გაგვისწყლის (ქვაბლიანის შენაკადი) მარჯვენა მხარეს, ს. გაგვიდან 10-12 კმ ჩრდილოეთით. მიეკუთვნება ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმ-კალციუმიან ჯგუფს, დებიტით 2 ათ. ლ, საერთო მინერალიზაცია – 3.3 გ/ლ.

გავარი – უღელტეხილი ჯავახეთის ქედზე, ნინოწმინდისა და დმანისის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, ზ.დ. 1712 მ სიმაღლეზე. საცალფეხო გზით აკავშირებს მადათაფის ტბისა და მდ. მაშავრის აუზებს. აგებულია ბაზალტური და დოლერიტული ლავებით. მიდამოები შემოსილია სუბალპური და ალპური მდელოებით.

გავეზი – წმ. გიორგის სახელობის ერთნავიანი გუმბათიანი ეკლესია (XIII-XIV სს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში.

გავეთი – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. მტკვრის ზემო წელის აუზში.

გავეთი – წმ. გიორგის სახელობის ერთნავიანი დარბაზული ეკლესია (XIII-XIV სს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, გავეთის ნასოფლარის ტერიტორიაზე. ნაგებია მონითალო ფერის, კარგად თლილი კვადრებით. ნაგებია საფარა-ზარზმის არქიტექტურული სტილით, თუმცა სამხრეთის ფასადის შესასვლელისა და სარკმელთა საპირეების თალებზე შეიმჩნევა ისლამური არქიტექტურის გავლენა.



ბაგვათი. ფოტო: იმოგზაურეთ სამცხე-ჯავახეთში



ჭაჭკარი, ნამოსასლარი
ფოტო: გიორგი ნათენაძე



ჭაჭკარი, მიბალითი
ფოტო: ნანა ნათენაძე

გამოღმა ჭაჭკარის ტერასები – ტერასები სოფელი ვარძიის სიახლოვეს, მტკვრის ორივე ნაპირზე. აქაა ძველი ნასოფლარები. უძველესი ტერასული უბანი, სადაც 9- და 12-სართულიანი ტერასული მონაკვეთებია აღრიცხული. აგებულია დიდი მოცულობის ლოდებით (1.10 X 50, 75 X 65, 95 X 68). შემორჩენილია უძველესი ვაზის თითქმის გაქვავებული ყლორტები, ლოდებში ამოკვეთილი საწნახელები და ქვევრები.

გამოღმა ჭაჭკარი – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, შემორჩენილია კლდეში ნაკვეთი წმ. მარინეს სახელობის დარბაზული ეკლესია (IX ს.) და სენაკები.

გაღმა ჭაჭკარი – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ვარძიის ახლოს, ბერისხევის გამოქვაბულთა კომპლექსში.

განძანი, განძა – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ზეგანზე, ფარავნის ტბის სამხრეთით, მდ. ფარავნის ორივე მხარეს, ზ.დ. 2020-2070 მ სიმაღლეზე, ნინოწმინდიდან 22 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 3660, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). „გურჯისტანის ვილაიეთის დავთრის“ მიხედვით, იმდროისათვის გაუკაცრიელებული ყოფილა. XIX საუკუნეში სოფელში დასახლდნენ თურქეთიდან ჩამოსახლებული სომეხები.



განძანის ხიდი
ფოტო: ხიდები საქართველოში, 2012

შემორჩენილია XIV საუკუნის ორი ქართული ეკლესია და XIX საუკუნის წმ. კარაპეტის სახელობის სომხური ეკლესია. სოფლის სიახლოვეს, მისგან ჩრდილო-დასავლეთით მეგალითური კულტურის უძველესი ძეგლია – „ვეშაპი“, „ვიშაპი“, რომელიც წარმოადგენს 2 მ სიმაღლის ვერტიკალურ მონოლით თევზისა და ფრინველის გამოსახულებით. სოფელში არის ვაჰან-ტერიანის სახლ-მუზეუმი. 1847 წელს აქ დასახლდნენ სომხები და სოფელს „განძა“ უწოდეს. ძველი ქართული სახელი კი არის „განძანი“. მრავლობითობის ნიშანი „ნი“ სოფლის სახელწოდებაში მიუთითებს, რომ ძველად აქ ორი სოფელი ყოფილა.

განძანის ეკლესიები – დარბაზული ეკლესიები (XIII-XIV ს.) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. განძანში. ერთი ეკლესია მოპირკეთებულია მონითალო ფერის სუფთად გათლილი ბაზალტით, ხოლო მეორე ნაგებია მონითალო ფერის ანდეზიტური ტუფით. შემორჩენილია ჩუქურთმები და ძველი ლაპიდარული ნარწერები. მოხსენიებულია გიორგი ბრწყინვალე. განძანის მიდამოებშია აგრეთვე ნათლისმცემლის ეკლესია (განვ. შუა სს.), ეკლესია (X-XI სს.), ეკლესია (განვ. შუა სს.). ეს უკანასკნელი მდებარეობს სასაფლაოზე და შემორჩენილია ლაპიდარული ნარწერები.

განძანის თემის საკრებულო – საკრებულო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: განძანი და საღამო. მოსახლეობის რიცხოვნობა – 3841 (2002).

განძანის ციხე – ციხე (განვით. შუა სს), ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. განძანიდან ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ფარავნის მარცხენა მხარეს. ძველად იყენებდნენ სახიზრად. თითქმის მთლიანადაა დანგრეული და არაფერია მისგან დარჩენილი. ადგილობრივმა მოსახლეობამ გაზიდა ქვები.

განძანის წყაროები – ლაგური ვოკლუზები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. განძანის მიდამოებში. წყლის ტემპერატურაა 2-3°C, დებიტი – 1 მ³/წმ.

განძისხევი – მდინარე ნინოწმინდის რ-წმი, ფარავნის მარცხენა შენაკადი.

გაღმა აწყური – სოფელი, იხ. აწყური.

გაღმა აწყურის მენყერი – მენყრული სხეული ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, სოფ. აწყურთან, გაღმა აწყურის სახელით ცნობილ ტერიტორიაზე. განვითარებულია 20-30° დახრილობის დასავლეთ ექსპოზიციის ფერდობზე, ზედა ეოცენის შრეებრივ ტუფებში, ტუფოქვიშაქვებში, თიხიან ქვიშაქვებში და მათ გადამფარავ ელუვიურ-დელუვიურ თიხნარებსა და თიხებში. მენყრულ სხეულს უკავია 17.5 ჰა ფართობი.

„გაღმა ვაშლობის“ კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი – კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ზეგნის სამხრეთ ნაწილში, სოფელ ხავეთიდან სამხრეთ-დასავლეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, ციცაბო ფერდობზე, თურქეთთან საზღვრისპირა არეალში. ძეგლის დანახვა მხოლოდ თურქეთის მხრიდანაა შესაძლებელი. იგი წარმოადგენს სამ იარუსად განლაგებულ ქვაბებს, რომლის სათავსებიც შიდა ჰორიზონტული და ვერტიკალური გვირაბებით უკავშირდება ერთმანეთს. კირქვის ქანი, რაშიც ეს კომპლექსია განთავსებული, საკმაოდ არამყარია, რის გამოც არქიტექტურული ფორმები მეტ-ნაკლებად მორღვეული და ამორფულია. საცხოვრებელ სენაკებთან ახლოს, რამდენიმე მეტრში, კლდეში უცნაური კონფიგურაციის დარბაზული ეკლესიაა გამოკვეთილი. მისი თითქმის ნახევარსფეროსებრი შიდა სივრცის აღმოსავლეთ ნაწილში ნახევარწრიულფასიდიანი საკურთხეველია მოთავსებული. აფსიდის ძირს მასიური საფეხურები მიუყვება, ხოლო საკურთხეველი დარბაზისგან შვერილი, მართკუთხა პროფილის სატრიუმფო თალითაა გამოყოფილი. დარბაზის დასავლეთ მხარეს, ცენტრში,



„ბაღვა ვაშლოვის“ კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი
ფოტო: საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება



დიდი ღიობია, რომელშიც სავარაუდოდ კარი იქნებოდა გაჭრილი. დარბაზის სამხრეთ კედელში ამორფული ფორმის სარკმელია. ძეგლი სავარაუდოდ VIII-IX საუკუნეებში უნდა იყოს აგებული. ძეგლთან მისვლა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული – მისი მონახულება მხოლოდ

სპეციალური ნებართვითა და მესაზღვრეთა თანხლებით შეიძლება. ძველი მიკვლეული იქნა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საქართველოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოების პროექტის ფარგლებში, 2012 წლის ზაფხულში ისტორიულ ერუშეთში (თურქეთი) მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციის ფარგლებში. ეკლესიის აზომვის გარდა, გადაღებულ იქნა სფერულ-პანორამული ფოტოები. ძველს სახელი ეწოდა პირობითად მდ. მტკვრის ქალაში მდებარე „ვაშლობის“ სახელით ცნობილი ეკლესიის გამო.

გელსუნდას ქვაბნი – იხ. გულსუნდას ქვაბნი.

გეოლოგიური აგებულება სამცხე-ჯავახეთის – მხარის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს სხვადასხვა ასაკისა (ცარცული, მესამეული, მეოთხეულის) და ქიმიური შედგენილობის ქანები. ტერიტორიის უდიდესი ნაწილი აგებულია პალეოგენურ-ნეოგენური ქანებით (მცირე კავკასიონი) და მეოთხეულის ეფუზიური (სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთი) ნყებებით. გვხვდება ძველი კრისტალური საფუძვლის გამიშვლებებიც.

გეომორფოლოგიური დარაიონება სამცხე-ჯავახეთის – გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, სამცხე-ჯავახეთი მკვეთრად გამოხატული ტერიტორიული სხვაობით ხასიათდება. ეს განსხვავებები დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის რელიეფის გაბატონებასთან, თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესებისა და ტერიტორიის პალეოგეოგრაფიულ განვითარებასთან, გეოლოგიური აგებულების ნაირგვარობასთან. ლ. მარუაშვილის მიხედვით, შესაბამისად იგი იყოფა სხვადასხვა გეომორფოლოგიურ ზონებად, რაიონებად და ქვერაიონებად.

სამცხე-ჯავახეთის გეომორფოლოგიური დანაწილების სქემა

N	ზონა/რაიონი/ქვერაიონი	რაიონის N	გეომორფოლოგიური დახასიათება
I. მცირე კავკასიონის ზონა			საშუალო მთიანი ტექნოგენურ-ეროზიული
1	აჭარა-თრიალეთის სისტემა (26)	XVII	საშუალო მთიანი ეოცენურ-ვულკანოგენურ საფუძველზე, ფართოდ გავრცელებული მკვეთრი ფორმებით
2	თორის ქვაბული (26ა)		იგივე ტიპი, ახალგაზრდა ვულკანური ფორმებით გართულებული
II. სამხრეთ საქართველოს ზეგანი			ვულკანური ზეგანი ცენტრალური ვულკანების მწკრივებით, ტბიანი ტაფობებით, კანიონების ქსელითა და ცალკეული ძველმყინვარულ იფორმებით
3	ერუშეთის მთიანეთი (32)	XX	დამრეც ნაოჭა აზვევებულობა ლავური განფენებისა, დანაწევრებული საშუალო და დაბალმთიური ტიპის ხეობათა ქსელით
4	ახალქალაქის პლატო (33)	XXI	მაღალი ვაკე, დოლერიტული გაფენებით წარმოქმნილი
5	ტბიანი ჯავახეთი (34)		იგივე, შეგუბებული ტაფობებით
6	ნიალისყურის სერი (35)		ლავური განფენების თალისებრი ამობურცულობა
7	ტაბისყურის ქვერაიონი (36)		ნაოჭა-სერებიან ხეობიანი
8	სამსრის ქედი (37)	XII	ცენტრალური ვულკანის მწკრივული სისტემა, გამყინვარების კვლები და პერიგლაცალური ლოდნარებით
9	ჯავახეთის ქედი (38)	XXIII	ლავური განფენების თალისებრი აზვევებულობა ცალკეული ცენტრალური ვულკანებით



გველიჭამია არწივი

გველის ნიორი – იხ. მთის ლანძილი

გველიჭამია არწივი, ძერაბოტი, ბატკანძერი (Circus gallicus)

– ფრინველი ქორისებრთა ოჯახიდან. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება სპორადულად მდინარე მტკვრის ხეობაში, ახალციხის მიდამოებში, ტაბანყურის ტბის სანაპიროებზე. ბინადრობს ტყის მომინჯნავე ადგილებში. გადამფრენი ფრინველია, მოფრინავს მარტის ბოლოს და მიფრინავს ოქტომბერში. მეტად იშვიათი და მცირერიცხოვანი ფრინველია. საქართველოს წითელ წიგნში შესულია როგორც გადაშენების პირას მისული სახეობა.

გვერდისუბანი – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში,

სოფ. გვერდისუბანთან მიეკუთვნება ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-მაგნიუმ-ნატრიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია – 1.2 გ/ლ.

გვერდისუბანი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თორის ქვაბულში, გვირგვინას მთის სამხრეთ ფერდობზე, მდ. გუჯარეთისწყლის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირას, ზ.დ. 1480-1565 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 32 კმ მანძილზე, თემის ცენტრი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 34. მათი უმრავლესობა (97 %) ქართველია (2002). ვახუშტი ბაგრატიონის ამ სახელწოდებით სოფელს არ ასახელებს. ამიტომ ფიქრობენ, რომ ის ახალი სახელია. სოფლის სიახლოვეს დგას ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია. ნაგებია რუხი, უხეშად თლილი დიდი ზომის ქვებითა და კირხსნარით. სტილითა და მორთულობით VIII-X საუკუნეებს მიაკუთვნებენ.

გვერდისუბნის თემის საკრებულო – საკრებულო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: გვერდისუბანი, ვარდევანი, მაჭარწყალი, ღვთისმშობელი და წინუბანი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 57 (2002).

გვირგვინა – მთა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, გვირგვინას ქედის თხემზე, ზ.დ. 2203.1 მ სიმაღლეზე. აგებულია შუაეოცენური ტუფბრექჩიებითა და ტუფქვიშაქვებით. კალთები შემოსილია ნიფლნარი და მუქწინვიანი ტყეებით, ხოლო თხემი – მეორეხარისხიანი სუბალპური მდელოებით.

გვირგვინას ქედი – ქედი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთური განშტოება, მდ. გუჯარეთისწყლისა და ნეძვისწყალ-ძამის აუზების წყალგამყოფი. იწყება მთა ჯამჯამადან და მთავრდება მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას. უმაღლესი წერტილია მთა მურყნევი (2342 მ). კალთები შემოსილია ნიფლნარი და მუქწინვიანი, ზოგან ფიჭვნარი ტყეებით.

გვირგვინასწყალი – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ნეძვისწყლის მარცხენა შენაკადი.

ბაქმავაშვილი ტყე (ნაწყვეტი)

იმერი ხრეველი

“ვინ მოახია ფაზდა წასულ ათასწლეულებს,
რომ განმეცადა უეცარი ძალა სიკვდილის”
მე ვხედავ ხეებს – ზეზეულად გაქვავებულებს,
ვხედავ ვქვის ფესვებს – დათავრებულ
დღეს რომ მისტირის...
უცნაურ ხეებს აზ კლიათ კვირტი და ფესვი,
ქვადქვეულ ფოთლებს მიუყვება
ზოლები ძაბღვის,
მე უცნაური, სამინელი შრიალიც მესმის
მკვდრეთით აღმდგარი ამ უცნაურ
ხეების ნახვით”.

გიგანტური მელამურა (Nyctalus lasiopterus) – ხელფრთიანი ლამურისებრთა ოჯახიდან. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება ბორჯომის ხეობაში. ბინადრობს ტყეებში, თავს აფარებს ფულუროებს. იშვიათი, გადაშენების საშიშროების წინაშე მდგარი სახეობაა. საქართველოს ნითელ წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი სახეობა, რომელსაც ჯერჯერობით არ ემუქრება გადაშენება, მაგრამ იმდენად მცირეა რაოდენობით, ან იმდენად მცირე ტერიტორიაზე გვხვდება, რომ შესაძლებელია სწრაფად გადაშენდეს.



გიგანტური მელამურა

გიორგინმინდა – მინერალური წყარო ახალციხის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია – 1.6 გ/ლ.

გიორგინმინდა – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, ფერსას თემში, ზ.დ. 940-1050 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 12 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. სოფელში დგას წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. სოფლის სახელწოდება დაკავშირებულია წმინდა გიორგისთან. სოფლის სიახლოვეს, 3 კმ მანძილზე, მისგან ჩრდილო-დასავლეთით ახალციხის აქატის საბადოებია.

გიოქთაფის მალღობი – იხ. ნიალისყურის ქედი.

გლიო უხტ – იხ. ეშტიის ეკლესია.

გნოლი (Perdix perdix) – ფრინველი ხობისებრთა ოჯახიდან. ბინადრობს ჯავახეთში, ადიგენის, ასპინძის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, ზ.დ. 2600 მ სიმაღლემდე, მინდორ-ველებზე, ყანებსა და სათიბებში. იშვიათი ფრინველია და ხასიათდება კლებადი რიცხოვნებით. საქართველოს ნითელ წიგნში შესულია როგორც გადაშენების პირას მისული სახეობა.



გნოლი

გოგაშენი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1700-1750 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 30 კმ მანძილზე, საკრებულოს ცენტრი. მიდამოები უტყეოა. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 349. მათი უმეტესობა (99 %) ქართველია (2002). შემორჩენილია დარბაზული ტიპის ერდოიანი საცხოვრებელი სახლები. ფართოდ იყო გავრცელებული ვაზი ხარისთვალა თეთრი. ალ. ფრონელის გადმოცემით: „ხეხილის ბაღები მარტო მტკვრის ღრმა ხეობაშია. ხვნა-თესვის გარდა, მისდევენ ხეხილის გაშენებას ხიზაბავრელები, საროელები და ხერთვისელები. ვარძიის პირდაპირ მდებარე ქართული სოფლები აფენია და გოგაშენიც მისდევენ ამ საქმეს, მაგრამ ნაკლებად. სარგებლობას დიდს ვერაფერს ხედავენ, უფრო გულს აყოლებენ და ხიზაბავრაში (მართლმადიდებელი და კათოლიკე ქართველები) ვენახებიც აქვთ“.

გოგაშენის თემის საკრებულო – საკრებულო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: გოგაშენი და აფენია. მოსახლეობის რიცხოვნობა – 460 კაცი (2002).

გოგაშენის ეკლესია – მთავარანგელოზის დარბაზული ეკლესია (X-XI სს., ზოგი მოსაზრებით XIII-XIV სს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. მოპირკეთებულია ბაზალტის ქვებით. სოფლის ცენტრში დგას მეორე ეკლესია, აგებული XIX საუკუნეში.

გოგაშენის ტერასები – ხელოვნური ტერასები ახალქალაქის პლატოზე, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. დაახლოებით 1740 მ სიმაღლეზე, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. აქ ვაზი XIX საუკუნის შუა პერიოდში გაშენებული უნდა ყოფილიყო. ივ. ჯავახიშვილს ასეთი ჩანაწერი აქვს გაკეთებული: „ლ. ზაგურსკისათვის ზღვის დონითგან 4000 სიმაღლეზე ვაზის რქა მიუერთმევიათ“.

გოგაის ციხე – ციხე (X-XIV სს.) ქ. ბორჯომში, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეზე, მაღალ გორაკზე. ნაგებია ქვით. დარჩენილია მისი ერთი კვადრატული ფორმის კოშკი. კოშკის სიმაღლე 8 მეტრ სიმაღლისაა. კოშკი ორსართულიანია. კედლებზე გამართულია სათოფურები. გადმოცემის თანახმად, იგი აუშენებია გოგია ავალიშვილის. იგი უნდა იყოს აგებული XVIII საუკუნეში და ამიტომ ვახუშტის რუკაზე არ არის აღნიშნული. შემორჩენილია ნანგრევები – კედლის ნაშთები, კერამიკული მილი და სხვ. ციხე ეკუთვნოდა ავალიშვილების საგვარეულოს. XIX საუკუნეში, რუსეთის იმპერიის გამგებლობის პერიოდში, ციხეში იდგნენ კაზაკები, მათ შორს ყოფილან ქართველებიც.

გოგაისციხე – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება აზოტოვან ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 0.2 გ/ლ.

გოგიჩაანთელის ქვის დარბაზების კომპლექსი ეკლესიით – ეკლესიათა კომპლექსი ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

გოგრა მსხალი, ყაბალ-არმუდი, ყაბალარმუტი – მესხური მსხლის ჯიში. გვხვდება მხოლოდ მესხეთში. ნაყოფის საშუალო ზომისაა, მომწვანო-მოყვითალო ვარდისფერი ელფერით, სქელკანიანი. საშუალო მოსავლიანია. უმაღლესი ხარისხის საჩირე მსხალია. მოკრეფილი ნაყოფი ძლებს 2-3 დღე. არ არის ტრანსპორტაბელური.

გოდერძი – ნასოფლარი ადიგენის მუნიციპალიტეტში. შემორჩენილი ნანგრევები.

გოდერძის ნამარხი ტყე, ძინძეს ხეობის ნამარხი ტყე – ნამარხი ტყე მდ. ქვაბლიანის აუზში, ძინძეს ხეობაში, არსიანის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე, გოდერძის უღელტეხილის აღმოსავ-



განამარხებული სე მდ. ძინძეს ხეობაში



გააქაშებული სეიპი ვულკანურ ტუფებში, 1948
ფოტო: საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება



განამარხებული ხის ფრაგმენტები, მდ. კინძის ხეობა



ლეთით. ხეობაში შემორჩენილია მესამეულის განამარხებული ფლორა – „გოდერძის ფლორა“. ამ ადგილს ხალხმა უტყვისუბანი შეარქვა. წარსულში აქ ტროპიკული ტყე ყოფილა გავრცელებული, წარმოდგენილი როგორც მარადმწვანე (პალმები, ქაფურის ხე, დაფნისებრი, მაგნოლიები, არაუკარია) ისე ფოთოლმცვენი (ლელვი, ნეკერჩხალი, მუხა, ხეჭრელი, რცხილა, არყის ხე, ტირიფისებრნი, ნიფლისებრნი) სახეობებით, ასევე ბუჩქნარებით, ლიანებით და გვიმრისნაირებით. რამდენიმე მილიონი წლის წინ, ჯერ კიდევ ადამიანის გაჩენამდე, ვულკანურმა ღვარმა და ფერფლმა გადაფარა აქ არსებული მძლავრი და სახეობრივად მრავალფეროვანი გაუვალი ტროპიკული ტყე.

მესამეული ფლორის ნაშთები წარმოდგენილია ხის გაქვავებული ღეროებით, ტოტებით, ფოთლების ანაბეჭდებით. ზოგიერთ ხეს შენარჩუნებული აქვს ვერტიკალური მდებარეობა, წრიული

ზრდის რგოლები (მიკროსკოპში მოჩანს). იგი უიშვიათესი და უნიკალური ბუნებრივი ძეგლია, თუმცა დღეს იგი იძარცვება. რამდენიმე მილიონი წლის წინ, ჯერ კიდევ ადამიანის გაჩენამდე, ვულკანურმა ღვარმა და ფერფლმა გადაფარა აქ არსებული მძლავრი და სახეობრივად მრავალფეროვანი გაუვალი ტროპიკული ტყე. ამ ტყის არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ მაშინდელი კლიმატი გაცილებით უფრო თბილი ყოფილა, დაახლოებით ისეთი, როგორც დღეს ტროპიკულ ტყეებშია. ამჟამად აქ დადგენილია 90-მდე სახეობის მცენარე. მათ შორისაა მარადმწვანე ხეები (პალმები, ქაფურის ხე, დაფნისებრი, მაგნოლიები, არაუკარია), ფოთოლმცვივანი ხეები (ლელვი, ნეკერჩხალი, მუხა, ხეჭრელი, რცხილა, არყის ხე, ტირიფისებრი, ნიფლისებრი), სხვადასხვა სახეობის ბუჩქნარები, ლიანები, გვიმრისნაირები და ბალახოვნები. ზოგიერთი ეს სახეობა (ან მისი მონათესავე) დღეს გავრცელებულია თბილი კლიმატის პირობებში იაპონიაში, სამხრეთ ამერიკასა და ავსტრალიაში.

გოდერძის ონიქსი – ონიქსის საბადო ადიგენის მუნიციპალიტეტში, მარაგი – 70 ათ. ტ.

გოდორები – მთა სამსრის ქედზე, ახალქალაქისა და ნინონმინდის მუნიციპალიტეტების საზღვარზე.

გოდოლარი – მდინარე ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდ. ბარალეთისწყლის მარჯვენა შენაკადი.

გოდორები – ტბა აბულ-სამსრის ქედზე, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

გოკიას ეკლესია – დარბაზული ეკლესია ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

გოკიო – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ალასტანის თემში, ახალქალაქის პლატოს ჩრდილოეთ ნაწილში, მდ. გოკიოსწყლის (ჭობარეთის მარცხენა შენაკადი), ზ.დ. 1750-1840 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 24 კმ მანძილზე, აზავრეთ-თორის საავტომობილო გზაზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 549. მათი უმეტესობა (99 %) სომეხია (2002). შუა საუკუნეებში იყო ქალაქი. ვახუშტი ბაგრატიონი გოკიოს შესახებ წერს: „გოკია არს ქალაქი მცირე. მოსახლენი არიან მესხნი, სომეხნი და ურიანი ვაჭარნი“.

გოკიოსწყალი – მდინარე ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდ. ჭობარეთისწყლის მარცხენა შენაკადი.

გომანი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. მეჯურის (ბარალეთისწყლის შენაკადი) მარცხენა ნაპირას, ზ.დ. 1760-1800 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 13 კმ მანძილზე, ზაკვის თემში. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1501, რიცხობრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002).

გომარო – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ზანავის თემში, ახალციხის ქვაბულში, მდ. ქვაბლიანის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1520-1600 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 6 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 426, რომელთა 97 % ქართველია (2002).

გომი – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიზაბავრის ტერიტორიაზე. შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები.

გომისციხე – მთა აჭარა-იმერეთის ქედზე, ადიგენის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების საზღვარზე.

გომნა, ყვერბილი – გვიანბრინჯაოს ხანისა და ადრე რკინის ხანის სამაროვანი ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

გორგული – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ახალციხის ქვაბულის დასავლეთ ნაწილში, მდ. ქვაბლიანის მარჯვენა მხარეს, დაბა ადიგენიდან სამხრეთით, 0.5 კმ მანძილზე, ზ.დ. 1135-1360 მ სიმაღლეზე, თემის ცენტრი. შემორჩენილია შუა საუკუნეების „შოშხოითის ეკლესია“ და ეკლესიის ნანგრევები. მოსახლეობის რიცხოვნობა – 169, რომელთა 97 % ქართველია (2002). როგორც ფიქრობენ, სახელწოდება წარმოდგება ზოგადი სიტყვისაგან – „გორ-გური“, რაც პატარა-პატარა გორებს ნიშნავს. ზოგადი სიტყვისაგან წარმომავლობაზე მიგვანიშნებს ვაჟა-ფშაველას ლექსიც „მონადირე“.

გორგულის თემის საკრებულო – საკრებულო ადიგენის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: გორგული, ადიგენი, იმერთუბანი და იჯარეთი. მოსახლეობის რიცხოვნობა 1102 კაცი (2002).

გორგულის მენყერი – მენყრული სხეული ახალციხის ქვაბულის დასავლეთ ნაწილში, მდ. ქვაბლიანის მარჯვენა მხარეს, სოფ. გორგულის ჩრდილო-დასავლეთით. განვითარებულია 15-35⁰ დახრილობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ექსპოზიციის ფერდობზე, რომელიც აგებულია ზედა მიოცენის ვულკანოგენურ ქანებზე გადაფარებულ დელუვიურ-კოლუვიური ნალექებში. მენყრის სიგრძეა 600 მ, სიგანე – 400 მ, სიმძლავრე – 5-7 მ, ფართობი – 24 ჰა. მენყერი მცოცავი ტიპისაა, ძველი რამდენიმე აქტიური უბნით.

გორგულ-კახათის ნახევრად საინჟინრო სარწყავი არხი – არხი გაყვანილი მდ. ქვაბლიანის მარჯვენა ნაპირიდან. ირწყვება ახალციხის ქვაბულის 690 ჰექტარი (თვითდინებით 150, მექანიკური საშუალებით 540).

გორელოვკა, ბუღდაშენი – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი, ჯავახეთის ზეგანზე, მდ. ბუღდაშენის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 2045-2060 მ სიმაღლეზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1069. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (56 %) რუსები. ცხოვრობენ სომხებიც – 41 % (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. სოფელში არის ვულკანური წილის საბადო. სოფელი დაარსეს XIX საუკუნის შუა წლებში დუხობორებმა. XIX საუკუნეში რუსი სექტანტების აქ დასახლების შემდეგ წარმოიქმნა რუსეთის გუბერნიის ქალაქ გორელოვის პარალელური სახელი: „გორელოვკა“.

გორელოვკის თემის საკრებულო – საკრებულო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: გორელოვკა, ეფრემოვკა, სამება, ორლოვკა, ჟდანოვანი და სპასოვკა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 2590 (2002).

გორვაკე – სოფელი, იხ. ყაურმა.

გორთუბანი, ღორთუბანი, ელიკანი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ახალციხის ქვაბულის დასავლეთ ნაწილში, ზ.დ. 1460-1540 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 12 კმ მანძილზე, ჭეჭლას თემში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 139, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები. რთული სიტყვისაგან შედგენილი ტოპონიმია. მანარმოებელია სიტყვა „უბანი“, ხოლო სიტყვა „გორთ“ მრავლობითშია მოცემული.

მონადირე

(ნანყვეტი)

ვაჟა-ფშაველა

„ყოზან-მთის გადასახეღში
ხაზმა დაიწყო ღზიალი,
სულ დაძმა ჩრდილი გორ-გუბი,
დააწყებინა ზზიალი“.

გორის მაზრა – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველ საქართველოში, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ადმინისტრაციული ცენტრი – გორი. ახლანდელი გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, ჯავის მუნიციპალიტეტების გარდა, მის შემადგენლობაში შედიოდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაც. გაუქმდა 1830 წელს.

გოჭა – იხ. კობრი.

გრძელყუნწიანი მუხა – იხ. ჭალის მუხა.

გუვლევისღელე – მდინარე ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. თისელისღელის მარცხენა შენაკადი.

გულთოვლის მთები – ქედი, ჯავახეთის ქედის მონაკვეთი მდინარეების არყნალისხევისა და ქარვასლისხევის სათავეებს შორის, ნინოწმინდისა და წალკის მუნიციპალიტეტების საზღვარზე.

გულიკამი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, კარტიკამის თემში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. აბლარის (ფარავნის მარჯვენა შენაკადი) ნაპირებზე, ფარავანთან შესართავთან, ზ.დ. 1675-1745 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 5 კმ მანძილზე. მიდამოები უტყეოა. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1974, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). სახელწოდება წარმოიშვა 1828-1829 წლების შემდეგ, რაც სამცხე-ჯავახეთში დასახლდა თურქეთიდან გადმოსახლებული სომეხი მოსახლეობა.

გულსუნდა, გელსუნდა – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ტოლოშის თემში, ზ.დ. 1200 მ სიმაღლეზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 81, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002). სოფლის მიდამოებშია კლდეში ნაკვეთი კომპლექსი – ქვაბნი.

გულსუნდას ქვაბნი, გელსუნდას ქვაბნი – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულები ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხერთვისთან, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირას. წარმოადგენს გამოქვაბულთა 3 დამოუკიდებელ კომპლექსს: უდაბნოს. ქვაბთასა და დარნის. უდაბნოს კომპლექსი (VIII-IX სს.) 2-სართულიანია, თუმცა კლდის ჩამოშლის გამო მეორე სართული მიუდგომელია. მოიცავს ბერთათვის განკუთვნილ ქვაბებს, რომელთა ჭერი ბრტყელია. შემორჩენილია ქვაბში ჩაშენებული ეკლესიის ნანგრევები, რომელიც ნაგები ყოფილა ქვითკირით. სიღრმეში კი სახიზარი ქვაბია. ქვაბთა კომპლექსი (ადრ. შუა სს.), ფრიალო კლდეშია რამდენიმე სართულად გამოკვეთილი. აქ ქვაბ-სათავსოებია. დარნის კომპლექსი (ადრ. შუა სს.) მინისქვეშა გასასვლელების სისტემაა – დარნის ტიპის. სახელიც აქედან ეწოდა.

გუმბათი – მთა ასპინძის მუნიციპალიტეტში, ერუშეთის მთიანეთის უმაღლესი მწვერვალი საქართველოს ფარგლებში (მესხეთის უმაღლესი მწვერვალი), მდ. ინჯისწყლის (ურავლის მარჯვენა შენაკადი) სათავეში, ზ.დ. 2963,8 მ სიმაღლეზე. შემორჩენილია მეოთხეული გამყინვარების ნაშთები. გვხვდება ქანების ყინვისმიერი გამოფიტვის პროდუქტები – ე.წ. კარკალები. შემოსილია სუბალპური და ალპური მდელოებით. საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებზე აღნიშნულია კიუმბეტის (Кюмбет) სახელწოდებით.

გუმბურდო – სოფელი, იხ. კუმურდო.

გურის ციხე – ციხესიმაგრე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. საკირესთან, მდ. დვირისხევის (მტკვრის შენაკადი) ზემო წელში. ერთ დროს იყო სამეფო რეზიდენცია.

გურკელი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იემრეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდ. წინუბნისწყლის (მტკვრის მარცხენა შენაკადი) მარცხენა მხარეს, ზ.დ. 990-1050 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 24 კმ მანძილზე, აგარის თემში. სოფელში არის მინერალური წყალი. შემორჩენილია შუა საუკუნეების გურკლელების საგვარეულო. სოფელში მიკვლეულია ჩამარხული ქვევრები ღვინის ლექით. ფართოდ იყო გავრცელებული ვაზი ხარისთვალა თეთრი. გურკელის მიდამოებშია მონასტერი, რომელიც მოიცავს გუმბათიან ეკლესიას (XIV ს, მოხატ. XIV ს.), სამლოცველოს (1493 წ.).

გურკელი – მინერალური წყარო, იხ. წინუბანი.

გურკელის მენყერი – მენყრული სხეული ახალციხის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იემრეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდ. წინუბნისწყლის (მტკვრის მარცხენა შენაკადი) მარცხენა მხარეს, სოფ. გურკელში. მენყერი წარმოიქმნა 2005 წელს მდ. წინუბნისწყლის მარცხენა ფერდობის ძირში გამავალი წრიოხის არხის დაზიანების შედეგად. განვითარებულია ზედა ეოცენის ქვიშა-თიხოვანი ნალექებში, რომლებიც გადაფარულია ელუვიურ-დელუვიური თიხებითა და თიხნარებით. დროებით სტაბილური მენყერია.

გურკელის ციხე – ციხე ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. გურკელის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. წინუბნისწყლის (მტკვრის მარცხენა შენაკადი) მარცხენა მხარეს, გორაზე. შემორჩენილია ნანგრევები.

გურჯისხევი, გუჯარისხევი – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტაძრისთან. გურჯისხევის ციხესთან ერთად ხრამისხევის და ქმნის მდინარე საკირეს (მტკვრის მარჯვენა შენაკადი). საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკაზე აღნიშნულია „გუჯარისხევის“ (Гуджарис-Хеви) სახელწოდებით.

გურჯის-ხევის ეკლესია – წმ. გიორგის სახელობის ორნავიანი ტაძარი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტაძრისში. ყოფილა დიდი მოცულობის ტაძარი. ნაგებია დიდი ქვებითა და დულაბით. შემორჩენილია ნანგრევები. მის სიახლოვეს, მდ. გურჯისხევის ხრამისხევთან შესართავთან გურჯისხევის ციხეა.

გუჯარეთი – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. გუჯარეთთან. მიეკუთვნება ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმთან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია – 0.3 გ/ლ.

გუჯარეთი – მხარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში. უძველესი ხანიდან დასახლებულია, რასაც მოწმობს მრავალი არქეოლოგიური მონაპოვარი: კოლხური ცული, ზოდები, ყალიბი, თოხები და სხვ. ბრინჯაოს ხანიდანაა დასახლებული. ძველად შედიოდა თორის მხარეში, მონღოლთა ბატონობის პერიოდიდან დაკნინდა, XIV საუკუნეში სამეფო მამული იყო, XVI საუკუნის ბოლოს ოსმალებმა დაიკავეს. მდიდარია ღირშესანიშნაობებით: თოთხამის, მომწვარას, უზნარიანისა და სარბიელას ციხეები, დაბის, მალალჯვარის, ტიმოთესუბნისა და სხვა ეკლესიები, გამოქვაბულ-სახიზარები. გუჯარეთი მდიდარი იყო მერქნიანი მცენარეებითა და სამშენებლო ქვით. ვახუშტი ბაგრატიონიც მიუთითებს აქ ქვის მოპოვებაზე, რომელსაც თურმე ნაგებობათა გადასახურავად ხმარობდნენ. ის ფაქტი, რომ ხე-ტყე იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ყოველდღიური საჭიროება, ამის დასტურია სოფ. გუჯარეთის შესახებ შემორჩენილი ინფორმაცია: „სააღმშენებლო მასალა, სითბო და სინათლე საცხოვრებლებში, სამუშაო იარაღები, ყოველდღიური მოხმარების საგნები (ლასტი, გოდორი, კალათი), ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, საკვების ნაწილი (ნანადირევი, ტყის ხილი), ყველაფერი ეს აქ ტყესთან იყო დაკავშირებული. ... ტყეებში ნახშირს ამზადებდნენ, რომელიც აუცილებელი

იყო მჭედლობაში“. მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია დაბის, მაღალჯვარის, ტიმოთესუბნისა და სხვა დიდი თუ მცირე ეკლესია-სამლოცველო; თოთხამის, მომწვარის, სარბიელის, უზნარიანის ციხეები; გამოქვაბული-სახიზრები. გუჯარეთზე გადიოდა მნიშვნელოვანი სამიმოსვლო გზები, რომლებიც ჯავახეთსა და თრიალეთს აკავშირებდა.

გუჯარეთი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი (სოფლები: ოდეთი, ღინტური, წითელსოფელი), თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, მდ. გუჯარეთისწყლის ზემო ნელში, ზ.დ. 1580-1670 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 40 კმ მანძილზე. სოფელი დაცარიელებულია. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერით არ არის მუდმივი მოსახლეობა.

გუჯარეთის თემის საკრებულო – საკრებულო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: გუჯარეთი, ოდეთი, ღინტური და წითელსოფელი. გუჯარეთის თემის ყველა სოფელი დაცარიელებულია. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერით არ არის მუდმივი მოსახლეობა.

გუჯარეთის ლავა, გუჯარეთის ლავური ღვარი – მძლავრი ლავური ღვარი მდ. მტკვრის ხეობაში, რომელიც დაბა წალვერამდე, ბაკურიანის ლავური ღვარის შუა ნაწილამდე აღწევს. იგი ამოინთხა მდ. თონეთისწყლის (გუჯარეთისწყლის მარცხენა შენაკადი) ხეობაში. ამ ლავურ ნაკადს მდინარის ხეობა 21 კმ სიგრძეზე ღვარით ამოუვსია, მდინარეს კი – ახალი კალაპოტი გამოუმუშავებია. ღვარის გადაკვეთისას მდინარე ქმნის ვიწრო და მცირე სიღრმის (30-40 მ) კანიონს. დღეს იგი 70-80 მ სიმაღლის ბორცვია. ღვარი აგებულია ანდეზიტებით. მასზე მდებარეობს სოფლები: გვერდისუბანი, თელოვანი, მზეთამზე, მიტარბი, ტყემლოვანი და სხვ.

გუჯარეთის მონასტერი – წმ. გიორგის სახელობის დედათა მონასტერი (განვით. შუა სს.) ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

გუჯარეთის ღვარი – ლავური ღვარი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, რომელიც ამოინთხა მდ. თონეთისწყლის (გუჯარეთისწყლის მარცხენა შენაკადი) აუზში და გავრცელდა დაბა წალვერის მიდამოებამდე. ღვარის სიგრძეა 21 კმ, სიგანე კი – 0.3-1 კმ, შეფარდებითი სიმაღლე – 80-90 მ. ღვარი აგებულია ანდეზიტებისაგან. ღვარზე მდებარეობს სოფლები: გვერდისუბანი, თელოვანი, მზეთამზე, მიტარბი, ტყემლოვანი და სხვ.

გუჯარეთისწყალი – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში. სათავეს იღებს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მურყნევის მთის სამხრეთ კალთაზე, ზ.დ. 2060 მ სიმაღლეზე და ჩაედინება მდ. მტკვარში ქ. ბორჯომთან. მდინარის სიგრძეა 43 კმ, საერთო ვარდნა – 1285 მ, აუზის ფართობი – 325 კმ², საშუალო მრავალწლიური ხარჯი წალვერთან 3,24 მ³/წმ. წყალდიდობები იწყება მარტის შუა რიცხვებიდან და გრძელდება ივნისის ბოლომდე. წყალმცირობის პერიოდში დამახასიათებელია წყალმოვარდნები. ზამთარში დამახასიათებელია ყინულნაპირისი, თოში, ყინულსაფარი. ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს მდ. გუჯარეთისწყლის ხეობას: „... არს ხეობა გუჯარეთისა, და ყოფილარიან მრავალნი შენობანი და ეკლესიანი, გარნა ან შემუსვრილნი“. ხეობა ოდითგანვე ყოფილა დასახლებული. XIX საუკუნეში აქ ოსებიც დასახლებულან.

გუჯარისხევი – მდინარე, იხ. გურჯისხევი.



დაბა – კურორტი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის მთისწინეთში, მდ. გუჯარეთისწყლის ხეობაში, ზ.დ. 800-1060 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან სამხრეთით 10 კმ მანძილზე. მიდამოები შემოსილია წიწვიანი ტყეებით. კლიმატი დაბალი მთის სუბტროპიკული ტიპისაა. ზამთარი რბილი (იანვრის საშუალო ტემპერატურა – -2.2°C) და მცირეთოვლიანია, ზაფხული – თბილი (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა – $+20^{\circ}\text{C}$).

დაბა – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, გვირგვინას ქედის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე, მდ. გუჯარეთისწყლის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 800-1060 კმ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან სამხრეთით 10 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 238. მათი უმრავლესობა (95 %) ქართველია (2002). დაბაში დგას საუკუნის ერთნაგვიანი ეკლესია (XIV ს.).

დაბაძველის მენყერი – მენყრული სხეული ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. თორისწყლის ხეობაში, დაბაძველის პლატოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე.

დაბაძველის პლატო – ლავური პლატო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. თრიალეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე, მტკვრის დონიდან 800-1000 მ სიმაღლეზე. აქ მდებარეობს ვულკანური წარმოშობის ტბებია. მათ შორის უდიდესია კახისის და წეროს ტბები. პლატო მერიდიანულად გადაჭიმულია 11 კმ, განედურად 8 კმ მანძილზე.

დაბაძველის ტბა – ტბა დაბაძველის პლატოზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

დაბის ეკლესია – წმ. გიორგის სახელობის ერთნაგვიანი ეკლესია ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. დაბაში. მდიდარია ჩუქურთმებით. აგებულია 1333 წელს. სამშენებლო წარწერით ჩანს, რომ იგი აუგია გიორგი V-ის მოღარეთუხუცესს.

დაბის უთხოვარი – მრავალწლიანი უთხოვარის ხე, რომელიც ამოსულია ქვაზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. დაბაში.

დაბნია – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ხავეთის საკრებულოში, ჯავახეთის ზეგნის სამხრეთ ნაწილში, მდ. ქოდალოს მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1690-1770 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 30 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 134. მათი უმრავლესობა (99 %) სომეხია (2002).

დადეში – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სულდის საკრებულოში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. მურჯახეთისწყლის (ფარავნის მარცხენა შენაკადი) მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1800მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 23 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 902. მათი უმრავლესობა (98 %) სომეხია (2002). სოფლის ტერიტორია დასახლებულია წინა ფეოდალური ხანიდან. ახლანდელი მოსახლეობა სომხურია. მათი წინაპრები აქ XIX საუკუნეში დასახლდნენ. დადეშის მიდამოებში მდებარეობს განვითარებულ შუა საუკუნეებში აგებული ეკლესია.

დადეში – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ერუშეთის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე, ზ.დ. 1475-1505 მ სიმაღლეზე. მიდამოები უტყეოა.

დადემის ეკლესია, ძველი დადემი – ეკლესია (XV ს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში.

დადემის ეკლესია – ეკლესია (IX ს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

დავაკრანი – მთა ჯავახეთის ქედზე, ახალქალაქისა და ნალკის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, ზ.დ. 2820 მ სიმაღლეზე. შემოსილია ალპური და სუბალპური მდელოებით.

დათვეთისღელე – მდინარე ახალციხის მუნიციპალიტეტში, ლეკნარისღელის (წინუბნისწყლის მარცხენა შენაკადი) მარცხენა შენაკადი.

დათვიას ქვაჯვარი – მეგალითი სოფ. ფარავნიდან აღმოსავლეთით, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

დამალა, ტამალა, ტამალია – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის განშტოების ჭობარეთის ქედის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე, თემის ცენტრი, ზ.დ. 1300-1440 მ სიმაღლეზე, დაბა ასპინძიდან აღმოსავლეთით 3 კმ მანძილზე, საკრებულოს ცენტრი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1984, უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. ძველი ქართული სახელწოდებაა ტამალა, ტამალია. სოფლის სახელწოდება „დამალა“ ქართულის დამახინჯებული ფორმაა, რომელიც წარმოიშვა 1828-1829 წლების შემდეგ, რაც სამცხე-ჯავახეთში დასახლდა თურქეთიდან გადმოსახლებული სომეხი მოსახლეობა. მის მიდამოებში მდებარეობს შუა საუკუნეებში აგებული „კობტას ციხე“ და ადრე შუა საუკუნეების დროინდელი ეკლესია. ემჩნევა მხატვრობის კვალი.

დამალის ეკლესია – ეკლესია ასპინძის მუნიციპალიტეტში.

დამალის თემის საკრებულო – საკრებულო ასპინძის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფელია დამალა. მოსახლეობის რიცხოვნობა 1984 კაცი (2002).

დანეთი – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. გიორგიწმინდასთან.


დანკალი, დამკალი – ნასოფლარი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, კუმურდოსა და გოგაშენს შორის. 1920-40-იან წლებში დასახლებული ყოფილა. შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები.

დანკალის ეკლესია – დარბაზული ეკლესია (X-XI სს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. შემორჩენილია ნანგრევები. აგებულია რუხი ბაზალტით, რომელსაც ჩართული აქვს მცირე ზომის ღვინისფერი ქვები. სოფლის მიდამოებში იდგა 2 სტელა.

დარანი, დარნის კომპლექსი – კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულების კომპლექსი. იხ. გულსუნდა.


დარბაზი მესხური – საცხოვრებელი ნაგებობის ტიპი, ფართოდ გავრცელებული ძველ მესხეთში. წარმოადგენს ოთხკუთხა ძელებით კონუსურად ამოყვანილი გვირგვინის გადახურვის სისტემას. გვირგვინის ცენტრში ღიობია (ერდო), საიდანაც სინათლე და ჰაერი შემოდის, გარეთ კი კერაზე დანთებული ცეცხლის კვამლი გადის. ამ სპეციფიკური ნიშნების გამო ასეთ ნაგებობებს ერდოიან-გვირგვინიან სახლებსაც უწოდებენ. გვირგვინიანი ნაგებობის კედლებზე კი არაა დაყრდნობილი, არამედ საგანგებოდ შექმნილ ბოძებზე, რომელთაც დედაბოძი ეწოდება. დარბაზს შეიძლება ჰქონოდა 2 ან 4 დედაბოძი. სამცხე-ჯავახეთში ასეთ საცხოვრებელს ერთობის სახლს ეძახდნენ, ვინაიდან მასში 3-4 თაობის წარმომადგენელი ერთად ცხოვრობდა. ერთობის სახლი არა მარტო საცხოვრებელი ნაგებობა იყო, არამედ სამეურნეო კომპლექსიც. ზამთარში აქ ჰყავდათ შინაური პირუტყვი, აქვე ინახავდნენ მათ გამოსაკვებ პროდუქტსაც. საცხოვრებლის მთავარი სათავსი, ცენტრალური ოთახი იყო დარბაზი, სადაც ოჯახი ცხოვრობდა და სადაც სტუმრის მიღება-გამასპინძლება ხდებოდა, იმართებოდა ყველა სადღესასწაულო სუფრა. ამ ოთახს აუცილებლად გვირგვინიანი

გადახურვა ჰქონდა. სხვა სათავსებსაც შეიძლება ჰქონოდა გვირგვინიანი სახურავი. ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რომელი უფრო საჭირო იყო – სინათლე და განიავება, თუ ზამთარში ცეცხლის დაუნთებლად სითბოს შენარჩუნება. გვირგვინი ჰქონდა მხოლოდ იმ სათავსს, სადაც ადამიანი ცხოვრობდა, სამეურნეო სათავსს კი, განსაკუთრებით პირუტყვის სადგომებს – არა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ადგილობრივი მკაცრი ზამთარი ქართველ მეურნეს აიძულებდა პირუტყვისათვის თბილი სადგომი მოემზადებინა. ეს კი ყველაზე უკეთესად, მაშინდელ პირობებში სწორედ მინის სიღრმეში იყო შესაძლებელი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთის დიდი ნაწილი შეშის დეფიციტს განიცდის. ამიტომ ამ ადგილებში ისეთი ნაგებობა უნდა შექმნილიყო, სადაც შეშის თუ წივის მინიმალური დანახარჯით, მაქსიმალური ეფექტი იქნებოდა მიღებული.



მესხური დარბაზი, ვალე
ფოტო: Сумбадзе, 1984

დარბაზის ცენტრში, ერდოს ქვემოთ მოწყობილი იყო კერა. მოგვიანებით იგი ბუხარმა შეცვალა და კედლის სიღრმეში გადაინაცვლა. ამიტომ ერდოს მხოლოდ განიავებისა და განათების ფუნქცია



მესხური დარბაზი,
გადახურვა ძვანულიანი

დარჩა. ყოველ საცხოვრებელ კომპლექსს პურის გამოსაცხობად ჰქონდა თავ-თავისი სათონე ან ფურნის ოთახი. ასევე აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა ზამთარში შინაური პირუტყვის დასაბინავებელი ბოსელი (ახორი) და თივა-ბზის შესანახი სათავსი – საბძელი. დარბაზული ნაგებობები თითქმის მინაში იყო ჩამჯდარი და თანაც მინითვე იყო დაფარული, უცხო თვალისათვის ძნელად შესამჩნევი იყო. მესხეთში ამგვარ სახლებს ერთმანეთის გვერდი-გვერდ აშენებდნენ და ფაქტობრივად მინისქვეშა კვარტალებს ქმნიდნენ. მათ ერთმანეთთან დამაკავშირებელი კარებიც კი ჰქონდათ, ისე რომ არ უხდებოდათ გარეთ გამოსვლა და ქუჩების გავლა, რომ მეზობელთან მოხვედრილიყვნენ.

თ. ჩიქოვანი ამ ფაქტს თავდასხმის საშიშროების არსებობით ხსნის: „უბნის ამგვარი კომპაქტურობა ავბედობით იყო ნაკარნახევი, ყველა სახლი ერთმანეთს საიდუმლო კარებით უკავშირდებოდა. მოულოდნელი თავდასხმის შემთხვევაში, უბნის მოსახლეობა ამ საიდუმლო კარებით ერთი სახლიდან მეორეში გადადიოდა და იქ იყრიდა თავს, რომელიც უფრო საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა. სახლებს არც თუ იშვიათად გვირაბებიც ჰქონდა, რომლის საშუალებითაც ლტოლვილი



ლიჩელის სახლი რაბათში, ახალციხე
ფოტო: Сумбадзе, 1984

მოსახლეობა სოფლიდან იპარებოდა და ციხესიმაგრეებს აფარებდა თავს“. ამასთან მესხური ტიპის დარბაზი ადგილობრივი ბუნებრივი პირობების და სამეურნეო საქმიანობის შესატყვისად ჩამოყალიბდა. კერძოდ, შედარებით მშრალი კლიმატის პირობებში შესაძლებელი იყო ნაგებობათა მიწის სიღრმეში აგება – მშენებლობისათვის გამოყენებული ხის მასალა დიდხანს ძლებდა და ნესტის სიმცირეც ადამიანების ხიფათს არ უქმნიდა. ოჯახს თუ დასჭირდებოდა ნებისმიერი ოთახიდან გაჭრიდა კარს, გამოიღებდა მიწას, ამოიყვანდა კედელს და ახალი სათავსიც მზად იყო. ამიტომაც იყო რომ მესხური დარბაზის გეგმა ყველგან არაპროპოციულია. მიწისზედა ნაგებობების შემთხვევაში კი მეტი ძალისხმევაა საჭირო, როგორც კედლების ამოყვანის ისე მისი გამაგრების მხრივაც. დარბაზულ ნაგებობა გარემო პირობების კარგად ცოდნისა და მისი შემოქმედებითი გამოყენების კლასიკური მაგალითია. ამასთან იგი ახალი კულტურულ-ისტორიული ფენომენის – ქართული ჯვარ-გუმბათიანი ხუროთმოძღვრების წარმოშობის წინაპირობაცაა. მიჩნეულია, რომ ქართული საკულტო ნაგებობების განვითარების გარკვეულ საფეხურზე სწორედ დარბაზული საცხოვრებლის ძირითადი ელემენტი – გვირგვინი იქნა გამოყენებული ახალი სტილის ე.წ. ჯვარ-გუმბათოვანი საკულტო ნაგებობების შესაქმნელად. კერძოდ, ქართველმა ხუროთმოძღვარმა დარბაზიდან აიღო კვადრატული ფორმიდან მრგვალ ფორმაზე გადასვლის იდეა.

დარიჯი, დარეჯი – ხელოვნური ტერასის ტიპი, ქვისკედლიანი, რომელსაც აგებდნენ მცირე დახრილობის, თუმცა ფართო ფერდობებზე. იგი დიდი ფართობის (სიგანე 5-10 მ, სიგრძე 30-35 მ) და შედარებით დაბალი (1-1.5 მ სიმაღლის) ტერასა იყო. აგებული იყო მდინარის ხეობის გასწვრივ მაღალნაყოფიერ ნიადაგებზე. ისტორიული წყაროებით ირკვევა, რომ ამ ტიპის ტერასებზე უმთავრესად აშენებდნენ ხეილს, ან მაღლარ ვენახს (ჭანჭურის, ან ჭერმის ხეზე ასულ ვახს). დარიჯების აგებამდე წინასწარ საგულდაგულოდ შეარჩევდნენ ადგილს და განსაზღვრავდნენ სარწყავი წყლის მიყვანის შესაძლებლობას. ბაქნის შენება იწყებოდა ფერდობის ძირიდან მიწის გამოთხრითა და ქვებისაგან განთავისუფლებით. მიწის გამოთხრისას ტერასის კედლის საძირკვლად დებდნენ დიდი ზომის ქვებს, ლოდებს, რომელსაც შემდეგ მიწით ავსებდნენ. ასე აგრძელებდნენ შემდეგი ზედა საფეხურის აგებასაც. ქვისკედლიანი ტერასები შემორჩენილია სოფლების აწყურის, გოგაშენის, ვარგავის, თმოგვის, ნიჯგორის, საროს, ტოლოშის, ხერთვისის, ხიზაბავრისა და სხვათა მიდამოებში.

დასავლეთის თავკვეთილი – მთა, იხ. პატარა თავკვეთილი.

დახვანდის ეკლესია, დახვანდრის ეკლესია – დარბაზული ეკლესია ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

დახვანდრის მენყერი – მენყრული სხეული ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, დახვანდის ეკლესიის სიახლოვეს.

დგვარი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ტაძრისის საკრებულოში, თრიალეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე, ბორჯომის ხეობაში, მდ. დვირულის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1320 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 28 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 348. მათი უმრავლესობა (99 %) ქართველია (2002).

დგვარის მენყერი – მენყრული სხეული ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. დგვართან. განვითარებულია 300 ჰექტარზე. სიმძლავრეა 20 მ-მდე სიგრძე – 1.0-1.5 კმ, სიგანე – 400-500 მ. მიეკუთვნება აქტიურ, პლასტიკურ, ცოცხვით ტიპს. მენყრული სხეულის ორივე მხარეს ღელეებია, რაც მენყრის ცალკეული მონაკვეთების ჩამოზავებას იწვევს. სოფლის მოსახლეობა საქმიანობას ეწევა მოქმედი მენყერის ტანზე, რაც კიდევ უფრო ზრდის მის აქტიურობას.

დეკა – იხ. როდოდენდრონი.

დემოთი – ნასოფლარი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. ქვაბისხევის ხეობაში, სოფ. ქვაბისხევის ჩრდილოეთით 3 კმ მანძილზე. შემორჩენილია მარიამწმინდის სამნავიანი ბაზილიკა და დემოთის ციხე. ეკლესიაში (IX ს.) კედლის მხატვრობის ფრაგმენტებია, სადაც გამოსახულია ახალგაზრდა მამაკაცი და ქალი, ზედ მინაწერია: „შოთა“ და „იაფ“, რასაც უკავშირებენ შოთა რუსთაველის სახელს.

დემოთის ციხე – ციხესიმაგრე (წინაფეოდალური ხანა) ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვაბისხევიდან ჩრდილოეთით 3 კმ მანძილზე. ნაგებია ციკლოპური ტიპის წყობით. ლეონტი მროველი ასე ახასიათებს ციხეს: „აღაშენა ქუეყანასა ოძრჯევისას, რომელსა ეწოდების სამცხე, ადგილისა, რომელსა ჰქვან დემოთი“.

დერცელი, დერსელი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, მოხის საკრებულოში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდ. ღაღვისწყლის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1440-1610 სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 17 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა მუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 326, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002). ადრინდელ წყაროებში იგი დერსელის სახელით იყო ცნობილი. ტოპონიმი ქართულია.

დვირი – მინერალური წყალი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ქ. ბორჯომიდან სამხრეთით, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. წყაროების საერთო დებიტია 350 ათ. ლ, ტემპერატურა – 27°C. მიეკუთვნება სულფატურ-ჰიდროკარბონატულ ნატრიუმიან წყლებს, საერთო მინერალიზაციაა 0.2გ/ლ.

დვირი – სამარხი-ქვაყუთი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. დვირთან.

დვირი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბორჯომის ხეობაში, მდინარეების მტკვრისა და დვირულის შესართავთან, ზ.დ. 860-940 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან სამხრეთ-დასავლეთით 18 კმ მანძილზე, საკრებულოს ცენტრი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 937. მათი უმრავლესობა (98 %) ქართველია (2002). სოფლის მახლობლად, მთის კალთაზე შემორჩენილია ციხის ნანგრევები (XIII-XIV სს.). სოფელში დგას რამდენიმე ეკლესია: მთავარანგელოზის დარბაზული (გადაკ. XIX ს.) სოფლის ცენტრში, ნაგებია თლილი ქვით, კვირაცხოვლის ეკლესია (სასაფლაოზე), საკვირიკეს სამნავიანი ეკლესია (შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები, დაზიანებულია).

დვირის თემის საკრებულო – საკრებულო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: დვირი, ქვაბისხევი, ჩითახევი და ჭობისხევი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 2548 (2002).

დვირის ეკლესია – კვირიკეს სახელობის ეკლესია ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს. აგებულია IX საუკუნეში, შემორჩენილია XIV-XV საუკუნეების მოხატულობა.

დვირის ტერასები – უკედლო ტერასები ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფელ დვირში, საღეს ციხის მოპირდაპირე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე.

დვირის ციხე – ციხე (XIII-XIV სს., მოგვიანებით გადაკეთებული) ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. დვირის დასავლეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, გორაზე. შემორჩენილია ნანგრევები.

დვირულა – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი. სათავე აქვს თრიალეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე და ერთვის მტკვარს. სიგრძეა 12 კმ, წყალშემკრები აუზის ფართობი – 56 კმ², საშუალო წლიური ხარჯი – 0.98 მ³/წმ. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე.

დიატომიტი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, ანდრიაწმინდის თემში, ერუშეთის მთიანეთის აღმოსავლეთ ფერდობზე, მდ. ურავლის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1060-1110 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. მიდამოები უტყეოა.

დიგაშენი – ნასოფლარი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავნის მარჯვენა ნაპირას, სოფლებს ყაურმასა და ჯიგრაშენს შორის. შემორჩენილია დარბაზული ეკლესიის ნანგრევები.

დიგაშენი – იხ. სოფ. ჯიგრაშენი.

დიდგულა – იხ. ანწლი.

დიდი აბული, აბული – მწვერვალი სამსრის ქედზე (უმაღლესი მწვერვალი), ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, ზ.დ. 3301 მ სიმაღლეზე, ჯავახეთ-სომხეთის მთიანეთის უმაღლესი მწვერვალი საქართველოს ფარგლებში. შემორჩენილია ძველმყინვარული ნაშთები. ჩამქრალი ვულკანია, თუმცა სიძველის გამო ვულკანურ კონუსს ფორმა აქვს შეცვლილი, ხოლო ზედა ნაწილში – მობრტყელებულია. კალთებზე მიმოფანტულია კარკალები. შემოსილია უმთავრესად ალპური მდელოებით.

დიდი არაქალი – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სათხის თემში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. ფარავნის მარცხენა ნაპირას, ზ.დ. 1750-1925 მ სიმაღლეებზე, ქ. ნინოწმინდიდან 8 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 934, რიცხობრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002).

დიდი ზიარეთი – მთა ასპინძის მუნიციპალიტეტში, ერუშეთის მთიანეთის აღმოსავლეთ ფერდობზე.

დიდი თავკვეთილი, აღმოსავლეთის თავკვეთილი – მთა აბულ-სამსრის ქედზე, ახალქალაქისა და ნალკის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, ზ.დ. 2582.7 მ სიმაღლეზე. ვულკანური კონუსია. მიდამოები უტყეოა.



დიდი თეთრი ყანჩა

დიდი თეთრი ყანჩა, დიდი ოყარი (Egretta alba) – ფრინველი ყანჩასებრთა ოჯახიდან. გავრცელებულია ჯავახეთში, გორელოვკის მიდამოებში. ბინადრობს მდინარეების, ტბებისა და ჭაობების სანაპიროებზე. მცირერიცხოვანი ფრინველის სახეობაა. საქართველოს ნითელ წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი სახეობა, რომელსაც ჯერჯერობით არ ემუქრება გადაშენება, მაგრამ გვხვდება ისე ცოტა, ან იმდენად მცირე ტერიტორიაზე, რომ შესაძლოა სწრაფად გადაშენდეს.

დიდი კონდური, დიდი გონდური, დიდი გონდრიო – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. მურჯახეთისწყლის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1790-1840 მ სიმაღლეებზე, ქ. ნინოწმინდიდან 16 კმ მანძილზე, საკრებულოს ცენტრი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1294, რიცხობრივად უპირატესი

ეროვნება – სომეხი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში.

დიდი კონდურის თემის საკრებულო – საკრებულო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: დიდი კონდური, დილიფი, მამზვარა, პატარა კონდური და ყულალისი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 5 170 კაცი (2002).

დიდი მიტარბი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის სადაბო საკრებულოში, მდ. ხრამის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1460-1630 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 18 კმ მანძილზე.



სოფელ დიდი პამაჯის მიდამოები

მოსახლეობის რიცხოვნობა – 48. მათი უმრავლესობა (60 %) ქართველია. ცხოვრობენ აგრეთვე ოსები (38 %) (2002).

დიდი რიზოფაგუსი – იხ. ნაძვის ლაფნიჭამია.

დიდი ორდაკლო – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ზეგანზე.

დიდი ოყარი – ფრინველი, იხ. დიდი თეთრი ყანჩა.

დიდი პამაჯი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, პამაჯის საკრებულოში, ახალციხის ქვაბულში, ზ.დ. 1120-1210 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 11 კმ მანძილზე. მიდამოები უტყეოა. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში.

დიდი სამსარი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ბარაღეთის საკრებულოში, აბულ-სამსრის ქედის დასავლეთ ფერდობზე, ზ.დ. 1975-2030 მ სიმაღლეებზე, ქ. ახალქალაქიდან 29 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. XX საუკუნის შუა წლებში აქ გააშენეს ხელოვნური ფიჭვნარები. ამ ადგილს მერენის ტყე უწოდეს. მოსახლეობის რიცხოვნობა – 379. მათი უმეტესობა (99 %) სომეხია (2002).

დიდი სამსრის ეკლესია – წმ. გიორგის სახელობის დარბაზული ეკლესია ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

დიდი სმადა – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ახალციხის ქვაბულში, ზ.დ. 1130-1260 მ სიმაღლეზე, ახალციხე-ადიგენის საავტომობილო გზის ჩრდილოეთით, ქ. ადიგენიდან 5 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 379, რომელთა 99 % ქართველია (2002). ფართოდ იყო გავრცელებული ვაზი ხარისთვალა თეთრი.

დიდი სმადის ეკლესია – ერთნავიანი ეკლესია ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიდი სმადას ჩრდილო-დასავლეთით. შემორჩენილია ნანგრევები.

დიდი ტბა – ტბა ახალქალაქის პლატოზე, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

დიდი ქვაენარი – იხ. სამსრის კარკალები.

დიდი ხანჩალი, დიდი ხავეთი – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ნინოწმინდის სადაბო საკრებულოში, ჯავახეთის ზეგანზე, ხანჩალის ტბის აღმოსავლეთით, ზ.დ. 1935-1980 მ სიმაღლეზე, ქ. ნინოწმინდიდან 3 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1605. მათი უმრავლესობა (99 %) სომეხია (2002). დგას 1990-იან წლებში აგებული ეკლესია – „სურბი“, დაშენებული ძველი ქართული ქვაჯვრის ბაზისზე. სოფლის სიახლოვეს ეკლესიის ნანგრევებია. XIX საუკუნის დასაწყისში აქ სომეხები დასახლდნენ. სოფლის ქართული სახელია „დიდი ხავეთი“.

დიდი ხანჩალის ეკლესია, სურბი, ანუ წმინდანი – დარბაზული ეკლესია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

დიდი ხანჩალის თემის საკრებულო – საკრებულო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: დიდი ხანჩალი, კათნატუ და პატარა ხანჩალი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 2589 (2002).

დიდი ხორენია – იხ. ხორენია.

დიდი ჯაჯის ტბა, ჯაჯის ტბა – ტბა აჭარა-იმერეთის ქედის თხემზე, ადიგენის მუნიციპალიტეტში.

დიდი ჯაჯის ტბა – ტბა საქართველოში ადიგენის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მწვერვალ მეფისწყაროს სამხრეთით, ზ.დ. 2655 მ სიმაღლეზე. სარკის ფართობია 0.01 კმ², მაქსიმალური სიღრმე – 5 მ, აუზის ფართობი – 0.89 კმ². წყალი მტკნარი, სუფთა და გამჭვირვალეა. გაუდინარია. საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკაზე დატანილია ორი სახელითაა (Джалигѳль, Джаджис-тба) ასახული.

დიდმაღალი – მთა ბაღდათისა და ადიგენის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, აჭარა-იმერეთის ქედზე, მდ. ნაბლარისწყლის სათავეებში, ზეკარის უღელტეხილის დასავლეთით, ზ.დ. 2588 მ სიმაღლეზე. შემოსილია ალპური და სუბალპური მდელოებით.

დიდხევი – მდინარე. იხ. ოშორა.

დიკა, დიკა შავფხიანი, ქართლის ხორბალი (Triticum carthlicum) – ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე, ხორბლის ერთ-ერთი უძველესი სახეობა, საქართველოს ენდემი. საგაზაფხულო კულტურა. მარცვალი ძნელად სცივია და მდგრადია დაავადებების მიმართ. 1950-იან წლებამდე



დიკა შავფხიანი
ფოტო: „ელკანა“

საქართველოს მაღალმთიანეთში ხორბლის წამყვანი ჯიში იყო ზ.დ. 700-2000 მ სიმაღლით დიაპაზონში. ამჟამად თითქმის მთლიანადაა განადგურებული. მესხეთში გავრცელებული იყო დიკა შავფხიანი. ამჟამად ითესება „ელკანას“ საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთზე.

დილისკა, დილისკარი, დილიცკა – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდ. ფარავნის მარჯვენა ნაპირას, ზ.დ. 1650-1715 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 4 კმ მანძილზე, საკრებულოს ცენტრი, ახალქალაქ-ასპინძის საავტომობილო გზაზე.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 2890, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). სახელწოდება „დილიცკა“ წარმოიშვა 1828-1829 წლების შემდეგ, რაც სამცხე-ჯავახეთში დასახლდა თურქეთიდან გადმოსახლებული სომეხი მოსახლეობა.

დილისკა – „სურბსარგის“ ეკლესია (XIX ს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. დილისკაში.

დილისკის თემის საკრებულო – საკრებულო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფელია: დილისკა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 2890 კაცი (2002).

დილიფი, დლივი – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, გონდრიოს საკრებულოში, ჯავახეთის ზეგანზე, ხანჩალის ტბის დასავლეთით, ზ.დ. 1815-1880 მ სიმაღლეზე, ქ. ნინოწმინდიდან 15 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1528, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). X-XI საუკუნეებში იგი ქართველ მეფეთა ერთ-ერთი სადგომი იყო. სოფლის მახლობლად შემორჩენილია ადრეული ფეოდალური ხანის საყდრის ნანგრევები. სახელწოდება „დილიფი“ ქართულის დამახინჯებული ფორმაა, რაც 1828-1829 წლების შემდეგ, სამცხე-ჯავახეთში თურქეთიდან გადმოსახლებული სომეხი მოსახლეობის ჩამოსახლების შემდეგ გაჩნდა. სოფლის ნამდვილი ქართული სახელწოდებაა დლივი.

დილიფის წყაროები, დლივის წყაროები – ლავური ვოკლუზები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. დლივის მიდამოებში, ზ.დ. 1880 მ სიმაღლეზე. წყლის ტემპერატურაა 2-3°C, დებიტი – 1 მ³/წმ. გამოედინება მონითალო ფერის ტუფებიდან. აქ რამდენიმე ათეული წყაროა, რომლებიც ერთ ნაკადულად ყალიბდებიან და ქმნიან მდ. მურჯახეთისწყლის სათავეს.

დიდწყალა – მდინარე, იხ. ბარალეთი.

დლივი – სოფელი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის X-XI საუკუნეებში იყო სამეფო რეზიდენცია. იხ. დილიფი.

დლივის მეფეთა სადგომები – მეფეთა სადგომები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

დლივისწყალი – მდინარე, იხ. ფარავანი.

დლივის წყაროები – იხ. დილიფის წყაროები.

დოლაქისდეღე – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ზუარეთის მარჯვენა შენაკადი.

დოლი – იხ. წითელი დოლი.

დუმანი, დუმა – ნასოფლარი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სალამოს ტბასთან, იქ, სადაც მისგან მდ. ფარავნისწყალი გამოედინება. შემორჩენილია დარბაზული ეკლესიისა და ციხის ნანგრევები.

დუქანი – იხ. კედლიანი ტერასები.

ევროპული ჭაფალი (Coregonus albula Linne) – თევზი, რომელიც აკლიმატიზებულია 1930-იან წლებში მაშინდელი ლენინგრადის ოლქის ვოლხოვის თევზსაშენი ქვირითის გადმოტანით ტაბანყურის, შემდგომ ფარავნის ტბებში. ის მნიშვნელოვანი სარენაო ღირებულის გახდა, თუმცა ნაკლები პროდუქტიულობით ხასიათდებოდა.

ელიას ეკლესია – ეკლესია (გვიანდ. შუა სს.) ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

ელიანმინდა – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, ახალციხის ქვაბულში, ზ.დ. 1440-1490 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან ჩრდილოეთით, თემის ცენტრი (სოფლები: ელიანმინდა, ანი, ჭვინთა). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა 956. უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002). სოფელში დგას შუა საუკუნეების ეკლესია.

ელიანმინდის ეკლესია – ერთნავიანი დარბაზული ეკლესია (XIII-XIV სს.) ახალციხის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, სოფ. ელიანმინდის ჩრდილოეთით 1 კმ მანძილზე. ჩრდილოეთიდან მიშენებული აქვს მცირე ზომის ეგვტერი. შემორჩენილია ნანგრევები და მოხატულობის ფრაგმენტები.

ელიანმინდის თემის საკრებულო – საკრებულო ახალციხის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ელიანმინდა, ანი და ჭვინთა. მოსახლეობის რიცხოვნობა 956 კაცი (2002).

ელიფსური თელადუმა – იხ. თელადუმა.

ელისუბანი – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზედა ვარძიასთან.

ელისღელე – მდინარე ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი.

ემლიქლი – მთა ჯავახეთის ქედზე, წალკისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

ენგვიკვევი – ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუსხის ძველი სახელწოდება.

ენტელი – ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლების ზემო და ქვემო ენთელის ძველი სახელწოდება.

ენტელის ციხე – ციხე ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზემო ენთელის აღმოსავლეთით. შემორჩენილია ნანგრევები.

ერდელის ბუჩქისძირა (Corydalis Erdelii) – მრავალწლიანი გორგლიანი მცენარე, კავკასიის იშვიათი, ვიწრო ლოკალური ენდემური სახეობა. საქართველოში მხოლოდ ჯავახეთშია, სოფ. სამების მიდამოებში და თეთრობის ქედზე, მთის საშუალო და ზედა სარტყელში, ღორღიან ადგილებში.

ერდოიან-გვირგვიანი სახლი – იხ. დარბაზი მესხური.

ერემჭალა, ერემჭალის ციხე, ირმისჭალა – ციხე ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. ქვაბლიანის ხეობაში, სოფ. ზაზალოდან სამხრეთ-დასავლეთით, შემადგენლობაზე. შემორჩენილია ნანგრევები.

ერთობის სახლი – იხ. დარბაზი მესხური.



ერდელის ბუჩქისძირა




ერუშეთის მთიანეთი

ერინჯა – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. ქოდალოს (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ნაპირას, ზ.დ. 1700-1800 მ სიმაღლეზე, ხავეთის თემში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 63, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002).

ერკოტა – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ერუშეთის მთიანეთის აღმოსავლეთ ფერდობზე, ზ.დ. 1550-1600 მ სიმაღლეზე. დაცარიელდა მაჰმადიანი მოსახლეობის აქედან გადასახლების შემდეგ. შემორჩენილია ეკლესიისა და ციხის ნანგრევები.

ერუშეთის მალღობი, ერუშეთის ქედი – ქედი სამხრეთ საქართველოს ვულკანური ზეგნის დასავლეთ ნაწილში, საქართველოსა (ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტები) და თურქეთის საზღვარზე. უმაღლესი მწვერვალია გუმბათი (2964 მ). საქართველოს ტერიტორიაზე იგი შემოდის ერუშეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი კალთით. ხასიათდება ძლიერ დანაწევრებული ზედაპირით. შემორჩენილია ძველმყინვარული ნაშთები. ძირითადი მდინარეებია: ურაველი, ქარზამეთისწყალი, წყალ-ნითელა (მტკვრის მარცხენა შენაკადები), ჯაყისწყალი (ფოცხოვის მარჯვენა შენაკადი) და სხვ. ქედის კალთები შემოსილია ნაძვნარ-სოჭნარით, ზოგან ფიჭვნარი ტყეებით, თხემური ზოლი კი ალპურ-სუბალპური მდელოებითა და მდელო-სტეპებითაა წარმოდგენილი. მდ. ურაველის აუზში მდებარეობს ქისათიბის დიატომიტის საბადო (ახალციხის მუნიციპალიტეტი).

ეფედრა, ჯორისძუა (Ephedra) – სამკურნალო, 1.8 მ-დე სიმაღლის მარადმწვანე ბუჩქია. რეპროდუქცია მიმდინარეობს ივნის-ივლისში. მცენარე ორსახლიანია. მცენარე უპირატესობას ანიჭებს მსუბუქ ქვიშნარ და საშუალო თიხნარ, კარგად დრენირებად, მჟავე, ნეიტრალურ



ერუშეთის მთიანეთის მცენარეთა ვერტიკალური სარტყლურობა

და ტუტე ნიადაგებს. ვერ ხარობს დაჩრდილულ ადგილებში. საჭიროებს მშრალ ან ტენიან ნიადაგს, და გვალვის მიმართ ტოლერანტულია. სამცხეში – ასპინძისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში გვხვდება მისი მხოლოდ ერთი სახეობა *E. procera* – ჯორისძუა.

ეფრემოვკა, გოლი – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, შედის გორელოვკის თემში, მადათაფის ტბის ნაპირზე, მდ. ბულდაშენის (ფარავნის მარცხენა შენაკადი) მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 2110-2120 მ სიმაღლეზე, ქ. ნინოწმინდიდან 15 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 179. მათი უმრავლესობა (84 %) სომეხია (2002). 1830-იანი წლებიდან აქ ცხოვრობდნენ დუხობორები. უკანასკნელ წლებში ისინი აქედან გადასახლდნენ. XIX საუკუნეში რუსი სექტანტების აქ დასახლების შემდეგ წარმოიქმნა რუსეთის გუბერნიების ქალაქ ეფრემოვის პარალელური სახელი: „ეფრემოვკა“. სოფლის ქართული სახელია „გოლი“.

ეფრემოვკის მეტეოსადგური – მეტეოროლოგიური სადგური ჯავახეთის ზეგანზე, ახალქალაქის პლატოს ყველაზე შემალლებულ ადგილას, ზ.დ. 2012 მ სიმაღლეზე, საკარმიდამო ნაკვეთებთან ახლოს. ჩრდილოეთით იფარგლება ჯავახეთის ქედის დაბოლოებით, ხოლო სამხრეთიდან – კეგუთის ქედით. მეტეომოდნის ირგვლივ განლაგებულია დაბალი შენობები. მის სიახლოვესაა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (საძოვრები, სათიბები, სახნავ-სათესები). მეტეოროლოგიური მოედნის ჰორიზონტი ღიაა ყველა მიმართულებით. მეტეოროლოგიურ სადგურზე დაკვირვებები წარმოებდა 1927-1981 წლებში.


ეფრემოვკის მიწისძვრა – მიწისძვრა 2007 წლის 24 ივლისს. ეპიცენტრი მდებარეობდა ქ. ნინოწმინდიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფ. ეფრემოვკიდან 1 კმ მანძილზე (41.181°N; 43.723°E, M= 4.5).



დახრამული ტერიტორია სოფ. ეფრემოვკასთან

ემტია – მთა სამსრის ქედზე. ნინონმინდის მუნიციპალიტეტში.

ემტია, ემტოი, ემტოი – სოფელი ნინონმინდის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი (სოფლები: ემტია, უჯმანა), ზ.დ. 1830-1900 მ სიმაღლეზე. მიდამოები უტყეოა. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 3082, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). სოფლის სიახლოვეს შემორჩენილია ქართული ეკლესია, რომელიც გადაკეთებულია (გლოი უხტ).



ჰაერის თვის და წლის საშუალო ტემპერატურა ევრემოვკის მუნიციპალიტეტში

ემტიის ეკლესია, გლოი უხტ, „სურფ ოვანეს“ – ეკლესია ნინონმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ემტიასთან, მთაზე. ქართული ეკლესიაა გადაკეთებული და მას გლოი უხტს უწოდებენ. შემორჩენილია ჯვარი და ქართული ნარნერა: „ქრისტე შეინყაღე იოვანე“.

ემტიის თემის საკრებულო – საკრებულო ნინონმინდის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ემტია, თორია, უჯმანა და ყაურმა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 4530 (2002).

ემტიისწყალი – მდინარე ნინონმინდის მუნიციპალიტეტში, ფარავნის მარჯვენა შენაკადი.

ვაკების აკუმულაციური და ქალის ლანდშაფტი ტუგაისა და მდელოს მცენარეულობით, იშვიათად ქაობებითა და მლაშობებით (კავკასიის ლანდშაფტური რუკის მიხედვით – ლანდშაფტის გვარი N 51) – გავრცელებულია მდინარეთა ხეობების გასწვრივ, ქალებსა და მიმდებარე ტერასებზე, აგრეთვე სარწყავი სისტემების (მეორეული წარმოშობის) გასწვრივ – ვინრო ზოლის სახით ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. მათი გავრცელება უკავშირდება გრუნტის წყლების შედარებით მაღალ მდებარეობას. ბუნებრივ პირობებში გავრცელებული იყო ტუგაის ტყეები, მდელოები. წარმოადგენს 25-30 მ სიმაღლის ხეებისაგან შემდგარ ტუგაის ტყეს, ქვეტყით, ლიანებითა და მძლავრი ბალახოვანი საფარით. ზოგან ქმნიან ერთიან ბალახოვან საფარს. ტყის პირებსა და ნაჩეხებზე გავრცელებულია ბუჩქნარები. დღეს თითქმის მთლიანად განადგურებულია პირველადი მცენარეული საფარი.

ვალე – ქალაქი (1962 წლიდან) ახალციხის მუნიციპალიტეტში, ერუშეთის მთიანეთის ჩრდილოეთ ფერდობზე, მდ. ფოცხოვისწყლის მარჯვენა ნაპირას, ზ.დ. 1000-1240 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 12 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 5.5 ათ. კაცი (2014). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. სოფლის მიდამოებშია ახალციხის მურა ნახშირის საბადო. დღეს საბადო არ ფუნქციონირებს. ქალაქში დგას სამნავიანი ბაზილიკური ეკლესია (XVI ს.).

ვალეს ბენტონიტური თიხა – საბადო ახალციხის მუნიციპალიტეტში, ბენტონიტური თიხის მარაგია 2.5 ათ. ტ.



ვალეს ეკლესია, დასავლეთის კორტალი
ფოტო: Памятники Грузинского
зодчества, 1947

ვალეს ეკლესია – ეკლესია ღვთისმშობლის სახელობის სამნავიანი ბაზილიკა (X ს. დღევანდელი სახე მიიღო XVI ს.-ში) ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქ. ახალციხის სიახლოვეს. თავდაპირველად გუმბათიანი ეკლესია ყოფილა, მაგრამ XVI საუკუნეში აღდგენის შემდეგ სამნავიანი ბაზილიკის სახე მიუღია. ნაგებია ანდეზიტის ქვით. შემორჩენილია ლაპიდარული წარწერები, რელიეფური გამოსახულებები, ცხოველების თუ უცნაური ნიღბების სახით. ვალეში დგას უფრო გვიანი პერიოდის კათოლიკური ეკლესია, რომლის აგებაც აქ კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას უკავშირდება.

ვალეს მურა ნახშირის საბადო – იხ. ახალციხის მურა ნახშირის საბადო.

ვანთა – ისტორიული სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ბორჯომის ხეობაში, სოფ. ფაფასთან. აქ VIII-IX საუკუნეებში იყო სასახლე, რომელზედაც შემორჩენილია XIII საუკუნის მხატვრობის ფრაგმენტები.

1551 წ. სპარსელებმა (შაჰ-თამაზი), ხოლო 1576 წ. ოსმალებმა დაარბიეს. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ მიხედვით უკვე გაუკაცრიელებულია.

ვანი – ნასოფლარი ერუშეთის მთიანეთზე, მდ. შოლოსწყლის სათავეებში, სოფ. ბუზმარეთის სიახლოვეს. შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები. საბჭოთა პერიოდში აქ ფერმა იყო განთავსებული.

ვანის ეკლესია – დარბაზული ეკლესია ასპინძის მუნიციპალიტეტში. სიტყვა „ვანი“ ნიშნავს სადგომს, სახლს, სახცოვრებელს, მონასტერს.

ვანის მთა – მთა ასპინძის მუნიციპალიტეტში, ერუშეთის მთიანეთში.

ვანის ოთხთავი, ვანის სახარება – ქართული ხელნაწერი (XIII ს.), შესრულებული ეტრატზე, უმთავრესად ნუსხა-ხუცურით. მოცემულია ორ სვეტად. შედგება 274 ფურცლისაგან. გადანერილია კონსტანტინოპოლში ქართველთა მონასტერში, თამარ მეფის დაკვეთით. დაცული ყოფილა შორათას მონასტერშიც (XIV-XV სს.). ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ვანის ქვაბები, ვაჰანის ქვაბები – გამოქვაბულების კომპლექსი, უდაბნო-მონასტერი (VIII-XVI სს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის ზემო დინებაში, მის მარჯვენა ნაპირზე, დაბა ასპინძიდან 27 კმ მანძილზე. აქ 200-მდე კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულია, სხვადასხვა დროის ეკლესია. მრავალი ნაგებობა 1089 წლის მიწისძვრისას დანგრეულა და დაზიანებულა. შემორჩენილია 3 ტრასის წყალსადენი და წყალსაცავის ნაშთი. კედლებზე წარწერებია, მათ შორის არის „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფი – პოემის ხელნაწერის ყველაზე ადრეული ნიმუში.

ვანისხევი – ისტორიული სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ვარძიასთან ახლოს. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ 3-კომლიანი სოფელია.

ვარანტები – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიზაბავრის ტერიტორიაზე. შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები.

ვარგავი – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ზ.დ. 1700-1750 მ სიმაღლეზე, ქ. ასპინძიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 24 კმ მანძილზე, თემის ცენტრი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 105. უპირატესი ეროვნება (92 %) – ქართველი (2002). სოფლის მიდამოებში არის ვარგავის ტუფის საბადო.

ვარგავის თემის საკრებულო – საკრებულო ასპინძის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ვარგავი და თოკი. მოსახლეობის რიცხოვნობა 215 კაცი (2002).

ვარგავის ტერასები – ტერასები ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვარგავთან, ახალქალაქის პლატოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. სოფელი მაღლა მდებარეობს, ხოლო ტერასული ბალები და ვენახები გაშენებული იყო ქვემოთ, ფერდობის დაბალ ადგილას.

ვარგავის ტუფი – ტუფის საბადო ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვარგავთან ახლოს.

ვარდგინეთი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ყვიბისის თემში, ბორჯომის ხეობაში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ზ.დ. 780-980 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 6 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 247. მათი უმრავლესობა (98 %) ქართველია (2002).

ვარდევანი – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვარდევანთან. მიეკუთვნება ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია – 0.3 გ/ლ.

სალსურბი
(ნაწყვეტი)

„ვარგავი კი პატარაა,
მაგრამ კონტა ადგილია,
უფრო კარგი იქნებოდა,
თუ რომ ჰქონდეს დიდი წყალი“.

ვარდეგანი – სამაროვანი (ძვ.წ. VIII-VI სს.) ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვარდეგანთან.

ვარდეგანი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, გვერდისუბნის თემში, მდ. თორის ქვაბულში, მდინარეების გუჯარეთისწყლის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ნაპირას, ზ.დ. 1475-1550 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 33 კმ მანძილზე. სოფელი დაცარიელებულია. 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერით არ არის მუდმივი მოსახლეობა.

ვარდციხე – ეკლესია (XIII-XIV სს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვარეგანიდან აღმოსავლეთით, ამაღლებულ გორაზე. შემორჩენილია ნანგრევები. ნაგებია რუხი ბაზალტით. ეკლესიის მიდამოებში მრავლადაა ქვის ქანდაკებები – ცხენ-ვერძები.

ვარდისციხე – ნასოფლარი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვარეგანთან. შემორჩენილია ციხის ნანგრევები.

ვარეგანი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ალასტანის თემში, ახალქალაქის პლატოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდ. ჭობარეთის (ფარავნის მარჯვენა შენაკადი) ნაპირას, ზ.დ. 1640-1685 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან ჩრდილო-დასავლეთით 19 კმ მანძილზე, აზავრეთ-თორის საავტომობილო გზაზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 779. მათი უმეტესობა (94 %) სომეხია (2002).

ვარეგნის ეკლესია – ეკლესია ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვარეგანში. შემორჩენილია ნანგრევები. მის გვერდით დარბაზული მეორე ეკლესია (1893 წ.)

ვარნეთი, ვარნთა – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ საყუდაბელთან, მდ. ვარნეთისწყლის ხეობაში. მიდამოებში იდგა ციხე (გვიანდ. შუა სს.) ვარნთა. 1944 წლამდე აქ მაჰმადიანი მესხები ცხოვრობდნენ.

ვარნეთი – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ციხე და ორსართულიანი დარბაზული ეკლესია (გვიანდ. შუა სს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ნასოფლარ ვარნეთის



ვარძია

მახლობლად. ეკლესია თლილი ქვით ყოფილა ნაგები. შემორჩენილია ნანგრევები კედლის მხატვრობის ნაშთით. მიკვლეულია ადრეული ფეოდალური ხანის ეკლესიის ქვები, სვეტისთავი და შესასვლელის 2 საპირე ქვა.

ვარძია – კურორტი ასპინძის მუნიციპალიტეტში, დაბა ასპინძიდან სამხრეთით 30 კმ მანძილზე, ერუშეთის ქედის ფერდობზე, ზ.დ. 1100 მ სიმაღლეზე. კლიმატი საშუალო მთის ტიპისაა. ზამთარი რბილი (იანვრის საშუალო ტემპერატურა -2.8°C) და მცირეთოვლიანი, ზაფხული – თბილი (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა $+19^{\circ}\text{C}$) და ზომიერად მშრალი. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობაა 500 მმ. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია თერმული მინერალური წყარო.

ვარძია – მინერალური წყარო მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ს. თმოგვში, ვარძიის სამხრეთით 12-13 კმ მანძილზე, ზ.დ. 1226 მ სიმაღლეზე. წყა-



ვარძია

ლი თერმულია. მიეკუთვნება ნახშირმჟავა ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმის ნწყლებს. საერთო მინერალიზაციაა 12 გ/ლ. შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ კომპონენტებს: კაჟის მჟავას (62 მგ/ლ), ფტორს (1.8 მგ/ლ), ბრომს (5 მგ/ლ) და სხვ. მდ. მტკვრის ხეობაში ბურღვით მიღებულია ანალოგიური წყალი, რომლის საერთო მინერალიზაციაა 13 გ/ლ, ხოლო ტემპერატურა 55°C.

ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი – იხ. ვარძიის სამონასტრო კომპლექსი.

ვარძიის კლდის სვეტები – ვულკანური წარმოშობის კლდის სვეტები ვარძიის სამონასტრო კომპლექსიდან 3 კმ მანძილზე, ზ.დ. 1465 მ სიმაღლეზე. სვეტები სხვადასხვა ფორმისა და მოყვანილობისაა.

ვარძიის სამონასტრო კომპლექსი, ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი, „ქვაბთა ქალაქი“ – კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი (XII სს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, დაბა ასპინძიდან 30 კმ მანძილზე. აერთიანებს ფრიალო და მიუვალ კლდეში გამოკვეთილ ასეულობით ქვაბს, დიდ და მცირე დარბაზს, ანტიკური პერიოდის ნაქალაქარს, კლდის სოფლებს, ყორღანული ტიპის სამარხებს, მარნებს და სხვ. რამდენიმე იარუსად განლაგებული ქვაბები ერთმანეთს დერეფნებით, ბაქნებითა და კიბეებით უკავშირდება. გამოქვაბულებს სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა – საკულტო, სამეურნეო, საყოფაცხოვრებო, საზოგადოებრივი. ყველაზე გამორჩეულ გამოქვაბულს თამარის ოთახს უწოდებენ. როგორც ფიქრობენ ვარძიის აგება გიორგი III-ს დაუწყია და თამარ მეფეს დაუმთავრებია: „დიდმან აღასრულა და შეამკო ყოვლითურთ და შესწირნა მრავალნი და დიდროვანი სოფელნი და შეუმზადა ტრაპეზისა შემოსავალნი დიდნი და პატრიოსანნი, რომლისა ყოვლისაჲ მოთხრობაჲ ძნელ არს. თუ

ვარძიის ერთ-ერთ გამოქვაბულში კლდეში გამოკვეთილია 20X22 სმ ზომის მქონე კუბური შეღებვა-
ვები, “უჯრები”, თახჩები. მათი დანიშნულების შესახებ განსხვავებული აზრია გამოთქმული. ზოგიერთი
თვლის, რომ მათ სააფთიაქო დანიშნულება ჰქონდათ. თახჩების ზომა განსხვავებულია. ზოგიერთ მათგანს
სამკურნალო წამლო ნედლეულის მსაღის შესახებ, ზოგიერთს კი წამლის შესახებ იყენებდნენ. ასევე
უნდა ყოფილიყო თახჩები ხატების დასაბრძანებლად და იარაღების შესახებ განკუთვნილი. იატაკზე
ამოკვეთილია ერთნაირი სიღრმისა (14 სმ) და ზომის (რადიუსი 10 სმ) თრმები. მათ სავარაუდოდ იმ თხის
ჭურჭლების ჩასადგმელად იყენებდნენ, სადაც სამკურნალო ნედლეული იყო განთავსებული.

განსხვავებული აზრი გამოთქვა ლევან მარუაშვილმა და კობა ხარაძემ. მათი აზრით, ვარძიის თახჩები
სამტრედეებს წარმოადგენდა, რასაც ძველად საფოსტო კავშირისათვის იყენებდნენ. მეორე სამტრედე
მდებარეობს ვარძიიდან დაახლოებით 120 კმ მანძილზე, მდ. კავთურის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ხეობა-
ში, სოფ. წინაჩხთან. როგორც ჩანს, ამ თხის სამტრედის აჩვენებით შესაძლებელი იყო საფოსტო კავშირი
დაემყარებინათ ბასიანის საბრძოლო ასპარეზიდან პირდაპირ ქართლის შუაგულში. ეს კი, ცხადია, დიდ
როლს შეასრულებდა საბრძოლო მოქმედებების წარმატებით დამთავრებაში. საქართველოში სამტრედეების
თრად-თრი ადგილსამყოფელია: ვარძია და წინაჩხი. ვარძიაში იგი კლდეშია გამოკვეთილი, ხოლო სოფ. წი-
ნაჩხთან – უხეშად დამუშავებული ქვებითაა აგებული. აღსანიშნავია ასიც, რომ მტრედის ნაკელს (სკოტეს)
იყენებდნენ მონასტრების ბაღ-ბოსტნების მიწების გასაწყობებლად.

ვინმე ჰნებავს ამისგანაცა, იხილენ ვარძია და საქმენი მისნი, ქმნულნი და ნაშენი ქუაბ ქმნილნი“.
ვარძიის სახელწოდებაც თამარ მეფის სახელს უკავშირებენ. გადმოცემის მიხედვით პატარა თამარი
დაიკარგა და მის საძებნელად წამოსულებისათვის ასე მიუმართავს: „აქ ვარ ძია“-ო. როგორც
მეცნიერები ფიქრობენ, სახელი შეიძლება ვერძს – ძველ საკულტო საქმიანობას უკავშირდებოდეს.
სხვა მოსაზრებით, იგი ტომობრივი სახელია, ისევე როგორც ალბანია, ივერია, გურია და სხვ. ძველ
ქართულში სიტყვა „ვარძია“ გამოქვაბულს ნიშნავს და შესაძლებელია ეტიმოლოგიურად სწორედ
ამაზე მიგვანიშნებდეს. ვარძიის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მეორე ეკლესია-სამლოცველოცაა –
„ანანაური“. ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს ვარძიის კლდეში ნაკვეთ მონასტერს: „არს ვარძიას



ვარძიის ქვაბვის მიმდებარე ტერიტორია



მეჩაიძი, სოფ. ვარხანი

მონასტერი, კლდეა შინა გამოკვეთილი, სენაკ-პალატებითურთ, და მას შინა აღშენებული მეფის გიორგისაგან და შესრულებული თამარ მეფისაგან. ესე შემკული იყო საეკლესიოს სიმდიდრითა და ყოვლის წესიერებითა“. 1283 წელს ვარძია ძლიერ დააზიანა მიწისძვრამ, XVI საუკუნეში კი იგი დაარბია სპარსელებმა (შაჰ-თამაზი). წაიღეს მრავალი საგანძური. ვარძიაში კი სიცოცხლე ჩაკვდა. 1283 წელს დააზიანა მიწისძვრამ. XV საუკუნეში სპარსელთა ურდოებმა გაანადგურეს და გაძარცვეს.

ვარძიაში ძველად დაწინაურებული ყოფილა მევენახეობა-მელვინეობა, რაზეც მრავალი ფაქტი მეტყველებს: სანახელების, მარნების, დიდი ტევადობის ქვევრები, მათ შორის დიდი „სალხინო მარანი“ (XII-XIII სს.), ზოგიერთი მათგანი კლდეშია გამოკვეთილი. ამჟამად აქ ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალია (1938-დან). შემორჩენილია კედლის მხატვრობა.

ვარხანი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. აბასთუმნისწყლის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1110-1160 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 22 კმ მანძილზე, თემის ცენტრი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 814, რომელთა 94 % ქართველია (2002). შემორჩენილია XIX საუკუნის მეჩეთი.

ვარხანის თემის საკრებულო – საკრებულო ადიგენის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ვარხანი, აბასთუმანი, სალრძე, ფარეხა, ქიქინეთი, წახანი, წახნისწყარო და ხარჯამი. მოსახლეობის რიცხოვნობა 2227 კაცი (2002).

ვარხანის მენყერი – მენყრული სხეული ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვარხანთან, მდ. აბასთუმნისწყლის მარჯვენა ნაპირზე. განვითარებულია დიდი დახრილობის ჩრდილო-აღმოსავლური ექსპოზიციის ფერდობზე, რომელიც აგებულია ოლიგოცენის ასაკის თიხებით, თიხნარებით, ქვიშაქვებით, მერგელებითა და ალევროლიტებით. ამგები ქანები ხასიათდება უკიდურესად დაბალი სიმტკიცითა და მდგრადობით. მენყერი აქტიურია. მენყრული სხეულის სიგრძეა 130 მ, სიგანე – 80 მ, სიმაღლე – დაახლოებით 20 მ, ფართობი – 1.0 ჰა.

ვაშლოვან-ყვიბისის თერმული წყლები – იხ. ყვიბისის თერმული წყლები.

ვაჩიანი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოს დასავლეთ ნაწილში, ვაჩიანის ტბიდან დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით, ახალქალაქ-კარნახის საავტომობილო

გზაზე, თემის ცენტრი, ზ.დ. 1735-1800 მ სიმაღლეზე. მიდამოები უტყეოა. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 2207. მათი უმეტესობა (99 %) სომეხია (2002). შემორჩენილია 2 ეკლესია, ერთი თითქმის მთლიანად დანგრეულია.

ვაჩიანის ეკლესია – დარბაზული ეკლესია ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვაჩიანში. შემორჩენილია ნანგრევები.

ვაჩიანის ტბა – ტბა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვაჩიანიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზ.დ. 1734 მ სიმაღლეზე. ზედაპირის ფართობია 0.12 კმ², უდიდესი სიღრმე – 1 მ. საზრდოობს ნვიმისა და თოვლის ნაღობი წყლით. აგრეთვე მდ. მურჯახეთისწყლით (ფარავნის მარცხენა შენაკადი). იყენებენ სარწყავად. ტბის მიდამოები დაჭაობებულია.

ვაჩიანის თემის საკრებულო – საკრებულო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ვაჩიანი, მურჯახეთი და ჩამძვრალა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 3304 კაცი (2002).

ვაჰანის ქვაბები – იხ. ვანის ქვაბები.

ვაჰან ტერიანის სახლ-მუზეუმი – სახლ-მუზეუმი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. განძაში. დაცულია სომეხი პოეტის ვაჰან ტერიანის მემორიალური ნივთები, აგრეთვე მხარის ეთნოგრაფიული მასალები და ყოფის ამსახველი ნიმუშები.

ველური ხახვი – იხ. მთის ღანძილი.

ვენახები – ადგილი ს. უდესთან (ადიგენის მუნიციპალიტეტი). ადრე ვაზი იყო გავრცელებული.

ვერთაყანის ტერასები – იხ. ბერთაყანის ტერასები.

ვინოგრაფიის ზამბახი – იხ. მინდვრის ყვითელი ზამბახი.

ვიქტორ ოვსეპიანის სახლ-მუზეუმი – სახლ-მუზეუმი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ეშტიამი. დაცულია სომეხი პოეტის ვიქტორ ოვსეპიანის მემორიალური ნივთები.

ვლადიმეროვკა, ვლადიმერსკოე, პუბლიკანი, მახაროკანი, მახაროსი – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ფოკის თემში, მდ. ფარავნის ტბის სამხრეთ-დასავლეთ ნაპირას, ზ.დ. 2070-2100 მ სიმაღლეზე, ქ. ნინოწმინდიდან 35 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 174, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომხები (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. XIX საუკუნეში აქ დუხობორები დასახლდნენ. სოფლიდან დასავლეთით შემორჩენილია 2.1 მ სიმაღლის მენჰირი – „სარქისის ქვა“ და დარბაზული ეკლესიის ნანგრევები. ძველი ქართული სახელია „მახაროვანი“, „მახაროსი“. XIX საუკუნეში რუსი სექტანტების აქ დასახლების შემდეგ წარმოიქმნა რუსეთის გუბერნიების ქალაქ ვლადიმეროვის) პარალელური სახელი: „ვლადიმეროვკა“.

ვლადიმეროვკის ეკლესია – დარბაზული ეკლესია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.



ზაგრანიჩნი კანიონი – იხ. ვეფხვის კანიონი.

ზადენი, „ზადენგორა“ – მთა ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. აბასთუმნისწყლის მარცხენა მხარეს. სოფ. ბენარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაბა ადიგენიდან 13 კმ მანძილზე, ზ.დ. 1310 მ სიმაღლეზე. ძველად აქ, ნინაქრისტიანული ეპოქის, ამავე სახელწოდების სოფელი ყოფილა. აქ კერპის შესახებ ინფორმაცია მოგვეპოვება ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებიდან“, რომელშიც ვკითხულობთ, რომ ანდრია მოციქულმა „შთავლო ხევი ოძრახისა და დაივანა სოფელსა, რომელსა ეწოდების „ზადენ-გორა“. იხ. ბენარის ნამარხი ფაუნა.

**ხალსუბი
(ნანყვეტი)**

„მე ოჯთრჯღლელო ხუცესი ჭალას ვიყავე მიმავალი, ჭორატსჭან მგლებს გარდვეყარე, დამიბხელდა თბივ თვალი, ზადენს ყელი გარდვეუგდე, იცით, რომ სრულ არ მაქვს ბზალი, ხელი ვჭკაბ ქვას, აქ გავქვავდი, მოვჭკვდი, გარდვისადე ვალი, ვინც ჩემი სისხლი იკითხოს ჭორატს ქვას აჩნია შშრალი“.

ზაზალო, ზაზალო – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, უდეს თემში, ახალციხის ქვაბულის სამხრეთ ნაწილში, ზ.დ. 1200-1350 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 19 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 63, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002). შემორჩენილია ადრეული შუა საუკუნეების ციხე და ეკლესიის ნანგრევები. ერთი მოსაზრებით, სახელწოდება მამაკაცის სახელს, ზაზას უნდა უკავშირდებოდეს.

ზაკვი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოზე, მთა სამსრის დასავლეთით, ზ.დ. 1660-1800 მ სიმაღლეზე საკრებულოს ცენტრი. მიდამოები უტყეოა. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 785, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). მოიპოვება ვულკანური წიდა. სავარაუდოდ, სიტყვა უნდა უკავშირდებოდეს ძველ ქართულ სიტყვას „ზაკვას“, რაც ნიშნავს სიცრუეს, ვერაგობას, ღალატს. აქედანაა მიღებული სიტყვა „მზაკვარი“.

ზაკვის თემის საკრებულო – საკრებულო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ზაკვი, ბალხო, ბულაშენი, გომანი, თირკნა და ოლავერდი. მოსახლეობის რიცხოვნობა 4861 კაცი (2002).

ზანავი – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზანავთან. მიეკუთვნება აზოტოვან-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმთან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 2 გ/ლ.

ზანავი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთით, ზ.დ. 1420-1500 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 3 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 332, რომელთა 98 % ქართველია (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები. სახელწოდება ძველია და ნაწარმოებია „ავ“ სუფიქსით. მოხსენიებულია „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“. მეცნიერთა ნაწილი ტოპონიმს ეთნონიმ ზანს უკავშირებს. ნაწილი კი მას ჰიდრონიმულ ტერმინად მიიჩნევს.

ზანავი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ყვიბისის თემში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირას, ზ.დ. 770-880 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 9 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 280. მათი უმრავლესობა (99 %) ქართველია (2002). სოფელში მოიპოვება მინერალური წყალი.

ზანავის თემის საკრებულო – საკრებულო ადიგენის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლები: ზანავი, გომარო, პატარა ზანავი და წრე. მოსახლეობის რიცხოვნობა 1054 კაცი (2002).

ზანავის ეკლესია – ერთნავიანი ეკლესია ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზანავის ჩრდილო-დასავლეთით, მთიან ადგილას. შემორჩენილია ნანგრევები.

ზანავის ციხე – ციხე (განვით. შუა სს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზანავში, მაღალ კლდეზე, დაბა ადიგენიდან 5 კმ მანძილზე. ციხის ფერი იმდენადაა შეხამებული გარემოს, რომ მისი დანახვა შორიდან თითქმის შეუძლებელია. შემორჩენილია ნანგრევები.

ზარზმა – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, მლაშის თემის საკრებულოში, მდ. ქვაბლიანის მარჯვენა ნაპირას, ძინძეს შეერთების სიახლოვეს, ზ.დ. 1235-1380 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან დასავლეთით 6 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 394, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002). დგას ზარზმის მონასტერი. ვახუშტი ბაგრატიონი ზარზმის მონასტრის შესახებ წერს: „ყუელს ზეით, მთაში, არს ზარზმას მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი, შვენიერს ადგილს და ან უქმი“. სოფლის მახლობლად არის შუა საუკუნეების „თამარის წყარო“. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ მიხედვით, სახელი შერქმევიათ ძლიერი მინისძვრის გამო: „...რამეთუ ენოდა ზარზმა ერთა მათგან, რომელნი ზარითა და შიშითა მიუთხრობელითა შეპყრობილ იყვნეს“. არსებობს მოსაზრება, რომ ზარზმა ორფუძიანია სიტყვაა – ზარ-ზმა, მეორე სიტყვა „ზმა“ კი „ჟამ“-ის ფონეტიკურ სახეცვლილ ფორმადაა მიჩნეული. ყოველ წელს, 11 ნოემბერს, სოფ. ზარზმაში აღინიშნება წმ. სერაპიონ ზარზმელის ხსენების დღე – ზარზმობა.

ზარზმის მონასტერი – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი სოფ. ზარზმაში, ადიგენის მუნიციპალიტეტში. შემორჩენილია გუმბათიანი ეკლესია (XIV-XVI სს.), სამწირველო (განვ. შუა სს.),



სოფ. ზარზმის მიღამოები



ზარზმა

„ძმები იქ ერთად ვიყავით,
მოსე, ენუქი, ელია,
ზარზმის საყდარი დავაგდეთ
შევიქმენთ ეკკეთელია“.

სამრეკლო (XIV ს.), ნყარო (განვ. შუა სს.). ზოგი ნაგებობა დანგრეულია. ნაგებია ანდეზიტის ქვით. სხვა სამონასტრო შენობები (ბერების საკნები, სატრაპეზო და სხვა) არ შემონახულა. მონასტერი დააარსა სერაპიონ ზარზმელმა (IX ს.). ის იყო მისი პირველი წინამძღვარი. ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. სერაპიონ ზარზმელისათვის



ზარზმის მიდამოები ძველად, 1948. ფოტო: საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება

დიდი დახმარება გაუწევია ადგილობრივ მთავარს, გიორგი ჩორჩანელს, რომელმაც მონასტერს შესწირა სოფლები. იმდროინდელ ეკლესიას ჩვენამდე არ მოუღწევია. ახლანდელი ტაძარი და სამრეკლო აგებულია XIV საუკუნეში სამცხის მთავრის ბექა მანდატურთუხუცესის მიერ. სამრეკლო ერთ-ერთი უდიდესია საქართველოში. კედლის მხატვრობამ შემოგვინახა სამცხის მთავრების – ჯაყელების და იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის პორტრეტები. შემორჩენილია X საუკუნის წარწერა ერთ-ერთ სამლოცველოს თაღში, რომელიც უფრო ადრინდელი ნაგებობიდან უნდა იყოს გადმოტანილი. წარწერა მოგვითხრობს ტაოს მეფის, ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი დავით II დიდი კურაპალატის გალაშქრებას ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ. ზარზმა განთქმული იყო ფერისცვალების ხატით (886 წ.), რომელიც ოსმალეთის მიერ ამ ტერიტორიის დაპყრობის გამო, აქედან გურიაში, სოფ. შემოქმედში გადაუსვენებიათ და იქ ტაძარი აუგიათ. ამჟამად ხატი დაცულია ხელოვნების მუზეუმში. მესხეთიდან გურიაში ხალხთა გადასახლებაზე ხალხური ლექსიც მეტყველებს. ზარზმა ოდიტგანვე იყო განათლებისა და კულტურის ძლიერი კერა, სადაც მრავალი ხელნაწერი წიგნი შეიქმნა და გადაინერა. მათ შორისაა ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“.

ზაფრანა – იხ. კროკო.

„ზეგანის სოფლები“ – სოფლები მდ. ქვაბლიანის ზემო წელში – დერცელი, კიკიბო, ლაშე, მოხე და სხვ. ამ სახელით ვახუშტი ბაგრატიონს აქვს აღნიშნული სოფლების ზოგადი სახელი: „ამ მთასა შინა არს ვანას მონასტერი, შვენიერი, კეთილნაგები, და მუნვე ქვაბნი გამოკვეთილნი, დიდ-დიდნი, კლდესა შინა და ან უქმნი. ამ მთაში არიან ზეგანის დაბნებნი“.

ზედა ვარძიის ეკლესია – ღვთისმშობლის სახელობის ორნავიანი ეკლესია (X-XI სს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, ერუშეთის ქედის ფერდობზე, სოფ. ვარძიის ჩრდილო-დასავლეთით 3 კმ მანძილზე, ფერდობის ხელოვნურად შექმნილ ბაქანზე. ნაგებია თლილი ქვით. შემკულია ჩუქურთმებით, რელიეფური გამოსახულებებითა და წარწერებით. შემორჩენილია კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. ძველად სავანე ყოფილა. ეკლესია აღადგინეს 1970-იან წლებში.

ზედა ვარძიის ტერასები – უკედელო ტერასები მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადის – ზედა ვარძიის ხევში. ტერასები ორივე ფერდობზე მდებარეობდა, სადაც მოწყობილი იყო საცხოვრებელი მიწურები, ხეხილის ბაღები და ბოსტნები.

ზედა თმოგვის ეკლესია – სამნავიანი ბაზილიკის ტიპის ეკლესია ასპინძის მუნიციპალიტეტში.

ზედა თმოგვის სტელა და გამოქვაბულთა კომპლექსი – ასპინძის მუნიციპალიტეტში. ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა.



ზედა მთის ეროზიულ-დენუდაციური, იმ-ვითად პალეოგლაციალური ლანდშაფტი არ-ყის ხის, ზოგან ფიჭვის (კავკასიური ფიჭვის, კოხის ფიჭვის) ტყეებითა და პონტოური მუხის დაბალტანიანი ტყეებით (კავკასიის ლანდშაფტური რუკის მიხედვით – ლანდშაფტის გვარი N 129) – გავრცელებულია მცირე ფრაგმენტების სახით თრიალეთის ქედის ფარგლებში.


ზედუბანი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ჭეჭლას თემში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდ. ქვაბლიანის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1530-1600 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 18 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით



ზეკარის უღელტახილი, მუქნიწვიანი ტყე. ფოტო: შამილ შეთეკაური

შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 116, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები. რთული სიტყვისაგან შედგენილი ტოპონიმია. მანარმოებელია სიტყვა „უბანი“. სიტყვის ნაწილი „ზედ“ შეკვეცის შედეგადაა მიღებული. სოფელს ძველად „ზედაუბანი“ უნდა რქმეოდა.

ზეკარის უღელტახილი, რკინის ჯვარი, რკინისჯუარი – უღელტახილი აჭარა-იმერეთის ქედზე, ზ.დ. 2182 მ სიმაღლეზე. საავტომობილო გზით აკავშირებს მდ. აბასთუმნისწყლისა (მტკვრის მარცხენა შენაკადი) ქერშავეთისწყლის (ხანისწყლის მარცხენა შენაკადი) ხეობებს, ადიგენისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტებს. უღელტახილიდან სამხრეთით, დაახლოებით 0.6 კმ მანძილზე გზა უხვევს დასავლეთით, აჭარა-იმერეთის ქედის თხემის გასწვრივ და გადადის მდ. ნაბლარისხევის ხეობისაკენ.



ზეკარის უღელტახილის მიდამოები

მასზე გადასვლა შესაძლებელია მაის-ოქტომბერში. მიდამოები უტყეოა. აქ ოდითგანვე გადიოდა სამცხისა და იმერეთის დამაკავშირებელი გზა. ამ გზით მოსულა სამცხეში ანდრია მოციქული და უღელტეხილზე რკინის ჯვარი აღუმართავს. სახელსაც ამ ფაქტს უკავშირებენ.

ზეველი – ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველის ადრინდელი სახელწოდება.

ზემო ენთელი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ფხერის თემში, ფერსათის მთის სამხრეთით, ზდ. 1360-1420 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 24 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 202, რომელთა 97 % ქართველია (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები.

ზემო მტკვრის ხეობა – მდ. მტკვრის ზემო წელის ხეობა, რომელიც აგებულია გოდერძის ვულკანური წყებით, მეოთხეული ლავებითა და მეოთხეული დოლერიტებით.

ზემო ოშორის ეკლესია – ეკლესია ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. ოშორის მარჯვენა მხარეს, სოფ. ოშორადან ჩრდილო-აღმოსავლეთით 9 კმ მანძილზე. ნაგებია ქვებითა (ზოგან თლილი) და კირით. შემკული ყოფილა ჩუქურთმებით. შემორჩენილია ნანგრევები.

ზემო ოშორის წყარო – თბილი გოგირდოვანი წყალი ასპინძის მუნიციპალიტეტში. ზემო ოშორის ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, კლდის ძირას. შემორჩენილია ნანგრევები.

ზემო სხვილისი, ზემო სხვილი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, სხვილისის თემში, ახალციხის ქვაბულში, მდ. ბარბოლას (ფოცხოვის მარჯვენა შენაკადი), ზ.დ. 1040-1120 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან დასავლეთით 5 კმ მანძილზე. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა 336 (2002).

ზემო ქართლი – ქართლის ნაწილი, რომელიც მოიცავდა მდ. მტკვრის ზემო წელის აუზს. ზემო ქართლის ფარგლებში მოიაზრებოდა აგრეთვე თორი და ტაო-კლარჯეთიც კი, რომელიც მდ. მტკვრის აუზში არ მდებარეობდა და მოიცავდა მდ. ჭოროხის ზემო წელის აუზს. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ე.ი. გვიანდელ შუა საუკუნეებში, მას შემდეგ, რაც ეს ტერიტორია ოსმალეთის გავლენის ქვეშ მოექცა, სახელწოდება შიდა ქართლის ტერიტორიაზეც გავრცელდა. იხ. სამცხე-ჯავახეთი.

ზემო წყისი – ნასოფლარი ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. ქვაბლიანის მარჯვენა მხარეს, სოფ. უდიდან სამხრეთით, ზ.დ. 1430-1475 მ სიმაღლეზე. შემორჩენილია ნანგრევები. სოფლისაკენ მიემართებოდა საავტომობილო გზა სოფ. ქვემო წყისიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. მიდამოები უტყეოა. ძველად გაშენებული იყო ხეხილის ბაღები. სოფელ უდის მცხოვრებლებს აქ აქვთ ხეხილის ბაღები, ყანები და სათიბები. საქართველოს მოსახლეობის 1926 წლის აღწერით სოფელი მოქმედი იყო და მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული.

ზეველის ბაზალტი – ბაზალტი ასპინძის მუნიციპალიტეტში.

ზეველის ვულკანური ნიდა – ვულკანური ნიდა ასპინძის მუნიციპალიტეტში.

ზეველის სათიკნეს ეკლესია – ეკლესია ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძველთან.

ზეველის ტუფი – ტუფი ასპინძის მუნიციპალიტეტში.

ზიარეთი – იხ. ბუზმარეთის ეკლესია.

ზიკილია – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, აგარის თემში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 910-1000 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 16 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა 412 (2002).

ზიკილიას გამოქვაბული – გამოქვაბული ახალციხის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, სოფ. ზიკილიას სამხრეთით, შემალღებაზე. არის აკლდამები. ნაწილობრივ ჩამოქცეულია.


ზიკილიას ეკლესია – ეკლესია ახალციხის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, სოფ. ზიკილიას სამხრეთით, ზიკილიას გამოქვაბულის ძირას. შემორჩენილია ნანგრევები.

ზომიერად მშრალი (სტეპური) სუბტროპიკული მთიანეთის კლიმატი ცივი მცირეთოვლიანი ზამთართა და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით – კლიმატური რაიონი მოიცავს ჯავახეთის პლატოს და ახალციხის ქვაბულის სამხრეთიდან შემოსაზღვრული ქედების ფერდობებს, ზ.დ. 1600 მ-დან 2100 მ სიმაღლემდე. რელიეფის ფორმა ხელს უწყობს ჰაერის მასების შეჩერებას, რაც იწვევს ცივ პერიოდში რადიაციული გადაცივების ტიპის ამინდების გაბატონებას, ხოლო წლის თბილ პერიოდში რადიაციული გათბობისა და კონვექციური ტიპის ამინდების სიხშირეს. ამის შედეგად, ამ ზონაში ზამთარი შესამჩნევად უფრო ცივია და ზაფხული თბილი, ვიდრე შესაბამისი სიმაღლის კავკასიონის ფერდობებზე. ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა, მიუხედავად ადგილმდებარეობის დიდი სიმაღლისა, მნიშვნელოვანია და ზონის ცენტრალურ ღია ნაწილში 24°C აღწევს. იანვრის საშუალო ტემპერატურა $-7-10^{\circ}\text{C}$ ია და ივლისში $17-14^{\circ}\text{C}$ ის ტოლია. ნელინადში 4-5 თვე საშუალო ტემპერატურა უარყოფითია. ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი $-30-35^{\circ}\text{C}$ -ია. ყინვიან დღეთა რიცხვი 170–195 დღეა. რაიონში ძირითადად გაბატონებულია სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ქარები. ზამთრის სეზონში ჭარბობს სამხრეთ-აღმოსავლეთის, ხოლო ზაფხულის სეზონში – ჩრდილო-დასავლეთის ქარი. ზამთრის სეზონში ქარის საშუალო სიჩქარეა 3-4 მ/წმ, ზაფხულში კი ნაკლებია და 2-3 მ/წმ-ს შეადგენს. ქარიანია ტბა ფარავნის ტერიტორია, სადაც ქარის სიჩქარე 6-10 მ/წმ-ია. ატმოსფერული ნალექის წლიური რაოდენობა ტერიტორიის უმეტეს ნაწილში 450-550 მმ-ია, მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ქედის ფერდობზე ნალექების რაოდენობა იზრდება 650 მმ-მდე. თვის მაქსიმუმი ივნისშია (80-100 მმ), უმცირესი ნალექი მოდის ზამთარში. ნალექიან დღეთა რიცხვი შეადგენს 120–150-ს. თოვლის საბურველის სიმაღლე არ არის დიდი: უდიდესი სიმაღლე 15 სმ-ია, ხოლო ზონის ზედა ნაწილში 40 სმ-ს აღწევს. საშუალო წლიური შეფარდებითი ტენიანობაა 70-73 %, უდიდესია ზამთრის თვეებში (75-78 %), უმცირესი კი, ზაფხულში (68-72 %). დატენიანების კოეფიციენტის საშუალო წლიური სიდიდე 0.8-0.9-ს უდრის.



ზომიერად მშრალი (სტეპური) სუბტროპიკული მთიანეთის კლიმატი ცივი მცირეთოვლიანი ზამთართა და თბილი ხანგრძლივი ზაფხულით – კლიმატური რაიონი მოიცავს ახალციხის ქვაბულის ცენტრალურ ნაწილს და მის სამხრეთ და აღმოსავლეთ ფერდობებს ზ.დ. 1400-1600 მ სიმაღლემდე. ოროგრაფიული ბარიერების გამო შესუსტებულია გარედან ჰაერის მასების შემოჭრის ეფექტი და მეტი მნიშვნელობა ენიჭება მზის რადიაციას და ნიადაგის ზედაპირის გამოსხივებას. იანვრის საშუალო ტემპერატურა მერყეობს $-4-7^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში. ზამთრის სამივე თვის ტემპერატურა 0°C -ზე დაბალია. ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი $-25-30^{\circ}\text{C}$ -მდე ეცემა. ყინვიან დღეთა რიცხვი 125-135 დღეს შეადგენს. ყინვა იწყება ოქტომბრის პირველ დეკადაში და მთავრდება მაისში. ნელინადში საშუალო ტემპერატურა 7 თვის განმავლობაში 5°C -ზე დაბალია და 4 თვის

განმავლობაში 10°C-ზე მაღალი. ზაფხული, რაიონის მაღალი მდებარეობის მიუხედავად, საკმაოდ ცხელია. უთბილესი თვის (აგვისტოს) საშუალო ტემპერატურა 18–21°C-ია, ხოლო რაიონის ქვედა ნაწილში 25°C-ს აჭარბებს. ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი 33-36°C-ს აღწევს. ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა 25-26°C-ია. აქ ჰავა უფრო კონტინენტურია, ვიდრე ქვემო ქართლის სტეპურ ზონაში და გარე კახეთში. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობაა 400-520 მმ. საშუალო შეფარდებითი ტენიანობა 13 სთ-ზე იანვარში 60-65 % უდრის, აგვისტოში – 40 %-ს. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (2900-2800) და მზის ნათების ხანგრძლივობა საკმარისია სოფლის მეურნეობის მრავალი კულტურისათვის: მევენახეობისათვის (1000-1100 მ სიმაღლემდე), ბალ-ბოსტნეულისათვის (1400 მ სიმაღლემდე).



ზომიერად მშრალი სუბტროპიკული მაღალმთიანეთის კლიმატი ცივი მცირეთოვლიანი ზამთრითა და მოკლე ზაფხულით – მოიცავს საქართველოს სამხრეთ მთიანეთს ზ.დ. 2100-2800 მ სიმაღლის დიაპაზონში. იანვრის საშუალო ტემპერატურა -10-13°C უდრის, აგვისტოსი 10–14°C. ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი -25-30°C-მდე ეცემა. ყინვები აღინიშნება ზაფხულის სამივე თვის განმავლობაში. ატმოსფერული ნალექის წლიური რაოდენობაა 500-600 მმ. მაქსიმალური ნალექია ზაფხულში, მინიმალური ზამთარში.

მდგრადი თოვლის საბურველის ხანგრძლივობა წელიწადში 4-6 თვეს უდრის. ზონა ხასიათდება ალპური მცენარეულობით და საუკეთესო საზაფხულო საძოვრებს წარმოადგენს (ჯავახეთის ზეგანი) მხოლოდ ზონის ჩრდილოეთი და განსაკუთრებით ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშია გავრცელებული წიწვიანი ტყეები.

ზომიერად ნოტიო კლიმატური რაიონი ცივი ზამთარით და მოკლე ზაფხულით – კლიმატური რაიონი მოიცავს თრიალეთის ქედს და კავკასიონის სამხრეთ და ჩრდილო ფერდობს, აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში ზ.დ. 1800-1900 – 2500-2600 მ სიმაღლით დიაპაზონში. იანვრის საშუალო ტემპერატურა -6–9°C-ს შორის მერყეობს. ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი -25–30°C-მდე ეცემა. ზაფხულის თვეებში (ივლისი–აგვისტო) საშუალო ტემპერატურა 10-14°C-ის ტოლია. ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი 25-30°C-ს აღწევს. ზაფხულის თვეებშიც აბსოლუტური მინიმუმი -5°C-ზე დაბალია. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა თრიალეთის ქედზე 600-800 მმ-ს უდრის. ქარი ძირითადად ხეობის გასწვრივ ქრის. გაბატონებულია დასავლეთის მიმართულების ქარი.



ზრესის ტბა, ზრესკის ტბა, პასკიას ტბა – ვულკანური ტბა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ზეგნის დასავლეთ ნაწილში, ქ. ახალქალაქიდან დასავლეთით 6.5 კმ მანძილზე, ზ.დ. 1720 მ სიმაღლეზე. სანაპირო უტყეოა და ნაწილობრივ დაჭაობებული. მიმდინარეობს ტბის დეგრადაციისა და ჭაობად გადაქცევის პროცესი. მის მიდამოებში კიდევ სხვა მცირე ზომის ტბები და ჭაობებია. ტბას არასწორად პასკიას სახელი მიენიჭა.

ზუარეთი – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მტკვრის მარცხენა შენაკადი.

თავკვეთილი – მთა აბულ-სამსრის ქედზე, ახალქალაქისა და ნალკის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, ზ.დ. 2582.7 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს განედურად განლაგებულ ორ ვულკანურ კონუსს (იხ. დიდი და პატარა თავკვეთილი). ვულკანურ კრატერში დგება წყალი, რომელსაც დროებით ტბას ეძახიან.

თავკვეთილი – შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

თავკვეთილის ტბა – დროებითი ტბა თავკვეთილის ვულკანური კრატერის ჯამისებრ ჩადაბლებაში, რომელიც წვიმისა და თოვლის ნადნობი წყლებით წარმოიქმნება. სარკის ფართობია 30 მ, მაქსიმალური სიღრმე – 2-3 მ. აქ მოხვედრა შესაძლებელია შუა საუკუნეებში დაგებული ბაზალტის ქვაფენილით, რომელიც ნალკასა და ტაბანყურს აკავშირებდა.

თავკვერი – წითელყურძნიანი ვაზის ჯიში, აბორიგენული. სამეურნეო გამოიყენება ღვინის დასამზადებლად, აგრეთვე სუფრის ყურძენია. ძველად ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოში. ფილოქსერისა და სოკოვანი დაავადებების გამო, მისი არეალები ძლიერ შემცირდა. სამცხე-ჯავახეთში იგი მოჰყავდათ ბორჯომის და შედარებით მცირე ახალციხის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. ივ. ჯავახიშვილი სიტყვა „თავკვერს“ სადაურობის მაუწყებელ სახელად მიიჩნევს.



თაქვერი
ფოტო: „ელკანა“

თავრიჯული, თავრეყული – მესხური მსხლის ჯიში. ეძახიან ხეჭეჭურსაც ფართოდაა გავრცელებული მესხეთში. ერთეულების სახით. გვხვდება საქართველოს სხვა მხარეებშიც. მალალტანიანია. მსხმოიარობაში შედის მე-8-10 წელს. ნაყოფი საშუალო ზომისაა, მსხლისებრი, სქელკანიანი, მოყვითალო-მწვანე. ტკბილი, წვნიანი, თავისებური არომატისა და ხრაშუნა ხეჭეჭურისებრად. საშუალომოსავლიანია (იძლევა 250 კგ მოსავალს). ინახება დიდხანს (აპრილამდე), ტრანსპორტაბელურია. მავნებლებისა და დაავადებების მიმართ გამძლეა.

თავფარავანი – იხ. როდიონოვკა.

თავფარავნის მომცრო ეკლესია, **როდიონოვკა** – ეკლესია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. აგებულია X-XI საუკუნეებში. შემორჩენილია ლაპიდარული წარწერები და მოხატულობის ნაშთები.

თავფარავნის ქარვასლა – იხ. ფარავნის ქარვასლა.

თავყვითელა – იხ. ხარისშუბლა.

თავშავი – მთა ერუშეთის მთიანეთის ჩრდილოეთ ფერდობზე, ახალციხის მუნიციპალიტეტში.

თავშანთაფა – მთა ჯავახეთის ქედის დასავლეთ ფერდობზე, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

თავშანი – მთა ჯავახეთის ზეგანზე ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

თამარეული – ვაზის ჯიში, იხ. წითელი ბუდეშური.

„თამარის სარკე“ – იხ. წუნდის ტბა.

„თამარის ციხე“ – ციხე ადიგენის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, სოფ. ქიქინეთიდან ჩრდილოეთით მალალ კლდეზე.

თამარის ციხე – იხ. ოძრხეს ციხე.

თამარის ციხე – იხ. წრიოხის ციხე.

„თამარის ხიდი“, აბასთუმნის ხიდი, ოცხეს ხიდი – ხიდი (IX-XI სს.) მდ. აბასთუმნისწყლის (ქვაბლიანის მარცხენა შენაკადი) ხეობაში, ზ.დ. 1340 მ, ადიგენის მუნიციპალიტეტში, დაბა ადიგენიდან 21 კმ მანძილზე.

თახვირი – ნასოფლარი ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. ქვაბლიანის მარჯვენა მხარეს, სოფ. ზარზმიდან სამხრეთით, ზ.დ. 1830-1840 მ სიმაღლეზე. შემორჩენილია ნანგრევები.

თახჩა – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, კარტიკამის თემში, ახალქალაქის პლატოზე, ზ.დ. 1915-1980 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 13 კმ მანძილზე, ნინოწმინდა-ფოკის საავტომობილო გზაზე. მიდამოები უტყეოა. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 106, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). „თახჩა“ თურქულენოვანი ტოპონიმია და თურქეთიდან გადმოსახლებულმა სომეხმა მოსახლეობამ დაამკვიდრა. 1918 წლამდე აქ გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობდნენ.

თევზის აკლიმატიზაცია სამცხე-ჯავახეთში – მხარის კლიმატური პირობები განსაზღვრავდა თევზის ფართოდ აკლიმატიზაციას, რაც აქ დაიწყო 1950-იანი წლებიდან. ამ მიზნით სამცხე-ჯავახეთის წყალსატევებში შემოიყვანეს თევზის სხვადასხვა სახეობა (ევროპული ჭაფალი, ლადოგური რიპუსი, ლადოგური სიგი და სხვ.), რომლებმაც სარწაო მნიშვნელობა შეიძინეს. ეს უზრუნველყოფდა წყალსატევების სარწაო მნიშვნელობის სტაბილურობას. აკლიმატიზებული თევზების სარწაო მნიშვნელობა მოგვიანებით შემცირდა. პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით მიმართავდნენ აგრეთვე, ხელოვნურად მოშენებული ლიფსიტების ჩაშვებას წყალსატევებში. მაგალითად, 1933 წელს თევზსაშენები ჩამოყალიბდა ტაბანყურისა და ფარავნის ტბებზე. 1969 წელს აშენებული ხრამის წყალსაცავის თევზსაშენიდან კი მარაგდებოდა (უმთავრესად კობრით) ფარავნისა და კარნახის ტბები. ყოველივე ეს მეტ-ნაკლებად ინარჩუნებდა დარგს და იგი გარკვეულ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მხარის მოსახლეობისათვის.

თეზ-ხარაბა – ნასოფლარი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. პატარა ხანჩალის დასავლეთით.

თეთრა – მდინარე ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ჭობარეთისწყლის მარცხენა შენაკადი.

თეთრალელე – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბანისხევის მარცხენა შენაკადი.

თეთრთავა ხახვი – იხ. მთის ღანძილი.

თეთრი ბუდეშური – ქართული ვაზის ჯიში, სუფრის ყურძენი და საღვინე ჯიში. როგორც ჩანს, ძველად ფართოდ იყო გარცელებული, რაზეც სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ არსებული ჩანაწერი მეტყველებს: „ბუდეშური ყურძენი მოგრძე მარცუალი“. ივ. ჯავახიშვილი მას მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშად მიიჩნევს და მისი სახელი გეოგრაფიული ადგილის სახელიდან უნდა იყოს წარმომდგარიო.

თეთრი ხარისთვალა – იხ. ხარისთვალა თეთრი, ვაზის ჯიში.

თეთრკუდა არწივი, ფსოვი (Haliaeetus albicilla) – შავარდნისნაირი ქორისებრთა ოჯახიდან. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გავრცელებული იყო ახალციხის, აწყურისა და ბორჯომის მიდამოებში, მდ. ქვაბლიანის სათავეებში. ამჟამად შემორჩა მხოლოდ ჯავახეთში, წყალსატევების სიახლოვეს. იშვიათი და მცირერიცხოვანი ფრინველია. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც გამქრალი, ან მიუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობა.




თეთრობის კირქვიანი ჰაბიტატი. ფოტო: შამილ შეთეკაური

თეთრობის აღკვეთილი – აღკვეთილი აჭარა-თრიალეთის კალთაზე. დაარსდა 1995 წელს ტყის მასივებისა და ლოკალური ენდემების დაცვის მიზნით. ფართობია 3100 ჰა. მას „ენდემთა ბუდე“ ეძახიან.

თეთრობის კრაზანა (Hypericaceae) – ბუჩქი. ვიწრო გავრცელების ენდემი. გვხვდება მხოლოდ ჯავახეთში – თეთრობის ქედზე, ზ.დ. 1800-2000 მ სიმაღლეზე.

თეთრობ-ჭობარეთის ქედი – ქედი, კირქვებით აგებული პლატო აჭარა-თრიალეთის კალთაზე. ხასიათდება კირქვების ფართო გავრცელებით. ნიადაგების უმთავრესად ნემომპალა-კარბონატულია და ქმნის ერთგვარ „ნიადაგურ კუნძულს“ ქმნის. განსაკუთრებით გამოირჩევა ფლორის ენდემური სახეობებით: ერდელის ბუჩქისძირა (*Corydalis Erdelii*), თეთრობის კრაზანა (*Hypericaceae*), კოზლოვსკის ფამფარულა (*Scorzonera Kozlovskyi*), მასაგეტოვის თავყვითელა (*Senecio Massagetovii*), ყირიმის ასფოდელი (*Asphodeline taurica*), ცრუაღმოსავლური ყაყაჩო (*Papaver pseudo-orientale*), ანხონიუმი (*Anchonium elichrysifolium*) და სხვ.



თეთრყვავილა. ფოტო: „ელკანა“

თეთრყვავილა (*Galantus alpinus*) – ბოლქვიანი დეკორატიული, სამკურნალო მცენარე, საქართველოს ენდემი, შესულია CITES, IUCN-ის ნუსხაში. შეტანილი იყო

სსრკ წითელ წიგნშიც. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება ახალციხისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში. მცენარის სიმაღლეა 0.08-0.20 მ. ყვავილობს თებერვალ-მარტში, თესლი მწიფდება მაის-ივნისში. ამის შემდეგ მიწისზედა ნაწილი ხმება და ბოლქვი იზამთრებს მიწისქვეშ, სადაც სექტემბერ-ნოემბერში ყალიბდება ყვავილის პრიმორდიუმი. ფოთლები და ყვავილი გამოდის იანვარ-თებერვალში, თითქმის ერთდროულად. თესლების მომწიფება ხდება ივნისში. შეიცავს ალკალოიდებს, ტაცეტინს, გალანთამინს და ლიკორინს. არალეგალური შეგროვების გამო ნადგურდება.

თელადუმა (Ulmus elliptica) – 45 მ-მდე სიმაღლის ძვირფასმერქნიანი დეკორატიული ხე. გავრცელებულია საქართველოს უმეტეს რაიონებში ერთეულების სახით შერეულ და წიფლის ტყეებში, ზ.დ. 2000 მ სიმაღლემდე.

თელოვანი – არქეოლოგიური ნივთების კოლექცია, მიკვლეული ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბრინჯაოს ხანა.

თელოვანი – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება ჰიდროკარბონატულ-მაგნიუმ-კალციუმ-ნატრიუმთან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია – 2.2 გ/ლ.

თირკნა, დირკნალი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ზაკვის თემში, ჯავახეთის ზეგანზე, ზ.დ. 1705-1740 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 14 კმ მანძილზე. მიდამოები უტყეოა. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 212. მათი უმეტესობა (98 %) სომეხია (2002).

თისელი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, აწყურის თემში, ოშორის მთის ჩრდილოეთით, მდ. თისელის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ზემო წელში, ზ.დ. 1170--1300 მ სიმაღლეზე, სოფ. აწყურიდან 9 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. თისელის მიდამოებში შემორჩენილია XIV-XV საუკუნეების მონასტერი, ციხე-სიმაგრე და სხვა ისტორიული ნაგებობანი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 242. მათი უმეტესობა (95 %) ქართველია (2002).

თისელის ეკლესია – გუმბათიანი ეკლესია (დაახლ. XIV-XV სს.) აწყურის საკრებულოში, მდ. თისელის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა მხარეს, სოფ. თისელიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 1-1.5 კმ მანძილზე. შემორჩენილია ნანგრევები. ძველად აქ მონასტერი ფუნქციონირებდა. აქ დაწინაურებული ყოფილა მევენახეობა, რაზეც მეტყველებს მრავალი ხელნაწერი და სიგელ-გუჯარი, რომლებშიც აღნიშნულია, თუ როგორ სწირავენ ეკლესია-მონასტრებს ვენახებსა და ღვინოს. მაგალითად, თისელის მონასტერის XIV-XVI საუკუნეების ხელნაწერებში ვკითხულობთ: „*შემოგწირე ... თისლისა ღმრთისმშობელსა და თქუნსა მონასტერსა ტყემლუანას ვენახი*“, „*მე, სიაოშა, ვიყიდე ... ნავენახევი და მივეც საშენებლად ლაკლაკისძესა სანახევროდა; და ... შევსწირე თისლისა ღმრთისმშობელსა*“ და სხვ.

თისელის ნასოფლარი – ნასოფლარი ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. თისელიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1 კმ მანძილზე, ზ.დ. 1200 მ სიმაღლეზე. სოფლის ნამდვილი სახელწოდება უცნობია და მას ეს სახელი სოფ. თისელის სიახლოვის გამო ეწოდა. შემორჩენილია ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, საწრეტი არხის ნაშთები და არქეოლოგიური მასალა (კერამიკული, ქვისა და მიწის ნივთები). უმთავრესად ნაგებია ქვების მშრალი წყობით. ფართოდ ყოფილა განვითარებული მემარცვლეობა, რაზეც მეტყველებს აქ აღმოჩენილი თონეები, კეცები, ხარო. ასევე განვითარებული უნდა ყოფილიყო მევენახეობა-მეღვინეობა, რაზეც აქ მიკვ-

ლეული ქვევრები მიგვანიშნებს.

თისელის მენყერი – მენყრული სხეული ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, სოფ. თისელთან, სამხრეთ-დასავლეთური ექსპოზიციის ფერდობზე. განვითარებულია ოლიგოცენის მერგელოვან თიხებსა და მათ გადამფარავ დელუვიურ-ელუვიურ თიხებსა და თიხნარებში. მცოცავი ტიპის მენყერია, პერიოდულად აქტიური.

თისელის სერი – სერი ახალციხისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, სოფლებს თისელსა და ტაძრისს შორის. სერის დასავლეთ კალთაზე, ზ.დ. 1607 მ სიმაღლეზე მიკვლეულია ნამოსახლარი, სამაროვანი და ასობით ექსპონატი (თიხის ჭურჭელი, სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების ქვის იარაღები, ბრინჯაოს ცული, მცირე ზომის ფიგურების ფრაგმენტები და სხვ.). აღნიშნული მასალა მეცნიერებს აფიქრებინებს, რომ ეს ტერიტორია დასახლებული უნდა ყოფილიყო ძველი ქვის ხანიდან. ძეგლს მიაკვლიეს ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის დროს.

თისელისღელე – მდინარე ახალციხის რაიონში, მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი.

თისელის ციხე – ციხე (განვით. შუა სს.) ახალციხის მუნიციპალიტეტში.

თლილი, ღრმანი – მთა ადიგენის მუნიციპალიტეტში, არსიანის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე, მდინარეების – ძინძესა (ქვაბლიანის მარჯვენა შენაკადი) და ღრმანისწყლის (ფოცხოვის მარცხენა შენაკადი) წყალგამყოფზე, ზ.დ. 2474.4 მ სიმაღლეზე. გუმბათისებრი ფორმის მთაა და აგებულია ანდეზიტ-დაციტებით. მრავლადაა ქვყარილები. შემოსილია სუბალპური მდელოებით. ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობებზე გვხვდება ბუჩქნარები.

თმოგვი, მარგასტნი – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ნაქალაქევის თემში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1190-1300 მ სიმაღლეზე, დაბა ასპინძიდან 23 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 359. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (99%) ქართველი (2002). ძველად სელისაგან ზეთს ხდიდნენ. თმოგვი იყო ქართველ დიდგვაროვანთა საგვარეულოს – თმოგველების ადგილსამყოფელი. შემორჩენილია შუა საუკუნეების თმოგვის ციხე. მიდამოებში არის კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულები – ბერისხევი და ბერთაყანა. 1945 წლამდე სოფელს ერქვა თმოგვი.

თმოგვი – მინერალური წყარო ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. თმოგვთან. მიეკუთვნება ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია – 3 გ/ლ.

თმოგვის კანიონი – კანიონი მდ. მტკვრის ხეობაში, ჯავახეთის ზეგანსა და ერუშეთის მთიანეთს შორის, ასპინძის მუნიციპალიტეტში. მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს კლდეზე აღმართულია შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი თმოგვის ციხე. ციხესთან კანიონის სიღრმეა 400-500 მ.



მტკვრის კანიონი თმოგვის ციხესთან
ფოტო: გიორგი ნათენაძე

თმოგვის მიწისძვრა – მიწისძვრა 1088 წლის 22 აპრილს. სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო 8-ბალიანი მიწისძვრა, ეპიცენტრით თმოგვის ციხის სიახლოვეს (41.4°N; 43.2°E, M= 5.3). მიწისძვრის შესახებ ინფორმაცია შემონახულია „ქართლის ცხოვრებაში“: „... შეძრა ქუეყანა საფუძვლითურთ, ესოდენ სასტიკებითა, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტურისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს, სახლნი დაინთქნეს და დაზულეს, და იქმნნეს საფლავ

მას შინა მკვიდრთა. რომელთა თანა თმოგვცა დაიქცა და დაიპყრა ქუეშე კახაბერი ძე ნიანიასი ცოლითურთ. და განგრძელდა ესევეთარი იგი რყევაჲ ქუეყანისა საშინელი ვიდრე განსრულებამდე წელიწადისა, რომელსა შინა მოსწყდა სიმრავლე ურიცხვ მძლე რიცხვსაი“. როგორც ირკვევა, ქალაქი თმოგვი მთლიანად დაინგრა.

თმოგვის ტერასები – ტერასები ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფელ თმოგვთან, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით.

თმოგვის ციხე-ქალაქი – ციხე-ქალაქი ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. თმოგვიდან სამხრეთ-დასავლეთით, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, მიუდგომელ კლდის ქიმზე, რომლის შეფარდებითი სიმაღლე თითქმის 150 მ-ია. აშენების თარიღი უცნობია. ისტორიულ წყაროებში პირველად მოხსენიებულია 914 წელს არაბთა შემოსევების დროს. ციხის ზედა და ქვედა ნაწილები ერთმანეთს საიდუმლო გვირაბით უკავშირდებოდა, წყლით მარაგდებოდა მტკვარზე ჩამავალი გვირაბით. შემორჩენილია ნაგებობათა ნანგრევები: ეფრემის ეკლესია (კლდეში გამოკვეთილი), ეკლესია (XIII ს.) კედლის მხატვრობის ფრაგმენტებით, ნასოფლარები მდ. მტკვრის ორივე მხარეს, სასახლეთა ნანგრევები, ხიდის ბურჯების ნაშთები (ერთი ხიდი აკავშირებდა სასახლეებს, მეორე ხიდი კი ტრანსპორტირებისათვის გამოიყენებოდა). ციხე-ქალაქი რამდენიმეჯერ დააზიანა ძლიერმა მიწის-ძვრამ 1088, 1283 და 1319 წლებში და რამდენიმე საუკუნეა იგი აღარ ფუნქციონირებს. აქ იღწვოდა ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი სარგის თმოგველი (XIII ს.), რომელიც მიჩნეულია საგმირო-სათავგადასავლო პოემის „დილარგეთიანის“ (ჩვენამდე არ მოუღწევია) ავტორად და სპარსელი პოეტის გორგანის სამიჯნურო პოემის, „ვისრამიანის“ ქართულად მთარგმნელად. (არსებობს მოსაზრება, რომ შოთა რუსთაველი ქაჯეთის ციხედ, ერთ-ერთი ვერსიით, თმოგვს მოიაზრებდა).

თმოგვის წყალი – მდებარეობს ნაქალაქევის წყაროს სიახლოვეს, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ზ.დ. 1225 მ სიმაღლეზე. წყალი "ესენტუკის" ტიპისაა. დაბალია საერთო მინერალიზაცია.

თოთხამი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, არაგვის თემში, ახალქალაქის პლატოზე, ზ.დ. 1610-1685 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 7 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 313, რიცხობრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს მას: „არს გუჯარეთის ჩრდილოთ, მაღალს მთის თხემსა ზედა, ციხე თოთხამი, მჭურეტელი ქართლ-იმერეთისა. ამის ქუეით არს ციხე, მომწვარას, და ეკლესია მცირე, და შენობანი დიდნი“. ეს ტოპონიმი დატანილია აქვს რუკაზეც. ქ. ახალქალაქიდან 7 კმ. მიდამოები უტყეოა.

თოთხამის ციხე – ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. გუჯარეთისწყლის ზემო წელში, თოთხამის უღელტეხილზე.

თოკი – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ვარგავის თემში, ახალქალაქის პლატოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდ. ფარავნის მარჯვენა მხარეს, ვარევანისწყლის შესართავთან, ზ.დ. 1640-1650 მ სიმაღლეზე, დაბა ასპინძიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 28 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 110 (2002). შემორჩენილია წმ. გიორგის ეკლესია და სტელები (IX-X სს.). შემორჩენილია დარბაზული ტიპის ერდოიანი საცხოვრებელი სახლები, დარნები, აგრეთვე ძველი ტერასები, სადაც მოშენებული ჰქონდათ ხეხილის ბაღები. როგორც ფიქრობენ, სახელწოდება

ვინრო ბილიკს უნდა უკავშირდებოდეს, რომლითაც მიმოდიოდა მოსახლეობა სოფლიდან ხეობაში განლაგებულ ხეხილის ბაღებამდე.

თოკის ეკლესია – წმ. გიორგის სახელობის ეკლესია (IX-X სს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. თოკში. კარგად არის შემონახული. 1990-იან წლებში ჩაუტარდა რესტავრაცია.

„თოკის მონასტერი“ – მონასტერი (IX-XIII სს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავნის მარჯვენა მხარეს, სოფ. თოკიდან სამხრეთ-დასავლეთით 2 კმ მანძილზე, შვეულ ფერდობზე.

თოკის კოშკი – კოშკი (განვით. შუა სს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. თოკთან.

თონეთი, ყუდევი – ნასოფლარი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. „სახდელისხევში“ (გუჯარეთისწყლის მარცხენა შენაკადი). შემორჩენილია ერთნავიანი დარბაზული ეკლესიის ნანგრევები ბარელიეფური გამოსახულებებითა და წარწერებით. ნაგებია ნაკლებად დამუშავებული ქვით. როგორც ფიქრობენ, სოფლის სახელწოდება ზანურია „ტუდე“ ნიშნავს სახლს. ყუდევი – თონეთის ძველი სახელი.

თონეთის ქვაჯვარი, ყუდევის ქვაჯვარი – ქვაჯვარი (XII-XIII სს.) ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. „სახდელისხევში“ (გუჯარეთისწყლის მარცხენა შენაკადი). შემორჩენილია ბარიელეფური გამოსახულებები.

თორი, სადგერი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის საკრებულოში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, მდ. მტკვრის აუზში. საქართველოს მთავრობის 2015



სოფ. თორი ძველად, ერმაკოვის ფოტო
ფოტო: თსუ გეოგრაფიის მუზეუმი

ნლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. სოფელი დაცარიელებულია. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერით არ არის მუდმივი მოსახლეობა. ძველად სოფ. სადგერი ავალიშვილებს ეკუთვნოდათ. ამას ვახუშტის ცნობაც ადასტურებს „შემოდგა ურუშთა ჯარი სადგერსა, გამოვიდნენ ავალიშვილები და გააქციეს ურუში და მონყვიტესო“.

თორი – ისტორიული მესხეთის ნაწილი, ზემო ქართლსა (სამცხის) და შუა ქართლს შორის მოსაზღვრე ტერიტორია, რომელიც მოიცავდა მდინარეების გუჯარეთისწყლისა და შავწყალას ხეობებს და მტკვრის ორივე ნაპირს, ტაშისკარიდან დვირამდე. იგი შედიოდა ზემო ქართლის შემადგენლობაში და აერთიანებდა საკუთრივ თორისა და სადგერის ხეობებს, მტკვრის ხეობას ტაშისკარიდან ქობისხევამდე. ადმინისტრაციულად ძველად მეოთხე სასპასპეტოს შემადგენლობაშია. ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „ხოლო არის მეოთხე სასპასპეტო ტფილისიდამ, ვიდრე ტაშის-კარამდე“. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით იგი მოიცავს სამცხე-ჯავახეთის მხარის ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას. თორის სახელით მხარე ცნობილი ყოფილა ჯერ კიდევ VII-VIII საუკუნეებში. სახელწოდება მომდინარეობს დაბა თორიდან, რომელიც ამ მხარის ცენტრი იყო ამავე სახელით დღემდე არსებობს. XV საუკუნიდან და მის შემდგომ სახელი „თორი“ აღარ გამოიყენება მხარის მნიშვნელობით და მხოლოდ სოფელსა შერჩა. მას ენაცვლება „სადგერის ხეობა“, რაც დაკავშირებულია მხარის ცენტრის თორიდან სადგერში გადატანასთან. 1830 წელს თორის ხეობას პირველად ეწოდა ბორჯომის ხეობა.

თორია – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ზეგნის ცენტრალურ ნაწილში, ზ.დ. 1850-1880 მ სიმაღლეზე, ქ. ნინოწმინდიდან ჩრდილოეთით 15 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 620, რიცხობრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). სოფელში მდგარა ქართული ეკლესია, რომლის ნაშთებზე ააგეს სურფ დომინიკოს სალოცავი. შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები. ყოფილა სასაფლაოც, რომლის არსებობაზეც 2 ცხენ-ვერძი მიგვანიშნებს. ძველად ზეთსახდელიც ყოფილა, რომელიც ასევე 1920-იან წლებში განადგურებულია. სოფლის სიახლოვეს ციკლოპური ტიპის ნაგებობის ნანგრევებია.

თორიას ეკლესია – ეკლესია (XIV-XV სს.) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. თორიაში. ნაგებია დამუშავებული ქვით. შემორჩენილია მხოლოდ დულაბი. ეკლესიის ნანგრევებით მოგვიანებით ააგეს სურფ დომინიკოს სალოცავი.

თორიას ციხე – მეგალითური ციხე ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. თორიაში.

თორის ქვაბული – ქვაბული თრიალეთის ქედის დასავლეთ ნაწილში, მდინარეების ბორჯომულასა და გუჯარეთისწყლის (მტკვრის მარჯვენა შენაკადები) აუზებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მოქცეულია გვირგვინასა და ციხისჯვრის ქედებს შორის. მცირე კავკასიონის საქართველოს ნაწილში იგი არის ერთადერთი უბანი, სადაც მეოთხეული ვულკანიზმის შედეგად ვრცელი მასივია შექმნილი. ამასთან ქვაბული ტბების სიუხვით გამოირჩევა. ლავური ღვარებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ბაკურიანისა და გუჯარეთის, რომლებიც დაბა ბაკურიანამდე და დაბა ნალვერამდე აღწევს. ქვაბული და მიმდებარე ფერდობები წარსულში ნაძვის, სოჭის, წიფლის, ფიჭვის ტყეებით იყო შემოსილი. ამჟამად ტყე ზოგან გაჩეხილია, ან განადგურებულია ხანძრების შედეგად. ცნობილია, რომ გვირგვინას ქედის აღმოსავლეთ ნაწილში ტყე გადაინვა XX საუკუნის დასაწყისში და მის ნაცვლად

განვითარდა ჟოლოიანი შამბნარები და მდელოები. ქედების თხემი შემოსილია ალპური მდელოს მცენარეულობით.

თორისწყალი – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. ბორჯომულას (შავწყალა) მარცხენა შენაკადი.

თორის ხეობა – თორის ნაცვლად ხეობას შემდგომში სადგერის ხეობა ეწოდება, როდესაც ცენტრი თორიდან სადგერში გადაიტანეს. თეიმურაზ II-მ თავად ავალიშვილებს დაუმტკიცა, რომლებმაც თავიანთ რეზიდენციად სადგერი გაიხადეს.

თოფი-ოლი – სამარხი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, შუა ბრინჯაოს ხანა.

თრიალეთის ქედი – ქედი მცირე კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილში, ახალციხის, ბორჯომის, ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის, თეთრი წყაროს, წალკის მუნიციპალიტეტებისა და ქ. თბილისის ფარგლებში. უმაღლესი მწვერვალია შავიკლდე (ყარაყაია – 2850 მ). სამცხე-ჯავახეთში შემოდის მისი დასავლეთი მონაკვეთი.

თრიალეთის წყალშემკრები სისტემის ნაპრაღური და ნაპრაღურ-კარსტული წყლების ჰიდროგეოლოგიური ქვეოლქი – ჰიდროგეოლოგიური ქვეოლქი, გრუნტის წყლები დაკავშირებულია მდ. მტკვრისა და მისი მთავარი შენაკადების ქალის ქვიშა-რიყნარ ალუვიონთან. ამ ნალექებისათვის დამახასიათებელია დაბალმინერალიზებული, ჰიდროკარბონატული კალციუმიანი შედგენილობის მძლავრი წყაროები. გრუნტის წყლები რაიონის სასმელი და სამეურნეო წყლებით მომარაგების ძირითადი რესურსებია. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ნაწილში ცარცულ ნალექებში, ქაბურღილების საშუალებით გახსნილია ნაპრაღოვანი წყალშემცველი ჰორიზონტების მძლავრი ზონა. ბორჯომის ნახშირორჟანგიანი წყლების საბადო შეიცავს 2 ტიპის მინისქვეშა წყლებს: ჰიდროკარბონატულ ნატრიუმიანს (ბორჯომის ტიპი) და დაბალმინერალიზებულ ჰიდროკარბონატულ ნატრიუმიან-კალციუმიანს. მათი ურთიერთქმედების საფუძველზე მიიღება შერეული წყლები. გაზური ფაზა წარმოდგენილია ნახშირორჟანგით, იშვიათად ნახშირორჟანგთან ერთად გვხვდება მეთანიც. ზედაცარცული კირქვები მინერალური წყლების კოლექტორებია, ხოლო მათზე დალექილი ფლიშური წარმონაქმნები – წყალუპოვარი სახურავი.

თუთა, თუთის ხე – ფოთოლმცვივანი ხე, სინათლისმოყვარული და გვალვაგამძლე. უფრო მეტად გავრცელებულია სამცხე-ჯავახეთში მრავალ ადგილას, მათ შორის ქალის ტყეებსა და საკარმიდამო ნაკვეთებზე. ხეხილის ნარგავებს შორის თუთას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. თუთისაგან ამზადებდნენ არაყს, ბაქმავსსა, ტკბილ წვენს – შირას, ტყლაპს, ფელამუშს და მათ ცვლიდნენ სხვა პროდუქტებზე – ხორბალზე, მატყლზე. არსებობს ცნობა, რომ 4-წლიანი თუთის ხის მოსავალს ჯავახი არ ცვლიდა ერთ ძროხაზეც კი. არც სანვავად და საშენ მასალად იყენებდნენ მას.

თუთაჯვარი, წყუთაჯვარი, კარჯვარი, კარის ჯვარი – ნასოფლარი (შუა სს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. ვარხანისღელის (ფოცხოვის მარცხენა შენაკადი) სათავეებში, სოფ. ქიქინეთიდან სამხრეთით დაახლოებით 1.3 კმ მანძილზე, მაღალ კლდეზე. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ წყუთაჯვრის სახელითაა მოხსენიებული.



ია
ფოტო: „ელკანა“

ია (*Viola suavis*) – მრავალწლიანი იშვიათი, სამკურნალო მცენარე. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება ძირითადად ბაღებში, მესხეთში ნანახია მისი ველური პოპულაციაც. ეგუება ნახევრად დაჩრდილულ (მეჩხერი ტყე) და დაუჩრდილავ პირობებს. მცენარის სიმაღლეა 0.1–0.15მ. ყვავილობს თებერვალ-აპრილში, თესლი მწიფდება აპრილ-ივნისში. კარგად იზრდება სხვადასხვა მექანიკური შედგენილობის, კარგად დრენირებად ტენიან მჟავე, ნეიტრალურ და ტუტე ნიადაგებზე. შეიცავს ალკალოიდ ვიოლინს, ვიტამინებს და ეთეროვან ზეთს. გამოიყენება ხალხურ

მედიცინაში. საფრთხის წინაშეა კომერციული მიზნით შეგროვების გამო.

იდუმალა – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი (სოფელი: ოშორა), მდ. ოშორის-წყლის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ქვემო წელში, მის ორივე ნაპირას, ზ.დ. 1050-1120 მ სიმაღლეზე, დაბა ასპინძიდან 3 კმ მანძილზე, ახალციხე-ასპინძის საავტომობილო გზაზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 386. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (97 %) ქართველია (2002).

იდუმალას თემის საკრებულო – საკრებულო ასპინძის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: იდუმალა და ოშორა. მოსახლეობის რიცხოვნობა 1023 (2002).

იდუმალას კოშკი – კოშკი ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. იდუმალასთან, ნანგრევები.

იდუმალას ტერასები – უკედლო ტერასები ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. უდუმალასთან, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე.

იელი – იხ. როდოდენდრონი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი – იხ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი.

ივერია – სოფელი დაბა ასპინძის (იგივე დაბა ასპინძა) მუნიციპალიტეტში, ზ.დ. 1090 მ სიმაღლეზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა 345 კაცი (2002).

ივლიტას ეკლესია – ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ივლიტაში.

ივლიტა – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, სხვილისის თემში, მდ. ფოცხოვის მარცხენა

მხარეს, ზ.დ. 960-1000 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან დასავლეთით 3 კმ მანძილზე, ვალე-ახალციხის საავტომობილო გზაზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 231 (2002).

იმერთუბანი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, გორგულის თემში, ახალციხის ქვაბულის დასავლეთ ნაწილში, მდ. ქვაბლიანის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1140-1180 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 1 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 269, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002).

ინდუსა – ყოფილი სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ახალციხის ქვაბულის აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ოშორის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) შესართავთან, მის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1320-1405 მ სიმაღლეზე. მიდამოებში შემორჩენილია დარბაზული ეკლესიის ნანგრევები. ვახუშტი ბაგრატიონი სოფლის შესახებ წერს: „*ოშორასჯევის შესართავის ზეით, ინდუსას, არს ხიდი მტკვარზედ*“. სოფელი მოხსენიებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“. სახელწოდება წარმომდგარი უნდა იყოს სიტყვა „ინდუშასაგან“, რაც ძველ ქართულში ფერს აღნიშნავდა. სულხან საბას მიხედვით იგი რუხს აღნიშნავდა.

ინდუსას ეკლესია – ერთნავიანი დარბაზული ეკლესია ასპინძის მუნიციპალიტეტში, ყოფ. სოფელ ინდუსას დასავლეთით 0.25 კმ მანძილზე, შემორჩენილია ნანგრევების სახით.

ირმისრქა – მთა ასპინძის მუნიციპალიტეტში, ერუშეთის მთიანეთის ჩრდილოეთ ფერდობზე, ინჯისწყლისა და ჭობარეთისწყლის (ურავლის აუზი) წყალგამყოფზე.

ირმისრქა – მთა ახალციხის მუნიციპალიტეტში, ახალციხის ქვაბულის სამხრეთ ფერდობზე.

ინჯისწყალი – მდინარე ასპინძისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში, ურავლის მარჯვენა შენაკადი.

ირმისჭალა – იხ. ერემჭალა.

ირქა, ირქის ეკლესია – წმ. გიორგის სახელობის ეკლესია ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქ. ვალეს დასავლეთით. ერთი მოსაზრების მიხედვით, სოფლის ეკლესიის კედელში ირმის რქა ყოფილა ჩატანებული, ხოლო მეორე მოსაზრებით აქ ხარობდა ვაზი რქანითელი.



სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხალიჩა-ფარდაბაჟი
წყარო: საქართველოს 100 მუზეუმი, 2012

ირქა – ნასოფლარი ახალციხის მუნიციპალიტეტში.

ისტორიული ექსკურსი – არქეოლოგიური მასალებით დადგენილია, რომ ისტორიული მესხეთის ტერიტორია და მათ შორის სამცხე-ჯავახეთი, ადამიანს საცხოვრებლად უხსოვარი დროიდან აქვს ათვისებული. აქ აღმოჩენილია ქვედა პალეოლითის ნაკვალევი ასპინძის, აწყურის, ახალციხის, ვალეს, მუსხის, ხერთვისის მიდამოებში. ასევე მიკვლეულია შემდგომი პერიოდების – ნეოლითის, ბრინჯაოსა და ანტიკური პერიოდების ნამოსახლარების ნაშთები. ამ აღმოჩენებით ირკვევა, რომ ამ მხარეში ცხოვრება თითქმის უწყვეტ რეჟიმში გრძელდებოდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მიუხედავად მტერთაგან მრავალი შემოსევისა და აოხრებისა, რომელსაც უცხო ეთნიკურ ერთეულთა შემოსვლაც და დამკვიდრებაც მოჰყვებოდა ხოლმე, ადგილობრივი მოსახლეობა არ გადაშენებულა და ყოველთვის აგრძელებდა არსებობას.

მესხეთის ტერიტორიაზე გადიოდა მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული გზები, რომლითაც ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნები ერთმანეთს უკავშირდებოდა. ამასთან საქართველოს ცენტრალურ ტერიტორიებს იცავდა სამხრეთიდან მომავალი დამპყრობისაგან და პირველ დარტყმას ეს მხარე იღებდა. ამიტომაც აქ, მდ. მტკვრისა და მისი შენაკადების ხეობებში, მაღალ კლდოვან ფერდობებზე მრავალი საფორტიფიკაციო ნაგებობა აუგიათ. ამ მხარეში, ისევე როგორც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე არაერთი უცხოელი დამპყრობი შემოსულა და გაუძარცვავს და დაუნგრევია ქართველი კაცის მიერ შექმნილი მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი. ყოველივე ეს აფერხებდა მხარის განვითარებას. მაგრამ მშვიდობიანობის ხანმოკლე პერიოდებში მკვიდრი მოსახლეობა მაინც ქმნიდა, აშენებდა და ავითარებდა.

XVII საუკუნემდე სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა, ისევე როგორც სრულიად საქართველო, ქრისტიანი იყო. მაგრამ 1625 წლის შემდგომ ვითარება იცვლება. ოსმალეთის მიერ ამ ტერიტორიის დაპყრობის შემდეგ მრავალი განსაცდელი გაიარა ამ მხარემ – დედა-სამშობლოს მონყვეტილმა ქართველთა უმეტესობამ დაკარგა თავიანთი სარწმუნოება, მათმა ნაწილმა მიიღო ისლამი, კათოლიკობა ან გრიგორიანობა, სამშობლოდან აყარეს და გადახვეწეს ოსმალეთში.

იშვარი, ყარყატი (Ciconia nigra) – ფრინველი ლაკლაკისებრთა ოჯახიდან. გვხვდება ბორჯომ-ბაკურიანის მიდამოებში, კარნახის, მადათაფისა და ფარაენის ტბების სიახლოვეს. ბუდობს ხეებზე, ტყეებში, კლდეებზე, ჭაობებისა და ტბების პირას. იშვიათი ფრინველია, რომლის რიცხოვნობა მკვეთრად მცირდება. საქართველოს ნითელ წიგნში შეტანილია როგორც გამქრალი ან მიუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობა.

იხტილა, ღრტილა, ღირტილა, ხრტილა, კაკნატელა – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ბარალეთის თემში, ახალქალაქის პლატოს ჩრდილოეთ ნაწილში, ზ.დ. 1690-1740 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 22 კმ მანძილზე. მიდამოები უტყეოა. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1258, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია. X თუ XI საუკუნეში აქ გაიმართა საეკლესიო კრება ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის: „*იქმნა კუალად კრება ღრტილას, არა ვიდრემდე სამღუდელო, არამედ უფროსლა სამხედრო*“. ჩვენ დრომდე მოაღწია ღრტილას კრების პოლემიკური ნაწილის აქტები. სოფლის სახელწოდება „იხტილა“ ქართული სახელწოდების დამახინჯებული ფორმაა, რომელიც 1828-1829 წლების შემდეგ წარმოიქმნა, როცა სამცხე-ჯავახეთში დასახლდა თურქეთიდან

გადმოსახლებული სომეხი მოსახლეობა. სოფლის ძველი ქართული სახელწოდებაა ღრტილა, რომელიც 10 საუკუნის წინ მაინც უნდა იყოს შერქმეული.

იხტილას ეკლესია, ღრტილას ეკლესია – აგებულია 1308 წელს წმ. სტეფანეს სახელზე. შემორჩენილია ლაპიდარული წარწერები. მოპირკეთებულია მონითალო ფერის ანდეზიტური ტუფით. შემორჩენილია რელიეფური ჯვრები. ძველი სახელწოდება „ღრტილა“ დამოწმებულია „ქართლის ცხოვრებაში“.

იჯარეთი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, არსიანის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე, მდ. ქვაბლიანის მარჯვენა ნაპირას, ზ.დ. 1260-1360 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 3 კმ მანძილზე. შემორჩენილია შუა საუკუნეების იჯარეთის მონასტერი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 281, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002).

იჯარეთის ეკლესია – დარბაზული ერთნავიანი ეკლესია (XIII ს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. იჯარეთში, დაბა ადიგენიდან 3 კმ მანძილზე. ნაგებია თლილი ქვით. ყოფილა მოჩუქურთმებული. ძველად მონასტერიც ყოფილა. მოიცავდა ეკლესიას, სამრეკლოს, საძვალესა და სხვა ნაგებობებს. შემორჩენილია ნანგრევები.



რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის მემორიალური ძეგლი ქ. ახალციხეში, ერმაკოვის ფოტო ფოტო: თსუ გეოგრაფიის მუზეუმი

3



კავკასიის აკაკი

კავკასიის ასტრაგალი (Astragalus caucasicus) – ეკლიანი ბუჩქი, ქსეროფიტული ფლორის წარმომადგენელი. სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია ახალციხის ქვაბულსა და ჯავახეთის ზეგანზე მშრალ ქვიან და კლდოვან ფერდობებზე.

კავკასიის აკაკი (Celtis caucasica) – 10 მ-მდე სიმაღლის ხე ან ბუჩქი. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება საშუალო მთის სარტყელში ქვიან და კლდოვან ადგილებში მდ. მტკვრის ხეობაში.

კავკასიური გველგესლა (Vipera kaznakovi) – ქვეწარმავლები გველგესლებრთა ოჯახიდან, ვინრო არეალის კავკასიის ენდემი. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება ბორჯომის ხეობაში – ბანისხევის აუზში. ბინადრობს ტყეებში, მდინარეთა დაჭაობებულ უბნებზე, სუბალპურ და ალპურ მდელოებზე. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი სახეობა, რომელსაც ჯერჯერობით არ ემუქრება გადაშენება.

კავკასიური ზაზუნა – მღრნელი. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება ზ.დ. 2800 მ სიმაღლემდე, ქსეროფიტული მცენარეების გავრცელების არეალში. სასოფლო-სამეურნეო მიზნით მისი ადგილსამყოფელის ინტენსიური ათვისების გამო, კავკასიური ზაზუნის რიცხოვნობა შემცირებულია. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი სახეობა, რომელსაც ჯერჯერობით არ ემუქრება გადაშენება.



კავკასიური ზაზუნა



კავკასიური ირემი

კავკასიური ირემი (Cervus elaphus maral) – წყვილჩლიქოსანი ირმისებრთა ოჯახიდან. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება ბორჯომის დაცულ ტერიტორიაზე ტყეებში, სადაც ფართო ბალახოვანი ველობები სუბალპურ და ალპურ მდელოებს ენაცვლება, ახლოსაა წყალსატევები და ბუნებრივი სამარილები. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი სახეობა, რომლებსაც ჯერჯერობით არ ემუქრება გადაშენება, მაგრამ იმდენად მცირეა რაოდენობით, ან იმდენად მცირე ტერიტორიაზე გვხვდება, რომ შესაძლებელია სწრაფად გადაშენდნენ.

კავკასიური როჭო (Lyrurus mlocosiewiczzi) – ფრინველი როჭოსებრთა ოჯახიდან, კავკასიის ენდემი. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება აჭარა-იმერეთისა და

თრიალეთის ქედებზე, ალპურ მდელოებზე, არყნარებსა და დეკიანებში. ზამთარში უფრო დაბლა ჩამოდის – სუბალპებსა და ზოგჯერ წინვინ ტყეებში. იშვიათი და რიცხვკლებადია. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი სახეობა, რომელსაც ჯერჯერობით არ ემუქრება გადაშენება.

კავკასიური სალამანდრა (Mertensiella caucasica) – ამფიბია სალამანდრისებრთა ოჯახიდან, ენდემი. გვხვდება აჭარა-იმერეთისა და თრიალეთის ქედებზე. ბინადრობს ცივ ნაკადულებსა და ნოტიო ღელეებში. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც გამქრალი ან მიუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობა.



კავკასიური როჭო



კავკასიური ფოცხვარი

კავკასიური ფოცხვერი (Felis lynx orientalis) – მტაცებელი ძუძუმწოვარი კატისებრთა ოჯახიდან. სამცხე-ჯავახეთში ბინადრობს აბასთუმნის, ბორჯომის დაცული ტერიტორიის ტყეებში – იქ, სადაც შველი და ირემია. შეტანილია საქართველოს წითელ წიგნში როგორც გადაშენების პირას მისული სახეობა.

კავკასიური ქაშაყი, კარჩხანა, უგვარო (Leusiscus cephalus orientalis Nordmann) – თევზი ქაშაყისებრთა ოჯახიდან. სამცხე-ჯავახეთში ბინადრობს მდ. მტკვარში, ფარავნისა და საღამოს ტბებში. აღნიშნულ ტბებში ყოველწლიურად იჭერდნენ 100-120 ცენტნერამდე.

კავკასიური შურთხი (Tetragallus casoius) – ფრინველი ხობისებრთა ოჯახიდან, მცირე კავკასიონის ენდემი. სამცხე-ჯავახეთში ბინადრობს აჭარა-იმერეთის ქედზე, საშუალო მთის, სუბალპურ და ალპურ სარტყელში, ზ.დ. 1600-4000 მ სიმაღლით დიაპაზონში. მეტად იშვიათი ფრინველია, ხასიათდება კლებადი რიცხოვნობით. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც გამქრალი ან მიუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობა..



კავკასიური შურთხი

კავკასიური ჯვრიანა (Triturus vittatus) – ამფიბია სალამანდრისებრთა ოჯახიდან. გვხვდება ბორჯომის ხეობაში, ზ.დ. 2300 მ სიმაღლემდე. სამცხე-ჯავახეთში ბინადრობს ტბებში, გუბურებში, ჭაობებში, ნაკადულების სანაპიროებთან. იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგომი სახეობაა. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც გამქრალი ან მიუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობა.

კატნატუ – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, დიდი ხანჩალის თემში, ჯავახეთის ზეგანზე, ხანჩალის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, ზ.დ. 2000-2040 მ სიმაღლეზე, ქ. ნინოწმინდიდან 7 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 278, რიცხოობრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). „კატნატუ“ თურქულენოვანი ტოპონიმია და თურქეთიდან გადმოსახლებული სომეხმა მოსახლეობამ დაამკვიდრა. სოფლის ქართული სახელია „ბალახოვანი“.

კალმახი (Salmo faria Linne) – თევზი ორაგულისებრთა ოჯახიდან. ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს, მათ შორის სამცხე-ჯავახეთის წყალსატევებში – მდინარეებსა (უმთავრესად ზემო წელში)

და ტბებში (ტაბანყური, ფარავანი, სალამო). იკვებებიან თევზებით, კიბოსნაირებით, მწერებით და სხვ. სარენაო მნიშვნელობისაა. ფართოდ იყენებენ სატბორე მეურნეობაში.

კალმახის წყალი – მდინარე, იხ. ურაველი.

კაპნისღელე – მდინარე ახალციხის მუნიციპალიტეტში, წვერუკნისღელის მარცხენა შენაკადი.

კაპოეტი – იხ. ხრამული.

კარაპანი – მესხურ დარბაზში შესასვლელი სივრცე, რომელიც საცხოვრებელი კომპლექსის სათავეებში გამანაწილებლის და სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობის ადგილის ფუნქციასაც ასრულებდა. აქ გრეხდნენ თოკს, ქსოვდნენ ჯეჯიმი-ფარდაგებს, ხდიდნენ არაყს, ცხრილავდნენ პურს. აქვე, მიწის სიღრმეში იყო მოწყობილი ხარო, სადაც მთელი წლის სამყოფ მარცვლეულს ყრიდნენ და ინახავდნენ. მასთან ახლოს მოწყობილი იყო ე.წ. საციო. იგი შედარებით ბნელ და გრილ ადგილს წარმოადგენდა და აქ ინახავდნენ მწნილს, რძისა და ხორცის პროდუქტებს. ახლოს კი იდგა საფქვილე ამბარი, რომელსაც „სახელამბრესაც“ უწოდებდნენ. მის გვერდით იდგა პატარა კიდობნები, რომლებშიც ცერცვი, მუხუდო და ლობიო ინახებოდა.

კარზამეთის ეკლესია – იხ. ქარზამეთის ეკლესია.

კარზახი – იხ. კარწახი.

კარნეთი – ნასოფლარი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავნის მარჯვენა მხარეს, სოფ. დიდი ხორენიიდან 1.5 კმ მანძილზე. შემორჩენილია ეკლესიის (XIV-XV სს.) ნანგრევები, ხოლო მდ. ფარავნის მარცხენა მხარეს – კლდეში გამოკვეთილი სახიზრები. ეკლესიას ჰქონია ეგვიპტური, რომლის წარწერა სავარაუდოდ XI-XII საუკუნეებით თარიღდება. მის სიახლოვეს მეორე ეკლესიაც ყოფილა.

კარნეთის ეკლესია – დარბაზული ეკლესია (XI ს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიდი ხორენიიდან ჩრდილოეთით 1.5 კმ მანძილზე. შემორჩენილია ნანგრევები.

კარტიკამი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოზე, ზ.დ. 1740-1800 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან აღმოსავლეთით 8 კმ მანძილზე, კარტიკამის თემის ცენტრი. მიდამოები უტყეოა. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 2017. მათი უმეტესობა (99 %) სომეხია (2002). სახელწოდება წარმოიშვა 1828-1829 წლების შემდეგ, რაც სამცხე-ჯავახეთში დასახლდა თურქეთიდან გადმოსახლებული სომეხი მოსახლეობა.

კარტიკამის თემის საკრებულო – საკრებულო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში



წყარო სოფ. კარტიკამში

შემავალი სოფლებია: კარტიკამი, აბული, ბუზავეთი, გულიკმი, თახჩა, ხულგუმო. მოსახლეობის რიცხოვნობა 6230 კაცი (2002).

კარჩხანა – იხ. კავკასიური ქაშაყი.

კარწახი, კარზახი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ზეგნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, კარწახის ტბის მახლობლად, ზ.დ. 1820-1890 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 30 კმ მანძილზე, თემის ცენტრი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671

დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 891. მათი უმრავლესობა (99 %) სომეხია (2002). ყოველწლიურად, ივნისის თვის ბოლოს, შაბათობით აღინიშნება სახალხო აშუღის – ჯივანის (სერობ ბენგოიანის) სახალხო ზეიმი – „ჯივანობა“.

კარნახის ეკლესია – დარბაზული ეკლესია ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

კარნახის თემის საკრებულო – საკრებულო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: კარნახი და ფილიპოვკა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 992 (2002).

კარნახის მეტეოსადგური – ზ.დ. 1863 მ სიმაღლეზე, ღია მდელოზე, რომელიც შემოფარგლულია სარდაფის ტიპის შენობებით. მეტეოროლოგიური მოედნის ჰორიზონტი ღიაა ყველა მიმართულებით. მეტეოროლოგიურ სადგურზე დაკვირვებები წარმოებდა 1914-1992 წლებში. აქ აღრიცხულია ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი (-41°C). იგი მიჩნეულია საქართველოს „სიცივის პოლუსად“.

კარნახის ტბა, ხოზაფინის ტბა – ტბა საქართველოსა (ახალქალაქის მუნიციპალიტეტი) და თურქეთის საზღვარზე, ჯავახეთის ზეგნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ზ.დ. 1799 მ სიმაღლეზე. ზედაპირის ფართობია 26.3 კვ. კმ, აუზის ფართობი – 158 კვ. კმ, უდიდესი სიღრმე – 1 მ, წყლის მოცულობა – 19.3 მლნ მ³. სიდიდით მეორე ტბაა საქართველოში (ფარავნის ტბის შემდეგ), თუმცა ზედაპირის ფართობის მხოლოდ 53 % შემოდის საქართველოს ფარგლებში. მარაგდება პატარა ნაკადულებისა და ფერდობებზე ჩამომდინარე ზედაპირული წყლებით. გაუდინარი ტბაა. ერთადერთი ტბაა ჯავახეთში წყლის მაღალი მინერალიზაციით. ასევე განსხვავდება სხვა ტბებისაგან რეჟიმით – წყლის ყველაზე მაღალი დონეა ივლის-აგვისტოში. წყლის ზედაპირი დაფარულია წყალმცენარეებით. ტბის მიდამოებსა და მის შემოგარენში, მხოლოდ აქ საქართველოში გვხვდება *Dasiphora fruticosa* – ვარდისფერთა ოჯახის წარმომადგენელი. ტბის მიდამოებში მრავლადაა ხუჭუჭა ვარხვი (*Pelecanus crispus*). ტბის სამხრეთ ნაწილში მდებარე მცირე კუნძულზე (თურქეთი) მრავალი გადამფრენი ფრინველი სტუმრობს. ტბის ნაპირზე დგას ყოფილი საბჭოთა კავშირის დროინდელი შეიარაღებული



კარნახის ტბა

ძალების სათვალთვალ კოშკი, საიდანაც შეიძლება ფრინველებზე დაკვირვება. თურქეთში კარნახის ტბა მოიხსენიება ქანარაბელისა და ხოზაფინის სახელებით, რადგანაც აქვე მდებარეობს ამ სახელწოდების სოფლები. ქართული სიტყვა კარნახი უნდა ნიშნავდეს ხრიოკ, მოუსავლიან ადგილს. ჯავახეთში კარნახის ტბის მიდამოებიც გამორჩეულად ხრიოკია.

ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ტბა კარნახისა, დიდი და აღსილი თევზითა, უმეტეს კალმახითა, ფრიად გემოიანითა“. კარნახის ტბაში სცადეს კიდეც თევზის მოშენება, მაგრამ ყოველგვარი ცდა უშედეგოდ დამთავრდა. კარნახის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროებზე ხშირ რაყებს ქმნის მთის გლერძიანები ფორმაციები (*Astragalus mycrocephalus*-ის დომინანტობით). ისინი ხანგრძლივი გვალვების შემდეგ ხანძრის განვითარების მძლავრ კერას წარმოადგენენ. ტბასა და მის შემოგარენში მთის სტეპებსა და გასტეპებულ მდელოებზე 2004 წელს აღმოაჩინეს საქართველოს ფლორაში აღწერილი ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენელი. სასაზღვრო ზოლში მდებარეობის გამო, აქ ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობდა ანთროპოგენური ზემოქმედება (თუ არ ჩავთვლით ყარს-ახალქალაქის სარკინიგზო და საავტომობილო გზების მშენებლობას). ტბაში ევტროფიკაციული პროცესები საშუალოზე დაბალი ინტენსივობისაა.

კარნახის ჭაობის აღკვეთილი – აღკვეთილი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, სოფლებს კარნახსა და ფილიპოვკას შორის, სულდის ჭაობიდან სამხრეთ-დასავლეთით 5 კმ მანძილზე. ფართობია 158 ჰა. დაარსდა 2011 წელს. მარაგდება მცირე ზომის ნაკადულებით. წყლის გამოდენა ჭაობიდან ხდება ხელოვნური არხით, რომელიც სოფ. კარნახის გავლით, ჩაედინება კარნახის ტბაში. აღკვეთილში მრავალი გადამფრენი ფრინველია, განსაკუთრებით შემოდგომაზე, მიგრაციების პერიოდში.

კარნახ-ფარავნის ფიზიკურ-გეოგრაფიული ქვერაიონი – ჯავახეთის ზეგნის ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონის სამხრული ნაწილი. ვრცელდება ფარავნის ტბიდან კარნახის ტბამდე. აბსოლუტური სიმაღლეები მერყეობს 1800-2250 მ-ის ფარგლებში.

კარჯვარი, კარის ჯვარი – ნასოფლარი, იხ. თუთაჯვარი.

კაურმა – სოფელი, იხ. ყაურმა.


კაჭიო – იხ. კოჭიო.

კაჭიოს ეკლესია – დარბაზული ეკლესია (X ს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. კოჭიოში. ნაგებია მოწითალო ფერის ბაზალტით, კარგად დამუშავებული კვადრებით. შემორჩენილია ნანგრევები ჩუქურთმებითა და ბარელიფებით.

კახარეთი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ლელოვნის თემში, ერუშეთის ქედის ჩრდილოეთით, მდ. ქვაბლიანის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1090-1230 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 5 კმ მანძილზე. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 298, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002). შემორჩენილია XIX საუკუნის მეჩეთი.

კახისის ტბა – ტბა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბაძველი პლატოზე. ტბა ტექტონიკური წარმოშობისაა. გაუდინარია, წყალი მომლაშოა. მაღალი მინერალიზაციით ხასიათდება. საშუალო მარილიანობა შეადგენს 880 მგ/ლ-ს. იგი ერთადერთი ტბაა ჯავახეთში, რომელიც ასე მაღალი მარილიანობით გამოირჩევა. ტბის წყალი მომწვანო შეფერილობისაა. გამჭვირვალობა დაბალია და არ არის რეკომენდირებული საყოფაცხოვრებო გამოყენებისათვის. ზამთარში ტბის ზედაპირი სანახევროდ ყინულის ფენით იფარება. წყალი მღვრია და არ იცის თევზი. ამიტომ აქ იშვიათია იხვები და სხვა წყალხმელეთა ფრინველები.

კედლიანი ტერასები – ხელოვნური ტერასების ტიპი, კედლიანი, აგებულია შედარებით ციცაბო ფერდობებზე. იგი უფრო მწირი, ნაკლებნაყოფიერი და ქვიშნარი ნიადაგებითაა წარმოდგენილი. აქ, მაღალ კედლიან (შეიძლება 3 მ და მეტი სიმაღლის) და ვიწრო ტერასებს – საქვევებს აწყობდნენ. ასეთი ტერასების მოსაწყობად აუცილებელი იყო ქვებისაგან ადგილის გაწმენდა („გამოკარკვლა“) და ჭალის ნიადაგების ნოყიერი ფენით შევსება. ზედაპირის დიდი დახრილობის გამო საქვევები მრავალიარუსიან ნაგებობებს ქმნიდა, ხოლო დუქანი – 1, ან 2-იარუსიან მცირე ზომის ტერასებს.



ძვისკედლიანი ტერასა. ფოტო: მერაბ გონგაძე

კენჭყარა, კენჭყარა – მთა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედზე, ზ.დ. 2348.8 მ სიმაღლეზე. მიდამოები უტყეოა.

კესელრინგის შროშანა (Lilium kesselringianum)

– სამკურნალო, ბოლქვიანი მცენარეა, 1.5 მ-დე სიმაღლის. ყვავილობს ივლისში. თესლი მნიფდება აგვისტო-სექტემბერში. უპირატესობას ანიჭებს მსუბუქ ქვიშნარ და საშუალო თიხნარ და კარგად დრენირებად ნიადაგს, შეუძლია ზრდა საკვები ნივთიერებებით ღარიბ ნიადაგზეც. უკეთესად იზრდება მჟავე და ნეიტრალურ ნიადაგზე. ზრდა შეუძლია ნახევრად დაჩრდილულ (მეჩხერ ტყეში) და ღია ადგილებშიც. ხასიათდება ნიადაგის ტენიანობისადმი მომთხოვნელობით.



კესელრინგის შროშანა
ფოტო: „ელკანა“

კეცხოველის მიხაკი

(*Dianthus Ketzkhovelii*) –



კეცხოველის მიხაკი

მრავალწლოვანი მცენარე, ენდემი, დეკორატიულია. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება საშუალო მთის ტყის სარტყელში, ახალციხის ქვაბულში – დაბა აბასთუმნისა და ბოლაჯურის მიდამოებში. უფრო ხშირად იკავებს სამხრეთის ექსპოზიციისა და კლდოვან ფერდობებს. საქართველოს წითელ წიგნში შესულია როგორც იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობა.



კეცხოველის ფამფარულა

კეცხოველის ფამფარულა (Scorzonera Ketzkhovelii) – მრავალწლოვანი

ბალახი, სამხრეთ საქართველოს იშვიათი, ვიწრო ლოკალური ენდემი, მესამეული ფლორის რელიქტი, დეკორატიული მცენარეა. საქართველოში გვხვდება მხოლოდ თეთრობის ქედზე. საქართველოს წითელ წიგნში შესულია როგორც იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობა.

კეცხოველი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ჭეჭლას თემში,

არსიანის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე, ზ.დ. 1380-1600 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 11 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 199, რომელთა 93 % ქართველია (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიისა და კოშკის ნანგრევები.

ყვარშის ეკლესია, ყვარშის ეკლესია – ეკლესია (X ს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქილდის ჩრდილოეთით რამდენიმე კილომეტრზე. შემორჩენილია ნანგრევები ქართული წარწერების ფრაგმენტებით. მის სიახლოვეს მიკვლეულია მრავალი დარანი და ზეთის გამოსახდელი ქვები – გელაზები.

კვირაცხოველი, სათიხის ღელე – სამაროვანი (გვიან ბრინჯაოს-ადრე რკინის ხანა) ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

კვირაცხოველის სამაროვანი – სამაროვანი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, სოფ. დვირის სამხრეთ-აღმოსავლეთით 4 კმ მანძილზე, ადგილ „კვირაცხოველის მიწების“ დასავლეთით. მიკვლეული მასალა ამჟამად დაცულია ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

კვირიკენმინდა, საკვირიკე, კვირიკეთი – მონასტერი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვირიკეში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ჩითახევის ელსადგურის საგუბართან ახლოს. დაარსდა 840 წლის ახლო ხანებში, გრიგოლ ხანძთელის ლოცვა-კურთხევით – მისი მოწაფის – ქრისტეფორეს მიერ. ტაძარი სამნავიანია, შუა ნავი გვერდებისაგან გამოყოფილია თალიანი სვეტებით. ტაძარი ნაგები ყოფილა თლილი ქვით, შელესილი და მთლიანად მოხატულიც. შემორჩენილია ნანგრევები. ტრადიციულად, საქართველოში მრავალი ტოპონიმი რელიგიასთანაა კავშირში. ასეა წარმოქმნილი ეს სახელიც. კვირია ძველი ქართული წარმართული ღვთაებაა.

კვირიკეთი, საკვირიკე, კვირიკენმინდა – ნასოფლარი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ჩითახევის ელსადგურის საგუბართან. შემორჩენილია ძველი მონასტრის ნანგრევები – კვირიკენმინდა. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მოხსენიებულია, როგორც სოფელი კვირიკენმინდა. ამ დავთრის მიხედვით, იგი მდებარეობს აწყურის რაიონის ახალციხის ლივაში.

კიკიბო – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, მოხეს თემში, არსიანის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე, მდ. ქვაბლიანის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1410-1520 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 22 კმ მანძილზე. უკიდურესი დასახლებული პუნქტი ადიგენის მუნიციპალიტეტში მდ. ქვაბლიანის გასწვრივ. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 86, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიისა და ციხის ნანგრევები.

კიკიბოს ეკლესია – ეკლესია (შუა სს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. ქვაბლიანის მარცხენა მხარეს, დაბა ადიგენიდან ჩრდილო-დასავლეთით 24 კმ მანძილზე. შემორჩენილია ნანგრევები. აქვეა ციხის ნანგრევებიც.

„კიკიბოს ჩანჩქერი“ – ჩანჩქერი მდ. ქვაბლიანის ზემო წელში, სოფ. კიკიბოდან (ადიგენის მუნიციპალიტეტი) ჩრდილო-დასავლეთით 6 კმ მანძილზე. 10 მ სიმაღლის ჩანჩქერი ღრმა მორევიდან გადმოედინება. აღნიშნულ სოფელთან სიახლოვის გამო, მას კიკიბოს ჩანჩქერი შეიძლება ვუნოდოთ.

კიმოთესუბანი – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება ჰიდრო-კარბონატულ-კალციუმიან-მაგნიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია – დაბალია – 0.7 გ/ლ.

კიმოთესუბანი, ტიმოთესუბანი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, წალვერის თემში, მდ. გუჯარეთისწყლის ხეობაში, გვირგვინას ქედის სამხრეთ ფერდობზე, ზ.დ. 1070-1230 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 17 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 254. მათი უმრავლესობა (97 %) ქართველია (2002). შემორჩენილია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – სამონასტრო კომპლექსი (XI-XVIII სს.). მთავარი ნაგებობაა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი (XII-XIII სს.) კედლის მხატვრობით (XIII ს.). იგი ნაგებია მოვარდისფრო აგურით. ტაძრის ჩრდილოეთით შემორჩენილია სამონასტრო ნაგებობის (X-XI) ნაშთები და თლილი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია (XI ს.) და სხვ. სოფლის სიახლოვეს, მიუვალ კლდეებში გამოკვეთილი სახლებია. ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს სოფლის მიდამოებს „*გუჯარეთის სოფელს ქუეით კიმოთისმანამდე, თორის წყალზედ, აქათ და იქით, არს კლდე, რომელი აიყრების დიდ-დიდი ფიცარი ფიქალ-ფიქალი შავი, და ბურვენ მით სახლებსა*“. 1899 წელს მოენყო კიმოთესუბნის გლეხთა (მონაწილეობდნენ წალვერლებიც) აჯანყება მიხეილ რომანოვის წინააღმდეგ, რომლის საუფლისწულო მამული იყო ბორჯომის ხეობა და რომელმაც აქაურ მკვიდრთა მდგომარეობა გააუარესა.

კიროვაკანი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, კუმურდოს თემში, ახალქალაქის პლატოს დასავლეთ ნაწილში, ზრესის ტბის დასავლეთ მხარეს, ზ.დ. 1720-1740 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 9 კმ მანძილზე, ახალქალაქ-კუმურდოს საავტომობილო გზაზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 457, რიცხოვნობა უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). საბჭოთა პერიოდში რუსი რევოლუციონერის, სახელმწიფო და პარტიული მუშაკის სერგეი კიროვის სახელით მოინათლა.

კლდე – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, ახალციხის ქვაბულში, ზ.დ. 980-1110 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 9 კმ მანძილზე, თემის ცენტრი, მასში შედის სოფელი წნისი. 1950-იან წლებში ვაზი სამარიობოსა და თეთრი ხარისთვალას ცალკეული ეგზემპლარები იყო შემონახული. სახელი ადგილის ოროგრაფიულ პირობებს უკავშირდება. მოსახლეობის რიცხოვნობა 939 (2002).


კლდე – მინერალური წყარო ახალციხის მუნიციპალიტეტში მიეკუთვნება ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმის, საერთო მინერალიზაცია – 2.1 გ/ლ.

კლდე-ნაშალის მცენარეულობა – სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია უმთავრესად ფრაგმენტულად, უმთავრესად ალპურ და სუბალპურ სარტყლებში, ზ.დ. 900-2000 მ სიმაღლით დიაპაზონში. გვხვდება ახალციხის ქვაბულისა (ზ.დ. 900-1500 მ) და ბორჯომის ხეობის ფერდობებზე, თეთრობის პლატოზე (ზ.დ. 1500-2000 მ) და სხვაგან. ახასიათებს ქსეროფიტულობის ნიშნები. აღრიცხულია 80 სახეობა. მათ შორის: შოვიცის ერისიმუმი (*Erysimum szowitzianum*), მაჩიტა (*Campanula crispera*), ლიბანურიბოსტნის ია (*Veronica livanensis*), ღიღილო (*Centaurea bella*), მინუარცია (*Minuartiamicrantha*), იურინეა (*Jurinea carthaliniana*), მატრიკარია (*Matricaria rupestris*) და სხვ.

კლდე-წნისის არხი – სარწყავი არხი, გაყვანილი მდ. ფოცხოვიდან, წყალაღებაა 0.3 მ³/წმ, სარწყავი ფართობი – 436 ჰა.

კლდის თემის საკრებულო – საკრებულო ახალციხის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: კლდე და წნისი. მოსახლეობის რიცხოვნობა 1581 კაცი (2002).

კლერტმაგარა – შავყურძნიანი ვაზის ჯიში, საგვიანო. მარცვალი მრგვალია და წვნიანი. ფოთოლს ზედაპირზე აქვს წვრილი ბურთულები, ხოლო ქვედა მხრიდან – ჯაგრისებრი ბუსუსები. 1950-იან წლებში გვხვდებოდა ასპინძაში, აწყურში, საროსა და ტოლოშში.



ატმოსფერული ნალექების განაწილება სხვადასხვა მეტეოსადგურების მონაცემების მიხედვით

კლიმატი სამცხე-ჯავახეთის – მხარის კლიმატის ფორმირებას ბუნებრივ ფაქტორთა მთელი კომპლექსი განაპირობებს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მზის რადიაცია, ატმოსფეროს ცირკულაცია და ქვეფენილი ზედაპირის ხასიათი. ეს ფაქტორები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფება, ერთდროულად მოქმედებენ და ქმნიან აქაური ჰავის საკმაოდ მრავალფეროვან სახეს. ამ მხრივ, განსაკუთრებულ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეფენილი ზედაპირის ხასიათი –

ზედაპირის დანაწევრების ხარისხი, ქედებისა და ხეობების მონაცვლეობა, კლდოვანი გაშიშვლებები, მცენარეული საფარი (ტყე, მდელო, ველი). სამცხე-ჯავახეთისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბარიერს ქმნის არსიანისა და აჭარა-იმერეთის ქედები, რომლებიც აფერხებენ დასავლეთის ნოტიო ჰაერის მასების გავრცელებას. ამიტომ მათი ქარპირა ფერდობები უზვნალექიანია, ხოლო ქარ-ზურგა ფერდობები, მიმდებარე ხეობები და ქვაბულები – მცირენალექიანი. ჯავახეთის ზეგნის არსებობა კი ხელს უწყობს ზამთარში ჰაერის ქვედა ფენების ძლიერ გაცივებას, ხოლო ზაფხულში – მის გათბობას. საქართველოს მაღალმთიან ზოლში მზის ნათების ხანგრძლივობა დაბალია. მაგრამ სამცხე-ჯავახეთი, ამ მხრივაც, გამორჩეული მხარეა. ჯავახეთის ზეგანზე მაღალია მზის ნათების ხანგრძლივობა და წლიურად იგი შეადგენს საშუალოდ 2400 საათზე მეტს.

სამცხე-ჯავახეთის დიდ ნაწილზე ჰავა კონტინენტური ხასიათისაა, რეგიონი შემოსაზღვრულია მაღალი ქედებით, რაც განაპირობებს ჰავის კონტინენტურობას. ჯავახეთში დამახასიათებელია ცივი შედარებით მშრალი ზამთრი და გრილი ხანგრძლივი ზაფხული, სამცხის კლიმატი კი ხასიათდება ზომიერად ნოტიო, ცივი და შედარებით მშრალი ზამთრით. ნიადაგის ზედაპირი წლის უმეტეს დროს იღებს საკმაოდ დიდი რაოდენობის სითბოს, განსაკუთრებით წლის თბილ პერიოდში. მცირე ღრუბლიანობა, ჰაერის დიდი გამჭვირვალობა და მწვანე საფარის ნაკლებობა ხელს უწყობს ეფექტური გამოსხივების გაზრდას, რის გამოც ეს მხარე ტემპერატურის წლიური და დღეღამური ამპლიტუდის მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა. ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად, ტემპერატურული რეჟიმი სამცხე-ჯავახეთში დიდი კონტრასტებით ხასიათდება. საშუალო წლიური ტემპერატურა 9.4-დან 1.8°C-მდე მერყეობს.

ზამთარში თვის ტემპერატურა მთელ ტერიტორიაზე უარყოფითი, ან 0°C-თან ახლოსაა, რაც განპირობებულია ცივი ჰაერის მასების დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან შემოჭრით, აგრეთვე ხშირი ანტიციკლონური პირობებით, რომლებიც დაკავშირებულია მონმენდილი ამინდთან და დედამიწის ზედაპირის რადიაციულ გაცივებასთან. აქ უფრო ცივი ზამთარი იცის, ვიდრე იმავე სიმაღლეზე კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე მდებარე ადგილებში. მაგალითად, ერმანში, რომელიც ზ.დ. 2,240 მ სიმაღლეზე მდებარეობს, იანვრის საშუალო ტემპერატურაა 8.8°C, მაშინ როდესაც 128 მ-ით დაბლა მდებარე ეფრემოვკაში, ამ თვის საშუალო ტემპერატურა –10,6°C-. ყინვიანი დღეების ხანგრძლივობა სამცხე-ჯავახეთის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე მერყეობს 90-დან 200 დღემდე. ზაფხულის თვეებშიც კი არ არის გამორიცხული დილის ყინვები. ზამთრის ასეთი დაბალი ტემპერატურის მიუხედავად,

ამმხარისათვის დამახასიათებელია ტემპერატურის დადებითი ანომალიები, რაც უმთავრესად დაკავშირებულია სამხრეთიდან, ან სამხრეთ-დასავლეთიდან საქართველოში თბილი ჰაერის მასების შემოჭრასთან.

უთბილესი თვის საშუალო ტემპერატურა ზ.დ. 1200 მ სიმაღლემდე მერყეობს 19-20,5°C-ის, ხოლო 2000 მ სიმაღლემდე – 15–20°C-ის ფარგლებში. ჰიფსომეტრიულად უფრო მაღლა მხოლოდ ზაფხულის ორი თვის ტემპერატურა არის 10°C-ზე მაღალი. ჯავახეთის ზეგანზე ზაფხული ცხელი იცის, რასაც განაპირობებს მისი სამხრეთით მდებარეობა და ტყეების ნაკლებობა. აქ ცალკეულ დღეებში ტემპერატურა საკმაოდ მაღალია. ჰაერის საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა 20–28°C-მდე აღწევს.

მხარის ძირითად ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექები შედარებით მცირე რაოდენობით მოდის და არათანაბრადაა განაწილებული, როგორც დროის, ისე სივრცის მიხედვით. ნალექები აბსოლუტური სიმაღლის მიხედვითაც არათანაბრად არის განაწილებული: დაბალ ნაწილში მოდის ძირითადად წვიმის სახით, ხოლო მაღალმთიან ნაწილში მატულობს თოვლის სახით მოსული ატმოსფერული ნალექი. მაღალმთიან ტერიტორიაზე ნალექები მყარი სახით მთელი წლის განმავლობაშია მოსალოდნელი, ხოლო დაბალ ნაწილებში მხოლოდ სექტემბერ-მაისში. ოროგრაფიული ბარიერების გამო რეგიონი შედარებით მცირე ნალექს იღებს. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა აქ მერყეობს 400-1400 მმ-ის ფარგლებში. იგი მინიმალურია ჯავახეთის ზეგანსა და ახალციხის ქვაბულში, ხოლო მაქსიმალური – აჭარა-იმერეთისა და არსიანის ქედების მაღალმთიან ზოლში. თოვლის საფარის სიმაღლე მაღალია დასავლეთ რაიონებში, ხოლო ხანგრძლივი კი აღმოსავლეთ ნაწილში.

სამცხე-ჯავახეთის სხვადასხვა ნაწილში განსხვავებული მიმართულებისა და სიძლიერის ქარებია გაბატონებული და წლის განმავლობაში მათი მიმართულება ხეობების მიმართულების თანხვედრილია. ქარის სიჩქარე ახალციხის ქვაბულში მცირეა და ტერიტორიის დიდ ნაწილში 2.0–2.5 მ/წმ-ს არაღემატება, ჯავახეთის პლატოზე კი იგი შედარებით მაღალია და 4 მ/წმ-ს აღწევს.

კლიმატის ცვლილება სამცხე-ჯავახეთში – კლიმატის ცვლილების სამთავრობათშორისო საბჭოს (IPCC) მონაცემების თანახმად, 100 წლის მანძილზე (1906-2005) ჰაერის საშუალო ტემპერატურამ მოიმატა 0.74°C-ით, ხოლო 1961-2005 წლებში საშუალო გლობალური ტემპერატურა გაიზარდა 0.44°C-ით. ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ტემპერატურამ მოიმატა 0.75°C-ით, ხოლო სამხრეთ ნახევარსფეროში 0.22°C-ით. ბოლო 50 წლის განმავლობაში საშუალო გლობალური ტემპერატურა გაიზარდა 0.13°C-ით/_{106ელი}, ხოლო ბოლო 25 წელიწადში 0.38°C-ით/_{106ელი}. გლობალურ დათბობაზე საქართველოს კლიმატის რეაგირების პირველი შეფასება ჩატარდა I ეროვნული შეტყობინების ფარგლებში. მიღებული შედეგების თანახმად 1906-1995 წლების პერიოდში დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში ადგილი ჰქონდა საშუალო წლიური ტემპერატურის შემცირებას 0.1-0.3°C-ით, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში ტემპერატურის მომატებას 0.5-0.7°C-მდე.

რაც შეეხება ატმოსფერულ ნალექებს, 1937-1964 წლებში, 1964-1990 წლების პერიოდთან შედარებით, საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე აღინიშნა ნალექების წლიური ჯამების შემცირება 5-10 %-ით. კლიმატის გლობალური ცვლილების შესაფასებლად ჩატარებული კვლევის ანალიზიდან ჩანს, რომ სამცხე-ჯავახეთში გამოიკვეთა ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების ცვლილების მრავალფეროვანი სურათი. თითოეულ მეტეოროლოგიურ სადგურზე არსებული მეტეოროლოგიური დაკვირვების მონაცემების 10-წლიანი პერიოდების მიხედვით, ზოგ

შემთხვევაში კვლევა ჩატარებული იყო სხვადასხვა წლებში (მასალების არარსებობის გამო). წლიური ტემპერატურის და ნალექების ჯამების 10-წლიანი საშუალოების (30-40 წლების პერიოდი) ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი დასკვნები, რომ გლობალური დათბობის ფონზე ადგილი აქვს ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების ჯამების მკვეთრ ცვალებადობას, აღინიშნა დათბობა-აცივების შემთხვევები:

- საშუალო ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების ჯამების გაზრდა ახალქალაქსა (1967-2006) და ახალციხეში (1971-2010);
- საშუალო ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების ჯამების შემცირება ნალკასა და ფარავანში (1967-2006), აგრეთვე გოდერძის ულელტეხილზე (1963-1992);
- საშუალო ტემპერატურის ზრდა და ატმოსფერული ნალექების ჯამის უცვლელობა ბორჯომში (1962-2004);
- საშუალო ტემპერატურის შემცირება და ატმოსფერული ნალექების ჯამის გაზრდა ბაკურიანში (1962-1991).

კობრი, გოჭა (Cyprinus carpio Linne) – თევზი კობრისებრთა ოჯახიდან. ბინადრობს მდ. მტკვარში, ფარავნისა და სალამოს ტბებში. ხელოვნურად გადაყვანილია ტაბანყურის ტბაში. სწრაფად მზარდი და მაღალპროდუქტიული სახეობაა. იკვებებიან უხერხემლო ცხოველებითა და მცენარეებით. ფართოდ იყენებენ ტბორულ მეურნეობაში. გამოყვანილია სატბორო ჯიშები. მტკნარი წყლის თევზების ჭერაში საქართველოში მას დიდი ადგილი ეკავა. მთელი ქვეყნის მასშტაბით, 1940-1960 წლებში იჭერდნენ 400 ცენტნერს ყოველწლიურად.

კოდიანი – მთა თრიალეთის ქედზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ზ.დ. 2688.6 მ სიმაღლეზე. მიდამოები უტყეოა.

კოდიანი – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში, კოდიანის სერზე. მიეკუთვნება აზოტოვან ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 0.2 გ/ლ.

კოდიანი – ყორღანული სამარხი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, შუა ბრინჯაოს ხანა.

კოდიანის მენყერი – მენყრული სხეული ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. კოდიანთან, კოდიანის სერის აღმოსავლეთ და დასავლეთ ფერდობებზე. აღმოსავლეთ ფერდობზე რამდენიმეკამერიანი ცირკითაა წარმოდგენილი. აქ, ჩადაბლებაში რამდენიმე მცირე ზომის ტბაა. მენყერი აქტიურია.

კოზლოვსკის ფამფარულა (Scorzonera Kozlovskiy) – მრავალწლოვანი ბალახი, სამხრეთ საქართველოს იშვიათი, ვიწრო ლოკალური ენდემი. იზრდება კლდეების ნაპრალებშიდა სუბალპურ სარტყელში. საქართველოში გვხვდება მხოლოდ თეთრობის ქედზე. საქართველოს წითელ წიგნში შესულია როგორც იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობა.

კოთელია – მინერალური წყარო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება აზოტოვან ქლორიდულ-ნატრიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 1.5 გ/ლ.

კოთელია – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოზე, ზ.დ. 1680-1712 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 15 კმ მანძილზე, ახალქალაქ-ბორჯომის საავტომობილო გზაზე, თემის ცენტრი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 490. მათი უმრავლესობა (96 %) ქართველია (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების 2 დარბაზული ეკლესია.

კოთელიის ეკლესია – წმინდა კვირიკეს სახელობის დარბაზული ეკლესია (XVI ს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. კოთელიაში, ახალქალაქის პლატოზე. მოპირკეთებულია მონითალო ფერის

ანდეზიტებით. სახურავის დასავლეთ კეხზე სამრეკლოა.

კოთელიას თემის საკრებულო – საკრებულო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფელია კოთელია. მოსახლეობის რიცხოვნობა – 490 (2002).

კოლხური ბზა, ბზა (Buxus colchica) – მარადმწვანე ხე ან ბუჩქი, იშვიათი რელიქტური მცენარე, კოლხეთის ფლორის წარმომადგენელი. იზრდება ქვედა და საშუალო მთის ტყის სარტყელში, ქვეტყეში ნოტიო ხეობებში. გვხვდება მდ. მტკვრის აუზში. საქართველოს წითელ წიგნში შესულია როგორც იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობა.

კოლხური ჯონჯოლი (Staphylea colchica) – დაბალტანი დეკორატიული და სამკურნალო ხე ან ბუჩქი, იშვიათი რელიქტური მცენარე. შეიცავს მთრილავ ნივთიერებებს. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება ბორჯომის ხეობაში – ბანისხევი).



კოლხური ჯონჯოლი

კონდურას მეტეოსადგური – ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ვულკანურ ზეგანზე ზ.დ. 2000 მ სიმაღლეზე.

კოროშეთი – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიზაბავრის აღმოსავლეთით. როგორც ჩანს, ოდითგანვე განთქმული იყო სათიბ-საძოვრებით, რის შესახებაც ხალხური გამონათქვამიც მეტყველებს: „*კოროშეთს თივა მოვითბე, ოლდან დამიძირია*“-ო. ოლდანი ასევე ნასოფლარი ყოფილა.

კორტანეთი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ყვიზისის თემში, ბორჯომის ხეობაში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ზ.დ. 780-840 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 9 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 396. მათი უმრავლესობა (97 %) ქართველია(2002).

კორტანეთისხევი – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მტკვრის მარჯვენა შენაკადი.

კორხი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. არაკვის (ფარავნის მარჯვენა შენაკადი) მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1600-1680 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 9 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 923, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). სოფლის სიახლოვეს არის ეკლესია – სურფ გეორჯი (წმინდა გიორგი), აგებული XIX საუკუნეში ძველი ეკლესიის ნანგრევებზე.

კოშკიელის ღვთისმშობლის ეკლესია და სამრეკლო – ეკლესია და სამრეკლო ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

კოჭიო, კაჭიო, კოჩიო – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, კოჭიოს თემში, ახალქალაქის პლატოს ჩრდილოეთ ნაწილში, ზ.დ. 1720-1760 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქის ჩრდილოეთით 24 კმ მანძილზე, ახალქალაქ-ტაბანყურის საავტომობილო გზაზე. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 540, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია. „კოჭიო“, „კოჩიო“ ძველი ქართული სახელწოდების დამახინჯებული ფორმაა, რომელიც 1828-1829 წლების შემდეგ წარმოიშვა, რაც სამცხე-ჯავახეთში დასახლდა თურქეთიდან გადმოსახლებული სომეხი მოსახლეობა. მანამდე სოფელს კაჭიო ერქვა.

კოჭიოს ეკლესია – დარბაზული ეკლესია (X ს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. მოპირკეთებულია მონითალო ფერის ბაზალტის დამუშავებული კვადრებით. შემორჩენილია ჩუქურთმები, რელიეფური გამოსახულებები. საკმაოდ დაზიანებულია. ეკლესიის ეზოში მრავალი საფლავის ქვაა, მათ შორის

ცხენისა და ვერძის ფიგურებით.

კოჭიოს თემის საკრებულო – საკრებულო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: კოჭიო, აგანა, ალათუმანი, ბეჟანო, მოდეგა და სირქვა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 3269 (2002).

კობტა, კობტაგორა – მთა ბორჯომის რაიონში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, დაბა ბაკურიანიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზ.დ. 2115.2 მსიმაღლეზე. თხემი უტყეოა, ფერდობები შემოსილია ნიფლნარი და მუქნინვიანი ტყეებით. აქ სხვადასხვა სირთულის 16-მდე სამთო-სათხილამურო ტრასაა. ტრასის სიგრძეა 1525 მ. გაყვანილია საბაგირო გზები დაბა ბაკურიანიდან (სიგრძე 1100 მ) და დიდი მიტარბიდან.

კობტასთავის ციხე – ციხე ასპინძის მუნიციპალიტეტში, სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე, სოფ. დამალას მიდამოებში. ვახუშტი მას მოიხსენიებს, როგორც ციხეს „დიდ-შენი და მაგარი“. ისტორიულ წყაროებში პირველად იხსენიება XIII საუკუნეში. აქ მოხდა ცნობილი ქართველი მთავრების შეთქმულება მონღოლთა წინააღმდეგ, რომელიც საქართველოს დიდგვაროვანი ფეოდალის – ცოტნე დადიანის სახელთანაა დაკავშირებული. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.



კრაპიჭამია არწივი

კობტას ციხე – ციხე (განვით. შუა სს.), ასპინძის მუნიციპალიტეტში, დაბა ასპინძიდან 3 კმ მანძილზე, მაღალ გორაზე.

კრაპიჭამია არწივი, ბატკანძერი (Gypsaetus barbatus) – შავ-რდნისნაირი ქორისებრთა ოჯახიდან. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება ბორჯომის ნაკრძალში, ახალციხისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. მაღალმთის ბინადარია, თავს აფარებს კლდეებსა და ქვალორდიან ადგილებს სუბალპურ და ალპურ სარტყელში. ვრცელდება ზ.დ. 4800 მ სიმაღლემდე. საკმაოდ მცირერიცხოვანი და იშვიათი ფრინველია, ხასიათდება კლებადი რიცხოვნობით. საქართველოს ნითელ წიგნში შეტანილია როგორც გამქრალი ან მიუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობა.

კროკო, ზაფრანა (Crocus) – სამკურნალო, კულტურული მცენარეა. ველური სახეობები იზრდება მდელოებზე ბალახით დაფარულ დიდ ან მცირე დახრილობის ფერდობებზე. ბოლქვიანი მცენარეა 10 სმ სიმაღლის. შეფოთლილია ოქტომბრიდან მაისამდე, ყვავილობს ოქტომბერში. კარგად იზრდება მსუბუქ (ქვიშნარ), საშუალო (თიხნარ), კარგად დრენირებად, მჟავა, ნეიტრალურ და ტუტე ნიადაგებზე. შეუძლია ზრდა საკვები ნივთიერებებით ღარიბ ნიადაგებზეც ნახევრად დაჩრდილულ (მეჩხერი ტყე) ან ღია ადგილებში. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება მისი რამდენიმე სახეობა, კერძოდ, სოსანი ზაფრანა და ადამის კროკო, რომლებიც ძირითადად მესხეთშია გავრცელებული. რაც შეეხება კიდევ ერთ სახეობას – ბადისებრ კროკოს, იგი გოდერძის უღელტეხილზე ხარობს.

კუმურდო, გუმბურდო, გიმბირდო – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1700-1760 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან დასავლეთით, 10 კმ მანძილზე. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 2475, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომხები (2002). შემორჩენილია კუმურდოს ეკლესია – ჯავახეთის საეპისკოპოსო ცენტრი. ერთ-ერთი წარწერა გვამცნობს: „შენევნითა ღმრთისათა, იოვანე ეპისკოპოსმან დადგა საძირკველი ამისა ეკლესიისაჲ, ხელითა ცოდვილისა საკოცრისაჲთა“. სოფელში მიკვლეულია ქვედა პალეოლოთის

ხანის ნამოსახლარი. XIX საუკუნეში იგი ნასოფლარია. სახელწოდება „გუმბურდო“ წარმოიშვა 1828-1829 წლების შემდეგ, რაც სამცხე-ჯავახეთში დასახლდა თურქეთიდან გადმოსახლებული სომეხი მოსახლეობა. მანამდე კი იგი კუმურდოს სახელით იხსენიებოდა.

კუმურდოს ეკლესია – გუმბათოვანი ეკლესია, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოს დასავლეთ კიდეზე, ქ. ახალქალაქიდან 12 კმ მანძილზე, ერთადერთი გუმბათოვანი ტაძარი ჯავახეთში (ამჟამად გუმბათი მორღვეულია). იყო მნიშვნელოვანი სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო კერა. აგებულია 964 წელს ხუროთმოძღვარ საკოცარის მიერ, რასაც ადასტურებს კედლის წარწერა: „შენენითა ღმრთისაითა, იოავანე ეპისკოპოსმან დადვა



კუმურდო (ნ. სევეროვის რეკონსტრუქცია)
ფოტო: Памятники Грузинского зодчества, 1947



კუმურდო, აღმოსავლეთის ფასადი
რეკონსტრუქცია ნ. სევეროვი
ფოტო: Памятники Грузинского зодчества, 1947

საძირკველი ამისა ეკლესიისაჲ, ხელითა ჩემ ცოდვილისა საკოცრისაჲთა“. ნაგებია მოვარდისფრო თლილი ქვით და მოპირკეთებულია ბაზალტით. უხვადაა მოჩუქურთმებული გეომეტრიული ფიგურებით, ცხოველთა და მცენარეთა გამოსახულებებით. შემორჩენილია ჩუქურთმები, კედლის მხატვრობა (მეფე ბაგრატ III და დედა მისი გურანდუხტი) და წარწერები. აქ აღრიცხულია სხვადასხვა საუკუნეში შესრულებული 25-ზე მეტი ძველი ქართული წარწერა. ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს მას: „არს კუმურდოს ეკლესია, გუნბათიანი, ფრიად დიდშენი, შვენიერად ნაშენი...“ კუმურდოს მღვდელმთავარი ისტორიულ წყაროებში პირველად იხსენიება VI საუკუნეში. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ: კუმურდოს ეპისკოპოსი იოანე კუმურდოელი (X ს.), რომელიც მოგვიანებით მოღვაწეობდა სინის მთაზე (ქართველთა სამოღვაწეო ადგილი არაბეთის ნახევარკუნძულზე), ქართველი ჰიმნოგრაფი ზოსიმე (XI ს.) და სხვ. XIX საუკუნეში სოფ. კუმურდოში თუქეთიდან ლტოლვილი სომხები დასახლდნენ. როგორც 1933 წელს ნიკო ბერძენიშვილი წერდა: „...

კუმურდოს პერანგს ძარცვავენ, აცლიან ჩუქურთმებიან ქვებს. ზოგი თავიანთ მიცვალებულთა საფლავებს ამკობს, ზოგი კიდევ სხვა რიგად მოიხმარს... შედარებით 1927 წელთან, როცა მე ვიყავი აქ, ის ფრიად დაზიანებულია“.

კუმურდოს თემის საკრებულო – საკრებულო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: კუმურდო და კიროვაკანი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 2932 (2002).

კურცხანა, კურცხანისწყალი, პანტოვნისხევი – მდინარე ადიგენის მუნიციპალიტეტში, აბასთუმნისწყლის მარჯვენა შენაკადი. სათავეს იღებს აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ კალთაზე. ძველად მჭიდროდ დასახლებული ხეობა ყოფილა. როგორც ფიქრობენ, აქ 15-მდე დასახლებული პუნქტი მაინც უნდა ყოფილიყო. ხეობაში მრავალი ნამოსახლარია, რომლებსაც „აღმაისურს“ უწოდებენ. XVIII საუკუნის დასაწყისში იგი უკვე დაცლილი უნდა ყოფილიყო. დღეს მთლიანად დაუსახლებელია. ადგილობრივების ცნობით, სახელი მეგრულ მეჯოგეებთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომლებსაც აქაურ საძოვრებზე გადმოჰყავდათ საქონელი.

კურცხანის ეკლესია – წმ. გიორგის სახელობის ერთნავიანი ეკლესია (შუა სს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში. ძველად იყო მონასტერი.

კურცხანის საყინულე – ბუნებრივი საყინულე ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. კურცხანის ხეობაში.



უხუცესი ვაზი ცხენისქუჩა თეთრი
ჭაჭკარი, პორფილე ნათენაძის ბაღი
ფოტო: გიორგი ნათენაძე



ლადოგური რიპუსი (*Caregonus albula infraspecies ladogenis Pravdin*) – თევზი, რომელიც აკლიმატიზებულია 1930-1934-იან წლებში მაშინდელი ლენინგრადის ოლქის ვოლხოვის თევზსაშენი ქვირითის გადმოტანით ტაბანყურისა და ფარავნის ტბებში. ფარავნიდან გავრცელდა საღამოს ტბაში. სამცხე-ჯავახეთიდან გადაყვანილია საქართველოს სხვა წყალსატევებში. 1944-49 წლებში მისი მოპოვება შეადგენდა 290-328 ცენტნერს წლიურად. ამჟამად მისი რაოდენობა მკვეთრად შეამცირებული.

ლადოგური სიგი (*Coragonus lavaretus baeri natio ladogae Pravdin*) – თევზი, რომელიც აკლიმატიზებულია 1930 წელს მაშინდელი ლენინგრადის ოლქის ვოლხოვის თევზსაშენიდან ტაბანყურის ტბაში. მას დიდი სარენაო მნიშვნელობა ჰქონდა. ყოველწლიურად იჭერდნენ 80-100 ცენტნერამდე.

ლავური ვოკლუზები ჯავახეთის – დიდდებიტიანი წყაროები ჯავახეთის ზეგნის ვულკანოგენურ წყებებში. წყალი მტკნარია. გავრცელებულია ზეგნის კანიონისებრ ხეობებსა და ტბიან ტაფობებში. აქ მრავლადაა დაბალი ტემპერატურის (+2–3.5°C) წყაროები, რომლებიც გამოედინებიან ვულკანოგენური წყებების ნაშალებიდან. ზოგიერთი წყაროს დებიტია 1 მ³/წმ. განსაკუთრებით გამოირჩევა აბულისწყლის, დილიფის, განძანის, ბეჟანოსა და ყულიქამის, აგრეთვე საღამოსა და ფარავნის ტბების წყაროები. წყაროების დიდი დებიტი განპირობებულია ტერიტორიის ამგები ფოროვანი ვულკანოგენური წყებებით, რომელთა მეშვეობითაც მდინარეთა სხვა აუზებიდან წყალი აქ იყრის თავს.

ლამაზი ტბა – ტბა აბულ-სამსრის ქედის თხემზე, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

ლანდშაფტები სამცხე-ჯავახეთის – სამცხე-ჯავახეთის ტერიტორია საკმაოდ ნაირგვაროვანი ლანდშაფტებითაა წარმოდგენილი. აქ წარმოდგენილია ლანდშაფტების 5 ტიპი (H, Π, P, T, Y), 9 (H5, H6, Π1, P1, T1, T2, Y1, Y2, Y3) ქვეტიპი და 12 გვარი (83, 88, 102, 112, 119, 127, 129, 135, 138, 139, 148, 151) [Беручашвили, 1979].

ეს ლანდშაფტებია:

H – ტიპი. მთის ზომიერად თბილი ჰუმიდური

სემიჰუმიდურისაკენ გარდამავალი ქვედა მთის ტყის (H5 – ქვეტიპი)

83 – ქვედა მთის ეროზიულ-აკუმულაციური ლანდშაფტი რცხილნარ-მუხნარი (ქართული მუხის), მუხნარ-ფიჭვნარი და ფიჭვნარი (კავკასიური ფიჭვის) ტყეებით, იშიათად შიბლიაკით.

საშუალო მთის ტყის (H6 – ქვეტიპი)

88 – საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური წიფლნარი, რცხილნარ-მუხნარი (ქართული მუხის), რცხილნარი ტყეებით და ტყისშემდგომი მდელოებითა და მდელო-ბუჩქნარებით.

Π – ტიპი. მთის ზომიერი სემიჰუმიდური

საშუალო მთის შიბლიაკის, არიდული მეჩხერი ტყის, ფრიგანის, მდელო-სტეპის (Π1 – ქვეტიპი)

102 – საშუალო მთის ვულკანური ლანდშაფტი შიბლიაკით, ფრიგანით, მდელო-სტეპებითა და არიდული მეჩხერი ტყეებით.

P – ტიპი. მთის ზომიერი სემიარიდული

ზომიერად თბილისაკენ გარდამავალი მთის ქვაბულების სტეპის, მდელო-სტეპის, ფრიგანისა და შიბლიაკის (P1– ქვეტიპი)

112 – ვრცელდება სამხრეთ საქართველოში – ახალციხის ქვაბულის ფარგლებში, ზ.დ. 900-1500 მ სიმაღლით დიპაზონში. გაცილებით დიდ ფართობზეა გადაჭიმული სომხეთის ზეგნის ფარგლებში. მნიშვნელოვნად აქვს შეცვლილი პირვანდელი ბუნებრივი სახე.

T – ტიპი. მთის ზომიერად ცივი

საშუალო მთის მუქნივნიანი ტყის (T1 – ქვეტიპი)

125 – საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი ნიფლნარ-მუქნივნიებითა და მუქნივნიანებით (აღმოსავლური ნაძვი, კავკასიური სოჭი) მარადმწვანე ქვეტყით.

127 – საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი ნიფლნარ-მუქნივნი, ზოგან ფიჭვნარი (კავკასიური ფიჭვი) ტყეებით.


ზედა მთის ტყის ფიჭვნარი და არყნარი (T2- ქვეტიპი)

129 – ზედა მთის ეროზიულ-დენუდაციური, იშვიათად პალეოგლაციალური ლანდშაფტი არყის ხის, ზოგან ფიჭვის (კავკასიური ფიჭვის, კოხის ფიჭვის) ტყეებითა და პონტოური მუხის დაბალტანიანი ტყეებით.

Y – ტიპი. მაღალი მთის მდელოს

მაღალი მთის სუბალპური ტყე-ბუჩქნარ-მდელოს (Y1 – ქვეტიპი)

135 – მაღალი მთის დენუდაციური და პალეოგლაციალური ლანდშაფტი მაღალბალახოვანი და ხშირბალახოვანი მდელოების კომპლექსით, ბუჩქნარებითა და ტანბრეცილი ტყეებით (ნიფლისა და არყის ხის).



სამცხე-ჯავახეთის ლანდშაფტური რუკა (გვარაძე)



ლარეზი სოფ. დიდი პამაჯის მიდამოებში

138 – მაღალი მთის დენუდაციური ლანდშაფტი სუბალპური მდელოების, ბუჩქნარებისა და მეჩხერი ტყეების კომპლექსით.

139 – მაღალი მთის ვულკანური ლანდშაფტი სუბალპური მდელოებისა და მდელო-სტეპის.

მაღალი მთის ალპური ბუჩქნარ-მდელოს (V2-ქვეტიპი).

148 – მაღალი მთის ვულკანური ლანდშაფტი ალპური მდელოებით.

151 – მაღალი მთის სუბნივალური ვულკანური ლანდშაფტი.

მაღალი მთის სუბნივალური (V3-ქვეტიპი).

151 – მაღალი მთის ვულკანური ლანდშაფტი.

ლარეზი – უკედლო ტერასები ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭობისხევთან, მდ. მტკვრის ხეობაში, ქვაბისხევის ნაპირებზე. შემორჩენილია სიგრძეზე დახნული მონაკეთები, რომელთაგან თითოეულს ტყის ზოლი გასდევს სიგრძეზე.



ლარეზი სოფ. ქველის მიდამოებში



ლარაზი სოფ. ტოლოშთან

ლარი – ხელოვნური ტერასის ტიპი, უკედლო. აგებდნენ, როგორც წესი, მცირე დახრილობის დამრეც ფერდობებზე, სადაც ტერასის კედელი დაბალი, თუმცა ფართო იყო. ისტორიული წყაროებით ირკვევა, რომ ამ ტიპის ტერასებზე, რომლებსაც დარიჯს, დარეჯს, ორორკს ეძახდნენ, უმთავრესად აშენებდნენ ხეხილს, ან მაღლარ ვენახს (ჭანჭურის, ან ჭერმის ხეზე ასული ვაზს). დარიჯი დიდი ფართობისა (სიგანე 5-10 მ, სიგრძე 30-35 მ) და შედარებით დაბალი (1-1.5 მ სიმაღლის) ტერასაა და განლაგებული იყო მდინარეთა დინების გაყოლებით მაღალ ნაყოფიერ ნიადაგებზე. იხ. დარიჯი, საქვე, დუქანი.

ლევანის ტბა – გაუდინარი მყინვარული ტბა სამსრის ქედზე, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ზ.დ. 2560 მ სიმაღლეზე. ჯავახეთის მაღალმთიან ტბებს შორის, ყველაზე მაღლა მდებარეობს. მცირე ზომის ტბაა (სარკის ფართობი – 0.06 კმ², უდიდესი სიღრმე – 2.8 მ). წყალი სუსტად მინერალიზებული, სუფთა და გამჭვირვალეა.

ლეიდალი, ლეგლი – მწვერვალი ჯავახეთის ქედზე, საქართველოსა (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი) და სომხეთის საზღვარზე, ზ.დ. 3196 მ სიმაღლეზე, ქვემო ქართლის უმაღლესი მწვერვალი. შემოსილია ალპური მდელოებით.

ლეკნარისღელე – მდინარე ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. წინუბნისწყლის მარცხენა შენაკადი.

ლეკნარის ციხე – ციხესიმაგრე ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. წინუბნისწყლის სათავეში, კლდეზე.

ლელოვანი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ახალციხის ქვაბულში, მდ. ქვაბლიანის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1180-1310 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 3 კმ მანძილზე, თემის ცენტრი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 407, რომელთა 99% ქართველია (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები.

ლელოვნის თემის საკრებულო – საკრებულო ადიგენის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ლელოვანი, ამხერი, კახარეთი, სამყურე და ღორძე. მოსახლეობის რიცხოვნობა 1196 კაცი (2002).

ლელოვნის ეკლესია – სამნავიანი ბაზილიკის ტიპის ეკლესია X-XI საუკუნისა, ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლელოვნის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1 კმ მანძილზე. ნაგებია თლილი ქვითა და კირით. შემორჩენილია ნანგრევები.

ლებისი – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ლერწიანა – მდინარე ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ.ფოცხოვისწყლის მარცხენა შენაკადი.

ლერწმანი – მდინარე ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქვაბლიანის შენაკადი.

ლერწმანის მენყერი – მენყრული სხეული ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. ლერწმანის ზემო დინებაში, ახალციხის ქვაბულში. განვითარებულია 5-20° დახრილობის სამხრეთ-აღმოსავლური ექსპოზიციის ფერდობზე, რომელიც აგებულია ოლიგოცენის თიხებსა და ქვიშაქვებში გადაფარებული დელუვიური თიხებითა და თიხნარებით. მენყრის სიგრძეა 700 მ, სიგანე – 120 მ, სიმაღლე – 3-5 მ, ფართობი – 8.4 ჰა.

ლიბანი – კურორტი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ტბის თემის საკრებულოში მდებარეობს ბორჯომ-ბაკურიანის რკინისგზის გასწვრივ, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, ზ.დ. 1320-1390 მ სიმაღლეზე. მიდამოები შემოსილია წიწვოვანი ტყეებით (ნაძვი, ფიჭვი, სოჭი). კლიმატი საშუალო მთის ტიპისაა. ზამთარი ზომიერად რბილი იანვრის საშუალო ტემპერატურა – -4.5°C) და თოვლიანია, ზაფხული – ზომიერად თბილი (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა – +16.2°C). ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობაა 625 მმ. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია სასარგებლო ჰავა და მინერალური წყალი. მოსახლეობის რიცხოვნობა 53 (2002).

ლიბანი – მთა თრიალეთის ქედზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

ლიბანი – მინერალური წყაროები ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება ნახშირმჟავა ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია – 3.5-4.5 გ/ლ. შეიცავს 150 მგ/ლ-მდე კაჟის მჟავასა და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს – დარიშხანი და ფოსფორი. წყლის დღე-ღამის დებიტია 20 ათ. ლ.

ლიბანი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ტბის თემში, მდ. ბორჯომულას (მტკვრის მარჯვენა შენაკადი), ზ.დ. 1320-1390 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 11 კმ მანძილზე, კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 53. მათი უმრავლესობა (87 %) ქართველია (2002).

ლიკანი – მინერალური წყალი მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ლიკანთან. მიეკუთვნება ნახშირმჟავა მინერალური ტიპის წყლებს. ქიმიური შემადგენლობით მსგავსია ბორჯომის მინერალური წყლისა, საერთო მინერალიზაცია – 5.8 გ/ლ, დღეღამური დებიტია 20-25 ათ. ლ.

ლიკანი – ყოფილი სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში. 1871 წ. რუსეთის მეფისნაცვალმა, კავკასიის მთავარმართებელმა, დიდმა მთავარმა მიხეილ რომანოვმა ლიკანში საზაფხულო სასახლე ააგო. ამჟამად ლიკანი შედის ბორჯომის ფარგლებში.

ლიკანის სამონასტრო კომპლექსი – სამონასტრო კომპლექსი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლიკანში, მდ. ლიკანისხევის ნაპირას. მასში შედის: ტაძარი და სამრეკლო (XV-XVI სს.). ტაძარი (IX-X სს.) ერთნავიანი ნაგებობაა, ნაგებია კვადრატული კლდის ქვებითა და დულაბით. შიგ შელესილი ყოფილა. მხატვრობა არ ეტყობა. სამრეკლო გუმბათისებრი მრგვალი ფორმისაა, ნაგებია თლილი ქვით და გარშემო შემკულია სადა, გეომეტრიული არშიით.

ლიკანისხევი – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადი.

ლიკანის ჰიდროლოგიური სადგური – მდ. მტკვარიაუზის ფართობი – 10.500 კმ², აბსოლუტური სიმაღლე – 792 მ, დაკვირვების წლები – 1932-2015.

ლიჩელის დარბაზი – მესხური დარბაზი ქ. ახალციხეში.

ლოდობანას ტერასები – ტერასები ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. ურავლის ხეობაში, ელიას მთის აღმოსავლეთ ფერდობის გაყოლებაზე – "დანყობილი ყანები".

ლომათაურის არხი – გაიყვანეს მდ. კორხიდან 1952 წელს. წყლის ხარჯია 0.95 მ³/წმ, სარწყავი ფართობი – 1599 ჰა.

ლომატურციხი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, აზავრეთის საკრებულოში, ახალქალაქის პლატოს ჩრდილოეთ ნაწილში, ზ.დ. 1730-1765 მ სიმაღლეზე, ახალქალაქ-ბორჯომის საავტომობილო გზაზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 522, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002).

ლომისმთა – მთა აჭარა-იმერეთის ქედზე, ბორჯომისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების საზღვარზე.

ლომსია – ქ. ახალციხის ძველი სახელწოდება.

ლურჯა – იხ. ხრამული.

ლურჯი ტბა – ტბა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, აბულ-სამსრის ქედზე, დიდი აბულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე.



ლიკანი ძველად, ერეკლესის ფოტო
ფოტო: თსუ გეოგრაფიის მუზეუმი

მ

მადა, მადათაფა, ისკუნდრიეს ტბა – ტბა ჯავახეთის ზეგნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ზ.დ. 2108 მ სიმაღლეზე. სარკის ფართობია 8.78 კმ², აუზის ფართობი – 136 კმ², უდიდესი სიღრმე – 1.7 მ, წყლის მოცულობა – 9.7 მლნ მ³. ტბის ქვაბული წარმოიქმნა ვულკანური ლავური ნაკადით მდინარის ხეობის გადაკეცივით. ტბიდან გაედინება მდ. მადათაფა. მასში ჩაედინება მცირე სიგრძის დროებითი ნაკადები, რომლებიც საზრდოობენ თოვლის ნადნობი და ზედაპირული წყლებით. მათ შორის უდიდესია კიურინჩაი, რომელიც ტბას აღმოსავლეთის მხრიდან ერთვის. დროებით ნაკადებს, რომლებიც ტბაში დასავლეთის მხრიდან ჩაედინება, დიდი რაოდენობით ჩააქვთ ნატანი. ტბის ფსკერზე დალექილი მასალა კი ამცირებს ტბის სიღრმეს და ზრდის წყალმცენარეების რაოდენობას. უკანასკნელ წლებში შეინიშნება წყლის დონის დაცემა, ტბის ირგვლივ დაჭაობებული ადგილების გაჩენა, განსაკუთრებით მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ტბების მიმდებარე ტერიტორიები გამოიყენება საძოვრებად, რომელიც თავის მხრივ, აუარესებს ტბის წყლის ხარისხს. 1990-იან წლებში, პირუტყვის სულადობის შემცირების გამო, შემცირდა წყლის აზოტით დაბინძურება. ზამთარში (შუა ნოემბრიდან მაისამდე) წყალი იყინება თითქმის ფსკერამდე. წყალი სუსტად მინერალიზებულია. ტბაში მცირეა თევზი. ადგილობრივი სახეობები უმთვრესად კარჩხანამ (კარასი, *Carassius carassius*) შეცვალა, რომელიც ფრინველებისათვის ძირითადი საკვებია. ზაფხულობით მრავლადაა წყლის ფრინველები.

მადათაფის მიწისძვრა – მიწისძვრა 1959 წლის 8 დეკემბერს. სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო 7-8-ბალიანი მიწისძვრა, ეპიცენტრით ცხრანყაროს უღელტეხილის სიახლოვეს (41.2°N; 43.86°E, M= 5.4).

მადათაფას ნაციხარი – ნაციხარი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, მადათაფის ტბის სიახლოვეს.

მადათაფის ტბის ალკვეთილი – ალკვეთილი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. ფართობია 320 ჰა. დაარსდა 2011 წელს. ზაფხულში ტბის წყლის ტემპერატურაა 17-18°C. ზამთარში თითქმის ფსკერამდე იყინება.

მამზგარა, მამწვარა, მამზარა – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, კარნახის ტბის ჩრდილოეთით, მდ. ფარავნის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1800-1840 მ სიმაღლეზე, ქ. ნინოწმინდიდან 13 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 782, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები (ჟამინ ტელი). სოფლის სიახლოვეს სურფ სარქისია, ადრე აქ იდგა ქართული ეკლესია.

მამულო – ვაშლის მესხური ჯიში. ფართოდაა გავრცელებული მესხეთში, განსაკუთრებით ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მაღალტანიანია, სრულ მსხმოიარობაში შედის მე-7-9 წელს. უხვმოსავლიანია, სრულ მსხმოიარობაში შეიძლება 400 კგ მოსავლის მიღება. ნაყოფი საშუალო ზომისაა, მუქი წითელი, მომრგვალო, თხელკანიანი, მცირელაქებით. ტკბილი, წვნიანი და არომატულია. ნაკლებად ტრანსპორტაბელურია. გამძლეა მავნებლების მიმართ.

მარაბდა-კარნახის სარკინიგზო ხაზი – იხ. „რკინის აბრეშუმის გზა“.

მარიამწმინდა – იხ. ქვაბისხევის წმინდა მარიამის მიძინების ეკლესია.

მარნისყანები – ადგილი სოფ. მუსხთან (ახალციხის მუნიციპალიტეტი).

მარნისხევი – ადგილი სოფ. ანდრიაწმინდასთან (ახალციხის მუნიციპალიტეტი).

მარდისუბანი – ქ. ახალციხის უბანი.

მარტუნი, მარდუნი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ხოსპიოს თემში, ახალქალაქის პლატოს დასავლეთ ნაწილში, ზ.დ. 1700-1740 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან სამხრეთით 5 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. სახელწოდება წარმოიშვა 1828-1829 წლების შემდეგ, რაც სამცხე-ჯავახეთში დასახლდა თურქეთიდან გადმოსახლებული სომეხი მოსახლეობა.

მასაგეტოვის თავყვითელა (Senecio Massagetovii) – მრავალწლოვანი ბალახი, მესამეული ფლორის იშვიათი რელიქტი, საქართველოს ენდემური სახეობა. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება ბორჯომის ხეობაში, სამცხეში – სოფ. ბოლაჯურთან და თეთრობის ქედზე. საქართველოს წითელ წიგნში შესულია როგორც იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობა.



მაღალი ვულკანური პლატოს ლანდშაფტი სტეპისა და

მდელო-სტეპის მცენარეულობით (კავკასიის ლანდშაფტური

რუკის მიხედვით – ლანდშაფტის გვარი N 119) – გავრცელებულია ჯავახეთის ზეგანზე, ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, ზ.დ. 1700-1800 – 2300-2500 (2600) მ სიმაღლით დიაპაზონში. კლიმატი ზომიერი,

გრილ კონტინენტურში გარდამავალია. მზის ნათების ხანგრძლივობაა 2300-2400 სთ, ჯამური რადიაცია – 140-150 კკალ/სმ², რადიაციული ბალანსი – 60 კკალ/სმ², ალბედო – 25 %; აორთქლება – 500 მმ წლიურად, ქარის საშუალო სიჩქარე – 2-4 მ/წმ. გაბატონებულია შავმიწა ნიადაგები. დამახასიათებელია მთის ტიპები, ფრიგანა, შიბლიაკი და ზოგან მთის ნახევრად უდაბნოები. დამახასიათებელია მრავალწლიანი ბალახები და ბუჩქნარები (უმთავრესად ფრიგანა). ვაკისა და მთისწინეთის ეკოსისტემებთან შედარებით უფრო მრავალფეროვანია. ყველაზე ფართოდაა გავრცელებულია ვაცინვერიანი და წივანიანი მცენარეულობა (ვაცინვერა, ქუჩი, წივანა, თივაქასრა). სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით იგი თანდათან კიდევ უფრო მეტად იძენს ქსეროფილურ იერს და გაბატონებულ მდგომარეობას იჭერს ტრაგაკანტული სტეპები. ფიტომასების საშუალო რაოდენობაა 9 ტ/ჰა. მისი ვარიაციის ინტერვალი – 5-25 ტ/ჰა ფიტომასების მარაგი 0.12 მლნ ტ (საქართველოს ფიტომასების საერთო მარაგის 0.01 %). უმთავრესად გამოიყენება საძოვრებად. ნაწილობრივ უკავია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს (მარცვლოვნები, ბოსტნეული კულტურები, კარტოფილი). ტერიტორიის ანთროპოგენური ტრანსფორმაციის ხარისხია 89 %.

მაღალი მთის ალპური ბუჩქნარ-მდელოს ლანდშაფტები – ლანდშაფტის ტიპი (კავკასიის ლანდშაფტური რუკის მიხედვით), რომელიც სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია არსიანის, აჭარა-იმერეთის, ერუშეთის, ნიალისყურის ქედების მაღალმთიან ზონაში, ზ.დ. 2200 – 2700 მ სიმაღლით დიაპაზონში. წარმოდგენილია ლანდშაფტების 2 გვართ – მაღალი მთის დენუდაციურ-პალეოგლაციალური ლანდშაფტი ალპური მდელოებით, ხშირად დეკიანებთან კომპლექსში (კავკასიის ლანდშაფტური რუკის მიხედვით ლანდშაფტი N 144) და მაღალი მთის ვულკანური ლანდშაფტი ალპური მდელოებით (ლანდშაფტი N 148).



მაღალი მთის დენუდაციური და პალეოგლაციალური ლანდშაფტი სუბალპური მდელოებითა და მეჩხერი ტყეებით (კავკასიის ლანდშაფტური რუკის მიხედვით – ლანდშაფტის გვარი N 141) – სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ კალთებზე, ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ზ.დ. 2400 (2500) მ-ის ზემოთ. კლიმატი ზომიერად ცივი ჰუმიდური, სუსტად კონტინენტურია. ჯამური რადიაციაა 150 კკალ/სმ², რადიაციული ბალანსი – 30 კკალ/სმ², ალბედო – 50 %, აორთქლება – 70 მმ წლიურად, ქარის საშუალო სიჩქარე – 2-4 მ/წმ. მდინარეთა საშუალო წლიური ჩამონადენია 10-15 ლ/წმ 1 კმ²-დან. ნიადაგებიდან გაბატონებულიამთა-ტყე-მდელოს კორდიანი, არადიფერენცირებული, მცირე სიმძლავრის პროფილით – 50-80 სმ, კარგად გამოხატული საშუალო ამ მცირე ჰუმუსირებით (10-20 სმ-მდე) – 5-10%; თიხნარი და მსუბუქი თიხა მექანიკური შედგენილობით. მცენარეული საფარი წარმოდგენილია სუბალპური მდელოებით (ცალკეული ხემცენარეების, ბუჩქებისა და მდელოების სახით). ზოგიერთ ღრმა ხეობაში შემორჩენილია ფიჭვნარი და არყნარი ტყეები, თუმცა ძლიერ შეზღუდული გავრცელებისაა. ფიტომასების საშუალო რაოდენობაა 20-25 ტ/ჰა. მცირეა ტერიტორიის ანთროპოგენური ტრანსფორმაციის ხარისხი.

მაღალი მთის დენუდაციური ლანდშაფტი სუბალპური მდელოების, ბუჩქნარებისა და მეჩხერი ტყეების კომპლექსით (კავკასიის ლანდშაფტური რუკის მიხედვით – ლანდშაფტის გვარი N 138) – სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ასპინძის, ახალქალაქის, ბორჯომის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, ზ.დ. 1450 – 1800 მ სიმაღლით დიაპაზონში.



კლიმატი ზომიერად ცივი ჰუმიდური, სუსტად კონტინენტურია. ჯამური რადიაციაა 150 კკალ/სმ²-ზე მეტი, რადიაციული ბალანსი – 45 კკალ/სმ², ალბედო – 40 %, აორთქლება – 370 მმ წლიურად, ქარის საშუალო სიჩქარე – 4-6 მ/წმ. მდიდარია წყაროებით, განსაკუთრებით ვულკანოგენურ-დანალექი წყებები. საშუალო წლიური ჩამონადენი – 10-15 ლ/წმ 1 კმ²-დან. ნიადაგებიდან გაბატონებულია მთა-მდელოს კორდიანი, რომელიც ხასიათდება არადიფერენცირებული, მცირე ან საშუალო სიმძლავრის პროფილით, საშუალოდ 70-80 სმ სიღრმით, ღრმა ჰუმუსირებით (20-30 სმ), ჰუმუსის რაოდენობაა 8-12%. მცენარეული საფარი წარმოდგენილია გასტეპებული მდელოებით, სადაც აქა-იქ ჩანინკლულია წყალ-ჭაობის მცენარეულობა და ტყის მცირე ნაშთები. არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ ამ ტერიტორიაზე ადრე გავრცელებულ ტყეებში მონანილეობდა არყის ხე, მაღალი მთის ნეკერჩხალი, ცირცელი, ტირიფი, ნიფელი, სოჭი, ფიჭვი, მუხა. ფიტომასების საშუალო რაოდენობაა 15-20 ტ/ჰა, მაგრამ ეს მაჩვენებელი დიდ ფარგლებში მერყეობს (10-75 ტ/ჰა).

მაღალი მთის ვულკანური ლანდშაფტი (კავკასიის ლანდშაფტური რუკის მიხედვით – ლანდშაფტის გვარი N 151) – გავრცელებულია სამცხე-ჯავახეთში სამხრეთ საქართველოს ზეგნის მაღალ მწვერვალებზე ფრაგმენტების სახით, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, ზ.დ. 3500 მ-ს ზემოთ. წარმოდგენილია ვულკანური კონუსებითა და ლავური პლატოებით. უხვადაა კლდოვანი გაშიშვლებები, „ქვის მდინარეები“ და „ქვის ზვავები“ – კარკნალები. მოკლებულია ერთიან ნიადაგ-მცენარეულ საფარს. ფრაგმენტებად გვხვდება ლიქენები და ხავსები.

მაღალი მთის ვულკანური ლანდშაფტი ალპური მდელოებით (კავკასიის ლანდშაფტური რუკის მიხედვით – ლანდშაფტის გვარი N 148) – სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია ჯავახეთის ზეგანზე და მოიცავს ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ტერიტო-

რიებს, ზ.დ. 2700 (2800) – 3200 (3300) მ სიმაღლით დიაპაზონში. კლიმატი ცივი ჰუმიდური, სუსტად კონტინენტურია. მზის ნათების ხანგრძლივობაა 2200-2300 სთ, ჯამური რადიაცია – 150 კკალ/სმ²-ზე მეტი რადიაციული ბალანსი – 30 კკალ/სმ², ალბედო – 55 %, აორთქლება – 350 მმ წლიურად, ქარის საშუალო სიჩქარე – 6 მ/წმ-ზე მეტი. მდინარეთა საშუალო წლიური ჩამონადენია 10-15 ლ/წმ 1 კმ²-დან. ნიადაგებიდან გაბატონებულია მთა-მდელოს შავმიწისებრი, მცირე ან საშუალო სიმძლავრის – 70-80 სმ-ის, ღრმა ჰუმუსირებით (20-30 სმ). ჰუმუსის რაოდენობაა 8-12%. მცენარეული საფარი წარმოდგენილია ალპური მდელოებითა და მდელო-სტეპებით.



მაღალი მთის ვულკანური ლანდშაფტი სუბალპური მდელოებისა და მდელო-სტეპის (კავკასიის ლანდშაფტური რუკის მიხედვით – ლანდშაფტის გვარი N 139) – გავრცელებულია ჯავახეთის ზეგნის მაღალ ადგილებში. სამცხე-ჯავახეთში გადაჭიმულია არსიანის, ერუშეთის, ნიალისყურის, აბულ-სამსრისა და ჯავახეთის ქედებზე. მოიცავს ადიგენის, ახალციხის, ასპინძის,

ახალქალაქის, ნინოწმინდის, ბორჯომის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებს, ზ.დ. 1700 (2000) – 1900 (2000) მ სიმაღლით დიაპაზონში. კლიმატი ზომიერად ცივი ჰუმიდური (სემიჰუმიდურობის ნიშნებით), სუსტად კონტინენტურია. მზის ნათების ხანგრძლივობაა 2400-2500 სთ, ჯამური რადიაცია – 150 კკალ/სმ², რადიაციული ბალანსი – 45 კკალ/სმ², ალბედო – 40 %; აორთქლება – 360 მმ წლიურად, ქარის საშუალო სიჩქარე – 4-6 მ/წმ. მდინარეთა საშუალო წლიური ჩამონადენია 10-15 ლ/წმ 1 კმ²-დან. ნიადაგებიდან გაბატონებულია მთა-მდელოს შავმიწისებრი, არადიფერენცირებული, მცირე ან საშუალო სიმძლავრის პროფილით, 70-80 სმ სიღრმით, ღრმა ჰუმუსირებით (20-30 სმ, ზოგან 30-35 სმ), ჰუმუსის რაოდენობა – 8-12%. მცენარეული საფარი წარმოდგენილია სუბალპური მდელოებითა და მდელო-სტეპებით. ფიტომასების საშუალო რაოდენობაა 15-20 ტ/ჰა, მაგრამ ეს მაჩვენებელი დიდ ფარგლებში მერყეობს (10-30). ტერიტორიის ანთროპოგენური ცვლილების ხარისხი მცირეა.

მაღალმთის ზომიერად ნოტიო კლიმატური რაიონი ნამდვილ ზაფხულს მოკლებული – მოიცავს საქართველოს სამხრეთ მთიანეთის ქედებს 2800-2900 მ-ს ზემოთ. იანვრის და თებერვლის საშუალო ტემპერატურა -11-14°C-ის ფარგლებში მერყეობს, ივლის-აგვისტოსი – +10°C-ზე დაბალია. ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი -30°C-მდე და უფრო დაბლა ეცემა. ზაფხულის თვეებშიც აბსოლუტური მინიმუმი – -5°C-ზე დაბალია. წლის განმავლობაში გაბატონებულია დასავლეთის ქარი. ხშირია ძლიერი ქარი. მდგრადი თოვლის საბურველის ხანგრძლივობა 7-10 თვეს უდრის. აქა-იქ მოფარებულ და ჩალრმავებულ ადგილებში წარჩენი თოვლი ზაფხულშიც დევს.



მაღალი მთის მდელოს ლანდშაფტები – ლანდშაფტის ტიპი (კავკასიის ლანდშაფტური რუკის მიხედვით), რომელიც გავრცელებულია მაღალი მთის ზოლში, ზ.დ. 1800 (2000) – 2200 (2400) მ სიმაღლით დიაპაზონში. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება არსიანის, აჭარა-იმერეთის, ერუშეთის, ნიალისყურისა და ჯავახეთის ქედების მაღალმთიანეთში და წარმოდგენილია ლანდშაფტების 3 გვარით – მაღალი მთის დენუდაციური და პალეოგლაციალური ლანდშაფტი მაღალბალახოვანი და ხშირბალახოვანი მდელოების კომპლექსით, ბუჩქნარებითა და ტანბრეცილი ტყეებით (ნიფლისა

და არყის ხის) (კავკასიის ლანდშაფტური რუკის მიხედვით ლანდშაფტი N 135), მაღალი მთის დენუდაციური ლანდშაფტი სუბალპური მდელოების, ბუჩქნარებისა და მეჩხერი ტყეების კომპლექსით (ლანდშაფტი N 138) და მაღალი მთის ვულკანური ლანდშაფტი სუბალპური მდელოებისა და მდელოსტეპის (ლანდშაფტი N 139).

მაღალი მთის სუბნივალური – ლანდშაფტის ტიპის (კავკასიის ლანდშაფტური რუკის მიხედვით) ფრაგმენტულად გავრცელებულია აბულ-სამსრისა და ჯავახეთის ქედებზე, ზ.დ. 3000 მ-ზე ზემოთ და წარმოდგენილია ლანდშაფტის ერთადერთი გვარით – მაღალი მთის ვულკანური ლანდშაფტი. კარგად აქვს შენარჩუნებული პირვანდელი ბუნებრივი სახე.

მაღალმთის მუხა, აღმოსავლური მუხა (Quercus macranthera) – 20-25 მ სიმაღლის მაგარმეჭრნიანი ხე, წინა აზია-კავკასიის უძველესი სახეობა. გვალვა და ყინვაგამძლეა. გვხვდება საქართველოს თითქმის ყველა მაღალმთიან რაიონში ტყის შუა და ზედა სარტყელში, ზ.დ. 900-2400 მ სიმაღლით დიაპაზონში, სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობებზე. ქმნის მეჩხერ პარკულ ტყეებს არყის ხის, მაღალმთის ნეკერჩხლის, პანტისა და ცირცელის მონანილეობით.

„მაღალჯვარი“, „ღვთისმშობელი“ – ნაგებობათა ნანგრევი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. გუჯარეთისწყლის ხეობაში. ეკლესია ნაგებია ქვიტკირით. 1920 წელს ძლიერ დააზიანა გორის მიწისძვრამ.

მაღაროსხევი – მდინარე ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ერთვის შავ ტბას.

მაჩქათელა (Barbastella barbastellus) – ხელფრთიანი ღამურისებრთა ოჯახიდან. სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია ბორჯომის მიდამოებში. ბინადრობს გამოქვაბულებში, სარდაფებში. იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგარი სახეობაა. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი სახეობა, რომლებსაც ჯერჯერობით არ ემუქრება გადაშენება, მაგრამ იმდენად მცირეა რაოდენობით ან იმდენად მცირე ტერიტორიაზე გვხვდება, რომ შესაძლებელია სწრაფად გადაშენდნენ.



მაჩქათელა

მანახეთის ეკლესია – ეკლესია (განვით. შუა სს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში.

მაჭარწყალი – სამაროვანი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, გვიან ბრინჯაოს-ადრე რკინის ხანა.

მაჭარწყალი, მაჭარისწყალი – მინერალური წყალი ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია – 8 გ/ლ.

მაჭარწყალი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, გვერდისუბნის თემში, მდ. გუჯარეთისწყლის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1420-1500 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 29 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 6, რიცხობრივად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002). სოფელზე გადიოდა საზღვარი მებატონე ციციშვილებისა და დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის სამფლობელოებს შორის. როგორც ფიქრობენ, მაჭარწყალი უნდა იყოს ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე აღნიშნული „წყაროსუბანი“. სახელი შესაძლებელია აქ არსებული მჟავე წყლის გამო შეერქვა.

მაჭარწყალის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია – ეკლესია ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. მაჭარწყალში. ნაგებია ქვითკირით. შემორჩენილია ნანგრევები და წარწერის ფრაგმენტი იკითხება: „ქ ე ნიკოლოზ“.



კარტოფილის ნარგავები სოფ. მაჭათიასთან

მაჭათია – მთა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სამსრის ქედის დასავლეთ ფერდობზე.

მაჭათია – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, არაგვის თემის საკრებულოში, ახალქალაქის პლატოს ცენტრალურ ნაწილში, ზ.დ. 1690-1740 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 7 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1533, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002).

მაჭათიას ეკლესია – დარბაზული ეკლესია (X ს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

მახარონი, მახაროვანი – ნასოფლარი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ფარავნის ტბის სიახლოვეს, მის სამხრეთ-დასავლეთით, სოფ. ვლადიმეროვკასთან.



მკაჭდავი ტიპობრაფი

„მახვილოს ციხე“ – ციხე (განვ. შუა სს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში, დაბა აბასთუმნის სიახლოვეს, ადიგენიდან 4 კმ მანძილზე.

მაჯალვერი – იხ. ნიბა.

მბეჭდავი ქერქიჭამია, ტიპოგრაფი (*Ipstypographus L.*) ნაძვის მავნებელი, რომელიც გავრცელებულია ბორჯომის ხეობაში. განსაკუთრებით დიდი მავნებელია და ძლიერ აზიანებს ტყეებს. მის წინააღმდეგ იყენებენ ბიოპრეპარატს – ფერომონს.

მდელოს ალუვიური კარბონატული ნიადაგები – იხ. ალუვიური ნიადაგები.

მდელოს უკარბონატო ალუვიური ნიადაგები – იც. ალუვიური ნიადაგები.

მდელოს ყავისფერი ნიადაგები (Cambisols Chromic)

– ნიადაგის ტიპი, გავრცელებული ტყე-სტეპის ზონაში, ფორმირდება რელიეფის დეპრესიულ ფორმებზე გადიდებული გრუნტოვანი და ზედაპირული დატენიანების პირობებში. ხასიათდება სუსტად დიფერენცირებული პროფილით, ტყის ყავისფერ ნიადაგებთან შედარებით, უფრო მძლავრი პროფილით. შედარებით უფრო მშრალ პირობებში ატარებს ნაბლა ნიადაგების მსგავს ნიშნებს.



მედგარი (Pulsatilla violacea) – მრავალწლოვანი ბალახი, სამკურნალო, დეკორატიული, იშვიათი მცენარე, კავკასიის ენდემი. ყვავილობს აპრილ-მაისში, თესლები მწიფდება მაის-ივნისში. მცენარის სიმაღლეა 0.25 მ. კარგად იზრდება დრენირებულ ნიადაგებზე. ვერ იტანს დაჩრდილვას. ტოლერანტულია გვალვის მიმართ. შეიცავს გლიკოზიდ რანუნკულინს. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში. საფრთხის წინაშეა გაძოვების, ჰაბიტატის დეგრადაციისა და კომერციული მიზნით შეგროვების გამო.



მედგარი
ფოტო „ელკანა“

მეიდანის – იხ. უდე.

მევენახეობა სამცხე-ჯავახეთში – მეურნეობის დარგი სამცხე-ჯავახეთში. მევენახეობის აქ გავრცელებაზე წერდა ჯერ ბიზანტიელი ჟამთაღმწერელი პროკოფი კესარიელი (VI ს.): *„მესხები შრომის მოყვარენი არიან, მათ ბევრი ვენახები აქვთ და თავიანთი ღვინო მიაქვთ სხვადასხვა ქვეყნებში გასაყიდად“*. რელიგიის შეცვლამ გამოიწვია დამკვიდრებული ცხოვრების წესის შეცვლა და თითქმის გადაშენებამდე მივიდა ვაზის მოყვანის ტრადიცია. ალ. ფრონელი წერდა: *„როგორც მესხმა ოსმალოს გავლენის წყალობით ბევრი ფერი და იერი იცვალა, ისევე შეიცვალა გარეგანი სახე ქვეყნისა. სანაქებო ვენახები სულ ამოვარდნილა და გადაშენებულა. მინაში ჩაფლული ქვევრები და ქვიტკირის საწნახლებილა მონშობენ, რომ აქაურ ქართველობასაც ჰყვარებია ძველად, დანარჩენ ქართველებსავით, კამკამა „ნუნუათი“ ყელის ჩასველება“*. ამის შესახებ წერდა ივ. ჯავახიშვილიც: *„მესხეთში მევენახეობა ყველგან იყო, სადაც ბუნების პირობები სასოფლო მეურნეობის ამ დარგის არსებობას შესაძლებლად ხდიდა... ქართველ მაჰმადიანთ მესხეთიდან აყრამა და ოსმალეთში გადასახლება მევენახეობა აქ ზოგან სრულებით მოსპო, ზოგან ძალზე შეამცირა. ძველი მესხეთის მიმკვდარებული მევენახეობის აჩრდილილაა ეხლა ს. საროსა და ხიზაბავრაში“*. სამცხის ტერიტორიაზე, თითო-ოროლა ადგილას დღესაც არის შემორჩენილი რამდენიმე ძირი ვაზი, რომლის სახელს ვერც ასახელებენ ადგილობრივები. ღვინოს კი ძალიან ცოტა აყენებს ოჯახში, ისიც მცირე რაოდენობით.

იხ. ტერასული მინათმოქმედება სამცხე-ჯავახეთში.

მეთევზეობა სამცხე-ჯავახეთში – მეურნეობის დარგი სამცხე-ჯავახეთში. მხარის ბუნებრივმა პირობებმა, ვერტიკალურმა ზონალობამ და დიდი წყალსატევების არსებობამ განაპირობეს, ფაუნისტური თვალსაზრისით, აქაური წყალსატევების სიმრავლე. ამან კი, თავის მხრივ, შექმნა შესაძლებლობა, რომ აქ ოდითგანვე განვითარებულიყო მეთევზეობა. როგორც მეურნეობის დარგს, მას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მხარის სამეურნეო ცხოვრებაში. ტრადიციულად, ცხადია, მეთევზეობა ბუნებრივი წყალსატევების გამოყენებით ხდებოდა, თუმცა წარსულში ასევე ტბორულ მეთევზეობასაც მისდევდნენ. ტბებში თევზის სიმრავლეზე მრავალი ისტორიული დოკუმენტი მეტყველებს. შემორჩენილია ცნობები, რომ მწყემსები წმინდა წინოს თევზით უმასპინძლებოდნენ. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ კი გვამცნობს, რომ ადილობრივებს შეწერილი ჰქონდათ გადასახადი თევზზე, ე.ი. თევზს სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა იმ პერიოდში. ამასვე წერს თ. ჩიქოვანიც: *„XIX ს. 70-იანი წლების ფაქტიური მონაცემებით თორის, სამცხისა და ჯავახეთის წყალსატევებში წლიურად იჭერდნენ 700 ფუთ კალმახს და 200 ფუთ ხრამულს, მურნას და ლოქოს. ამჟამად ჩვენთვის ცნობილი არაა თუ რა რაოდენობით იჭერენ თევზს თანამედროვე ზემო ქართლში. მაგრამ ერთი კი ცხადია: კალმახის (ტაბანყურის ვარდა), ხრამულის, მურნას და ლოქოს რენვა,*

გარკვეული მიზეზების გამო უკვე დიდი ხანია რაც აღარ მიმდინარეობს“. უკვე 1980-იან წლებში, იგივე ავტორის ცნობით, დასახელებული თევზები მცირე რაოდენობა დღესაც ბინადრობსო, ხოლო „რაც შეეხება ორაგულსა და ლოქოს, მათი ხსენება უკვე დიდი ხანია გაქრა. ჯერ ზაჭვისის, შემდეგ ჩითახვის კაშხლებმა და უღმერთოდ გამრავლებულმა ბრაკონიერებმა ბოლო მოუღეს ორაგულსა და ლოქოს“. ავტორის აზრით „ნარსულში მეთევზეობა შემოსავლის წყაროს როდი წარმოადგენდა. იგი გასართობი საშუალება იყო. თევზს, რასაკვირველია, იჭერდნენ, მაგრამ არა იმდენად გასასყიდად, რამდენადაც საკუთარი მოხმარებისათვის“. ტრადიციული ბუნებათსარგებლობის ის ფორმა, რომელიც ნარსულში იყო ამ რესურსის თვითაღდგენისა და რეპროდუქციის უნარს უნარჩუნებდა: „ნარსულში თევზს მხოლოდ იმ დროს იჭერდნენ, როცა იგი არ „ქვირითდებოდა“... ეს პერიოდი (თევზჭერის) კი შემოდგომა-ზამთარ-გაზაფხულზე მოდიოდა... თევზს იჭერდნენ სასროლი ბადით, ფაცურით, ოჩხით, კოკოზა კოდრით, ჩანგლით, ხელაობით და ტოტის დანყვეტით“. სამეურნეო თვალსაზრისით განსაკუთრებით ღირებული იყო ტბები: ფარავანი, კარნახი, ტაბანყური და სალამო, რომლის თევზის პროდუქტიულობა საკმაოდ მაღალი იყო. მაგრამ ჭარბმა თევჭერამ და უფრო მეტად, წყლის დაბინძურებამ უარყოფითად იმოქმედა იხტოფაუნაზე. ამიტომ ამჟამად ამ რესურსის მარაგი მნიშვნელოვნადაა შემცირებული. ზოგიერთმა თევზის სახეობა, რომელიც 1950-იან წლებამდე სარწაო ღირებულების იყო, დაკარგა ეს მნიშვნელობა ჯერ კიდევ 1970-იან წლებამდე. იხ. – თევზის აკლიმატიზაცია სამცხე-ჯავახეთში.

მელიკუდა, მელიკუდი, მუშკამბალი, პარტალა, ფართალა, ჭვარტალა

– მესხური ვაზის ჯიში, საღვინე, საგვიანო სიმწიფის პერიოდის. ფოთოლი მომრგვალო და ხუთნაკვთიანია, დიდი ზომის: 16-18 სმ, ზედაპირი ბადისებრად დანაოჭებული, ქვედა მხარე სუსტად შებუსული. მტევანი დიდია: 18-X22 სმ, კონუსური ფორმის. მარცვალი მომწვანო-მოთეთრი, დიდი ზომის, ოვალური ან მომრგვალო. რბილობი წვნიან-ხორციანი, მცირედ კნატუნა. ყურძნის წვენი შაქრიანობაა 16.5-18.5 %, მჟავიანობა – 6.5-8 გრ/ლ, მოსავლიანობა – 11-13 ტ/ჰა. სოკოვანი დაავადებების მიმართ მგრძნობიარეა. სასიამოვნო არომატის ყურძენია, ჯიშური არომატი არ იგრძნობა. ნარსულში ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელით.



მელიკუდა
ფოტო: დავით მალრაძე

მელიქაური – იხ. ნიბა.

მელნისის ციხე – ციხე (განვით. შუა სს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში, დაბა აბასთუმნის ჩრდილო-დასავლეთით 4 კმ მანძილზე.

მემინდვრეობა სამცხე-ჯავახეთში – მეურნეობის დარგი სამცხე-ჯავახეთში, რომლის ამოცანებია უმთავრესად ერთწლიანი აგრეთვე საკვები, საბოსტნე და ბალჩეული კულტურების წარმოება. ოდითგანვე დანიშნულებული დარგი იყო სამცხე-ჯავახეთში. აქ მოყვავდათ: ასლი, დიკა, დოლის პური, თავთუხი, მუხუდო, სიმინდი, სელი, ფეტვი, ქერი, შვრია, ცერცვი, ჭვავი, ხორბალი და სხვ. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, მოსახლეობას შეწერილი ჰქონდა ქერსა და ხორბალზე გადასახადი. ჯავახეთში მოყვანილი ხორბლით მარაგდებოდა საქართველო, ამიტომაც უწოდეს მას „საქართველოს პურის ბელელი“. მემინდვრეობის ნარსულში განვითარებაზე მრავალი ტოპონიმი მიგვანიშნებს: ნადიკვარი, ნაკალვარი, ნასოპარი, ნაპურალი, ნასელარი, ნაცერცვალი და სხვ.



სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ადიგენის მუნიციპალიტეტი

მერენია, მერონია – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ბარალეთის თემში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. მელრუკისწყლის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1685-1740 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 18 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა მუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1091, მათი უმეტესობა (99 %) სომეხია (2002). 1899 წელს სოფელი თითქმის მთლიანად დაინგრა მიწისძვრისაგან. XX საუკუნის შუა წლებში აქ გააშენეს ხელოვნური ფიჭვნარები. ამ ადგილს მერენიის ტყე უწოდეს. „მერე“ ძველ ქართულში ნიშნავდა ვაკე, სწორ ადგილს.

მერენიის ტყე – XIX საუკუნეში ხელოვნურად გაშენებული ფიჭვნარები ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფლების – აზავრეთის, აფნიისა და ჭობარეთის მიდამოებში.

მესაქონლეობა სამცხე-ჯავახეთში – სოფლის მეურნეობის დარგი, მეცხოველეობის ქვედარგი, რომელიც ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოშენება და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება. ერთ-ერთი ყველაზე კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობის დარგია სამცხე-ჯავახეთში, განსაკუთრებით კი ჯავახეთში. ამის მიზეზი მისი ბუნებრივი პირობებია. ჯავახეთს საძოვრებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მესაქონლეობისათვის. აქაურ საძოვრებს ოდითგანვე იყენებდა ქართლ-კახეთის მოსახლეობა. ამის შესახებ წერდა ალ. ფრონელი: „საქონლის მოშენებას დიდი ხალისით მისდევენ ჯავახნი, რადგან იალაღები საკმარისად მოიპოვება“. ძველად მას აქ ცხვრის ფარა, ცხენის რემა და კამეჩებიც უნახავს. მისი მოწმობით აქ ცხვარი თურმე ფშავლებს, თუშებსა და ქიზიყელებს ამოჰყავდათ: „ხშირი სტუმარნი არიან ნიალისყურისა, სამსარისა და აბულისა. ორ-სამ თვეს რჩება აქ მათი ცხვარი და აგვისტოს გასულს, ან ენკენისთვის ნახევარში უკან ბრუნდება. ათი ათასობით ამოდის შირაქიდან ნიალისყურზე

ხალხური

(ნაწყვეტი)

„მეფეთ მწყემსის ცხოვრება სუყველამ იცის მთა აზის, შვიდი ათასი ცხვარი მყავს, ექვსი ათასი თხა აზის; შვიდასი ძროხა მეწველი, ხარბი-კამეჩი სხვა აზის, მე ესე საჩხო მყეფვის, აზნაურობა ზა აზის!“.

თუშებისა და ფშავლების ცხვარი და მრავალი მწყემსი“. მას შემდეგ კი, რაც ჯავახეთი ოსმალთა ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა, ქართლ-კახეთის მეცხვარეებმა მეზობელ ქვეყნებში დაიწყეს ცხვრის გადარეკვა. შემორჩენილია თქმულება, რომლის მიხედვით ჯავახეთზე გავლისას, ერეკლე მეფეს, ლაშქრის გამოსაკვებად საქონლის ყიდვა გადაუწყვეტია, მაგრამ მეჯოგისაგან უარი მიუღია, არც აზნაურობაზე გაუცვლია თავისი საქონელი, ეს მთა მომცესო – უფიქრია. ერეკლე მეფე მიუხვდა სანადელს და სიგელში ასეთი ჩანაწერი გააკეთებინა; „ჯავახი არას ბრიყვობსო, ეს მთაც მაგისი იყოსო“.

მესხები – ერთ-ერთი უძველესი ქართული ტომი, განსახლებული ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე არიან უმთავრესად ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის ტერიტორიაზე. 300-წლიანი ოსმალური ბატონობის ზეგავლენით მათმა ნაწილმა მიიღო ისლამი, მაგრამ შეინარჩუნა ქართული ენა, ადათ-წესები და ხალხური ფოლკლორი. ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებთ მათ: „... თუმცა რამდენიმე საუკუნეა გავლილი მას შემდეგ, რაც მესხნი საქართველოს განშორებულნი იყვნენ, მაგრამ აქამდე ისინი თითქმის არ განსხვავდებიან ქართველებისაგან არც ხასიათით, არც ზნეობითა და ჩვეულებით და არც შინაური ყოფა-ცხოვრებით... საზოგადოდ ხალხი მეტად შრომის მოყვარულია... ოჯახობა და სახლ-კარი ლაზათიანად და ფაქიზად აქვთ მოწყობილი. უცხო კაცს უკვირს და მოსწონს იმათი სიფაქიზე და სისუფთავე... კეთილს ცხოვრებას აქ უფრო შეჩვეულია ხალხი, ვიდრე საქართველოს სხვა ნაწილებში“.

მესხეთი, ზემო ქართლი – მხარე ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. აქ უძველესი დროიდან სახლობდნენ ქართველები – მესხები. აქედან მოდის მხარის სახელწოდებაც. საუკუნეთა განმავლობაში მესხეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა ადმინისტრაციული და პოლიტიკური ერთეულები არსებობდა: დიაოხი, ზაბახა, ვიტეროხი (ტომთა გაერთიანებები), კლარჯეთის, წუნდის და ოძრხის საერისთავოები, ქართველთა სამეფო ტაო-კლარჯეთის სამთავროს სახით, სამცხე-საათაბაგო, ახალციხის საფაშო. ისტორიული მესხეთიდან დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე სამცხე და ჯავახეთია წარმოდგენილი. მაგრამ მათ კიდევ ემატება ისტორიული თორის ტერიტორია და ამგვარად სამივე ერთად ქმნის თანამედროვე სამცხე-ჯავახეთის მხარეს.

მესხეთის ფამფარა (Tragopogon meskheticus) – მრავალწლოვანი ბალახი, სამხრეთ საქართველოს იშვიათი ენდემი. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, სოფ. ძველთან. საქართველოს ნითელ წიგნში შესულია როგორც იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობა.

მესხეთის ქედი – იხ. აჭარა-იმერეთის ქედი.

მესხური მსუქანა – მესხური ვაშლის ჯიში. გვხვდება ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. მსხმოიარობაში შედის მე-8-10 წელს. ნაყოფი დიდი ან საშუალო ზომისაა, მომრგვალო, მოყვითალო და ნახევრად ვარდისფერი, ჟანგისფერი ლაქებით, პრიალა და ოდნავ ცხიმინი ზედაპირით. წვნიანი და არომატულია. საშუალო მოსავლიანია (იძლევა 300 კგ მოსავალს). ინახება დიდხანს (მაისამდე) და ტრანსპორტაბელურია. გამძლეა დაავადებების მიმართ.

მესხური მწვანე – მესხური ყურძნის საგვიანო ჯიში, საღვინე. 1950-იან წლებში გავრცელებული იყო აწყურსა და გურკელში. ფოთოლი საშუალო ზომისაა: 14X16 სმ, გულისებრი, მწვანე ფერის. მტევანი მცირე ან საშუალო



მესხური მწვანე ფოტო „ელკანა“

ზომის, კონუსისებრი, საშუალო წონა – 125 გრ. მარცვალ საშუალო ზომისაა, მწვანე შეფერილობის, სქელკანიანი, კნატუნა. ყურძნის წვენია შაქრიანობაა 14 %, მჟავიანობა – 11.2 გრ/ლ.

მესხური საფერე – მესხური წარმოშობის წითელი ვაზის ჯიში, საღვინე, უხვმოსავლიანი. ფოთოლი მცირე ზომისაა: 6X8 სმ, დაუნაკვთავი და მრგვალია, ზედაპირი კი – სწორი. მტევანი ცილინდრული ფორმისაა, ზომები: 14X8 სმ. მტევანი საშუალო წონის (95 გრ.). მარცვალ მუქი შავი და წვნიანი, კანი – თხელი. შაქრიანობაა 17.9 %, მჟავიანობა – 9-10 გრ/ლ. გამძლეა სოკოვანი დაავადებების მიმართ, ყინვაგამძლეა. ერთეული ძირების სახით გვხვდება ასპინძის მიდამოებში.

მესხური შავი – მესხური ყურძნის ჯიში, საგვიანო, მაღალმოსავლიანი. მარცვალ თხელკანიანი და წვნიანია. 1950-იან წლებში გავრცელებული იყო ასპინძის, აწყურის, ტოლოშისა და წინუბნის მიდამოებში.

მეტივეობა მესხეთსა და თორში – წყლის ტრანსპორტის სახეობა, რომელიც ძველად მესხეთსა და თორში ყოფილა გავრცელებული. მის განვითარებას აქ რამდენიმე ფაქტორი უწყობდა ხელს – ერთი მხრივ, ბუნებრივი, ხოლო მეორე მხრივ, სოციალურ-ეკონომიკური, კერძოდ, ტყიანი იყო სამცხის მნიშვნელოვანი ტერიტორია (მდ. მტკვრის გარკვეულ მონაკვეთზე და ქვაბლიანის აუზის ტყიანობა), ხოლო უტყეო, ან ტყის ფართობების სიმცირით მისი მოსაზღვრე შიდა ქართლის ბარი. ხე-ტყის დეფიციტს განსაკუთრებით განიცდიდა ქალაქები გორი, მცხეთა და თბილისი. ამასთან მეტივეობის განვითარებას ხელს უწყობდა მდ. მტკვრის ვარგისიანობა ხე-ტყის დასაცურებლად. ტივი მტკვარზე აქ რამდენიმე ადგილას იკვრებოდა. განსაკუთრებით ცნობილი ყოფილა აგარის, აწყურის, ახალდაბის, ახალციხის, ბორჯომის, დვირის, ლიკანისა და ყვიზისის სატივეები. იქ, სადაც ტივის შეკვრა შეუძლებელი იყო, მაგალითად, მდ. ქვაბლიანზე, ხეები პირდაპირ იყრებოდა მდინარეში, შეკვრის გარეშე. ტივს სხვა დანიშნულებითაც იყენებდნენ. ტივით გადაადგილდებოდნენ მექორწილეებიც. მისი მეშვეობით გადაჰქონდათ სავაჭრო პროდუქტი (ხილი, მარცვლეული და სხვ.) დიდი დასახლებული პუნქტებისაკენ. „კარგი წყლის შემთხვევაში“ ტივი ახალციხიდან თბილისამდე დღენახევარში, ხოლო ბორჯომიდან თბილისში 1 დღეში აღწევდა.

მეფის ვაშლი, შაჰ-ალმა – მესხური ჯიშის ვაშლი. ფართოდ გავრცელებულია მესხეთში. ნაყოფი მომრგვალო-ნაგრძლელებულია მოთეთრო-მოყვითალო (მზის მხარეზე ვარდისფერი ზოლებით), ჟანგისფერი ლაქებით თხელი კანით. მოტკბო-მომჟავო, წვნიანი და არომატულია. საშუალო მოსავლიანია (სრულ მსხოიარობაში იძლევა 300 კგ მოსავალს). დაავადებების მიმართ გამძლეა. ინახება დიდხანს (გაზაფხულამდე), მცირედ ტრანსპორტაბელურია.

მეფისწყარო – აჭარა-იმერეთის ქედის უმაღლესი მწვერვალი, ქედისა და მისი ჩრდილოეთი განშტოების – ლობოროტის ქედის შესაყართან, მდინარეების სუფსისა და ნაბლარისწყლის სათავეებთან, ზ.დ. 2850.7 მ სიმაღლეზე, ადიგენის, ვანისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების საზღვარზე. აგებულია შუაეოცენური ანდზეიტურ განფენებიანი ტუფ-ბრექჩიებითა და ტუფკონგლომერატებით. ფერდობების ქვედა ნაწილები შემოსილია სუბალპური მდელოებით, ხოლო შუა და ზედა ნაწილები – ალპური მდელოებით. მთის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს დიდი და მცირე ჯაჯის ტბები.



მესხური შავი ფოტო: „ელკანა“

ხალხური (ნაწყევტი)
 „სატივეზე ტივი შეკვარ, ტივი აზის ნაძვის ხისა, თბთაყვებრები დაფასხი, მოსასმელი აზის წყლისა.“



ფუტკრის სკაზი ფარაჰნის ტბის სანაპიროზე

მეფუტკრეობა სამცხე-ჯავახეთში – სოფლის მეურნეობის დარგი, რომლის ამოცანაა ფუტკრის მოშენება და ადამიანის კვებისა და ჯანმრთელობისათვის საჭირო, ფუტკართან დაკავშირებული პროდუქტების მისაღებად. ეთნოგრაფიული მასალებით დადასტურებულია, რომ სამცხე-ჯავახეთში, განსაკუთრებით კი ჯავახეთში მეფუტკრეობა ძალზე დანინაურებული ყოფილა. ამის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონიც წერდა: „*ფუტკარნი მრავალნი, და თაფლნი კარგნი და მრავალნი*“. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ მიხედვით, კი გადასახადი თაფლის სახით შენერილი ჰქონდა 702 სოფელს. მეცნიერებით გამოანგარიშებით, ეს დაახლოებით 600-700 ათასი კგ უნდა ყოფილიყო წლიურად. როგორც ჩანს XIX ს. II ნახევარში ვითარება შეიცვალა, რაზეც ალ. ფრონელი წერს: „*მეფუტკრეობას მისდევენ მესხნი, მაგრამ უხალისოდ. თუმცა თაფლი გემრიელია*“.

მელვრეკის მონასტერი – მონასტერი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარა სამსრის ჩრდილოეთით 2 კმ მანძილზე. შემორჩენილია ნანგრევები.

მელრუკი – მწვერვალი აჭარა-იმერეთის ქედზე, ახალციხისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტების საზღვერზე.

მეხილეობა სამცხე-ჯავახეთში – მეურნეობის დარგი სამცხე-ჯავახეთში. პროკოფი კესარიელი (VI ს.) წერდა: „*მესხეთში ამ თემის მთავორიანობის და მიუხედავად, იქაურ მკვიდრთ თავიანთი შრომითა და ცოდნით, ვითარცა დახელოვნებულ მინის მომქმედთ ხეხილიცა და ვენახებიც გაუშენებიათ და ხილნაყოფის საკმაოდ ჰქონიათ*“.

მზეთამზე – კურორტი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, ზ.დ. 1170-1280 მ სიმაღლეზე. კლიმატი საშუალო მთის ტიპისაა. ზამთარი რბილი (იანვრის საშუალო ტემპერატურა -4°C) და თოვლიანი, ზაფხული – ზომიერად თბილი (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა $+17.5^{\circ}\text{C}$) და ზომიერად მშრალი. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობაა 670 მმ. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია სასარგებლო კლიმატი.

მზეთამზე – სამაროვანი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. მზეთამზესთან, ადრე ბრინჯაოს, გვიან ბრინჯაოს, ადრე რკინისა და ანტიკური ხანის.

მზეთამზე – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, წაღვერის თემში, თორის ქვაბულში, მდ. გუჯარეთისწყლის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1170-1280 მ სიმაღლეზე,

ქ. ბორჯომიდან 18 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 380. მათი უმრავლესობა (98 %) ქართველია (2002).



მთა-მდელოს ნიადაგები (Leptosols Umbric) – ნიადაგის ტიპი, გავრცელებული მაღალი მთის ალპურ და ნანოლობრივ სუბალპური სარტყელში, ზ.დ. 1800-3200 მ სიმაღლით დიაპაზონში. სამცხე-ჯავახეთში იგი ვრცელდება ყველა მთიანეთზე. ჰიფსომეტრიულად დაბლა მას ემიჯნება მთა-ტყე-მდელოს, ან ყომრალი ნიადაგები, ხოლო ჰიფსომეტრიულად მაღლა – სუბნივალური სარტყლის პრიმიტიული, ძლიერ ხირხატიანი ნიადაგები. ჯავახეთის ზეგნის ფარგლებში წარმოდგენილია მთა-მდელოს შავმიწისებრი ნიადაგები.

სუბალპური სარტყლის გარდამავალ ზოლში, უმთავრესად ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობებზე, დაბალტანიან შეკრული ბალახეულისა და დეკიანების ქვეშ წარმოდგენილია მთა-მდელოს კორდიანი და კორდიან-ტორფიანი ნიადაგები. ხასიათდება ჰუმუსის დიდი რაოდენობით, ღრმა ჰუმუსირებით, მჟავე ან სუსტად მჟავე რეაქციით. ზედაპირის დიდი დახრილობის პირობებში განვითარებულია ძლიერ ჩამორეცხილი ნიადაგები. ინტენსიურად გამოიყენება სათიბ-საძოვრებად და მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც მეცხოველეობის საკვები ბაზა.

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგი (Leptosols Umbric) – ნიადაგის ტიპი, გავრცელებული სუბალპურ ზონაში. სამცხე-ჯავახეთში იკავებს ყველა მთიანეთს, ზ.დ. 1800-2000 მ სიმაღლით დიაპაზონს. ჰიფსომეტრიულად დაბლა ესაზღვრება ყომრალი, ხოლო ჰიფსომეტრიულად მაღლა – მთა-მდელოს ნიადაგები. ხასიათდება ჰუმუსის მაღალი შემცველობით (15 %), ღრმა ჰუმუსირებით, თიხნარი მექანიკური შედგენილობით, მჟავე რეაქციით (pH=4.8-5.6), მაღალი ხირხატიანობით. თუმცა ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თავისებურებანი საკმაოდ დიდ ფარგლებში იცვლება დედაქანის, მცენარეულობის ტიპის, ზედაპირის დახრილობისა და სხვა გარემოებების შესაბამისად.



მთა-მდელოს შავმიწისებრი ნიადაგები



მთის არწივი

მთის არწივი (Aquila chrysaetus) – ფრინველი ქორისებრთა ოჯახიდან. სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია სპორადულად – მდ. მტკვრის ხეობაში. ბინადრობს კლდეებსა და მაღალ ხეებზე. იშვიათი ფრინველია, რომლის რიცხოვნობა საგრძნობლად კლებულობს. საქართველოს ნითელ წიგნში შესულია როგორც გადაშენების პირას მისული სახეობა.

მთის ზომიერად ცივი ლანდშაფტები – ლანდშაფტის ტიპი (კავკასიის ლანდშაფტური რუკის მიხედვით) – სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ კალთებზე და თრიალეთის ქედის დასავლეთ ნაწილში, ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში, ზ.დ. 1000-

2000 მ სიმაღლით დიაპაზონში. წარმოდგენილია ლანდშაფტთა ერთადერთი გვარით – საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი ნიფლნარ-მუქნინვინი, ზოგან ფიჭვნარი (კავკასიური ფიჭვი) ტყეებით (ლანდშაფტი N 127). კარგად აქვს შენარჩუნებული პირვანდელი ბუნებრივი სახე.

მთის სტეპები – სტეპები სამცხე-ჯავახეთში. გავრცელებულია ჯავახეთის ვულკანურ პლატოზე. ქმნის მარცვლოვან-ნაირბალახოვან პოლიდომინანტურ სტეპებს, სადაც დომინანტი სახეობებია: ცხვრის ნივანა (*Festuca ovina*), ქუჩი (*Festuca sulcata*), ვაციწვერა (*Stipa tirsia*), ურო (*Bothriochloa ischaemum*), ქაფურა (*Filipendula vulgaris*), თრიალეთის იონჯა (*Medicago hemicucla*), ტიმოთელა (*Phleum phleoides*), კავკასიური ბეგქონდარა (*Thymus caucasicus*) და სხვ. როგორც ფიქრობენ მთის სტეპები აქ მეორეული წარმოშობისაა და ტყის ადგილასაა ჩამოყალიბებული.



მთის ქვაბულის დენუდაციურ-ეროზიულ-აკუმულაციური ლანდშაფტი სტეპის, ფრიგანის, შიბლიაკის და იშვიათად მთის ნახევრად უდაბნოს მცენარეულობით (კავკასიის ლანდშაფტური რუკის მიხედვით – ლანდშაფტის გვარი N 112) – გავრცელებულია ახალციხის ქვაბულში, ზ.დ. 900 მ-დან 1500 მ სიმაღლით დიაპაზონში, ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ბორჯომის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე.


კლიმატი ზომიერი, ზომიერად თბილისაკენ, გარდამავალი, სემი-არიდული ზომიერად კონტინენტურია. მზის ნათების ხანგრძლივობაა 2100-2200 სთ, ჯამური რადიაცია – 140-150 კკალ/სმ², რადიაციული ბალანსი – 50 კკალ/სმ², ალბედო – 35-40 %, აორთქლება – 355 მმ წლიურად, ქარის საშუალო სიჩქარე – 2-4 მ/წმ. ნიადაგებიდან გაბატონებულია მდელოს ყავისფერი. დამახასიათებელია მთის სტეპები, ფრიგანა, შიბლიაკი და ზოგან მთის ნახევრად უდაბნოები. დომინანტია ჯაგეკლიანები – შიბლიაკი (P2v), რომელიც გავრცელებულია შედარებით უკეთ დატენიანებულ ადგილებში – ხეობებში, ღარტაფებში, ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობებსა და მაღალ ჰიფსომეტრიულ საფეხურებზე. ასევე ფართოდაა წარმოდგენილი მიკროსტრუქტურის სემიჰუმიდური მდელოები და მდელო-სტეპები (S1i) და მიკროსტრუქტურის ნარეკლიანები – ფრიგანა (P1f). გავრცელებული თითქმის ყველგან, თუმცა შედარებით დაბალ ჰიფსომეტრიულ საფეხურებზე, ხეობებისა და ჩრდილოეთის ექსპოზიციის ფერდობების გარდა, გაბატონებული ადგილი უკავია და გვხვდება თითქმის მთელ სიმაღლით სპექტრში, ყველა ექსპოზიციისა და დახრილობის ფერდობებზე. ფიტომასების რაოდენობის ვარიაციის ინტერვალი – 15-25 ტ/ჰა. საშუალო რაოდენობაა 35 ტ/ჰა. ფიტომასების მარაგი 0.6 მლნ ტ (საქართველოს ფიტომასების საერთო მარაგის 0.1 %). უმთავრესად გამოიყენება საძოვრებად. ნაწილობრივ უკავია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს (მარცვლოვნები, ხეხილი, ბოსტნეული კულტურები). ტერიტორიის ანთროპოგენური ტრანსფორმაციის ხარისხია 82 %.

მთის ქსეროფიტული ბუჩქნარები – ბუჩქნარები, რომელიც სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია, მდ. მტკვრისა და მისი შენაკადების ხეობებში, თეთრობ-ჭობარეთის კირქვიან პლატოზე, ზ.დ. 900-2200 მ სიმაღლით დიაპაზონში. დამახასიათებელია ფრიგანოიდული, ტრაგაკანტული, ჯაგეკლიანებისა (შიბლიაკი) და ნახევრად უდაბნოს ტიპის თანასაზოგადოებები.

მთის ლანძილი (*Allium victorialis*) თეთრთავა ხახვი, ყანის ნიორი, ველური ხახვი, ყარსის ხახვი, კლდის ხახვი, გველის ნიორი, ცრუ ნიორი – სამკურნალო, ბოლქვიანი მცენარეა, 0.4 მ-მდე სიმაღლის. შეფოთლილია აპრილიდან აგვისტომდე, ყვავილობს ივნისიდან ივლისამდე, თესლები მნიფდება ივლის-აგვისტოში. იზრდება სუბალპურ მდელოზე დეკასა და მთის მოცვთან ერთად.

კარგად იზრდება მსუბუქ ქვიშნარ და საშუალო (თიხნარ), მჟავე, ნეიტრალურ და ტუტე ნიადაგებზე. ვერ იტანს დაჩრდილვას. სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე იზრდება ტაბანყურის მიდამოებსა და აბულ-სამსრის ქედზე, ასევე ცხრანყაროს გადასასვლელზე, სადაც ჯავახეთის მოსახლეობა აგროვებს მთის ლანძილს და ზამთრისთვის მარინადს ამზადებს.

მთის შავმიწები (Chernozems) – ნიადაგის ტიპი, გავრცელებული ჯავახეთის ზეგანზე, ზ.დ. 1200-2200 მ სიმაღლით დიაპაზონში, ხოლო სამცხეში ცალკეული მასივების სახით აგარა-ქარზამეთის, ძველის პლატოზე, – სოფლების ქიქინეთის, ჩიხელის, ვარხანის, სვირისა და ბოგას მიდამოებში. ხასიათდება მკაფიოდ გამოხატული შავი შეფერილობის ჰუმუსოვანი ჰორიზონტით, პროფილის გათიხებით, ჰუმუსის მაღალი შემცველობით. ინტენსიურად გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით. ტიპური შავმიწები ვრცელდება ახალქალაქის პლატოს მოსწორებულ ზედაპირებზე, ხოლო შემადლებულ უბნებზე გამოტუტვილი შავმიწები გვხვდება. აქ უმთავრესად მოჰყავთ კარტოფილი, მარცვლეული, ჭარხალი. გამოიყენება აგრეთვე საძოვრებად და სათიბებად.



მიასნიკიანი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სულდის თემში, ახალქალაქის პლატოზე, ზ.დ. 1855-1900 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 22 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის



მთის ქსეროფიტული ბუჩქნარები მდ. ფარავნის აუზში



მტკვარი სოფ. მინაძის სიახლოვეს

რიცხოვნობა – 139. მათი უმრავლესობა (99 %) სომეხია (2002). საბჭოთა პერიოდში რუსი რევოლუციონერის, სახელმწიფო და პარტიული მუშაკის ალ. მიასნიკიანის სახელით მოინათლა.

მილახევის ვენახები – ადგილი სოფ. ტოლოშთან, ასპინძის მუნიციპალიტეტში. აქ მიკვლეულია ყურძნის წნეხი და წვენის სადინარი.

მილახევის ტერასები – ტერასები ასპინძის მუნიციპალიტეტში, ნასოფლარ მილახევთან, სოფ. ტოლოშიდან სამხრეთ-დასავლეთით 4 კმ-ზე. ადგილს „ბებერი ვენახები“ ჰქვია. შემორჩენილი იყო ასწლოვანი ვაზის ერთი ეგზემპლარი.

მინაძე – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრისა და ურავლის შეერთების ადგილას, მტკვრის ორივე ნაპირას, ზ.დ. 940-1000 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 6 კმ მანძილზე, თემის ცენტრი (სოფლები: მინაძე, ღრელი, ჭაჭარაქი), ახალციხე-ასპინძის საავტომობილო გზაზე. მიდამოები უტყეოა. სოფელში მიკვლეულია მინაში ჩაფლული მარანი და ქვევრები. მოსახლეობის რიცხოვნება – 395 კაცი, უპირატესი ეროვნება (88 %) – ქართველი (2002).

მინაძის თემის საკრებულო – საკრებულო ახალციხის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: მინაძე, ღრელი და ჭაჭარაქი. მოსახლეობის რიცხოვნობა 1 280 კაცი (2002).

მინაძის მეტეოსადგური – მეტეოროლოგიური სადგური ახალციხის მუნიციპალიტეტში მდ. მტკვართან და ურავლის შეერთების ადგილას. ახალციხიდან დაშორებულია 6 კმ მანძილით.

მინაძის ტერასები – უკედლო ტერასები ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. მინაძესთან, მდინარეების მდ. მტკვართან ურავლის შეერთების ადგილას. დიდი მოსავლით ხასიათდებოდა.

მინაძე-ჭაჭარის მექანიკური სარწყავი არხი – არხი გაყვანილი მდ. ურავლიდან, აიგო 1954 წელს. წყლის ხარჯია 0.2 მ³/წმ, სარწყავი ფართობი – 208 ჰა.

მინაძის ჰიდროლოგიური სადგური – ჰიდროლოგიური სადგური მდ. მტკვარზე, აუზის ფართობი – 8,010 კმ², აბსოლუტური სიმაღლე – 942 მ, დაკვირვების წლები – 1933-1991.

მინდვრის ყვითელი ზამბახი, ვინოგრადოვის ზამბახი (Iridodictyum Winogradowii) – მრავალწლოვანი ბოლქვიანი დეკორატიული მცენარე, საქართველოს ენდემი. სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია მხოლოდ ბაკურიანის მიდამოებში სპორადულად. იზრდება ალპურ სარტყელში.



მინდვრის ყვითელი ზამბახი

„მინდიაშვილის ყანები“ – უკედლო ტერასები ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭობისხევის მოპირდაპირე მტკვრის მარცხენა მხარეს.

მირაშხანი, აზმანა – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. აზმანის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა მხარეს, ნაქალაქევის თემში, ზ.დ. 1300 მ სიმაღლეზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 274, რიცხოზრივად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002).

სოფლის მიდამოებში გამოქვაბულია. ძველად აქ ვაზი და ხეხილი ჰქონდათ მოშენებული.

სალსური

(ნაწყვეტი)

„შენ მირაშხანო ბაღდადო წალკოტო ყვაფილიანო.“

მირაშხანის ქუაბნი – გამოქვაბულები (VIII-XI სს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. მირაშხანთან, მტკვრის დონიდან 150 მ სიმაღლეზე. შემორჩენილია წარწერა (XI ს.), სადაც მოთხრობილია თურქ-სელჩუკთა შემოსევაზე.

მიტარბი – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. გუჯარეთისწყლის ხეობაში, ს. პატარა მიტარბიდან სამხრეთით 1.4 კმ მანძილზე. ჯამური დებიტია 10-15 ათ. ლ. მიეკუთვნება ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმთან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია – 2.5 გ/ლ.

მიტარბის მენყერი – მენყრული სხეული ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. მიტარბთან. დამენყვრაში, ამგებელი ქანების ლითოლოგიის გარდა, დიდ როლს ასრულებს სინკლინის ორივე ფრთაში გამავალი რღვევის ხაზები. იხ. საბატკნე-კენჭიყაროს მენყერი.



კედლიანი ტერასები

მიტარბულა, მიტარბისწყალი – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. გუჯარეთისწყლის მარცხენა შენაკადი.

მიქელწმინდა – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, წყრუთის თემში, ახალციხის ქვაბულში, ზ.დ. 1100-1160 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 5 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა 92 კაცი, უპირატესი ეროვნება (85 %) – სომეხი (2002).

მიქელწმინდის მენყერი – მენყრული სხეული ახალციხის ქვაბულში, სოფ. მიქელწმინდის ჩრდილო-დასავლეთით. განვითარებულია 15-30° დახრილობის სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობზე, რომელიც აგებულია ოლიგოცენის გამოფიტულ თიხებსა და ქვიშაქვებში, გადაფარებული დელუვიური თიხებით და თიხნარებით. მენყრული სხეულის სიგრძეა 500 მ, სიგანე – 400 მ, სიმძლავრე – 15 მ.დროებით სტაბილური მენყერია.

მიძინების ეკლესია – ერთნავიანი ეკლესია (X ს.) ახალციხის მუნიციპალიტეტში, საფარის სამონასტრო კომპლექსში.

მინათმოქმედება სამცხე-ჯავახეთში – სოფლის მეურნეობის დარგი, რომლის მთავარი ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა. ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნების გამო, სამცხე-ჯავახეთი საქართველოში განვითარებული მინათმოქმედების ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი რეგიონია. ამ ფუნქციას ეს მხარე ასრულებდა საუკუნეების მანძილზე და რასაც იგი უახლოეს წარსულამდე ინარჩუნებდა. ეს მხარე დღესაც აგრარული რეგიონია, თუმცა შედარებით უფრო დაკნინებული როლით.

მლაშე – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, მლაშეს თემში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდ. ქვაბლიანის მარცხენა ნაპირას, ზ.დ. 1400-1280 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 3 კმ მანძილზე, საკრებულოს ცენტრი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 326, რომელთა 99 % ქართველია (2002).

მლაშე – მინერალური წყარო ადიგენის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ კალთაზე. მიეკუთვნება ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია – 2.2 გ/ლ.

მლაშე ტბა – ტბა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, დიდი აბულის აღმოსავლეთ ფერდობზე.

მლაშის თემის საკრებულო – საკრებულო ადიგენის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: მლაშე, არზნე, ზარზმა, უტყისუბანი და ფლატე. მოსახლეობის რიცხოვნობა 1032 კაცი (2002).

მლაშის ტერასები – უკედლო ტერასები ადიგენის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდ. ქვაბლიანის მარცხენა ნაპირზე.

მლაშის ჰიდროლოგიური სადგური – ჰიდროლოგიური სადგური მდ. ქვაბლიანზე, ზ.დ. 1153 მ სიმაღლეზე. აუზის ფართობია 468 კმ². დაკვირვების წლები – 1941-1990.

მოდეგა – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, კოჭიოს თემში, თრიალეთს ქედის სამხრეთ ფერდობზე, ზ.დ. 1920-1985 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 26 კმ მანძილზე, ახალქალაქი-ბაკურიანის საავტომობილო გზაზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 259, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). ძველად აქ ბერძნები ცხოვრობდნენ, რომლე-

ბიც ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. ციხისჯვარში გადასახლებულან. ამჟამინდელი მოსახლეები კი აქ 1889 წელს დასახლდნენ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. აზავრეთიდან. მიკვლეულია არქეოლოგიური მონაპოვარი – მოდეგის გორა.

მოკლეთითა მგლინავი (Certhia brachydactyla) – ფრინველი მგლინავისებრთა ოჯახიდან. გვხვდება აჭარა-იმერეთის ქედზე, ფოთლოვან ან შერეულ ტყეებში. იშვიათი და მცირერიცხოვანი ფრინველია. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი სახეობა, რომელსაც ჯერჯერობით არ ემუქრება გადაშენება, მაგრამ გვხვდება ისე ცოტა, ან იმდენად მცირე ტერიტორიაზე, რომ შესაძლოა სწრაფად გადაშენდეს.

მოლითი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ტაბანყურის თემში, თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ტაბანყურის ტბის დასავლეთით, ზ.დ. 2000-2070 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 64 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 273. მათი უმრავლესობა (99 %) სომეხია (2002).

მოლითი, ჯალილი – ყორღანი და ნაგებობები ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. მოლითთან, ბრინჯაოს ხანა.

მოლოზონა – ციხესიმაგრე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დემოთის ციხის სიახლოვეს. იგი სახიზარი უნდა ყოფილიყო.


„მომწვარას ციხე“ – იხ. „ცამალას ციხე“.

მონასტრიღელე – მდინარე ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. თისელისღელის სათავე.

მოსახლეობა სამცხე-ჯავახეთის – საკმაოდ მრავალფეროვანია რელიგიური და ეთნიკური შემადგენილობის მიხედვით. ეს განსხვავება ვლინდება ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა ოდითგანვე მრავალრიცხოვანი და უმთავრესად ქართული უნდა ყოფილიყო. მაგრამ ისტორიულმა ქართველებმა სრულიად



ლარაბი – უკიდლო ტარასაბი



შეცვალა რეგიონის ეთნიკურ-რელიგიური ვითარება, დაწინაურებული მეურნეობა და კულტურა კი დაქვეითდა. ერთ დროს არსებული მჭიდრო ეკონომიკური კავშირები ქვეყნის სხვა კუთხებთან და მეზობელ ქვეყნებთან მოიშალა. ნ. ბერძენიშვილი წერდა: „იდეალური ქვეყანა იყო ჯავახეთი ფეოდალური საქართველოს სანარმოო ძალთა განვითარების გარკვეულ საფეხურზე“. მაგრამ გარეშე მტერთა თარეშმა და მიგრაციულმა პროცესებმა გაა-

უკაცრიელა ეს მხარე, გაჩნდა მრავალი ნასოფლარი, ნასახლარი, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ბუნებათსარგებლობის ფორმები მოირღვა და ახლით შეიცვალა. ამასთან ერთგვაროვანი დემოგრაფიული სურათი თანდათანობით შეიცვალა და XIX ს. II ნახევარში ასეთი სახე მიიღო. ამის შესახებ ალ. ფრონელი წერდა: „ძველ მესხეთში ანუ სამცხე-საათაბაგოში... ბინადრობს: არზრუმიდან მოსული სომხობა, წმინდა გრიგოლის სარწმუნოებისა, და სომეხი კათოლიკენი; ოსმალოს ბატონობის დროიდან დარჩენილი თარაქამა და თურქენი, ორივე ტომი მაჰმადის სარწმუნოებას მისდევს და ქართველობა, ძველი მესხების ჩამომავალნი: მართლმადიდებელნი, კათოლიკე სარწმუნოების მიმდევარნი და მაჰმადიანი ქართველები ანუ გამაჰმადიანებული მესხები. ამათ გარდა ბინადრობენ სამცხე-საათაბაგოში ებრაელები, უფრო კი ქ. ახალციხეში, ცოტაოდენი ბერძნები და რამდენიმე ნასალდათარი რუსი“.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის 43.4 % ქართველია. ამ მხრივ, განსაკუთრებით მაღალია მაჩვენებელი ადიგენის (95.7 %), ბორჯომისა (84.2 %) და ასპინძის (82.0 %) მუნიციპალიტეტებში. სომეხი მოსახლეობა ჭარბობს ნინოწმინდისა (95.7 %), და ახალქალაქის (94.3%) მუნიციპალიტეტებში. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა შეადგენს 207.6 ათას კაცს, ხოლო 2014 წლის მდგომარეობით – 213.7 ათას კაცს. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვეა 32.4 კაცი 1 კმ²-ზე. ყველაზე მჭიდროდ დასახლებულია ახალქალაქისა (52.5 კ/კმ²) და ახალციხის (48 კ/კმ²), ხოლო ყველაზე მეჩხრად – ასპინძის (16 კ/კმ²) და ნინოწმინდის (25.8 კ/კმ²) მუნიციპალიტეტები. სოფლის მოსახლეობის წილი თითქმის 3-ჯერ აღემატება ქალაქის მოსახლეობას. ამ მხრივ, ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ადიგენის მუნიციპალიტეტში. ქალაქის მოსახლეობა ჭარბობს მხოლოდ ახალციხის მუნიციპალიტეტში.

მოხე – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ადიგენის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდ. ქვაბლიანის მარცხენა მხარეს, თემის ცენტრი, ზ.დ. 1400-1500 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან ჩრდილო-დასავლეთით 13 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. 1960-იან წლებში სოფელში დასახლდნენ ეკომიგრანტები აჭარიდან. დგას XX საუკუნის შუა წლებში აშენებული მეჩეთი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 331, რომელთა 99 % ქართველია (2002).

მოხეში – ერთნავიანი ეკლესია ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. მოხესთან. ძველად სამონასტრო კომპლექსი იყო.

მოხის თემის საკრებულო – საკრებულო ადიგენის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი



მტკვარჰის სათავე ნაგებობა


სოფლებია: მოხე, დერცელი, კიკიბო, ნამნიაური და ციხისუბანი. მოსახლეობის რიცხოვნობა 1088 კაცი (2002).

მრავალი, მრავალის წყლები – მინერალური წყლები ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ვარძიის სიახლოვეს. შემადგენლობით ახლოს არის ურავლის წყაროებთან. მიეკუთვნება ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-მაგნიუმ-კალციუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია – 1.9 გ/ლ.

მრუდე ტბა – ტბა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, აბულ-სამსრის ქედის დასავლეთ ფერდობზე.

მსხალნარი, სხალნარი – ნასოფლარი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. გუჯარეთისწყლის მარცხენა მხარეს. ოსები უწოდებდნენ „ქერდოჯნს“, რაც ნიშნავს მსხალნარს.

მტკვარი, კიურდ-კოი, კორა-ნეხრი, კარასუიუ, კურა – მდინარე თურქეთში, საქართველოსა და აზერბაიჯანში. მიედინება სამცხე-ჯავახეთში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში, სამხრეთ კავკასიის უდიდესი მდინარე. მისი სიგრძეა 1170 კმ, საქართველოში გამდინარე ნაწილი მხოლოდ 351 კმ სიგრძისაა. ამიტომ ქვეყნის უგრძეს მდინარედ ითვლება ალაზანი (407 კმ) და არა მტკვარი. აუზის ფართობია 188 კმ². რეგიონის მნიშვნელოვან სამდინარო არტერიაა. მტკვარი სათავეს იღებს თურქეთში, ყიზილ-გიადუკის მთის აღმოსავლეთ კალთაზე, კოლას ტაფობში, ზ.დ. 2720 მ-ის სიმაღლეზე. საქართველოს ფარგლებში შემოდის ერუშეთის მთიანეთსა და ჯავახეთის ზეგანს შორის, ვარძიასთან ახლოს, ზ.დ. 1360 მ სიმაღლეზე. აქ ხეობა ღრმა და კანიონისებრია. თმოგვის ციხესთან



მდ. მტკვრის საშუალო ხარჯი სხვადასხვა კვიტებში (მ³/წმ)



მდ. მტკვრის ხეობა ხართვისთან

კანიონის სიღრმე 400-500 მ-ია. შემდეგ ხეობა განიერდება, გაივლის ახალციხის ქვაბულს, სოფლების აწყურისა (ახალციხის მუნიციპალიტეტი) და ტაშისკარს (ხაშურის მუნიციპალიტეტი) შორის. მიედინება აჭარა-იმერეთისა და თრიალეთის ქედებს შორის. ხეობის ეს მონაკვეთი ბორჯომის ხეობის სახელწოდებითაა ცნობილი. აქედან სოფ. ძეგვამდე (მცხეთის მუნიციპალიტეტი) მტკვარი მიედინება შიდა ქართლის ვაკეზე, შემდგომ თბილისის ქვაბულში, ქვემო ქართლის ვაკეზე. საქართველოს ტერიტორიიდან გაედინება ქციის შესართავის მახლობლად, ზ.დ. 260 მ სიმაღლეზე. გაივლის ივრის ზეგანს, მინგეჩაურის წყალსაცავს, მტკვარ-არაქსის დაბლობს და ერთვის კასპიის ზღვას. ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს მას: „და მდინარე ესე მტკვარი გამოსდის კოლას ზეით არსიანის მთას, და ან ნოდებულსა ყალნუს და ყარსის მთასა, და მუნიდამ მოდის სამჯრეთიდამ ჩრდილოეთად, ვიდრე ახალციხისწყლის შესართავამდე, მერმე მუნიდამ გაბრუნდების აღმოსავლეთად და მიდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად ჭობის ჳევამდე“.

როგორც ფიქრობენ, სახელწოდება უკავშირდება მხარის სახელწოდებას – კოლას (ისტორიული საქართველო, ამჟამად თურქეთში). ჯერ კიდევ ძველ ბერძნულ წყაროებში „მტკვარი“ ამავე სახელწოდებით, უთარგმნელადაა მოხსენიებული, განსხვავებით იმ ტრადიციისა, რომელიც დამკვიდრებული იყო ძველად. თუ ტოპონიმის მნიშვნელობა ცნობილი იყო ბერძნებისათვის, მაშინ ისინი მას თარგმნიდნენ, ისევე როგორც ვარდციხე როდოპოლისად, ცხენისწყალი ჰიპოსად მონათლეს.

**ხალხური
(ნაწყვეტი)**

„გაბჰია წაველე დღეობას, მარბამობის თვეშით, მტკვარმა დამიზნო მერანი, წაიღო მისი ლეშით. მე კი გადავზნო ცურვითა, გაველი ნაპიზნედათ, ხატსა სანთელი აუნთე, მაშველი წმიდა დედათ! პირჯვარბიჯ გამოვისახე, ლოცვა ვსთქვი ზედი-ზედათ“.

სწორედ ამიტომ ვარაუდობენ, რომ მტკვრის მნიშვნელობა იმ ძველ დროშიც უცნობი უნდა ყოფილიყო. ისტორიულ წყაროებში მტკვარს პირველად ძველი ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი (ძვ.წ. I და ახ.წ. I სს.) იხსენიებს კუროსის სახელწოდებით და აღ-



მდ. მტკვარი ზარაპანჰისთან

ნიშნავს, რომ ძველად მას კიროსს უწოდებდნენო. ბერძნული ბოლოსართის „ოს“ ჩამოშორების შემდეგ ფუძისეული სიტყვა კორ/კურ“ რჩება. ქართული ენისათვის დამახასიათებელია თანხმოვანთა თავმოყრა სიტყვის თავში. ასევეა ნაწარმოები სიტყვა „მტკვარიც“. თუმცა სხვა ენებზე, განსაკუთრებით კი თურქულ ენაში, ასეთი სიტყვის წარმოქმნა რთულია და ამგვარად თანხმოვნების ჩამოშორებით ვიღებთ: „კურა“-ს რუსულში, „ქურ“-ს სომხურში, „ქიურ“-ს აზერბაიჯანულსა და თურქულში. ყველა მათგანი ერთი ფუძისაგანაა ნაწარმოები.

მტკვრის ასტრაგალი (Astragalus Schischkinii) – მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე, საქართველოს იშვიათი ენდემური სახეობა. სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია მხოლოდ ახალციხის ქვაბულსა და ჯავახეთის ზეგანზე, მშრალ და ქვიან ფერდობებზე.

მტკვრის თაღლითა (Alburnus filippi Kessler) – თევზი კობრისებრთა ოჯახიდან, სამხრეთ კავკასიის ენდემი. ბინადრობს მდ. მტკვრის აუზში (აბასთუმნისწყალი, ბორჯომისწყალი, გუჯარეთისწყალი, სურამულა, ფარავანი). სარენაო მნიშვნელობა არ აქვს. სარეველა თევზია და კონკურენცია სარენაო თევზებისათვის კვებასა და გამრავლების ადგილებისათვის.



მდ. მტკვრის ხეობა

მტკვრის წვერა, „დედალი მურწა“ (*Barbus lacerta cyri Filippi*) – თევზი კობრისებრთა ოჯახიდან, მტკვრის ენდემური სახეობა. გავრცელებულია მდ. მტკვარსა და მის შენაკადებში (ფოცხოვი, ფარავანი). მცირე რაოდენობითაა ფარავნისა და სალამოს ტბებში. მცირე რაოდენობის გამო, მას არ აქვს სარენაო მნიშვნელობა და იჭერდნენ სხვა თევზთან ერთად.

მუგარეთი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, ფერსის თემში, ახალციხის ქვაბულში, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 920-1050 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 12 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 396 კაცი, უპირატესი ეროვნება (99 %) – ქართველი (2002).

მურაკვალი – სერი ჯავახეთის ზეგანზე, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

მურყნევი, თაროიანი – მთა თრიალეთის ქედის ჩრდილო-დასავლურ განშტოებაზე – გვირგვინას ქედზე, მდინარეების გუჯარეთისწყლისა (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) და აბუხალოსღელის (ძამის აუზი) წყალგამყოფზე, ზ.დ. 2341.6 მ სიმაღლეზე, გვირგვინას ქედის უმაღლესი წერტილი. აგებულია ეოცენური ვულკანოგენური წყებებით. კალთები შემოსილია ნიფლნარი და ნაძვნარი ტყეებით, თხემი – სუბალპური მდელოებით.

მურჯახეთი, კირხ-ბულახი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ვაჩიანის თემში, ახალქალაქის პლატოს დასავლეთ ნაწილში, მდ. მურჯახეთისწყლის (ფარავნის მარცხენა შენაკადი) მარცხენა ნაპირას, ზ.დ. 1720-1750 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან სამხრეთით 7 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 443. მათი უმეტესობა (81 %) სომეხია, ქართველი – 19 %(2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია, მიკვლეულია გვიანდელი შუა საუკუნეების განძი – მურჯახეთის განძი და ქრისტეს შობამდე I ათასწლეულის ხანის მონოლითური 2 ძეგლი. ერთ-ერთი ძეგლს, რომელსაც უწოდებენ „ძუძუსქვას“, „ძიქუას“, „მარინეს“, აგებულია მუქი ნაცრისფერი ბაზალტით, 3 მ სიმაღლისაა, დიამეტრი – 70 სმ. ხეობაში 40 ლავური წყაროა. XIX ს-ში თურქეთიდან აქ ჩამოსახლებულმა სომხებმა სოფელს უწოდეს კირხ-ბულახი, რაც ქართულად ნიშნავს „ორმოც წყაროს“.

მურჯახეთის ეკლესია – დარბაზული ეკლესია (XI ს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. ნაგებია ფლეთილი ქვით კირხსნარზე. შემორჩენილია მხედრული წარწერები.

მურჯახეთის სარწყავი არხი – სარწყავი არხი მდ. კირხ-ბულახიდან გაყვანილი არხი. ირწყვება სოფ. მურჯახეთის მიწების 1000 ჰა.

მურჯახეთისწყალი – მდინარე ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავნის მარცხენა შენაკადი.

მურჯი – ნასოფლარი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

მურჯიკანი – ნასოფლარი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები. აქ XX ს-ის 20-იან წლებში იყო ზეთსახდელი ქარხანა.

მუსხი, ენგვიკვევი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, ურავლის თემში, ახალციხის ქვაბულში, მდ. ურავლის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1095-1200 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 16 კმ მანძილზე. მესხეთის ერთ-ერთი უძველესი სოფელი. მუსხები, მუშკები მესხების წინაპრებს ერქვა. სავარაუდოდ სოფელმაც აქედან მიიღო სახელი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 880 კაცი, უპირატესი ეროვნება (99 %) – ქართველი (2002). არის დიატომიტის საბადო. ძველად

აქ ვაზი ხარობდა. აღ. ფრონელი წერს: „მე თვითონ მინახავს 1891 წ. მუსხის და ტობის ძირობებში, მტკვრის პირას, გამხმარი ვაზის ჯირკები. ეტყობა ვენახები გადაშენებულა ამ უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში. მთელ სამცხე-საათაბაგოში ეხლა არაც ერთი ვენახი აღარაა“.

მუსხის ტერასები – ტერასები ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. მუსხთან, მდ. ურავლის მარჯვენა მხარეს.

მუქნიწვიანები ტყე (ნაძვნარ-სოჭნარები) – ტყე, რომელიც სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ და არსიანის ქედის აღმოსავლეთ ფერდობებზე. უმთავრესად ქმნის ბიდომინანტურ ტყეებს (ნაძვნარ-სოჭნარები, ნიფლნარ-ნაძვნარები). დომინანტი სახეობებია: აღმოსავლური ნაძვი (*Picea orientalis*) და კავკასიური სოჭი (*Abies nordmaniana*). ბუჩქნარებიდან გვხვდება: წყავი (*Laurocerasus officinalis*), ჭყორი (*Ilex colchica* = *I. aquifolium*), მალალმთის მოცვი, კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), შქერი (*Rhododendron ponticum*), იმერული ხეშავი, იმერული ხეჭრელი (*Rhamnus imeretina*), ჩვეულებრივი თხილი (*Corylus avellana*) და სხვ. რთული ოროგრაფიული პირობების გამო კარგად აქვთ შენარჩუნებული პირვანდელი ბუნებრივი სახე. თითქმის ხელუხლებელი მუქნიწვიანი ტყეები გავრცელებულია დაბა აბასთუმნის მიდამოებში, ყანობილის მთაზე.

მუხერი, მუხერის ვულკანი – მთა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, დაბა ბაკურიანის ტერიტორიაზე, ძირითადი განაშენიანებული ტერიტორიის სამხრეთით, ზ.დ. 1793.9 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ვულკანურ კონუსს, ბაკურიანის ლავური ღვარის ამოფრქვევის ცენტრი. შემოსილია ნიფლნარ-ნაძვნარი ტყეებით. ვულკანის ყოფილ კრატერში მოწყობილია სტადიონი.

მუხნარ-რცხილნარი ტყე – ტყე, რომელიც სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია აჭარა-იმერეთის ქედის კალთებზე, მდინარეების ურავლისა და ქვაბლიანის ხეობებში, ქვედა მთის ტყის სარტყელში, ზ.დ. 1300-1500 მ სიმაღლით დიაპაზონში. დომინანტი სახეობებია: ქართული მუხა (*Quercus iberica*) და რცხილა (*Carpinus caucasica*). ტყეების დიდი ნაწილი დღეს განადგურებულია, განსაკუთრებით მუხა გაჩეხილი. მათი ადგილი უკავია მეორეულ ტყეებს (უმთავრესად რცხილნარებს, ჯაგრცხილის მონაწილეობით), ბუჩქებს, სტეპებსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. ქვეტყეში გვხვდება: კავკასიური კუნელი (*Crataegus caucasica*), კუნელი (*rataegus*), ასკილი (*Rosa canina*), შინდანლა (*Cornus australis*), კურდლისცოცხა (*Genista*), ჩვეულებრივი თხილი (*Corylus avellana*), გლერდა (*Astragalus glycyphyllus*, *A. pycnophyllus*, *A. caucasicus*) და სხვ. ანთროპოგენური ზემოქმედების გამო მუხნარ-რცხილნარების გავრცელების ქვედა საზღვართან მოხდა შიბლიაკის არეალის გაზრდა.

მუხუდო (*Cicer arietinum*) – პარკოსანი ბალახოვანი, გვალგვა- და ყინვაგამძლე, მცენარე, სასურსათო, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კულტურა. ნელამზარდი და სარეველებისადმი მგრძნობიარე მცენარე. შეიცავს დიდი რაოდენობით კალციუმს. საშუალო მოსავლიანობაა 1.5-2.0 ტ/ჰა. საქართველოში ამჟამად უმთავრესად მოჰყავთ წნისის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთზე (ახალციხის მუნიციპალიტეტი).



მუხუდო. ფოტო: „ელკანა“

მუხურჯა – ნასოფლარი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. ორჯადან 2 კმ მანძილზე.

მყურყნევი, თაროიანი – მთა თრიალეთის ქედზე, ბორჯომისა და ქარელის მუნიციპალიტეტების საზღვარზე.

მცენარეული საფარი სამცხე-ჯავახეთის – მხარის მცენარეული საფარი მეტად მრავალფეროვანია. იგი მდიდარია ენდემური, იშვიათი და რელიქტური სახეობებით. აქ გვხვდება მესხეთის, მესხეთ-ქართლის, მესხეთ-ართვინის, ჯავახეთის, მცირე კავკასიონის, საქართველოს, კავკასიის, მცირე აზიის, და წინა აზიისა და ვიწრო ლოკალური ენდემები. სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული მცენარეთა 19 სახეობა შესულია საქართველოს წითელ წიგნში. მათ შორისაა: აღმოსავლური მუხა, ბერყენები, კაკალი, კოლხური ჯონჯოლი, უთხოვარი, უხრავი, ჩვეულებრივი ნაბლი და სხვ. ტყეები მეტად არათანაბრადაა განაწილებული სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე. სამცხე თორი ყველაზე ტყიანია. აქ ტყეების უდიდესი ნაწილი (95 %-ზე მეტი) მოდის მთის ფერდობებზე. ამიტომ მათ უპირველესად გარემოსდაცვითი ფუნქცია აქვთ. ერუშეთის მაღლობსა და ფერსათის ქედზე ტყის მასივებს ხშირად ენაცვლება მდელო-სტეპები. მერქნიანი სახეობების მერქნის საერთო მარაგია 29.918 ათ. მ³. აქედან წინვნიანი კორომების მერქნის საერთო მარაგია 24.239 ათ. მ³ (საერთო მარაგის 81 %). ფოთლოვანი კორომების საერთო მარაგია 5.679 ათ. მ³(9 %). სამცხე-ჯავახეთი მდიდარია მცენარეთა რელიქტური სახეობებითაც. მესამეულის ეს რელიქტები ევრაზიის კონტინენტზე ბევრგან გადაშენებულია.

მცენარეული საფარის სარტყლობა სამცხე-ჯავახეთში – დიდი ჰიფსომეტრიული დიაპაზონის გამო, სამცხე-ჯავახეთში წარმოდგენილია მცენარეული საფარის შემდეგი სარტყლები:

1. მთის შუა სარტყელი (800-1500 მ) – უმეტესად გამოყენებულია სახნავ მიწებად. ბუნებრივი მცენარეულობა შემორჩენილია ჭალის ტყეების, მუხნარ-რცხილნარების, მთის ქსეროფიტული ბუჩქნარების და მთის სტეპების სახით.
2. მთის ზედა სარტყელი (1200-2050 მ) – მოიცავს წიფლნარ-წიწვოვან შერეულ ტყეებს.
3. სუბალპური სარტყელი (1900-2500 მ) – ტყის ზედა საზღვრის მაღალბალახეული მცენარეულობით, ბუჩქნარებით და სუბალპური პოლიდომინანტური მარცვლოვან-ნაირბალახოვანი მდელოებით. ეს ზონა ტიპოლოგიურად მრავალფეროვანია.
4. ალპური სარტყელი (2500-2900 მ) – ალპური მდელოები ძირითადად საძოვრებადაა გამოყენებული. მცენარეულობა აქ სუბალპურთან შედარებით, როგორც ბიომასის, ისე ტიპოლოგიური მრავალფეროვნებით ღარიბია.
5. სუბნივალური სარტყელი (2900-3300 მ) – წარმოდგენილია მხოლოდ აბულ-სამსრის ქედზე.
6. აზონალური მცენარეულობა – წარმოდგენილია, მხოლოდ ბორეალური სახეობებით.

ვერტიკალურმა ზონალობამ მნიშვნელოვნად განაპირობა მეურნეობის სხვადასხვა ხასიათი სხვადასხვა ჰიფსომეტრიულ საფეხურზე. აბსოლუტური სიმაღლის ზრდის შესაბამისად იცვლება რა ბუნებრივი პირობები, მნიშვნელოვნად იცვლება მეურნეობის ფორმებიც. როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, სამცხეს ჰქონდა "მთა-ბარის სიახლოვის" უპირატესობა, რამაც განაპირობა სოფლის მეურნეობის მრავალდარგობრიობა. ამიტომ ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, მკაფიოდაა გამოხატული ბარული, ნახევრად მთური და მთიური მიწათმოქმედება. აქ ბარის ვრცელი სახნავ-სათესების გარდა, დამახასიათებელი იყო მცირე ზომის სახნავები მთებში.

**სამცხე-ჯავახეთის ტრადიციული ბუნებათსარგებლოების ტიპები
ვერტიკალური ზონალობის მიხედვით**

ლანდშაფტები	აბსოლუტური სიმაღლეები, მ	ორგოგრაფიული ერთეულები	მცენარეული საფარი	მეურნეობის ტრადიციული დარგები	მეურნეობის თანამედროვე ტიპი
მთის ქვაბულების	900-1000	ახალციხის ქვაბულის ფსკერის ცენტრალური ნაწილი	სტეპები	ტერასული მინათმოქმედება (მევენახეობა, მებაღეობა) მემინდვრეობა მებოსტნეობა	მემინდვრეობა მებოსტნეობა
მთის ქვაბულების	1200-1300	ახალციხის ქვაბულის შედარებით მაღალი ფერდობები	სტეპები	ტერასული მინათმოქმედება (მემინდვრეობა)	მემინდვრეობა
მაღალი პლატოს	1400-2100	ახალქალაქის პლატო	სტეპები	მესაქონლეობა, მეფუტკრეობა	მესაქონლეობა მემარცვლეობა მეკარტოფილეობა მებოსტნეობა
ქვედა მთის ტყის	900 (1000)-1200 (1400)	აჭარა-იმერეთის, თრიალეთისა და არსიანის ქედები	მუხნარ-რცხილნარები	ტერასული მინათმოქმედება (მევენახეობა, მეხილეობა) მეტყვეობა	მეტყვეობა მებაღეობა (შეზღუდულად)
საშუალო მთის ტყის	1400-1800 (2000)	აჭარა-იმერეთის, თრიალეთისა და არსიანის ქედები	ნიფლნარები, ნაძვნარ-სოჭნარები	მეტყვეობა	მეტყვეობა
საშუალო მთის	1600-1900	ერუშეთის მთიანეთი	სტეპი და არიდულიმეჩხერიტყე	ტერასული მინათმოქმედება (მევენახეობა, მეხილეობა, მემინდვრეობა)	მესაქონლეობა მეცხვარეობა მეკარტოფილეობა
მაღალი მთის	1800 (2000) და ზემოთ	მთიანეთები	სუბალპური და ალპური მდელოები	მეცხვარეობა	მეცხვარეობა

სამეურნეო თვალსაზრისით, თითოეულ ამ ზონას სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო გამოყენება ჰქონდა. აბსოლუტური სიმაღლის ზრდის შესაბამისად იცვლებოდა რა ბუნებრივი პირობები, მნიშვნელოვნად იცვლებოდა მეურნეობის ფორმებიც. ცხადია, სამეურნეო ათვისების ვერტიკალური ზონალობა დღემდე არსებობს, თუმცა მცირედ სახეცვლილი ფორმით.

მცირეაზიური ტრიტონი (Triturus vittatus) – ამფიბია სალამანდრისებრთა ოჯახიდან. იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგომი სახეობაა. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება ბორჯომის ხეობაში, ზ.დ. 2750 მ სიმაღლეზე. ბინადრობს ტბებში, გუბურებში, ჭაობებში. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც გამქრალი ან მიუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობა.

მცირე კავკასიონი – მათა სისტემა სამხრეთ კავკასიაში. გადაჭიმულია შავი ზღვიდან მდ. არაქსის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი, სომხეთსა და აზერბაიჯანში) ხეობამდე. უმაღლესი მწვერვალია მ. ყაფუჯიხი (ზანგეზურის ქედი, სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე, 3908 მ). საქართველოს ფარგლებში შემოდის მცირე კავკასიონის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. აქ მისი უმაღლესი მწვერვალია ყანლის მთა (სისხლისმთა, არსიანის ქედზე – 2986 მ).

მცირე კბილთერა (Crocidura suaveolens) – მწერიჭამია ბიგისებრთა ოჯახიდან. სამცხე-ჯავახეთში ბინადრობს აბასთუმნის მიდამოებში, ზ.დ. 2200 მ სიმაღლეზე. ეგუება სხვადასხვა გარემო



მცირე კბილთაიურა

პირობებს. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი სახეობა, რომელსაც ჯერჯერობით არ ემუქრება გადაშენება, მაგრამ იმდენად მცირეა რაოდენობით, ან იმდენად მცირე ტერიტორიაზე გვხვდება, რომ შესაძლებელია სწრაფად გადაშენდეს.

მწვანე მთა – მთა ჯავახეთის ქედის დასავლეთ ფერდობზე, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.


მწვანე მონასტერი, ჩითახევის წმინდა გიორგის მონასტერი – მამათა მონასტერი, სამეკლესიანი ბაზილიკა (IX ს.) ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩითახევიში, დაბურულ ტყეში. სამონასტრო კომპლექსში შედის ბაზილიკის ტიპის ეკლესია და ორსართულიანი სამრეკლო (XV-XVI სს.), რომელიც კარგადაა შემონახული.

მდ. ბორჯომულა შავწყალას (Чёрная река, Чёрная) სახელითაა აღნიშნული ანუ ისე, როგორც მას XIX საუკუნეში და მის უადრეს პერიოდში უწოდებდნენ.



9242. Боржомь. Слияние рьвъ Куря съ Черной. 95.

მდ. ბორჯომულას შეერთება მტკვართან, ერმაკოვის ფოტო ფოტო: თსუ გეოგრაფიის მუზეუმი



38 1816. ს. ვახტანგის მემორიალი. მდ. ბორჯომულა. ერმაკოვის ფოტო. 7

სიღი მდ. მტკვარზე ერმაკოვის ფოტო ფოტო: თსუ გეოგრაფიის მუზეუმი

ნ

ნადირობა სამცხე-ჯავახეთში – მეურნეობის დარგი სამცხე-ჯავახეთში. ოდითგანვე სამცხე-ჯავახეთში მრავალი გარეული ცხოველი ბინადრობდა – ირემი, შველი, გარეული ღორი, დათვი, კურდღელი, მელა, ტურა, არჩვი, გარეული თხა, ფრინველებიდან – კაკაბი, ტყის ქათამი, სავათი, გნოლი, მტრედი, გვრიტი, შაშვი, ჩხიკვი, ჩხართვი, მიმინო, ქორი, შევარდენი, გარეული ბატი, გარეული იხვი და სხვ. ამიტომ ნადირობა, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში განვითარებული იყო, თუმცა თ. ჩიქოვანის აზრით, იგი „სარენაო ხასიათს არ ატარებდა. იგი ძირითადად გასართობი და სპორტული მნიშვნელობის იყო. მართალია, ნანადირევი სახლში მიჰქონდათ, მაგრამ საბაზროდ არასდროს ქცეულა“. უკანასკნელ ათწლეულებში ცხოველებზე ნადირობამ, ტერიტორიის სამეურნეო ათვისებამ და ეკოლოგიური ნიშის მოსპობა, აგრეთვე ქიმიკატების ფართოდ გამოყენებამ კატასტროფულად შეამცირა მხარის ნადირ-ფრინველთა რაოდენობა.

ნავარძიევი – ნასოფლარი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოს დასავლეთ ნაწილში, სოფლებს აფნიასა და ქარცებს შორის ტერიტორიაზე. გავერანებული სოფელი ჯერ კიდევ 1933 წელს აღნუსხა აქ ნ. ბერძენიშვილმა.

ნავარძიევის ტერასები – ტერასები ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. აფნიის თავზე, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე.

ნავენახარი – ადგილი სოფელ გურკელში, აჭარა-იმერეთის ფერდობის სამხრეთ კალთაზე, ახალციხის მუნიციპალიტეტი.

ნაზერები – ადგილი სოფ. არალში, ადიგენის მუნიციპალიტეტში.

ნაისა – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავნის მარჯვენა მხარეს, სოფ. ჩუნჩხასთან.

ნაისა – იხ. ჩუნჩხის ეკლესია.

ნამდვილი ასლი (Triticum dicoccum) – ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე, საზაფხულო ხორბლის ჯიში, ნეოლითური ხანის კულტურა. მდგრადია სოკოვანი დაავადებების მიმართ. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება ასპინძისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე.

ნამნიაური – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, მოხის თემის საკრებულოში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ზ.დ. 1570-1620 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 13 კმ მანძილზე, ქ. ახალციხიდან 42 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 148, რიცხოვნობა უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002).

ნანადირი, ნანაზირი, „ბებიას მსხალი“ (Pyrus communis) – მესხური მსხლის ჯიში. ფართოდ გავრცელებულია მესხეთში. გვხვდება შიდა ქართლშიც. სრულ მსხმოიარობაში შედის მე-8-10 წელს. ნაყოფი საშუალო ზომისაა, ბოთლისებრი, მოყვითალო, სქელკანიანი, მზის მხარეს ბაცი ვარდისფერი. რბილობი ტკბილი და წვნიანია. საშუალო მოსავლიანია (იძლევა 230 კგ, ცალკეული ხეები – 600 კგ მოსავალს). ინახება მცირე ხანს და სუსტად ტრანსპორტაბელურია. გამძლეა დაავადებების მიმართ.

ნაოხრები – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, წყალთბილის თემში, ახალციხის ქვაბულში, მდ. ფოცხოვის ხეობაში, ზ.დ. 1115-1300 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან სამხრეთ-დასავლეთით

19 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 748 კაცი, უპირატესი ეროვნება (98 %) – სომეხი (2002). სოფელში მურა ნახშირის საბადოა.

ნაოხრების ეკლესია – ერთნავიანი ეკლესია ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაოხრებში. ძველი ეკლესია, რომელსაც ადგილობრივები მორენიას ეძახდნენ, ნაგები ყოფილა თლილი ქვით. ძველი ეკლესიის საძირკველზე ააგეს ახალი ეკლესია. შემორჩენილია ნანგრევები. სოფლის თავზე, შემადლებულ ადგილას, 1 კმ მანძილზე მეორე ეკლესიაა.

ნაოხრების მენყერი – მენყრული სხეული ახალციხის ქვაბულში, სოფ. ნაოხრების ჩრდილო-დასავლეთით 1 კმ მანძილზე, ახალციხის ქვაბულში, მდ. ფოცხოვის მარცხენა ნაპირას. განვითარებულია 5-15⁰ დახრილობის ჩრდილო-დასავლური ექსპოზიციის ფერდობზე, რომელიც აგებულია ოლიგოცენის გათიხებული ტუფობრექჩიებითა და თიხებით, გადაფარებული დელუვიურ-პროლუვიური თიხებითა და თიხნარებით. მენყრული სხეულის სიგრძეა 120 მ, სიგანე – 200 მ, სიმაღლე – 2-4 მ-დან 10 მ-მდე. მენყერი მცოცავი ტიპისაა, დროებით სტაბილური.

ნარიანი – ვაკე-ქვაბული აბულ-სამსრის ქედზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

ნაქალაქევი – თერმული (+39-42⁰C) მინერალური წყაროები ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაქალაქევთან. მიეკუთვნება ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმთან ჯგუფს, დღეღამური დებიტია 20-22 ლ/წმ, საერთო მინერალიზაცია – 12.0 გ/ლ. შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს – ბრომს, იოდს, რკინას და სხვ. დამახასიათებელია მარილების ინტენსიური გამოლექვა. გამოიყენება სასმელად და სააბაზანო პროცედურებისათვის.

ნაქალაქევი – საკურორტო ადგილი ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, დაბა ასპინძიდან სამხრეთით 54 კმ მანძილზე. კლიმატი საშუალო მთის ტიპისაა. ზამთარი რბილი (იანვრის საშუალო ტემპერატურა – -2.2⁰C) და მცირეთოვლიანი, ზაფხული თბილი (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა – +20.3⁰C) და ზომიერად მშრალი. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობაა 400-600 მმ. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია თერმული მინერალური წყარო.

ნაქალაქევი – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1130-1360 მ სიმაღლეზე, დაბა ასპინძიდან 24 კმ მანძილზე, თემის ცენტრი, ბალნეოლოგიური კურორტი. მიდამოები უტყეოა. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 476. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (99 %) ქართველია (2002). არის ტემენიტის საბადო.

ნაქალაქევის თემის საკრებულო – საკრებულო ასპინძის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ნაქალაქევი, თმოგვი, მირაშხანი და ფია. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1213 კაცი (2002).

ნაქალაქევის მენყერი – მენყრული სხეული ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, სოფ. ნაქალაქევთან, ნაქალაქევის ქვაბულში. განვითარებულია ტუფებით და ტუფობრექჩიებით აგებულ წყებაში (გოდერძის წყება). მენყრული სხეულის სიგრძეა 5 კმ, სიგანე – 5 კმ.

ნაქალაქევის ტერასები – უკედლო ტერასები ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, სოფ. ნაქალაქევთან.

ნაქალაქევის ტემენიტის საბადო – საბადო ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაქალაქევთან.

ნაქალაქევის ქარვასლა და ქულბაქები – მდებარეობდა ასპინძის მუნიციპალიტეტში.

ნაქურდები – მინერალური წყარო ადიგენის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება აზოტოვან სულფატურ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმთან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 0.9 გ/ლ.

ნაქურდები – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. აბასთუმნისწყლის ხეობაში, ზ.დ. 1160-1670 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 20 კმ მანძილზე, ბენარის თემში. შემორჩენილია XIX საუკუნის მეჩეთი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 119, რომელთა 92 % ქართველია (2002).


ნაღველა, ასისთავა (Gentiana septemfida) – მრავალწლიანი, იშვიათი სამკურნალო, დეკორატიული მცენარე. მისი სიმაღლეა 0.25 მ-დე. ყვავილობს ივლის-ოქტომბერში. გვხვდება სუბალპურ და ალპურ მდელოებზე. შეუძლია ზრდა ნახევრად დაჩრდილულ (მეჩხერი ტყე) ან ღია ადგილებში, უპირატესად ტენიან ნიადაგებზე. დგას საფრთხის წინაშე დიდი რაოდენობით შეგროვების გამო.



ნაღველა. „ელკანა“

ნაჩეხი ტყე – ადგილი ასპინძის სოფელ ჭობარეთსა და ახალციხის სოფელ ხეოთს შორის. ერთ დროს აქ ტყის მასივი ყოფილა, რომელიც ყანისათვის გაიჩეხა.

ნაძვი – იხ. აღმოსავლური ნაძვი.



ნაძვის დიდი ლაფანჭამია

ნაძვის დიდი ლაფანჭამია (Dendroctonus micans) – ნაძვის მავნებელი, რომელიც განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ბორჯომის ხეობის წინვან ტყეებში XX საუკუნის II ნახევარში. მან დიდი ზიანი მიაყენა ბორჯომის ხეობის და საერთოდ, საქართველოს ნაძვნარებს. მავნებლის წინააღმდეგ გამოიყენეს მისი ბუნებრივი მტერი, ენტომოფაგი – დიდი რიზოფაგუსი (*Rhizophagus grandis*), რომელიც შემოიყვანეს ჩეხოსლოვაკიიდან. ლაფანჭამიით დასახლებულ კორომებში მისი ჩასახლებით მავნებლის რიცხოვნობა მავნეობის ზღვარს დაბლა დაეცა.

ბორჯომის ხეობაში 2008 წლის ხანძრის შედეგად განადგურდა ნაძვის დიდი ლაფანჭამია და მისი ბუნებრივი მტერი რიზოფაგუსიც. როგორც ფიქრობენ, მოსალოდნელია ნაძვის დიდი ლაფანჭამიის კვლავ მასობრივი გამრავლება, ხოლო რიზოფაგუსს, როგორც არააბორიგენულ არსებას, გამრავლების არასახარბიელო პირობები გააჩნია.

ნაძვნარები – იხ. აღმოსავლური ნაძვი.

ნეძვი – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმთან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია – 3.3 გ/ლ.

ნეძვის მონასტერი – მონასტერი (IX ს.) ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალდაბიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 12 კმ მანძილზე. ნაგებია რუხი ფერის ქვით. ეკლესიის თავდაპირველი გეგმით გამოვლინდა, რომ იგი საქართველოში დღემდე ცნობილ სამეკლესიან ბაზილიკათა შორის უდიდესი ყოფილა. მონასტერი დააარსა გრიგოლ ხანძთელის ერთ-ერთმა მოწაფემ – თედორემ: „*პოვნეს ორნი ადგილნი სამონასტრედ და აღაშენეს სენაკები ორგანვე. და უწოდეს თევდორჳს ვანსა ნეძჳ, ხოლო ქრისტეფორჳსსა კჳრიკე-წმიდაჲ, და მონაფენი დაუტევენეს*“. მიდამოებში საფლავის

ქვეები, ხოლო მონასტრის შესასვლელში ჩამოკიდებულია ზარი მხედრული წარწერით. შემორჩენილია ნანგრევები. სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს სიტყვა „ნაძვი“-დან, ვინაიდან იგი მდებარეობს ნაძვნარში. 1060 წელს აქ უცხოვრია ათონის ლავრიდან ჩამოსულ გიორგი მთაწმინდელს.

ნეძვისწყალი, ნეძურა – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტებში, მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი. მტკვარს უერთდება დაბა ახალდაბასთან. სათავე აქვს ზ.დ. 2100 მ სიმაღლეზე. მდინარის სიგრძეა 13 კმ. მარცხენა შენაკადებია: გვირგვინასწყალი, ხერგულეებისწყალი, ქექიასწყალი, ხოლო მარჯვენა შენაკადები: კარტისწყალი და ნიფლარისწყალი. მდინარის ხეობაში გაბატონებულია კოლხური რელიქტური სახეობების სიმრავლით გამოირჩეული ნიფლნარი და ნიფლნარ-მუქნიწვიანი ტყეები, რითაც იგი განსხვავდება თრიალეთის ქედის დანარჩენი, მისგან აღმოსავლეთით მდებარე ნაწილისაგან. იგი უფრო მეტ მსგავსებას იჩენს დასავლეთ საქართველოს მცენარეულ საფართან. ნიფლის გარდა, აქ გვხვდება ნაბლი (*Castanea sativa*), უხრავე (*Ostrya carpinifolia*), ურთხელი (*Taxus baccata*) და სხვ. მარადმწვანე ქვეტყიდან დამახასიათებელია შქერი (*Rhododendron ponticum*), წყავი (*Laurocerasus officinalis*) და სხვ. ხშირია ლიანებიც.

ნეშომოპალა-კარბონატული ნიადაგები (Leptosols Rendzic) – ნიადაგის ტიპი. სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია მცირე ფრაგმენტების სახით, უმთავრესად სამცხის ტერიტორიაზე – სოფლების ვალეს, ზანავის, უდეს, ჭობარეთისა და სხვათა მიდამოებში. გვხვდება ტყის ყავისფერ ნიადაგებთან კომპლექსში და ძირითადად დაკავშირებული არის კირქვებისა და მერგელიან-თიხნარი ნაფენების გავრცელების ადგილებთან. ხასიათდება ჰუმუსის მცირე რაოდენობით, კარბონატულობით (ზედაპირიდანვე), ძლიერი ხირხატიანობით. გამოუყენებელია სოფლის მეურნეობაში.

ნაძვნარ-სოჭნარები – იხ. მუქნიწვიანი ტყეები.

ნიადაგური საფარი სამცხე-ჯავახეთის – მხარის ნიადაგური საფარი მეტად მრავალფეროვანია. შედარებით დაბალ ჰიფსომეტრიულ საფეხურებზე განვითარებულია მდელოს ყავისფერი და ალუვიური კარბონატული ნიადაგები. აჭარა-იმერეთის, არსიანისა და ერუშეთის ქედების მთისწინეთში რუხ-ყავისფერი ნიადაგებია, ხოლო მთის კალთებზე, ტყიან ზოლში ქვედა სარტყელში – ტყის ყავისფერი და ზედა ზოლში – ტყის ყომრალი და გაენრებული ტყის ყომრალი ნიადაგები. ჯავახეთის ზეგანზე მთის შავმიწებია ფორმირებული, რომლებიც საკმაოდ მაღალნაყოფიერი ნიადაგებია. მაღალი მთის სარტყელში, ზ.დ. 2000 მ-ის ზემოთ მთა-ტყე-მდელოსა და მთა-მდელოს ნიადაგებია. ერუშეთის მთიანეთზე, ამავე ჰიფსომეტრიულ საფეხურებზე, მთა-მდელოს შავმიწისებრი ნიადაგებია გავრცელებული. ციცაბო ფერდობებზე და ძლიერი ანთროპოგენური ზემოქმედების პირობებში ნიადაგები ბევრგან ჩამორეცხილი და დეგრადირებულია.

ნიალისყურის ქედი, ჩრდილის ქედი, ჩილდირის ქედი, გიოქთაფის მალლობი – ქედი სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთის ზეგნის სამხრეთ ნაწილში, საქართველოსა (ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები) და სომხეთ-თურქეთის საზღვარზე. მისი უდიდესი ნაწილი საქართველოს ფარგლებს გარეთაა მოქცეული. უმაღლესი მწვერვალია სამთავა (უჩთაფალარი – 3011 მ). ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს: „... არს მთა ესე სრულიად უტყეო, ბალახ-შამბყვავილიანი და წყაროიანი, ხოლო ფოსოს კერძონი და წყაროს-თავის კერძო მტკვრამდე – ტყიანი, ნადირიან-ფრინვლიანი“.

ნიალისყურის ფიზიკურ-გეოგრაფიული ქვერაიონი – ჯავახეთის ზეგნის ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონის უკიდურესი სამხრული ნაწილი. ვრცელდება ნიალისყურის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე.



ყარყატის გუდა ქ. ნინოწმინდასთან

ნინოწმინდა, ბოგდანოვკა, ხოჯაბეგი – ქალაქი, ზ.დ. 1910-1965 მ სიმაღლეზე, ქ. თბილისიდან 167 კმ მანძილზე. სახელწოდება „ბოგდანოვკა“ უკავშირდება XIX საუკუნეში რუსი სექტანტების აქ დასახლებას. 1991 წელს დაუბრუნდა ძირძველი ქართული სახელი – ნინოწმინდა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 6.2 ათ. კაცი (2014).

ნინოწმინდის მეტეოსადგური – იხ. ბოგდანოვკის მეტეოსადგური.



ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული სამხრეთ საქართველოში, სამცხე-ჯავახეთში. 1917 წლამდე შედიოდა ტფილისის გუბერნიის ახალქალაქის მაზრაში, 1917-1930 წლებში – ახალქალაქის მაზრაში, 1930 წლიდან აღნიშნულ მაზრას გამოეყო გორელის სახელით, 1933 წლიდან – ბოგდანოვკის რაიონია, ხოლო 2006 წლიდან – ნინოწმინდის. მუნიციპალიტეტის ფართობია 1354 კმ².

მის შემადგენლობაშია 1 ქალაქი (ნინოწმინდა), 9 სოფლის საკრებულო (განძის, დიდი კონდურის, გორელოვკის, დიდი ხანჩალის, ეშტიის, სათხის, ტამბოვკის, ფოკისა და ჯიგრაშენის) და 31 სოფელი. მოსახლეობის უმეტესობა (95.5 %) სომეხია. ცხოვრობენ რუსები (3 %), ქართველები (1.4 %) და სხვ. ქართველები ჭარბობს 1 სოფელში (სპასოვკა), სომხები 29 სოფელში, ხოლო რუსები – 1 სოფელში (გორელოვკა). მოსახლეობის რიცხოვნობა – 34.9 ათ (2014).

ნინოწმინდის რაიონი – იხ. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი.

ნინოწმინდის საბრძოლო დიდების მუზეუმი – მუზეუმი ქ. ნინოწმინდაში. დაცულია II მსოფლიო ომის მასალები, 1940-50-იანი წლების და მის შემდგომი პერიოდის, სხვადასხვა ეთნოგრაფიული და პერიოდიკული მასალა.

ნინოწმინდის სეისმური სადგური – მუდმივი სეისმური სადგური ქ. ნინოწმინდაში, ზ.დ. 1978 მ სიმაღლეზე (41.2645°N; 43.5986°E). ფუნქციონირებს 2009 წლიდან.

ნიჯგორი – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ხიზაბავრის თემში, მდ. მტკვრის ხეობაში, ზ.დ. 1400-1450 მ სიმაღლეზე, დაბა ასპინძიდან 9 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 375. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (97 %) – ქართველი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის



ნიჯგორი

N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. შემორჩენილია წმ. გიორგის სახელობის ეკლესია და ნასოფლარი. სახელწოდება ძველი ქართულია და ნიშნავს „საისრე დიდი კარპაჭი“. დ. ჩუბინაშვილის განმარტებით კი იგი არის „დიდი ქარქაში ხმალთა“.

ნიჯგორის ეკლესია – ბაზილიკა სოფ. ნიჯგორში, ასპინძის მუნიციპალიტეტში.

ნოტიოდან ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი კლიმატური რაიონი ცივი ზამთრითა და მოკლე

ზაფხულით – მოიცავს არსიანისა და აჭარა-იმერეთის ქედების აღმოსავლეთ და სამხრეთ ფერდობებს, ზ.დ. 1600-2400 მ სიმაღლით დიაპაზონში. იანვრის საშუალო ტემპერატურა მერყეობს -6°C -სა და -9°C -ს შორის, ხოლო ივლის-აგვისტოში 10°C -სა და 14°C -ს შორის. ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი შეიძლება დაეცეს -2°C -დან -30°C -მდე, აბსოლუტური მაქსიმუმი 30°C -მდე აღწევს. ყინვები შესაძლებელია ზაფხულის თვეებშიც. 1-3 თვე საშუალო ტემპერატურა 10°C -ზე მაღალია. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობაა 900-1300 მმ. მაქსიმუმია გაზაფხულის დასასრულსა და ზაფხულის დასაწყისში. მდგრადი თოვლის ხანგრძლივობა 5-7 თვეს შეადგენს. უდიდესი სიმაღლე მას აქვს აპრილში და 1 მეტრამდე აღწევს.



ნოტიო ზღვიურიდან ზომიერად ნოტიო კონტინენტურზე

გარდამავალი მთის კლიმატური რაიონი ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი ზაფხულით – კლიმატური რაიონი მოიცავს აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობებსა, არსიანის ქედის აღმოსავლეთ ფერდობს და თრიალეთის ქედის დასავლეთ ნაწილს (ბორჯომ-ბაკურიანის ფარგლებში), ზ.დ. 900 მ-დან 1800 მ სიმაღლით დიაპაზონში. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გამყოფი ქედების



ფერდობები რაიონის ტერიტორიისაკენ არ არის ძლიერ დახრილი, ამიტომ დასავლეთიდან გადმონაცვლებული ზღვიური ჰაერის მასები განიცდის შედარებით მცირე ტრანსფორმაციას და ძირითადად ინარჩუნებს თავის თვისებებს. აქ კლიმატი მცირედ კონტინენტურია და უფრო თბილია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენ რაიონებში. იყოფა 2 კლიმატურ ქვერაიონად: 1) ბორჯომ-ბაკურიანისა და 2) არსიანის ქედის აღმოსავლეთ ფერდობი და ახალციხე იმერეთის ქედის სამხრეთი ფერდობი.

ნუა – ყოფილი სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. ბორჯომულის შესართავთან მტკვართან. ვახუშტი ბაგრატიონს აღნიშნული აქვს რუკაზე ამავე ადგილას როგორც პატარა სოფელი. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ მიხედვით უკვე დაცარიელებული სოფელი.

ნუას ციხე – ციხე ბორჯომის მუნიციპალიტეტში.



ობოლეთის ეკლესია – ეკლესია (X-XI სს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიზაბავრიდან 7.5 კმ მანძილზე.

ობეთი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, გუჯარეთის თემის საკრებულოში, გვირგვინას ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდ. გუჯარეთისწყლის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1560-1660 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 37 კმ მანძილზე. სოფელი დაცარიელებულია. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერით სოფელში არ არის მუდმივი მოსახლეობა.

ობეთი – ნასოფლარი და „ღვთისმშობლის ხატის“ ეკლესიის ნანგრევები ბორჯომის მუნიციპალიტეტში. ეკლესია ნაგებია დიდი ლოდებით. მოიცავს ოთხკუთხედ ოთახსა და კოშკისებრ მომრგვალებულ ნაგებობას.

ოთა, ოთისწყალი, სანისლო – მდინარე თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი. მისი სიგრძეა 21.1 კმ, აუზის ფართობი – 76.1 კმ². წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულზე. ლანდშაფტური თვალსაზრისით, მეტად საინტერესო ადგილია მდ. ოთის ზემო წელის ხეობაში (ასპინძის მიდამოები), სადაც ხეობის სამხრეთ ფერდობზე ფრიგანაა გავრცელებული, ხოლო ჩრდილოეთ ფერდობზე – წიწვიანი ტყეები. ასეთი მკვეთრი ექსპოზიციური სხვაობა დატენიანების მეტად განსხვავებულ პირობებს უკავშირდება.

ოთა – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ახალციხის ქვაბულის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარეების ოთისა და ჯაბიეთის შესართავთან, ოთის ორივე მხარეს, ზ.დ. 1280-1400 მ სიმაღლეზე, დაბა ასპინძიდან ჩრდილო-დასავლეთით 7 კმ მანძილზე, თემის ცენტრი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 375, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (99 %) ქართველი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. სოფელში დგას ოთის ციხე, მის სიახლოვეს კი – შორეთის ციხე. ოთის ხეობა მერქნიანი მცენარეების სიუხვით იყო ოდითგანვე გამორჩეული. მაგრამ ადამიანმა ის გაანადგურა. ალ. ფორნელი წერდა: „რადგან სანვაკი შეშა-ფიჩხი არ მოიპოვება ადგილობრივ, ჯავახნი იძულებულნი არიან, ხის მასალა შორიდან მიიტანონ სახლ-კარის ასაშენებლად. ხის მასალა გამოაქვთ ბორჯომის, ოთისა და ზემო ოშორის ტყეებიდან... დიდ შრომასა და ჯაფას აძლევს ჯავახი ხის მასალის მოტანას. ერთი ხის მოტანას ყვეარი ხარით და ურმით ექვსა და რვა დღეს უნდება ხოლმე“.

ოთის სოფლის საკრებულო – საკრებულო ასპინძის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფელია ოთა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 375 კაცი (2002).

ოთის ციხე – ციხე (განვ. შუა სს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. ოთის ხეობაში.

ოკამი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. ოკამის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ზემო წელში, ზ.დ. 1730-1765 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან სამხრეთ-დასავლეთით 18 კმ მანძილზე, თემის ცენტრი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 552, მათი უმრავლესობა (78 %) ქართველია. ცხოვრობენ აგრეთვე სომხები (21 %) (2002). ძველად საკათალიკოსო სოფელი ყოფილა. შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები. აქ აჭარიდან ჩასულმა ეკომიგრანტებმა ააგეს ორსართულიანი მეჩეთი.



ტერასა სოფ. ნიჰგორში

ოკამის თემის საკრებულო – საკრებულო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ოკამი, აზმანა და ქარცები. მოსახლეობის რიცხოვნობა – 833 (2002).

ოკიუზდალი, ოკუზდალი, ოქიუზდალი – მთა ნიალისყურის აღმოსავლეთ დაბოლოებაზე, ჯავახეთისა (ნინოწმინდის რაიონი) და სომხეთის რესპუბლიკის საზღვარზე, ზ.დ. 2442 მ სიმაღლეზე.

ოლადის ქვაბნი – ყოფილი სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს.

ოლადის ქვაბნის ეკლესია – ეკლესია ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, ოლადის ქვაბნის ნასოფლარში.

ოლავერდი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ზაკვის თემის საკრებულოში, ახალქალაქის პლატოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მდ. ოლავერდის (ფარავნის აუზი) ნაპირას, ზ.დ. 1900-1940 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 14 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 897, რიცხობრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა.

ოლოდა – მონასტერი, ციხე, ასპინძის მუნიციპალიტეტში.

ოლოდა, ოლოდას წყლები – მინერალური წყლები ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ვარძიის სიახლოვეს. შემადგენლობით ახლოს არის ურაველის წყაროებთან. მიეკუთვნება ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-მაგნიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია – 2.9 გ/ლ.

ონდატრა (Ondatra zibethicus) – ძუძუმწოვარი, მღრნელი, რომელიც გაამრავლეს კარნახის ტბის მიდამოებში. ნახევრად წყლის ცხოველია. 1980-იან წლებში აქედან გავრცელდა ჯავახეთის თითქმის ყველა ტბაში.

ორალი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, პამაჯის თემის საკრებულოში, ახალციხის ქვაბულში, ზ.დ. 1280-1380 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 14 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა

– 324. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (99 %) ქართველია (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა.

ორბი (Gyps fulvus) – ფრინველი ქორისებრთა ოჯახიდან. სპორადულად გავრცელებული ფრინველია. ასევე მცირეაა გავრცელებული სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე. ბინადრობს მშრალ და ღია ადგილებში. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი სახეობა, რომელსაც ჯერჯერობით არ ემუქრება გადაშენება.



ორბი

ორგორა – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ერუშეთის მთიანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1240-1310 მ სიმაღლეზე, დაბა ასპინძიდან დასავლეთით 9 კმ მანძილზე, თემის ცენტრი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 161, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (99 %) ქართველია (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. სოფლის სიახლოვეს არის ბაზალტისა და ვულკანური წიდის საბადოები.

ორგორის ბაზალტის წიდა – ბაზალტის წიდის გამოსავალი ასპინძის მუნიციპალიტეტში.

ორგორის თემის საკრებულო – საკრებულო ასპინძის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ორგორა, საყუდაბელი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 341 კაცი (2002).

ორთათავი – მთა თრიალეთის ქედზე, ასპინძისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების საზღვარზე.

ორთულდალი – მთა ჯავახეთის ზეგანზე, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

ორი ძმა – მთა აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ შტოქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ დაბოლოებაზე, ადიგენის მუნიციპალიტეტში.

„ორი ძმის კოშკი“ – ორი კოშკი ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფხეროში, ამაღლებულ ბორცვზე. შემორჩენილია ნანგრევები.





ღია კარიერი სოფ. ორლოვკასთან

ორლოვკა, არლოვკა, ტერპენიე, ახმა, მამისსოფელი – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, გორელოვკის თემის საკრებულოში, მდ. ბულდაშენის მარცხენა ნაპირას, ზ.დ. 2034-2060 მ სიმაღლეზე, ქ. ნინოწმინდიდან 8 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 337, მათი უმრავლესობა (60 %) – სომეხი, რუსები – 37 % (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. დუხობორები აქ დასახლდნენ 1841 წელს, რაზეც მეტყველებს საფლავის ქვა სოფლის სასაფლაოზე. სწორედ რუსი სექტანტების XIX საუკუნეში აქ დასახლების შემდეგ წარმოიქმნა რუსეთის გუბერნიების ქალაქ ორლოვის პარალელური სახელი: „ორლოვკა“. სოფლის ქართული სახელია „მამისსოფელი“.

ორლოვკის ეკლესია – ეკლესია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

ორლოვკის სარწყავი არხი – მდ. ბულდაშენის მარცხენა მხარეზე. სარწყავი ფართობი – 200 ჰა.

ორლოვკის ტბა, ახმაზი – ტბა ჯავახეთის ზეგანზე, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

ორმოცის კოშკი – კოშკი ასპინძის მუნიციპალიტეტში.

ოროჯოღარი, ორჯალარი, ორჯანი – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სათხის თემში, მდ. ფარავნის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1860-1900 მ სიმაღლეზე, ქ. ნინოწმინდიდან 5 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1406, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). შემორჩენილია XIX საუკუნის სომხური უგუმბათო ეკლესია. ძველად აქ ორი სოფელი ყოფილა – ქვემო და ზემო ორჯა. შემდგომ მას თურქულად „ორჯა-ლარ“ დაერქვა. „ოროჯოღარი“ თურქულენოვანი ტოპონიმია და თურქეთიდან გადმოსახლებულმა სომეხმა მოსახლეობამ დაამკვიდრა. სოფლის ქართული სახელია „ორჯანი“.

ოროჯოღარის მეტეოსადგური – მეტეოროლოგიური სადგური ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სათხის თემის საკრებულოში, მდ. ფარავნის მარცხენა ნაპირზე, ზ.დ. 1847 მ. სიმაღლეზე. ნინოწმინდიდან დაშორებულია 5 კმ მანძილზე. მეტეოროლოგიურ სადგურზე დაკვირვებები წარმოებდა 1948-1989 წლებში.

ორპირი – მდინარე ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. აბასთუმნისწყლის მარჯვენა შენაკადი.

ორჭოშანი – ნასოფლარი ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. ფოცხოვის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1240-1260 მ სიმაღლეზე, დაბა ვალედან სამხრეთ-დასავლეთით ყოფილი საავტომობილო გზის მახლობლად.

ორჯა – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სათხის თემის საკრებულოში, მდ. ახალქალაქის პლატოს ჩრდილოეთ ნაწილში, არაკვის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1620-1880 მ სიმაღლეზე, ქ. ნინოწმინდიდან 5 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 778, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები.

ორჯას ეკლესია – დარბაზული ეკლესია ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

ორჯალარის სომხური ეკლესია – ეკლესია (XIX ს) სოფ. ორჯალარში.

ორჯოლარის ჰიდროლოგიური სადგური – ჰიდროლოგიური სადგური მდ. ფარავანზე, ზ.დ. 1847 მ სიმაღლეზე. აუზის ფართობია 1010 კმ². დაკვირვების წლები – 1936-1989.

ოსიეთი, ოსიძე – ნასოფლარი ადიგენის მუნიციპალიტეტში, დაბა ადიგენიდან ჩრდილო-დასავლეთით, ზ.დ. 1475-1535 მ სიმაღლეზე. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ იგი ოსიძის სახელით იხსენიება.

ოსპანაური – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიზაბავრის ტერიტორიაზე. შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები.

ოქროსქვაბის მღვიმე – ბრინჯაოს ხანის ნივთების კოლექცია, მიკველეული სოფ. ბალანთასთან (ბორჯომის მუნიციპალიტეტი).

ოქროს ციხე, დიდი ციხესიმაგრე, თამარის ციხე – ქართული ხუროთმოძღვრების ციხესიმაგრე (XIII-XIV სს., გადაკეთ. რამდენჯერმე) ადიგენის მუნიციპალიტეტში, ფხერის თემში, მდ. ქვაბლიანის მარცხენა მხარეს, სოფ. შოყადან დაახლოებით 2 კმ მანძილზე ჩრდილო-დასავლეთით, ზ.დ. 1760



სათიბაგი სოფ. ორჭოშანთან



კლდეები სოფ. ოშორასთან

მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 15 კმ მანძილზე, კლდოვან, მიუდგომელ მასივზე. შემორჩენილია ლაპიდარული ნარნერები. საქართველოში ერთ-ერთი დიდი ციხეა, რომლის ხედვის არე 35-მდე დასახლებულ პუნქტს წვდება. ციხის ბინადართათვის წყალი მდ. ქვაბლიანიდან გვირაბით მიეწოდებოდა. ციხე იყო სამცხის ათაბაგ ჯაყელთა კუთვნილება. სტრატეგიული მდებარეობა ეკავა. XVI საუკუნიდან ოსმალეთის გამგებლობაშია. 1828-1829 რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდგომ კვლავ საქართველოს შემადგენლობაშია. ძველ რუკებსა და საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებზეც ალთუნყალის სახელითაა აღწუსებული, რაც თურქულად ოქროს ნიშნავს. ადგილობრივები მას „თამარის ციხეს“ უწოდებენ.

ოშორა – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება აზოტოვან სულფატურ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 0.2 გ/ლ.

ოშორა – მინერალური წყალი ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. ოშორას მარცხენა ნაპირზე, ზ.დ. 1300 მ სიმაღლეზე. წყლის ტემპერატურაა +28-29°C, წყაროს დღელამური დებიტი – 50 ათ. ლ. ქიმიური შედგენილობის მიხედვით, ის სულფატურ-კარბონატული და კალციუმ-ნატრიუმიანია.

ოშორა, დიდხევი – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბორჯომულას მარცხენა შენაკადი.

ოშორა – მდინარე ასპინძის მუნიციპალიტეტში, მტკვრის მარჯვენა შენაკადი.

ოშორა – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, იდუმალის თემის საკრებულოში, ახალციხის ქვაბულის აღმოსავლეთ ნაწილში, მდ ოშორის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი), ნაპირას, ზ.დ. 1150-1240 მ სიმაღლეზე, დაბა ასპინძიდან ჩრდილოეთით 8 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 637, რიცხობრივად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. შემორჩენილია ეკლესია.

ოშორა, ჩიტისკიბე – მთა თრიალეთის ქედზე, ასპინძისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების საზღვარზე.

ოშორის დენუდაციური მოწმეები – ქარისა და წყლის მოქმედებით გამოფიტული რელიეფის სხვადასხვა ფორმები მდ. ოშორის ხეობაში, ასპინძის მუნიციპალიტეტში.

ოშორის ეკლესია – ბაზილიკის ტიპის ეკლესია (XIV ს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოშორაში. დაზიანებული იყო. 2009 წელს ჩაუტარდა რესტავრაცია. შემორჩენილია ბარელიეფის, ფრესკისა და წარწერების ფრაგმენტები. ერთ-ერთ წარწერა გვამცნობს წარსულში ვაზის გავრცელებაზე: „დედაო ღმრთისაო, შენდა სამსახურად ვიყიდენ ორნი ვენახნი და სამნი ყანანი...“.

ოშორის ზვარი – ტერასები ასპინძის მუნიციპალიტეტში, ახალციხის ქვაბულის აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადის ოშორის ქვემო ნაპირზე. საშუალო დახრილობის ფერდობზე შემორჩენილია ნავენახარი ტერასები.

ოშორის ტერასები – უკედლო ტერასები ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოშორასთან, მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი ოშორის ნაპირზე.

ოცხე, ოცხისწყალი, ოცხორა – მდინარე, იხ. აბასთუმნისწყალი.

ოცხეს შრეები – შუა ოლიგოცენის წყება, რომლითაც აგებულია აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთი ფერდობი და რომელიც განლაგებულია წყრუთის წყების ქვეშ.

ოცხეს ხიდი – თაღოვანი ხიდი მდ. აბასთუმნისწყალზე, ადიგენის მუნიციპალიტეტში.

ოცხორა – მდინარე, იხ. აბასთუმნისწყალი.

ოდრახე – დაბა აბასთუმნის ძველი სახელწოდება.

ოდრხეს ციხე, ოძრახეს ციხე, „თამარის ციხე“ – ძველი ციხესიმაგრე (განვით. შუა სს.), ციხე-ქალაქი ადიგენის მუნიციპალიტეტში, დაბა აბასთუმნის სიახლოვეს, მდ. კურცხანასხევის (აბასთუმნისწყლის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში, კლდოვან შემალღებაზე. სტრატეგიული მდებარეობა ჰქონდა და კეტავდა ორ ხეობას – აბასთუმნისწყალსა და კურცხანას. ეჭირა ვრცელი ფართობი. ნაგებია ქვითკირით. შემორჩენილია ნანგრევები. სახელი უკავშირდება ლეგენდარული მამამთავრის – ოძრახოსის სახელს.

ოხერას ჰიდროლოგიური სადგური – ჰიდროლოგიური სადგური მდ. ურაველზე, აუზის ფართობი – 331 კმ², აბსოლუტური სიმაღლე – 955 მ, დაკვირვების წლები – 1953-1990.

ოხერაჭალის პრიმიტიული სარწყავი არხი – არხი სარწყავი, წყლის ხარჯია – 0.3 მ³/წმ, სარწყავი ფართობი – 38 ჰა.

ოხერის ციხე – ციხე (განვით. შუა სს.) ახალციხის მუნიციპალიტეტში.

ოჯის სატუმბავი სადგური – სატუმბავი სადგური ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. ირწყვება 51 ჰა მიწა.

ოჯორჯალი – ნასოფლარი ახალციხის მუნიციპალიტეტში, დაბა ვალესთან.



ოცხეს ჩანჩქერი, აბასთუმანი

3

პამაჯი – ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლების დიდი პამაჯისა და პატარა პამაჯის გავრცელებული სახელწოდება. სოფლის სახელწოდება წარმოიშვა 1828-1829 წლების შემდეგ, რაც სამცხე-ჯავახეთში დასახლდა თურქეთიდან გადმოსახლებული სომეხი მოსახლეობა.

პამაჯის აქატის საბადო – საბადო მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. ფოცხოვის ხეობაში, სოფ. პამაჯთან, ზ.დ. 1300-1600 მ სიმაღლეზე, ახალციხის რიკინიგზის სადგურიდან სამხრეთ-დასავლეთით 11 კმ მანძილზე. ახალციხის აქატის საბადოების ზონის სამხრეთული შტოა. წარმოდგენილია რამდენიმე უბნით; არალი, ბორბალო, გურა, ორჯანა და საძელი. საბადო ჰიდროთერმულია და უკავშირდება შუაეოცენურ პამაჯის წყებებს. აქატის წარმონაქმნები გაიდენება ზოლისებრად, სიგრძე – 1.2-1.5 კმ, სიგანე – 230-250 მ. აქატი ნაცრისფერი და მოლურჯო ფერისაა. ადვილად მუშავდება. დამუშავების შედეგად ლეზულობს სარკისებრ ზედაპირს. აქვს ტექნიკური და საიუველირო-სანაკეთო დანიშნულება.

პამაჯის თემის საკრებულო – საკრებულო ახალციხის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: პატარა პამაჯი, დიდი პამაჯი, ორალი და ყულალისი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1 740 კაცი (2002).

„პანტნარის ტაძარი“ – ადრინდელი ფეოდალური ხანის საკულტო ნაგებობა დაბა ბაკურიანში.

პანტოვნისხევი – მდინარე, იხ. კურცხანა.

პასკიას ტბა – იხ. ზრეკის ტბა.

პატარა სმადის ეკლესია – დარბაზული ეკლესია ადიგენის მუნიციპალიტეტში (ჩორჩანის მიდამოებში), სოფ. პატარა სმადში, ნაგებია თლილი ქვით.

პატარა აბული – მთა ნინონმინდის მუნიციპალიტეტში, აბულ-სამსრის ქედის სამხრეთ ნაწილში ზ.დ. 2800 მ სიმაღლეზე. ჩამქრალი ვულკანია და აგებულია პლიოცენური ანდეზიტ-დაციტური ლავებით. შემორჩენილია ანტიკური და გვიანდელი ფეოდალური ხანის ნაციხარი.

პატარა არაქალი – სოფელი ნინონმინდის მუნიციპალიტეტში, სათხის თემში, მდ. ფარავნის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1900-1960 მ სიმაღლეზე, ქ. ნინონმინდიდან 9 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 561, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება (99 %) – სომეხი (2002).

პატარა ბიეთის ციხე – ციხე ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. გურკელიდან ჩრდილო-დასავლეთით 2.6 კმ მანძილზე, მდ. წინუბნისწყლის (მტკვრის მარცხენა შენაკადი) მარჯვენა მხარეს. მთლიანადაა დანგრეული.

პატარა გონდრიო – იხ. პატარა კონდური.

პატარა ელისღელე – მდინარე ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. ელისღელის მარცხენა შენაკადი.

პატარა ზანავი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ზანავის თემში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთით, ზ.დ. 1470-1550 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 5 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 113, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002). საქართველოს

მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. შემორჩენილია შუა საუკუნეების ზანავის ციხე და სამონასტრო კომპლექსი – ჭულე.

პატარა თავკვეთილი, დასავლეთის თავკვეთილი – მთა აბულ-სამსრის ქედზე, ახალქალაქისა და წალკის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, ზ.დ. 2340 მ სიმაღლეზე. ვულკანური კონუსია. მიდამოები უტყეოა.

პატარა თეთრი ყანჩა, პატარა ოყარი (Egretta garzetta) – ფრინველი ყანჩასებრთა ოჯახიდან. მცირერიცხოვანია, ხასიათდება კლებადი რიცხოვნობით. საქართველოში გვხვდება მხოლოდ მიმოფრენისას – მარტის ბოლოდან აპრილის პირველ ნახევრამდე. ბინადრობს სამცხე-ჯავახეთის მდინარეების, ტბებისა და ჭაობების სანაპიროებზე. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი სახეობა, რომელსაც ჯერჯერობით არ ემუქრება გადაშენება, მაგრამ გვხვდება ისე ცოტა, ან იმდენად მცირე ტერიტორიაზე, რომ შესაძლოა სწრაფად გადაშენდეს.



პატარა თეთრი ყანჩა

პატარა თელადუმა (Ulmus minor) – ხემცენარე, 25-30 მ-მდე სიმაღლის, ძვირფასმერქნიანი და დეკორატიული. გამოიყენება მინდორსაცავი ზოლების გასაშენებლად. სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია ბევრგან, ზ.დ. 800 მ სიმაღლემდე, ტყისპირებზე, ტერასებსა და სხვაგან.

პატარა ორდაკლო – ტბა ჯავახეთის ზეგანზე, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

პატარა კარწახი – ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფილიპოვკის ძველი სახელწოდება.

პატარა კონდური – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 658, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში.

პატარა მიტარბი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის თემში, მდ. გუჯარეთისწყლის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1300-1465 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 29 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 64. მათი უმრავლესობა (94 %) ქართველია (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში.

პატარა პამაჯი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, პამაჯის თემის საკრებულოში (სოფლები: დიდი პამაჯი, ორალი, ყულალისი), ახალციხის ქვაბულში, ზ.დ. 1200-1300 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 12 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 658. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (99 %) სომეხია (2002).

პატარა სამსარი, სანსარი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ბარალეთის თემის ცენტრი, ახალქალაქის პლატოზე, მ. სამსრის დასავლეთით, ზ.დ. 1980-2050 მ სიმაღლეზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 548. მათი უმეტესობა (99 %) სომეხია (2002).

პატარა სმადა – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ჩორჩანის თემში, ახალციხის ქვაბულში, მდ. ქვაბლიანის მარცხენა მხარეს, ახალციხე-ადიგენის საავტომობილო გზის ჩრდილოეთით, ზ.დ. 1190-1240 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 24 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 295, რომელთა 99 % ქართველია (2002).

პატარა სმადის ეკლესია – ეკლესია (1467 წ.) ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარა სმადში. ნაგებია თლილი ქვით. წარწერიანი ქვები დაცულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში.

პატარა ცემი – კურორტი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, მდ. ბორჯომულის ხეობაში, ზ.დ. 1315-1405 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 21 კმ მანძილზე. მიდამოები შემოსილია წიწვიანი ტყეებით (ნაძვი, სოჭი, ფიჭვი). კლიმატი საშუალო მთის ტიპისაა. ზამთარი ზომიერად რბილი (იანვრის საშუალო ტემპერატურა – -4.8°C) და თოვლიანია, ზაფხული – ზომიერად თბილი (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა – $+16.2^{\circ}\text{C}$). ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობაა 735 მმ. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია სასარგებლო ჰავა.

პატარა ცემი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის თემში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, მდ. ბორჯომულის ხეობაში, ზ.დ. 1315-1405 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 21 კმ მანძილზე, მთის კლიმატური კურორტი. სოფელი დაცარიელებულია. 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერით არ არის მუდმივი მოსახლეობა.

პატარა ხანჩალი, პატარა ხავეთი – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, დიდი ხანჩალის თემში, ჯავახეთის ზეგანზე, ხანჩალის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, ზ.დ. 1935-1980 მ სიმაღლეზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 706, რიცხოვნობა უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). XIX საუკუნის დასაწყისში აქ სომეხები დასახლდნენ. სოფლის ქართული სახელია „პატარა ხავეთი“.

პატარა ჯაჯის ტბა – ტბა ადიგენის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მწვერვალ მეფისწყაროს სამხრეთით, ზ.დ. 2630 მ სიმაღლეზე, დიდი ჯაჯის ტბის სამხრეთ-დასავლეთით. სარკის ფართობია 0.007 კმ², მაქსიმალური სიღრმე – 3.2 მ, აუზის ფართობი – 0.58 კმ². წყალი მტკნარი, სუფთა და გამჭვირვალეა. გაუდინარია. ტბის მიდამოებში რამდენიმე ნანგრევა შემორჩენილი.

პერსა – მინერალური წყარო სოფ. პერსას ჩრდილოეთ ნაწილში, პატარა მდინარის ხეობაში. ჯამური დებიტია 5-6 ათ. ლ, წყლის ტემპერატურა – 16°C . მიეკუთვნება ჰიდროკარბონატულ-კალციუმ ნატრიუმის წყლების ჯგუფს.

პეტრეს ციხე – ციხე (განვ. შუა სს. განახლდა VI- XVIII სს.) ქ. ბორჯომში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, კლდოვან მაღალ ბორცვზე. ნაგებია ქვებითა და დუღაბით. ვახუშტი ბაგრატიონი ციხის შესახებ წერს: „არს ფრიად მაგარი და შეუვალი მტრისაგან“. მოხსენიებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“. შემორჩენილია აღმოსავლეთის კედელი, რომელსაც დატანებული აქვს სათოფურები და 3 ჩარდახი. ციხის აგებას მიაწერენ პეტრე ავალიშვილს, მის ძმას – გოგიას კი მეორე ციხის – „გოგიას ციხეს“ აგებას. შემორჩენილია: დარბაზის კედლები, ორნამენტებიანი ქვები, მარცვლეულის ხარო. ეკუთვნოდა ავალიშვილების ფეოდალურ სახლს. 739 წელს ავალიშვილებს პეტრეს ციხესთან დაუმარცხებიათ უსუფ-ფაშას ლეკ-ოსმალთა ჯარები. ნაურთმევიათ ზარბაზნები და სურსათი. 1770 წელს მეფე ერეკლე II-სა და ტოტლებენს ამ ციხესთან გაუმართავთ აღლუმი.

პირსაგატი – იხ. ფერსათის პლატო.

პტენა – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, პტენის სოფლის საკრებულოში, ახალქალაქის პლატოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდ. ფარავნის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1620-1690 მ სიმაღლეზე,

ქ. ახალქალაქიდან 8.5 კმ მანძილზე, თემის ცენტრი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 310. მათი უმრავლესობა (99 %) ქართველია (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში.

პტენის სოფლის საკრებულო – საკრებულო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფელია პტენა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 310 (2002).

პრტენას ეკლესია, პტენას ეკლესია – დარბაზული ეკლესია (X ს., გადაკ. XV ს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. მოპირკეთებულია დიდი თლილი ქვით.



ხის კველი ხიდი, გორჯომის მიდამოები, ერმაკოვის ფოტო
ფოტო: თსუ გეოგრაფიის მუზეუმი



ჟდანოვაკანი, ჟდანოვი, 1939წ-მდე ეჟოვანი, მისი ისტორიული სახელია ელიაკანი – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, გორელოვკის თემის საკრებულოში, მადათაფის ტბის სამხრეთ ნაპირას, ზ.დ. 2110-2130 მ სიმაღლეზე, ქ. ნინოწმინდიდან 21 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 542, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). 1939 წლამდე ატარებდა სახელმწიფო და პარტიული მუშაკის ნიკოლაი ეჟოვის, ხოლო მოგვიანებით ასევე სახელმწიფო და პარტიული მუშაკის ანდრეი ჟდანოვის სახელს.

რაბათის ციხე, ლომსია – ციხე-ქალაქი ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქ. ახალციხეში, მდ. მტკვრის ორივე ნაპირას. დღეს იგი რესტავრირებულია.



რაღეს ბიგა

რაღეს ბიგა (Sorex raddei) – მწერიჭამია ბიგისებრთა ოჯახიდან. გავრცელებულია ტყეებში ბაკურიანის მიდამოებში. უყვარს ნოტიო ადგილები, წყალსატევებთან ახლოს. იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგარი სახეობაა. საქართველოს ნითელ წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი სახეობა, რომელსაც ჯერჯერობით არ ემუქრება გადაშენება.

რამნსიხევი – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. გუჯარეთისწყლის ზემო წელში. მიეკუთვნება ჰიდროკარბონატულ-კალციუმიან-მაგნიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია – 3.3 გ/ლ.

რაყისწყალი – მდინარე ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. ურავლის სათავე.

რელიეფი სამცხე-ჯავახეთის – მხარე მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით ხასიათდება. აქ ერთმანეთს ენაცვლება მკვეთრად განსხვავებული ორი დიდი ოროგრაფიული ერთეული განირჩევა: მცირე კავკასიონი და სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთი. ზედაპირის აბსოლუტურ სიმაღლეებს შორის დიდი სხვაობის გამო (2400 მ) მრავალფეროვანია რელიეფის ფორმები, გეოლოგიური წარმონაქმნები, გეოდინამიკური პროცესები და სხვ. მცირე კავკასიონი გაცილებით რთული რელიეფით ხასიათდება, რომლისათვისაც დამახასიათებელია ტექტონიკურ-ეროზიული და საშუალომთიანი, ხოლო ახალციხის ქვაბულში – ეროზიულ-დატერასებული რელიეფის ტიპი.

სამცხე-ჯავახეთის ძირითადი ოროგრაფიული ერთეულები	
მცირე კავკასიონი	სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთი
არსიანის ქედი	აბულ-სამსრის ქედი
აჭარა-იმერეთის ქედი	ერუშეთის მაღლობი
ახალციხის ქვაბული	მტკვრის ზემო ხეობა
ბორჯომის ხეობა	ნიალისყურის ქედი
თრიალეთის ქედი	ჯავახეთის ზეგანი
ფერსათის პლატო	ჯავახეთის ქედი

სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთი, რომელიც უმთავრესად ჯავახეთის ზეგნითაა წარმოდგენილი, პლატოსებრი ზედაპირებით ხასიათდება, რომლის პერიფერიულ ნაწილებში, აბულ-სამსრისა და ჯავახეთის ქედებისათვის ტიპურია ვულკანური კონუსების მწკრივი მეოთხეული გამყინვარების ნაშთებით.

სამცხე-ჯავახეთის გეომორფოლოგიური დანაწილების სქემა (ლ. მარუაშვილის მიხედვით)			
N	ზონა/რაიონი/ქვერაიონი	რაიონის N	გეომორფოლოგიური დახასიათება
I. მცირეკავასიონის ზონა			საშუალომთიანი ტექნოგენურ-ეროზიული
1	აჭარა-თრიალეთის ისტემა (26)	XVII	საშუალომთიანი ეოცენურ-ვულკანოგენურ საფუძველზე, ფართოდ გავრცელებული მკვეთრი ფორმებით
2	თორის ქვაბული (26ა)		იგივე ტიპი, ახალგაზრდა ვულკანური ფორმებით გართულებული
II. სამხრეთ საქართველოს ზეგანი			ვულკანური ზეგანი ცენტრალური ვულკანების მწკრივებით, ტბიანი ტაფობებით, კანიონების ქსელითა და ცალკეული ძველმყინვარული ფორმებით
3	ერუშეთის მთიანეთი (32)	XX	დამრეც ნაოჭა აზევებულობა ლავური განფენებისა, დანაწევრებული საშუალო და დაბალმთიური ტიპის ხეობათა ქსელით
4	ახალქალაქის პლატო (33)	XXI	მაღალი ვაკე,
5	ტბიანი ჯავახეთი (34)		იგივე, შეგუბებული ტაფობებით
6	ნიალისყურის სერი (35)		ლავური განფენების თალისებრი ამობურცულობა
7	ტაბისყურის ქვერაიონი (36)		ნაოჭა-სერებიან ხეობიანი
8	სამსრის ქედი (37)	XII	ცენტრალური ვულკანის მწკრივული სისტემა, გამყინვარების კვლები და პერიგლაციალური ლოდნარებით
9	ჯავახეთის ქედი (38)	XXIII	ლავური განფენების თალისებრი აზევებულობა ცალკეული ცენტრალური ვულკანებით

რელიეფის ტიპები სამცხე-ჯავახეთის – რელიეფური თვალსაზრისით, სამცხე-ჯავახეთის ტერიტორია მეტად მრავალფეროვანია. აქ რელიეფის მრავალი ტიპია ფორმირებული: ტექნოგენური, ვულკანოგენური, გრავიტაციული, ეროზიული, ძველმყინვარული, ანთროპოგენური და სხვ. ბევრგან ჩამოყალიბებულია შერეული გენეზის რელიეფის ტიპები. ვულკანოგენური რელიეფის ფორმები ფართოდაა გადაჭიმული ჯავახეთის მთიანეთზე – ლავური კონუსების, ლავური პლატოების, ლავური ღვარებისა და ლავური განფენების სახით. შედარებით ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი აჭარა-თრიალეთის ქედსა და თორის ქვაბულში. რელიეფის ძველმყინვარული და პერიგლაციალური ფორმები გვხვდება სამცხე-ჯავახეთის მაღალმთიან ზოლში – ერატიული ლოდების, მყინვარული ნაკანრების, კარკალების სახით. მთის ფერდობებზე, თითქმის ყველგან გავრცელებულია რელიეფის ეროზიული და ეროზიულ-დენუდაციური ფორმები. წყვეტილი გავრცელებისაა რელიეფის გრავიტაციული ფორმები. ამ მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე ტიპური ადგილია ახალციხის ქვაბული.

რველი – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია – 5.6 გ/ლ.

რველი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ყვიბისის თემში, ბორჯომის ხეობაში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 780-960 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 7 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 665. მათი უმრავლესობა (98 %) ქართველი (2002).


რველი, ბანისხევი – სამაროვანი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, გვიან ბრინჯაოს, ადრე რკინის ხანის.

„რკინის აბრეშუმის გზა“, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზი, მარაბდა-კარნახის სარკინიგზო ხაზი – სატრანსპორტო დერეფანი, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის რეგიონული პროექტი, რომლის მიზანია საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის დაკავშირება რკინიგზით. იგი ევროპაში ზღვის დონიდან ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რკინიგზა იქნება, რისთვისაც შენდება სარკინიგზო ხიდები და გვირაბები. უდიდესი გვირაბი თურქეთის საზღვართან იგეგმება, რომლის საერთო სიგრძეა 4476 მ უნდა იყოს, მათ შორის საქართველოში გამავალი ნაწილის – 2070 მ. რკინიგზა საქართველოში იწყება სოფ. მარაბდასთან (თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი, ქ. თბილისიდან 40 კმ მანძილზე). ბოლო დასახლებული პუნქტია სოფ. კარნახი (ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, ქ. ახალქალაქიდან 30 კმ მანძილზე). თადაპირველად პროექტის დასრულება 2010 წელს იგეგმებოდა. 2015 წელს ახალციხე-კარნახის მონაკვეთზე აქ პირველმა სატესტო მატარებელმა გაიარა. „რკინის აბრეშუმის გზა“ ეწოდა იმ გარემოების გამო, რომ იგი მომავალში დააკავშირებს ჩინეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს ევროპასთან, როგორც ამ ფუნქციას ძველად ასრულებდა „აბრეშუმის დიდი გზა“.


რკინისჯვრის უღელტეხილი – იხ. ზეკარის უღელტეხილი.

როდიონოვკა, ფარავანი, თავფარავანი, ფონოვარი – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ფარავნის ტბის აღმოსავლეთ ნაპირას, ზ.დ. 2075-2140 მ სიმაღლეზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 308, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება (98 %) – სომეხი (2002). მიდამოები უტყეოა. საბჭოთა პერიოდში სოფლის სიახლოვეს, მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით ფუნქციონირებდა სამსრის სეტყვის საწინააღმდეგო ექსპედიცია. შემორჩენილია შუა საუკუნეების 2 ეკლესია, გვიანი შუა საუკუნეების ქარვასლის ნანგრევები. სოფელზე გადიოდა თრიალეთისა და ჯავახეთის დამაკავშირებელი გზა. სოფელში არსებული ტბის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: „აქა არს წყარო, რომლისა სმით, უკეთუ იყოს ვინმე მაძლარ ფრიად ანუ დაცონვილ, მოადნობს სმითა, ვითარცა ქონსა ცეცხლი“. 1840-იან წლებში აქ დასახლდნენ დუხობორები. მას შემდეგ სოფელს ეწოდა როდიონოვკა.

როდიონოვკაში 1967-2006 წწ (I–IV) პერიოდის განმავლობაში საშუალო ტემპერატურა გაიზარდა $1.13^{\circ}\text{C}/_{406^{\circ}}$, აქედან I-II პერიოდებში (1967-1976, 1977-1986) გაიზარდა $0.38^{\circ}\text{C}/_{406^{\circ}}$, II-III პერიოდში შემცირდა $0.25^{\circ}\text{C}/_{406^{\circ}}$, III-IV პერიოდებში (1987-1996; 1997-2006) გაიზარდა $1.00^{\circ}\text{C}/_{406^{\circ}}$; ატმოსფერული ნალექების ჯამები მთლიან შუალედში შემცირდა 1808 მმ-ით. აქედან I-II პერიოდში შემცირდა 446 მმ-ით, II-III პერიოდში აღინიშნა შემცირება 1680 მმ-ით, ხოლო III-IV პერიოდში გაიზარდა 318 მმ-ით. სახელწოდება „როდიონოვკა“ უკავშირდება XIX საუკუნეში რუსი სექტანტების აქ დასახლებას. აღ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ რუკაზე [1931-1932 წ.] იგი



როდიონოვკა: ნალექების ჯამების ცვლილება



ნიადაგის თვის და წლის საშუალო ტემპერატურა როდიონოვკის მეთოსადგური

ორი სახელითაა აღნიშნული: როდიონოვკა, ფრჩხილებში კი ფონოვარია მითითებული.

როდიონოვკის მეტეოსადგური – იხ. ფარავნის მეტეოსადგური.


როდოდენდრონი, იელი, შქერი, დეკა (Rhododendron) – სამკურნალო, მარადმწვანე ბუჩქია 1,5 მ-დესიმალის. ყვავილობს ივნის-ივლისში, ჩრდილო ფერდობებზე ტყის ზედა საზღვრის ან უფრო ზემო ეკოტონში. კარგად ხარობს მსუბუქ ქვიშნარ და

საშუალო თიხნარ, კარგად დრენირებად, მჟავე ნიადაგებზე. ზრდა შეუძლია ძალიან მაღალი მჟავიანობის ნიადაგებზე ნახევრად დაჩრდილულ (მეჩხერ ტყეში) პირობებშიც. მოითხოვს ტენიან ნიადაგს. მესხეთსა და ჯავახეთში გვარ *Rhododendron*-ის სამი სახეობაა გავრცელებული: იელი – *R. luteum* Sweet, შქერი – *R. ponticum* და დეკა – *R. caucasicum* Pall.

როკეთულა – მესხური ვაზის ადგილობრივი ჯიში, საღვინე და სუფრის ყურძენი, უხვმოსავლიანი. კარგი არომატითა და ბუნებრივი შუშხუნა თვისებებით ხასიათდება. ვაზი გავრცელებული ყოფილა ახალციხის სოფელ აწყურთან, როკეთის მთაზე და სახელიც აქედან მიუღია.

რომანოვების სასახლე – იხ. აბასთუმნის სასახლე.

რუსთავი – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1045-1330 მ სიმაღლეზე, დაბა ასპინძიდან ჩრდილო-დასავლეთით 16 კმ მანძილზე, თემის ცენტრი (სოფლის



როკეთულა
ფოტო: დავით მალრაძე



მტკვრის მარჯვენა მხარე სოფ. რუსთავის მიდამოებში



მტკვრის მარცხენა მხარე რუსთავსა და ასპინძას შორის

სახელწოდება რუს-არხის სათავიდან მოდის). მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 438. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (99 %) ქართველი (2002). სოფლის შესასვლელთან აღმართულია თ. ღვინიაშვილის ავტორობით შესრულებული შოთას ძეგლი.

რუსთავის თემის საკრებულო – საკრებულო ასპინძის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფელია რუსთავი. მოსახლეობის რიცხოვნობა 438 კაცი (2002).

რუსთავის ეკლესია – ეკლესია ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. რუსთავის სამხრეთ-დასვლეთით, 2 კმ მანძილზე, გზისპირას აღმართულ კლდეზე, ნანგრევები. სოფლის სამხრეთით მეორე ეკლესიის ნანგრევებია.

რუსთავის კოშკი – კოშკი ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. რუსთავის აღმოსავლეთით, 2.5 კმ მანძილზე, კლდოვან ადგილას. ნაგებია ქვითკირისაგან. შემორჩენილია ნანგრევები (გვ. შუა საუკუნეები).

რუსთავის მენწყერი – მენწყრული სხეული ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, სოფ. რუსთავთან, ელექტროსადგურის სიახლოვეს. განვითარებულია 15⁰ დახრილობის ჩრდილო-აღმოსავლური ექსპოზიციის ფერდობზე, რომელიც აგებულია ზედა ეოცენის დოლორიტებით, ქისათიბის წყების ტუფებითა და მერგელებით, გადაფარებული ქვიშიან-თიხოვანი და თიხიან-მერგელური ნალექებით. მენწყრული სხეულის სიგრძეა 1.8 კმ, სიგანე – 0.5 კმ, სიღრმე – 8-10 მ, ფართობი – 90 ჰა. პერიოდულად აქტიური მენწყერია.

რუხი წერო (Grus grus) – საკამოდ იშვიათი ფრინველია. გვხვდება მხოლოდ ჯავახეთში – კარნახის ტბის მიდამოებში ცალკეული წყვილების სახით. ეტანება ველ-მინდვრებს, ტბიან და



რუხი წერო

ჭაობებიან ადგილებს. საქართველოს წითელ წიგნში შესულია როგორც გადაშენების პირას მისული სახეობა.

რუხ-ყავისფერი ნიადაგები – ნიადაგის ტიპი, სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული ახალციხის ქვაბულის ფსკერზე, მიმდებარე მთისწინეთში და დელუვიურ შლეიფებზე. ხასიათდება არა-დიფერენცირებული პროფილით, გათიხების მაღალი ხარისხით, ჰუმუსის მცირე რაოდენობით, კარბონატულობით (ზედაპირიდანვე). შედარებით მძლავრი ნიადაგებია ახალციხის ქვაბულის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში – მდინარეების ქვაბლიანისა და ფოცხოვის ძველ ტერასებზე, ზ.დ. 1000-1300 მ სიმაღლით დიაპაზონში. თუმცა ჰუმუსის რაოდენობით არც ეს ნიადაგებია დიდად გამორჩეული. სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან უმთავრესად გვხვდება კარტოფილი, ბოსტნეული, ხეხილი, მარცვლეული.

რქანითელი, კუკურა – თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშში, მაღალმოსავლიანი. საქართველოში ფართოდ გავრცელებული ჯიშია. მცირე ფართობზე იყო გავრცელებული მესხეთში. იძლევა სუფრის თეთრ ღვინოს და კარგი ღირსების სუფრის ყურძენია. შორეულ წარსულში მას კუკურას უწოდებდნენ.

რცამი – იხ. წითელტუჩა ჭერები.

რძიანი ვაშლი, რძე ვაშლი, სუდალმა – მესხური ვაზის ჯიშში. ფართოდაა გავრცელებული მესხეთში. მსხმოიარობაში შედის მე-8-10 წელს. საშუალომოსავლიანია (იძლევა 250 კგ მოსავალს). ნაყოფი საშუალო ზომისაა, მომრგვალო, ბაცი მწვანე ფერის, ჟანგისფერი ლაქებით, ტკბილი, წვნიანი და არომატულია. ინახება თებერვლამდე; ტრანსპორტაბელურია.



აბასთუმანი. ადგილი, სადაც ისვენებდა მეფის იმპერატორის ვაჟი, ერმაკოვის ფოტო ფოტო: თსუ გეოგრაფიის მუზეუმი

ს

სააკადის დარბაზი – მესხური დარბაზი ქ. ახალციხეში.

საბატკნე, საბატკნევი – მთა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედზე, ზ.დ. 2279.7 მ სიმაღლეზე. მიდამოები უტყეოა.

საბატკნე-კენჭიყაროს მენყერი – მენყრული სხეული ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. მიტარბისწყლის ზემო წელში. განვითარებულია შუა ეოცენური, ზედა ეოცენურ და ოლიგოცენურ ქვიშიანთიხიან და ტუფობრექჩიების ფორმაციებში.

სადგერი – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება აზოტოვან ქლორიდულ-ნატრიუმ-კალციუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 0.62 გ/ლ.

სადგერი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. ბორჯომულას (შავი წყლის, შავწყალას) (მტკვრის მარჯვენა შენაკადი), ზ.დ. 980-1020 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 7 კმ მანძილზე, ტბის თემში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 324. მათი უმრავლესობა (97 %) ქართველია (2002). სოფლის მიდამოებში შემორჩენილია შუა საუკუნეების წმინდა გიორგის ეკლესია.

სადგერის ეკლესია – წმ. გიორგის სახელობის დარბაზული ეკლესია (XIV-XV ს.) ბორჯომის მუნიციპალიტეტში. აკრავს მაღალი კლდე და ღრმა ხევი. მას მისასვლელი აქვს მხოლოდ სამხრეთიდან და ეს მხარე გამაგრებული ყოფილა გალავნითა და ციხე კოშკით. ადგილობრივები იყენებდნენ სახიზრად. ნაგებია თლილი ქვით. შემკულია ცხოველებისა და მცენარეების ბარელიეფებით, სარკმელი კი ყურძნის მტევნებით. ტაძარი 1703-1724 წლებში ვახტანგ VI-ს აღუდგენია. წელიწადში ორჯერ აქ იმართება გიორგობა. შემორჩენილია ნანგრევები.

სადგერის წყაროები – მინერალური წყაროები მდ. ბორჯომულას ხეობაში, ბორჯომის პარკიდან 2.5 კმ მანძილზე, ზ.დ. 884 მ სიმაღლეზე. დღეღამური დებიტია 30-35 ათ. ლ. უმთავრესად ქლორიდული შემადგენლობისაა.

სადგერის ხეობა – იხ. თორი.

სადინყარო – მთა აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ადიგენის რაიონში.

სავათი (Otis tarda Linnaeus) – ფრინველი სავათისებრთა ოჯახიდან. საქართველოში გადამფრენი და ნაწილობრივ მოზამთრეა. ბინადრობს ველ-მინდვრებსა და ყამირ მიწებზე. იშვიათი, მცირერიცხოვანი ფრინველია და ხასიათდება კლებადი რიცხოვნობით. საქართველოს წითელ წიგნში შესულია როგორც გადაშენების პირას მისული სახეობა.

სავერძისწყალი – მდინარე ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. ურავლის მარჯვენა შენაკადი.

სათახვის ტბა, ყარაგელის ტბა – ტბა ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზარზმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზ.დ. 1896 მ სიმაღლეზე. დღეს იგი თითქმის დამშრალია და მას სათიბად იყენებენ. აქვეა ნასოფლარი თახვირიც. საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებზე ყარაგელის სახელითაა აღნიშნული. თუმცა მისი ძველი სახელი სათახვის ტბაა. სახელწოდება უკავშირდება წარსულში აქ თახვის გავრცელებას. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ესე არს ტბაი მრღვიე ყოლადვე, რომელსა ეწოდების სათახვე და არს ამას შინა სიმრავლე თახვთა და სხვათა ნადირთა“. ბრაკონიერული ნადირობის გამო ამჟამად თახვი – ეს ძვირფასბუნვიანი მღრღნელი ცხოველი, აქ აღარ გვხვდება.

სათიხის ღელე – სამაროვანი, იხ. კვირაცხოველი.

სათხე – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, მდინარეების ბუღდაშენისა და ფარავნის შესართავთან, ზ.დ. 1875-1925 მ სიმაღლეზე, ქ. ნინოწმინდიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 12 კმ მანძილზე, ნინოწმინდა-ფოკის საავტომობილო გზაზე თემის ცენტრი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 2222, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება (99 %) – სომეხი (2002). სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია – სამების დიდი დარბაზული ეკლესია, ციკლოპური ციხის ნანგრევები, სომხური ეკლესია (მიშენებული ქართულზე). ამ ეკლესიის კედლებზე ძველად იკითხებოდა წარწერა: „ადიდენ ღმერთმან ფარსმან ერისთავთ-ერისთავი, აეშენა ესე ეკლესია სადიდებლად მათდა და მშობელთა მათდა სალოცველად“. 1830-იან წლებში აქ დასახლდნენ არზრუმიდან ჩამოსული სომხები. როგორც ფიქრობენ, სახელწოდება წარსულში გარეული, თუ შინაური თხების სიმრავლეზე უნდა მიუთითებდეს.

სათხის ეკლესია – დარბაზული ეკლესია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

სათხის თემის საკრებულო – საკრებულო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: სათხე, დიდი არაქალი, ოროჯოლარი და პატარა არაქალი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 5123 (2002).

სათხის მეტეოსადგური – მეტეოროლოგიური სადგური ზ.დ. 1839 მ სიმაღლეზე, მდ. სათხე-ჩაის წყლის მარჯვენა სანაპიროზე, დასახლების ჩრდილო-დასავლეთით, რომელიც შემოფარგლულია სარდაფის ტიპის შენობებით. მეტეოროლოგიური მოედნის ჰორიზონტი ღიაა ყველა მიმართულებით. მეტეოროლოგიურ სადგურზე დაკვირვებები წარმოებდა 1927-1992 წლებში.

სათხის სამარხები – ყორღანული სამარხები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

საირმე – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ჭეჭლას თემში. შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები. მოსახლეობის რიცხოვნობა – 80, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002).

საირმის ქედი – ქედი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თორისწყლისა და ციხისჯვრისწყლის წყალგამყოფი.

საკალმახელელე – მდინარე ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადი.

საკვირეს ციხე-გალავანი – ციხე-გალავანი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, საკვირეს მონასტრის ჩრდილოეთ მხარეზე. ჰქონდა სტრატეგიული მდებარეობა. აკონტროლებდა მდ. მტკვარზე გადებულ ხიდს, რომლის სათავის ბურჯი ახლაც არის შემორჩენილი.

საკვირიკე – სამნავიანი ბაზილიკის ტიპის ეკლესია (IX-X სს.) ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდინარეების ქვაბისხევისა და მტკვრის შესართავთან, სოფ. დვირთან. მის სიახლოვეს მრავალი ნასახლარია, მთაზე კი – ციხის ნანგრევები.

საკვირიკე, საკვირიკეს ეკლესია – მთა თრიალეთის ქედზე, ბორჯომისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების საზღვარზე.

საკიანისღელე – მდინარე ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი.

საკირე – მინერალური წყარო ქ. ბორჯომის სამხრეთით, მდ. საკირესწყლის ხეობაში. მიეკუთვნება ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიან ჯგუფს, სუსტად მინერალიზებული წყალია – 2.3 გ/ლ.

საკირე – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. საკირულას (დვრულიას მარჯვენა შენაკადი), ზ.დ. 1220-1420 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 25 კმ მანძილზე, ტაძრის თემში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1052. მათი უმრავლესობა (99 %) ქართველია (2002).

საკირე, სანაცრეები – ელინისტური ხანის სამაროვანი, გვიან ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი და სამაროვანი ბორჯომის მუნიციპალიტეტში. სახელი ეწოდა თეთრი ფერის კიროვანი ნიადაგ-სუბსტრატის გამო, საიდანაც ძველად კირს იღებდნენ და გამოწვავდნენ.


საკირის აგურის თიხა – აგურის თიხის საბადო ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მარაგი – 11 ათ. მ³.

საკირის მენყერი – მენყრული სხეული ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. საკირესთან. აქ რამდენიმე მენყრული სხეულია, რომელიც საფრთხეს უქმნის მოსახლეობას.

საკირულა – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. დვირულას მარჯვენა შენაკადი.

საკოჭავი – ქვისა და მეტალურგიული სახელოსნოების ნაშთები ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის ანდეზიტთან.

საკოჭავი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის თემში, ზ.დ. 1450-1500 მ სიმაღლეზე. სოფელი დაცარიელებულია. 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერით არ არის მუდმივი მოსახლეობა. ზოგჯერ ადგილობრივები სოფლის საკონაგვის სახელით მოიხსენებენ.



სამარიოზო
ფოტო: დავით მაღრაძე

საკოჭავის ტბა – ტბა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ბაკურიანის ლავურ ღვარზე.

სალის ციხე – ციხესიმაგრე (განვ. შუა სს.) ქ. ბორჯომში, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით 4.5 კმ მანძილზე, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, ე.წ. საჯიხვეების მარცხენა მხარეს, სალ კლდეზე. ციხე კეთავდა ლომის მთისაკენ მიმავალ გზას. შემორჩენილია ნანგრევები. ნაგებია ქვითკირით. ჰქონია წყლის საცავი ორმოები. სავარაუდოდ, სალის ციხე ძველ ნუას იცავდა ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან.

სალოშეთის ეკლესია – იხ. შალოშეთის ეკლესია.

სამარიოზო – მესხური ვაზის ადგილობრივი ჯიში, საღვინე და სუფრის ყურძენი. ყურძენი წვნიანი და თხელკანიანია. ყველაზე ადრეული ყურძნის



გზა ფიჭვნარში სოფ. სამეპასთან

ჯიშია მესხეთში. კარგი არომატი და ბუნებრივი შუშხუნა თვისებებით ხასიათდება. 1950-იან წლებში მისი ცალკეული ეგზემპლარები შემონახული იყო სოფლებში: აწყური, კლდე და ახალციხის მიდამოებში.

სამება – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, გორელოვკის თემში, ზ.დ. 2110-2135 მ სიმაღლეზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 82. მათი უმრავლესობა (65 %) სომეხია, ქართველები – 24 % (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში.

XIX საუკუნეში რუსი სექტანტების აქ დასახლების შემდეგ სოფელს ეწოდა „ტროიცკოე“. ტორიცა დუხობორების მნიშვნელოვანი დღესასწაულია. საბჭოთა პერიოდში სოფელი ეწოდა რუსი რევოლუციონერის, სახელმწიფო და პარტიული მუშაკის მიხეილ კალინინის სახელი.

სამკურნალო ტუხტი – იხ. ტუხტი.

სამსარი – ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლების დიდი და პატარა სამსრის გავრცელებული სახელწოდება. მდიდარია ძეგლებით: სამსრის ქვაბები, სამონასტრო კომპლექსი, კლდეში გამოკვეთილი ტაძარი. XIX საუკუნეში ეს ადგილები სრულიად უტყეო იყო. აქ მოგზაურობისას, როცა საჩრდილობელი ადგილი ვერ ნახა, ქართველი მწერალი და მეცნიერი ილია ალხაზიშვილი წერდა: *„ჩვენი ცოდო ეკითხოს, ვინც აქაური ტყეები გაჩეხა და ძირიან-ფესვიანად ამოავდო! აბა რაა! კაცი ერთ ხეს, ერთ ბუჩქს ვერ იპოვის, რომ პაპანაქებაში მზეს თავი მოარიდოს, ჩრდილს შეაფაროს. აბა, ამისთანა ბუნებამ რა კეთილი გავლენა უნდა იქონიოს აქ მცხოვრებთა ხასიათზე, სულიერ მხარეზე!“*

სამსარი, „ბარძიმის მთა“ – მთა სამსრის ქედზე, ახალქალაქისა და ნალკის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, ზ.დ. 3285 მ სიმაღლეზე. იგი ჩამქრალი ვულკანია, რომლის კონუსიც რელიეფში კარგადაა გამოხატული. ვულკანური კონუსის შიგნით მდებარეობს 3 კმ დიამეტრის მქონე კალდერა, რომლის ფსკერიც მოფენილია ყინვისმიერი გამოფიტვის პროდუქტებითა და ძველმყინვარული მორენული მასალებით. მათ შორის მოქცეულია პატარ-პატარა ტბები. მთა თითქმის მთლიანად მოკლებულია ნიადაგ-მცენარეულ საფარს. ვახუშტი ბაგრატიონი მწვერვალს ბარძიმის სახელით იხსენიებს. აღმოსავლეთის მხრიდან იგი საეკლესიო ბარძიმის ფორმისაა.

სამსარ-კეჩუთის ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონი – ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონი, შემავალი სამხრეთ საქართველოს ზეგნის ოლქში. წარმოდგენილია ორი მერიდიანული ქედით – აბულ-სამსრისა და ჯავახეთის. ხასიათდება ტექონიკურ-ვულკანური რელიეფითა და პერიგლაციალური ფორმების სიუხვით. ჯავახეთის ზეგნის ხვა ნაწილებთან შედარებით, უფრო ნოტიოა. მცენარეული საფარი უმთავრესად ალპურია.

სამსრის კარკალები, დიდი ქვაწარი – „ქვათა ზღვები“ და „ქვათა მდინარეები“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, აბულ-სამსრის ქედზე. ქმნის ლოდნარების გროვას მოვაკებულ ზედაპირებზე, ან ზოლისებრად. მათი გავრცელების არეალში მცირე ტბებია.

სამსრის ლავური გვირაბი – ლავური გვირაბი, ნაპრალი ლავეებში ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, აბულ-სამსრის ქედზე, მთა სამსრის ჩრდილო-დასავლეთ ძირში, ზ.დ. 2200 მ სიმაღლეზე.

სამსრის მონასტერი – კლდეში ნაკვეთი ნახევრად გამოქვაბული-გუმბათიანი მონასტერი (VIII-IX სს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, აბულ-სამსრის ქედის დასავლეთ კალთაზე, სოფ. პატარა სამსარში, ქ. ახალქალაქიდან 27 კმ მანძილზე. სხვადასხვა ზომის სალოცავები და საკნები დაზიანებულია. შემორჩენილია წარწერები. ერთ-ერთი მათგანი გვამცნობს, რომ ოდესღაც აქ ხშირი და გაუვალი ტყე ყოფილა: *„სახელითა ღმრთისათა და მეოხებითა წმიდისა ღმრთის მშობელისათა,*

ესე წმიდა ეკლესია უდეს აღეშენა მაშინ ესე ადგილი ტყისაგან არა ჩნდა“. რაკი ეკლესია X ან XII საუკუნეში უნდა იყოს აგებული, ტყე მის შმედგომ უნდა მომსპარიყო. ვახუშტი ბაგრატიონი მას უტყეო ადგილად ასახელებს.

სამსრის საეკლესიო კომპლექსი – საეკლესიო კომპლექსი (VII-X სს) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში). პატარა სამსარი: 1. ეკლესია ნახევრად გამოქვაბულში. გუმბათი VII-IX ს.ს. 2. გამოქვაბული განვ.შუა საუკუნეები.

სამსრის ტბები – ტბები აბულ-სამსრის ქედის თხემური ნაწილის სამხრეთ ნაწილში, ზ.დ. 2700 მ სიმაღლეზე მალლა. იხ. აბულის ნატბეური ტბა.

სამსრის ქარიანი ხვრელი – ნაპრალი ლავებში მ. სამსრის ჩრდილო-დასავლეთ კალთის ძირში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ს. ბარაღეთიდან 20 კმ მანძილზე, ზ.დ. 2200 მ სიმაღლეზე. ცხელ ამინდში ნაპრალიდან უბერავს ცივი ნიავი, რაც ლავურ ნაპრალებში სიღრუეების არსებობაზე მიგვანიშნებს.

სამსრის ქედი – იხ. აბულ-სამსრის ქედი.

სამსრის ქედის ფიზიკურ-გეოგრაფიული ქვერაიონი – ფიზიკურ-გეოგრაფიული ქვერაიონი, შემავალი სამსარ-კეჩუთის ფიზიკურ-გეოგრაფიულ რაიონში. წარმოდგენილია მერიდიანულად ჩამწკრივებული ვულკანური ბორცვების სისტემით, რომელიც აგებულია ანდეზიტ-ლავებითა და ანდეზიტებით.

სამსრის ქედის ჭაობები – ჭაობები აბულ-სამსრის ქედზე.

სამსრის ქვაბები – გამოქვაბულები ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარა სამსარიდან 0.5 კმ მანძილზე.



სამფერიანი მღამიოზი

სამფერიანი მღამიოზი (Myotis emarginatus) – ხელფრთიანი ღამურისებრთა ოჯახიდან. გვხვდება ბორჯომის ხეობაში., ზ.დ. 1000 მ სიმაღლემდე. ბინადრობს სხვენზე, ძველ ნანგრევებში, გამოქვაბულებში. იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგარი სახეობაა, მცირერიცხოვანია. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი სახეობა, რომელსაც ჯერჯერობით არ ემუქრება გადაშენება, მაგრამ იმდენად მცირეა რაოდენობით ან იმდენად

მცირე ტერიტორიაზე გვხვდება, რომ შესაძლებელია სწრაფად გადაშენდეს.

„სამყინვარო“, ხიზას „სამყინვარო“ – ბუნებრივი საყინულე ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიზაბავრასთან.

სამყურე – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ლელოვნის თემში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდ. ქვაბლიანის ხეობაში, ზ.დ. 1280-1365 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 6 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 159, რიცხობრივად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002).

სამცხე – მხარე სამხრეთ საქართველოში. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით იგი მოიცავს სამცხე-ჯავახეთის მხარის ადიგენის, ახალციხის და ასპინძის (ნაწილობრივ) მუნიციპალიტეტებს.

სამცხე-საათაბაგო – სამთავრო ფეოდალურ საქართველოში, მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. არსებობდა XIV-XVII საუკუნეებში.

სამცხე-ჯავახეთი – ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული სამხრეთ საქართველოში. დღეს შეწყველებული ორი ტერიტორიით აღვნიშნავთ, მაგრამ ძველად ერთი გამაერთიანებელი სახელით იყო ცნობილი – მესხეთი, რომელიც უფრო დიდ ტერიტორიას მოიცავდა, ვიდრე დღევანდელი სამცხე-ჯავახეთია. მასში შედის, თანამედროვე საქართველოს გარდა, სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ისტორიული მიწებიც მდინარეების მტკვრისა და ჭოროხის ზემო წელში: არტაანი, ერუშეთი, კლარჯეთი, კოლა, ტაო, შავშეთი, და სხვა. მას სხვაგვარად ზემო ქართლსაც უწოდებენ. ისტორიულად სამცხე-ჯავახეთი შედიოდა ზემო ქართლის შემადგენლობაში და მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს ქმნიდა, რომელიც ძველ ქართულ მწერლობაში ნიშნავდა ვრცელ ტერიტორიას მდ. მტკვრის ზემო წელის აუზში ბორჯომს ზემოთ. XIII საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც სამცხეს ათაბაგების (ჯაყელების) ძალაუფლება დამკვიდრდა, იგი სამცხე-ჯავახეთის სახელწოდებით იხსენიება. ისტორიულად სამცხე-ჯავახეთის ტერიტორია და საზღვრები იცვლებოდა. თვით სამცხესა და ჯავახეთს შორის საზღვარიც ცვალებადი იყო.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი – მუზეუმი ქ. ახალციხეში, რაბათის ტერიტორიაზე. დაარსდა 1923 წელს როგორც სამაზრო მუზეუმი, რომელიც 1937 წელს მხარეთმცოდნეობის მუზეუმად გადაკეთდა, 1972 წელს კი მას ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა. მუზეუმში დაცულია ძველი ხელნაწერები და ნაბეჭდი ნიგნები, არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, ეპიგრაფიკული, ეთნოლოგიური და ფოტოდოკუმენტური მასალები. განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართულ ლაპიდარულ ნიმუშებსა და ხალიჩა-ფარდაგებს. ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის გაყვანასთან დაკავშირებით, 2009 წელს მუზეუმს შეემატა ახლად აღმოჩენილი ექსპონატები. მუზეუმში სულ დაცულია 25 ათასზე მეტი ექსპონატი.

სამცხის ქედი, „სამცხის მთა“ – არსიანის ქედის ჩრდილოეთი მონაკვეთი, რომელიც აჭარისა და სამცხის ტერიტორიებს ერთმანეთისაგან გამოჰყოფს.

სამხრე – ყოფილი სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ახალციხის ქვაბულში, ზ.დ. 1300-1350 მ სიმაღლეზე, სოფ. კახარეთიდან სამხრეთ-დასავლეთით. მიდამოები უტყეოა.

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო – საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი მიმდებარე ისტორიული ტერიტორიების ჩათვლით. მოიცავს სამცხე-ჯავახეთს, აჭარას, აგრეთვე ტაო-კლარჯეთს, კოლა-არტაანს და სხვ.

სამხრეთ საქართველოს ნიადაგური ოლქი – ნიადაგური ოლქი, რომელიც აერთიანებს სამხრეთ საქართველოს ნიადაგებს. მ. საბაშვილის მიხედვით აერთიანებს ახალციხის ქვაბულის ფსკერს, მიმდებარე მთისწინეთსა და მთიან მხარეს, ჯავახეთისა და ნალკა-დმანისის ვულკანურ ზეგნებს მათი მიმდებარე აბულ-სამსრის, თრიალეთის, ჯავახეთისა და ნიალისყურის ქედებს. უდიდეს ფართობზე აქ წარმოდგენილია მთის შავმიწები და მდელოს შავმიწისებრი ნიადაგები, ხოლო ახალციხის ქვაბულში – ტყე-ველის ნიადაგები. ჰიფსომეტრიულად უფრო მაღლა მათ ენაცვლება მთა-ტყისა და მთა-მდელოს ნიადაგები. ოლქის ფარგლებში გამოიყოფა შემდეგი ნიადაგური რაიონები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ ექცევა სამცხე-ჯავახეთის ფარგლებში: თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობის საშუალომთიანი ზოლის ტყის ყავისფერი, ტყის ყომრალი და გაენრებული ყომრალი ნიადაგები (41), თრიალეთის ქედის მაღალმთიანი მხარის მთა-მდელოთა კორდიანი და კორდიან-ტორფიანი ნიადაგების რაიონი (43), ახალციხის ქვაბულის ვაკისა და მთისწინეთის მდელოს ყავისფერი, რუხი ყავისფერი და ტყის ყავისფერი ნიადაგების რაიონი (44), ახალციხის ქვაბულის ტყის ყავისფერი და ტყის ყომრალი ნიადაგების რაიონი (45), ჯავახეთის ზეგნის მთის შავმიწები (46), ჯავახეთისა და

წალკა-დმანისის ზეგნის მთის შავმიწების რაიონი (47), ჯავახეთის და წალკა-დმანისის ვულკანური ზეგნების მთა-მდელოს ნიადაგების რაიონი (48).

სამხრეთი საქართველო – საქართველოს სამხრეთი ნაწილი, რომელიც მოიცავს მდ. მტკვრის ზემო წელს. პირობითად, საქართველო იყოფა 4 ნაწილად: დასავლეთი (შავი ზღვის აუზი), აღმოსავლეთი (შიდა და ქვემო ქართლი, მდ. მტკვრის შუა წელის აუზი), ჩრდილოეთი (პირიქითა საქართველო, მდინარეების თერგის, არხოტისა და არღუნის ზემო წელის აუზები) და სამხრეთი საქართველო.

სანაცრეები – სამაროვანი, იხ. საკირე.

სანისლია – მთა აჭარა-იმერეთის ქედზე, ადიგენისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების საზღვარზე.

სანისლო – მდინარე, იხ. ოთა.

სანისლო – მთა თრიალეთის ქედზე, ასპინძის მუნიციპალიტეტში.

სანსარი – სოფელი, იხ. პატარა სანსარი.

სარბიელას ციხე – ბორჯომის მუნიციპალიტეტი.

სარო – მინერალური წყარო ასპინძის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება აზოტოვან სულფატურ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 1.1 გ/ლ.

სარო – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ხიზაბავრის თემში, მდ. მტკვრის ხეობაში, ზ.დ. 1400-1480 მ სიმაღლეზე, დაბა ასპინძიდან 17 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 237, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002). სოფლის მიდამოებში არის ანდეზიტისა და ბაზალტის საბადოები. სოფლის მიდამოები უტყეოა. შემორჩენილია საროს ციხეები (ქვეუბნის, ზემო ანუ საყდრის, ახალი ციხე ანუ ციხე-კოშკი). შემორჩენილია ძველი დარბაზული ტიპის ერდოიანი საცხოვრებელი სახლები და დარნები. ძველად ფართოდ იყო გავრცელებული ვაზი ხარისთვალა თეთრი. სოფლის სახელწოდება მცენარის სახელს უკავშირდება.

საროს ანდეზიტი და ბაზალტი – ანდეზიტისა და ბაზალტის საბადო ასპინძის მუნიციპალიტეტში.

საროს მენყერი – მენყრული სხეული ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, სოფ. საროსთან. მენყრულ პროცესებს უკავშირდება 0.5 კმ სიგრძის ტბის წარმოქმნა.

საროს მთავარანგელოზთა ეკლესია – ადრე შუა საუკუნეების (გადაკეთებულია 1747 წ.) ეკლესია ასპინძის მუნიციპალიტეტში, ხიზაზავრასთან, ჯავახეთის ზეგნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სოფ. საროში. აღმოჩენილია ლაპ. წარწერები.

საროს ტერასები – ტერასები ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის ხეობაში. სოფელი მაღლა მდებარეობს, ხოლო ტერასული ბალები და ვენახები გაშენებული იყო ქვემოთ, ფერდობის დაბალ ადგილას.

სარსარაკი (Otis tetrax) – ფრინველი სავათისებრთა ოჯახიდან. იშვიათი ფრინველია, რომლის რიცხოვნობა კლებულობს. საქართველოში გადამფრენი და მოზამთრეა.

სასარგებლო წიაღისეული სამცხე-ჯავახეთის – მხარე მდიდარია სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეულით. აქ გვხვდება სათბობ-ენერგეტიკული, ლითონური და არალითონური წიაღისეული. სათბობ-ენერგეტიკული წიაღისეულიდან განსაკუთრებით გამოირჩევა მურა ნახშირი. უდიდესია ახალციხის (ვალეს) საბადო, რომელიც ყველაზე დიდმარაგანია ქვეყნის მასშტაბითაც. იგი ერთადერთი სამრეწველო მნიშვნელობის მურა ნახშირის საბადოა საქართველოში. რეგიონს გააჩნია ასევე ტორფის საბადოები, რომელიც წყალსატევების სანაპიროებზეა ჩამოყალიბებული.



საფარის მონასტარი

არამადნეული წიაღისეულიდან რეგიონში მნიშვნელოვანია ქისათიბის დიატომიტის საბადო ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. ურავლის ხეობაში. სამცხე-ჯავახეთში დაახლოებით 43.9 მილიონი ტონა ბენტონიტის რესურსებია. ამ უნიკალურ მინერალს მრავალი დანიშნულება გააჩნია. რეგიონი

ასევე მდიდარია ნახევრად ძვირფასი და ორნამენტული ქვებით, ცივი და თერმული მინერალური წყლებით.

სასძლო – იხ. საძელი.

სატალაო – მთა, მდინარე, იხ. ურაველი.

საფარის სამონასტრო კომპლექსი – ხუროთმოძღვრული ანსამბლი, შუა საუკუნეების ქართული მონასტერი, ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. ურავლის მარცხენა მხარეს, ქ. ახალციხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 11 კმ მანძილზე. იყო ჯაყელების – სამცხის მფლობელთა რეზიდენცია და საძვალე. უმთავრესი ნაგებობებია: მიძინების ერთნავიანი ეკლესია მშენიერი კანკელით (ფრაგმენტები, შემკული რელიეფური ქანდაკებებით, დაცულია ხელოვნების მუზეუმში), წმ. საბას სახელობის გუმბათიანი ეკლესია, სამრეკლო, სამლოცველოები (XIV-XVI სს.) და თლილი ქვით მოპირკეთებული სასახლე (შემორჩენილია ნაშთები). წმ. საბას ეკლესია (არუგვიანეს X ს.) აგებულია მანდატურთუხუცესის ბექას (სარგისის ძის) მიერ, ხუროთმოძღვარ ფარეზის ძის ხელით. ნაგებია ანდეზიტის ქვით. შემორჩენილია კედლის მხატვრობა, ლაპიდარული და ფრესკული ნარწერები. მონასტერი მძლავრი სამეც-



საფარის ეკლესიის შესასვლელი

ნიერო კერა იყო, სადაც მოღვაწეობდნენ: ქართველი საეკლესიო მოღვაწე, მწერალი და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმინდანი არსენ I (კათალიკოსი), იგივე არსენ დიდი, ანუ დიდი საფარელი (IX ს.), ქართველი ოქრომჭედელი გაბრიელ საფარელი (X-XI სს.) და სხვ. ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს: „შვენივრად დიდშენი, გუნბათიანი, ყოვლადწმიდისა შემკული ყოვლითა საეკლესიოს და წმიდათა ნაწილებითა“. მოგვიანებით მონასტერი სრულიად გავერანდა. 1893 წელს აქ რუსული მონასტერი დაარსებულა, რომელმაც საბჭოთა პერიოდამდე იარსება. 1988 წელს მამათა მონასტერი განახლდა. ამჟამად იგი მოქმედია. 1989-1990 წლებში აქ გაიხსნა ახალციხის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარია.



საფარულა
ფოტო: დავით მაღრაძე

საფარულა, საფარეული – თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში, დიდმტევნიანი, კნატუნა ყურძენი, სუფრის. ფოთოლი დიდი ზომისაა: 14X23 სმ, სქელი და მუქი მწვანე, ქვედა მხარე შებუსუსულია თეთრად. მტევანი დიდი ზომისაა: 20X8 სმ, საშუალო წონა – 258 გრ, კონუსური ფორმის. მარცვალი მწვანე ფერისაა, საშუალო ზომის – 1.8X1,7 სმ მომრგვალო ფორმის, სქელკანიანი და კნატუნა. ყურძნის წვენი შაქრიანობაა 16.5 %, მჟავიანობა – 11.11 გრ/ლ. მოსავლიანობაა 10-15 კგ ძირზე (მაღლარი). სოკოვანი დაავადებების მიმართ მდგრადია, ცინვაგამძლეა. იზრდება ჰიფსომეტრიულად მაღალ ადგილებში. პირველად საფარის მიდამოებში იქნა მიკვლეული და ამიტომ ეწოდა ეს სახელი. მოგვიანებით იგი მიაკვლიეს აგარისა და აწყურის მიდამოებშიც.

საფერავი – წითელყურძნიანი ვაზის ჯიში. საქართველოში ფართოდ გავრცელებული ჯიშია. მცირე ფართობზე იყო გავრცელებული მესხეთში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მაღალმთიანი ფარავნის აგრომეტეოროლოგიური ექსპერიმენტალური ბაზა – იხ. ფარავნის აგრომეტეოროლოგიური ექსპერიმენტული ბაზა.

სალამო – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, განძის თემში, სალამოს ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზ.დ. 1990-2060 მ სიმაღლეზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671



სოფ. სალამოს მიდამოები

დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 181, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). ძველად დიდი სოფელი ყოფილა. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების 3 ეკლესია. სოფლის მიდამოებში შემორჩენილია შუა საუკუნეების 4 ეკლესია, ზოგიერთი ძლიერ დაზიანებული. ერთ-ერთი წარწერა გვამცნობს: „ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმპყრობელ, მეფეთა მეფე დავით“. სოფელში მდგარა 3 მეტრი სიმაღლის ქვა ასომთავრული წარწერით, სადაც მოხსენიებულია დავით ულუ. ქვა ამჟამად დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

სალამოს ეკლესიები – დარბაზული ეკლესიები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. სალამოში. ერთი ეკლესია (X ს.) მოპირკეთებულია სუფთად გათლილი ანდეზიტი. შემორჩენილია ჩუქურთმები, ბარელიეფური გამოსახულებები. მეორე ეკლესია (XIII ს.), სოფლის ცენტრში მდებარეობს. შემორჩენილია რამდენიმე ბარელიეფური გამოსახულება. მესამე ეკლესია (XIII ს.) სოფლის სამხრეთ ნაწილშია. ნაგებია რუხი და ვარდისფერი ქვების მონაცვლეობით. შემკულია ჩუქურთმებით უკეთაა შემონახული. ეკლესიების ეზოებში შემორჩენილი საფლავის ქვების შემკულობა უმდიდრესია მთელ ჯავახეთში. შემორჩენილია ლაპიდარული წარწერები.

სალამოს მეტეოსადგური – მეტეოროლოგიური სადგური ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სალამოს ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზ.დ. 1996 მ სიმაღლეზე.

სალამოს ტბა – ტბა ჯავახეთის ზეგანზე, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ზ.დ. 1996 მ სიმაღლეზე. ზედაპირის ფართობია 4.8 კმ², აუზის ფართობი – 528 კმ², უდიდესი სიღრმე – 2.3 მ, წყლის მოცულობა – 7.7 მლნ მ³. ტბა ტექტონიკური წარმოშობისაა. ზამთარში ტბა იყინება მთლიანად 4-5 თვით. უამრავი დიდდებიტიანი წყარო გამოედინება. წყალი მტკნარია და მდიდარია თევზით (კალმახი, თავდიდა, ნაფოტა, ხრამული დ სხვ.). ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: „ტბა სალამოსი, დიდი და აღვსილი თევზითა გემოიანითა ამისთვის, რამეთუ არს ანკარა და ქვიანი“. მცირე ინტენსივობით მიმდინარეობს



სალამოს ტბის სანაპირო



სალამოს ტბა, მეორადი ტყის ფრაგმენტი

ევტროფიკაციული პროცესები. XIX საუკუნიდან მოსულმა მოსახლეობამ ტბას ძველი ნასოფლარის დუმას სახელი უწოდა – დუმას ტბა და „დუმაგიოლის“ სახელით იხსენიებდნენ. ეს სახელი დასახლებულ პუნქტს უნდა უკავშირდებოდეს. ვახუშტი ბაგრატიონს სალამოს ტბის სანაპიროზე დატანილი აქვს სოფელი დუმა. ასევე აღნიშნავს ნიკო ბერძენიშვილი სალამოს ტბის სანაპიროსთან ნასოფლარ დუმას. აქედან უნდა იყოს წარმოქმნილი ტბის სახელიც: „დუმანგოლ“ (გოლ თურქულად ტბას ნიშნავს). რუსულ რუკებზე იგი „ტუმან-გოლის“ სახელითაა მოცემული.

საღვინეთი – სოფ. საყუნეთის (ახალციხის მუნიციპალიტეტი) ძველი სახელწოდება.

საღრძე – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ვარხანის თემში, მდ. ოცხის (ქვაბლიანის მარცხენა შენაკადი) ხეობაში, ზ.დ. 1155-1280 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 19 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 285, რომელთა 82 % ქართველია (2002).

საყდრისღელე – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. ლიკანისხევის მარცხენა შენაკადი.

საყორია – მთა აჭარა-იმერეთის ქედზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

საყუდაბელი – მინერალური წყარო ასპინძის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება აზოტოვან სულფატურ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 1.0 გ/ლ. სიტყვა „დაყუდება“, „დაყუნდება“ ნიშნავს დაწყნარებას, დაცხრომას. იგულისხმება ბერთა „საყუდაბელი“.

საყუდაბელი – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ორგორის თემში, ერუშეთის მთიანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე, მდ. მტკვრის ხეობაში, ზ.დ. 1270-1390 მ სიმაღლეზე, დაბა ასპინძიდან დასავლეთით 9 კმ მანძილზე. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 180. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (98 %) ქართველია. მოსახლეობის ღრმა რწმენით, მას ადრე საღვინეთი ერქვა. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოიპოვება ბაზალტი. შემორჩენილია შუა საუკუნეების გამოქვაბულების კომლექსი, მონასტრის ნანგრევები. სოფლის მიდამოებში ნასოფლარი ვარნეთი.

საყუნეთი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, აგარის თემის საკრებულოში, ახალციხის ქვაბულში, მტკვრის მარჯვენა მხარეს, მდ. პატარა-ელის შესართავთან (მტკვრის მარჯვენა შენაკადი), ზ.დ. 900-1000 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 22 კმ მანძილზე.

მოსახლეობის რიცხოვნობა – 593. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (98 %) ქართველია. შემორჩენილია შუა საუკუნეების დარბაზული ერთაფსადიანი ეკლესია მოხატულობის ფრაგმენტებით.

საყუნეთის ეკლესია – წმინდა გიორგის სახელობის დარბაზული ეკლესია (XV-XVI სს.) ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს. ნაგებია თლილი ქვით. შემორჩენილია ჩუქურთმები. კარგადაა შემონახული.

საყუნეთის მენყერი – მენყრული სხეული ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. საყუნეთთან, ახალციხის ქვაბულში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს. განვითარებულია 15-30° დახრილობის სამხრეთ და ჩრდილოეთური ექსპოზიციის ფერდობებზე, ზედა ეოცენის თაბაშირიან თიხებსა და მერგელიან ქვიშაქვებში. გადაფარებულნი დელუვიურ-კოლუვიური ღორღის შემცველი თიხებით და თიხნარებით. მენყრის სიგრძეა 500 მ, სიგანე – 250 მ, სიმძლავრე – 10-15 მ. მენყრული სხეულის ფართობია 12.5 ჰა, სტაბილურ მდგომარეობაშია. ფართობი 12.5 ჰექტარია. მენყერი სრიალის ტიპისაა

საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი წიფლნარ-მუქწინვიანი, ზოგან ფიჭვნარი (კავკასიური ფიჭვი) ტყეებით (კავკასიის ლანდშაფტური რუკის მიხედვით – ლანდშაფტის გვარი N 127) – სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ და არსიანის ქედის აღმოსავლეთ ფერდობებზე, ბორჯომის ხეობაში. თრიალეთის ქედზე ერთადერთ მძლავრ მასივს ქმნის მხოლოდ მის დასავლეთ ნაწილში, ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობაა 600-900 მმ, რომლის მაქსიმუმიც მოდის გაზაფხულ-ზაფხულზე (მაის-ივნისზე). წლის დანარჩენ პერიოდში ნალექები შედარებით თანაბრად განაწილებული. ნიადაგებიდან გაბატონებულია ტყის ყომრალი, ყომრალ-შავი, მცირე ან საშუალო სიმძლავრის – 60-90 სმ, სუსტად დიფერენცირებული და ძლიერ ღრმა ჰუმუსირებით (40-50 სმ), ჰუმუსი – 4-9%. მნიშვნელოვანი მასივები უკავიათ წიფლნარ-ნაძვნარ-სოჭნარსა და ნაძვნარ-სოჭნარ ტყეებს. ფიტომასების საშუალო რაოდენობაა 300-350 ტ/ჰა.



საშუალო მთის ვულკანური ლანდშაფტი შიბლიაკით, ფრიგანით, მდელო-სტეპებითა და არიდული მეჩხერი ტყეებით (კავკასიის ლანდშაფტური რუკის მიხედვით – ლანდშაფტის გვარი N 102) – გავრცელებულია სამხრეთ საქართველოში, ერუშეთის მთიანეთის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ფერდობებზე, ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ხასიათდება ზომიერი, ზომიერად თბილი და კონტინენტურისაკენ გარდამავალი კლიმატით. ჯამური რადიაციაა 150 კკალ/სმ²-ზე მეტი; რადიაციული ბალანსი – 50 კკალ/სმ²; აორთქლება – 430 მმ წლიურად; ქარის საშუალო სიჩქარე – 3-5 მ/წმ. მდინარეთა საშუალო წლიური ჩამონადენია 3-5 ლ/წმ 1 კმ²-დან. ნიადაგებიდან გაბატონებულია ტყის ყავისფერი. დამახასიათებელია შიბლიაკი, ფრიგანა, მდელო-სტეპები და არიდული მეჩხერი ტყეები. ფიტომასების საშუალო რაოდენობაა 25 ტ/ჰა. ფიტომასების მარაგი 0.19 მლნ ტ (საქართველოს ფიტომასების საერთო მარაგის 0.05 %) უმთავრესად გამოიყენება საძოვრებად. ნაწილობრივ უკავია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს (უმთავრესად მარცვლოვნები).



საციო – იხ. კარაპანი.

საძელი, სასძლო – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი (სოფლები: საძელი, ხაკი), ახალციხის ქვაბულში, ზ.დ. 1190-1250 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 5 კმ მანძილზე, ვალე-ახალციხის საავტომობილო გზაზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 607, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება (99 %) – სომეხი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. სოფელში მიკვლეულია მინაში ჩაფლული დიდი ტევადობის ქვევრები. ვახუშტი ბაგრატიონი იხსენიებს „სასძლოს“ სახელით. საძელი ნიშნავს ქურის სარეცხელს (საბა).

საძელის თემის საკრებულო – საკრებულო ახალციხის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: საძელი და ხაკი. მოსახლეობის რიცხოვნობა 746 კაცი (2002).

სანური – მესხური ვაზის ადგილობრივი ჯიში, საღვინე და სუფრის ყურძენი. კარგი არომატითა და ბუნებრივი შუშხუნა თვისებებით ხასიათდება.

„სახდელის ხევი“ – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. გუჯარეთისწყლის მარცხენა შენაკადი, დიდი ღინტურის ნასოფლარსა და დიდ თონეთს შორის. ხეობაში შემორჩენილია ქვაჯვრები. ხევის პირას ძველი ეკლესიისა, რომლის დასავლეთ კედელთან დევს დიდი მრგვალი ქვა. მას იყენებდნენ ზეთის გამოსახდელად. როგორც ფიქრობენ, ძველად ზეთს ხდიდნენ სელისგან და ხეობასაც აქედან დაერქვა „სახდელის ხევი“.

სეისმურობა სამცხე-ჯავახეთის – ძველად მესხური სახლები ისე იყო აგებული, რომ მიწისძვრებისას უვნებელი რჩებოდა. კერძოდ, დედაბოძებზე დამყარებული გვირგვინი უძლებდა მიწისქვეშა ბიძგებს. თ. ჩიქოვანი წერს: „*დარბაზული საცხოვრებლის ძირითადი ტიპოლოგიურად განსხვავებული ელემენტი – გვირგვინისებური გადახურვა – უშუალოდ კედლებზე არასდროს არ იდგმებოდა, პირიქით, დარბაზული სახლი სეისმურად გამძლე საცხოვრებლად სწორედ იმიტომ არის მიჩნეული, რომ მისი გვირგვინის უშუალო საყრდენს კედლები კი არა, ხის ბოძები წარმოადგენენ*“.

სელი (Linum usitatissimum) – ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე, სამკურნალო, გარემოსთან კარგად შეგუებული უძველესი კულტურა, სამკურნალო. თესლი შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომელსაც სამკურნალო დანიშნულება აქვს. XIX საუკუნის 50-იან წლებამდე ფართოდ იყო გავრცელებული სამცხე-ჯავახეთში. მეურნემ იცოდა, რომ თუ მას ადრე დათესდა, მცენარე კარგად ითვისებდა ტენს და სწრაფადაც იზრდებოდა. აქაური სელისაგან, ბოჭკოვანი სელისაგან განსხვავებით, ზეთს ხდიდნენ. აქ დღემდე შემორჩენილი ზეთის სახდელის ნარჩენები. საქართველოში ამჟამად მოჰყავთ წნისის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთზე (ახალციხის მუნიციპალიტეტი) და სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთ სოფელში.

სემიარიდული მეზოფიტური ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსი ფოთოლმცვივანი ბუჩქნარებითა და ბალახოვანი საფრით, მაკროსტრუქტურის (Q_{5v}; Q_{5v,i}) – სამცხე-ჯავახეთში გავრცე-



სელი. ფოტო: „ელკანა“

ლებულია აჭარა-იმერეთის ქედის კალთებზე ქვედა მთის ტყის ლანდშაფტების ფარგლებში. ძლიერ უმნიშვნელო ფართობზეა გავრცელებული საშუალო მთის ტყის ლანდშაფტებშიც. ჩვეულებრივ უკავია სამხრეთის, აღმოსავლეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ექსპოზიციის დამრეცი ფერდობები (10-20°). თუმცა გვხვდება თხემებზე და ციცაბო ფერდობებზეც. ყველაზე შეზღუდულადაა წარმოდგენილი ჩრდილოეთისა და დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, ტერასებსა და ჭალებში. სახეობრივი შედგენილობის მიხედვით შედარებით მრავალფეროვანია, თუმცა მაინც გაბატონებულია მუხა და ჯაგრცხილა. ხემცენარეების ვარჯი მცირედ არის შეკრული, რაც ხელს უწყობს ბუჩქნარებისა და ბალახოვანი საფარის განვითარებას. ჯამური ფიტომასების საშუალო რაოდენობაა 170 ტ/ჰა. ნიადაგი ტყის ყავისფერია. მართალია ღრმად, მაგრამ საშუალოდ ან მცირედ ჰუმუსირებულია. ჰუმუსის საშუალო რაოდენობაა 110-130 ტ/ჰა. განიცდის ინტენსიურ ანთროპოგენურ ზენოლას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ბტკ-ები შედარებით დამრეც ფერდობებზეა გავრცელებული, ისინი მეტად არამდგრადია ანთროპოგენური ზემოქმედების (ჭრა, ძოვება) მიმართ, ვინაიდან სუსტად მიმდინარეობს ხემცენარეების თვითაღდგენის პროცესები სემიარიდული მდგომარეობების დიდი ხანგრძლივობის გამო.

სემიჰუმიდურისაკენ გარდამავალი ქვედა მთის ტყის ლანდშაფტები – ლანდშაფტის ტიპი (კავკასიის ლანდშაფტური რუკის მიხედვით), რომელიც გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს ქვედა მთის ტყის ზონაში. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება მხოლოდ ბორჯომის ხეობასა და აჭარა-იმერეთის ქედის სახრეთ კალთაზე ვიწრო ზოლის სახით და წარმოდგენილია ლანდშაფტების ერთადერთი გვართი – ქვედა მთის ეროზიულ-აკუმულაციური ლანდშაფტი რცხილნარ-მუხნარი (ქართული მუხის), მუხნარ-ფიჭვნარი და ფიჭვნარი (კავკასიური ფიჭვის) ტყეებით, იზიათად შიბლიაკით (კავკასიის ლანდშაფტური რუკის მიხედვით ლანდშაფტი N 83).



სვაპი

სვაპი (Aegypius monachus) – ფრინველი ქორისებრთა ოჯახიდან. სამცხე-ჯავახეთში ბინადრობს მრავალ ადგილას, ზ.დ. 3000-3300 მ სიმაღლემდე. მცირერიცხოვანია. საქართველოს ნითელ ნიგნში შეტანილია როგორც იშვიათი სახეობა, რომელსაც ჯერჯერობით არ ემუქრება გადაშენება, მაგრამ გვხვდება ისე ცოტა, ან იმდენად მცირე ტერიტორიაზე, რომ შესაძლოა სწრაფად გადაშენდეს.

სვირი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი (სოფლები: ბოგა, ტატანისი), ახალციხის ქვაბულში, ზ.დ. 1300-1420 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან ჩრდილოეთით 10 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 551, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება (99 %) – ქართველი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში.

სვირის თემის საკრებულო – საკრებულო ახალციხის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: სვირი, ბოგა და ტატანისი. მოსახლეობის რიცხოვნობა 939 კაცი (2002).

სვირი-ტატანისი – მინერალური წყარო, იხ. ტატანისი.

სირგვა – ნასოფლარი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოზე, სოფ. ბარაღეთის სიახლოვეს. შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები. ხალხური ნათქვამია: „ქვეყანაზე რომ მოსავალი განყდეს სირგვის მინდორზე მაინც იქნება“.

სირგვას ეკლესია – დარბაზული ეკლესია (VII-IX სს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

სირქვა – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, კოჭიოს თემში, მდ. ბარაღეთისწყლის (ფარავნის

მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1730-1780 მ სიმაღლეებზე. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 159, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002).

სლესა – ნასოფლარი სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს. ვარაუდობენ, რომ მდებარეობდა სლესის ციხესთან. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ სოფლადაა მოხსენიებული და მხოლოდ რამდენიმე კომლი სახლობდა. ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში სლესა არ არის მოხსენიებული, თუმცა იგი დატანილი აქვს რუკაზე.

სლესა, სლესის ციხე, მოქცევის ციხე – ციხე (განვით. შუა სს.) ახალციხის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, სოფ. აწყურის სამხრეთით, სლესის ხევის შესართავთან, ბორჯომ-ახალციხის გზაზე. ნაგებია ქვითკირით. შემორჩენილია ნანგრევები.

სმადის თერმული წყლები – თერმული წყლები ადიგენის მუნიციპალიტეტში, აზოტოვან ქლორიდულ-სულფატურ ნატრიუმ-კალციუმიანი წყალი, საერთო მინერალიზაცია 10-15 გ/ლ-ში. ამოდის 1-1.5 კმ სიღრმიდან.

სობა წითელი – მესხური ვახის ჯიში. ძველად ფართოდ იყო გავრცელებული მესხეთში. შემორჩენილია ძველ ბაღებში ცალკეული ეგზემპლარების სახით. ნაყოფის საშუალო ზომისაა, ნაკვეთილ-კონუსისებრი, ყვითელი-მონითალო, ჟანგისფერი ლაქებით, თხელკანიანი. ტკბილი, წვნიანი და არომატულია. სრულ მსხმოიარობაში შედის მე-7-8 წელს. მცირე მოსავლიანია (იძლევა 100-150 კგ მოსავალს). შენახვის მცირე ვადა აქვს (თებერვლამდე) და ვერ იტანს ტრანსპორტირებას. სუსტია დაავადებების მიმართ.

სოფლის მეურნეობა სამცხე-ჯავახეთში – სამცხე-ჯავახეთის მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარების შესაძლებლობას იძლეოდა. აქ მისდევდნენ მიწათმოქმედებასაც და მესაქონლეობასაც, თუმცა პირველს გაცილებით დიდი დატვირთვა ჰქონდა. მართალია, სამცხე და ჯავახეთი ერთი ისტორიული რეგიონია, მაგრამ მათ შორის ბუნებრივი პირობების მხრივ, დიდი სხვაობაა. ეს კი განაპირობებდა და დღესაც განაპირობებს მეურნეობის წარმოების მრავალფეროვნებასა და სპეციფიკას. ამის შესახებ ჯერ კიდევ, 1930-იან წლებში წერდა ს. მაკალათია: „*ბუნებრივი პირობების გამო, ჯავახეთში უფრო მემინდერეობას ეწევიან, მესხეთში კი – მებაღეობა-მებოსტნეობას*“. ბუნებრივი პირობებისა და შესაბამისად, მეურნეობის ფორმების განსხვავება ასახულა კიდევ რეგიონის შიდასავაჭრო ურთიერთობებშიც: „*ჯავახეთში ხილი არ მოდის, სამაგიეროდ ბევრი პური მოჰყავთ და მას ცვლიან მესხეთში ხილზე და ბოსტნეულზე*“. ადგილობრივი გარემო პირობების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ადგილობრივ მეურნეს ეხმარებოდა სწორად დაეგეგმა მეურნეობის ესა თუ ის დარგი და ამგვარად უხვი მოსავალი მიეღო. იგი ითვალისწინებდა აბსოლუტურ სიმაღლეს, ფერდობების ექსპოზიციასა და დახრილობას, გაბატონებული ქარების მიმართულებას, ნიადაგის ფიზიკურ თვისებებს და ა.შ.

რეგიონისათვის ტრადიციული დარგებია:

- მემცენარეობა/მიწათმოქმედება
- მეხილეობა
- მევენახეობა
- მებოსტნეობა
- მემარცვლეობა

- მეკარტოფილეობა
- საკვები კულტურების წარმოება
- მეტყევეობა
- მეცხოველეობა
- მესაქონლეობა
- მეცხვარეობა
- მეფრინველეობა
- მეღორეობა
- მეურნეობის დამხმარე დარგები
- ნადირობა
- მეთევზეობა
- მეფუტკრეობა
- მეაბრეშუმეობა
- ხელოსნობა
- და სხვ.

სოჭიანისთავი – მთა აჭარა-იმერეთის ქედზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

სოჭისღელე – მდინარე ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. ლეკნარისღელის მარჯვენა შენაკადი.

სპასოვკა, სპასკოე, ქუნცელი – სოფელი საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, გორელოვკის თემში, ხანჩალის ტბის აღმოსავლეთით, მდ. ბულდაშენის (ფარავნის მარცხენა შენაკადი) მარცხენა მხარეს, ზ.დ. 2040 მ სიმაღლეზე, ქ. ნინოწმინდიდან 10 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 381. მათი უმრავლესობა (63 %) ქართველი, სომეხი – 25 % (2002). XIX საუკუნეში აქ დუხობორები დამკვიდრდნენ. 1990-იან წლებში აქ დასახლდნენ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ მეკვიძეებიდან გადასახლებული ეკომიგრანტები. XIX საუკუნეში რუსი სექტანტების აქ დასახლების შემდეგ წარმოიქმნა რუსეთის გუბერნიების ქალაქ სპას-კლეპიკი (რიაზანის ოლქი) პარალელური სახელი: „სპასოვკა“. სოფლის ქართული სახელია „ქუნცელი“.

სპასოვკის მიწისძვრა – მიწისძვრა 1868 წლის 18 თებერვალს. სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო 8-9-ბალიანი მიწისძვრა, ეპიცენტრით სოფ. სპასოვკასთან (ამჟამად ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი) სიახლოვეს (41.2°N; 43.8°E, M= 4.5). მიწისძვრის შესახებ ინფორმაცია შემონახულია ძველ წყაროებში.

სტეპები – იხ. მთის სტეპები.

სუბალპური მდელოები – სამცხე-ჯავახეთში გვხვდება ზ.დ. 1800-1900 მ-დან 2350-2650 მ სიმაღლით დიაპაზონში. მაღალი ბიომრავალფეროვნებითა და ენდემიზმით ხასიათდება. გამოიყენება საზაფხულო საძოვრებად ცხვრისა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლისათვის, რის გამოც მნიშვნელოვანი ნაწილი სახეშეცვლილია და სუსტად აქვთ შენარჩუნებული პირვანდელი ბუნებრივი სახე. გაბატონებულია მარცვლოვნები, ისლიანები და პოლიდომინანტური მარცვლოვან-ნაირბალახოვანი მცენარეები. გვხვდება ბაია (*Ranunculus orcopphilus*), მზიურა (*Inula glandulosa*), ნალველა (*Gentiana septemfida*), სამყურა (*Trifolium trichocephalum*, *T. alpestre*), ფრინტა (*Anemone albana*), ცის ფოლიო (*scabiosa caucasica*). თითქმის ყველგან არის სარეველა – შხამა (*Veratrum lobelianum*), რომელიც საძოვრების დასარეველიანების ინდიკატორია.

სუბნივალური მცენარეულობა – სამცხე-ჯავახეთში გვხვდება სამსრის ქედზე, დიდი აბულის მთაზე, ღორღნარებსა და მორენებს შორის. დამახასიათებელია მეჩხერი მცენარეულობა

(პროექციული დაფარულობა 30-40%, ზოგან კი – 10-20%), თუმცა აქ აღრიცხულია მცენარეთა 62 სახეობა. დამახასიათებელია მაღალი ენდემიზმით. გვხვდება 3 ლოკალური და 13 კავკასიის ენდემი. გაბატონებულია სპოროვანი მცენარეები – ხავსები და მლიერები. გვხვდება ვავილოვის ასტრაგალი (*Astragalus vavilovii*) და კრინიცი ერისიმუმი (*Erysimum krynitzkyi*).

სულდამა – ვაშლის ჯიში, იხ. რძიანი ვაშლი.

სულდა – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ზეგანზე, თემის ცენტრი (სოფლები: ბოზალი, დადეში, მიასნიკიანი), ზ.დ. 1870-2025 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 20 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 915. მათი უმრავლესობა (99 %) სომეხია (2002). სოფელში არის პემზისა და პერლიტის საბადოები. დგას სომხური ეკლესია. ერ-ერთ კედელზე ქართული წარწერაა.

სულდის ეკლესია – წმ. გიორგის სახელობის ბაზილიკის ტიპის ეკლესია (X ს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

სულდის თემის საკრებულო – საკრებულო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: სულდა, ბოზალი, დადეში და მიასნიკიანი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 2134 (2002).

სულდის მეტეოსადგური – მეტეოროლოგიური სადგური ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ზეგანზე, ზ.დ-დან 2124 მ-ზე, ახალქალაქიდან 20 მ დაშორებით. მეტეოროლოგიურ სადგურზე დაკვირვებები წარმოებდა 1946-1987 წლებში.

სულდის ქაობი – ქაობი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ზეგნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სოფ. სულდიდან დასავლეთით 2.5 კმ მანძილზე, ზ.დ. 1860 მ სიმაღლეზე. მოქცეულია სოფლების ბოზალის, მიასნიკიანისა და სულდის ტერიტორიებს შორის. დასავლეთიდან ესაზღვრება მურდკვალის ქედი. მოიცავს ჯავახეთის ეროვნული პარკის ტერიტორიას. გრძელდება ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე. ფართობია 320 ჰა. დაარსდა 2011 წელს. ჩრდილოეთ მხარეს აგებული იყო მცირე კაშხალი, რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს. სულდის ტაფობი მდ. ქოდალის (მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი) შუა დინებაშია, ზ.დ. 1860 მ სიმაღლეზე. აქვს ბრტყელი დაჭაობებული ფსკერი. უმთავრესად კოლბოხოვანი დაჭაობების შედეგადაა წარმოქმნილი. დაფარულია უხვი და მაღალი ბალახნარით, რომელსაც ისლის სახეობები ქმნის. მიმდებარე ტერიტორია ინტენსიურად გამოიყენება საძოვრებად და სათიბებად. მიდამოები უტყეოა. ზოგ ადგილებში გვხვდება ხელოვნურად გაშენებული ფიჭვის კორომები და ბუნებრივი ტყის მცირე ფრაგმენტები. ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი სუბალპური ტყე (თეთრი არყი, კავკასიური ცირცელი, ჩიტაკომშა. ბუჩქნარები – ასკილი, ყოლო). სულდის ქაობზე 15 სახეობის ფრინველი იქნა აღრიცხული, მათგან 8 წყალმცურავი: ხუჭუჭა ვარსვი (*Pelecanus crispus*), თეთრი ვარსვი (*Pelecanus onocrotalus*), იშხვარის, ანუ თეთრი ლაყლაყი (*Ciconia ciconia*), შავი ყარყატი (*Ciconia nigra*), თეთრი ყანჩა (*Egretta alba*) და იხვი (*Anas spp.*) ღალლა (*Crex crex*), მელოტა (*Fulica atra*), თოლიები, ბელურები და მრავალი სახეობების მტაცებელი ფრინველი.

სულდის ქაობის აღკვეთილი – აღკვეთილი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, სოფ. სულდიდან 2.5 კმ მანძილზე. ფართობია 320 ჰა. დაარსდა 2011 წელს. უმთავრესად მარაგდება ინფილტრაციული წყლებით, ბუნებრივი ნაკადულებითა და ზედაპირული ჩამონადენით. უხვადააა სხვადასხვა სახეობის ფრინველი. შესაძლებელია ფრინველებზე დაკვირვება, ცხენებით გასეირნება და თევზაობა საგუბარში.



სოფ. სხვილისი

სურბ-იოვანე, სურბ-სარქისი, წმ. იოანეს სახელობის ტაძარი – დარბაზული ეკლესია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. განძანიდან სამხრეთ-დასავლეთით.

„სურფ ოვანეს“ – იხ. ეშტიის ეკლესია.

სუფნი – სოფელი, იხ. სხვილისი.

სხვილისი, ქვემო სხვილისი, სუფნი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი (სოფლები: ზემო სხვილისის, ივლიტა), ახალციხის ქვაბულში, მდ. ბარბოლას (ფოცხოვის მარჯვენა შენაკადი) ნაპირებზე, ზ.დ. 975-1060 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან დასავლეთით 5 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1614, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება (98 %) – სომეხი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. საქართველოს მოსახლეობის 1926 წლის აღწერით იხსენიება სხვილისის პარალელური სახელია „სუფნი“.

სხვილისის თემის საკრებულო – საკრებულო ახალციხის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: სხვილისი, ზემო სხვილისი და ივლიტა. მოსახლეობის რიცხოვნობა 2181 კაცი (2002).

სხვილისის ჰიდროლოგიური სადგური – ჰიდროლოგიური სადგური მდ. ფოცხოვზე, ზ.დ. 965 მ სიმაღლეზე. აუზის ფართობია 1730 კმ². დაკვირვების წლები – 1928-1932, 1934-2015.

სხირმოს მენყერი – მენყრული სხეული ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სხირმოს ქედის (თრიალეთის ქედის ჩრდილოეთი კალთა, სოფლების საკოჭავისა და ციხისჯვრის ჩრდილო-დასავლეთით) ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე. გამოიყოფა რამდენიმე მოქმედი და სტაბილური უბნები.

გ

ტაბანყური, ტაბისყური – ტბა სამსრის ქედის ჩრდილოეთ ნაწილში, ბორჯომისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში, ზ.დ. 1991 მ სიმაღლეზე. ზედაპირის ფართობია 14.2 კმ², აუზის ფართობი – 83.1 კმ², უდიდესი სიღრმე – 40.2 მ (ულრმესი ტბა ჯავახეთში), წყლის მოცულობა – 221 მლნ მ³ (უდიდესი საქართველოში). ტბის ქვაბული წარმოიქმნა ვულკანური ლავის ნაკადით მდინარის ხეობის გადაკეტვის შედეგად. ტბა გამდინარეა მხოლოდ მინისქვეშა გზით. ზამთარში წყალი იყინება სამი თვით. წყალი მტკნარია და მდიდარია თევზით, განსაკუთრებით კალმახით. იგი საკმაოდ მაღალპროდუქტიული ტბაა. კალმახის საშუალო წლიური მოპოვებაა 300-400 ტ. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ტბა ტბისყურისა არს წყალი ანკარა, სასმელად ტკბილი და შემრგო, გარემო ნაძოვანი, ტყიანი, ბალახ-ყვავილიანი, წყაროიანი და კალმახითა სავსე, დიდწვრილთა და ფრიად გემრიელთა“. როგორც ჩანს, ტბის მიდამოები იმდროისათვის ტყეებით (ნაძვნარი) ყოფილა შემოსილი. შემდეგ იგი, გაუჩიხიათ“. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვითაც, ტბის მიდამოები ტყიანი ყოფილა. დღეს კი მთელი ჯავახეთი უტყეოა. ტყის მცირე მასივები (არყის ხე, ვერხვი, ცირცელი, ნეკერჩხალი) მხოლოდ აქა-იქ არის შემორჩენილი. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, იგი თამარ მეფის დროს ტბად შეუქმნიათ: „... თამარ მეფემან ჰყო ტბად, ვინათგან ჩანს ნარუალი, რომელი გაიტანაო ქციიდამ – და ან უქმი არს“. ნეოლითურ ხანაში აქ არსებობდა



ტაბანყურის ტბა
ფოტო: შამილ შეთეკაური

პირველყოფილი ადამიანის ხიმინჯებიანი სამოსახლო. ამის დასტურია ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირას მდებარე კუნძულისა და მასთან მისასვლელი წყალქვეშა ბილიკის ნაშთები.

ტაბანყური – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ზეგანზე, ტაბანყურის ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირას, ზ.დ. 1990-2040 მ სიმაღლეზე, ბორჯომიდან 60 კმ მანძილზე, საკრებულოს ცენტრი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 723, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 723, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). როგორც ფიქრობენ სოფლის სახელი უკავშირდება ტბის ნაპირზე მდებარეობას – „ტბის ყური“.

ტაბანყური – ყორღანული სამარხები და ბრინჯაოს წინა ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

ტაბანყურის თემის საკრებულო – საკრებულო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ტაბანყური და მოლითი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 996 (2002).

ტაბანყურის მეტეოსადგური – ზ.დ. 1995 მ სიმაღლეზე, სამსარის ქედსა და მთა ცხრანყაროს შორის, ტაბანყურის ტბისაგან 120 მ დაშორებით. მეტეოროლოგიურ სადგურზე დაკვირვებები წარმოებდა 1936-1992 წლებში.

ტაბანყურის მიწისძვრა – მიწისძვრა 1940 წლის 7 მაისს. სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო 8-ბალიანი მიწისძვრა, ეპიცენტრით ტაბანყურის სიახლოვეს (41.7°N; 43.8°E, M= 6.0).

ტაბანყურის საყდარი, ტაბანყურის წითელი საყდარი – ეკლესია (VII-VIII სს.) ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტაბანყურში, ტბაში შეჭრილი ნახევარკუნძულის ბორცვზე. ნაგებია მონითალო-ჟანგისფერი ქვით.

ტამალა, ტამალია – იხ. დამალა.

ტამალის წმინდა გიორგის ეკლესია – ეკლესია (VII-VIII სს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში. შემორჩენილია ნანგრევები.

ტამბოვკა, შაორი – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ფარავნის ტბის პირას, ზ.დ. 2075-2085 მ სიმაღლეზე, ნინოწმინდიდან 47 კმ-ზე, საკრებულოს ცენტრი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 118, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). სახელი „ტამბოვი“ დაერქვა მას შემდეგ, რაც აქ დასახლდნენ რუსეთის იმპერიის ტამბოვის გუბერნიიდან ჩამოსული დუხობორები. 1924 წელს კი აქ დასახლდნენ ხულგუმოდან ჩამოსული სომხები. შედეგად რუსი მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა. მათ ძველი სოფლის სახელი გადმოიტანეს და სოფელს ახალი ხულგუმო უწოდეს. XIX საუკუნეში რუსი სექტანტების აქ დასახლების შემდეგ წარმოიქმნა რუსეთის გუბერნიების ქალაქ ტამბოვის (მდ. ვოლგის აუზი) პარალელური სახელი: „ტამბოვკა“. სოფლის ქართული სახელია „შაორი“.

ტამბოვკის თემის საკრებულო – საკრებულო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ტამბოვკა, ასფარა, ახალი ხულგუმო და როდიონოვკა (ფარავანი). მოსახლეობის რიცხოვნობა – 702 (2002).

ტატანისი, სვირი – მინერალური წყარო ახალციხის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება ჰიდრო-კარბონატულ კალციუმ-მაგნიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია – 3.7 გ/ლ.

ტატანისი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, სვირის საკრებულოში, ახალციხის ქვაბულში, ზ.დ. 1190-1300 მ სიმაღლეზე, ახალციხიდან 10 კმ-ზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 159,

რიცხოვრებულ უპირატესი ეროვნება (97 %) – ქართველი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში.

ტაშირის სერი – სერი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მესხეთის ქედის განშტოება ბანისხევსა და ლიკანისხევს შორის.

ტაშლი-კიშლი – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. ტაშლი-კიშლის (მტკვრის მარცხენა შენაკადი) მარცხენა მხარეს, სოფ. ტოლოშიდან დასავლეთით, ზ.დ. 1630-1725 მ სიმაღლეზე.

ტაშლი-კიშლის არხი – სარწყავი არხი, გაყვანილია მდინარის მარცხენა მხრიდან (სოფ. ტოლოშთან), 1 კმ სიგრძის.

ტაძრისი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი (სოფლები: დგვარი, საკირე), ბორჯომის ხეობაში, ციხისფერის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, მდ. საკირულის (მტკვრის აუზი) მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1220-1360 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 24 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 546. მათი უმრავლესობა (98 %) ქართველია (2002). სახელწოდება ტაძრების სიმრავლის გამო მიუღია.

ტაძრისის აგურის თიხა – აგურის თიხის საბადო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მარაგი – 20 ათ. მ³.

ტაძრისის ეკლესიათა კომპლექსი – ნმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის ეკლესია და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ერთნავიანი ბაზილიკის ტიპის ეკლესია ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტაძრისთან. აქ არსებობდა მონასტერი (XI ს.). შუა საუკუნეებში იმდენად დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა ყოფილა, რომ დიდგვაროვნების შვილებს აქ აძლევდნენ განათლებას. აქ სწავლობდნენ გიორგი მთაწმინდელი და მისი და თეკლა. ჩაუტარდა რესტავრაცია და 2009 წლიდან ტაძრისში ღვთისმსახურება აღდგა.

ტაძრისის თემის საკრებულო – საკრებულო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ტაძრისი, დგვარი და საკირე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1946 (2002).

ტაძრისის მენყერი – მენყრული სხეული ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტაძრისთან, ტაძრისის ქვაბულში. შეიმჩნევა რამდენიმე მენყრული სხეული. სოფლის თავზე 48 ჰა-ზე განვითარებულია პლასტიკური, ცოცხვითი, 3.0 მეტრამდე სიმაღლის მენყერი, რომელიც დროებით სტაბილურ ფაზაშია, თუმცა გააქტიურების შემთხვევაში საფრთხე ექმნება მის ზემოთ გამავალ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენს და სოფლის მოსახლეობას.

ტაძრისის მონასტერი – ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი, სამნავიანი ეკლესია (IX-X სს.) ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბორჯომის ხეობაში, სოფ. ტაძრისიდან 2 კმ მანძილზე. ნაგებია ქვიტკირით, კედლები მოპირკეთებულია უხეშად გათლილი ქვაფიქლებით. ტოვებს ციკლოპური ნაგებობის შთაბეჭდილებას. ტაძრისი მოხსენიებულია გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში. შემორჩენილია ნანგრევები.

ტბა – კურორტი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, ზ.დ. 1100-1250 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 20 კმ მანძილზე. მიდამოები შემოსილია წიწვიანი ტყეებით (ნაძვი, სოჭი, ფიჭვი). კლიმატი საშუალო მთის ტიპისაა. ზამთარი ზომიერად რბილი (იანვრის საშუალო ტემპერატურა -4.3°C) და თოვლიანი, ზაფხული – ზომიერად თბილი (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა – +17.2°C) და მშრალი. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობაა 670 მმ. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია სასარგებლო ჰავა.

ტბა – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. ბორჯომულას (შავწყალა) მარჯვენა მხარეს,

ზ.დ. 1100-1250 მ სიმაღლეზე, ბორჯომიდან 9 კმ-ზე, ცემიდან 3 კმ-ზე, საკრებულოს ცენტრი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 372. მათი უმრავლესობა (99 %) ქართველია (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში.

ტბის თემის საკრებულო – საკრებულო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ტბა, ლიბანი, სადგერი და ცემი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1056 (2002).

ტერასები ხელოვნური – იხ. ხელოვნური ტერასები.

ტერასული მიწათმოქმედება სამცხე-ჯავახეთში – იხ. ტერასული სოფლის მეურნეობა სამცხე-ჯავახეთში.

ტერასული სოფლის მეურნეობა სამცხე-ჯავახეთში – სოფლის მეურნეობის ტიპი, მიწათმოქმედების მიმართულება, რომელიც რთულ ოროგრაფიულ პირობებში ვითარდება და გარემოში არსებულ ეკოლოგიურ ნონასწორობას უწყობს ხელს. ყველაზე კარგად მეურნეობის ეს დარგი სამცხე-ჯავახეთში განვითარდა.

მინის სიმცირის პირობებში მეტად ხელსაყრელი იყო ფერდობების ათვისება, რამაც სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით სამცხე-ჯავახეთის ვარგისი მიწები მნიშვნელოვნად გაზარდა და ამასთან ბუნებათსარგებლობის მეტად მდგრადი და რაციონალური პრაქტიკა განაპირობა. ამ გარემოებამ უდიდესი როლი შეასრულა რეგიონის და საერთოდ, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. თანამედროვე გადასახედიდან, სამეურნეო ათვისების ეს ფორმა მეტად გონებამახვილურ და მდგრადი პრინციპების შესატყვისად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან, ერთის მხრივ, მიღწული იყო აგროკულტურების მაღალი მოსავლიანობა, ხოლო მეორეს მხრივ, შენარჩუნებული იყო ბუნებაში არსებული ეკოლოგიური ნონასწორობა. ყოველივე ეს კი მიღწეული იყო ბუნებრივი პირობების ღრმა ცოდნით, რაც მათზე მრავალწლიანი დაკვირვებისა და ანალიზის შედეგი უნდა ყოფილიყო.

ფერდობების სასოფლო-სამეურნეო ათვისება სრულიად განსხვავებულია და მეტ ცოდნა-გამოცდილებას ითხოვს, ვიდრე ეს ვაკე ტერიტორიებისათვისაა დამახასიათებელი. სასურველი



ტერასები სოფ. ტოლოშთან

მოსავლის მისაღებად, მარტო არსებული ბუნებრივი პირობების გამოყენება საკმარისი არ არის. საჭიროა ბუნებრივი პირობების გათვალისწინება და მისი მართვა, ერთი მხრივ სათანადო ღონისძიებებით თავიდან აცილებულ იქნას ბუნების არასასურველი ზემოქმედება და, მეორე მხრივ, ხელოვნური ჩარევით გაიზარდოს ეფექტიანობა. ორივე ეს ღონისძიება სხვადასხვა აგროტექნიკურ ღონისძიებაში გამოიხატება: ნიადაგის დაცვა ჩამორეცხვისა და ეროზიისაგან, ორგანული სასუქის შეტანა, მავნებლებისაგან დაცვა, აგრონესების ზუსტი დაცვა და სხვა.

ტერასული სოფლის მეურნეობა სამცხე-ჯავახეთში უმთავრესად სამცხის ტერიტორიაზე განვითარდა, რისი მიზეზიც ამ მხარის მრავალწლიანი ნარგავებისათვის გაცილებით ხელსაყრელი კლიმატური პირობებია. მეცნიერებმა დააადგინეს, რომ ადგილობრივები ითვისებდნენ მზის ენერჯის სამეურნეო მნიშვნელობას. ისინი ერთმანეთისაგან არჩევდნენ მზიან და ჩრდილიან ნაკვეთებს და მათ შესაბამის კულტურებს მიუსადაგებდნენ. კერძოდ, ვაზისთვის მხოლოდ „მზიგული“ ანუ სამხრეთის ექსპოზიცია იყო საჭირო. მეურნის დაკვირვებით, როცა ვაზს დილის სხივი (ანუ ვაზი გაშენებულია აღმოსავლეთის ექსპოზიციაზე) ხვდებოდა, მისი ფოთლები ზიანდებოდა, რადგანაც დილის ნამი ჯერ გამშრალი არ იყო. ხოლო როცა ვაზი სამხრეთის ექსპოზიციაზე იყო გაშენებული, მაშინ, როცა მას მზე მიანათებდა ნამი ფოთლებიდან უკვე გამშრალი იქნებოდა.

აგროტექნიკური ღონისძიების გათვალისწინების შემდეგ სამცხეში სამეურნეო ნაკვეთის დახრილობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ვინაიდან სამცხე არაა სწორი და ვაკე ადგილი, არამედ დახრამული ფერდობებითაა წარმოდგენილი, სამეურნეო მოქმედებებიც შესაბამისად უნდა წარმართულიყო. პირველ რიგში უნდა მიეღოთ სამეურნეოდ ვარგისი ნაკვეთი და მერე უნდა უზრუნველყოთ მისი ხანგრძლივი დაცვა. სამეურნეოდ ვარგისია მიწის ზედაპირი, როცა მისი დამუშავება შესაძლებელია და ამისათვის უმჯობესია მას სწორი ზედაპირი ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი მხრივ, გაძნელება დამუშავების პროცესი და მეორე მხრივ, ნალექები ადვილად ჩამორეცხენ ნიადაგს. ასე რომ, რამდენიმე წელიწადში არსებული ნაკვეთი სამეურნეოდ უვარგისი გახდება. ამიტომ მეურნემ დაიწყო ფერდობის დავაკება. ამით მან სამეურნეო პროცესი გააიოლა, მაგრამ ახლა საჭირო გახდა მიღწეულის ანუ დავაკებული ნაკვეთის ხანგრძლივად შენარჩუნება. მთელი ეს პროცესი ფერდობის დატერასებაა.

მესხეთში აგებდნენ ქვისკედლიან და უკედლო ტერასებს – იხ. ხელოვნური ტერასები.


ტერაპენიე – სოფელი, იხ. ორლოვკა.

ტიკაშენი – იხ. სოფ. ჯიგრაშენი.

ტიმოთესუბანი, ქვევრების სერი – ანტიკური ხანის ორმოსამარხი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. კიმოთესუბანთან.

ტიმოთესუბანი – იხ. კიმოთესუბანი.

ტიმოთესუბნის მონასტრის გუმბათოვანი ეკლესია – ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია (XII-XIII სს.) ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტიმოთესუბანში. აუგია



ტიმოთესუბნის მონასტრის გუმბათოვანი ეკლესია

ჯავახეთის ერისთავთ-ერისთავს – შალვა ახალციხელს. ეკლესიის მიდამოებში მიკვლეულია ძველი ზეთის სახდელი. ეკლესიის რესტავრაცია დასრულდა 1998 წელს.

ტიპოგრაფი – იხ. მბეჭდავი ქერქიჭამია.

ტობური ვენახები – ადგილი სოფ. მუსხში, ახალციხის მუნიციპალიტეტი.

ტოლოში – ისტორიული სოფელი, იხ. ალანძა.

ტოლოში – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი, მდ. ტაშლაყაშის (მტკვრის მარცხენა შენაკადი) ორივე მხარეს, ზ.დ. 1115-1260 მ სიმაღლეზე, დაბა ასპინძიდან სამხრეთით 15 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 596. უპირატესი ეროვნება (96 %) – ქართველი (2002). სოფლის მიდამოები უტყეოა. შემორჩენილია ერთნავიანი დარბაზული ეკლესია ალანძა, ანუ ტოლოში (VIII-IX სს). 1950-იან წლებში ვაზი ასპინძურა, ხარისთვალა თეთრი და ბუდეშური თეთრის ცალკეული ეგ ზემპლარები იყო შემონახული. ფართოდ იყო გავრცელებული ვაზი ხარისთვალა თეთრი. სოფ. ტოლოშის მიდამოებში შემორჩენილია ტერასებსა და ქალებში.


ტოლოში-მუსხის მენყერი – მენყრული სხეული ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, სოფლების ტოლოშისა და მუსხის მიდამოებში. განვითარებულია ზედა ეოცენის ნყებებში.

ტოლოშის ეკლესია – წმ. თევდორეს სახელობის ეკლესია ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტოლოშიში.

ტოლოშის თემის საკრებულო – საკრებულო ასპინძის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ტოლოში, გულსუნდა და ხერთვისი. მოსახლეობის რიცხოვნობა 880 კაცი (2002).


ტოლოშის ტერასები – უკედლო ტერასები ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტოლოშთან, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს.

ტონთიოს ეკლესია – იხ. ყაურმის ეკლესია.



ტონთიოს ხიდი. ფოტო: ხიდები საქართველოში, 2012

ტრადიციული ბუნებათსარგებლობა სამცხე-ჯავახეთში – საუკუნეთა მანძილზე უცხო ტომების ბატონობამ და XIX საუკუნეში საწარმოო ურთიერთობების ძირეულმა ცვლილებებმა დაარღვია ტრადიციული ბუნებათსარგებლობის მანამდე არსებული პრაქტიკა. სწორედ ინდუსტრიულ პერიოდში წარმოქმნილმა ახალმა საწარმოო ურთიერთობებმა განსაზღვრეს გარემოსადმი ადამიანის დამოკიდებულების ახალი ფორმები, რაც უპირველესად ბუნებრივი რესურსების მტაცებლური გამოყენებაში გამოიხატა.



ფერდობის დაცვა
ფოტო: მერაბ გონგაძე

ამა თუ იმ რესურსით სარგებლობისას მთავარი იყო კერძო მესაკუთრეს მიეღო რაც შეიძლება მეტი მოგება და თითქმის არანაირი ყურადღება არ ექცეოდა მათი გამოლევის, გარემოს დეგრადაციის მოსალოდნელ შედეგებს. ადგილობრივი თუ უცხოელი მესაკუთრეები ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლად ეწეოდნენ ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციას. სწორედ ამ პერიოდიდან შეიძლება საუბარი სამცხე-ჯავახეთში (ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეებში) ნიადაგის ინტენსიურ ეროზიაზე, საწარმოო ნარჩენების ზრდაზე, მდინარეთა გაჭუჭყიანებაზე, ცხოველთა ზოგიერთი სახეობის სრულ მოსპობაზე და ა.შ.

მხარისათვის მეტად მნიშვნელოვანია ბუნებრივი რესურსების გამოყენების ის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების გაზიარება, რიგ შემთხვევაში გამოვლენა-შესწავლა, რომელიც ეკოლოგიურად



წივის გროვა ქ. ნინოწმინდის სიახლოვეს



ჯავახეთში ძირითადი სათბოები ნივთი

უსაფრთხო და ეფექტურია, ვინაიდან საუკუნოვან გამოცდილებასა და გარემო პირობების ადეკვატურად გათვალისწინებაზეა დაფუძნებული. სწორედ ასეთი მიდგომა შექმნის ტრადიციული ბუნებათსარგებლობის აღდგენის წინაპირობებს.

ტროიცკოე – სოფელი, იხ. სამება.

ტურცხი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოს ჩრდილოეთ ნაწილში, მდ. ქერულის (ფარავნის აუზი) ნაპირას, ზ.დ. 1730-1760 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან დასავლეთით 18 კმ მანძილზე, ტურცხის თემის საკრებულო. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1407, რიცხოვნობა უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). ალექსანდრე ფრონელი წერს: „ბავრისა, ხულგუმოს, კართიკამის და ტურცხის კათოლიკეებმა სომხური არ იციან. ზოგნი ამბობენ, რომ ეგენი ქართველები არიან და გადმოსახლდნენ არტაანის ოლქიდან (ველი), ზოგნი კი უჩვენებენ (ანუ, უთითებენ) სომხეთის მუშს, საიდანაც ვითომ იგინი მოსულან. ველი ძველად ქართული პროვინცია იყო“.

ტურცხის თემის საკრებულო – საკრებულო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფელია ტურცხი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1407 (2002).

ტუხტი (Althaea), ხომეჭი (*A. armeniaca*), ყანის ტუხტი (*A. hirsute*), სამკურნალო ტუხტი (*A. officinalis*) – სამკურნალო, იშვიათი დეკორატიული მცენარეა, იზრდება ჭარბტენიან ადგილებსა და ტენიან მდელოებზე. მრავალწლიანი, 1.70 (2.0) მ-მდე სიმაღლის. ყვავილობს ივლისიდან აგვისტომდე, თესვები მნიფდება აგვისტო-სექტემბერში. მესხეთში ნანახია სამი პოპულაცია.

ტყემლანა, ტყემლიანი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, აწყურის თემის საკრებულოში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 950-1070 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 25 კმ მანძილზე.

მოსახლეობის რიცხოვნობა – 364. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართველია (2002). წარსულში დაწინარებული ყოფილა მევენახეობა, რაზეც მეტყველებს შემორჩენილი მარნები.

ტყემლანის მენყერი – მენყრული სხეული ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, სოფ. ტყემლანასთან. განვითარებულია 10-20^o დახრილობის ჩრდილო-დასავლეთ ექსპოზიციის ფერდობებზე, რომელიც აგებულია ზედა ეოცენის თიხიანი ქვიშაქვებით, მერგელიანი თიხებით და გადაფარებულია დელუვიურ-პროლუვიური თიხნარებით. მენყრული სხეული დროებით სტაბილურობის ფაზაშია და უკავია 12 ჰა ფართობი.

ტყემლანისღელე – მდინარე ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი.

ტყემლოვანის ეკლესია – ეკლესია ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. გუჯარეთისწყლის მარცხენა მხარეს. შემკულია ბარელიეფური გამოსახულებებით. შემორჩენილია ნანგრევები.

ტყის საფარი სამცხე-ჯავახეთში – სამცხე-ჯავახეთში ტყე აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი მკვიდრის ყოველდღიური საჭიროებების მოგვარებაში. ძველთაგანვე ტყის რესურსებს მოსახლეობა მრავალმხრივ იყენებდა – შეშა, ტყის ხილი, სამკურნალო მცენარეები და სამშენებლო მასალა. ტყეში მოიპოვებოდა სოკო და ფიჭვის ფისი. ამ უკანასკნელისაგან კევი მზადდებოდა, რომელიც სასარგებლო თვისებებით ხასიათდება. ფიჭვის ფისს სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის იყენებდნენ. ფიჭვის ფესვებისგან კი კვარი კეთდებოდა, რომელიც დღესაც გამოიყენება ცეცხლის გასაჩაღებლად. ადრე იგი გასანათებელ საშუალებადაც იხმარებოდა. ტყისპირები კი შინაური პირუტყვისათვის საბალახოდ იყო გამოყენებული. დიდტანიანი ხისგან მზადდებოდა მესხური დარბაზის დედაბოძი, თავზე, გვირგვინი და შენობის სხვა არქიტექტურული დეტალები.



დახრამული ტერიტორია სოფ. ტურცხთან

ტყეებს წარსულში გაცილებით მეტი ფართობი ეკავა. ტყის განადგურების უმთავრესი მიზეზი ანთროპოგენური ფაქტორია – უწესრიგო ჭრა, ხანძრები, ჭარბი ძოვება. გარკვეულ როლს, ამ თვალსაზრისით, ხის დაავადებებიც ასრულებდა. იგი აქტიუალურია დღესაც. მრავალგან გაიჩნება ტყეები და მისი ადგილი დაიკავებს მეორეულმა ტყეებმა, ბუჩქნარებმა (ზოგან ჯაგეკლიანებმა და ნარეკლიანებმა), მდელოებმა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებმა. დიდად შეიცვალა ტყეების ფლორისტული შედგენილობა და პროდუქტიულობა, რამაც გამოიწვია ტყეების ფუნქციების (წყალმარეგულირებელი, ნიადაგდაცვითი, რეკრეაციული) შესუსტება ან ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ გაქრობა. მტაცებლური ექსპლუატაციის შედეგად განადგურდა მუხის, ბზის, ფიჭვის ტყეები. ხემცენარეების ზოგიერთი სახეობა შემორჩა მხოლოდ ძნელად მისადგომ ადგილებში, მთის ფერდობებზე, დაცულ ტერიტორიებზე. განაკაფების მცენარეული საფარის ფლორისტული შედგენილობა განსხვავებულია. განაკაფებზე დასახლდა ამ ტერიტორიებისათვის ნაკლებად დამახასიათებელი სახეობები და ამასთან ნაკლებად ღირებული სახეობები. ზოგან კი, ტყე სრულიად განადგურდა. მაგალითად, ჯავახეთის პლატოს ასეთი უტყეობის მიზეზად (ბუნებრივ ფაქტორებთან ერთად) ხანგრძლივი ანთროპოგენური ზემოქმედებაა მიჩნეული. ეს ტყეები ადამიანს ჯერ კიდევ ჰოლოცენის დასაწყისში უნდა მოესპო. მცენარეული საფარის განადგურებამ კი არაერთგან გამოიწვია ნიადაგური საფარის მოსპობა და გეოდინამიკური პროცესების განვითარება.

წარსულში ტყეებს გაცილებით მეტი ფართობი ეკავა. ამას მოწმობს არაერთი ისტორიული დოკუმენტი, ისტორიულ-ლიტერატურული ნაწარმოები, ეპიგრაფიკული ძეგლები, სადაც აღნიშნულია ტყითა და ნადირ-ფრინველით მდიდარი ტერიტორიები, დღეს რომ გამეჩხერებულ ტყეებს, მდელოსტეპებს, ბუჩქნარებსა და დასახლებულ პუნქტებს უკავია. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, ჯავახეთის ერთი ნაწილი „ტყე-ჯავახეთის ნაჰიედ“ იწოდება. ნ. კეცხოველი კი აღნიშნავდა, რომ ჯავახეთი ორ ნაწილად იყოფოდა: „ტყიან და უტყეო ჯავახეთად“. ჯავახეთის 69 სოფელი XVI საუკუნეში სახელდება როგორც ტყეებით გარემოცული, დღეს კი ეს ტყეები განადგურებულია. მაგალითად, ჯავახეთში, ახალქალაქის რაიონის სოფლების ბეჟანოს, აზავრეთის, ალათუბნის, ლომათურცხის, დიდი სამსრის, პატარა სამსრის, ბულაშენის, ბალხოს მიდამოები წარსულში ტყით ყოფილა შემოსილი. ტყეების წარსულში არსებობის უტყუარი დასტურია ტოპონიმებიც: აგანის ტყე, ბალანთის ტყე, დიდი მუხები, ზედა ტყე, იხტილის ტყე, პატარა ტყე, სამსრის ტყე ქვეშა და სხვ.


შორეულ წარსულში ტყეს ანადგურებდა უცხოელი დამპყრობლებიც, რასაც ადასტურებს ისტორიული ცნობები თემურლენგისა და შაჰ-აბასის ლაშქრის შესახებ, რომ მეომართა 1/3 ცულებით ყოფილან შეიარაღებულნი. XIX საუკუნიდან ტყის განადგურება-დეგრადაციაში დიდი წვლილი მიუძღვით ადგილობრივ თუ უცხოელ მენარმეებს. ტყის განადგურება მეტ-ნაკლებად ინტენსიურად შენარჩუნებული იყო XX საუკუნის I ნახევარშიც, თუმცა ტყიანობა მაშინ მაინც უფრო მაღალი იყო, ვიდრე ამჟამადაა. საბჭოთა პერიოდში, 1960-იანი წლებიდან საქართველოს მთის ტყეები კატეგორიას მიეკუთვნა, რის გამოც აკრძალული იყო პირწმინდა ჭრა ფერდობებზე. დასაშვები იყო მხოლოდ მოვლითი, სანიტარული და შერჩევითი ჭრები, რის გამოც ცალკეულ ადგილებში ტყეები შენარჩუნდა, უმთავრესად კი მესხეთის ტერიტორიაზე – აჭარა-იმერეთის, თრიალეთისა და არსიანის ქედების საშუალო მთის ტყის სარტყელში.

1990-იან წლებში განადგურდა ტყის მნიშვნელოვანი მასივები. მეზობელ სახელმწიფოებში, კერძოდ, თურქეთში ხე-ტყის მაღალი ფასის, შესუსტებული კონტროლის, აგრეთვე კორუფციის მაღალი დონის გამო, დაიწყო საზღვრისპირა რეგიონებში (ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე)

და რეგიონის სიღრმეშიც (ბორჯომის ხეობა) ტყეების არალეგალური ჭრა და გატანა ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ეს კი უმთავრესად ძვირფასმერქნიან ჯიშებს შეეხო, შედეგად განადგურდა ტყის მნიშვნელოვანი მასივები.

ტყის ყავისფერი ნიადაგები (Chromic Cambisols) – ნიადაგის ტიპი, გავრცელებული საქართველოში მთა-ტყეთა ზონის ქვედა ნაწილში, ზ.დ. 1000-1200 (1500) მ სიმაღლემდე. ვრცელდება ძველ მდინარეულ ტერასებზე, წყალგამყოფების მოსწორებულ ზედაპირებზე ახალციხის ქვაბულში, ზ.დ. 1400-1500 მ სიმაღლემდე. აქ ნიადაგები უფრო ღრმა და ღია შეფერილობისაა, ხოლო ამონადვარ ვულკანურ ქანებზე – მუქი, შედარებით მცირე სისქის და ხირხატიანი. ხასიათდება საშუალო სისქითა და სუსტი ხირხატიანობით. ჰუმუსის რაოდენობა პროფილის ზედა ნაწილში 6-7 % და მეტია, მაგრამ ჩამორეცხილ ნიადაგებზე ეს რიცხვი 2-2.5 %-მდე მცირდება. მოსწორებულ ზედაპირებსა და მცირე დახრილობის პირობებში ატარებს შავმიწებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ზოგან, მცირე ფრაგმენტებზე ადგილი აქვს სულფატურ დამლაშებასაც. ტყის ყავისფერი ნიადაგები ოდითგანვე ინტენსიურად გამოიყენება მინათმოქმედებაში (მეხილეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა, მემარცვლეობა) და ყველაზე პერსპექტიულადაა მიჩნეული მეხილეობისა და მევენახეობის განვითარების თვალსაზრისით. წარსულში ახალციხის ქვაბულში გავრცელებული ტყის მოსპობამ ძლიერ უარყოფითი გავლენა იქონია ეკოსისტემებზე და ხელი შეუწყო ეროზიული პროცესების ინტენსიურ განვითარებას.

ტყის ყომრალი ნიადაგები – იხ. ყომრალი ნიადაგები.



საუკუნოვანი ჭაღარი, ერეკლესის ფოტო
ფოტო: თსუ გეოგრაფიის მუზეუმი

უ

უგვარო – იხ. კავკასიური ქაშაყი.

უდაბნო, უდაბნოს კომპლექსი – კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულების კომპლექსი. იხ. გულსუნდა.

უდე – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი, ახალციხის ქვაბულის სამხრეთ ნაწილში, მდ. ქვაბლიანის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1020-1270 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 14 კმ მანძილზე. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 3505, რომელთა 99 % ქართველია (2002). შემორჩენილია ღვთისმშობლის სახელობისა და ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიები, შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები („შუშან ქალი“, „წყისი“, „ხვანი“ და სხვ.), უდეს კათოლიკური ეკლესია, ხანდაკის ციხე. როგორც ფიქრობენ, იგი ძველი და დიდი დასახლება უნდა ყოფილიყო. ადამიანის დასახლების კვალი აქ ქვის ხანიდანაა მიკვლეული. სოფლის ტერიტორიაზე და მის მიდამოებში აღმოჩენილია ძვ.წ. XII-XIII სს – უდის განძი. სოფელში აღმოჩენილია მინაში ჩაფლული დიდი ტევადობის ქვევრები. სოფლის ერთ-ერთი უბანი, რომელიც მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდ. ქვაბლიანის მარცხენა მხარეს, ძირითადი დასახლების გადაღმა მდებარეობს, მეიდნის სახელითაა ცნობილი. ძველად აქ იმართებოდა შეჯიბრებები – ჯირითობა. სახელიც აქედან მიუღია სოფლის ამ უბანს. როგორც ფიქრობენ, რომ სოფლის სახელწოდება მომდინარეობს კოლხურ-ზანური სიტყვისაგან „ყუდე“ ნიშნავს სახლს, ბინას. დროთა განმავლობაში სიტყვამ დაკარგა თავკიდური თანხმომავანი და მივიღეთ „უდე“. სამრეკლო (განვით. შუა სს) აღმოჩენილია ლაპიდარული წარწერები.

უდე-არალის სარწყავი სისტემა – სარწყავი სისტემა, გაყვანილი მდ. ქვაბლიანის მარჯვენა ნაპირიდან. ირწყვება თვითღინებით 150 ჰექტარი, ხოლო მექანიკური ხერხით – 120 ჰექტარი.



უდე, მართლმადიდებლური ეკლესია

უდის განძი – ბრინჯაოს ხანის დასასრულისა და რკინის ხანის დასაწყისის ნივთები, განძი. (ძვ.წ. XII-XIII სს.) ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფ. უდის ტერიტორიაზე და მის მიდამოებში. მიკვლეულია კოლხური ცული, შუბისპირები, რკინის სატევრისპირები მრავალი სხვა ნივთი. ბრინჯაოსა და რკინის ნივთები შემკულია გეომეტრიული და სტილიზებული ცხოველების გამოსახულებებით. ნივთების ნაწილი დაცულია ახალციხის, ხოლო ნაწილი ხელოვნების მუზეუმში თბილისში.

უდის თემის საკრებულო – საკრებულო ადიგენის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: უდე და ზაზალო. მოსახლეობის რიცხოვნობა 3568 კაცი (2002).

უდის ტერასები – უკედლო ტერასები ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. უდესთან, ახალციხის ქვაბულის სამხრეთ ნაწილში.

უდის ეკლესია – ღვთისმშობლის სახელობის დარბაზული ეკლესია (XIV-XVI სს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. უდეში.

უდის ეკლესია – ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია (1904-1912) ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. უდეში. მოპირკეთებულია კარგად დამუშავებული ქვის კვადრებით.

უდის ველი – ნასოფლარი ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. უდის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ე.წ. „უდიველებზე“, „უდის ველზე“. მიკვლეულია გორასამარხები.

უდის კათოლიკური ეკლესია – ეკლესია ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. უდეში.

უზნარიანის ციხე – იხ. ნალვერის ციხე.

უზნის ციხე, უზნარიანის ციხე – ციხე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. გუჯარეთისწყლის ნაპირას, დაბა ნალვერის სიახლოვეს. ვახუშტი ბაგრატიონი მას უზნარიანის ციხის სახელით იხსენიებს: „კომოთისმანს ქვეით არს ციხე, თორის-წყლის აღმოსავლეთის კიდესა ზედა, უზნარიანისა, ფრიად მაგარი“. ხალხური თქმულებით, ეს სახელი ციხეს ეწოდა მცენარე უზნის გამო, რომელიც იზრდება ციხის გარშემო. სხვა მოსაზრებით კი, ციხე ეკუთვნოდა უზნაძეების გვარს.

უთხოვარი, ურთხელი (Taxus baccata) – 20-35 მ სიმაღლის მარადმწვანე ხე, მაგარმექრნიანი და დეკორატიული. მესამეულის ერთ-ერთი იშვიათი რელიქტი. იზრდება ბორჯომისა და სამცხის ტყეებში, ზ.დ. 1500-1800 მ სიმაღლეზე. საქართველოს წითელ წიგნში შესულია როგორც იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობა. სამკურნალო, შიშველთესლოვანი მარადმწვანე ნელა მოზარდი ხეა. რეპროდუქციის პერიოდია მარტიდან ნოემბრამდე. დამტვერვა ხდება აპრილში, თესლი მწიფდება სექტემბრიდან ნოემბრამდე. ის არის შიშველი და დაფარულია მხოლოდ ხორცოვანი, წითელი, ცილინდრული არილუსით. მცენარე ორსახლიანია (ცალკეული სპოროფილები ან მამრობით გირჩას წარმოქმნიან, ან მდედრობითს, მაგრამ ერთ მცენარეზე ვითარდება მხოლოდ ერთი მათგანი, ასე რომ, თესლების საჭიროების შემთხვევაში აუცილებელია როგორც მდედრობითი, ისე მამრობითი სქესის ინდივიდები). დამტვერვა ხდება ქარის საშუალებით. კარგად იზრდება ადვილად დრენირებად, მსუბუქ (ქვიშნარ), საშუალო (თიხნარ) და მძიმე თიხნარ, მჟავე, ნეიტრალურ და ტუტე ნიადაგებზე; ზრდა შეუძლია ძლიერ მჟავე და ძლიერ ტუტე ნიადაგებზეც. ეგუება სრული დაჩრდილვის, ნახევრად დაჩრდილვისა და ღია (დაუჩრდილავ) პირობებსაც. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება ბორჯომის ხეობაში, გოდერძის უღელტეხილთან, მესხეთის ქედზე, სოფ. ანდასთან და ზეკარის უღელტეხილთან.



უთხოვარი



უნწა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმა

უიდური – ნასოფლარი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. ორჯადან აღმოსავლეთით 2 კმ მანძილზე. შემორჩენილია დარბაზული ეკლესიის ნანგრევები.


უკვდავა (Helichrysum) – სამკურნალო, მრავალწლიანი მცენარეა, 0,3-0.5 მ-დე სიმაღლის. მთელი წლის განმავლობაში შეფოთილია, ყვავილობს ივლისიდან აგვისტომდე. კარგად იზრდება მსუბუქ (ქვიშნარ) და საშუალო (თიხნარ), მჟავე, ნეიტრალურ, ტუტე და კარგად დრენირებად ნიადაგებზე. ვერ იტანს დაჩრდილვას. მოითხოვს მშრალ ან ტენიან ნიადაგს, გვალვისადმი ტოლერანტულია. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება საქართველოში გავრცელებული ყველა 5 სახეობა.

უნწა – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ახალციხის ქვაბულში, მდ. ოცხის (ქვაბლიანის მარცხენა შენაკადი), ზ.დ. 1090-1145 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 14 კმ მანძილზე, ბენარის თემში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 273, რიცხობრივად უპირატესი ეროვნება (93 %) – ქართველი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 273, რომელთა 93 % ქართველია (2002).

ურაველი – კურორტი ახალციხის მუნიციპალიტეტში, ერუშეთის ქედის კალთაზე, მდ. ურავლის ხეობაში, ზ.დ. 1200 მ სიმაღლეზე. მიდამოები შემოსილია წიწვიანი ტყეებით (ნაძვი, სოჭი). ზამთარი ზომიერად რბილი (იანვრის საშუალო ტემპერატურა – -4°C) და მცირეთოვლიანია, ზაფხული – ზომიერად თბილი და ზომიერად მშრალი (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა – $+17^{\circ}\text{C}$). ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობაა 520 მმ. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია – მინერალური წყაროები – ურაველი.

ურაველი, სატალო, კალმახის წყალი, ცუნქისჯევი – მდინარე ერუშეთის მთიანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე, ასპინძისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში, მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადი. სათავე აქვს მთა გუმბათის ჩრდილოეთ კალთაზე და მდ. მტკვარს ერთვის სოფ. მინაძესთან (ახალციხის მუნიციპალიტეტი). მისი სიგრძეა 31 კმ, აუზის ფართობი – 338 კმ².

წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულზე. წყალს იყენებენ სარწყავად. მასზე აგებულია ჰიდროელექტროსადგური. მდ. ურავლის ხეობაში მდებარეობს ბალნეოკლიმატური საკურორტო ადგილი ურაველი, სადაც ძირითადი სამკურნალო ფაქტორია მინერალური წყალი. ხეობის ზედა წელში სუბალპური და ალპური მდელოებია, ხოლო ქვედა ნაწილში – ტყეები მუხის, ფიჭვის, არყის ხისა და ნიფლის მონაწილეობით. ვახუშტი ბაგრატიონი მას ცუნქისკევის სახელით იხსენიებს: „ახალციხისწყლისა მტკვრის შესართავს ზეით, მტკვარს მოერთვის ცუნქისკევი. გამოსდის ერუშეთის მთას და მოდის აღმოსავლეთ-ჩდილოს შორის „.



მდ. ურავლის (ოხეკასთან) საშუალო წარჟები სხვადასხვა კვიტეაში (მ/წმ)

ურაველი – მინერალური წყალი მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. ურავლის ხეობაში. გამოდის ქ. ახალციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 10 კმ მანძილზე. დღეღამური დებიტია 60-70 ათ. ლ., წყლის ტემპერატურა – 14°C, საერთო მინერალიზაცია – 2.5-3 გ/ლ. მიეკუთვნება ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ კალციუმ-მაგნიუმთან წყალს. წყალი შეიცავს ნახშირმჟავა გაზსა (1.2 გ/ლ-ზე მეტს) და ბიოლოგიურად აქტიურ კომპონენტებს (90 მგ/ლ მეტ კაჟის მჟავას და 10 მგ/ლ მეტ ორვალენტიან რკინას). გამოიყენება სააბაზანო პროცედურებისათვის.

ურაველი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. ურავლის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1110-1295 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 17 კმ მანძილზე, თემის ცენტრი (მუხსი, წყორძა, ხეოთი), ბალნეოლოგიურ-კლიმატური კურორტი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 768, რიცხობრივად უპირატესი ეროვნება (99 %) – ქართველი (2002). ამჟამად მუხსი და ურაველი უდიდესი დასახლებებია მდ. ურავლის ხეობაში. როგორც ფიქრობენ, სახელწოდება „ურაველი“



ერუშეთის მთიანეთი, ურაველი



სვეტიცხოველი განხორციელება ურავლის ხეობაში, 1948.
ფოტო: საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება

XIX საუკუნეში უნდა იყოს შერქმეული. ზოგჯერ ცუნქის სახელითაც იხსენიებენ. ურავლის მიდამოებში შემორჩენილია გუმბათოვანი ეკლესია განვითარებული შუა საუკუნეების, აღმოჩენილია ლაპიდარული წარწერები.

ურავლის თემის საკრებულო – საკრებულო ახალციხის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ურაველი, მუსხი, წყორძა და ხეოთი. მოსახლეობის რიცხოვნობა 2096 კაცი (2002).

ურავლის მენყერი – მენყრული სხეული ახალციხის ქვაბულში, ურავლის ქვაბულის დასავლეთ ნაწილში, ქისათიბის დიატომიტის არეში. განვითარებულია გოდერძის წყების ტბიურ ნალექებში.

ურავლის ქვაბული – ქვაბული მდ. ურავლის აუზის ქვედა ნაწილში, მდინარეების ურავლი-სა და ინჯასუს შეერთების ადგილზე. გადაჭიმულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 5კმ, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ – 8 კმ მანძილზე. ქვაბულის ფსკერი მდებარეობს ზ.დ. 1085-1100 მ სიმაღლეზე.

ურავლის ტრიკონქი – გუმბათიანი მცირე ზომის ეკლესია ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქ. ახალციხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. ურავლის ხეობაში, სოფ. ურაველთან, ხეოთისაკენ მიმავალ საავტომობილო გზის მახლობლად. ნაგებია მონითალო, თითქმის აგურისფერი ქვებით. შემორჩენილია ნანგრევები და წარწერები.

ურთხელი – იხ. უთხოვარი.

უტყისუბანი, უთხისუბანი, უტყვისა – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, მლაშეს თემში, ზ.დ. 1500-1520 მ სიმაღლეზე. მიდამოები შემოსილია წიწვიანი ტყეებით. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა–79, რიცხოობრივად უპირატესი ეროვნება–ქართველი (2002). მდ. ძინძეს ხეობაში გაქვავებული ტყის მასივია. შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიების – „ჩაკიდულას“ და „ქაცარულას“ ნანგრევები. ისტორიულ წყაროებში სხვადასხვა სახელითაა მოხსენიებული. თავდაპირველი ფორმა

„უტყისუბანია“, მოგვიანებით გაჩნდა „უთხისუბანი“. მიუხედავად ტყიან არემარეში მდებარეობისა, სახელწოდებას მაინც სიტყვა „უტყეობას“ უკავშირებენ. როგორც ფიქრობენ, დასახლების შექმნისას იყო იგი უტყეო, ან მერე იქცა უტყეოდ. ტოპონიმი რთული სიტყვისაგან შედგენილი სახელწოდებაა. მანარმოებელია სიტყვა „უბანი“.

უტყისუბნის ჯვარი – ჯვარი აღმართული ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. უტყისუბნის სამხრეთ-დასავლეთით. შემორჩენილია ნანგრევები.

უცუნა (*Colchicum speciosum*) – სამკურნალო, დეკორატიული მცენარე, იზრდება სუბალპურ მდელოებზე, მზიან ადგილებში. საქართველოში გავრცელებული მისი ოთხი სახეობიდან სამცხე-ჯავახეთში გვხვდება სამი: ჩვეულებრივი უცუნა, შოვიცოს უცუნა და სათოვლია. ყვავილობს სექტემბერ-ოქტომბერში, იზამთრებს მიწისქვეშ ტუბეროლქვის სახით, სადაც ხდება თესლების ჩამოყალიბება. ჩამოყალიბებული ნაყოფი ფოთლებთან ერთად ამოდის მიწის ზემოთ მარტში და თესლის გავრცელება ხდება ივნის-ივლისში. მოითხოვს კარგად დრენირებულ ტენიან ნიადაგს. შეუძლია ზრდა ნახევრად დაჩრდილულ (მეჩხერი ტყეები) ან ღია ადგილებში. თესლები (ბოლქვები) მნიფდება მაის-ივლისში. შეიცავს ალკალოიდებს – კოლხიციტინს და კოლხამინს. გამოიყენება ფარმაცევტულ ინდუსტრიაში. დგას საფრთხის წინაშე ჰაბიტატის დეგრადაციის, კომერციული მიზნით შეგროვების გამო.



უცუნა
ფოტო: „ელკანა“



უსრაპი

უსრაპი (*Ostrya carpinifolia*) – 3-7 მ-მდე სიმაღლის ხე, იშვიათი სახეობა, მესამეულის რეკლიტი. სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია ბორჯომის ხეობაში – წალფერის, ტბის, საკოჭავის მიდამოები, ლიკანის ხეობა, ქვაბისხევი), მესხეთში (ახალციხის, ქისათიბის, საფარის, ურავლის, ასპინძის, ადიგენის, მლაშეს მიდამოები). იზრდება შერეულ ტყეებში მთის ქვედა და შუა სარტყელში.

უჯმანა – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ეშტიის თემში, აბულის მთის ძირას, ზ.დ. 1920-1970 მ სიმაღლეზე, ქ. ნინოწმინდიდან 15 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 430, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002).

ფამფარულა (Scorzonera) – სამკურნალო, მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ყვავილობს აგვისტოდან სექტემბრამდე, თესლი მნიფდება სექტემბერ-ოქტომბერში. მცენარე კარგად იზრდება მსუბუქ (ქვიშნარ), საშუალო თიხნარ, მძიმე თიხნარ, კარგად დრენირებად ნიადაგებზე. უპირატესობას ანიჭებს კირიან ნიადაგებს, დაჩრდილვას ვერ იტანს. სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული **Scorzonera** -ს სახეობიდან **3** ენდემურია. იხ.: ჯავახეთის ფამფარულა, კეცხოველის ფამფარულა და კოზლოვსკის ფამფარულა.

ფარავანი – ნინონმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ როდიონოვკის ძველი სახელწოდება.

მოდითღა ნინო მთებში (ნანყვეტი)

ანა კალანდაძე

„ლურჯ მწვერვალებს ქარი რძისფერ ნისლეში ჰხვევდა...
და ზოდესაც ბაზში ვარდნი ჰყვავდნენ,
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბლატდნენ...
მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა
და ფარავნის ტბასა ზედა ძრწოდა ქარი...
მოდითღა, ნინო მთებით მოდიოდა,
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...“

ფარავანი, ძვ. თაფარავანა, თავ-ფა-

რავანი – ტბა ჯავახეთის ზეგანზე, აბულ-სამსრისა და ჯავახეთის ქედებს შორის მდებარე ქვაბულში, ნინონმინდის მუნიციპალიტეტში, ზ.დ. 2073 მ სიმაღლეზე. ზედაპირისა და აუზის ფართობების (37.5 კმ² და 234 კმ²) მიხედვით, იგი პირველ ადგილზეა საქართველოში. თუმცა წყლის მოცულობით (91 მლნ მ³). საქართველოში არ გამოირჩევა და მხოლოდ მესამე ადგილი უკავია, ტაბანყურისა და რინის ტბების



ფარავნის ტბა

შემდეგ. ეს განპირობებულია ტბის თხელწყლიანობით. მისი მაქსიმალური სიღრმეა 3.3 მ. ღრმანწყლიანი ტბებისაგან განსხვავებით, აქ მცირეა წყლის დონის რყევადობა (32 სმ საშუალოდ წელიწადში), თუმცა დამახასიათებელია ღელვა. წყალი მტკნარია (80 მგ/ლ), მაგრამ ძლიერ მღვრიე. საქართველოს ტბებს შორის იგი ყველაზე მღვრიეა, რაც განპირობებულია თხელწყლიანობითა და ღელვებით. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით დამახასიათებელია ზაფხულში (ტბის წყლის გამჭირვალობაა 0.3 მ).

თავფარავნელი ჭაბუკი
ქართული ხალხური ბალადა
(ნაწყვეტი)

„თავფარავნელი ჭაბუკი
ასფარას ქალსა ჰყვარობდა,
ზღვა ჰქონდა წინად სავალი,
გასვლას შიგ არა ზარობდა...“

ხალხში
(ნაწყვეტი)

„ჩვენს მეფეს გაუმარჯვნია
თავფარავნისა ტბაზედა,
მოუკლავს ხაზი, ირემი,
საისზე უღვეს მკლავზედა“.

ზამთარში იგი შედარებით უფრო გამჭვირვალეა. ყინულსაფარი აქ 4-5 თვის განმავლობაშია და მისი სისქე 47-73 სმ-ს შეადგენს. ტბაში ჩაედინება პატარა მდინარეები (შაორი ანუ შაშკა, საბადოსწყალი, როდიონოვკისწყალი და სხვ.), ხოლო მისი სამხრეთი ნაპირიდან გაედინება ფარავანი (მტკვრის მარჯვენა შენაკადი).

ძველად ტბის მიდამოებში მრავალი ცხოველი ყოფილა: არჩვი, გარეული თხა, ირემი და სხვ. ამაზე ხალხური ლექსიც მეტყველებს. ტბა მდიდარია თევზით. განსაკუთრებით კალმახითა და ხრამულით.

მასში ხელოვნურადაა გაშენებული ჭაპალა (რიაპუშკა). თევზჭერის სეზონი თითქმის მთელი წელია. მცირე ინტენსივობით მიმდინარეობს ევტროფიკაციული პროცესები.

ფარავანი, ახალქალაქისწყალი, ჯავახეთის მტკვარი – მდინარე ნინოწმინდის, ახალქალაქისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში, მტკვრის მარჯვენა შენაკადი. მისი სიგრძეა 74 კმ, აუზის ფართობი – 9352 კმ². სათავეს იღებს ფარავნის ტბის სამხრეთი ნაპირიდან, გაივლის საღამოს ტბას, ჯავახეთის ზეგანს და უერთდება მტკვარს. სოფ. ხერთვისთან (ასპინძის მუნიციპალიტეტი).



მდ. ფარავნის ზემო ნაწილი




მდ. ფარავნის სეოზა

წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულ-ზაფხულში. ზამთარში დამახასიათებელია ყინულნაპირი-სი და ყინულსვლა. წყლის რეჟიმს არეგულირებს ფარავნის, სალამოსა და სხვა ტბები.

წყალს იყენებენ სარწყავად და ჰესებისათვის. ბევრგან, ლავებიდან გამოედინება დიდდებიტიანი წყაროები – ლავური ვოკლუზები, რომელთა წყლის ტემპერატურაა 3-6°C.

ფარავანჰესი – ჰიდროელექტროსადგური მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტში, ფარავნისა და მტკვრის შეერთების ადგილას, სოფ. ხერთვისთან. სათავე ნაგებობა მოწყობილია ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდ. ფარავანზე, ფარავნის ტბიდან დაახლოებით 56 კმ მანძილზე. აქ მოწყობილია 5 მეტრი სიმაღლის კაშხალი და მცირე (0.5



მდ. ფარავნის საშუალო სარჟები სხვადასხვა კვეთებში (მ³/წმ)



ფარავანჰესის სათავე ნაგებობა

წმ) წყლის სარკის მქონე სარეგულაციო წყალსაცავი, რომლიდანაც გაედინება 13.8 კმ-ის სიგრძის სადერივაციო არხი. ჰესის სიმძლავრეა 87 მეგავატი.

ფარავნის აგრომეტეოროლოგიური ექსპერიმენტული ბაზა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მაღალმთიანი ფარავნის აგრომეტეოროლოგიური ექსპერიმენტალური ბაზა – მდებარეობს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ფარავნის ტბის მახ-

ლობლად), ზ.დ. 2200 მ სიმაღლეზე. შეიქმნა 1965 წელს და შედიოდა ამიერკავკასიის ჰიდრო-მეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შემადგენლობაში. მთავარი მიზანი იყო მაღალმთის აგროკლიმატური პირობების გავლენის შესწავლა სხვადასხვა სახის (40-მდე) პერსპექტიული აგროკულტურების (ბოსტნეული, სურნელოვან-არომატული, მეცხოველეობის საკვები ძირხვენები, მრავალწლიანი კენკროვანები) ზრდა-განვითარებაზე, მათ მოსავალსა და ხარისხზე. აღნიშნული გამოკვლევების საფუძველზე მაღალმთიანი ზონებისათვის (ზ.დ. 1500-2200 მ) შერჩეულია ისეთი სახეობის პერსპექტიული კულტურები, რომლებიც საკმაოდ კარგად ვითარდება მოცემულ პირობებში და იძლევა უხვ და ხარისხიან მოსავალს. მაგალითად, სუფრის ჭარხალი, სტაფილო, ყვავილოვანი კომბოსტო, შავი, თეთრი და თვის ბოლოკი, რომელთა მოსავალი სათანადო აგროტექნიკის ფონზე იძლევა 150-500 ც/ჰა-სა და მეტს, უცხო სუნელი და ქონდარი (ნედლი სახით), ქინძი, ცერეცო, ოხრახუმი, ნიახური, ნიორი, ხახვი და სხვა – 50-120 ც/ჰა-სა და მეტს. მეცხოველეობის საკვები ძირხვენები („კუუზიკუ“, „ესკო“) – 800-1000 ც/ჰა-ს, კენკროვანი კულტურები (შავი მოცხარი, ქაცვი და სხვ.) – 30-50 ც/ჰა-ს.

ფარავნის ეკლესია, ფარვანა – დარბაზული ეკლესია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

ფარავნის მეტეოსადგური, როდიონოვკის მეტეოსადგური – მეტეოსადგური ფარავნის ტბის ნაპირას, ზ.დ. 2080 მ სიმაღლეზე, დასახლებიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ტბის ზედაპირზე მაღლა, 800-900 მ-ით დაშორებულია ტბის აღმოსავლეთი ნაპირიდან, რომელიც შემოფარგლულია სარდაფის ტიპის შენობებით. მეტეოროლოგიური მოედნის ჰორიზონტი ღიაა ყველა მიმართულებით. მეტეოროლოგიურ სადგურზე დაკვირვებები ნარმოებდა 1947-2005 წლებში.

ფარავნის მინისძვრა – მინისძვრა 1986 წლის 13 მაისს, ეპიცენტრით ფარავნის ტბის მიმდებარედ, სიმძლავრით $M=4.7$.

ფარავნის ობსიდიანი და პერლიტი – ობსიდიანისა და პერლიტის საბადო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში და დაკავშირებულია ჭიქიანის ცენტრალური ვულკანის ლავურ ნაკადთან. ნაკადის სიგრძეა 500 მ, ხოლო სიგანე – 25-70მ. მათ სანაკეთო და საიუველირო ღირებულება აქვთ.



ფარავანჯისის სათავე ნაბაზოვის მიმდებარე ტერიტორია

ფარავნის ქარვასლა – ქარვასლა შუა საუკუნეების (სავარაუდოდ XII ს.) ქარვასლის ნანგრევები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ფარავნის ტბის აღმოსავლეთით, სოფ. როდიონოვკაში, ორ ძველ ეკლესიას შორის. ნაგებია ნაცრისფერი თლილი ქვითა და აგურით. ქარვასლის სიგრძე 26 მ ყოფილა, კედლის სისქე კი 1.45 მ. სამნავიანი ოთხკუთხა ფორმის ნაგებობა მოიცავდა 15 ოთახს. ნაგები ყოფილა თლილი, ორნამენტიანი ქვებით, ზედ წარწერებით. ნაგებობა შედარებით შენახული სახით არსებობდა 1927 წლამდე. ამჟამად იგი განადგურებულია. დასახელებული 2 ეკლესიიდან ერთ-ერთზე შემორჩენილი იყო ქართული ასომთავრული წარწერა (სავარაუდოდ XII-XIII სს.). ეკლესიის გარშემო სასაფლაოს ქვები კი ადგილობრივმა მოსახლეობამ დაიტაცა.

ფარავნის ქვაჯვარი – 2.5 მ სიმაღლის ქვაჯვარი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფარავნიდან აღმოსავლეთით 2.5 კმ მანძილზე, ჯავახეთის ქედის კალთაზე, ზ.დ. 2300 მ სიმაღლეზე. როგორც ფიქრობენ, ძველად იგი უნდა ყოფილიყო ცილინდრული მოყვანილობის მენჰირი, რომელიც მოგვიანებით ქვაჯვარად გადაუკეთებიათ. ჯვრის ცენტრში მოთავსებულ დისკოზე თამარ მეფის დროს მოჭრილი ფულის ემბლემაა გამოსახული.

ფარეხა – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ვარხანის თემში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 16, რომელთა 69 % ქართველია, 31 % – სომეხი (2002). ფარეხი ნიშნავს საცხვარეს. ფარეხს, პარეხს უწოდებდნენ გამოქვაბულსაც, რომელიც ცხვრის სადგომად გამოიყენებოდა.

ფარვანა – იხ. ფარავნის ეკლესია.

ფაფა – ნასოფლარი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, შეუერთდა ბორჯომს. თურქების ბატონობის პერიოდში სოფლის მოსახლეობა აქედან აყრილა და სხვაგან გადასახლებულა. მოხსენიებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“.

ფაფის საყდარი – ეკლესია ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ნასოფლარ ფაფაში. სავარაუდოდ, ღვთისმშობლის სახელობის უნდა ყოფილიყო. ნაგებია ქვითკირით. შემორჩენილია ნანგრევები.



სოფ. ფარეხის მიდამოები

ფერსა – მინერალური წყარო ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე. მიეკუთვნება ჰიდროკარბონატულ კალციუმ-ნატრიუმ-მაგნიუმთან, ან გოგირდოვან ჯგუფს საერთო მინერალიზაცია დაბალია – 1.1 გ/ლ.

ფერსა – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ზ.დ. 970-1080 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 13 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 282, რომელთა 96 % ქართველია (2002).

ფერსათის პლატო, პირსაგატი – პლატო აჭარა-იმერეთის ქედზე, მდ. ქვაბლიანის მარცხენა მხარეს. გადაჭიმულია სუბგანედურად 11 კმ მანძილზე, რომელიც თითქმის ყველა მხრიდან შემოსაზღვრულია კლდოვანი მასივებით. ხასიათდება მსუბუქი ტალღოვანი რელიეფით, გუმბათისებრი ამალღებებით. მისი უმაღლესი ადგილი – საბურთალო, ფერსათი, ზ.დ. 2300-2370 მ სიმაღლეზეა. ფართობია დაახლოებით 30 კმ², საშუალო სიმაღლე – 2100 მ. შემორჩენილია ძველმყინვარული ნაშთები.

ფერსის თემის საკრებულო – საკრებულო ახალციხის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ფერსა, გიორგიწმინდა, მუგარეთი და შურდო. მოსახლეობის რიცხოვნობა 1151 კაცი (2002).

ფერსის იასპის (ეშმა) – იასპის საბადო ახალციხის მუნიციპალიტეტში. მას საიუვილერო-დეკორატიული დანიშნულება აქვს.

ფეტვი (Panicum) – ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე, მარცვლოვანთა გვარისა. მისი სიმაღლე 70-100 სმ-ს აღწევს. აქვს 4-10 მუხლთაშორისიანი მარტივი ან დატოტვილი ღერო, ხაზოვან-ლანცეტისებრი ფოთოლი. ფეტვი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბურღულე კულტურაა. მარცვალს იყენებენ ფქვილისთვის. სულხან-საბა ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის მიხედვით, ეწოდება ფაჩქა. ფეტვი ადრე სამცხე-ჯავახეთში ბევრგან მოჰყავდათ. დღეს იგი აქა-იქ არის შემორჩენილი.



ფეტვი
ფოტო „ელკანა“

ფია – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ნაქალაქევის თემში, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1300-1400 მ სიმაღლეზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 104. რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში.

ფილიპოვკა, პატარა კარნახი, შუათუბანი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, კარნახის თემში, ახალქალაქის პლატოზე, ზ.დ. 1835-1900 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 29 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 101. მათი უმრავლესობა (99 %) სომეხია (2002). XIX საუკუნეში რუსი სექტანტების აქ დასახლების შემდეგ სოფელს ეწოდა „ფილიპოვკა“. სოფლის ქართული სახელია „შუათუბანი“.

ფიჩხული – იხ. ხრამული.

ფიჭვნარები – ფიჭვნარი ტყეები სამცხე-ჯავახეთში, აჭარა-იმერეთისა და თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთებზე, აგრეთვე ერუშეთისა და თეთრობ-ჭობარეთის ქედზე. ქმნიან მეჩხერ, პარკული ტიპის ტყეებს, ვარჯის მცირე შეკრულობით (0.3-0.5), თუმცა ზოგჯერ ქმნის მძლავრ საფარსაც. დომინანტი სახეობაა: კობის ფიჭვი (*Pinus kochiana*). სიმეჩხრის გამო მძლავრია ბალახოვანი საფარი, სადაც მონანილეობას იღებს მდელოს, ზოგჯერ სტეპის მცენარეები. თეთრობ-ჭობარეთის სერზე გავრცელებული ფიჭვნარები თავისებური ცენოზია, სადაც ფიჭვი შერეულია მთის სტეპებთან. ტყის ჭრისა და ჭარბი ძოვების გამო ფიჭვნარი ტყეები ბევრგან გამეჩხერებულია და შემცირებულია ფართობი. ბუნებრივი ფიჭვნარების გარდა, სამცხე-ჯავახეთში მრავალ ადგილას ხელოვნური ფიჭვნარების ნარგავებიცაა. მაგალითად, ბაკურიანის პლატოზე, ჯავახეთის ზეგანზე და სხვ.

ფლატე – მინერალური წყარო მდ. ფლატის ხეობაში (ქვაბლიანის მარცხენა შენაკადი), ზ.დ. 1370 მ სიმაღლეზე. ჯამური დებიტია 120-130 ათ. ლ. მიეკუთვნება ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ კალციუმ-ნატრიუმთან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია – 2.8 გ/ლ, ტემპერატურა –15.2°C. სახელი ადგილის ოროგრაფიულ პირობებს უკავშირდება.

ფლატე – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე, მდ. ქვაბლიანის მარცხენა ნაპირას, მლაშეს თემში, ზ.დ. 1300-1420 მ სიმაღლეებზე, დაბა ადიგენიდან 5 კმ მანძილზე. სოფელში არის მინერალური წყლები. მოსახლეობის რიცხოვნობა – 148, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002).

ფოთოლეთის ეკლესია – სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპის ეკლესია (IX-X სს.) ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ახალდაბიდან სამხრეთით 5 კმ მანძილზე, ტყეში. ნაგებია მოვარდისფრო-მოყავისფრო უხეშად თლილი ქვებით. შედარებით ნესიერადაა გათლილი დიდი ქვები. ზოგიერთი მოსაზრებით, იგი გრიგოლ ხანძთელის მონაფის ქრისტეფორეს მიერ დაარსებული კვირიკენმინდის ტაძარი უნდა იყოს. მიკვლეულია აკლდამა, სადაც ქვის ფილაზე ასომთავრული, ნუსხური და მხედრული ნაკანრი წარწერებია. ამჟამად აღნიშნული წარწერიანი ქვის ფილა ინახება ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. 2007-2008 წლებში ჩაუტარდა რესტავრაცია.

XVI საუკუნის დასასრულს ეკლესია წყვეტს ფუნქციონირებას. 2011 წლიდან ეკლესია მოქმედია და აქ მამათა მონასტერია. მთავარი ტაძარი წმიდა გრიგოლ ხანძთელის, სამხრეთი ნავი კი – წმიდა სერაფიმე საროველის სახელობისაა, ხოლო ჩრდილოეთ ნავში სამკვეთლოა განთავსებული. სახელი ეწოდა ფოთოლეთად ნოდებული ტყიდან, სადაც მდებარეობს.

ფოკა, ფოკანი, ფოგა, პოგა (XIX ს-ში სომხური მართლწერით გაფორმდა) – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავნის ტბის სამხრეთ ნაპირას, ზ.დ. 2075-2120 მ სიმაღლეზე, ქ. ნინოწმინდიდან 28 კმ მანძილზე, თემის ცენტრი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 2007, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება (98 %) – სომეხი (2002). შემორჩენილია წმინდა ნინოს დარბაზული ეკლესია, შუა საუკუნეების მეგალითური ციხე-ნამოსახლარის ნანგრევები, მიკვლეულია შუა საუკუნეების ილხანების ვერცხლის მონეტების განძი. არის საქართველოს საპატრიარქოს რეზიდენცია, დედათა და მამათა მონასტერი. მრავლობითობის ნიშანი „ნი“ სოფლის სახელწოდებაში მიუთითებს, რომ აქ ორი სოფელი ყოფილა. ყოველწლიურად, 13 ივლისს აღინიშნება წმ. ნინოს დღესასწაული – ნინობა. აღ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ რუკაზე [1931-1932 წ.] აღნიშნულია „ფოგა“-ს სახელით.

ფოკის ეკლესია – წმ. ნინოს სახელობის დარბაზული ეკლესია (XI ს.), ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. ნაგებია მოვარდისფრო ფერის სუფთად გათლილი

ანდეზიტური ტუფის კვადრებით. შემორჩენილია მრავალფეროვანი ჩუქურთმები, ასომთავრული წარწერები და კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. მოხსენიებულია ბაგრატ კურაპალატი. ნაგებობა დაზიანებულია და რესტავრირებულია 1997-2002 წლებში. აქვეა აღმართული 5 მ სიმაღლის „ჯვარი ვაზისა“.

ფოკის თემის საკრებულო – საკრებულო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ფოკა და ვლადიმეროვკა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 2181 (2002).

ფოკის მეტეოსადგური – მეტეოსადგური ახალაქალაქის ზეგანზე, ფარავნის ტბის სამხრეთ სანაპიროზე, ზ.დ. 1995 მ სიმაღლეზე, ფარავნის ტბის ნაპირიდან 0.5 კმ დაშორებით, ფარავნის ტბიდან სამხრეთ-დასავლეთით. წარმოადგენს ჯავახეთის ქედის დამრეც ფერდობს. მიდამოები უტყეოა, მდელო-სტეპებსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია. მეტეომოედანი შემოფარგლულია დაბალი შენობებით. მეტეოროლოგიურ სადგურზე დაკვირვებები წარმოებდა 1927-1992 წლებში.


ფოკის ციხე-ნამოსახლარი – წინაქრისტიანული ხანის მეგალითური ციხე-ნამოსახლარი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

ფოკის წმ. ნინოს სახელობის დედათა მონასტერი – მონასტერი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფოკაში, წმ. ნინოს სახელობის ტაძრის (XI) ირგვლივ. დაარსდა 1992 წელს. დაარსებისთანავე აქ აღსდგა სამი საუკუნით შეწყვეტილი წირვა-ლოცვა. გაიხსნა ტიხრული მინაქრის სახელოსნო „ფოკანი“, სადაც დამზადდა მრავალი საეკლესიო ნაკეთობა, ხატები და საიუველირო ნაწარმი, რითაც დიდი წვლილი შეიტანა მინაქრის აღორძინების საქმეში საქართველოში. მონასტრეთან არსებობს აგრეთვე საკვირაო სკოლა ყველის მცირე ქარხანა, სადაც ძველი ჯავახური ტრადიციით მზადდება 16 სახეობის ყველი. აქ დაიწყო აგრეთვე თსუ სტუდენტების ყოველწლიური ექსპედიციები, რომლის უმთავრესი მიზანი იყო ფოკის მონასტრის დახმარება და ჯავახეთის გაცნობა.

ფოკის წმ. ნინოს სახელობის მამათა მონასტერი – მონასტერი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ფარავნის ტბის ნაპირას. დაარსდა 1989 წელს.



მდ. ფოცხოვისწყალი



მდ. ფოცხოვის (სსვილისთან) საშუალო ხარჯები სხვადასხვა კვირებში (მ³/წმ)

ფონოვარი – სოფელი, იხ. ფარავანი.

ფოცხოვისწყალი, ფოცხოვი, ახალციხისწყალი – მდინარე ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში, მტკვრის მარცხენა შენაკადი. მისი სიგრძეა 64 კმ, აუზის ფართობი – 1840 კმ², საშუალო წლიური ხარჯი შესართავთან – 22.4 მ³/წმ. სათავეს იღებს საქართველოს ფარგლებს გარეთ თურქეთში, არსიანის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ზ.დ. 2720 მ სიმაღლეზე და ჩაედინება მტკვარში. წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულზე, წყალმოვარდნა – აგვისტოდან ნო-

ემბრამდე. ზამთარში დამახასიათებელია ყინულნაპირისი, თოში და ძგიფი. უმთავრესად მიედინება ვიწრო ხეობაში, ახასიათებს ვარდნა და სწრაფი დინება. წყალს იყენებენ სარწყავად, წისქვილისა და ჰესისათვის. ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს მას: „სად მოდრკების, მოერთვის მტკვარს მუნ ახალციხისწყალი, და ახალციხისწყალი ეწოდების კვანჯღამდე ამ წყალსა, და მოდის დასავლეთითადა აღმოსავლეთად“.

ფსოვი – ფრინველი, იხ. თეთრკუდა არწივი.

ფუტკარა (Digitalis) – სამკურნალო, ორწლოვან/მრავალწლოვანი მცენარეა იზრდება ტყეში, ღია ადგილებში, ტყისპირებში. 0.4 მ-დან 1.2 მ-მდე. ყვავილობს ივლისში, თესლი მნიფდება სექტემბერში. იზრდება მსუბუქ (ქვიშნარ) და მძიმე (თიხნარ), მყავე, ნეიტრალურ და ტუტე ნიადაგებზე. ზრდა შეუძლია ნახევრად დაჩრდილულ (მეჩხერ ტყეებში) ან ღია ადგილებში, მშრალ ან ტენიან ნიადაგებზე, სიმშრალის მიმართ ტოლერანტულია. მესხეთსა და ჯავახეთში ფუტკარას მხოლოდ ერთი სახეობა არის გავრცელებული.

ფხერი, ფხერო – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი, ფერსათის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზ.დ. 1460-1530 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 14 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 164, რომელთა 88 % ქართველია (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები.

ფხერის თემის საკრებულო – საკრებულო ადიგენის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ფხერი, ზემო ენთელი და შოყა. მოსახლეობის რიცხოვნობა 514 კაცი (2002).

ქ

ქათქათისწყალი – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. ნეძვისწყლის სათავე.

ქანას ჩიტისთავა (*Gagea chanae* Grossh) – ბოლქვიანი, სამკურნალო მცენარე. ფართოდ გავრცელებული კავკასიის ენდემური სახეობაა. გვხვდება მესხეთსა და ჯავახეთში. იზრდება მშრალ ფერდობებზე, არიდულ მცენარეულობაში. მცენარის სიმაღლეა 3-7 სმ. ყვავილობს მარტ-აპრილში. იზრდება მჟავე, ნეიტრალურ და ტუტე ნიადაგზე. შეუძლია ზრდა ნახევრად დაჩრდილულ (მეჩხერი ტყე) ან მზიან ადგილებში. იყენებენ საკვებად და ხალხურ მედიცინაში. საფრთხის წინაშეა შეგროვებისა და ძოვების გამო.

ქარზამეთის ეკლესია – ერთ-ერთი უდიდესი ერთნავიანი ეკლესია საქართველოში VIII საუკუნეში, ქარზამეთის ეკლესია – დარბაზული ეკლესია მდ. ქარზამეთისწყლის მარცხენა მხარეს, შემადლებულ ბორცვზე, ასპინძის მუნიციპალიტეტი. ნაგებია ანდეზიტის ქვით. შემორჩენილია ლაპიდარული ნარნერები.

ქართისწყალი – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. ნეძვისწყლის მარჯვენა შენაკადი.

ქართლის ხორბალი – იხ. დიკა.

ქართული თეთრი მელა – იხ. ბაკურიანის ნაკრძალი მეურნეობა, ბაკურიანული თეთრი მელა.

ქართული ნუში (*Amygdalus georgica*) – ბუჩქი, აღმოსავლეთ საქართველოს ენდემური სახეობა. იზრდება მთის ქვედა და საშუალო სარტყელში, ხეობებში. საქართველოს წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობა.

ქარცები – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოს დასავლეთ ნაწილში, ქ. ახალქალაქიდან სამხრეთ-დასავლეთით, ზ.დ. 1720-1745 მ სიმაღლეზე, ოკამის თემში. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 156, უპირატესი ეროვნება (99 %) – სომეხი (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები. 1947 წელს აქ დასახლდნენ სოფელ მოდევიდან ჩამოსული სომხები, 1944 წელს კი აქედან გაასახლეს მაჰმადიანები. სოფელში ძველად დიდი ეკლესია მდგარა, რომელიც გადაუკეთებიათ და ეგვიპტური მიუშენებიათ. შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები, ნარნერების (XV-XVI სს.) ფრაგმენტები.

„ქაცარაულის ეკლესია“ – ეკლესია (შუა სს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში. სოფ. უტყისუბანში. დაბა ადიგენიდან 18 კმ მანძილზე. შემორჩენილია ნანგრევები.

ქაცვი – ბუჩქი, ზოგჯერ 3 მ-მდე სიმაღლის ხე, ძვირფასი სამკურნალო მცენარეა. სამცხე-ჯავახეთში, ისევე როგორც მთელს საქართველოში გავრცელებულია თითქმის ყველგან, ზ.დ. 2000 მ სიმაღლეზე. მდინარეთა ხეობებში ქმნის გაუვალ რაყას. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობა.

ქვაბთა – კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულების კომპლექსი. იხ. გულსუნდა.

ქვაბთა ქალაქი – იხ. ვარძიის სამონასტრო კომპლექსი.

ქვაბისხევი – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მტკვრის მარცხენა შენაკადი.

ქვაბისხევი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დვირის თემში, მდ. ქვაბისხევის (მტკვრის

მარცხენა შენაკადი) ნაპირებზე, ზ.დ. 870-1000 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან სამხრეთ-დასავლეთით 18 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 480. მათი უმრავლესობა (98 %) ქართველია (2002). სოფლის სიახლოვეს შემორჩენილია შუა საუკუნეების დემოთის ციხე, წმ. მარიამის მიძინების დარბაზული ეკლესია, სამნავიანი ბაზილიკა, სადაც ფრესკებზე გამოსახულია ქალი და მამაკაცი ასომთავრული წარწერით „შოთაჲ და იაჲ“. ლეგენდის მიხედვით, შოთა რუსთაველი და მისი დედაა.

ქვაბისხევის მიძინების ეკლესია, მარიამწმინდა – წმინდა მარიამის ეკლესია, ბაზილიკის ტიპის ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის ხეობაში, მის მარცხენა მხარეს მდებარე ხევში კლდოვან შემალეებაზე, ქ. ბორჯომიდან 20 კმ მანძილზე. ნაგები ნატეხი ქვით. ძველად აქ სამონასტრო კომპლექსი იყო.

ქვაბისხევის მონასტერი – ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი, სამნავიანი ეკლესია (VIII-IX სს.) ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მაღალი კლდის ფერდობზე. ნაგებია ლოდებისაგან. გვერდის ნაგები ღიაა და აქვს თაღიანი სვეტები.

ქვაბიჯვარი – ნასოფლარი (შუა სს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში, დაბა ადიგენიდან 11 კმ მანძილზე.



ქვაბლიანის ხეობა


ქვაბლიანი, ქვაბლიანისწყალი – მდინარე აჭარასა და სამცხეში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ხულოსა და ადიგენის მუნიციპალიტეტებში, ფოცხოვისწყლის მარცხენა შენაკადი, სამცხის უდიდესი მდინარე. სიგრძეა 41 კმ, აუზის ფართობი – 900 კმ². სათავეს იღებს, ზ.დ. 2355 მ სიმაღლეზე და ერთვის ფოცხოვისწყალს. სამცხე-ჯავახეთში შემოდის მდინარის ქვემო წელის აუზი. ზემო წელი კი მთლიანად აჭარაშია (ხულოს მუნიციპალიტეტი)

და იგი აქ ბახმაროსწყლის სახელითაა ცნობილი.

საზრდობს მინისქვეშა, წვიმისა და თოვლის ნადნობი წყლებით. წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულზე. მდინარის წყალს იყენებენ სარწყავად.

წყალმოვარდნის პერიოდი მდ. ქვაბლიანზე გამოხატულია სუსტად, მაგრამ ზოგიერთ წლებში დამახასიათებელია ჩამონადენის მკვეთრი რყევადობა, ამ დროს წყლის დონემ შეიძლება 1-1.2 მ-მდეც კი მიაღწიოს. წყალმოვარდნები სეზონზე მეორდება 3-5 ჯერ, და გრძელდება 2 დან 15 დღემდე.

ქვაბლიანი – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველ საქართველოში. მოიცავდა მდ. ქვაბლიანის ხეობას. შუა საუკუნეებში მისი მფლობელი ჯერ იყვნენ ჩორჩანელები, შემდეგ – ჯაყელები. XVI საუკუნეში, მას შემდეგ, რაც



მდ. ქვაბლიანის (მლაშვისთან) საშუალო სარჟები სხვადასხვა კვირებში (მ³/წმ)



შთენილი ლოდი მდ. ქვაბლიანის ხეობაში

ეს ტერიტორია მოექცა ოსმალების გავლენის ქვეშ, იგი 3 ადმინისტრაციულ ერთეულად დაიყო: ოქროსციხის, ქვაბლიანისა და უდის. აქ ოდითგანვე გადიოდა გზა – ქართლის გზის ერთი განშტოება, რომელიც მისდევდა მდ. ქვაბლიანის ხეობას. აღწევდა ზარზმამდე, შემდეგ კი ძინძეს ხეობის აყოლებით არსიანის ქედზე გოდერძის უღელტეხილისაკენ (ხულოს მუნიციპალიტეტი, ზ.დ. 2025 მ, ამჟამად აქ გადის ბათუმ-ახალციხის საავტომობილო გზა), შემდეგ შავი ზღვისაკენ მიემართებოდა.

ქვაბლოვანი – დასახლებული პუნქტი ძველ საქართველოში, მდ. ქვაბლიანის ხეობაში, მის ორივე მხარეს, ამჟამინდელი სოფ. ფლატეს (ადიგენის მუნიციპალიტეტი) სამხრეთით. იგი დატანილია ვახუშტი ბაგრატიონის „სამცხის“ რუკაზე (XVIII ს.), მოხსენიებულია აგრეთვე „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ (XVI ს.) და გიულდენშტედტის მოგზაურობაში (XVIII ს.). სახელწოდება მომდინარეობს სიტყვა „ქვაბული“-საგან. ფუძისეული ასო „უ“ ამოვარდნის შედეგად „ქვაბულიანის“ ნაცვლად მივიღეთ „ქვაბლიანი“.



ქვარჭობილი – თიქთამაში, ტიკმატაში, „აყუდებული ქვა“. უღელტეხილი ჯავახეთის ქედზე, ნინოწმინდისა და წალკის მუნიციპალიტეტების საზღვარზე. ამჟამად მას თიქთამაშს, ტიკმატაშს უწოდებენ. თუმცა მისი ძველი ქართული სახელწოდებაა „ქვარჭობილი“.

ქვაჯვარი – მთა თრიალეთის ქედზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

ქვედა მთის ეროზიულ-აკუმულაციური ლანდშაფტი რცხილნარ-მუხნარი (ქართული მუხის), მუხნარ-ფიჭვნარი და ფიჭვნარი (კავკასიური ფიჭვის) ტყეებით, იშიათად შიბლიაკით (კავკასიის ლანდშაფტური რუკის მიხედვით – ლანდშაფტის გვარი N 83) – გავრცელებულია მტკვრის ხეობის გასწვრივ, ლიხისა და არსიანის ქედებს შორის ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. კლიმატი ზომიერად თბილი ჰუმიდური, სემიჰუმიდური, ზომიერად კონტინენტური-საკენ გარდამავალია. ჯამური რადიაციია 130-140 კკალ/სმ², რადიაციული ბალანსი – 55 კკალ/სმ², ალბედო – 25 %, აორთქლება – 460 მმ წლიურად, ქარის სამ. სიჩქარე – 2 მ/წმ-ზე ნაკლები. მდინარეთა

საშუალო წლიური ჩამონადენია 10-15 ლ/წმ 1 კმ²-დან. ნიადაგები ტყის ყავისფერი და ტყის ყომრალია. დომინანტი მცენარეული საფარია რცხილნარ-მუხნარი, მუხნარ-ფიჭვნარი და ფიჭვნარი ტყეები.

ქვედა მთის ტყის ლანდშაფტები – იხ. სემიპუმიდურისაკენ გარდამავალი ქვედა მთის ტყის ლანდშაფტები.

„ქვევარები“ – ჩალრმავებული ადგილობრივი საყინულეებით ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიზაბავრიდან 3 კმ მანძილზე. ადგილობრივები ზაფხულობითაც ამ ადგილს ბუნებრივ საყინულეებად იყენებენ.

ქვევრების სერი – ორმოსამარხი, იხ. ტიმოთესუბანი.

ქვემო ენთელი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ფერსათის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე, ზ.დ. 1220-1300 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 10.5 კმ მანძილზე, ბოლაჯურის თემში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 422, რომელთა 99 % ქართველია (2002).

ქვემო სხვილისი – იხ. სხვილისი.

ქვემო წყისი – ნასოფლარი ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. ქვაბლიანის მარჯვენა მხარეს, სოფ. უდიდან სამხრეთით, ზ.დ. 1380-1890 მ სიმაღლეზე. შემორჩენილია ნანგრევები. აქ გადიოდა წარბასთუმანიდან მიმავალი საავტომობილო გზა. მიდამოები უტყეოა. ძველად გაშენებული იყო ხეხილის ბაღები. სოფელ უდის მცხოვრებს აქ აქვთ ხეხილის ბაღები ყანები და სათიბები. საქართველოს მოსახლეობის 1926 წლის აღწერით სოფელი მოქმედი იყო და მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული.

ქვისკედლიანი ტერასა – იხ. დარიჯი.

„ქვის პაპა“ – შთენილი კლდის სვეტი ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. ოშორის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში. სვეტი, რომელიც აგებულია ტუფქვიშაქვებით, 10 მ სიმაღლისაა.

ქილდა – ნასოფლარი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. შემორჩენილია ნასახლარები, ქვაყორის ორღობეები, პურის ორმოები და სხვ. შემორჩენილია ორნავიანი ეკლესიის ნანგრევები, მოკირწყლული გზა, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები. 1930-იან წლებში ჯერ კიდევ ყოფილა შემორჩენილი ქართულ-სომხური მოსახლეობა.

ქილდის ეკლესია – წმინდა ესტატეს სახელობის ორნავიანი ეკლესია (X ს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. კუმურდოს ჩრდილო-დასავლეთით 6.5 კმ მანძილზე, სწორ ადგილას.



ძისათიბის დიატომიტის საბადო, 1948


ფოტო: საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება

ნაგებია რუხი ფერის ქვებით. შემოფარგლულია ციკლოპური ქვის ლოდებიანი გალავნით.

ქისათიბის დიატომიტის საბადო – დიატომიტის საბადო ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. ურაგლის ხეობაში, ზ.დ. 1400-1700 მ სიმაღლეზე. ყოფილ სსრკ-ში იგი იყო უდიდესი დიატომიტის საბადო. ყველაზე მაღალხარისხოვანია თეთრი დიატომიტი, რომლის მარაგია 7.9 მლნ ტონა. აქ დიატომიტის 5 ფენაა,

რომელთაგან ქვედა ყველაზე მაღალხარისხოვანია. საბადოზე გვხვდება მცენარეთა ანაბეჭდები და ცხოველთა ნაშთები.

ქისათიბის ნამარხი ფლორა და ფაუნა – ნამარხი ფლორა და ფაუნა ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. ურავლის ხეობაში, ქ.ახალციხიდან 20 კმ მანძილზე. დიატომიტურ წყებაში ნაპოვნია მცენარეთა ფოთლების ანაბეჭდები, ბაყაყების, თევზების, ფრინველებისა და ჰიპარიონების ნაშთები. მიკვლეულია 10 მლნ წლის წინანდელი (მესამეული პერიოდის) ვაზის ლერწმისა და ფოთლების ანაბეჭდები.



ფიტომასების რაოდენობის ცვალებადობა უიტაქერის სქემის მიხედვით

ქიქინეთი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ახალციხის ქვაბულში, ზ.დ. 1440-1490 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 23 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 177, რომელთა 97 % ქართველია (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების ღვთისმშობლის ეკლესია, თუთაჯვარისა და იხელის ეკლესიების ნანგრევები, „ოქროს ციხე“, XIX საუკუნის მეჩეთი.

ქიქინეთი – ნასოფლარი, იხ. თუთაჯვარი.

ქიქინეთის ეკლესია – ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია (XVI ს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქიქინეთის სიახლოვეს, მისგან ჩრდილო-დასავლეთით, დაბა ადიგენიდან 20 კმ მანძილზე.

ქორდა – მსხლის ჯიში. ცალკეული ეგზემპლარები მიკვლეულია ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე – სოფლების ზარზმისა და წნისის მიდამოებში. ამჟამად გაშენებულია წნისის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთზე.

ქოროლლის ციხე – იხ. შაორის ციხე.

ქორხუხი – მდინარე ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. აბასთუმნისწყლის მარცხენა შენაკადი.

ქურხეთი – ანტიკური ხანის ნაგებობები ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭობისხევთან.

ქსეროფიტული ბუჩქნარი-ბალახოვანი ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსი, მეზოსტრუქტურის (P_{2i}) – სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია დიდ ფართობზე, თითქმის ყველგან. უმთავრესად იკავებს სამხრეთის ექსპოზიციის საშუალო დახრილობისა და დამრეც ფერდობებს. ბუჩქნარებიდან ყველაზე მეტად დამახასიათებელია ჯაგეკლიანები – შიბლიაკი, რომელიც შედარებით უფრო უკეთ დატენიანებულ ადგილებში – ხეობებისა და ლარტაფების გასწვრივ ვითარდება, მაშინ როცა მიმდებარე ფერდობებზე ნარეკლიანები – ფრიგანა და სტეპის მცენარეულობაა. სწორედ ამიტომ აქვს მას ხშირად ძლიერ ფრაგმენტული გავრცელება. ფიტომასების რაოდენობა დიდ ფარგლებში არ იცვლება და საშუალოდ შეადგენს 35 ტ/კა-ს. თუმცა ამის თქმა არ შეიძლება ძლიერი ანთროპოგენური ზემოქმედების პირობებში (ფიტომასების რაოდენობა 15-20 ტ/კა და უფრო ნაკლებია).

ქუმის ეკლესია – იხ. ხომის ეკლესია.

ქუნცა, ქვუნცა – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1200-1300 მ სიმაღლეზე, დაბა ასპინძიდან სამხრეთით 19 კმ მანძილზე. შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები. მიდამოებში არის ბაზალტის საბადო.



მდ. ქცია, ჯავახეთის პლატო
ფოტო: შამილ შეთეკაური

ქუნცის მენყერი – მენყრული სხეული ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის ზემო ხეობის მარცხენა მხარეს, ქუნცის ეკლესიის სიახლოვეს. განვითარებულია შუა და ზედა ეოცენის ვულკანურ და თიხიან ქვიშაქვებში, გადაფარებული ელუვიურ-დელუვიური ნალექებით. მენყრული სხეულის სიგრძეა 1.6 კმ, სიგანე – 1.0 კმ, სიმაღლე – 10-15 მ, ფართობი – 160 ჰა. პერიოდულად აქტიური მენყერია.

ქცია – მდინარე ბორჯომისა და ნალკის მუნიციპალიტეტებში, ერთვის ნალკის წყალსაცავს. სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე გაედინება მდინარის მხოლოდ ზემო წელი.

ქცია-ტაბანყურის აღკვეთილი – აღკვეთილი ტაბანყურის ტბის მიდამოებსა და მდ. ქციის ზემო წელში. დაარსდა 1995 წელს. აქ გავრცელებული ფრინველების: შავი და თეთრი ყარყატის, რუხი წეროს, ლალასა და თეთრფრთიანი გარიელას და მათი საარსებო გარემოს – უნიკალური ჭარბტენიანი ტერიტორიების, აგრეთვე მაღალმთის ეკოსისტემების დაცვის მიზნით. გავრცელებულია მდელოსა და მთის სტეპის, აგრეთვე ჭარბტენიანი ტერიტორიებისთვის დამახასიათებელი მცენარეები. მაღალმთიან ზოლში გვხვდება დეკიანები (*Rhododendron caucasicum*) და აღმოსავლეთის მუხის ტყის ფრაგმენტები. მაღალმთიან სარტყელში გავრცელებული სუბალპური ტანბრეცილი ტყე (აღმოსავლეთის მუხა, წიფელი, ვერხვი), რომელიც ფრაგმენტებადაა შემორჩენილი, როგორც ფიქრობენ, საქართველოს სამხრეთ მთიანეთში წარსულში ფართოდ გავრცელებული ტყეების ნაშთი უნდა იყოს. ფოთოლმცვივანი ბუჩქნარებიდან აქ გვხვდება წითელი მოცვი, რომელიც უჩვეულოდ დიდ ფართობებზეა გადაჭიმული, ხშირად დეკიანებთან. ამ სახეობების ასე უჩვეულო გავრცელების გამო, აღკვეთილს განსაკუთრებული კონსერვაციული ღირებულება აქვს. მეორე მხრივ, აქ მრავლადაა გადამფრენი ფრინველები. ფრინველთა დაცვის საერთაშორისო ასოციაციამ (BirdLife International) ტაბანყურის ტბას მიანიჭა ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილის (IBA) საერთაშორისო სტატუსი.

ქციის მინდორი – ნამოსახლარი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტაბანყურთან, ძვ. წ. VII-V სს.

ნ

ლანძილი – იხ. მთის ლანძილი.

ლადო – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, აზაფრეთის თემში თრიალეთის ქედის ფერდობზე, ცხრანყაროს უღელტეხილის სამხრეთ კალთაზე, მდ. ლადოლარის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1780-1850 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 22 კმ მანძილზე, ახალქალაქ-ბორჯომის საავტომობილო გზაზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 652, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა.

ლართის ეკლესია – ბაზილიკის ტიპის ეკლესია (XIII ს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიზაბარაში, მდ. ოთის მარჯვენა მხარეს, სოფ. ოთადან 2.5 კმ მანძილზე. ნაგებია მოყავისფრო და ღია ფერის თლილი ქვებით.

ლადვი – იხ. ამხა.

ლადვის ეკლესია – ეკლესია, იხ. ამხა.

ლადვის მინერალური წყლები – მინერალური წყალი ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. ლადვის-წყლის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ლადვიდან და დარჩელიდან 10-12 კმ მანძილზე ჩრდილოეთით. დღეღამური დებიტია 2 ათ. ლ.

ლადვისწყალი – მდინარე ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. ქვაბლიანის მარცხენა შენაკადი.

ღვთისმშობელი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, გვირგვინის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდ. გუჯარეთისწყლის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი), ზ.დ. 1520-1600 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 31 კმ მანძილზე, გვერდისუბნის თემში. სოფელში შემორჩენილია XII საუკუნის თიხის გამომწვარი მიწები, რაც გვაფიქრებინებს, რომ სოფელში წყაროს წყალი ყოფილა გაყვანილი. საბჭოთა



ცხოველების მხარე ღაბაკინილი ფარდობი, სოფ. ლადო

პერიოდში სოფელს შეეცვალა სახელი და ოსი რევოლუციონერის – ზნაურ აიდაროვის პატივსაცემად არაოფიციალურად აიდაროვი ეწოდებოდა. თუმცა მოსახლეობის 1926 წლის საყოველთაო აღწერაში და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში (1930, 1949, 1966, 1987) ეს სახელი არსად არ არის მითითებული მოსახლეობის რიცხოვნობა – 17, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002).

ლინტური – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ციხისჯვრის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, მდ. გუჯარეთისწყლის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1600-1670 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 35 კმ მანძილზე, გუჯარეთის თემში. სოფელი დაცარიელებულია. 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერით არ არის მუდმივი მოსახლეობა. სოფლის სამხრეთით შემორჩენილია ქვაჯვრები.

ლინტურის ეკლესია – დარბაზული ეკლესია ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლინტურში, გზის პირას. ნაგებია უხეშად თლილი რუხი ქვებით. დაზიანებულია.

ღირტილა – სოფელი, იხ. იხტილა.

ღობიეთი – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძველთან ახლოს, მისგან დასავლეთით. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ვენახოვანი ადგილი ყოფილა, რომელიც მოგვიანებით დამოუკიდებელ სოფლად ჩამოყალიბებულია.



ღობი
ფოტო „ელკანა“

ღობი (Seteria italica) – ერთწლოვანი კულტურული მცენარე ძურწასებრთა გვარის მარცვლოვანთა ოჯახისა. აქვს სწორი, თითქმის ცილინდრული ღერო, რომლის სიმაღლე 25 სმ-დან 2 მ-მდე აღწევს. ფოთოლი ფართო და ლანცეტისებრია, ნაყოფი მარცვალა, კარგად იტანს სიცხეს. ღობი მაღალხარისხოვანი სასურსათო მცენარეა. მარცვალი შეიცავს ცილებსა და ვიტამინებს. ღობისაგან ამზადებენ ფქვილს, მაკარონს, სპირტს, ლუდსა და სხვ. ღობის მწვანე მასას, ბზეს, ჩენჩოს, კილსა და სხვა ნარჩენს საქონლის საკვებად იყენებენ. ღობი სამცხე-ჯავახეთში XV საუკუნიდან ფართოდ იყო გავრცელებული.

ღორძე – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ლელოვნის თემში, ახალციხის ქვაბულის სამხრეთ ნაწილში, ზ.დ. 1290-1360 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 8 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 232, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002).

ღრელი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, მინაძის თემის საკრებულოში, ახალციხის ქვაბულში, ზ.დ. 1030-1100 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 2 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 465. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართველია (2002). სოფლიდან 7-8 კმ მანძილზე მდებარეობს საფარის მონასტერი.

ღრომა – ნასოფლარი ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანდრიანწმინდასთან, მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ყოფ. მუშათა დასახლება დიატომითან ახლოს.

ღრომას ეკლესია – წმ. თევდორეს სახელობის ერთნავიანი ეკლესია (დაახლ. X ს.) ახალციხის მუნიციპალიტეტში, ნასოფლარ ღრომის დასავლეთით. ნაგებია თლილი ქვით.

ღრტილა – იხ. იხტილა.

ღულალისი – სოფელი, იხ. ყულალისი.

მ

ყაბალ-არმუდი, ყაბალარმუტი – მსხლის ჯიში, იხ. გოგრა მსხალი.

ყავისფერი ნიადაგები – იხ. მდელოს ყავისფერი ნიადაგები, ტყის ყავისფერი ნიადაგები.

ყამზა, ყამზაში – ყოფ. სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოშორასთან. გიორგი ბოჭორიძე, რომელმაც იმოგზაურა სამცხე-ჯავახეთში 1932-1933 წლებში სოფ. ყამზაში, მიუთითებს მაჰმადიან ქართველებით დასახლებულობაზე და ერთ ქართულ ტოპონიმზე „ვენახები“. ამასთან აღნიშნავს, რომ „შენახულია ძირები ვაზისა“.

ყანის ნიორი – იხ. მთის ღანძილი.

ყანის ტუხტი – იხ. ტუხტი.

ყარაგელის ტბა – იხ. სათახვეს ტბა.

ყანობილი – მთა აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარეების აბასთუმნისწყლისა (ქვაბლიანის მარცხენა შენაკადი) და კურცხანის (აბასთუმნისწყლის მარჯვენა შენაკადი) წყალგამყოფზე, ზ.დ. 1553 მ სიმაღლეზე. აგებულია ეოცენური ვულკანოგენური ქანებით. შემოსილია ნაძვნარი და ფიჭვნარი ტყით. მთის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია.

ყართუბანი – ყოფილი სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. ქვაბლიანის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1160-1185 მ სიმაღლეზე. მიდამოები უტყეოა. სახელწოდება ქართულია. მანარმოებული სიტყვაა „უბანი“.

ყართუბნის წყება – ქვიშიან-თიხიანი წყება, რომლითაც აგებულია აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთი ფერდობი. წყების სისქეა 900 მ-მდე.

ყართა, ქარცები – სოფელი, იხ. ქარცები.

ყარსის ხახვი – იხ. მთის ღანძილი.

ყარყატი – ფრინველი, იხ. იშხვარი.

ყაურმა, **კაურმა**, **გორვაკე** – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ეშტიის საკრებულოში, ჯავახეთის ზეგანზე, მდ. ფარავნის ნაპირებზე, მდ. ეშტიისწყლის შესართავთან, ზ.დ. 1835-1880 მ სიმაღლეზე, ქ. ნინოწმინდიდან ჩრდილოეთით 7 კმ მანძილზე, ნინოწმინდა-ეშტიის საავტომობილო გზაზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 398, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია, 5-თაღიანი ხიდი მდ. ფარავანზე და ყაურმის მეგალითური ნაციხარი – „ყალა ციხე“. „ყაურმა“ თურქულენოვანი ტოპონიმია და თურქეთიდან გადმოსახლებულ სომეხმა მოსახლეობამ დაამკვიდრა. სოფლის ქართული სახელია „გორვაკე“.

ყაურმის ეკლესია, **ტონთოს ეკლესია** – დარბაზული ეკლესია (XI ს.) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. ნაგებია კარგად გათლილი მოწითალო ფერის ანდეზიტი. შემორჩენილია ჩუქურთმები, რელიეფური ჯვარი და ასომთავრული წარწერები. აქვს მინაშენი.

ყაურმის ციხეები – ციკლოპური ციხეები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

ყაურმის ხიდი – 5-თალიანი ხიდი (XIII-XIV სს.) მდ. ფარავანზე ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. მისი სიგრძეა 72 მ, სიგანე – 3 მ. ნაგებია გათლილი ქვისაგან. ძველად სამხრეთ საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამიმოსვლო მაგისტრალი იყო. მის სიახლოვეს ახალი ხიდის აგების გამო, ამჟამად თითქმის უმოქმედოა.

ყვარშას ეკლესია, კვარშას ეკლესია – ერთნავიანი ეკლესია (განვით. შუა სს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ქ. ახალქალაქიდან 18 კმ მანძილზე. შემორჩენილია ნანგრევები ფრესკისა და წარწერების ფრაგმენტებით. ეკლესიის გარშემო ძველი ნასახლარებია.

ყვერბილი – იხ. გომნა.

ყვიბისი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბორჯომის ხეობაში, მდ. ყვიბისისწყლის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ორივე ნაპირას, ქ. ბორჯომიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 6 კმ მანძილზე, ყვიბისის თემის ცენტრი (ვარდგინეთი, ზანავი, კორტანეთი, რველი), ზ.დ. 770-880 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 6 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1771. მათი უმრავლესობა (96 %) ქართველია (2002).

ყვიბისის თემის საკრებულო – საკრებულო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ყვიბისი, ვარდგინეთი, ზანავი, კორტანეთი და რველი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 3359 (2002).

ყვიბისის თერმული წყლები, ვაშლოვან-ყვიბისის თერმული წყლები – თერმული წყლები ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. ყვიბისისწყლის ნაპირებზე, ზ.დ. 900 მ სიმაღლეზე, ბორჯომის ტიპის თერმულ-მინერალური წყალია, საერთო მინერალიზაცია – 7.4 გ/ლ, დღეღამური დებიტი – 200 ათასი ლ.

ყვიბისის ეკლესია – წმინდა გიორგის ეკლესია ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

ყიზილ-დერესის ეკლესია – ეკლესია (X-XI სს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოთადან სამხრეთ-დასავლეთით 3.5 კმ მანძილზე. ნაგებია თლილი ქვით. შემორჩენილია ნანგრევები ფრესკით ნაშთებით.

ყირიმის ასფოდელი (Asphodeline taurica) – მრავალწლიანი ბალახოვანი რელიქტური მცენარე. გვხვდება მხოლოდ ჯავახეთში – თეთრობის ქედზე, ქვიან და კლდოვან ადგილებში მთის საშუალო სარტყელში და სუბალპებში. საქართველოს წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობა.

ყოიუნდალის მთა – იხ. ჭიქიანის მთა.



ყომრალი ნიადაგები, ტყის ყომრალი ნიადაგები (Cambisols Eutric, Cambisols Dystric) – ნიადაგის ტიპი, გავრცელებული მთის ტყის ზონაში. სამცხე-ჯავახეთში მხოლოდ სამცხეში ვრცელდება – აჭარა-იმერეთის, არსიანის, ერუშეთის ქედების ფერდობებზე, ზ.დ. 1000-2000 მ სიმაღლით დიაპაზონში. უმთავრესად ტყითაა დაფარული და გაბატონებულია ნიფლნარი და ნიფლნარ-მუქწინვიანი ტყეები. ხასიათდება პროფილის ცუდი დიფერენციაციით, გათიხებით, მჟავე ან სუსტი მჟავე რეაქციით, ყომრალი შეფერილობით, მაღალი ხირხატი-



ყომრალი სუსტად არამაქლანი ნიადაგები, სოფ. ფაფას მიდამოები

ანობით, რაც სიღრმისაკენ კიდევ უფრო იზრდება. ციცაბო და საშუალო დახრილობის ფერდობებზე გავრცელების გამო, მონყვლადია ეროზიული პროცესების მიმართ. ამ მიზნით მნიშვნელოვანია ტყის შენარჩუნება. ყომრალი ნიადაგების ქვეტიპებიდან სამცხე-ჯავახეთში ყველაზე ფართოდაა წარმოდგენილი ტიპური ყომრალი ნიადაგები, უმთავრესად ქვედა და საშუალო მთის სარტყლებში ნიფლნარებისა და მუხნარების ქვეშ.

ყუდევი – ნასოფლარი, იხ. თონეთი.

ყულალისი, არყისციხე – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, ახალციხის ქვაბულში, ზ.დ. 1190-1250 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 6 კმ მანძილზე, პამაჯის თემის საკრებულოში, ვალე-ახალციხის საავტომობილო გზაზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 167, რიცხობრივად უპირატესი ეროვნება (99 %) – სომეხი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. შემორჩენილია ციხე-სიმაგრე. „არყისციხის“ სახელით იგი დასახელებულია „მატიანე ქართლისაში“.

ყულალისი, ლულალისი – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, მდ. მურჯახეთისწყლის (ფარავნის მარცხენა შენაკადი), ზ.დ. 1775-1880 მ სიმაღლეზე, ქ. ნინოწმინდიდან 15 კმ მანძილზე, დიდი კონდურის თემის საკრებულოში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 908, რიცხობრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). სოფლის მიდამოებში შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები და ციხე.

ყულალისის ეკლესია – ეკლესია (XI ს., თანამედროვე სახე მიიღო XIX ს-ში) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყულალისში. შემორჩენილია ძველი წარწერები. საბჭოთა პერიოდში აქ ყველის ქარხანა იყო მოწყობილი, რის გამოც შიდა ნაწილი დაზიანებული და შეცვლილია.

შ

შადრევის არხი – მარტივი სარწყავი არხი გაყვანილი მდ. ფარავნიდან. აიგო 1928 წელს. მდინარიდან ხდება წყალაღება 0.05 მ3/წმ-ში. სარწყავი ფართობი – 25 ჰა.

შავარდენი (Falco peregrinus) – ფრინველი შავარდენისებრთა ოჯახიდან. გავრცელებულია სამცხესა (ბორბალოს ხეობა) და ჯავახეთში (აბულ-სამსრის ქედი), ტყეების მომიჯნავე ღია ადგილებში. იშვიათი და მცირერიცხოვანი ფრინველია. განსაკუთრებით მცირერიცხოვანია საქართველოში. საქართველოს წითელ წიგნში შესულია როგორც გადაშენების პირას მისული სახეობა.



შავარდენი

შავი ასპინძურა – ვაზის ჯიში, იხ. ასპინძურა შავი.

შავი ბუდეშური – იხ. წითელი ბუდეშური.

შავმინები – იხ. მთის შავმინები.



შავმინები სოფ. ჯივრაშენთან

შავნაბადა – ვულკანური მთა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, აბულ-სამსრის ქედზე, მწვერვალებს თავკვეთილსა და დასავლეთ ქოროლს შორის, ზ.დ. 2929 მ სიმაღლეზე. აგებულია ანდეზიტებით. წარმოადგენს მერიდიანულად განლაგებულ ორ კონუსს – ჩრდილოეთი უფრო მაღალია და უკრატერო. შემოსილია სუბალპური და ალპური მდელოებით. ვახუშტი ბაგრატიონი ასე აღწერს მას: „კვალად არს შავნაბადა შაორსა და თავკვეთილს შუა, არა არს მთათა ამათ ზედა ტყე“... სახელის წარმოშობას ხშირ ნისლიანობას მიაწერენ. ადგილობრივი ეტიმოლოგიით კი „შავი ნაბადი“-დან უნდა იყოს წარმოშობილი.

შავშინვერი – მთა არსიანის ქედის აღმოსავლეთ შტოქედზე, ადიგენის მუნიციპალიტეტში.

შავფხიანი დიკა – იხ. დიკა შავფხიანი.

შაკი (Pandion haliaetus) – ფრინველი ქორისებრთა ოჯახიდან. გვხვდება ჯავახეთში, ზ.დ. 2000 მ სიმაღლეზე ერთეულების სახით. გადამფრენი ფრინველია. მოფრინავენ მარტში და მიფრინავენ ოქტომბრის შუა რიცხვებში. მეტად იშვიათი და მცირერიცხოვანი ფრინველია. საქართველოს წითელ წიგნში შესულია როგორც გადაშენების პირას მისული სახეობა.



შაკი

შალოშეთის ეკლესია, სალოშეთის ეკლესია – დარბაზული ტიპის ეკლესია ასპინძის მუნიციპალიტეტში.

შაორი – მთა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, აბულ-სამსრის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე, ზ.დ. 2757.1 მ სიმაღლეზე. XIX საუკუნიდან იგი

„ქოროლლის“ სახელით მოიხსენიება. საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებზე დატანილია როგორც „Г. Кёрагли“.

შაორი – ნასოფლარი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ფარავნის ტბის ჩრდილო-დასავლეთით, შაორის ციხისაკენ მიმავალ გზაზე. საშობროების დროს სოფლის მცხოვრებნი ციხეს აფარებდნენ თავს.

შაორის ციხე, ქოროლლის ციხე – წინაქრისტიანული ციკლოპური ციხე (ძვ.წ. II ათასწლ.) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ფარავნის ტბის ჩრდილო-დასავლეთით, შაორის ბორცვზე, ზ.დ. 2752 მ სიმაღლეზე. ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს მას: „ხოლო შაორის მთის თხემსა ზედა დვას ციხე დიდროვანის ლოდითა ნაშენი“.

შაორისწყალი – მდინარე ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ერთვის ფარავნის ტბას. ვახუშტი ბაგრატიონი შაორისწყლის სახელით იხსენიებს. თანამედროვე რუკებზე „შაშკას“ სახელითაა დატანილი.

შაქარნაბადა – მესხური ვაშლის ჯიში. ძველად ფართოდ იყო გავრცელებული. შემორჩენილია სამცხის ძველ ბაღებში ცალკეული ეგზემპლარების სახით. სრულ მსხმოიარობაში შედის მე-8-10 წელს. ნაყოფი საშუალო ზომისაა, ვარდისფერია მუქი ვარდისფერი ზოლებითა და ჟანგისფერი ლაქებით. წვნიანი და არომატულია. საშუალო მსხმოიარობისაა (იძლევა 250 კგ მოსავალს, ცალკეული ხეები – მეტსაც). გამძლეა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ. ტრანსპორტაბელურია.

შაშკა – იხ. შაორისწყალი.

შაჰ-ალმა – ვაშლის ჯიში, იხ. მეფის ვაშლი.

შევარდენა – მთა არსიანის ქედზე, ადიგენის მუნიციპალიტეტში.

შელისწყარო – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება აზოტოვან ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 0.2 გ/ლ.

შიგა წყლები – მხარის ჰიდროგრაფიული თავისებურებანი დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე, როგორცაა კლიმატი, წყალშემკრები აუზის სიდიდე, ლითოგენური საფუძველი, ნიადაგ-მცენარეული საფარი და ანთროპოგენური ზემოქმედების მასშტაბები. სამცხე-ჯავახეთში ფორმირდება 1.655 კმ³ წყალი, რაც საქართველოს მთლიან ტერიტორიაზე ფორმირებული წყლის რესურსების 3.14%-ია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის – 14.7% მდინარეები საკმაოდ წყალუხვია. საზრდოობის ძირითადი წყარო ატმოსფერული ნალექები და მინისქვეშა წყლებია. რეგიონში მრავალი ტბაა. მნიშვნელოვანია ასევე მინერალური წყაროების სიუხვე და მრავალფეროვნება. მდინარეთა ჩამონადენში საზრდოობის ძირითადი წყაროებია წვიმისა და გრუნტის წყლები, სეზონურად ასევე თოვლის ნადნობი წყლები. უხვწყლიანობა ძირითადად დამახასიათებელია გაზაფხულზე, ამ დროს ჩამოედინება წლიური ჩამონადენის ნახევარზე მეტი. ვხვდებით მცირე მდინარეებსა და მშრალ ხევეებსაც, სადაც ძლიერი წვიმის ან ინტენსიური თოვლის დნობის დროს მათზე ხშირია წყალმოვარდნები. სამცხე-ჯავახეთის ყველაზე წყალუხვი მდინარეა მტკვარი, რომლის საშუალო ხარჯი მერყეობს 32.4 მ³/წმ-დან (ხერთვისი) 129 მ³/წმ-მდე (გრაკალი). მნიშვნელოვანი წყლიანობით გამოირჩევიან მდინარეები ფარავანი და ფოცხოვისწყალი, ხოლო მდ. ქვაბლიანი ხასიათდება სამცხეში ყველაზე მაღალი ჩამონადენით.

სამცხე-ჯავახეთი მდიდარია ტბებით, განსაკუთრებით ჯავახეთი. ტბები დიდი ფართობისაა, თუმცა მცირე სიღრმეებით გამოირჩევა. რეგიონში არის ასევე შრობადი ტბები, რომლებშიც წყალი წვიმის ან თოვლის დნობის შედეგად გროვდება. წარმოშობის მიხედვით აქ გავრცელებულია ტექტონიკუ-

რი (კარნახი, ბარეთი, სალამო), ვულკანური (სამსრის ქედისა და ჯავახეთის ვულკანური მთიანეთის მცირე ტბები) მყინვარული (სამსრის, თრიალეთის, ჯავახეთისა და მესხეთის ქედები), ჩაქცევითი (ფარავანი, მადათაფა, კარნახი) სუფოზიური (არსიანის ქედის მცირე ტბები). სხვა ტბები ხასიათდება დონეების მნიშვნელოვანი რყევადობით. წყლის მაქსიმუმები აღინიშნება მაის-ივნისში, მინიმალური კი – თებერვალ-მარტში. რამდენიმე ტბა გამდინარეა (ფარავანი, სალამო) და მათი ჰიდროლოგიური რეჟიმი შედარებით სტაბილურია. ზამთრობით ტბების უმრავლესობა იყინება. ყინულოვანი წარმონაქმნები შეინიშნება ნოემბრის შუა რიცხვებიდან, ხოლო ყინულებისაგან თავისუფლდება აპრილის ბოლოს-მაისის დასაწყისში.

ტბების მიმდებარე ტერიტორიები დაჭაობებულია. ტბების უმრავლესობის წყალი მომწვანო შეფერილობისაა და დაბალი გამჭვირვალობა გააჩნია. ტბებში ევტროფიკაციული პროცესების მიმდინარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჰიდროლოგიურ და მორფოლოგიურ მახასიათებლებზე. აქედან გამომდინარე, გამდინარე ტბებში ნაკლები სისწრაფით მიმდინარეობს ევტროფიკაციული პროცესები.

შიშველი აკაკი (Celtis glabrata) – 3-5 მ სიმაღლის ხე ან ბუჩქი, გვალვამდლე, სინათლისა და სითბოს მოყვარული მცენარე. იზრდება მშრალ და ქვიან ადგილებში მდ. მტკვრის ხეობაში. საქართველოს წითელ ნიგნში შესულია როგორც იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობა.

შიშველი თელადუმა (Ulmus glarba) – ხემცენარე 40-45 მ-მდე სიმაღლის, ძვირფასმექრნაინი და დეკორატიული. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში მთის საშუალო სარტყელში, ზ.დ. 1500 მ სიმაღლეზე. ფართო გავრცელებისა სამცხე-ჯავახეთშიც.

შობერის ნიტრარია (Nitraria Schoberi) – ბუჩქი, უდაბნოს ფლორის უძველესი რელიქტი. სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია – რუსთავისა და ასპინძის მიდამოებში.

შოლოთას ეკლესია – იხ. შორეთის ეკლესია.

შორაველი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ბენარის თემში, ახალციხის ქვაბულში, მდ. ქვაბლიანის ხეობაში, ზ.დ. 1120-1165 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 18 კმ მანძილზე, ბენარის თემში. შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია. მოსახლეობის რიცხოვნობა – 194, რომელთა 88 % ქართველია (2002).

შორეთის ეკლესია-მონასტერი, შოროთის ეკლესია, შოლოთას ეკლესია (განვ. შუა სს.) – ტაძარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოთის ჩრდილო-აღმოსავლეთით 6 კმ მანძილზე, ტყეში, ძნელად მისადგომ ადგილას. ნაგებია თლილი ქვით. ყოფილა მოხატული და მოზაიკით შემკული. შემორჩენილია ნანგრევები.

შორეთის ციხე – ციხე (განვ. შუა სს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. ოთის მარცხენა მხარეს, ციცაბო კლდეზე, სოფ. ოთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 5.5 კმ მანძილზე. ძნელად მისასვლელი ციხეა. ვახუშტი ბაგრატიონი მას შეცდომით უწოდებს „შორაპნის ციხეს“. ამის შესახებ წერდა ე. თაყაიშვილი, რომ ასპინძის ხევის სათავეში აღნიშნული შორაპანი შოროთა ან შორეთი უნდა იყოსო.

შოყა – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ფხერის თემში, ფერსათის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე, ზ.დ. 1410-1500 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 18 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 148, რომელთა 99 % ქართველია (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები.

შოყას ეკლესია – ეკლესია ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. შოყას სიახლოვეს, მაღალ გორაზე. შემორჩენილია ნანგრევები.

შოშხოთი – ეკლესია (ადრ. შუა სს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. გორგულში, დაბა ადიგენიდან 2 კმ მანძილზე.

შროშანა – იხ. კესელრინგის შროშანა.

შუადლე – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში.

შურდო – მინერალური წყარო, იხ. ბოგა.

შურდო – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, ფერსის თემში, მდ. მტკვრის ხეობაში, ზ.დ. 1190-1300 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 16 კმ მანძილზე. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერით სოფელში არ არის მუდმივი მოსახლეობა. ძველქართულად ნიშნავს ქვევრის ყელს (მესხეთი).

შურდოს აქატის საბადო – აქატის საბადო ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. შურდოსთან, ზ.დ. 820-1600 მ სიმაღლეზე, ახალციხის რკინიგზის სადგურიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 10-15 კმ მანძილზე. წარმოადგენს ახალციხის აქატის საბადოთა ჯგუფის ჩრდილოეთ ზოლს. მაღალი ხარისხისაა. საბადო რამდენიმე უბნისაგან შედგება: აგარა, აგარისლელე, ბოგა, გურკელი, მიწური, სახლები, სვირი, ცობტევი, ხამურა და სხვ. აქატით ყველაზე მდიდარია ჩრდილოეთი ზოლი, რომელიც გადაჭიმულია 29 კმ მანძილზე. აქატი ნაცრისფერი და მოლურჯო-ნაცრისფერია. გამოიყენება საიუველირო-სანაკეთო მიზნით. ადვილად მუშავდება. დამუშავების შედეგად მიიღება სარკისებრი ზედაპირი.

შურდო – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერით მუდმივ მოსახლეობას მოკლებულია.

შუშხუთის ეკლესია – ერთნავიანი ეკლესია ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ადიგენთან. ნაგებია თლილი ქვით, გადახურული იყო ფიქლით. იყო მოჩუქურთმებული. შემორჩენილია ნანგრევები.

შქერი – იხ. როდოდენდრონი.



შურდოს აქატის საბადო, 1948



„ჩაკიდულას ეკლესია“ – ეკლესია (შუა სს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. უტყისუბანში, დაბა ადიგენიდან 18 კმ მანძილზე. შემორჩენილია ნანგრევები.

ჩამძვრალა, ჩამდურა, ჭანდურა – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ვაჩიანის თემის საკრებულოში, ახალქალაქის პლატოს დასავლეთ ნაწილში, მდ. მურჯახეთისწყლის (ფარავნის მარცხენა შენაკადი) მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1715-1735 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან სამხრეთ-დასავლეთით 5 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 654, რიცხოზრვად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. სოფლის თავდაპირველი ქართული სახელია ჩამძვრალა, რომელიც დღეს დამახინჯებული ფორმითაა შემორჩენილი. ასე გადაარქვეს მას 1828-1829 წლების შემდეგ, რაც სამცხე-ჯავახეთში დასახლდა თურქეთიდან გადმოსახლებული სომეხი მოსახლეობა. „ჩამძვრალა“ მას თავისებური რელიეფის გამო შერქმევია. ალ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ რუკაზე (1931-1932 წწ.) იგი დატანილია ჭანდურას, ხოლო საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკაზე (მასშტაბები 1:100,000; 1:50,000; 1:25,000) – ჩამძვრალას (Чамдзვრალა) სახელით. შეინიშნება ეკლესიის კვალი, სავარაუდოდ, წმ. გიორგის.

ჩითახევი – კურორტი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 840-900 მ სიმაღლეზე. ზამთარი რბილია (იანვრის საშუალო ტემპერატურა – 2.8°C), ზაფხული – ზომიერად ნოტიო (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა – 17.5°C). ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამია 620 მმ. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია დაბალი მთის ჰავა და მინერალური წყალი.

ჩითახევი – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადი.

ჩითახევი – მთა აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

ჩითახევი – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება აზოტოვან სულფატურ-კალციუმ-ნატრიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 0.4 გ/ლ.

ჩითახევი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დვირის თემში, ბორჯომის ხეობაში, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 840-900 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 10 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 274. მათი უმრავლესობა (88 %) ქართველი (2002). სოფლის ტერიტორიაზეა ჰესი მდ. მტკვარზე. შემორჩენილია შუა საუკუნეების ჩითახევის წმ. გიორგის მონასტერი – მწვანე მონასტერი.

ჩითახევი, ჩითახევის მიწები – სამაროვანი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, გვიან ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის.

ჩითახევის მწვანე მონასტერი – იხ. მწვანე მონასტერი.

ჩითახევეჰესი – ჰიდროელექტროსადგური ქ. ბორჯომის სამხრეთით 17 კმ მანძილზე. სათავე ნაგებობა მოწყობილია მდ. მტკვარზე. საკუთრივ ჩითახევეჰესი მდ. მტკვრის მარცხენა მხარეზეა აგებული. აქ დადგმულია სამი აგრეგატი. სამივე აგრეგატის ჯამური სიმძლავრეა 21 ათასი კვტ.

ჩითახევეჰესის ზედა ბიეფი – მდ. მტკვარზე, ზ.დ. 867 მ სიმაღლეზე. აუზის ფართობია 10400 კმ². დაკვირვების წლები – 1971-1991.

ჩითახევეჰესის ჰიდროლოგიური სადგური – ჰიდროლოგიური სადგური მდ. მტკვარზე, აუზის ფართობი – 10,400 კმ², დაკვირვების წლები – 1955-1991.

ჩილდირის ქედი – იხ. ნიალისყურის ქედი.

ჩილდირის სუბალპური ტყე – ტყის მცირე კორომი ნიალისყურის ქედის ფერდობზე, კარნახის ტბის აღმოსავლეთით, ზ.დ. 1800-2100 მ სიმაღლეზე. იგი ადრე არსებული ტყის მასივის ნაშთია. ამჟამად აქ გვხვდება ვერხვი (*Populus tremula*) და თეთრი არყი (*Betula litwinowii*). შერეულია კავკასიური ცირცელიც (*Sorbus aucuparia*).



ჩიტისთავა
ფოტო: „ელკანა“

ჩინური – ვაზის ჯიში, მაღალმოსავლიანი. სამცხეში ვრცელდება უმთავრესად ზ.დ. 900-1000 მ სიმაღლეზე.

ჩიტისთავა – იხ. ქანას ჩიტისთავა.

ჩიტკვერცხა – მესხური თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში, წვრილმარცვლიანი, თხელი კანის, წვნიანი და ქარვისფერი საღვინე ჯიში. სუსტი ზრდა-განვითარებითა და საშუალო მოსავლიანობით ხასიათდება. გამძლეა გვალვებისა და სოკოვანი დაავადებების მიმართ. 1950-იან წლებში მისი ცალკეული ეგზემპლარები გვხვდებოდა სოფლების აგარის, აწყურისა და ტოლოშის მიდამოებში.

ჩიტკვერცხა შავი – მესხური წითელყურძნიანი ვაზის ჯიში, საღვინე, წვრილმარცვლოვანი და მცირემოსავლიანი, რის გამოც ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა. ფოთოლი საშუალო ზომისაა: 10X12 სმ, მომრგვალო ან გულისებრი, ღია მწვანე ფერის: ზედაპირი სწორია, ქვედა მხარე შებუსუსულია ქერისებრად. მტევანი მცირე ზომისაა და უფორმო: 12X8 სმ, საშუალო წონა – 60 გრ, ზოგიერთი – 100 გრ. მარცვალი მცირე ზომისაა: 1,2-0.8 სმ, მომრგვალო, მუქი შავი ფერის, სქელკანიანი და კნატუნა. ყურძნის წვენში შაქრიანობაა 16.5 %, მჟავიანობა – 10 გრ/ლ. სოკოვანი დაავადებების მიმართ მგრძობიარეა, გვალვა- და ყინვაგამძლეა.

ჩიხორის, ჩიხორისის ეკლესია, ჩიხორიშის ეკლესია – ერთნავიანი ეკლესია ასპინძის მუნიციპალიტეტში (X ს.), ნაგებია ნატეხი ქვებითა და კირით. შემორჩენილია ნანგრევები. მეორე ეკლესიაც ერთნავიანია, მისგან სამხრეთით მდებარეობს. ნაგებია დიდი ნატეხებით, თლილი ქვებითა და კირით. მისგან დასავლეთით კიდევ ერთი ეკლესია მდგარა.

ჩორჩანი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, თემის საკრებულოს ცენტრი, მდ. ქვაბლიანის ხეობაში, ზ.დ. 1160-1220 მ სიმაღლეზე, ახალციხე-ადიგენის საავტომობილო გზაზე, დაბა ადიგენიდან აღმოსავლეთით 1 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 354, რომელთა 99 % ქართველია (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები. იყო მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი, ფეოდალური საგვარეულოს – ჩორჩანელების მამული. მოხსენიებულია „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“.

ჩორჩანის ეკლესია – წმ. გიორგის სახელობის ერთნავიანი დარბაზული ეკლესია (განვ. შუა სს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩორჩანში. ნაგებია თლილი ქვითა და კირით. ძლიერ დაზიანებულია.

ჩორჩანის თემის საკრებულო – საკრებულო ადიგენის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ჩორჩანი, დიდი სმადა და პატარა სმადა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1028 კაცი (2002).

ჩორჩანის თერმული წყლები – წყარო ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. ქვაბლიანის ხეობაში. მიეკუთვნება აზოტოვან ქლორიდულ-ნატრიუმ-კალციუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია – 10-15 გ/ლ.

ჩორჩანის ტერასები – უკედლო ტერასები ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩორჩანთან, მდ. ქვაბლიანის ხეობაში.

ჩრდილის ქედი – იხ. ნიალისყურის ქედი.

ჩუნჩხა – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, დილისკის თემი საკრებულოში, ახალქალაქის პლატოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდ. ფარავნის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1600-1675 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 11 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 359. მათი უმრავლესობა (99 %) ქართველია (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა.

ჩუნჩხის სოფლის საკრებულო – საკრებულო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფელია ჩუნჩხა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 359 (2002).

ჩუნჩხის ეკლესია, ნაისა – დარბაზაული ეკლესია (გადაკ, XIX ს-ში) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. შემორჩენილია რელიეფური გამოსახულება – დანიელი ლომების ხაროში. ეკლესიის ეზოში დგას 2 სტელა – ქვაჯვარი.

ჩუნჩხის ციხე და ნასახლარი – ციხე და ნასახლარი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩუნჩხის სიახლოვეს, მისგან სამხრეთ-დასავლეთით.

ჩურჩუთო-ჩიხელის ბენტონიტური თიხა – ბენტონიტური თიხის საბადო. მარაგია 16.6 ათ. ტ.

Ը

„ცამალას ციხე“, „მომწვარას ციხე“ – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. მაჭარწყლიდან 1 კმ მანძილზე, მდ. გუჯარეთისწყლისა და მდ. ბერნისხევისწყლის შეერთების ადგილას. გუჯარეთისწყლის მხრიდან აკრავს მაღალი კლდე, რომელშიც გაყვანილი ყოფილა 3 გვირაბი. წყალი მიენოდებოდა თიხით ნაგები მილებით. ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს მას: „არს ციხე მომწვარას, და ეკლესია მცირე, და შენობანი დიდნი“. ცამალა მაჭარწყელი ოსი ყოფილა, რომელიც ფლობდა ამ ციხის მიდამოს სათიბ-სათეს ადგილებს.



ცერცვი
ფოტო: „ელკანა“

ცემი – კურორტი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, სადგერის პლატოზე, ქ. ბორჯომიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 18 კმ მანძილზე, ზ.დ. 1050-1240 მ სიმაღლეზე. მიდამოები შემოსილია წიწვიანი ტყეებით (ნაძვი, ფიჭვი, სოჭი). კლიმატი საშუალო მთის ტიპისაა. ზამთარი ზომიერად რბილი (იანვრის საშუალო ტემპერატურა – -4.2°C) და თოვლიანია, ზაფხული–ზომიერად თბილი (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა – $+18^{\circ}\text{C}$) და მშრალი. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობაა 550 მმ. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია სასარგებლო კლიმატი.

ცემი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ტბის თემში, მდ. ბაკურიანისწყლის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1050-1240 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 17 კმ მანძილზე, კლიმატური კურორტი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 307. მათი უმრავლესობა (94 %) ქართველია (2002).

ცერცვი (Vicia faba) – ერთწლოვანი პარკოსანი, სითბოსა და ტენის მოყვარული მცენარე. შეიცავს დიდი რაოდენობით ცილასა და სამკურნალო დანიშნულების ალკალოიდ ელდოპანს. ყუათიანობის გაზრდის მიზნით, მას ურევდნენ ხორბლის ფქვილში. საქართველოში ამჟამად მოჰყავთ წნისის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთზე (ახალციხის მუნიციპალიტეტი).



ცემი. ფოტო: „ელკანა“



ცის ფოლიო
ფოტო: „ელკანა“

ცის ფოლიო (Scabiosa) – მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე, სამკურნალო, იშვიათი, დეკორატიული. სამცხე-ჯავახეთში 8 სახეობა გავრცელებული. მცენარის სიმაღლეა 0.4 მ. ყვავილობს ივლის-სექტემბერში. იტანს ნახევრად დაჩრდილულ (მეჩხერი ტყე) ან დაუჩრდილავ ადგილებს. იყენებენ საკვებად. ვიტამინებით მდიდარი მცენარეა. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში. დგას საფრთხის წინაშე ჰაბიტატის დეგრადაციის და კომერციული შეგროვების გამო.

ციცქა – თეთრყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიშში, მაღალმოსავლიანი. ძველად გავრცელებული იყო მესხეთში.

ციხისგვერდი – ციხე (VIII-IX სს.) ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალდაბაში, მდ. ნეძვისწყლის ხეობაში, მთის მაღალ წვერზე. ნაგებია ქვითა და დულაბით. ციხეს ქვემოთ გალავანიც ერტყა, ხოლო გრძელ და ვიწრო ეზოში სხვადასხვა სათავსოები, საყარაულო და საცხოვრებელი დარბაზებიც ჰქონია. შემორჩენილია ნანგრევები.

ციხისუბანი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, მოხეს თემში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ზ.დ. 1510-1520 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 13 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 197, რომელთა 99 % ქართველია (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების ციხის ნანგრევები. რთული სიტყვისაგან შედგენილი ტოპონიმია. მანარმოებელია სიტყვა „უბანი“.

ციხისჯვარი – მინერალური წყარო დაბა ბაკურიანის დასავლეთით, სოფ. ციხისჯვრიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 3 კმ მანძილზე, ზ.დ. 1800 მ სიმაღლეზე. წყაროს აქვს 7 გამოსავალი, ჯამური დღეღამური დებიტია 1 მლნ ლ, წყლის ტემპერატურა – 31.5-32°C.

ციხისჯვარი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თორის ქვაბულში, მდ. შავწყალის (ბორჯომულის აუზი) ნაპირებზე, ზ.დ. 1595-1692 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 41 კმ მანძილზე, კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 644. მათი უმრავლესობა (65%) ბერძენია, ცხოვრობენ ქართველებიც – 27 % (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. შემორჩენილია შუა საუკუნეების ციხესიმაგრე – ციხისჯვარი, ნადარბაზევის (თორის) ეკლესია (განვ. შუა სს.), თორის სასახლე (განვ. შუა სს.) და სხვა ნაგებობები (განვ. შუა სს.).

ციხისჯვრის აგურის თიხა – აგურის თიხის საბადო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მარაგი – 10 ათ. მ³.

ციხისჯვრის მენყერი – მენყრული სხეული ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ციხისჯვართან. დამენყვრაში, ამგებელი ქანების ლითოლოგიის გარდა, დიდ როლს ასრულებს სინკლინის ორივე



ციცქა

ფრთაში გამავალი რღვევის საზები.

ციხისჯვრის სოფლის საკრებულო – საკრებულო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფელია ციხისჯვარი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 644 (2002).

ციხისჯვრისწყალი – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. ბორჯომულის მარცხენა შენაკადი.

ციხისჯვრის თერმული წყლები – თბილი მინერალური წყალი, დაბა ბაკურიანის დასავლეთით, ზ.დ. 1800 მ სიმაღლეზე.

ცოცხალი – იხ. ხრამული.

ცრუაღმოსავლური ყაყაჩო (*Papaver pseudo-orientale*) – მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე, ვიწრო გავრცელების რელიქტური სახეობა. საქართველოში გვხვდება მხოლოდ თეთრობის ქედზე. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობა.

ცრუ ნიორი – იხ. მთის ლანძილი.

ცულისპირა (*Lathyrus sativus*) – პარკოსანი ბალახოვანი მცენარე. გამოიყენება სამარცვლედ. შეიცავს დიდი რაოდენობით ცილას. ყინვაგამძლეა და შესაძლებელია მისი მოყვანა მთის პირობებში. როგორც ფიქრობენ, დიდი ხნის შემოსული კულტურაა საქართველოში. დგას გადაშენების საფრთხის წინაშე.

ცუნქი – სოფელი, იხ. ურაველი.

ცხეკნელა – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. თოკთან, მისგან სამხრეთ-დასავლეთით.

ცხეკნელი, ციხეკნელი – ნასოფლარი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩუნჩხის მიდამოებში, მისგან სამხრეთ-დასავლეთით.



ცულისპირა
ფოტო: „ელკანა“



ცრუაღმოსავლური ყაყაჩო
ფოტო: შამილ შეთეკაური

ცხენისძუა შავი – ყურძნის ჯიში. მარცვლისქელკანიანი დაწვნიანია. სიმწიფის პერიოდში მტევნები ცხენისძუასავითაა ჩამოკიდებული და აქედან მიიღო სახელი. 1950-იან წლებში ერთეულების სახით გვხვდებოდა სოფ. აწყურის მიდამოებში.

ცხენისძუა თეთრი – მესხური ვაზის ადგილობრივი ჯიში, საღვინე და სუფრის, ადრეული და მაღალმოსავლიანი. ფოთოლი საშუალო ზომისაა: 14X17 სმ, ღია მწვანე, ზედაპირი ოდნავ დანაოჭებული. მტევანი საშუალო ზომისაა: 13X8 სმ, კონუსური ფორმის, საშუალო წონა – 150



ცხენისძუძუ თეთრი
ფოტო: დავით მალრაძე

გრ. მარცვალი საშუალო ზომისაა (2X1.4 სმ), მოგრძო კვერცხისებრი, ქარვისფერი, თხელი კანი. ყურძნის წვენი შაქრიანობაა 16.5-18 %, მჟავიანობა – 10-11 გრ/ლ. კარგი არომატითა და ბუნებრივი შუშხუნა თვისებებით ხასიათდება. ფართოდ იყო გავრცელებული სოფლების აწყურის, გოგაშენის, გურკელის, დიდი სმადის, საროს, ტოლოშის, ხერთვისის მიდამოებში. ვაზის ცალკეული ეგზემპლარები 90-100 წელი ცოცხლობს.

ცხენისძუძუ შავი – მესხური ვაზის ადგილობრივი ჯიში, გრძელმარცვლიანი, სქელკანიანი და კნატუნა. საგვიანო ჯიშია. ფართოდ იყო გავრცელებული ტოლოშის მიდამოებში.

ცხრანყაროს მინისძვრა – მინისძვრა 1912 წლის 12 ოქტომბერს. სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო 6-7-ბალიანი მინისძვრა, ეპიცენტრით ცხრანყაროს უღელტეხილის სიახლოვეს (41.4°N; 43.7°E, M= 5.6).

ცხრანყაროს უღელტეხილი – უღელტეხილი თრიალეთის ქედის დასავლეთ ნაწილში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ზ.დ. 2462 მ სიმაღლეზე. აკავშირებს თორსა (ბორჯომის მუნიციპალიტეტი) და ჯავახეთს (ახალქალაქის მუნიციპალიტეტი). უღელტეხილის მიდამოები შემოსილია სუბალპური მდელოებით.

ცხროჭა – ისტორიული სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. ქვაბლიანის (მტკვრის მარცხენა შენაკადი) ხეობაში. განთქმული ყოფილა სანადირო ადგილებით. მოხსენიებულია „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“: „ხოლო უმრავლესთა ჟამსა ინადირობენ იგი ადგილთა მათ ცხროჭა წოდებულთა, რამეთუ იყო მუნ სიმრავლე თხათა და სხუათა ნადირთა ველურთაი“.



ცხენისძუძუ შავი
ფოტო: დავით მალრაძე



ცხრანყაროს უღელტეხილი, ერმაკოვის ფოტო
ფოტო: თსუ გეოგრაფიის მუზეუმი

ბ

ძაძა (*Vigna unguiculatu*) – სითბოსმოყვარული პარკოსანი, გვალვაგამძლე მცენარე, უძველესი კულტურა, სასურსათე, საფურაჟე, სასიდერაციო. კარგად ვითარდება როგორც სარწყავ, ისე ურწყავ მიწებზე. წერილობით წყაროებში საქართველოში მოხსენიებულია XVIII საუკუნეში. საქართველოში ამჟამად მოჰყავთ წნისის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთზე (ახალციხის მუნიციპალიტეტი) და საქართველოს ზოგიერთ სოფელში.



ძაძა
ფოტო: „ელკანა“

ძველი, ზეველი, ზველი, ზემო ველი, ზრზველი – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი, ერუშეთის მთიანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1300-1460 მ სიმაღლეზე, დაბა ასპინძიდან დასავლეთით 13.5 კმ მანძილზე, ასპინძა-მუსხის საავტომობილო გზაზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 535. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (99 %) ქართველია (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. მოიპოვება ვულკანური წიდა, ბაზალტისა და ტუფის ქვა.

ძველის ეკლესია – ეკლესია ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძველთან. ნაგებია თლილი ქვით, გადახურულია კრამიტითა და ყავრით. ეკლესიის ეზოში ვერძების გამოსახულებაა ქვებზე.

ძველის თემის საკრებულო – საკრებულო ასპინძის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ძველი და ჭობარეთი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 914 კაცი (2002).

ძინძეს ხეობა – იხ. გოდერძის ნამარხი ტყე.

ძმერეთისწყალი – მდინარე ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. ლეკნარისღელის მარცხენა შენაკადი.



მეწყრული სხეული მდ. ძინძეს ხეობაში



მდ.ძინძეს ხეობა

ნაბლი (*Castanea sativa*) – ძვირფასმერქნიანი ხე, საუკეთესო სამშენებლო და სახარატე მასალა, ნაყოფი გამოიყენება საკვებად. ქერქი და გულგული მდიდარია მთრთილავი ნივთიერებებით. სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ კალთაზე მთის ქვედა და საშუალო სარტყელში, ზ.დ. 500-1400 მ სიმაღლით დიაპაზონში. მცირდება გავრცელების არეალი. საქართველოს ნითელ წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობა.



ნაბლი

ნავი (*Lutra lutra meridionalis*) – მტაცებელი ძუძუმწოვარი კვერნისებრთა ოჯახიდან. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება მდ. მტკვრის ხეობაში ასპინძისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, ზ.დ. 2800 მ სიმაღლეზე, ჩქარ და წმინდა წყალსატევების სიახლოვეს. შეტანილია საქართველოს ნითელ წიგნში როგორც გადაშენების პირას მისული სახეობა. იკვებება თევზით, ბაყაყით.

ნალკა-დმანისის ზეგნის მთის შავმინების რაიონი – ნიადაგების რაიონი, რომელიც მდებარეობს ნალკის ქვაბულში და მიმდებარე პლატოებზე. სამცხე-ჯავახეთში შემოდის ძლიერ მცირე ფრაგმენტის სახით და მოიცავს ჯავახეთის ქედის მდელო-ველის ზონას. აქ გაბატონებულია მთის შავმინები და მდელოს შავმინებრი ნიადაგები. ნიადაგები აქ უმთავრესად საშუალო სისქის გამოტუტული შავმინებია.

ნალკის ქვაბული – ქვაბული სამხრეთ საქართველოს ვულკანური ზეგნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ქციის ხეობაში, ნალკისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში. ქვაბულის ფსკერი მდებარეობს ზ.დ. 1480-1800 მ სიმაღლეზე. ფაქტობრივად, წარმოადგენს პლატოს, რომლის ცენტრალურ ნაწილს ქვაბულის ფორმა აქვს, ამიტომ გეოგრაფიულ ლიტერატურაში ეს ოროგრაფიული ერთეული ორივე სახელითაა ცნობილი, როგორც ნალკის პლატო და ნალკის ქვაბული. ძირითადი მდინარეული არტერიაა ქცია, რომელსაც ერთვის შენაკადები: გუმბათი, წარდევანი, ჭოჭიანი და სხვ. ქვაბულის ცენტრში მდებარეობს საქართველოში უდიდესი ნალკის წყალსაცავი (33.7 კმ²). ქვაბულის ფარგლებში მრავლადაა ლავური ვოკლუზები. გაბატონებულია მთის მეორეული სტეპები.



ნაპი

წარბასთუმანი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. ქვაბლიანის ხეობაში, ზ.დ. 1220-1280 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 22 კმ მანძილზე, არალის თემში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 86, რიცხობრივად უპირატესი ეროვნება (97 %) – ქართველი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 86, რომელთა 97 %

ქართველია (2002). რთული სიტყვისაგან შედგენილი ტოპონიმია. მანარმოებელია სიტყვა „უბანი“. წარბა კი ადამიანის სახელია.

წალვერი – კურორტი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, მდ. გუჯარეთისწყლის ხეობაში, ზ.დ. 1020-1130 მ სიმაღლეებზე, ქ. ბორჯომიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 14 კმ მანძილზე. კლიმატი საშუალო მთის ტიპისაა. ზამთარი ზომიერად რბილი (იანვრის საშუალო ტემპერატურა – -3.5°C) და თოვლიანი, ზაფხული – ზომიერად თბილი (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა – $+18.3^{\circ}\text{C}$) და მშრალი. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობაა 585 მმ. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია სასარგებლო ჰავა და მინერალური წყალი.

წალვერი – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ, მაგნიუმ-კალციუმ-ნატრიუმიან (ან კალციუმ-ნატრიუმიან) წყლებს. საერთო მინერალიზაციაა 3-5.1 მგ/ლ. ზოგიერთი წყალი შეიცავს 45 მ/ლ რკინას და სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს.

წალვერი – ნამოსახლარი, სამაროვანი და მეტალურგიული სახელოსნო ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა წალვერთან, ბრინჯაოს ხანის.



წალვერის მინერალური წყარო ძველად. ერმაკოვის ფოტო
ფოტო: თსუ გეოგრაფიის მუზეუმი

წალვერი, წალველი – დაბა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, ზ.დ. 1020-1130 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 11 კმ მანძილზე, ქედის თემის ცენტრი. დაბის სტატუსი მიიღო 1926 წელს. მოიპოვება მინერალური წყლები. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1051. მათი უმრავლესობა (95 %) ქართველია (2002). 1899 წელს მოეწყო წალვერის გლეხთა (მონაწილეობდნენ კიმოთესუბნელებიც) აჯანყება მიხეილ რომანოვის წინააღმდეგ, რომლის საუფლისწულო მამული იყო ბორჯომის ხეობა და რომელმაც აქაურ მკვიდრთა მდგომარეობა გააუარესა.

წალვერის სადაბო საკრებულო – საკრებულო ბორჯომის მუნიციპალიტეტში, წალვერის სადაბო საკრებულოს ცენტრი. მასში შემავალი სოფლებია: დაბა, კიმოთესუბანი და მზეთამზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 872 (2002).



წაღვერიდან ბაკურიანისკენ მიმავალი გზა

წაღვერის ციხე, უზნარიანის ციხე – ციხე (შუა სს.) ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. გუჯარეთისწყლის მარცხენა ნაპირას, დაბა წაღვერის განაპირას, კლდეზე.

წაღვერის ჰიდროლოგიური სადგური – მდ. გუჯარეთისწყალზე, აუზის ფართობი – 238 კმ², აბსოლუტური სიმაღლე – 1022 მ, დაკვირვების წლები – 1954-1991.

წახანი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ვარხანის თემი. აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ზ.დ. 1270-1280 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 19 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 297, რომელთა 98 % ქართველია (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების 2 ეკლესია და XIX საუკუნის მეჩეთი – ყოფილი ეკლესია (1433 წ.).

წახანის ეკლესია – მარიამობის სახელობის ეკლესია (შუა სს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. წახანში, დაბა ადიგენიდან 17 კმ მანძილზე. აქვეა შემორჩენილია ნაეკლესიარი (XV ს.), სადაც მეჩეთია.

წახნისწყარო, წახანწყარო – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ვარხანის თემში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ზ.დ. 1280-1310 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 23 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 85, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002).




წყარო დაბა წაღვერთან

საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში.

წეროს ტბა – ტბა დაბაძველის პლატოზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

წვერუკისღელე – მდინარე ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადი.



წვრილფოთოლა ფსევდოპოდოსპერმუმი

წვრილფოთოლა ფსევდოპოდოსპერმუმი (Pseudopodospermum leptophyllum) – მარადმწვანე იშვიათი ბალახი, კაკლისებრი, გამსხვილებული ფესვით. გვხვდება სამცხე-ჯავახეთში სამცხეში – ასპინძის, ვარნეთის, ხერთვისის მიდამოებში. საქართველოში მხოლოდ აქ გვხვდება. საქართველოს წითელ წიგნში შესულია როგორც იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობა.

წიბა, მაჯაღვერი, მელიქაური (Daphne) – 15-30 სმ სიმაღლის ბუჩქი, იშვიათი, სამკურნალო და დეკორატიული მცენარე. იზრდება ტყის ზედა საზღვრის ეკოტონში დეკას ბუჩქებს შორის. სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია სამცხეში და თეთრობის პლატოზე – ჯავახეთში. ყვავილობს მაის-ივნისში. თესლები მწიფდება ივლის-აგვისტოში. მოითხოვს ტენიან ნიადაგებს. შეუძლია ზრდა ნახევრად დაჩრდილულ (მერხერი ტყე) პირობებში. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში. დგას საფრთხის წინაშე ჰაბიტატების დეგრადაციის გამო.

წივის გამოყენება სანვავად სამცხე-ჯავახეთში – მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნაკელისაგან დამზადებული სანვავი საშუალება, რომელსაც ძველთაგანვე ფართოდ იყენებდნენ ჯავახეთში, ნაკლებად სამცხეში. ამის მიზეზია ჯავახეთის უტყეობა. ალ. ფრონელის მიხედვით, წივის მომზადება შემდეგნაირად ხდება: *„მსხვილფეხა საქონლის ნაკელს შეაქურებენ გაზაფხულზე, ან ზაფხულში სახლის წინ, ან კალოზე, დაზელენ ნიჩბებით და შემდეგ ამოჭრიან აგურივით, გაფენენ კალოებზე, კალოს ღობეებზე და სახლის ბანებზე. როცა გამომება მზეზე, მწკრივად დაალაგებენ, როგორც საყენის შემას, ან ბჯას“*. ამასთან წივის დამზადება თურმე ქალების მოვალეობა ყოფილა: *„წივის კეთება უფრო ქალების მოვალეობაა. მამაკაცები ეშველებიან*



წივის პრიკატაბი

ნაკელის დაზელაში და ალიზებად ამოდებაში. გაშრობა, გამწკრივება კალოზე, შემდეგ ბჯად დადგმა სულ ქალების საქმეა“.

წითელთავა ნარჩიტა (Regulus ignicapillus) – ბელურასნაირი ასპუჭაკასებრთა ოჯახიდან. იშვიათი და მცირერიცხოვანი ფრინველია, საქართველოში ვიწრო ლოკალური გავრცელების. გვხვდება მდ. მტკვრის ხეობაში ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ბინადრობს წიწვიან ტყეებში.



წიგა
ფოტო: „ელკანა“

წითელთავა ღადო (Lanius senator) – ფრინველი ღაჟოსებრთა ოჯახიდან. საქართველოში



წითელთავა ნარჩიტა

გავრცელებულია სპორადულად ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, ქსეროფიტულ მცენარეულობასა და ბუჩქნარებში. მცირერიცხოვანი ფრინველია, რომლის რიცხოვნობა კლებადია. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი სახეობა, რომელსაც ჯერჯერობით არ ემუქრება გადაშენება, მაგრამ გვხვდება ისე ცოტა, ან იმდენად მცირე ტერიტორიაზე, რომ შესაძლოა სწრაფად გადაშენდეს.

წითელი ბუდეშური, შავი ბუდეშური, თამარეული – ადგილობრივი ვაზის უძველესი ჯიში. XVII საუკუნეში საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, გავრცელებული ყოფილა მესხეთში – საროსა და ხიზაბავრაში (ასპინძის მუნიციპალიტეტი) და მას წითელ, მეტად ტკბილ, სურნელოვან და საჭმელ ყურძნად ასახელებს.

წითელი დოლი – რბილი ხორბლის ქართული ადგილობრივი საშემოდგომო ჯიში. ფხიანია, თავთავი თითისტარისებრი და საშუალო სიმკვრივისაა. მარცვალი რქისებრია, არ ცვივა. კარგად უძლებს ყინვასა და გვალვას, მაგრამ ადვილად ავადდება ყვითელი და მურა ჟანგათი. ხარობს ზ.დ. 600-2000 მ სიმაღლით დიაპაზონში. დოლის პური ძირითადად თეთრი და წითელთავიანია. მისი ეკოტიპებია ქართლის დოლი, კახური დოლი, ახალციხის წითელი დოლი და სხვ.



წითელი დოლი

„წითელი ნუსხა“ სამცხე-ჯავახეთის – საქართველოს „წითელი ნუსხის“ ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლები, რომლებიც გვხვდება სამცხე-ჯავახეთში.

მაგალითად, აქ შედის: ხუჭუჭა ვარხვი როგორც მსოფლიოში ჰიფსომეტრიულად ყველაზე მაღლა მობინადრე კოლონია, ქრელტყავა და სხვ.

„წითელი წიგნი“ სამცხე-ჯავახეთის – საქართველოს „წითელი წიგნის“ ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლები, რომლებიც გვხვდება სამცხე-ჯავახეთში. ცხოველთა და მცენარეთა იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობები, აგრეთვე არაორგანული ბუნების ძეგლები შეტანილია საქართველოს წითელი წიგნის 1982 წლის გამოცემაში.

„წითელჯვარი“ – ეკლესია (XII-XIII სს.) ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. გუჯარეთისწყლის ხეობაში, სოფ. გუჯარეთის აღმოსავლეთი 3 კმ მანძილზე. შემორჩენილია ნანგრევები – დასავლეთის კედელი და საკურთხევლის ნაწილი. მოპირკეთებული ყოფილა წითელი თლილი ქვით. ეკლესია შიგ შელესილია, მხოლოდ მოხატულობის კვალი არ ემჩნევა. შემორჩენილია ასომთავრული წარწერის ფრაგმენტები.

წითელსოფელი, რაცისწყალი – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება აზოტოვან ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 0.2 გ/ლ.

წითელსოფელი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, გუჯარეთის თემის საკრებულოში, თორის ქვაბულში, გვირგვინას მთის სამხრეთ ფერდობზე, ზ.დ. 1625-1700 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 43 კმ მანძილზე. სოფელი დაცარიელებულია. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერით არ არის მუდმივი მოსახლეობა.

წითელტუჩა ქერები, რცამი, ხაშამი (Aspius aspius taeniatus Eichwald) – თევზი კობრისებრთა ოჯახიდან. გავრცელებულია მდ. მტკვრის სათავეებში და მისი აუზის შენაკადებში, აგრეთვე ჯავახეთის ტბებში. ძვირფასი სარეწაო თევზია.



ყარყატაბი გუდე, ჯავახეთი

წითელფრთიანი კოჭობურა (Rhodopechys sanguinea) – ფრინველი მთიულასებრთა ოჯახიდან. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. სპორადულად გავრცელებული მცირერიცხოვანი ფრინველია. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი სახეობა, რომელსაც ჯერჯერობით არ ემუქრება გადაშენება, მაგრამ გვხვდება ისე ცოტა, ან იმდენად მცირე ტერიტორიაზე, რომ შესაძლოა სწრაფად გადაშენდეს.

წითელხვევი – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება სულფატურ-კარბონატულ-ნატრიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 0.2 გ/ლ.

წინუბანი – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია – 10.4 გ/ლ.

წინუბანი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, აგარის თემის საკრებულოში, მდ. წინუბნისწყლის მარცხენა ნაპირას, ზ.დ. 990-1070 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 19კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 348. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (99 %) ქართველია (2002).

წინუბანი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, წყალთბილას თემის საკრებულოში, მდ. ფოცხოვისწყლის ხეობაში, ზ.დ. 1330-1560 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 13 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 425. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სომეხია (2002).


წინუბანი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, გვერდისუბნის თემში, გვირგვინას ქედის სამხრეთ ფერდობზე, თორის ქვაბულში, მდ. გუჯარეთისწყლის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1490-1560 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 32 კმ მანძილზე, სოფელი დაცარიელებულია. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერით არ არის მუდმივი მოსახლეობა. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. რთული სიტყვისაგან შედგენილი ტოპონიმია. მანარმოებელია სიტყვა „უბანი“.

წინუბანი, გურკელი – მინერალური წყარო ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წინუბანში. მიეკუთვნება სუსტად მინერალიზებულ (1.9 გ/ლ) აზოტოვან სულფატურ-ნატრიუმთან ჯგუფს. დებიტი – 2.5 ლ/წმ, მაქსიმალური ტემპერატურა – 30-31°C.

წინუბნის კოშკი – კოშკი ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წინსში. დანგრეულია და ამ ადგილას გზა გადის.

წინუბნისწყალი – მდინარე ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადი. სათავე აქვს აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ კალთაზე.

წინუბნის ჰიდროლოგიური სადგური – მდ. წინუბნისწყალზე, აუზის ფართობი – 112 კმ², აბსოლუტური სიმაღლე – ზ.დ. 995 მ, დაკვირვების წლები – 1992-1991.



მდ. წინუბნისწყლის (წინუბანთან) საშუალო ხარჯები სხვადასხვა კვირებში (მ³/წმ)

წირა – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, წყრუთის საკრებულოში, ახალციხის ქვაბულში, ზ.დ. 1100-1250 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 8 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 426, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება (97 %) – სომეხი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. სოფელში მიკვლეულია მინაში 3 მ სიღრმეზე ჩაფლული დიდი ტევადობის მარანი (XVI-XVII სს.), ქვის საწნახელი, ქვევრი, საწნახი ქვა, ქვევრის ქვის სარქველი და მეღვინეობისათვის სხვა საჭირო ინვენტარი – და სხვ. ეს აღმოჩენა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ აქ ვაზის არცერთი ძირი აღარ არის შემორჩენილი. დღეს ეს მიდამოები მოკლებულია ტყესა და ხეხილის ბაღებს.

წირის მენყერი – მენყრული სხეული ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წირადან ჩრდილოეთით, ახალციხის ქვაბულში, 15-30° დახრილობის სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობზე. განვითარებულია ზედა ეოცენისა და ოლიგოცენის თიხიან-ქვიშიან ნალექებში, რომლებიც გადაფარებულია დელუვიურ-კოლუვიური ნალექებით. მენყრული სხეულის სიგრძეა 1000 მ, სიგანე – 600 მ, სიმაღლე – 15 მ, ფართობი – 60 ჰა. მენყერი დროებით სტაბილურ ფაზაშია. გააქტიურების შემთხვევაში საშიშროებას უქმნის საცხოვრებელ სახლებს.

წიფლნარი ტყეები – გავრცელებულია აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ და არსიანის ქედის აღმოსავლეთ ფერდობებზე, მდ. ქვაბლიანის ხეობის ზედა ნაწილში. ქმნიან მონოდომინანტურ აღმოსავლური წიფლის (*Fagus orientalis*) ტყეებს კოლხური ფლორის ელემენტებით. მინარევების სახით

გვხვდება: რცხილა, მუხა, ნაძვი, სოჭი და სხვ. ბუჩქნარებიდან გვხვდება: მარადმწვანე კოლხური ქვეტყე – წყავი (*Laurocerasus officinalis*), ჭყორი (*Ilex colchica*), შქერი (*Rhododendron ponticum*), ფოთოლმცვივანი ბუჩქნარები – მაღალმთის მოცვი, კავკასიური მოცვი (*Vacinium arctostahylos*), იმერული ხეჭრელი (იმერული ხეშავი) (*Rhamnus imeretina*), ჩვეულებრივი თხილი (*Corylus avellana*) და სხვ.

წიფლნარი ტანბრეცილი ტყეები – სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია გოდერძის უღელტეხილზე და ოშორის ქედზე, სოფ. დამალის ზემოთ (ასპინძის მუნიციპალიტეტი), ზ.დ. 2100 მ სიმაღლემდე. წარმოდგენილია მეჩხერი ტყის სახით.

წიფორი, წიფარიო – მთა თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ასპინძის მუნიციპალიტეტში.

წნისი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, კლდის თემის საკრებულოში, ახალციხის ქვაბულში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირას, ზ.დ. 930-1000 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 8 კმ მანძილზე, ახალციხე-ბორჯომის საავტომობილო გზაზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 642, უპირატესი ეროვნება (92%) – ქართველი (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების (XII ს.) ციხე და ეკლესიის ნანგრევები.

წნისის ეკლესია – ეკლესია ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წნისის ჩრდილოეთით. ნაგებია თლილი ქვისაგან და კირისაგან. შემორჩენილია ნანგრევები.

წნისის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთი – ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთი ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფელ წნისში, ქ. ახალციხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 6 კმ მანძილზე, ახალციხე-თბილისის საავტომობილო გზატკეცილთან. ნაკვეთის ფართობია 4.3 ჰა. შეიქმნა სამცხე-ჯავახეთში შემორჩენილი, გადაშენების პირას მყოფი კულტურული მცენარეების შეკრების, გამრავლების, კონსერვაციის, ფერმერული მეურნეობების დანერგვის ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიზნით. ნაკვეთზე ითესება და მრავლდება



ახალიწის ბაღი წნისის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთიზე
ფოტო: „ელკანა“

მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების ადგილობრივი ჯიშები, გაშენებულია ადგილობრივი ჯიშის ხეხილის ბალი და სანერგე, კენკროვანი კულტურები. მარცვლოვანი კულტურებიდან აქ ითესება ის ჯიშები, რომელთაც ოდითგანვე თესავდა ქართველი გლეხი და მათი ფქვილისაგან გემრიელ და სურნელოვან პურს აცხობდა. მესხეთი ხომ ძველად განთქმული იყო ახალციხის (მესხური) წითელი დოლით, დიკათი, ქერშველით. პარკოსნებიდან კი აქ ითესება მუხუდო, ცერცვი, ცულისპირა, ოსპი, ძაძა. ამ პარკოსნებისაგან ოდითგანვე მზადდებოდა გემრიელი კერძები: ცერცვის ბაკლა, მუხუდოს სისირი, ცულისპირას შეჭამანდი, ძაძას შეჭამანდი და სხვ. ნაკვეთზე ასევე ითესება საზეთე კულტურა, გადაშენების პირას მისული სელი, რითაც ძალზე განთქმული იყო სამცხე-ჯავახეთი საუკუნეების მანძილზე. ნაკვეთზე გაშენებულია ხეხილის ვაშლის ადგილობრივი ჯიშები: თურაშაული, აბილაური, რძევაშლი, ერბოვაშლი, მსუქანა, რაკრაკა, შაქარნაბადა, მზის სხივი, ხვინწა, თათენა და მსხლის ადგილობრივი ჯიშები: სოსელო, ინჟირა, ყაბაყარმუდი, ნენე მსხალი, ნანაძირი. კენკროვანი კულტურებიდან კი აქ წარმოდგენილია წითელი და შავი მოცხარი, ჟოლო, ხურტკმელი. „ელკანას“ საცდელ ნაკვეთზე აღადგინეს და გაამრავლეს აგროკულტურების მრავალი ადგილობრივი ჯიში. აქ პროდუქციის მოყვანა ბიომეთოდების გამოყენებით ხდება. წარმოებული სათესლე და სარგავი მასალა ხელმისაწვდომია ფერმერებისათვის.

წობტევი – ყოფილი სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში.

წრე – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ზანავის თემში, მდ. ქვაბლიანის ხეობაში, ზ.დ. 1130-1280 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 1.5 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 183, რომელთა 99 % ქართველია (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები.

წრიოხი – ნასოფლარი ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, მდ. წრიოხის (წრიოხისხევის) ხეობაში, დაბა აწყურის მახლობლად, მისგან სამხრეთ-დასავლეთით, ახალციხე-ბორჯომის საავტომობილო გზის ჩრდილოეთით, მის სიახლოვეს. შუა საუკუნეებში აქ განვითარებული იყო მევენახეობა და მეხილეობა, მაგრამ ოსმალთა ბატონობამ სრულიად მოსპო მეურნეობის ეს დარგები, მოისპო წრიოხული ვაზის ჯიშები, ადგილი კი – გავერანდა.

წრიოხის მონასტერი – ღვთისმშობლის მიძინების ერთნავიანი ეკლესია ახალციხის მუნიციპალიტეტში, წრიოხის ციხის ფარგლებში. ნაგებია თლილი ქვისა და კირისაგან. დაზიანებულია. ნაშლილია კედლის მხატვრობა.

წრიოხის ციხე, თამარის ციხე, ბესელთავის ციხე – ციხე (XII ს.) ახალციხის მუნიციპალიტეტში, ნასოფლარ წრიოხთან. ადრე იყენებდნენ სახიზრად. წრიოხის მიდამოებში ძველად გაშენებული ყოფილა ვენახი და ხეხილის ბაღები.

წუნდა, ჰური, ქაჯატუნი, ქაჯთა ციხე, ნაქალაქევი – ისტორიული ქალაქი ჯავახეთში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, ახლანდელი ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებს – ნაქალაქევსა და თმოგვს – შორის; ჯავახეთის ძველი ცენტრი. ტოპონიმთა სიმრავლე საინტერესო მინიშნებებს იძლევა ქალაქის წარმოშობა-განვითარებაზე. მისი დაარსება მიეწერება ლეგენდარულ მცხეთოსის ვაჟს – ჯავახოსს. XI საუკუნის ისტორიკოსის ცნობით, იგი უძველეს ქალაქადაა დასახელებული, XV-XVI საუკუნეებში კი თანდათან კნინდება, რაც ახალი ქალაქების – თმოგვისა და ახალქალაქის – დაწინაურებითაა გამოწვეული. შემორჩენილია ციხე და ეკლესია (XI-XII სს).

წუნდის ველის ტერასები – ტერასები მდ. მტკვრის ხეობაში, წუნდის ველის მიმართულებით. უძველეს ტერასებზე მიკვლეულია სხვადასხვა პერიოდის მრავალი კერამიკული მასალა. ტერასები აგებული "ციკლოპური" ტიპის უზარმაზარი ლოდებით.



წუნდა, ორნამენტური პორტიკა

წუნდის ტაძარი – ერთნავიანი ეკლესია (XII-XIII სს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, ვარძიის სიახლოვეს, კლდეზე. ნაგებია სუფთად თლილი ქვით. შემორჩენილია ჩუქურთმები, წარწერები, სადაც მოიხსენიება დავით აღმაშენებელი. აქვე გვხვდება ქვაში ამოკვეთილი საწნახელები, ხელოვნური ტერასები.

წუნდის ტბა, „თამარის სარკე“ – ტბა მდ. მტკვრის ხეობაში, ახალქალაქის პლატოს დასავლეთით, ასპინძის მუნიციპალიტეტში, ნაქალაქარ წუნდასთან ახლოს, ზ.დ. 1539 მ სიმაღლეზე. ზედაპირის ფართობია 0.034 კმ², აუზის ფართობი – 1.8 კმ², უდიდესი სიღრმე – 10.8 მ, წყლის მოცულობა – 284 ათ.მ³. ტბის ქვაბული წარმოიშვა ახალქალაქის ლავური პლატოს დასავლეთ პერიფერიის დამეწყვრის შედეგად. ტბა გაუდინარია, თუმცა მას აქვს მიწისქვეშა სადინარი მდ. მტკვრის ხეობისაკენ. ზამთარში არ იყინება. წყალი მტკნარია. იგი ცნობილია სამედიცინო წურბელებით, რომელსაც ოდითგანვე იყენებდნენ სამკურნალოდ. ტბის მიდამოები შემოსილია ლერწმით. აქ ბევრია გარეული იხვი, ბატი, მელოტი და სხვ.

წყალთბილა – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი (სოფლები: აბათხევი, ნაოხრები, წინუბანი, ჯულა), ზ.დ. 1210-1370 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 15 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1547, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება (98 %) – სომეხი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. სოფელში მინერალური წყლებია. როგორც ფიქრობენ, სოფლის ძველი სახელწოდება „ტყისსოფელი“ უნდა იყოს.

წყალთბილას გოგირდოვანი წყალი – მინერალური წყარო ახალციხის მუნიციპალიტეტში, ვალეს სამხრეთით, სოფ. წყალთბილაში. წყალი სულფატურ-კარბონატულ ნატრიუმ-მაგნიუმია. ჯამური დებიტია 250 ათ. ლ, დაბალი მინერალიზაციის – 0.2 გ/ლ.

წყალთბილას თემის საკრებულო – საკრებულო ახალციხის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: წყალთბილა, აბათხევი, ნაოხრები, წინუბანი და ჯუღდა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 3347 კაცი (2002).

წყაროთვერდის ეკლესია – ერთნავიანი ეკლესია ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხეოთიდან 2.5 კმ მანძილზე. ნაგებია თლილი ქვითა და კირით. შემორჩენილია ნანგრევები.

წყაროსთავის ეკლესია – ეკლესია ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

წყისი – იხ. ქვემო და ზემო წყისი.

წყორძა – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, ურავლის თემში, ახალციხის ქვაბულში, მდ. ურავლისწყლის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1100-1250 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 16 კმ მანძილზე, ახალციხე-ურავლის საავტომობილო გზაზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 136, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება (99 %) – ქართველი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. სოფლის მიდამოებში, მისგან დასავლეთით არის შუა საუკუნეების კლდეში ნაკვეთი კომპლექსი – ბაიები.

წყორძის ეკლესია – ერთნავიანი ეკლესია (XIII ს.) ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. ურავლის ხეობაში, სოფ. წყორძის შუაგულში. ნაგებია თლილი ქვით, მოჩუქურთმებულია. სოფლის განაპირას, ბორცვზე მეორე ეკლესიაა (დაახლ. XIV–XV სს.).

წყორძის ტერასები – უკედლო ტერასები ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წყორძასთან, ახალციხის ქვაბულში, მდ. ურავლის მარჯვენა მხარეს.

წყრუთი, წკრუთი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი (სოფლები: მიქელწმინდა, წირა), ზ.დ. 980-1060 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 6 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1194, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება (99 %) – სომეხი (2002).

წყრუთი – მინერალური წყარო ახალციხის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება აზოტოვან სულფატურ-ნატრიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 1.1 გ/ლ.

წყრუთის თემის საკრებულო – საკრებულო ახალციხის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: წყრუთი, მიქელწმინდა და წირა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1712 კაცი (2002).

წყრუთის წყება – ზედა ოლიგოცენის წყება, რომლითაც აგებულია აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთი ფერდობი და რომელიც ზედაოლიგოცენური ბენარის წყებით იფარება, ხოლო მის ქვეშ განლაგებულია ოცხეს შრეები.

წყუთაჯვარი – ნასოფლარი, იხ. თუთაჯვარი.

ქ

ჭალის მუხა, გრძელყუნწიანი მუხა (*Quercus pedunculiflora*) – ხემცენარე 30 მ-მდე სიმაღლის, მაღალხარისხოვანი მერქნიანი და დეკორატიული, მესამეული პერიოდის რელიქტი. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება ბორჯომის ხეობაში. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობა.

ჭალის ტყეები – ჭალის ტყე, რომელიც სამცხე-ჯავახეთში გვხვდება მდინარეების მტკვრის, ფოცხოვის, ქვაბლიანის, წინუბნიწყლისა და აბასთუმნის ხეობების გასწვრივ და წყალსატევების სანაპიროებზე. წარმოდგენილია პირველადი ჭალის ტყეებით, რომელიც მნიშვნელოვნად არის გაჩეხილი და დეგრადირებული. ტყეების დიდი ნაწილი გაჩეხილია და მათი ადგილი უკავია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს – ხეხილის ბაღებსა და სხვ. კულტურებს. დომინანტი სახეობებია: მურყანი (*Alnus barbata*), ვერხვი (*Populus hybrida, P. nigra*), აგრეთვე კუნელი (*Crataegus monogyna, C. pantagyna*), შინდი (*Cornus mas*), კვრინჩხი (*Prunus spinoza*) და სხვ. ფართოდაა განვითარებული შვიტას ტევრები და მარცვლოვნები. თითქმის არ არის ლერწმიანები. შემორჩენილია ბორეალური ფლორის ელემენტები. დაბა ვალეს დასავლეთით, სარწყავ არხთან საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი ქაცვის (*Hippopac ramnoides*) დიდი პოპულაციაა, სადაც ასევე გვხვდება: ხეშავი (*Rhamnus*) და კვიდო (*Ligustrum vulgare*), ძირტკბილა (*Glycyrrhiza glabra*).



ჭაჭარაძი ძველად. ფოტო: საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება

ჭანარი (*Barbus capiro Guldestadt*) – თევზი კობრისებრთა ოჯახიდან. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება მდ. მტკვარში ბორჯომისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. არ ჰქონდა დიდი სარენაო მნიშვნელობა. 1951-1960 წლებში მდ. მტკვარში მოიპოვებდნენ 20.5 ცენტნერს ყოველწლიურად.

ჭანდურა – სოფელი, იხ. ჩამძვრალა.

ჭაჭარაქი, ჭეჭერეჯი, ჩაჩარაკი, ჩეჩერეჯი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, მინაძის თემში, მდინარეების მტკვრისა და ფოცხოვისწყლის შესართავთან, მტკვრის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 950-1020 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 5 კმ მანძილზე. მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 420, რომელთა 88 % სომეხია (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია, ნანგრევები. სოფელში განთავსებულია ახალციხის მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელი.

ჭაჭარაქი – მინერალური წყარო ახალციხის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება აზოტოვან ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 0.2 გ/ლ.

ჭაჭარაქის ეკლესია, ჭეჭერეჯის ეკლესია – ერთნავიანი ეკლესია ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭაჭარაქის აღმოსავლეთით.

ჭაჭკა – სოფელი, იხ. ტამბოვკა.

ჭელა – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ჭეჭლას თემში, მდ. ქვაბლიანის ხეობაში, ზ.დ. 1280-1380 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 7 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 254, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. სოფელში არის მეჩეთი. როგორც ფიქრობენ, სოფლის ძველი სახელი „ჭალა“ უნდა იყოს.

ჭეჭლა – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, თემის ცენტრი, ზ.დ. 1270-1345 მ სიმაღლეზე, მდ. ქვაბლიანის მარცხენა მხარეს, დაბა ადიგენიდან 7 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 265, რომელთა 96 % ქართველია (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია და კოშკი.

ჭეჭლის ეკლესია – ეკლესია ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭეჭლაში. დანგრეულია.

ჭეჭლის თემის საკრებულო – საკრებულო ადიგენის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ჭეჭლა, აფიეთი, ზედუბანი, კეხოვანი, საირმე, ღორთუბანი და ჭელა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1131 კაცი (2002).

ჭვინთა – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, ელიანმინდის თემის საკრებულოში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ზ.დ. 1350-1500 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 10 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 316. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (98 %) ქართველია (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. შემორჩენილია შუა საუკუნეების „ჯვრის ციხე“ და მონასტერი: ეკლესია ბონორისი შუა საუკუნეების მოხატულობის ნიმუშებით და სხვ.

ჭიქიანის მენჰირი – 3.9 მ სიმაღლისა და 3 მ დიამეტრის მეგალითური ძეგლი (ძვ.წ. II ათასწ.), ქვის სვეტი აბულ-სამსრის ქედზე, მ. ჭიქიანთან, მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის სიახლოვეს, ბორცვზე. სავარაუდოდ, საკულტო დანიშნულება ჰქონდა წინაქრისტიანულ ეპოქაში. იგი

ძვ.წ. II ათასწლეულით თარიღდება. მიდამოებში მიკვლეულია ობსიდიანის პალეოლითური იარაღის დამამზადებელი სახელოსნო ღია ცის ქვეშ.

ჭიქიანის მთა, ჭიქიანი, ყოიუნდალი, ქოიუნდალი, კოინდალი – ჩამქრალი ვულკანი ჯავახეთის ქედის ჩრდილოეთ ნაწილის დასავლეთ, თხემისპირა კალთაზე, ნინოწმინდისა და წალკის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, ზ.დ. 2415 მ სიმაღლეზე. აგებულია ნეოგენური ლიპარიტ-დაციტებით, რომელიც გამსჭვალულია სხვადასხვა ფერის ობსიდიანის ძარღვებით. მზიან ამინდში ობსიდიანი, რომელიც ასევე ვულკანური მინის სახელითაა ცნობილი, არეკლავს მზის სხივებს და მთა საოცარ ელვარ იერს ანიჭებს. შემორჩენილია ძველი „სახელოსნოების“ კვალი, რომელსაც ობსიდიანის იარაღების დასამზადებლად იყენებდნენ. აქ დამზადებული იარაღები მიკვლეულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ძველ ქართულში „ჭიქა“ ნიშნავდა მინას. სწორედ აქედან წარმომდგარა მთის სახელიც, რომელიც ობსიდიანის – ვულკანური მინის სიუხვითაა გამორჩეული. ყოიუნ-დალი, ქოიუნ-დალი თურქულად ცხვრის მთას ნიშნავს. ძველ ქართულ წყაროებში კი იგი ჭიქიანის სახელითაა აღნიშნული.

ჭიქიანის ობსიდიანი – ობსიდიანი, დაკავშირებულია ზედამიოცენურ–ქვედაპლიოცენურ ვულკანიზმთან.

ჭიხარულა – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბალანთის თემში, ჯავახეთის ზეგანზე, მდ. ბარალეთის ზემო წელში, ზ.დ. 1800-1860 მ სიმაღლეზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 299, რიცხოვნობად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა.

ჭიხელი – ყოფილი სოფელი და ნაეკლესიარი (შუა სს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქიქინეთიდან 3 კმ მანძილზე.

ჭობარეთი – მდინარე ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავნის მარჯვენა შენაკადი.

ჭობარეთი – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ერუშეთის მთიანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე, მდ. ჭობარეთისწყლის (მტკვრის მარცხენა აუზი) ორივე ნაპირას, ზ.დ. 1440 მ სიმაღლეზე, ქ. ასპინძიდან დასავლეთით 25.5 კმ მანძილზე, ზ.დ. 1300-1470 მ სიმაღლეზე, ძველის თემში, მუსხი-იდუმალის საავტომობილო გზაზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 379, უპირატესი ეროვნება (99 %) – ქართველი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა. XX საუკუნის შუა წლებში აქ გააშენეს ხელოვნური ფიჭვნარები. ამ ადგილს მერენიის ტყე უწოდეს. მრავლადაა მინერალური წყაროების გამოსავალები. სოფ. ჭობარეთში, როგორც მეცნიერები ფიქრობენ, სახნავ-სათესი ყანები მთლიანად ურწყავი ყოფილა. ყველაზე ნაყოფიერ ყანად ითვლებოდა „ნაფუძარი“. ყანებს ანსხვავებდნენ ერთმანეთისაგან მზის მიმართ მდებარეობით, ნიადაგის სიმძიმითა და სიმსუბუქით, სიმშრალით, ტენიანობით, საცხოვრებელი სახლიდან დაშორებით, ნიადაგის ფერთა და სხვა თვისებებით. სოფლის მიდამოებში მიკვლეულია ხორბლის 4 სახეობა, ქვის ხელსაფქვავეები, ლითონის ჩამოსასხმელი ყალიბი – ტიგელი და ადრე ბრინჯაოს ხანის ნასახლარი. ძველად სელისაგან ზეთს ხდიდნენ. სოფელში არის დიატომიტისა და მარმარილოს საბადო. სოფლის სიახლოვეს შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია და ციხის ნანგრევები.

ჭობარეთის გამარმარილოებული კირქვა – მდებარეობს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ზ.დ. 2100-2200 მ სიმაღლეზე, ახალქალაქის რკინიგზის სადგურიდან 22 კმ მანძილზე.

ჭობარეთის დიატომიტისა და მარმარილოს საბადო – დიატომიტისა და მარმარილოს საბადო ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭობარეთში.

ჭობარეთისთავი – მთა ჭობარეთის ქედზე, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ჭობარეთის ქედზე, ზ.დ. 2278 მ სიმაღლეზე.

ჭობარეთის ეკლესია – კვირაცხოვლის სამეკლესიანი ბაზილიკა ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭობარეთში.

ჭობარეთის ტერასები – უკედლო ტერასები ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭობარეთთან, ერუშეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს. 1980-იან წლებში ამ ტერასების სამხრეთ ფერდობების მონაკვეთში მოჰყავდათ ხორბლეული.

ჭობარეთის ქედი – ქედი ასპინძისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, თრიალეთის ქედის სამხრეთი განშტოება.

ჭობარეთისწყალი – მდინარე ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. ინჯისწყლის მარჯვენა შენაკადი.

ჭობარეთ-ტაბისყურის ფიზიკურ-გეოგრაფიული ქვერაიონი – ჯავახეთის ზეგნის ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონის ჩრდილოეთ განაპირა ნაწილი. აგებულია გოდერძის წყების ნაოჭა ლავებით. აბსოლუტური სიმაღლე მერყეობს 1800-2500 მ-ის ფარგლებში.

ჭობისხევი – მინერალური წყარო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება აზოტოვან სულფატურ-კალციუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 2.3 გ/ლ.

ჭობისხევი – მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი.

ჭობისხევი – სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ზ.დ. 850-1080 მ სიმაღლეზე, ქ. ბორჯომიდან 13 კმ მანძილზე, დვირის თემში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 857. მათი უმრავლესობა (96 %) ქართველია (2002). სოფელში დღემდე შემორჩენილი დარბაზული ტიპის გვირგვინ-ერდოიანი საცხოვრებელი. აგებულია კარგად დამუშავებული და ერთმანეთზე მორგებული ქვების მშრალი წყობით. იგი ერთ-ერთი უდიდესი და მაღალმხატვრულია თორში შემორჩენილ მრავალრიცხოვან დარბაზებს შორის. 1957 წელს სოფელში მიაკვლიეს მინაში ჩაფლულ დიდ მარანს 10 ქვევრით, რომელთაგან 5 ქვევრი სავსე იყო სხვადასხვა ფერის ღვინით. მართალია, ღვინო უკვე განყალბებული იყო, მაგრამ მას შენარჩუნებული ჰქონდა ფერი. რაკი სოფელში სამ საუკუნენახევრის მანძილზე მევენახეობა-მეღვინეობა არავის აღარ უნარმოებია, ეს ძველის-ძველი ღვინო უნდა ყოფილიყო, ე.ი. ოსმალების შემოსევამდე. სახელწოდება მომდინარეობს ზანური სიტყვისაგან – „ჭობ“, რაც ნიშნავს ნაბლს.

ჭობისხევის ეკლესია – ეკლესია (განვით. შუა სს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

ჭოლთას სამონასტრო კომპლექსი – სამონასტრო კომპლექსი ასპინძის მუნიციპალიტეტში.

ჭრელტყავა (Vormela peregusna) – მტაცებელი ძუძუმწოვარი კვერნისებრთა ოჯახიდან. გავრცელებულია ღია მშრალ ადგილებში, ზ.დ. 2000 მ სიმაღლემდე ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. იკვებება მღრნელებით, წვრილი ფრინველებით, ხვლიკებით, კენკრით და სხვ. შეტანილია საქართველოს წითელ წიგნში როგორც გამქრალი ან მიუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობა. გლობალურად მონყვლად სახეობადაა მიჩნეული.



ჭრელტყავა

ჭულე, ჭულეს მონასტერი, ჭულევის მონასტერი – მონასტერი, წმინდა გიორგის სახელობის გუმბათოვანი ეკლესია (XIV ს., შეკეთ. XX ს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარა ზანავში, დაბა ადიგენიდან 7 კმ მანძილზე, მდ. ქვაბლიანის მარცხენა ნაპირზე. შემორჩენილია ლაპიდარული წარწერები (XIV ს.) და კედლის მხატვრობა (XIV ს.), სამწირველო (XIV-XV სს.), სამრეკლო (XV ს.), განვითარებული შუა საუკუნეების სხვა ნაგებობები. 1595 წლის შემდგომ გაუკაცრიელდა და არც ისტორიულ წყაროებში აღარ მოიხსენიება. ძველი ძლიერ გაძარცული და დაზიანებულია. XV-XVI საუკუნეებში ეკლესიის ზარები და ზოგიერთი ნივთი ტაძრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ტყეში დაუფლავთ. 1980-იან წლებში ამ გადამალულ განძს შემთხვევით, ხის მოჭრისას მიაკვლიეს. XX საუკუნის დასაწყისში სახლების მშენებლობისათვის გაჰქონდათ ქვები. სახელწოდება მომდინარეობს სიტყვიდან „ჭური“, რაც ჩავარდნილ, ჩაღრმავებულ ადგილს ნიშნავს. ტაძრის რესტავრაცია რამდენიმეჯერ განხორციელდა: 1935-1936 წლებში (გაქრა მონასტრის ძველი სამრეკლო და სხვა ნაგებობები). 1999 წლიდან ჭულეში აღდგა მღვდელმსახურება და დაიწყო სარესტავრაციო სამუშაოები, აშენდა ბერთა საცხოვრებელი, დაიდგა მონუმენტური ქვაჯვარი „ჭულის ჯვართამაღლება“.

ნ

ხავეთი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1680-1740 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 32 კმ მანძილზე, ხავეთის თემის საკრებულოს ცენტრი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 369. მათი უმრავლესობა (99 %) სომეხია (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში.

ხავეთის თემის საკრებულო – საკრებულო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ხავეთი, დაბნია და ერინჯა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 566 (2002).

ხავეთის ქვაჯვარები – ქვაჯვარები ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

ხაკი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, ზ.დ. 1400-1470 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 6 კმ მანძილზე, საძელის თემში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 139, რიცხოვნობა უპირატესი ეროვნება (99 %) – სომეხი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მიდამოები უტყეოა.

ხანდაკის ციხე – ციხე (შუა სს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. უდეს დასავლეთით. სახელწოდება მომდინარეობს სიტყვა „ხანდაკი“-დან, რაც ძველად ნიშნავდა ხრამს. ციხის მიდამოები მართლაც ძლიერ დახრამულია. შემორჩენილი ყოფილა წარწერის ფრაგმენტი „დ.მ.ა.“, რაც, როგორც ფიქრობენ, მის სამ აღმშენებელს უნდა ნიშნავდეს.

ხანდო, თონეთი – მინერალური წყარო ასპინძის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმ-მაგნიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია – 3.0 გ/ლ.

ხანდო – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ზ.დ. 1600-1680 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 18 კმ მანძილზე, საკრებულოს ცენტრი.



სოფ. ხანდოს მიდამოები

მიდამოები უტყეოა. მოსახლეობის რიცხოვნობა – 2539. მათი უმრავლესობა (99 %) სომეხია (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. შემორჩენილია ძველი ქართული ეკლესია, რომელსაც სურფ გეგორქს უწოდებენ. სოფლის სიახლოვეს, მისგან ჩრდილო-დასავლეთით ნასახლარია.

ხანდოს ეკლესია – ეკლესია (X ს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხანდოში. შემორჩენილია წარწერები.

ხანდოს თემის საკრებულო – საკრებულო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფელია ხანდო. მოსახლეობის რიცხოვნობა – 2539 (2002).

ხანდოს ეკლესია – დარბაზული ეკლესია ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

ხანჩალი – ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლების – დიდი ხანჩალისა და პატარა ხანჩალის – გავრცელებული სახელწოდება.

ხანჩალის ტბა, ხანჯალის ტბა, ხანჩერის ტბა – ტბა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ზეგანზე, მდ. ფარავნის აუზში, ზ.დ. 1928 მ სიმაღლეზე. წარმოიშვა ვულკანური ლავური ნაკადით მდინარის ხეობის გადაკეცივით (სინკლინურ ჩადაბლებაში). მაისში, თოვლის დნობის პერიოდში, ხასაითდება წყლის დონეების მაქსიმალური ცვალებადობით. წყალი მტკნარია (110 მგ/ლ). ზამთარში 5 თვის განმავლობაში იფარება ყინულის ფენით. ტბაში წყლის დონეების მაქსიმალური მერყეობა აღინიშნება მაისში, როცა მის აუზში ხდება თოვლის ინტენსიური დნობა. 1970-იან წლებში სარკის ფართობი იყო 13.3 კმ², აუზის ფართობი – 182 კმ², უდიდესი სიღრმე – 0.8 მ, წყლის მოცულობა – 6.4 მლნ მ³. ამჟამად წყლის ბალანსი უარყოფითია, ხოლო სარკის ფართობი 60 %-ითაა შემცირებული, რაც საირიგაციო დანიშნულების კაშხლის აგებამ განაპირობა. 1960-იან წლებში ტბის 2/3 ხელოვნურად დააშრეს საირიგაციო სისტემის გამო. ამჟამად ძველი წყალსატევი მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშია შემორჩენილი. დამშრალ სივრცეზე კი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია (უმთავრესად კარტოფილის ნათესები) გადაჭიმული. ტბა მარაგდება სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან ჩამავალი პატარა მდინარეებით. ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროდან გამომავალი, ალექსანდრ-დერესის არხი და მდ. აგრიჩაი, ჰიდროკვანძის გავლით, ასაზრდოებს მდ. ფარავანს. ქ. ნინოწმინდა და მიმდებარე სოფლები ტბიდან წარმოქმნილი ნაკადულებით მარაგდება. ტბაში ცოტაა თევზი. ხანჩალის ტბის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მცირე სიღრმისაა და გარეულ ფრინველს ძალზედ უადვილდება ტბის ფსკერიდან საკვების მოპოვება. ტბის მიდამოებში გაამრავლეს ონდატრა – არაადგილობრივი ძუძუმწოვარი, მღრღნელი. ტბის სანაპირო ზოლი დაჭაობებულია. წყალი მოლურჯო-მომწვანოა, აქვს არასასიამოვნო სუნი, დაბალია სინათლის შეღწევადობა. ინტენსიურია ევტროფიკაციის პროცესები, რაც დაკავშირებულია მიმდებარე სოფლის (დიდი ხანჩალი, პატარა ხანჩალი, ხოჯაბეგი და სხვ.) მოსახლეობის მიერ სასუქების არასათანადო გამოყენებასთან. 1950-იან წლებში ტბის დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე გააშენეს ხელოვნური ფიჭვნარები. ამჟამად მათი ფართობი შემცირებულია.

ხანჩალის ტბის აღკვეთილი – აღკვეთილი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავნის აუზში, ჯავახეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, ზ.დ. 1920-1980 მ სიმაღლეზე. ფართობია 839 ჰა. დაარსდა 2011 წელს. ტბის სანაპირო და მისი ეკოსისტემა მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემების წინაშე დგას, რაც საირიგაციო კაშხლის აგებითაა განპირობებული. კაშხლის აგებამდე დამახასიათებელი იხტიოფაუნა ძლიერ შემცირებულია. აქ ოდესღაც უხვად იყო: აღმოსავლური ფრინტა (*Alburnoides bipunctatus eichwaldi*) და კარჩხალი (*Leuciscus cephalus orientalis*). თევზის

სახეობები, რომლებიც ქვირითის ყრის პერიოდში სამხრეთ შენაკადებისაკენ მიგრირებდნენ, საერთოდ გაქრა. 1990-იანი წლებიდან კი ადვენტური კარჩხანაა (კარასი, *Carassius carassius*) მომრავლებული, რომელიც აქ ფრინველების მეშვეობით მოხვდა. კარჩხანა (კარასი, *Carassius carassius*) დღეს ვარხვების ძირითადი საკვებია. ძლიერ შემცირებულია ფრინველთა რაოდენობაც. აქ, კაშხლის აგებამდე არსებული რიცხოვნობის 10 %-ია შემორჩენილი. ტბა ფრინველთა მიგრაციულ ტრასაზე მდებარეობს. შესაძლებელია ფრინველებზე დაკვირვება და თევზაობა.



ხარისთვალა თეთრი

ხანჩალის ტორფის საბადო – ტორფის საბადო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ხანჩალის ტბის სანაპიროზე. მარაგია 63 ათ. ტ.

ხანჩალის ჭაობის აღკვეთილი – აღკვეთილი ხანჩალის ტბის სანაპიროზე. იგი ფრინველთა მიგრაციის ერთ-ერთ მთავარ ტრასას წარმოადგენს. მიდამოებში უხვად გვხვდება თეთრი ყარყატის, წეროების, ხუჭუჭა ვარხვებისა და თოლიების უზარმაზარი კოლონიები. ტბის ნაპირებზე და ჭაობებში ძალზედ ბევრია: ჩიბუხა, გოჭა, პრანჭია და ოჩოფხა. ჭაობებში იშენებენ ბუდეებს ჭაობის მტაცებელი ფრინველები ძელქორები და ველის კაკარები. აქ, ისინი ყველაზე ფართოდ გავრცელებული მტაცებლები არიან.

ხანჩერის ტბა – იხ. ხანჩალის ტბა.

ხარისთავი – მთა თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ასპინძის მუნიციპალიტეტში.

ხარისთვალა თეთრი – მესხური თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში, საღვინე და სუფრის ყურძენი. არის მსხვილმარცვლიანი, ხორციანი და სქელკანიანი სუფრის ჯიში. გამძლეა გვალვებისა და სოკოვანი დაავადებების მიმართ. კარგი არომატითა და ბუნებრივი შუშხუნა თვისებებით ხასიათდება.

ხარისთვალა შავი – მესხური ვაზის ჯიში, მაღალმოსავლიანი სუფრის ყურძენი. ფოთოლი საშუალო ზომის: 14X19 სმ, მრგვალი მოყვანილობის, ქვედა მხრიდან შებუსუსული. მტევანი საშუალო ზომის: 18X8 სმ, კონუსური ფორმის, საშუალო წონა – 130 გრ. მარცვალი მსხვილი, ხორციანი და სქელკანიანია, ზომები: 1.5X1.8 სმ, ყურძნის წვენის შაქრიანობა – 15.9-17 %, მჟავიანობა – 11.5-13 გრ/ლ. სოკოვანი დაავადებების მიმართ მგრძობიარეა. საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული და დღესაც გვხვდება ასპინძისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. შემორჩენილია ვაზის ასწლიანი ძირები.

ხარისშუბლა – იხ. თავყვითელა.

ხარჯამი, ხარჯანი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ზ.დ. 1160-1210 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 18 კმ მანძილზე, ვარხანის თემში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 182, რომელთა 98 % ქართველია (2002). შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები. მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში.



ხარისთვალა შავი
ფოტო: დავით მალრაძე

ხარჯამის ეკლესია – ეკლესია (შუა სს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხარჯამში, დაბა ადიგენიდან 17 კმ მანძილზე.



სარისუშულა
ფოტო: „ელკანა“

ხაშამი – იხ. ნითელტუჩა ჭერეხი.

ხევაშენი – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდ. აბასთუმნისწყლის (ქვაბლიანის მარცხენა შენაკადი) ხეობაში, ზ.დ. 1160-1220 მ სიმაღლეზე, ბენარის თემში. სოფელში დგას XIX საუკუნის მეჩეთი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 344, რომელთა 99 % ქართველია (2002).


ხევაშენის არხი – საზრდოობს მდ. აბასთუმნისწყლის მარჯვენა ნაპირიდან. სათავე ნაგებობა არის კურორტ აბასთუმანთან და ირწყვება ადიგენის მუნიციპალიტეტის 1.120 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული.

ხეილაშის ეკლესია, ასპინძის ეკლესია – ერთნავიანი ეკლესია ასპინძის მუნიციპალიტეტში, დაბა ასპინძის სამხრეთ ნაწილში, ასპინძა-ახალქალაქის გზაზე, ადგილ ხეილიშში. ნაგებია ნატეხი თლილი ქვით.

ხელოვნური ტერასები სამცხე-ჯავახეთში – რთულ ოროგრაფიულ პირობებში ხელოვნურად მოწყობილი ტერასები მთის ფერდობზე, რომელთაც სასოფლო-სამეურნეო მიზნით იყენებენ. ტერასებზე აშენებდნენ მრავალრიცხოვან ნარგავებს და მოჰყავდათ ერთნაირი კულტურებიც – ხეხილი, ვაზი, ბოსტნეული და მარცვლეული. ხშირად ასეთი ტერასები ხეობის, ან მთის ძირიდან 100-200 მ შეფარდებითი სიმაღლით საფეხურს იკავებდა. ზოგან ტერასების რაოდენობა 50-საც კი აღწარბებდა.

ტერასებს სამცხე-ჯავახეთში სხვადასხვა ტიპისას აგებდნენ. ეს სხვადასხვაობა განპირობებული იყო გარემო პირობებით. აგებდნენ კედლიან (დარიჯი, ოროკი) და აკეთებდნენ უკედლო (ლარი) ტერასებს. განსხვავებული იყო მათი სამეურნეო გამოყენებაც. – იხ. ლარი, დარიჯი.

ტერასებისეიყო აგებული, რომ გათვალისწინებული იყო ქარის მიმართულება და სოლარული ენერგია. სამეურნეო ფორმისა და აგროკულტურის შერჩევას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ფერდობის



ტერასების განაწილება ფერდობის ექსპოზიციის მიხედვით სამცხე-ჯავახეთში

ექსპოზიციის მიხედვით სოლარული ენერგიის მიღების განსხვავებებს. კერძოდ, აგროკულტურებს შერჩევით თესავდნენ სხვადასხვა ექსპოზიციის ფერდობებზე. სამხრეთი ექსპოზიციის ფერდობებზე სინათლისა და სიმშრალის მოყვარულ, ხოლო ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობებზე – სინოტივის მოყვარულ აგროკულტურებს თესავდნენ. როგორც წესი, სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობებზე უფრო უხვ მოსავალს იღებდნენ, თუმცა ქერის დათესვა უფრო მომგებიანი იყო ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობებზე. სამცხე-ჯავახეთში ტერასების დიდი ნაწილი სამხრეთის რუმბის ფერდობებზეა მოწყობილი.


თუმცა ლარებს აწყობდნენ ასევე ჩრდილო-დასავლეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზეც. ტერასების თანაბარი მორწყვის მიზნით, მოწყობილი იყო საირიგაციო და საწვინარი არხები და ლარები – წყლის სადინარები, რომელთა ძირი და გვერდები ქვით იყო ამოყვანილი. ამით მიწის ჩამორეცხვა არ ხდებოდა.

დღეს ძველი ხელოვნური ტერასების უდიდესი ნაწილი განადგურებულია და მხოლოდ აქა-იქა შემორჩენილი. მათზე მსჯელობა შეიძლება მხოლოდ ტერასების ფრაგმენტების, ტოპონიმების, გადმოცემების, ისტორიული წყაროებისა და ჯერ კიდევ შემორჩენილი გავლურებული ვაზის ნაშთების მიხედვით. თანამედროვეობამდე უფრო მეტად მოაღწია დარიჯებმა, თუმცა შეცვლილია მათი გამოყენების დარგობრივი სტრუქტურა, კერძოდ, მალლარი ვენახების ნაცვლად, სადაც წარსულში ასევე ხეხილიც უნდა ყოფილიყო შერეული, დღეს მხოლოდ ბაღნარებითაა წარმოდგენილი (ვაშლი, თუთა, კენკროვნები).

ხეოთი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, ურავლის თემში, ერუშეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, მდ. ხეოთისწყლის ხეობაში, ზ.დ. 1330-1420 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 22 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 312, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – ქართველი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში.

ხეოთის ეკლესია, სამრეკლო – დარბაზული ერთნავიანი ეკლესია (XV-XVI სს.) ახალციხის მუნიციპალიტეტში. შემკულია ჩუქურთმებით. ერთ-ერთ ჩუქურთმიან ქვაზე გამოსახულია გაქცული ირემი და ცხენოსანი მონადირე, რომელიც მას მშვილდს ესვრის. შემორჩენილია ნანგრევები.

ხერთვისი – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდინარეების – მტკვრისა და ფარავნის – შესართავთან, ზ.დ. 1120-1270 მ სიმაღლეზე, ტოლოშის თემში, ქ. ასპინძიდან 14 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 203. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (99 %) ქართველები (2002). სოფელში არის ბაზალტის საბადო, მის მიდამოებში – ხერთვისის ციხე. წარსულში განვითარებული იყო ტერასული სოფლის მეურნეობა. შემორჩენილია ხერთვისის ტერასები. ძველად ფართოდ იყო გავრცელებული ვაზი ხარისთვალა თეთრი. სოფლის სიახლოვეს ხერთვისის ციხის ნანგრევებია.



სოფ. ხერთვისის მიდამოები



კედლიანი ტერასები, ხერთვისი

ხერთვისი – მინერალური წყარო ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხერთვისთან. მიეკუთვნება ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-მაგნიუმიან-კალციუმ-ნატრიუმიან ჯგუფს. დაბალი მინერალიზაციისაა – 0.9 გ/ლ.

ხერთვისის ბაზალტის საბადო – ბაზალტის საბადო ასპინძის მუნიციპალიტეტში.

ხერთვისის ტერასები – ტერასები ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდინარეების – მტკვრისა და ფარავნის – შესართავთან. ალ. ფრონელი ხერთვისის ტერასებზე წერდა: „ადამიანი განცვიფრდება, ხერთვისის ბალებს რომ ნახავს. ბალები კლდე-კლდე მიდიან და გარეგანი სახით ძველ ბერძენთა



ტერასების განადილება ფარდობის ექსპოზიციის მიხედვით სამცხე-ჯავახეთში



ხერთვისის ციხე

ამფითეატრს წააგავან. ბალებს ასე აშენებენ: ჯერ მოჩეხავენ კლდეს, შემდეგ ქვემოდან გაუვლებენ კედელს ისეთი დიდრონ-დიდრონი ლოდებით, რომ ზოგის წონა 10,000 ფუთი იქნება. სწორედ გასაოცარია, რა ხელმა და მარჯვენამ მიაგორა ეს უშველებელი ლოდები კედლის ამოსაყვანად? ... როცა კედელს გაავლებენ და ადგილს მიასწორ-მოასწორებენ, ზურგით აზიდავენ მიწას, მოფენენ, შემდეგ დაყრიან პატივს და მხოლოდ ამის შემდეგ დარგავენ ხეს, ან დათესენ თესლს. დიდი ჯაფა და შრომაა საჭირო ამისთანა ბაღის გაშენებისათვის“.

ხერთვისის ციხე – შუა საუკუნეების ციხესიმაგრე ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხერთვისში, მდ. ფარავნისა და მტკვრის შესართავთან, მაღალ კლდოვან მთაზე. გადაჭიმულია 100 მ სიგრძეზე. იგი კეტავდა ორ ხეობას – მტკვრისა და ფარავნის. ამიტომ ოდითგანვე ცდილობდნენ მის გამაგრებას. ლეონტი მროველის მიხედვით, ადრეანტიკურ ხანას მიეკუთვნება და მას საქართველოს პირველ ქალაქთა შორის იხსენიებს. საუკუნეების მანძილზე ციხემ არაერთხელ იცვალა სახე. X საუკუნეში საკმაოდ მტკიცე ციხე ყოფილა. ქვის ერთ დაზიანებულ წარწერაში იკითხება „მეფეთ-მეფე“ და თარიღი 985 წელია. XVI საუკუნეში აქ ოსმალები გაბატონებულან, ხოლო 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ დადებული ადრიანოპოლის (ამჟამად ედირნე, თურქეთი) ზავით, რუსეთის ხელში გადავიდა სამხრეთ საქართველოს სხვა ტერიტორიებთან ერთად, ხერთვისის ციხეც. საქართველოში შემორჩენილ ციხეებს შორის ერთ-ერთი ყველაზე კარგად შემონახულია. შემორჩენილია ციხიდან მდინარისპირას ჩამავალი გვირაბი, 20 მ სიმაღლის კოშკი ციხესიმაგრის ცენტრში. ლეგენდის თანახმად, ხერთვისის ციხე ალექსანდრე მაკედონელს მოუნახულებია. სახელწოდება უკავშირდება მის მდებარეობას – ფარავნის მტკვართან შეერთების ადგილს. ე.ი. იგი „ხერთვის“ ზმნისაგან წარმოიქმნა. როგორც ცნობილია, ძველად (VIII საუკუნემდე) ზმნას პირის ნიშნად „ხ“ ერთვოდა (ხანმეტი). დროთა განმავლობაში ხანმეტობა გაქრა ქართულ ლექსიკაში, თუმცა ტოპონიმმა დღემდე შემოგვინახა ამ ზმნის ძველი გრამატიკული ფორმა.

ხერთვისის წყაროები – მინერალური წყარო მდ. მტკვრის ხეობაში, ს. ხერთვისთან. დღეღამური დებიტია 10-12 ათასი ლ, ტერმპერატურა – 13°C.

ხერთვისის ჰიდროლოგიური სადგური – ჰიდროლოგიური სადგური მდ. მტკვარზე, ზ.დ. 1122 მ სიმაღლეზე. აუზის ფართობი – 4,980 კმ². დაკვირვების წლები – 1936-2015.

ხვანა, ხვონა, ხონა – ნასოფლარი ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. ღრმანისწყლის (ფოცხოვისწყლის მარცხენა აუზი) მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1455-1515 მ სიმაღლეზე, თურქეთთან სასაზღვროს ხაზთან ახლოს. მიდამოები ტყითაა შემოსილი. სოფლის ძველი სახელია „ხვანა“. ამავე სახელითაა იგი აღრიცხული საქართველოს მოსახლეობის აღწერაში.

ხვილდიშის ეკლესია, ხვილიშას ეკლესია – ერთნავიანი ეკლესია (VIII–IX სს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ასპინძაში. ნაგები ბაზალტის ქვებით. დაზიანებულია, აღადგინეს 1970-იან წლებში.

ხვილიში – ნასოფლარი და დარბაზული ეკლესია (VIII–IX სს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხერთვისთან. რესტავრირებულია.

ხიდიჯვარი – ნასოფლარი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოზე, სოფლებს – მერენიასა და ბულაშენს – შორის. შემორჩენილია ერთნავიანი დარბაზული ეკლესიის ნანგრევები.

ხიზა – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიზაბავრის ტერიტორიაზე. შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები. სულხან-საბას განმარტებით „ხიზა“ არის „*ცმელი დანაყილი, ჭერისათვის*“. ცმელი კი არის „*იგივე ქონი გარდემდნარი*“.

ხიზაბავრა – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოს დასავლეთ ნაწილში, მდ. ჭობარეთისწყლის (ფარავნის მარჯვენა შენაკადი) ორივე ნაპირას, ზ.დ. 1480-1570 მ სიმაღლეზე, ქ. ასპინძიდან 19 კმ მანძილზე, თემის ცენტრი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 850. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (99 %) ქართველია (2002). სოფელში არის ბაზალტისა და ანდეზიტის

ხალხური

(ნაწყვეტი)

„*ხიზაბავრა ქაზიანი, დაზნები აქვს კაზიანი, წინ მინდობი და უკან ტყე, ღვინო იცის გვარაზიანი*“.

საბადოები. მიდამოები უტყეოა. ძველად აქ ქართული სტამბაც ფუნქციონირებდა. სოფელში მრავალი ღირსშესანიშნაობაა: 6 ეკლესია, რომელთაგან 4 რესტავრირებული და მოქმედა. შემორჩენილია ხიზაბავრის დარბაზული ეკლესია, ღართის ეკლესია დარბაზული ტიპის ერთნავიანი საცხოვრებელი სახლები და სხვ. სოფელს ჰქონია თავისი ციხეც, რომელიც XX საუკუნემდე არსებობდა. კათოლიკობის გავრცელების შემდეგ, სოფელში აიგო კათოლიკური სალოცავები. ზ. ჭიჭინაძის აზრით, ეს XVI საუკუნის მიწურულს უნდა მომხდარიყო, როცა აქ ამ რელიგიის სალოცავი „ჯვართ ამაღლება“ აიგო. მოგვიანებით ააგეს აგრეთვე „მღვთის მშობლის“ ეკლესია (1828 წ.) და „იესოს გულის“ ეკლესია (1900), სადაც

ხალხური

(ჩანერილი ს. ხიზაბავრაში)

„*ასეთი ღვინო დაგიდგეს, კაცო ებძძოლოს ლომსათ, ყველა ქართველი გაქებდეს თან სვამდეს ყურძნის წვენსათ*“

სამრევლოს ქვაზე ქართულად და ლათინურად წარწერაა: „*აღაშენა ეს რომის კათოლიკეთა ტაძარი „იესოს გულისა“, მოღვაწეობითა მღვდლის მიხეილ ვარძელაშვილისა და შემწეობითა ხიზაბავრელ, რუსეთელ და კავკასიელ კათოლიკეთა. წელსა უფლისას 1898-სა*“.

წარსულში სოფელში განვითარებული იყო ტერასული სოფლის მეურნეობა. ხეხილთან ერთად აქ ვაზიც მოჰყავდათ. ამაზე ხალხური ლექსიც მეტყველებს. სოფლის მიდამოებში ხელოვნური ტერასებია. გადმოცემის მიხედვით, სოფლების –

ხიზისა და ბავრისაგან გადასახლებულებმა დააარსეს და სახელიც აქედან მიუღია. ხიზაბავრაში 884 წელს აშოტ კურაპალატს დაუმარცხებია არაბი სარდალი ხალილა. ეს ცნობა შემონახულია სომეხი ისტორიკოსის ასოლიკის მიერ, რომელიც ხიზაბავრას ხოზაბირშის სახელით იხსენიებს. 1770 წელს, ხიზაბავრის ეკლესიაში, გადაიხადა მეფე ერეკლე II-მ ასპინძის ბრძოლაში გამარჯვების პარაკლისი, ხოლო ადგილობრივებმა, თურმე, გამარჯვებულ მეფეს დიდი ნადიმი გაუმართეს.

ხიზაბავრის ბაზალტის საბადო – ბაზალტის საბადო ასპინძის მუნიციპალიტეტში.

ხიზაბავრის ეკლესია – დარბაზული ეკლესია (XI ს.) ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიზაბავრაში. ხიზაბავრაში დგას მეორე ეკლესიაც – ხიზაბავრის კათოლიკური ტაძარი, რომელიც მოქმედია.

ხიზაბავრის თემის საკრებულო – საკრებულო ასპინძის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ხიზაბავრა, ნიჯგორი და სარო. მოსახლეობის რიცხოვნობა 1462 კაცი (2002).

ხიზაბავრის მეტეოსადგური – მეტეოსადგური ასპინძის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოს დასავლეთ ნაწილში, მდ. ჭობარეთის წყლის ნაპირზე ზ.დ. 1590 მ-ზე, ასპინძიდან დაშორებულია 19 კმ-ით. მეტეოროლოგიურ სადგურზე დაკვირვებები წარმოებდა 1948 წლიდან 1989 წლამდე.

ხიზაბავრის „საცივი“, ხიზანის სამყინვარო – ბუნებრივი საყინულე ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიზაბავრის სამხრეთით, ქვავენარში, ზ.დ. 1450 მ სიმაღლეზე. ყინული და თოვლი აქ გვიან ზაფხულამდე არ დნება. მას სამკურნალო და სამეურნეო თვალსაზრისით იყენებდნენ ძველად.

ხიზაბავრის სტამბა – ქართული სტამბა ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიზაბავრაში. დაარსდა 1836 წელს ხიზაბავრელი მკვიდრის, კათოლიკე მღვდლის იოსებ ხუციშვილის მიერ, რის გამოც იგი „მესხ ჰუტენბერგად“ მონათლეს. 1838 წელს სტამბა ქ. ახალციხეში გადაუტანიათ, სადაც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ფუნქციონირებდა. იმ პერიოდში იგი სამცხე-ჯავახეთის ერთადერთი ქართული სტამბა იყო.

ხიზაბავრის ტერასები – კედლიანი ტერასები ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიზაბავრასთან,

მდ. ჭობარეთისწყლის ნაპირზე, ასპინძიდან 19 კმ-ზე. სოფელი მაღლა მდებარეობს, ხოლო ტერასული ბალები და ვენახები გაშენებული იყო ქვემოთ, ფერდობის დაბალ ადგილას, სოფლის შემოგარენში, მეტწილად მის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილში. ლარული სახნავების ადგილობრივი სახელწოდებები: სახიზრები, ბაშაურები, ბეგოლარები, ბეგოთ-ლარები, დგნალები, დედოფალა-ლელე, დედოფლეთი, ვარანტები, ვერხვნალი, იდაყვა, კეხიები, კლდენითლები, კოჩვანახეები, ლარეები, ოდის-წყარო, ოსპანური, საბურთილები, სამადლოები, სანაქრები, ჭალისხევი, ხმელ-ხევი



ხიზაბავრის ტერასების აღდგენა, 1978
ფოტო: საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება



ტირასაუგის ალგენითი საფუძაოები
ფოტო: გიორგი ნათენაძე



ხიზაბარის ალგენილი ტირასაუგი
ფოტო: გიორგი ნათენაძე

და სხვ. ს. მაკალათიას მონუმობით „ძველად მტკვრის ხეობაში, ხერთვისის ზემო არტაანამდის ვენახებიც ყოფილა. ვაზი მესხეთში დღესაც ხარობს, განსაკუთრებით ხიზაბავრაში, სადაც წინათ ბევრი ვენახები ჰქონიათ და ღვინოსაც კარგს აყენებდნენ“.

ხიზამბარელობა – ქართველი ფალავნები ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრიდან. სოფელი განთქმული ყოფილა ფალავნებით, რომლებიც „ხიზამბარელობის“ სახელით ყოფილან ცნობილნი. ეს ფალავნებია: გიორგი, დათა, ზაქარია ხიზამბარელები და სხვანი. მოგვიანებით ეს სიტყვა ძლიერების აღმნიშვნელ ტერმინადაც კი იქცა მთელ საქართველოში. აი, რას წერდა 1888 წელს გაზეთი „ივერია“ დათა ხიზამბარელის შესახებ: „საქართველოში ბევრი გამოჩენილი ფალავანი ყოფილა, მაგრამ ხიზამბარელივით კი სახელი არავის გაუთქვამს. თითქმის სახალხო გმირად გადაიქცა. ხელობით მეტივე იყო. ჯმუხი, ცოტათი მოხრილი და დათვურად ნაკვეთი. ტანზე, სადაც არ უნდა მოგველო ხელი, იტყოდი თუ ხე არისო, ანუ ქვა და არა ხორცი. ზეზე კისრული იცოდა და რალა-კი წამოიღებდა, იტყოდა ხოლმე „ახლა თუ გინდათ ხარ-კამეჩიც მოუბით, ველარ შეიმაგრებთ, გადავიტანო“.

ხიზანის სამეცნიერო – იხ. ხიზაბავრის „საცივი“.

ხოზაფინი – მინერალური წყარო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. მიეკუთვნება აზოტოვან ქლორიდულ-სულფატურ-ნატრიუმიან ჯგუფს, საერთო მინერალიზაცია დაბალია – 1.1 გ/ლ.

ხოზაფინის ტბა – იხ. კარნახის ტბა.

ხომეჭი – იხ. ტუხტი.

ხომის ეკლესია, ქუმის ეკლესია – ერთნავიანი ეკლესია ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. სვირის ჩრდილო-დასავლეთით 5 კმ მანძილზე, კლდოვან გორაზე, ტყეში. ნაგებია თლილი ქვითა და კირით. შემორჩენილია ნანგრევები.

ხორენია, ხორანია, დიდი ხორენია – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ხოსპიოს თემში, ახალქალაქის პლატოს ცენტრალურ ნაწილში, მდ. ფარავნის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1750-1800 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 10 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 666, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. შემორჩენილია 2 ეკლესია, გადაკეთებული სომხურად. პატარა ხორენიის სახელით ცნობილია სოფელი მდ. ფარავნის მარცხენა მხარეს. ეს სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის.

ხორენიის ეკლესია – დარბაზული ეკლესია ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. მოპირკეთებულია მონითალო ფერის, მოგვიანებით ნაცრისფერი ბაზალტით. შემორჩენილია ბარიელიფური გამოსახულებები, ჩუქურთმები და ბოლნური ჯვარი. ეკლესიის წარწერებში იკითხებოდა: „ოდეს

თათართა ყოველი ქუეყანაჲ ნაგუართო, მისგან დაუმთავრებელნი კარის ბჭენი და მე, ჩოგა გავათავენ. ვინცა ამას ნახვიდენ მოგიგონებდეთ...“.

ხოსპიო, ხოსპია – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოს ცენტრალურ ნაწილში, მდ. ფარავნის ორივე მხარეს, თემის ცენტრი (სოფლები: ხოსპიო, ბავრა, მარტუნი, ხორენია), ზ.დ. 1720 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან სამხრეთით 5 კმ მანძილზე. სომეხმა მოსახლეობამ სოფელს სახელი გამოუცვალა და ახლა მას მარტუნი ჰქვია. მოსახლეობის რიცხოვნობა – 471. მათი უმრავლესობა (48 %) სომეხია, ხოლო ქართველები – 43 % (2002). საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში.

ხოსპიოს ეკლესია – ეკლესია (X ს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხოსპიოში. შემორჩენილია რელიეფური ჯვრები. ინტერიერის კედლების შელესვის შედეგად ძველი ნარნერების მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი. საბჭოთა ხელისუფლების დროს აქ კოლმეურნეობის საწყობი იყო.

ხოსპიოს თემის საკრებულო – საკრებულო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფლებია: ხოსპიო, ბავრა, მარტუნი და ხორენია. მოსახლეობის რიცხოვნობა – 2670 (2002).

ხოჯაბეგი – იხ. ნინონმინდა.

ხოჯაბეგი, ქართლა – სოფელი ნინონმინდის მუნიციპალიტეტში, ზ.დ. 1910-1940 მ სიმაღლეზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. „ხოჯაბეგი“ თურქულენოვანი ტოპონიმია და თურქეთიდან გადმოსახლებულმა სომეხმა მოსახლეობამ დაამკვიდრა. სოფლის ქართული სახელია „ქართლა“.

ხრამული, ფიჩხული, ლურჯა, კაპუეტი, ცოცხალი (*Varicorhinus capoeta Guldestadt*) – თევზი კობრისებრთა ოჯახიდან. გვხვდება მდ. მტკვრისა და მისი შენაკადის ფოცხოვის წყლებში. მის მოპოვებას წარსულში დიდი ადგილი ეკავა. XX საუკუნის შუა წლებიდან მისი მარაგი მნიშვნელოვნად შემცირდა.

ხრტილა – სოფელი, იხ. იხტილა.

ხუთთია (*Dasiphora fruticosa*) – ფოთოლმცვივანი ბუჩქი ვარდისებრთა ოჯახიდან, რომელიც საქართველოში მხოლოდ კარნახის ტბის მიდამოებსა და მის შემოგარენში გვხვდება.

ხულგუმი – სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, კარტიკამის თემში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. ფარავნის მარჯვენა ნაპირას, ზ.დ. 1670-1700 მ სიმაღლეზე, ქ. ახალქალაქიდან 2 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1254. მათი უმეტესობა (99 %) სომეხია (2002). შემორჩენილია 2 ეკლესია, ერთი ძლიერ დანგრეული. მათ ჭიკნავორ-ეკლესიებს ეძახიან.

ხულგუმოს ეკლესია – წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია (X ს.) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

ხუჭუჭა მაჩიტა (*Campanula crispa*) – მრავალწლოვანი ბალახი, პეტროფიტი, მესამეული ფლორის იშვიათი რელიქტი. გვხვდება მდ. მტკვრის აუზში (რახისწყლის ხეობა) და ჯავახეთის ზეგანზე (ახალქალაქი-ნინონმინდის საავტომობილო გზის გასწვრივ). საქართველოს წითელ წიგნში შესულია როგორც იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობა.

ჟ



ჯადვარი

ჯაბიეთის ეკლესია – ეკლესია ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. ჯაბიეთისწყლის (ოთის მარჯვენა შენაკადი) მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1775 მ სიმაღლეზე. შემორჩენილია ნანგრევები.

ჯადვარი (Orchis) – ბოლქვიანი მცენარე, სამკურნალო, დეკორატიული. შესულია CITES, IUCN (VU)-ის ნუსხაში. მცენარის სიმაღლეა 0.3 მ-დე. ყვავილობს ივნის-ივლისში. ვერ ხარობს ჩრდილში. მოითხოვს ტენიან ნიადაგს. დგას საფრთხის წინაშე გაძოვების, შეგროვებისა და ჰაბიტატების დეგრადაციის გამო.

ჯავახები, ჯავახნი – ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი, რომლებიც უმთავრესად ცხოვრობენ სამცხე-ჯავახეთში, ახალქალაქის, ნინოწმინდისა და ნაწილობრივ ასპინძის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. ჟამთ აღმწერელს მოხსენიებული ჰყავს თორელებთან ერთად, სხვა ქართველებს შორის: „და წარიტანეს თანა მეფე გიორგი საბერძნეთს, და ვერ წინააღუდგეს

ფარმანიანი ლაშქართა მათ ერთ წელ, და ყოველნი მას შინა მყოფნი ქართველნი მოსცა მეფესა გიორგის. იახლნეს ჯავახნი და თორელნი, რაოდენნი ყვეს, და სადაცა ილაშქრიან და შეიბნიან ციხეთა ზედა, მუნ მწნედ მბრძოლად გამოჩნდის მეფე გიორგი, და მის თანა ყოველნი ქართველნი“. XIX საუკუნეში ჯავახთა ნაწილი გაიფანტა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. პავლე ინგოროყვას აზრით, ჯავახი ტომის სახელია ტაოხი.

ჯავახეთი – მოიცავს ახლანდელი ასპინძის (ნაწილობრივ), ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ტერიტორიას. ჯავახეთი XVI საუკუნეში ოსმალეთმა მიიტაცა, რომლის შედეგად ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილი ქვეყნის შიდა რაიონებში – ქართლსა და იმერეთში გადასახლდა. ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს ჯავახეთს: „ხოლო ჯავახეთი არს ვითარცა თრიალეთი, უვენახო, უხილო, უტყეო, ვიეთთა ადგილთა სწვენ წივასა, და მოსავლითაც ეგრეთივე, არამედ ესე უმეტეს ნაყოფიერი და მოუცდენელი. ჰავითაც მზგავსი, გარნა უმჯობესიცა. ზამთარი დიდთოვლიანი და ყინვიანი. ცხოვარნი, მროწლენი და ჯოგნი მრავალნი. თევზნი მრავალნი. ფრინველნი, რომელნიცა მათთა გვარობენ, მრავალნი. თაფლნი მრავალნი“. ჯავახეთი ორად იყოფოდა: ზემო და ქვემო ჯავახეთად. ზემო ჯავახეთი მოიცავდა ტერიტორიას ფარავნის ტბიდან მდ. მტკვრის კანიონამდე, ხოლო მეორე – თვით მტკვრის კანიონს. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ჯავახეთის სახელწოდება წარმომდგარი ყოფილა ლეგენდარული მცხეთოსის უმცროსი შვილის – ჯავახოსის სახელის მიხედვით: „ხოლო ფანავრის დასავლეთი და მტკურის აღმოსავლეთი, ვიდრე თავადმდე მტკურისა, მისცა მცხეთოს ძესა თქსსა ჯავახოსს, და ამის მიერ ეწოდა ამ ადგილებთა ჯავახეთი“. სამეცნიერო ლიტერატურაში კი გამოთქმულია მოსაზრება, რომ სახელწოდება მომდინარეობს სატომო სახელისაგან „ჯავახ“ და „ეთ“ სუფიქსის თანდართვით, რაც ჯავახთა ტომის სიმრავლეზე მიგვანიშნებს. არსებობს მოსაზრება, რომ იგი შეიძლება ტაოხ//დაოხ- ფორმისაგანაა ნაწარმოები.

ჯავახეთის ეროვნული პარკი – ეროვნული პარკი ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში. დაარსდა 2011 წელს. ფართობია 14.200 ჰა. მის ფარგლებშია ბულდაშენის ტბის, კარნახის ქაობის, მადათაფის ტბის, სულდის ქაობისა და ხანჩალის ტბის ალკვეთილები.

ჯავახეთის ზეგანი – ვულკანური ზეგანი ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში, ზ.დ. 1500-2200 მ სიმაღლეზე. ზეგნის ცენტრალური ნაწილი წარმოადგენს ახალქალაქის პლატოს, რომელიც ბრტყელი ზედაპირით ხასიათდება. რელიეფი გართულებულია ტაფობ-ქვაბულებით, მდინარეთა კანიონისებრი ხეობებითა და სერებით. ჰაერის ტემპერატურის მაღალი დღელამური ამპლიტუდის გამო, დღისით მინის ზედაპირი გადახურებას განიცდის, ხოლო ღამით, პირიქით – გაცივებას. ეს ხელს უწყობს გამოფიტვის პროცესების ინტენსიურ განვითარებას, რაც ეხმარება კარკალების დიდი რაოდენობით დაგროვებას.

ჰავა გარდამავალია ზომიერად ნოტიოდან მთიანეთის მშრალი კლიმატისაკენ. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობაა 600-750 მმ. ზამთარი ცივი და მცირეთოვლიანია. წლის ცივი პერიოდი აქ უფრო დაბალი ტემპერატურებით ხასიათდება, ვიდრე ამავე სიმაღლეებზე მდებარე ქვეყნის სხვა რეგიონები. ამიტომ უწოდებენ ჯავახეთის ზეგანს „საქართველოს ციმბირს“. გერმანელმა გეოგრაფმა კარლ რიტერმა კი მას „ჰაერითა და წყლით მდიდარი, გრილი კუნძული“ უწოდა.

ძირითადი მდინარეული არტერიაა მტკვარი და მისი შენაკადები: ფარავანი, კოდალო, ოთა და სხვ. მნიშვნელოვანი ტბებია: კარნახი, მადათაფა, სალამო, ტაბანყური, ფარავანი, ხანჩალი და სხვ. მათი უმეტესობა მტკნარია, მხოლოდ კარნახის ტბის წყალია მომლაშო. ცნობილია, რომ ჯავახეთის ზეგნის ტბები ამ ტერიტორიაზე ოდესღაც (მეოთხეულის დასაწყისში) არსებული ვრცელი წყალსატევების ნაშთებია. ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, ბარალეთის ტბა – მდ. ფარავნის აუზში) ამჟამად მთლიანად გამქრალია. გვხვდება ლავური ვოკლუზები, რომლებიც დიდი დებიტით, დაბალი ტემპერატურითა და მტკნარი წყლით ხასიათდებიან.

ჯავახეთის ზეგნის მდინარეული ქსელის ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება ხეობების შებრუნებული პროფილის არსებობაა. არსად სხვაგან საქართველოში ასეთ ვრცელ ფართობზე მსგავს



ჯავახეთის ზეგანი



ჯავახეთის ზეგანი, სტუდენტური პრაქტიკა (TSU), 1952-53
ფოტო: საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება

მოვლენას ადგილი არა აქვს. აქ მდინარეთა ზემო წელის აუზი ბრტყელი ზედაპირით ხასიათდება და წყლის დინება მდოვრეა, ხოლო ქვემო წელის აუზი (ზეგნიდან ვაკე რელიეფზე გადასვლის გამო) საკმაოდ ციცაბო ფერდობებით გამოირჩევა და მდინარეები სწრაფი და ქორომიანი ნაკადებით ხასიათდება.





ჯავახეთის ზეგნის თანამედროვე მცენარეულობა ძლიერ არის შეცვლილი სამეურნეო ზემოქმედების შედეგად. იგი მეორეული წარმოშობისაა, ვინაიდან აქ ოდესღაც ტყეები (ფიჭვნარები, არყნარები) იყო გავრცელებული. როგორც

მეცნიერები ვარაუდობენ, ტყეების განადგურება აქ ჰოლოცენის დასაწყისში, ისტორიამდელ ხანაში უნდა დაწყებულიყო (მაშინ, როცა განვითარებას იწყებდა მინათმოქმედება). ფიჭვნარები დღეს შემორჩენილია ზეგნის მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. უდიდეს სივრცეებზე გადაჭიმული სტეპური მცენარეულობა (შავ-მინა ნიადაგებზე) და ბრტყელი, პლატოსებრი ზედაპირები, ზეგანზე მდგომი დამკვირვებლისათვის სრულებით არ ქმნის მთებში ყოფნის შთაბეჭდილებას. როგორც ლევან მარუაშვილი წერდა: „მხოლოდ ჰორიზონტზე ამართული ვულკანური კონუსები გვაგვრძნობინებენ ამიერკავკასიის ზეგანზე ყოფნას“.

ჯავახეთის ზეგნის წყალსატევებთან გვხვდება ისეთი ფრინველები, რომლებიც არსად სხვაგან არ არიან. ესენია: ვარდისფერი ვარხვი, თეთრი ყარყატი, თეთრფრთიანი გარიელი, რუხი ყანჩა, რუხი წერო, ხუჭუჭა (ქოჩორა) ვარხვი და სხვ. უხვადაა კაკაჩა – ჭაობის მტაცებელი ფრინველი. იგი ასევე გამორჩეულია თოლიების უზარმაზარი კოლონიებით.


ჯავახეთის ზეგნის მთის შავმინების რაიონი – ნიადაგების რაიონი, რომელიც მდებარეობს ჯავახეთის ზეგნის ცენტრალურ ნაწილში. ნიადაგებიდან უმთავრესად საშუალო და დიდი სისქის მთის შავმინებია წარმოდგენილი. მაღალია ჰუმუსის შემცველობა.

ბორცვებსა და კლდოვან ბექობებზე შედარებით მცირე სიმძლვარის, ხირხატიანი და მცირედ ჰუმუსირებული ნიადაგებია. შავმინებს შორის, ჩადაბლებულ უბნებზე, მცირე ფრაგმენტების სახით ვრცელდება თიხიან და მძიმე თიხოვან სუბსტრატზე, ზოგან დაჭაობებულ უბნებსაც ქმნის.

ჯავახეთის ზეგნის ფიზიკურ-გეოგრაფიული ქვერაიონი – სამსარ-კეჩუთის ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი. უმთავრესად აგებულია ბაზალტური და ანდეზიტ-ბაზალტური ლავური ფენებით

ჯავახეთის მტკვარი – იხ. ფარავანი.

ჯავახეთის ფამფარულა (*Scorzonera dzhavakhetica*) – მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, სამხრეთ საქართველოში იშვიათი, ვიწრო ლოკალური ენდემი, მესამეული ფლორის რელიქტი. საქართველოში გვხვდება მხოლოდ თეთრობის ქედზე. წარმოდგენილია მხოლოდ ორი



ჯავახეთის ზეგნის მცენარეთა ვერტიკალური სარტყლურობა



ჯავახეთის ფამფარულა
ფოტო: „ელკანა“

მცირერიცხოვანი პოპულაციით. საქართველოს წითელ წიგნში შესულია როგორც იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობა. კაუჩუკის შემცველი მცენარეა. მისი ფესვებიდან ამზადებენ ყავის მსგავს სასმელს.

ჯავახეთის სადგური – სადგური 1938-1945 წლებში, სადაც ბოტანიკურ დაკვირვებებს ატარებდნენ.

ჯავახეთის ქედი, კეჩუთის ქედი, სველი მთები, ქაჩალგორის მთები – ქედი ნინოწმინდის, დმანისისა და ნალკის მუნიციპალიტეტებში. მისი ჩრდილოეთი ნაწილი მოქცეულია საქართველოში, სამხრეთი კი – სომხეთში. მდინარეების ფარავნისა და ხრამის აუზების წყალგამყოფია. უმაღლესი მწვერვალია ახჩალა (3198 მ), რომელიც სომხეთში მდებარეობს. საქართველოს ფარგლებში კი უმაღლესია ლეილდალი (ლეგლი – 3156 მ).



ჯავახეთის ხმალა
ფოტო: შამილ შეთეკაური

ჯავახეთის ხმალა (*Gladiolus dzhavakheticus*) – მრავალწლოვანი ტუბერბოლქვიანი სამხრეთ საქართველოს იშვიათი ვიწროლოკალური ენდემი, დეკორატიული მცენარეა. გვხვდება მხოლოდ ჯავახეთში – სოფ. ტაბანყურის ტბის მიდამოებში. საქართველოს წიგნში შეტანილია როგორც იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობა.

ჯალილი – სამაროვანი, იხ. მოლითი.

ჯაყისმანის მონასტერი – აღდგომის სახელობის ერთნავიანი ეკლესია ახალციხის მუნიციპალიტეტში, ნასოფლარ ჯაყისმანში. შემკული ყოფილა ჩუქურთმებით. შემორჩენილია ნანგრევები.

ჯაყისმანი – ნასოფლარი ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქ. ვალედან სამხრეთის მიმართულებით, სოფ. წყალთბილადან 9 კმ მანძილზე, საქართველო-თურქეთის სასაზღვრო ზონაში. ნასოფლართან მისვლა, ფაქტობრივად, საფეხმავლოა, გზა დაზიანებულია. რამდენიმე წელია რაც მოქმედა.

ჯაყისწყალი – მდინარე ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. ფოცხოვისწყლის მარჯვენა შენაკადი.

ჯაჯის ტბები – იხ. დიდი ჯაჯი ტბა, პატარა ჯაჯის ტბა.

ჯიგრაშენი, დიგაშენი, ტიკაშენი – სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. ფარავნის ნაპირას, ზ.დ. 1820-1840 მ სიმაღლეზე, თემის ცენტრი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1292, რიცხობრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002).

ჯიგრაშენის ეკლესია – ეკლესია (X ს.) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავნის მარჯვენა მხარეს, სოფ. ჯიგრაშენთან. ეკლესია ნაგებია კარგად გათლილი მოზრდილი ქვებით.

ჯიგრაშენის ნასახლარი – ნასახლარი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავნის მარჯვენა მხარეს, სოფ. ჯიგრაშენთან. აქ გადიოდა ძველი გზა – ყაურმა-ახალქალაქის დამაკავშირებელი.

ჯიგრაშენის სოფლის საკრებულო – საკრებულო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. საკრებულოში შემავალი სოფელია ჯიგრაშენი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1292 (2002).

ჯიგრაშენის ტერასები – ტერასები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჯიგრაშენთან, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს. სოფელში „... ჩვენი წინაპრების მიერ ქარაფოვანი კანიონის ჩაყოლე-

ბაზე, ალაგ-ალაგ კიბისებური პატარა ბაქნებია გაკეთებული. ასეა შექმნილი ასიოდე ხელოვნური სამინათმოქმედო სავარგული, ბაქანი-ტერასა, რომელთა ფართობია 2-5 კვ.მ. ყოველი ოროკი, გარდა იმისა, რომ კლდეშია ღრმად შეჭრილი, ირგვლივ ქვებითაცაა შემოკავებული. ... ოროკების თავის მთელ გაყოლებაზე პატარა წყალსატევები ამოუკვეთიათ კლდეში. ორმოსებური მოყვანილობის ამ პატარა წყალსატევების დიამეტრი საშუალოდ ერთ მეტრს აღწევს, ხოლო მათი სიღრმე 30-40 სმ. შორის მერყეობს. ყოველ წყალსატევს ფსკერთან დატოვებული აქვს ვიწრო ნახვრეტი, რომელიც თავის დროზე წყალსანრეცის მოვალეობას ასრულებდა. წყალსანრეცის ნახვრეტი მუდამ დაგმანულ მდგომარეობაში იყო. დროთა განმავლობაში წვიმის წყლითა და სოფელში არსებული წყაროს საშუალებით ნელ-ნელა ივსებოდა წყალსატევი ორმოები. საჭიროების შემთხვევაში, როცა ოროკის მორწყვა აუცილებელი იყო, აღებდნენ წყალსანრეც ნახვრეტს და მის ქვემოთ გაყვანილი პატარა არხით მიედინებოდა წყალი საჭირო მიმართულებით“.

ჯორისძუა – იხ. ეფედრა.

ჯულა – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, წყალთბილის თემში, მოსახლეობის რიცხოვნობა – 297, რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). მდ. ფოცხოვის ხეობაში, ზ.დ. 1180-1380 მ სიმაღლეზე, ქ. ახალციხიდან 17 კმ მანძილზე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 671 დადგენილების მიხედვით შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში.



ჯავახეთის ზეგანი, ძ. ახალქალაქი კველად, ერეკლესის ფოტო
ფოტო: თსუ გეოგრაფიის მუზეუმი

ჰაერის ტრანსასაზღვრო დაბინძურების მონიტორინგის სადგური (EMEP) – მონიტორინგის სადგური განთავსებული ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში, 2008 წლიდან რეგულარულად, უწყვეტ რეჟიმში ხდება ჰაერის ხარისხის მონიტორინგი.

პალოფილური მცენარეულობა, მლაშობის მცენარეულობა – მცენარეები, რომლებიც გვხვდება ადვილადხსნად მარილიან-თაბაშირიან ქანების გამოფიტვის ქერქზე და მლაშე თიხნარ ნიადაგებზე. დამახასიათებელია ნახევრად უდაბნოსათვის ტიპური ისეთი მცენარეები, როგორცაა რიმერია და კამფოროსმა. სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია ჯავახეთის ზეგანსა და ახალციხის ქვაბულში.

ჰაჯი აჰმედ-ფაშა ჯაყელის მეჩეთი – ე.წ. მეჩეთი (XVIII ს.) ქ. ახალციხეში, რომელიც აიგო ახალციხის (ჩილდირის) ვილაიეთის ფაშის – ჰაჯი აჰმედ-ფაშა ჯაყელის ინიციატივით. არქიტექტურული სტილით ნააგავს ბიზანტიური მართლმადიდებლური ეკლესიის ნაგებობას – აია სოფიის ტაძარს (ამჟამად მეჩეთი, ქ. სტამბოლი, თურქეთის რესპუბლიკა). აქვეა დაარსებული ახალციხის ცნობილი ბიბლიოთეკა და მედრესე – მუსულმანური სასულიერო სასწავლებელი. ბიბლიოთეკაში ოდესღაც მრავალი დოკუმენტი და 600-მდე ხელნაწერი წიგნი ყოფილა დაცული, თუმცა დროთა ჟამთასვლამ მრავალი მათგანი უკვალოდ გააქრო, ნაწილმა კი სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებში დაივანა. ჰაჯი აჰმედ-ფაშა ჯაყელის სახელს უკავშირდება კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი საქართველოს ისტორიიდან – ხრესილის ბრძოლა (1757 წ.). როდესაც იმერეთის მეფემ სოლომომ I-მა აკრძალა ტყვეთა სყიდვა და ხარკის გადახდა შეუწყვიტა ოსმალებს, გამძვინვარებულმა სულთანმა 40-ათასიანი ლაშქარი გაგზავნა იმერეთს. ბრძოლა სოფ. ხრესილთან (ამჟამად ტყიბულის მუნიციპა-



ჰაჯი აჰმედ-ფაშა ჯაყელის მეჩეთი

ლიტეტი) გაიმართა და იგი იმერთ მეფის ძლევა მოსილი გამარჯვებით დასრულდა. ამ მარცხის გამო, სულთანმა სასტიკად დასაჯა ჰაჯი აჰმედ-ფაშა ჯაყელი – იგი ჯერ თანამდებობიდან გადააყენა, ციხეში ჩასვა და მოგვიანებით, 1758 წელს თავიც მოჰკვეთა. სამეცნიერო წყაროებიდან ცნობილია, რომ ჰაჯი აჰმედ-ფაშა ჯაყელი, როგორც მაჰმადიანი გამგებელი, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მუსულმანობის გავრცელებასა და მუსლიმანთა საკულტო ნაგებობების მშენებლობას მის გამგებლობაში მოქცეულ საფაშოში. თუმცა ისტორიკოს ა. უჯმაჯურიძის მიერ გამოთქმულია ვარაუდი, რომ ხომ არ იყო ეს მარცხი გამაჰმადიანებული ფაშის შორსმიმავალი გეგმის ნაწილი – ხელი შეეშალა დასავლეთ საქართველოში ოსმალთა დამკვიდრებისათვის. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სულთანი ჰაჯი აჰმედ-ფაშა ჯაყელს ადანაშაულებდა განდგომაში. გარდა ამისა, ერთ-ერთი ბრალდება იყო ახალციხის მეჩეთში ქრისტიანული არქიტექტურული სტილისათვის დამახსიათებელი ელემენტების სიუხვეც.

ჰიდროფილური მცენარეულობა – წყლის მოყვარული მცენარეები, რომლებიც სამცხე-ჯავახეთში ვრცელდება მდინარეთა ქალების გასწვრივ და ტბების დაჭაობებულ უბნებზე.

ჰიდრომორფული და სუბჰიდრომორფული ლანდშაფტები – ლანდშაფტის ტიპი (კავკასიის ლანდშაფტური რუკის მიხედვით), რომელიც გავრცელებულია დამატებითი დატენიანების (გრუნტის წყლის) ადგილებში – დიდ მდინარეთა ხეობების გასწვრივ. მცენარეული საფარი ჰიდრომორფულ ხასიათს ატარებს და გაბატონებულია ჭაობები და ჭალის ტყეები. სამცხე-ჯავახეთში ვრცელდება მდ. მტკვრის, ფოცხოვისა და ქვაბლიანის გასწვრივ, ფრაგმენტულად. ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად თითქმის მთლიანადაა გარდაქმნილი.

ჰუმიდური და სემიჰუმიდური ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსები მდელოებითა და მდელო-სტეპებით, მიკროსტრუქტურის ($G_{1m}; S_1I$) – გავრცელებულია მთის ტყის ლანდშაფტების ფარგლებში, თუმცა ყველაზე შეზღუდულად წარმოდგენილია საშუალო მთის ტყის ფარგლებში. როგორც ვარაუდობენ, იგი მეორეული წარმოშობისაა. ფიტომასების რაოდენობა იცვლება საკმაოდ დიდ ფარგლებში და საშუალოდ შეადგენს 15-20 ტ/ჰა-ს. შედარებით ნაკლები განსხვავებაა პედომასებისა და ლითომასების მიხედვით. ნიადაგის მეტრულ ფენაში პედომასების საშუალო რაოდენობაა 2800-3,000 ტ/ჰა. ხოლო ლითომასების – 18700-19500 ტ/ჰა. ჰუმუსის რაოდენობა ზოგან შეადგენს 150-160 ტ/ჰა-ს, ზოგან – 80-90 ტ/ჰა-ს, რაც განსხვავებული დატენიანებითა და ოროგრაფიული პირობებით აიხსნება.

ჰუმიდური მეზოფიტური ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსი ფოთოლმცვივანი ბუჩქნარებით, მაკროსტრუქტურის ($F5v,i; F5v,i; F5v$) – სამცხე-ჯავახეთში უკავია საკმაოდ დიდი ფართობი. უმთავრესად გავრცელებულია არსიანისა და აჭარა-იმერეთის ქედის კალთებზე – ქვედა და საშუალო მთის ტყის ლანდშაფტების ფარგლებში, ზ.დ. 1000-1600 მ, იშვიათად 1800-1900 მ სიმაღლით დიაპაზონში. გვხვდება თითქმის ყველა ექსპოზიციის ფერდობზე, თუმცა ყველაზე მეტად დამახასიათებელია აღმოსავლეთისა და სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებისა და თხემებისათვის. ქვედა მთის ტყის ლანდშაფტებში უმთავრესად გავრცელებულია ჩრდილოეთისა და დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე. დომინანტია ნიფელი, რცხილა და მუხა, ზოგან გვხვდება ჯაგრცხილაც. ფიტომასების დიდი რაოდენობა (500 ტ/ჰა) აღინიშნება იქ, სადაც გაბატონებულია მონოდომინანტური ნიფლნარები. ტყის ვარჯის ნაკლები სიხშირის გამო ბუჩქნარების მძლავრი საფარია ჩამოყალიბებული (სიმძლავრე 1-1.5 მ, პროექციული დაფარულობა 30-40 %). ფიტომასების რაოდენობა საკმაოდ მაღალია როგორც ქვედა, ისე საშუალო მთის ტყის ლანდშაფტებში, რაც საშუალოდ შეადგენს 335-345 ტ/ჰა-ს. ფიტომასების მაქსიმალური რაოდენობა დამახასიათებელია ჩრდილოეთისა და და-


სავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, ზ.დ. 1100-1400 მ სიმაღლით დიაპაზონში. ნიადაგები ტყის ყომრალი, საშუალო თიხნარი, საშუალო ან მცირე სიმძლავრისაა და საკმაოდ ქვიანი.

ციცაბო და საშუალო დახრილობის ფერდობებზე გავრცელების გამო აღნიშნული ბტკ მეტად არამდგრადია ანთროპოგენური ზემოქმედების (ჭრა, ძოვება) მიმართ. ეს განპირობებულია ფოთოლ-მცვივანი ბუჩქნარების მძლავრი საფარის არსებობით, რაც აფერხებს ზედაპირული გადარეცხვის პროცესებს. თუმცა ბუჩქნარების არსებობა ამცირებს მის მდგრადობას ანთროპოგენური ზემოქმედების მიმართ. ნიადაგის ზედა ჰორიზონტები შედარებით მეტი სიმშრალით ხასიათდება, რაც აფერხებს ხემცენარეების აღდგენის უნარს. არამდგრადობას ისიც უწყობს ხელს, რომ ისინი ხშირად ჰიფსომეტრიულად ქვედა საზღვარზე ემიჯნებიან სემიარიდულ მეზოფიტურ (Q) და სემიჰუმიდურ ქსეროფიტულ (S) ბტკ-ებს, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს.

ჰუმიდური მეზოფიტური ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსი ტანბრეცილი და დაბალტანიანი ხემცენარეებითა და ბალახოვანი საფარით, მეზოსტრუქტურის ($F_{3i}; F_{3k}$) – გავრცელებულია არსიანის, აჭარა-იმერეთისა და თრიალეთის წედების კალთებზე ზედა მთის ტყის, ზოგან მაღალი მთის სუბალპური ლანდშაფტების ფარგლებში. ფიტომასების საშუალო რაოდენობაა 70 ტ/ჰა, თუმცა ეს მაჩვენებელი დიდ ფარგლებში იცვლება. შედარებით სუსტად არის გამოხატული ფიტომასების ცვლილება. ექსპოზიციის მიხედვით, მხოლოდ მცირე განსხვავება შეინიშნება ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ფერდობებს შორის. უფრო მკაფიოაა გამოხატული ფიტომასების რაოდენობის შემცირება აბსოლუტური სიმაღლის ზრდის შესაბამისად. ნიადაგი ტყის ყომრალი გაენრებული და ტიპურია, ან მთა-ტყე-მდელოს ტიპური, კორდიან-ტორფიანი და გატორფებული. დამახასიათებელია არადიფერენცირებული და მცირე სიმძლავრის პროფილი (50–60 სმ), კარგად გამოხატული საშუალო ამ მცირე ჰუმუსირებით (10-20 სმ-მდე). ჰუმუსის რაოდენობა მაღალია და ნიადაგის მეტრულ ფენაში შეადგენს საშუალოდ 345 ტ/ჰა-ს.

ჰუმიდური წინვან-მეზოფიტური ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსი ბალახოვანი საფარით, მეზომაკრო და მაკროსტრუქტურის ($U_5; U_4$) – სამცხე-ჯავახეთში, უმთავრესად, გავრცელებულია არსიანისა და აჭარა-იმერეთის ქედების კალთებზე ზედა მთის ტყისა და ნანილობრივ საშუალო მთის ტყის ლანდშაფტების გავრცელების ზედა საზღვართან ახლოს. ფიტომასების საშუალო რაოდენობაა 163 ტ/ჰა, ზოგან გაცილებით უფრო მეტი. დამახასიათებელია ფიჭვნარები, რომელთაც ზოგან ერევა არყის ხე და ზოგან დაბალტანიანი მუხა. მეტად ფრაგმენტულადაა გავრცელებული და არ ქმნიან ერთიან მთლიან არეალს, ხშირად მონაცვლეობენ ბუჩქნარებთან და მდელოებთან, მათ

შორის მაღალბალახოვნებთან. წარსულში მათ გაცილებით მეტი ფართობი ეკავათ, მაგრამ დღეს მნიშვნელოვნადაა განადგურებული (ტყის ჭრისა და ინტენსიური გადაძოვების შედეგად). ზოგან ძლიერ არის გამარტივებული ვერტიკალური სტრუქტურა ან მნიშვნელოვნად არის შემცირებული მისი სიმძლავრე. ეს განპირობებულია თოვლის ზევაებით, ღვარცოფული ნაკადებითა და ზედაპირული გადარეცხვით.



ფიტომასების რაოდენობის ცვალებადობა უიტაკერის სქემის მიხედვით

მოკლე ტერმინოლოგიური ლექსიკონი

(ცნობარში გამოყენებული ტერმინების მიხედვით)

ადამიანის მიერ სახეცვლილი გარემო – გარემოს ნაწილი, რომელიც აერთიანებს ბუნებრივ და ადამიანის მიერ სახეცვლილ ლანდშაფტებს, შერეული ტიპის ეკოსისტემა.

აკლიმატიზაცია – 1. ადგილმონაცვლეობის შედეგად მოხვედრილი სახეობის პოპულაციის შეგუება ახალ კლიმატურ პირობებთან იგი მოხვდა. 2. გარკვეულ ტერიტორიაზე სასარგებლო სახეობის გამიზნული ან შემთხვევითი შეტანა.

ალპური მცენარეულობა – მცენარეულობა გავრცელებული მაღალ მთებში, ზ.დ. 2000-3500 მ სიმაღლით დიაპაზონში. წარმოდგენილია დაბალბალახოვნებით – „ხალიჩისებრი“ მდელოებითა და ბუჩქნარებით.

ანთროპოგენური ზემოქმედება – სამეურნეო ზემოქმედება გარემოზე, რასაც უმეტესწილად მოსდევს გარემოს ანთროპოგენური ცვლილებები – ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა, ბუნებრივი რესურსების დეგრადაცია-განადგურება და სხვ.

ანთროპოგენური ფაქტორები – სამეურნეო ზემოქმედებით განსაზღვრული სხვადასხვა ფაქტორი, რომლებიც იწვევს ცვლილებებს გარემოში.

ანთროპოგენური ლანდშაფტი – ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად სახეშეცვლილი ბუნებრივი ლანდშაფტი, რომელშიც აღინიშნება ეკოლოგიური კავშირების რღვევა.

ანთროპოგენური რელიეფი, ტექნოგენური რელიეფი – რელიეფის ფორმები, შექმნილი ან სახეცვლილი სამეურნეო ზემოქმედებით.

არიდული ლანდშაფტი – ბუნებრივი ზონა არიდული კლიმატით, სადაც ატმოსფერული ნალექების რაოდენობა ნაკლებია წყლის იმ რაოდენობაზე, რომელიც შეიძლება აორთქლდეს ამავე ფართობიდან წლის განმავლობაში.

ავსიდა – შენობის ნაწილი, გეგმით წრიული ან მრავალწახნაგოვანი, გადახურულია ნახევარგუმბათით.

აკვეთილი – ტერიტორია, სადაც ხორციელდება ეროვნული მნიშვნელობის მქონე ცოცხალი ორგანიზმების ველური სახეობების სპეციალური რეჟიმით დაცვა. დაშვებულია ცალკეული განახლებადი რესურსის გამოყენება.

აკვეთილის რეჟიმი – ბუნებრივი გარემოს სპეციალური რეჟიმი, რომელიც უზრუნველყოფს სამეურნეო გამოყენების გაუქმებას ან შეზღუდვას.

ახჩა – თურქული ვერცხლის ფულის ერთეული შუა საუკუნეებში. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით სამცხე-საათაბაგოში გადასახადი დაწესებული იყო ახჩებით.

ბაზილიკა – გეგმით სწორკუთხედი ფორმის შენობა, რომელიც რამდენიმე ნავისაგან შედგება.

ბალახეული მცენარეები – მცენარეები, რომელთა მინისზედა ნაყარი არ მერქანდება და კვდება ზამთარში. განასხვავებენ ერთწლოვან და მრავალწლიან ბალახეულ მცენარეებს.

ბალახიანი ჭაობი, მდელოს ჭაობი – ჭაობის ტიპი ბალახის მცენარეული საფარის (ლერწამი, ისლი) სიჭარბით.

ბინადრობის ადგილი – ბუნებრივი გარემოს ნაწილი, რომელიც დაკავებულია ორგანიზმით, ერთი სახეობის წარმომადგენელთა ჯგუფით, ბიოცენოზით. გააჩნია არსებობისათვის ყველა საჭირო აბიოტური თუ ბიოტური პირობა.

ბინადარი ფრინველები, მოზუდარი ფრინველები – ფრინველები, რომლებიც არ იცვლიან საცხოვრებელ გარემოს.

ბინადრობის გარემო – აბიოტური და ბიოტური პირობების ერთობლიობა, სადაც ბინადრობს ესა თუ ის ორგანიზმი.

ბიოლოგიური პროდუქცია, ბიომასა – ორგანული მასის რაოდენობა, რომელიც იქმნება დროის გარკვეულ მონაკვეთსა და ტერიტორიაზე სხვადასხვა ორგანიზმის ან თანასაზოგადოების მიერ.

ბიომრავალფეროვნება, ბიოლოგიური მრავალფეროვნება – ცოცხალი ორგანიზმების ერთობლიობა დროის გარკვეულ მონაკვეთსა და ტერიტორიაზე.

ბუნების დაცვა – ღონისძიებათა ერთობლიობა, მიმართული ბუნებრივი გარემოს პროდუქტიულობის, გამაჯანსაღებელი, ესთეტიკური და სხვა ღირებულებების შენარჩუნებისაკენ.

ბუნების ძეგლი – დაცული ტერიტორიის სახე, რომელსაც მინიჭებული აქვს IUCN-ის III კატეგორია. შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის, შედარებით მცირე უნიკალური ბუნებრივი ტერიტორიების, იშვიათი ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული წარმონაქმნების დასაცავად.

ბუნებრივი გარემო – ბუნებრივი კომპონენტების ერთობლიობა: გეოლოგიური აგებულება, ატმოსფერული ჰაერი, წყლები, ნიადაგი, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო.

ბუნებრივი კატასტროფები – კატასტროფული ხასიათის ბუნებრივი მოვლენები (მინისძვრები, წყალდიდობები, თოვლის ზვავები, ღვარცოფები, მავნებელთა მასობრივი გამრავლება და ა.შ.).

ბუნებრივი პირობების სამეურნეო შეფასება – ამა თუ იმ ტერიტორიის ბუნებრივი პირობების, ან მათი ერთობლიობის შეფასება არსებული ან პერსპექტიული ეკონომიკური მოთხოვნებისადმი შესაბამისად.

გადაშენებადი სახეობა – მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, რომლებიც იმყოფებიან სრული გაქრობის საშიშროების წინაშე.

გარემო – ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის გარემო, რომელიც განპირობებულია აბიოტური, ბიოტური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით. მოიცავს ბუნებრივ გარემოსა და სოციოსფეროს. ხშირად გაიგივებულია ბუნებრივ გარემოსთან.

გარემოს დაბინძურება – გარემოში ახალი ფიზიკური, ქიმიური ან ბიოლოგიური აგენტების წარმოქმნა-შემოტანა, რაც განაპირობებს ბუნებრივი კომპონენტების საშუალო მრავალწლიური კონცენტრაციის ღონის გადაჭარბებას.

გარემოს დაცვა – გარემოს დაცვის სხვადასხვა ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ადმინისტრაციულ-სამეურნეო, ტექნიკურ, პოლიტიკურ, იურიდიულ და საზოგადოებრივ საქმიანობებს. ხორციელდება საერთაშორისო, სახელმწიფოებრივ, რეგიონულ და ლოკალურ დონეებზე.

გასტეპებული მდელო – ბალახოვანი მცენარეულობის ტიპი, სადაც მეზოფილური მარცვლოვნებისა და ნაირბალახოვნების გარდა, გაბატონებულია სტეპის კორდიანი მარცვლოვნები, ბუჩქნარები, ნახევრადბუჩქები და სხვ.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ – სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიისათვის ოსმალეთის ხელისუფალთა მიერ 1595 წელს ფისკალური მიზნით შედგენილი წიგნი. დავთრის მიხედვით გურჯისტანის ვილაიეთი მოიცავდა 8 ადმინისტრაციულ ერთეულს – ლივას: ახალქალაქის, ახალციხის, დიდი არტაანის, პეტრეს, ფანაკის, ფოცხოვის, ჩილდირისა და ხერთვისის. თავის მხრივ, ლივები იყოფოდა ნაჰიებად. დასახლებული პუნქტების საერთო რაოდენობა იყო 1160. დავთარი შეიცავს დემოგრაფიული და ეკონომიკური ხასიათის მდიდარ მასალას სამხრეთ საქართველოს იმ ნაწილის შესახებ, რომელიც ოსმალებმა დაიპყრეს. მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა ყოფილა სოფლის მეურნეობა.

დარანი – მინისქვეშა ნაგებობა, კლდეში შესასველი. აგებდნენ ძნელად მისასვლელ ადგილებში. აქვს მრავალი განშტოება.

დარბაზი – საცხოვრებელი ნაგებობის ტიპი, ფართოდ გავრცელებული ძველ მესხეთში.

დარიჯი – იხ. ქვისკედლიანი ტერასები.

დაცული ლანდშაფტი – დაცული ტერიტორიის სახე, რომელსაც მინიჭებული აქვს IUCN-ის V კატეგორია. შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად, სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, რეკრეაციულ-ტურისტული, და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისათვის.

დაცული სახეობა – ცხოველთა ან მცენარეთა სახეობა, რომელთა ინდივიდ(ებ)ისადმი განზრახვი ზიანის მიყენება და საბინადრო გარემოს განადგურება აკრძალულია საერთაშორისო ნორმებისა და ქვეყნების კანონმდებლობების საფუძველზე.

დაცული ტერიტორია – სპეციალური სტატუსის მქონე ტერიტორია, სადაც დაცულია აღნიშნული ტერიტორიის ფიზიკური მახასიათებლები და კულტურული მემკვიდრეობა.

დენუდაცია – ხმელეთის ამა თუ იმ მონაკვეთის მეტნაკლები მოსწორება.

დომინანტები – მცენარეთა სახეობები, რომლებიც ჭარბობს გარკვეულ ტერიტორიაზე ან ფიტოცენოზში.

ეკოლოგიკაცია – ბიოლოგიური ნივთიერებების დაგროვება ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების მეშვეობით წყალსატევებში.

ეკოლოგიური ნიში – ფიზიკურ-ქიმიური და ბიოტური ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია გარკვეული ორგანიზმებისათვის და დამახასიათებელია ლოკალური ტერიტორიებისათვის.

ეკოლოგიური პრობლემები – პრობლემები, დაკავშირებული გარკვეულ ტერიტორიაზე ბუნების, ადამიანის საცხოვრისის ცვლილებასთან, ბუნებრივი რესურსების ამონწურვასა და დეგრადაციასთან.

ენდემები – ცხოველთა და მცენარეთა სახეობები, რომლებიც ვრცელდება განსაზღვრულ არეალში.

ერდოიან-გვირგვინი ნაგებობა – ნაგებობის ტიპი, რომელსაც გვირგვინის ცენტრში აქვს ღიობი (ერდო), საიდანაც სინათლე და ჰაერი შემოდის, გარეთ კი კერაზე დანთებული ცეცხლის კვამლი გადის.

ეროვნული პარკი – დაცული ტერიტორიის სახე, რომელსაც მინიჭებული აქვს IUCN-ის II კატეგორია. შეიძლება შეიქმნას ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი და ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად, სასიცოცხლო და რეკრეაციული საქმიანობისათვის.

ეროზია – ქანებისა და ნიადაგის დაშლა-ჩამორეცხვა წვიმის, გამდინარე წყლის ან ქარის ზემოქმედებით.

ვერსი – სიგრძის საზომი ერთეული ძველად. უდრიდა 1.06 კმ-ს. გამოიყენებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

ზომიერად კონტინენტური კლიმატი – კლიმატის ტიპი, გარდამავალი ზღვიურიდან მკეთრად კონტინენტურზე. კონტინენტურობის ხარისხი არ არის მაღალი.

ზომიერი კლიმატი – ზომიერი განედების კლიმატი, მოქცეული პოლარულ და ტროპიკულ სარტყელს შორის.

თერმული წყლები – მიწისქვეშა წყლები, რომლებსაც აქვთ 21°C და მეტი ტემპერატურა.

კლდეებისა და ქვყრილების მცენარეები – კლდოვანი ადგილების მცენარეები, რომლებიც ბინადრობენ ლოდების ნაპრალებში, გამოფიტვის პროდუქტებზე, ნაშალ მასალაზე.

კონსერვაცია – ღონისძიებათა ერთობლიობა, მიმართული ბუნებრივი რესურსების დაცვისა და აღდგენისაკენ.

კორომი – ბუნებრივი ან ხელოვნური ტყის ნაკვეთი, რომელიც მოიცავს ხეებს, ბუჩქებსა და ტყის სხვადასხვა მცენარეულობას.

კულტურული ლანდშაფტი – ადამიანის მიერ მიზანმიმართულად შეცვლილი ლანდშაფტი, სადაც შენარჩუნებულია ადამიანისათვის საჭირო მდგომარეობა.

კულტურული მცენარეები – ადამიანის მიერ გამოყვანილი მცენარეები.

ლანდშაფტი – ერთი გენეზისის მქონე ტერიტორია, სადაც ერთგვაროვანია გეოლოგიური ფუნდამენტი, რელიეფი, კლიმატი, ნიადაგები, ბიოცენოზი.

ლანდშაფტის ელემენტები – ლანდშაფტის კომპონენტების შემადგენელი ნაწილები: ჰაერის მასები, წყლის მასები, ნიადაგები, მცენარეები, ცხოველები და სხვ.

ლანდშაფტთა ვერტიკალური ზონალობა – ჰიფსომეტრიული საფეხურების მიხედვით ლანდშაფტთა კანონზომიერი, სიმაღლებრივი ცვლა, რაც დაკავშირებულია ჰაერის ტემპერატურის კლებასთან.

ლანდშაფტის მდგრადობა – ლანდშაფტის უნარი შეინარჩუნოს სტრუქტურა და ფუნქციური თავისებურებანი სხვადასხვაგვარი ბუნებრივი თუ ანთროპოგენური ზემოქმედებისას.

ლივა – იხ. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“.

მდგრადი განვითარება – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც გარემოს დაცვისა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით ორიენტირებულია ადამიანის კეთილდღეობისა და ცხოვრების ღონის ზრდით იმგვარად, რომ შენარჩუნდეს მომავალი თაობების უფლებები ისარგებლონ უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა გარემოთი.

მდელო – მრავალწლოვანი ნაირბალახოვნები, მეზოფილური მცენარეულობა, რომლებიც ვრცელდება მდინარეთა ქალებში, მდინარეთაშორისებსა და წყალგამყოფებზე, ტყის განაკაფებზე, მაღალ მთებში სუბალპურ და ალპურ სარტყელში.

მდინარის წყალდაცვითი ზოლი – სპეციალური რეჟიმი მდინარის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც სპეციალური ნორმატივებით აკრძალულია წყლის რესურსების დაბინძურება და წყალსატევის დაშრობა.

მეგალითი – დიდი ზომის ლოდებისაგან აგებული ნაგებობა. მათ მიეკუთვნება ქვაჯვარები, მენჰირები და სხვ.

მეზოფიტები – ხმელეთის მცენარეები, გარდამავალი ქსეროფიტებსა და ჰიგროფიტებს შორის. ბინადრობენ ზომიერი დანესტიანების პირობებში.

მელიორაცია – ღონისძიებათა ერთობლიობა (რწყვა, დაშრობა და სხვ.), მიზანმიმართული გარემოს, უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაუმჯობესებისაკენ.

მეორეული ტყეები – სამეურნეო საქმიანობის ან ბუნებრივი სტიქიური მოვლენების ზეგავლენით შეცვლილი ტყეები, ან წარმოქმნილი ტყეები. როგორც წესი, უფრო დაბალი პროდუქტიულობისაა და სახეობრივი შედგენილობით ჩამოუვარდებიან პირველად ტყეებს.

მთის ლანდშაფტი – სხვადასხვა ჰიფსომეტრულ საფეხურებზე ფორმირებული ლანდშაფტები, რომლებიც ხასიათდებიან სხვადასხვაგვარი კლიმატური პირობებითა და ნიადაგ-მცენარეული საფარით.

მთის ქსეროფიტები – მცენარეები, რომლებიც ბინადრობს მაღალი მთის მშრალ კლდოვან ფერდობებზე.

მოვლითი ჭრები – სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები, გატარებული ტყის განახლებისა და მისი ფუნქციების გაუმჯობესების მიზნით.

მომთაბარე მესაქონლეობა – მესაქონლეობის სისტემა, როცა ხდება საქონლის პერიოდული გადარეკვა.

მორენა – მყინვარის მიერ გადატანილი მასალა, ბორცვები და რელიეფის სხვა ფორმები.

მუნიციპალიტეტი – ადმინისტრაციული ერთეული საქართველოში. სამცხე-ჯავახეთში 6 ასეთი ერთეულია: ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომისა და ნინოწმინდის.

მუქნიწვიანები, მუქნიწვიანი ხემცენარეები – ჩრდილის ამტანი წიწვიანი ხემცენარეები (ნაძვი და სოჭი).

ნაკრძალი – დაცული ტერიტორიის სახე, რომელსაც მინიჭებული აქვს IUCN-ის I კატეგორია. აკრძალულია ისეთი სამეურნეო საქმიანობა, რომელიც არღვევს ბუნებრივი გარემოს მთლიანობას.

ნატანის ჩამონადენი – დროის გარკვეულ მონაკვეთში მდინარის მიერ ჩამოტანილი ნატანის ჯამური რაოდენობა. განსაკუთრებით მაღალია ეს მაჩვენებელი წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების პერიოდებში.

ნაჰიე – იხ. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“.

ნიადაგის გაკულტურება – ნაყოფიერების ამაღლების მიზნით ადამიანის მიზანმიმართული გავლენა ნიადაგზე. იგულისხმება ნიადაგის გამდიდრება საკვები ნივთიერებებით, მაღალი მჟავიანობის ან ტუტიანობის შემცირება, დამლაშებასთან ბრძოლა და სხვ.

ნიადაგის დეგრადაცია – ბუნებრივი თუ ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად ნიადაგის ნაყოფიერების შემცირება, რის შედეგადაც ხდება ნიადაგის სტრუქტურის რღვევა, საკვები ელემენტების გამორეცხვა და სხვ.

ნოროგრაფია – რელიეფის ფორმების ერთობლიობა.

ნოროკი – იხ. ქვისკედლიანი ტერასები.

რაიონი – ადმინისტრაციული ერთეული საბჭოთა პერიოდში. 2000-იანი წლების დასაწყისში საქართველოში შეიცვალა მუნიციპალიტეტებით.

პირწმინდა ჭრა – ტყის ჭრა, რომლის დროსაც ერთ ჯერზე იჭრება მთელი კორომი.

პროლუვიური ნაფენები – ნაფენები, წარმოქმნილი დროებითი ნაკადების ეროზიულ ხეობებში.

რელიქტი – მცენარე, ცხოველი, ნივთი ან მოვლენა, რომელიც შორეული წარსულის, ძველი ეპოქების გადმონაშთია.

საკურორტო ტყე – დაცული ტყეები კურორტების და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების გარშემო.

სამცხე-საათაბაგო – ფეოდალური სამთავრო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შუა საუკუნეებში. თანამედროვე სამცხე-ჯავახეთის დიდი ნაწილის გარდა, მოიცავდა ისტორიული საქართველოს ტერიტორიასაც.

სარწყავი ნიადაგები – ნიადაგები, რომელთა ფიზიკურ-ქიმიური თვისებები იცვლება რწყვის შედეგად. შედეგად მაღალია ჰუმუსისა და მცენარეთა საკვები ელემენტების რაოდენობა.

სემიჰუმიდური კლიმატი, ნახევრადტენიანი ჰავა – ჰავის ტიპი, რომელიც ჰუმიდურთან შედარებით, ხასიათდება ნაკლები დატენიანებით. დამახასიათებელია პერიოდული გვალვები.

სტეპის მცენარეულობა – ქსეროფიტული ბალახების ერთობლიობა, წარმოდგენილი მარცვლოვნებით, ნაირბალახოვნებითა და ბუჩქნარებით.

სტეპი, ველი – ქსეროფილური მცენარეულობის ტიპი, წარმოდგენილი ხემცენარეების გარეშე.

სუბაკვალური ლანდშაფტი – ლანდშაფტის ტიპი, წარმოქმნილი წყალსატევების პერიფერიული დატბორვის არეალებში.

სუბალპური მცენარეულობა – მაღალი მთის სუბალპურ სარტყელში გავრცელებული მცენარეულობა, რომელიც ხასიათდება დაბალტენიანი ხემცენარეებითა და ბუჩქნარებით, მაღალბალახეულობითა და მდელოებით.

სფაგნუმიანი ჭაობი – ჭაობი, სადაც გაბატონებულია სფაგნუმის ხავსი.

ტანბრეცილი ტყე – 10 მ სიმაღლის დაბალტენიანი ხემცენარეთა დაჯგუფება, რომელის დამახასიათებელია მაღალი მთის ტყის ზედა საზღვრისათვის.

ტექნიკური კულტურები – მცენარეები, რომელთა პროდუქცია ნედლეულად გამოიყენება მრეწველობაში. მათ მიეკუთვნება: სართავი (კანაფი, სელი და სხვ.), კაუჩუკოვანი, ეთერზეთოვანი (სალბი და სხვ.), ზეთოვანი (მზესუმზირა, სოია, არაქისი და სხვ.), შაქარშემცველი და სამკურნალო მცენარეები. მრეწველობაში ნედლეულად გამოიყენება სხვა კულტურების მოსავლის ნაწილიც, მაგალითად, კარტოფილისა და მარცვლეულის.

ტორფი – სათბობი წიაღისეული, წარმოქმნილი ჭაობის მცენარეების არასრული ლპობის შედეგად. საუკეთესო ბუნებრივი სასუქია.

ტორფის ჭაობი – ჭაობის ტიპი, წარმოქმნილი ტორფწარმოქმნელი მცენარეულობით.

ტოპოგრაფიული რუკა – მსხვილმასშტაბიანი რუკა, რომელზეც მოცემულია თვალთ ხილული – ბუნებრივი და სოციალური ობიექტები.

ტოქსიკური ნარჩენები – სამეურნეო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები, რომლებიც ინვევენ ცოცხალი ორგანიზმების მოწამვლას, ან სხვაგვარ დაზიანებას.

ტრიკონქი – სამფასადიანი საეკლესიო ნაგებობა.

ტყეთსარგებლობა – ტყის ექსპლუატაციის ღონისძიებათა სისტემა, რომელიც იყოფა პირდაპირ (ტყის ჭრა) და არაპირდაპირ სარგებლობად (სოკოს, კენკრის, ნაყოფის მოპოვება, ნადირობა, მეფუტკრეობა, საკურორტო-რეკრეაციული, სამეურნეო გამოყენება და სხვ.).

უკედლო ტერასები (ლარი) – ხელოვნური ტერასების ტიპი, დამცავი კედლის გარეშე. როგორც წესი, აგებდნენ მცირე დახრილობის ფერდობებზე, სადაც ტერასის კედელი დაბალი, თუმცა ფართო იყო.

ფართოფოთლოვანი ტყე – ტყე მეზოფილური ფართოფოთლოვანი ხემცენარეებით (მუხა, რცხილა, ნიფელი, ნაბლი, ნეკერჩხალი, ცაცხვი, თელა და სხვ.).

ფოთლოვანი ტყე – ზაფხულმწვანე ტყე გაბატონებული ფართოფოთლოვნებით.

ფრიგანა – ხმელთაშუაზღვისპირეთსა და მიმდებარე ტერიტორიებზე, მშრალ ფერდობებზე გავრცელებული ბუჩქისებრი თანასაზოგადოება. ჭარბობს ქსეროფილური ეკლიანი, ხემშეფოთლიანი და ბალიშისებრი ბუჩქბალახები.

ფრინველთა მიმოფრენა – ფრინველთა პოპულაციების ან მათი ნაწილის ყოველწლიური ადგილგადანაცვლება მეტ-ნაკლებად შორეული ბუდობის ადგილიდან ზამთრობის ადგილისაკენ.

ფუტი – სიგრძის საზომი ერთეული ძველად. უდრის 30.45 სმ-ს.

ქვისკედლიანი ტერასები (დარიჯი, ოროკი) – ხელოვნური ტერასების ტიპი, ამოყვანილი ქვის კედლებით.

ქსეროფიტები – არასაკმარისი დატენიანების პირობებში ბინადარი მცენარეები, რომლებიც იტანენ ტენის შედარებით მცირე რაოდენობას.

შერეული ტყე – ტყე, ფორმირებული სხვადასხვა ჯიშის (წიწვიანები, ფართოფოთლოვანები, წვრილ-ფოთლოვანები, ხეშეშფოთლიანები) ხემცენარეებით.

შერჩევითი ჭრა – ტყესარგებლობის სახე (ჭრა), როდესაც პერიოდულად იჭრება გარკვეული ასაკისა და მდგომარეობის ხეთა ნაწილი.

შობლიაკი – ხმელთაშუაზღვისპირეთისა და მიმდებარე ტერიტორიებისათვის დამახასიათებელი ფოთლოვანი ბუჩქნარები (ჯაგრცხილა, ძეძვი, კუნელი, ასკილი და სხვ.).

ჩამდინარე წყლები – სანარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაჭუჭყიანებული წყლების ჩადინება წყალსატევებში.

ჩამონადენი – წყლის რაოდენობა, რომელიც გაივლის მდინარის კალაპოტში დროის გარკვეულ ინტერვალში.

ჩამორეცხილი ნიადაგები – ნიადაგები, რომელთა ჰუმუსივანი ჰორიზონტი ზედაპირული წყლების ზემოქმედებით ნაწილობრივ ან მთლიანადაა ჩამორეცხილი.

ჩრდილის ამტანი მცენარეები – სინათლეზე მზარდი მცენარეები, რომლებიც იტანენ დაჩრდილვასაც.

ჩრდილის მოყვარული მცენარეები – მცენარეები, რომლებიც ვერ ეგუებიან ძლიერ განათებას.

წითელი წიგნი – ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სისტემატიზებულ მონაცემებს იმ მცენარეებსა და ცხოველებზე, რომლებიც საჭიროებენ დაცვას.

წყალდაცვითი ზონა – წყალსატევების მომიჯნავე ტერიტორია, რომლისთვისაც განსაზღვრულია სამეურნეო საქმიანობის სპეციალური რეჟიმი.

წყაროს დებიტი – დროის ერთეულში წყაროდან მიღებული წყლის რაოდენობა. იზომება ლ/სმ-ობით, მ3/დღ.-ობით და სხვ.

წყლის მცენარეები – მცენარეები, რომლებიც იზრდებიან წყალში.

წყლის დაბინძურება – წყალსატევებში იმ ნივთიერებ(ებ)ის მოხვედრა, რომლებიც აუარესებენ მის ეკოლოგიურ მდგომარეობას.

წყლის „ყვავილობა“ – წყალმცენარეების მასობრივი განვითარება წყალსატევების ზედა ფენებში.

ჭაობი – ჭარბად დატენიანებული ტერიტორია/აკვატორია, რომლისთვისაც დამახასიათებელია ჰიდროფილური მცენარეების გავრცელება.

ხელოვნური მორწყვა – ნიადაგში ტენის მარაგის ხელოვნური შევსება, რაც მშრალი კლიმატის პირობებში უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანას.

ხელოვნური ტერასა – მთის ფერდობზე, რთულ ოროგრაფიულ პირობებში ხელოვნურად მოწყობილი ტერასები, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო მიზნით იყენებენ.

ხელუხლებელი ტყე – ადამიანისაგან ხელუხლებელი ან სწორი სატყეო მეურნეობის პირობებში ფორმირებული ტყე.

ჰიგროფიტები – ჭარბტენიან გარემოში ბინადარი მცენარეები.

ჰიფსომეტრიული საფეხურები – სიმაღლითი საფეხურები ზღვის დონიდან.

ჰუმუსი, ნეშომპალა – ნიადაგის ორგანული ნივთიერებების ერთობლიობა, წარმოქმნილი ორგანული ნარჩენების გარდაქმნის შედეგად. შეიცავს მცენარეთა ძირითად საკვებ ელემენტებს.

IUCN (International Union for Conservation of Nature) – ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი, რომლის მიზანია ბუნების კონსერვაცია. 1960 წლიდან ადგენს გადაშენების წინაშე მდგარი ცხოველებისა და მცენარეების ნუსხას.

ლიტერატურა

1. აბულაძე ვ. ბორჯომის ხეობის წარსული და აწმომ. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1983.
2. ადიგენის საკრებულოს სოციალურ-ეკონომიკური პასპორტი, 2006.
3. ალფენიძე მ., ბერუჩაშვილი ნ., გონგაძე მ., დავითაია ე., მალაქელიძე რ., ნადარეიშვილი ნ., შენგელაია მ., ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფია. თბილისი, 1999. 330 გვ.
4. ალფენიძე მ., ხარაძე კ., დავითაია ე., გონგაძე მ., მალაქელიძე რ. საქართველოს გეოგრაფია. ნაწილი მეორე. ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონები. თბ., 2001.
5. ალხაზიშვილი ი. ჯავახური ლეგენდები. თბ., 1978.
6. ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა). თბ.: „მეცნიერება“, 1967.
7. ასპინძის საკრებულოს სოციალურ-ეკონომიკური პასპორტი, 2006.
8. აწყურის ციხის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. გაზ.; „სამხრეთის კარიბჭე“. <http://sknews.ge/index.php?newsid=2812N.Vr7MjPI97De>
9. ახალკაციშვილი. ჯავახეთის ვულკანური წარმონაქმნებისა და გამყინვარების ეპოქის ასაკობრივი კორელაცია. დის. თბილისი, 2006.
10. ახალქალქის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა – CARE, CiDA, Austrian Development Cooperation, 2013.
11. ახალციხის საკრებულოს სოციალურ-ეკონომიკური პასპორტი, 2006.
12. ბარისაშვილი გ. ტერასული მევენახეობა საქართველოში. მცხეთა, 2011. <http://saunje.ge/index.php?id=1054&lang=ka>
13. ბედოშვილი გ. ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2002.
14. ბერიაშვილი ლ. ნიადაგის ათვისების და დაცვის ტრადიცია საქართველოში. თბილისი: „მეცნიერება“, 1989.
15. ბერიძე მ. სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმიკური ლექსიკიდან. თსუ ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა შრომები, N 3-4. თბ., 1974.
16. ბერიძე მ. ქართული ხელოვნებათმცოდნეობა 60 წლის მანძილზე. თბ.: „მაცნე“, N 1. 1981.
17. ბერიძე მ. ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი). თბ.: თსუ, 1992.
18. ბერიძე მ. ჯავახეთის ახალქალაქი. ქართველური ონომასტიკა, II. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004. გვ. 87-98.
19. ბერიძე მ. ჯავახეთის ძეგლთა მდგომარეობა (სამეცნიერო ექსპედიციის ანგარიში 1979 წ.). ჯავახეთი. I, ისტორია და თანამედროვეობა. ახალციხე, 2002. გვ. 335-464.
20. ბერძენიშვილი დ. ქვაჯვარა გუჯარეთის თონეთიდან. შ.: „ძეგლის მეგობარი“, N 2. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1986. გვ. 44-47.
21. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. I. ისტორიული გეოგრაფია. თბ., 1964.
22. ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს. საქართველოს ისტორია. ნაწილი I. უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. თბილისი, 1948.
23. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მონყვლადობა კლიმატის ცვლილების მიმართ. USAID, CENN Caucasus.
24. ბორჯომის საკრებულოს სოციალურ-ეკონომიკური პასპორტი, 2006.
25. ბოჭორიძე გ. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში. თბ., 1992.
26. ბოხორაძე ა. მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.
27. გაბაშვილი ც. ზედა ვარძიის „კიდურყვავილოვანი“ წარწერა. შ.: „ძეგლის მეგობარი“, N10-11. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1967. გვ. 31-32.
28. გაგნიძე რ., დავითაძე მ. ადგილობრივი ფლორა [საქართველოს მცენარეთა სამ-ყარო]. თბილისი: „გამომცემლობა აჭარა“, 2000. 267 გვ.
29. გავარდაშვილი გ., ვართანოვი მ. საქართველოში 2008 წლის აგვისტოში საომარი მოქმედების შედეგად გადამწვარი ტყის მასივების ეკოლოგიურ-ეკონომიკური ზარალის შეფასება და მთის

ფერდობებზე ნიადაგის ეროზიისაგან დამცავი ღონისძიებები. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული, N 64, 2009. გვ. 48-59.

30. გელოვანი ა. ვარძია. მოკლე ცნობები ვარძიის შესახებ 800 წლისთავთან დაკავშირებით. თბ., 1986.
31. გეომორფოლოგიური ლექსიკონი. თსუ, გეოგრ. ინსტიტუტი, თბილისის დამოუკიდ. უნივერსიტეტი. თბილისი, 1996.
32. გეხტმანი გ., გეხტმანი ნ., ზარდალიშვილი გ., მესხი ე. გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტებანი, თბ.: „განათლება“, 1965.
33. გიორგაია ზ. სამცხე-ჯავახეთის ტყის რესურსების ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასება. თბ., 2014. დისერტაცია.
34. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000780/Disertacia%20Z.%20Giorgaia.pdf>
35. გობეჯიშვილი რ. საქართველოს რელიეფი. თბილისი: „უნივერსალი“, თბილისი, 2011. 258 გვ.
36. გოგოლაძე თ. ბორჯომის ხეობის ისტორიული და ხუროთმოძღვრული ძეგლები (გზამკვლევი). თბ.: „უნივერსალი“, 2014.
37. [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/86467/1/Borjomis XeobisIstoriuliDaXurotmodzgvruIiDzegI ebi. pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/86467/1/Borjomis%20XebisIstoriuliDaXurotmodzgvruIiDzegI%20ebi.pdf)
38. გუჯარეთი. თბ.: „მეცნიერება“, 1987.
39. ელიზბარაშვილი ი. ქილდის ორნავიანი ეკლესია. ყ.: „ძეგლის მეგობარი“, N1. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1986. გვ. 28-33.
40. ელიზბარაშვილი ნ., კერესელიძე დ., ტრაპაიძე ვ., შეთეკაური შ., ნიკოლაიშვილი დ., მაჭავარიანი ლ., მელაძე გ.ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ლანდშაფტური დაგეგმარება. მეთოდოლოგია თბ., 2010.
41. ვაზის ქართული ჯიშები. კალენდარი 2009. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“, 2009.
42. ვარძია. თბ.: სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959.
43. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თ. ლომოურისა და დ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1941.
44. ზაქარაია პ. თბილისი. ბორჯომი. ვარძია (ისტორიულ-არქიტექტურული გზამკვლევი). თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1977.
45. ზაქარაია პ. საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები. თბ.: საბჭოთა საქართველო“, 1988.
46. თარგამაძე კ., ჩიხრაძე ვ. საქართველოს სსრ ტყის რესურსები. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1976. 103 გვ.
47. თედიაშვილი ნ. ანოტაციები საქართველოს საექსკურსიო რუკისათვის. თბ., 2005.
48. თედიაშვილი ნ. ექსკურსია საქართველოს გარშემო. თბ., 2005.
49. თედიაშვილი ნ. საქართველოს ტურისტული რესურსები. თბ., 2007.
50. თისელისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები (მასალები XIII-XVI საუკუნეების სამხრეთ საქართველოს ისტორიისათვის), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო დ. კლდიაშვილმა. თბ., 1986.
51. თორდია კ. ბაიების (მესხეთი) კლდეში გამოკვეთილი ეკლესიები სადგომებით. ყ.: „ძეგლის მეგობარი“, N 2. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1986. გვ. 61-65.
52. ივანიძე ნ. დარნები აწყვიტაში. ყ.: „ძეგლის მეგობარი“, N 2. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1986. გვ. 66-69.
53. იმოგზაურეთ სამცხე-ჯავახეთში. „ელკანა“.
54. ინგოროყვა პ. გიორგი მერჩულე, გამომც., „საბჭოთა მწერალი“, თბ., 1956.
55. ინფორმაციული ბიულეტენი: საქართველოში სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების მდგომარეობა 2010 წლისათვის და გააქტიურების ტენ-დენციების პროგნოზი. თბილისი _ გარემოს ეროვნული სააგენტო, 2010.
56. კეცხოველი ნ. კიდევაც დაიზრდებიან... [ქვემო ქართლში, თრიალეთში და ჯავახეთში მოგზაურობის შთაბეჭდილება] თბ.: „ნაკადული“, 1978.
57. კეცხოველი ნ. არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია. თბ.: „ნაკადული“, 1974.
58. კეცხოველი ნ. საქართველოს მცენარეული საფარი. თბ.: საქართველოს სსრ მეცნ აკადემიის გამომცემლობა, 1959. 384 გვ.

59. კეცხოველი ნ., რამიშვილი მ., ტაბიძე დ. საქართველოს ამპელოგრაფია. თბ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960.
60. კვირკვია რ. ბორჯომის ხეობა რკინის ფართო ათვისების ხანაში (ძვ.წ. VIII-VII სს.). დისერტაცია. თბ., 2009.
61. კიკაჩიშვილი რ. ქართლის ვაზის ჯიშების შესწავლისათვის. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1963.
62. კირთაძე დ. სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმით სახელდებული ობიექტები ქართულ აგეოგრაფიულ ძეგლებში. სამეცნიერო კონფერენციის მასალები „რეგიონული განვითარების პერსპექტივები სამცხე-ჯავახეთში“, თბილისი, 17 თებერვალი. თბ., 2016.
63. კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია და ზემოქმედების შერბილება ადგილობრივ დონეზე ადიგენის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის აღწერა. <http://nala.ge/uploads/adigeni.pdf>
64. კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია და ზემოქმედების შერბილება ადგილობრივ დონეზე ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის აღწერა. <http://nala.ge/uploads/borjomi.pdf>
65. კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია და ზემოქმედების შერბილება ადგილობრივ დონეზე ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის აღწერა. ჰტტპ://ნალა.გე/უპლოადს/ნინოწმინდა.პდფ
66. კლიმატოლოგიური ტერმინების სამენოვანი ლექსიკონი. შეადგინა შ.ჯავახიშვილმა. თბილისი, 1997.
67. კობახიძე მ. საქართველოს სანალექავო ქვები. თბ., 2014. დისერტაცია. http://conference.sens-2014.tsu.ge/ploads/53b28dbbf30fe%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D_%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98_%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D.pdf
68. კორძახია მ., ნაფეტვარიძე ე. მესხეთის კლიმატი. ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები. ტ.5, თბილისი, 1950.
69. კორძახია მ., საქართველოს ჰავა, თბილისი, 1961.
70. კორძახია მ., ჯავახიშვილი შ., საქართველოს ჰავა, თბილისი, 1971.
71. კორძახია მ. საქართველოს კლიმატი. საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1969.
72. ლაფაჩი ც., მოხევეშვილი ნ., სულაქველიძე თ., ფეიქრიშვილი ზ. კურცხანის ხეობის საიდუმლოებანი. ე.: „ძეგლის მეგობარი“, N 2. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1986. გვ. 54-60.
73. ლიფონავა ჯ. გეომორფოლოგიური ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი, 2002.
74. ლიჩელი ვ., რჩეულიშვილი გ. სამცხე _ ძველი მეღვინეობა არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში. თბ., 2010.
75. ლომოური ი. მარცვლეული კულტურები, I, თბ., 1946.
76. ლომსაძე შ. სამცხე-ჯავახეთი. XVIII ს. შუანლებიდან XIX ს. შუანლებამდე. თბ., 1975.
77. ლომსაძე შ. სამცხე-ჯავახეთი. XVIII ს. შუანლებიდან XIX ს. შუანლებამდე. რედ. ვ. სილოგავა. ახალციხე, 2011.
78. მაისურაძე ი. ეტიმოლოგიური შენიშვნები სამცხეს რამდენიმე ტოპონიმზე. ტოპონიმოკა I. პროფ. შოთა ძიძიგურის საერთო რედაქციით. თბ., 1976. გვ. 262-274.
79. მაისურაძე ი. მესხური ხალხური სიტყვიერება თურქ-დამპყრობთა ბარბაროსობაზე. თბ., 1949.
80. მაკალათია მ. მესაქონლეობა მესხეთში (სამცხე-ჯავახეთი). მესხეთ-ჯავახეთი. თბ., 1972. გვ. 37-69.
81. მაკალათია ს. მესხეთ-ჯავახეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი). თბ., 1938.
82. მანველიშვილი მ. ვალეს ონომასტიკური მასალები. ქართველური ონომასტიკა, VII. თბ.: „უნივერსალი“, 2015. გვ. 475-491.
83. მარუაშვილი ლ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თბილისი, 1964; თ. 1-2. 1970-1971.
84. მასალები მესხეთ-ჯავახეთში ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბ.: „მეცნიერება“, 1972.
85. მაცნე, N 4. 1991.
86. მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (1970-77). თბ., 1981.
87. მეტრეველი კ. ჯავახეთი. თბილისი, 2010.
88. მივინყეული კულტურები. აგრარული მრავალფეროვნების დაცვის პროგრამა. ბიოლოგიურ მემკვიდრეობათა ასოციაცია „ელკანა“, 2008.
89. მინდორაშვილი დ. თისელის ნასოფლარი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში. თბ., 2010. გვ. 493-525.

90. მიქაძე ი. საინჟინრო გეოლოგია. თბ.: „უნივერსალი“, 2010.
91. ნიკოლაიშვილი დ. საქართველოს ლანდშაფტების სივრცე-დროითი ანალიზი. თბ.: თსუ, 2009.
92. ნიკოლაიშვილი დ., ახალაია მ. საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტების ახსნა-განმარტებანი. თბილისი, 2002.
93. ნიკოლაიშვილი დ., ესაკია ი., დვალი ნ. საქართველოს ტყეები: წარსული და დღევანდელი. ჟ.: „საქართველოს გეოგრაფიული ჟურნალი“. N3. თბილისი, 2004. გვ. 48-57.
94. ნიკოლაიშვილი დ., კირთაძე დ. ტოპონიმები და გეოგრაფიული გარემო გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით: კავკასიის გეოგრაფიული ჟურნალი, 2, 2003, გვ. 86-95.
95. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი. ისტორიული და არქიტექტურულ-კულტურული ძეგლები. http://ninotsminda.ge/portal/alias__Ninotsminda/tabid__3517/default.aspx
96. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა – CARE, CiDA, Austrian Development Cooperation, 2013.
97. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა, 2010.
98. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საბაზისო კვლევა. ადგილობრივი შესაძლებლობების გაზრდა და რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში. European Union, Mercy Corps, CENN Caucasus.
99. ნონეშვილი ალ., თავართქილაძე ა. საქართველოს 100 მუზეუმი. თბ.: „კლიო“, 2012.
100. ონიანი შ. ჟ.: „ძეგლის მეგობარი“, N1. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1986. გვ. 33-36.
101. პეტრიაშვილი რ. მესხეთის ნიადაგენი. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1975.
102. საბაშვილი მ. საქართველოს სსრ ნიადაგები. თბ.: „მეცნიერება“, 1965.
103. საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკები. სხვადასხვა მასშტაბი: 1:100,000; 1:50,000 და 1:25,000.
104. საინფორმაციო პორტალი. გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე“. <http://sknews.ge/?do=feedback>
105. სამცხე-ჯავახეთი _ ბუნების საგანძური. ავტორები: გ. სოფაძე, დ. თარხნიშვილი, ი. მიქელაძე, ნ. ნათენაძე. თბ., 2008.
106. სამცხე-ჯავახეთის გზამკვლევი. „ელკანა“. თბ., 2012.
107. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის პასპორტი. 2006.
108. სამცხე-ჯავახეთის რეგიონული განვითარების სტრატეგია. სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაცია.
109. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის პასპორტი, 2006.
110. სამცხე-ჯავახეთის სამკურნალო მცენარეების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება. ბიოლოგიურ მემკვიდრეობათა ასოციაცია „ელკანა“, საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირის „ორქისი“. თბ., 2008.
111. სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ტყის მართვის გეგმის პროექტი ტომი 1. განმარტებითი ბარათი. თბილისი.
112. სამცხე-ჯავახეთში გადაშენების საფრთხეში მყოფი სამკურნალო მცენარეების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება. ბიოლოგიურ მემკვიდრეობათა ასოციაცია „ელკანა“.
113. საქართველო. ენციკლოპედია. 5 ტომად. სხვადასხვა სტატია.
114. საქართველოს აგრარული ბიომრავალფეროვნება. <http://catalog.elkana.org.ge>
115. საქართველოს ამპელოგრაფია. <http://ktwchamber.ge/ampelography/index.php?lang=ge>
116. საქართველოს ეროვნული ატლასი. თბ., 2012.
117. საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, 2012 წლის სექტემბერი.
118. საქართველოს თერმული წყლები. თბილისი, საქართველოს გეოთერმული ასოციაცია, 1998. 156 გვ.
119. საქართველოს ისტორია. ლექსიკონი. ტ. 1. შემდგ. რ. მეტრეველი. თბ.: „განათლება“, 1979.
120. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი. მასალები. თბილისი: „მეცნიერება“, 1985.
121. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. I. ისტორიული გეოგრაფია. თბ., 1964.
122. საქართველოს ისტორიულ ძეგლთა ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი. <http://www.nplg.gov.ge/publishers/monument/index.php?do=search>
123. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2010 წლის პროგრამა.
124. <file:///D:/Books%20and%20Maps/History,%20Culture%20and%20Wars/31743219.pdf>

125. საქართველოს კურორტების, კურორტოლოგიისა და მეკურორტეს ცნობარი. ქუთაისი, 1995.
126. საქართველოს მეგზური. I. ჯავახეთი. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი. თბ., 2000.
127. საქართველოს მტკნარი წყლის თევზები. რ. ელანიძე, მ. დემეტრაშვილი, ო. ბურჭულაძე, ბ. ყურაშვილი. თბ.: „მეცნიერება“, 1970.
128. საქართველოს მუზეუმები. http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1&sec_id=9
129. საქართველოს ნიადაგების რუკა. თ. ურუშაძის მთ. რედაქტორობით. მასშტაბი 1 : 500,000.
130. საქართველოს პირველი ეროვნული შეტყობინება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციაზე. კლიმატის კვლევის ეროვნული ცენტრი. თბილისი, 1998.
131. საქართველოს სატყეო სექტორი მონიტორინგი. მწვანე ალტერნატივა. თბ., 2008. http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/satyeo_seqtoris_monirotingi.pdf
132. საქართველოს სსრ ადმინისტრაციული დაყოფა. თბ., 1966.
133. საქართველოს სსრ ადმინისტრაციული დაყოფა. თბ., 1987.
134. საქართველოს სსრ ატლასი. თბილისი-მოსკოვი, 1964.
135. საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (მასალები). თბ.: ქართ. საბჭ. ენციკლოპედიის მთ. სამეცნ. რედაქცია, 1987.
136. საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები (აყვანილი სახელმწიფო დაცვაზე). შემდგ. თ. ბარნაველი. თბ., 1959.
137. საქართველოს სსრ კურორტები. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1987. 382 გვ.
138. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ჰტტპ://წწწ.გეოსტატ.გე
139. საქართველოს ტრადიციული მეღვინეობის გაერთიანება. ჰტტპს://ენოტეცა.გე/გე/
140. საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები (აყვანილი სახელმწიფო დაცვაზე). რედ. ვ. ცინცაძე. თბ., 1959.
141. საქართველოს სსრ კურორტები. შემდგ. მ.კ. ვადაჭკორია, გ.ა. უშვერიძე, ვ.გ. ჯალიაშვილი. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1987.
142. საქართველოს სსრ წითელი წიგნი. თბილისი, 1982.
143. სეისმური მონიტორინგის ცენტრი. <http://seismo.iliauni.edu.ge/main/index.php>
144. სსრ კავშირის გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 1987.
145. სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა: ქართული, რომელ არს ლექსიკონი. ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბ.: სახელგამი, 1949.
146. სუმბაძე ლ. ჩუქურთმა ხეზე ხალხურ ხუროთმოძღვრებაში. ჟ.: „ძეგლის მეგობარი“, N12. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1967. გვ. 54-64.
147. ტალახაძე გ., ანჯაფარიძე ი., ლატარია ვ., კირვალიძე რ., მინდელი კ., ნაკაშიძე ლ., მინდელი მ. საქართველოს ნიადაგები (საშუალო მთიანეთის და ბარის ზონა). თბ.: „განათლება“, 1983.
148. ტივაძე გ. ოსმალეთის დერვიშობა და გლეხთა აჯანყებანი XVI საუკუნეში. თბ., 1946. უკლება ნ. საქართველოს წყლის რესურსების გამოყენება სახალხო მეურნეობაში. თბილისი, 1977.
149. ურუშაძე თ. საქართველოს ძირითადი ნიადაგები, თბ.: „მეცნიერება“, 1997.
150. ფარჯანაძე შ., მახათაძე ვ. ბორჯომი ბალნეოლოგიური კურორტი. თბ., 1975.
151. ფოკის წმინდა ნინოს დედათა მონასტერი.
152. <http://phokanunnery.ge/?lang=ge&page=m1&pages=1>
153. ფრონელი ა. (ყიფშიძე ა.) დიდებული მესხთი. თბილისი: მარიხი, 1991.
154. ქართველ წმიდანთა ცხოვრებანი. თბ., 2004. <http://www.orthodoxy.ge/tveni/aprili/02-giorgi.htm>
155. ქართლის ცხოვრება, სასწავლებელში მყოფ მონაფეთა და ყოველთა ქართველთა საკითხავად. მოკლედ შედგენილი მესხის იოანე მღვდელ გვარამაძისაგან. თბ., 1882.
156. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი 1. სახელგამი, თბილისი, 1955.
157. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური ცენტრი. გამყრელიძე გ., მინდორაშვილი დ., ბრაგვაძე ზ., კვაჭაძე მ. თბილისი, 2013. <http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/41521/1/KartlisCxivrebisTopoarqeologiuriLeksikoni.pdf>
158. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), I-XI (ტ. I, 1975. ტ. XI, 1987), სხვადასხვა სტატია.
159. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები. 1989.

160. ქაჯაია გ. ეკოლოგია (გამოყენებითი ეკოლოგიის საფუძვლები). თბ., 1999.
161. ლლონტი ალ. საქართველოს ისტორიული რაიონები ტოპონიმებში. თბ., 1998.
162. ყანდაშვილი დ. საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა განმარტება (საშვილიშვილო ნიგნი). თბ.: „მერანი-3“, 2000.
163. ყიფიანი თ. სამაგიდო ენციკლოპედია. თბ., 2005.
164. ყოველწლიური (ყოველდღიური) მონაცემები საქართველოს ზედაპირული წყლების წყლის რესურსებზე და რეჟიმებზე 45 ტომი 1986 წლის ჩათვლით (რუსულ ენაზე).
165. ყრუაშვილი ნ. ხიზაბავრა. თბ., 2009.
166. ჩიტაია გ. გლეხის სახლი ქვაბლიანში, მიმომხილველი. ტ. I. თბ., 1926.
167. ჩიქოვანი თ. ზემო ქართლი: სამხარეთმცოდნეო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1987.
168. ჩიქოვანი თ. ჯავახეთი. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1982.
169. ჩიქოვანი ტ. ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1987.
170. ჩიჯავაძე ნ. ტერასული მიწათმოქმედება საქართველოში. (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი). ბათუმი: „საბჭოთა აჭარა“, 1978.
171. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა. გამოსაცემად მოამზადა მზექალა შანიძემ. თბ., 1992.
172. ცხოვრებაშვილი შ. აჭარა-თრიალეთის ქედის გეომორფოლოგია. თსუ. ნაწ. I, თბ., 1978.
173. ცხოვრებაშვილი შ., მესხეთის ქედის ჩრდილო ფერდობის მთისწინეთის მორფოლოგიური თავისებურება და მისი მიზეზები. საქ. სსრ გეოგრ. საზ. შრ. ტ. XI, თბ., 1978.
174. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნ. 1 (დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა, ც. ჯღამაიამ) ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომც., 1963.
175. ნერეთელი ე., გობეჯიშვილი რ., ნერეთელი ნ, გაფრინდაშვილი მ. ახალციხის დეპრესიის მენყრული პროცესების განვითარების კანონზომიერებისა და 2008 წელს ვარხანის მენყრის წარმოშობის შესახებ. ვ. ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებული (ახალი სერია N2 (81)). თბილისი, 2008, გვ. 28-33.
176. ნიქვაძე შ. მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები მესხეთში. თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1958.
177. ჭუმბურიძე ზ. დედა ენა ქართული. თბ.: „ნაკადული“, 1987.
178. ხარაძე კ. სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების მართლწერის სრულყოფის პრობლემები. სამეცნიერო კონფერენციის მასალები „რეგიონული განვითარების პერსპექტივები სამცხე-ჯავახეთში“, თბილისი, 17 თებერვალი. თბ., 2016. გვ.
179. ხარაძე კ. სამცხის ბუნებისა და ხუროთმოძღვრების ძეგლები. თბ., 2016.
180. ხარაძე კ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ზემო ქართლი. თბ.: „მეცნიერება“, 2000.
181. ხარაძე კ. საქართველოს ბუნების ძეგლები. თბ., 2014.
182. ხარაძე კ. ქვის სამტრედეები სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ ანატოლიაში. ზ. ჭიჭინაძის 160 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. თბ., 2015.
183. ხარაძე კ. ჯავახეთის ხუროთმოძღვრული და ბუნების ძეგლები. თბ.: „ფავორიტი, 2003.“
184. ხიდები საქართველოში. გამომცემლობა „არტანუჯი“, 2012.
185. ხმალაძე გ. „საქართველოს წყლის რესურსები“ თბილისი, 2009, გვ. 76
186. ხომიზურაშვილი ნ. მეხილეობა. ტ. 1. თესლოვანი კულტურები. თბ.: „ტიქნიკა და შრომა“, 1952. L
187. ჯავახეთი. გამომცემლობა „არტანუჯი“, 2012.
188. ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, ტოპონიმია, საღვთისმცყველო-ლიტერატურული ცენტრები. შემდგ. ვ. სილოგავა, ლ. ახალაძე, მ. ბერიძე, ნ. სულავა, რ. ყავრელიშვილი. თბ., 2012.
189. ჯავახიშვილი ალ. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საზოგადო რუკა. შემუშავებული საქართველოს კარტოგრაფიულ ინსტიტუტში და გამოცემული სახელმწიფო გამომცემლობის მიერ. 1931-1932 წ. პროფ. ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. მასშტაბი 1:200,000.
190. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ისტორია, ნაწ. I. თბილისი, 1946.
191. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ისტორიული რუკა. შედგენილი ტოპოგრაფ ევ. ბარამიძის მიერ პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა,

1923. მასშტაბი 1 დიუმზედ 30 ვერსი.
192. ჯავახიშვილი მ. არსენა მარაბდელი. თბ., 1989.
 193. ჯავახიშვილი შ., ატმოსფერული ნალექები საქართველოს ტერიტორიაზე. თბ., 1981.
 194. ჯავახიშვილი შ. ატმოსფერული ნალექები საქართველოს ტერიტორიაზე. თბილისი, 1981.
 195. ჯავახიშვილი შ., მესხეთ-ჯავახეთის ჰავა. თბ., თსუ 1990. გვ. 65.
 196. ჯაოშვილი ვ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია. თბილისი, 1996. 467გვ.
 197. ჯაყელი ქრ. ჯავახეთის სამხრეთი მთიანეთის ლანდშაფტური ზონალობის სტრუქტურა. საქართველოს სსრ გეოგრ. საზოგადოების შრომები. N XII. თბილისი.
 198. ჯაყელი ქრ. ჯავახეთ-ნალკის ვულკანური მთიანეთის ლანდშაფტები და მათი განვითარების ისტორია. საქართველოს სსრ გეოგრ. საზოგადოების შრომები. N IX. თბილისი, 1967;
 199. Climate Change 2007, The physical science basis. IPCC, 2007
 200. Washington R., et al. Northern Hemisphere teleconnection indices and the mass balance of Svalbard glaciers. Int. Journ. Climatol., 2000, vol.20, pp. 473-487.
 201. Апхазава И. «Озера Грузии» Тбилиси. 1975.
 202. Арешидзе Г. М. Оползни Грузинской ССР. «Мецниереба». Тб., 1980.
 203. Беручашвили Н.Л. Кавказа: ландшафты, модели, эксперименты. Тб.: 1995.
 204. Беручашвили Н.Л. Ландшафтная карта Кавказа. Тб.: ТГУ, 1979. масштаб 1:1,000,000.
 205. Владимиров Л. А. Шакарашвили Д.И. Габричидзе Т.И. «Водный баланс Грузии» Тбилиси, Мецниереба, 1974, ст. 184. (с картой: Районы однозначной зависимости стока и высоты. стр. 87).
 206. Водные ресурсы Закавказья. Под редакцией Сванидзе Г. Г. и Цомаиа В.Ш. Ленинград, Гидрометеоиздат, 1988, ст. 264.
 207. Геоморфология Грузии. «Мецниереба». Тб.,1971, 605 ც.
 208. Долуханов П. География каменного века. М., 1979.
 209. Кикачишвили Р.М., Циквадзе Ш.В., Читискверцха Шავი. Ампелография СССР, Малораспространенные сорта винограда. Том 3, Пишепромиздат, Москва,1966. стр. 452-453.
 210. Маисурадзе Г.М. О геоморфологии Ахалцихской котловины. Труды географического общества СССР. XII. Тбилиси: «Мецниереба», 1973. стр. 48-58.
 211. Научно прикладной справочник по климату СССР, Вып. 14. Л., 1990.
 212. Нахуцишвили Ш. Основные черты растительного покрова Южного нагорья Грузии. В кн.: Растительный покров высокогорий и его хозяйственное использование. т.2. стр. 106-111.
 213. Николаишвили Д.А. Некоторые вопросы уменьшения площади лесов на территории Грузии с раннего этапа существования человеческого общества до наших дней. Сибирский экологический журнал. 2008, Новосибирск. № 2.
 214. Охрана окружающей среды. Справочник. Составитель Л.П.Шариков. л., 1978.
 215. Памятники Грузинского зодчества.М., 1947.
 216. Природные ресурсы Грузии и проблемы их рационального использования. Тбилиси: Мец-ниереба, 1991. 703 с.
 217. Ресурсы поверхностных вод СССР, 1974.
 218. Силнейшие землетрясения СССР. М., 1977ю
 219. Справочник по климату СССР. Вып. 14., Грузинская ССР. Температура воздуха и почвы. Л., 1967.
 220. Справочник по климату СССР. Вып. 14., Грузинская ССР. Солнечная радиация, радиационный баланс и солнечное сияние Л., 1968.
 221. Справочник по климату СССР. Вып. 14., Грузинская ССР. Ветер., Л. 1968.
 222. Справочник по климату СССР. Вып. 14., Грузинская ССР. Влажность воздуха, атмосферные осадки, снежный покров. Л., 1970.
 223. Сумбадзе Л. Архитектура грузинского народного жилища дарбази. Тб.: „Мецниереба,, 1984.
 224. Четырёхязычный энциклопедический словарь терминов по физической географии. М., 1980.
 225. Чубинашвили Г. Н. О достижении Советской Грузии в области изучения истории искусства, «Вопросы истории искусств», Тб., 1970.
 226. Энциклопедический словарь географических терминов. М., 1968.